საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ბორის დარჩია

ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1988

83.3 Гр 1
დ 235

წიგნში თავმოყრილი და დადგენილია ვახტანგ მეექვსის (1675—1737) პოეტური მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომელიც მის პოეტურ თხზულებათა ხელნაწერ და ბეჭდურ კრებულებში არ შესულა და სხვადასხვა ნუსხებშია გაფანტული. განხილულია ლექსები, რომლებიც ვახტანგს მიეწერება, მაგრამ მას არ ეკუთვნის. მოცემულია ვახტანგის პოეზიის იდეურ-მხატვრული და ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზი.

რედაქტორები:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი
ალ. ბარამიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ს. ცაიშვილი

რეცენზენტები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მ. მამაცაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. სულავა

დ $\frac{4603020102}{М\ 607\ (06)—88}$ 111—88 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1988

ISBN 5—520—00111—1

წინასიტყვაობა

ეს ნაშრომი გაგრძელებაა ჩვენი წიგნისა — „ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა“, რომელიც 1986 წელს გამოსცა „მეცნიერებამ“. ამ ერთიანი გამოკვლევის ცალ-ცალკე და განსხვავებული სათაურებით გამოქვეყნება ტექნიკური მიზეზებით არის გამოწვეული...

ჩვენი მიზანია ვახტანგ მეექვსის პოეზიის მონოგრაფიული შესწავლა, მაგრამ ეს ორ წიგნად წარმოდგენილი ნაშრომი ამგვარი სისრულისა არ არის. ამჯერად უფრო პრობლემური, შეუსწავლელი და სადავო საკითხების განხილვით შემოვიფარგლებით, თუმცა აქედანაც არაერთი საკითხი გვრჩება ხელუხლებელი.

როგორც პირველ წიგნში, აქაც ვახტანგის პოეტური ნაწარმოებების სტროფთა სათვალავი მითითებულია ბოლო გამოცემის მიხედვით (ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ვ ს ე, ლექსები და პოემები, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით, „მეცნიერება“, 1975). როდესაც ტექსტი გამოცემიდან არ არის მოყვანილი, წყარო აღნიშნულია.

ბიბლიურ წიგნებს, რომელთაც მითითება არ ახლავს, შემდეგი გამოცემების მიხედვით ვიმოწმებთ.

1. სახარება: ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1979.

2. აპოკალიპსი: იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ძველი ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა, წიგნში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბ., 1962, გვ. 3—205.

3. პავლეს ეპისტოლენი: პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე მ და კ. დ ა ნ ე ლ ი ა მ ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1974.

4. დანარჩენი კათოლიკე ეპისტოლენი: ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, თბ., 1963.

ხელნაწერებიდან დამოწმებულ ტექსტებში სასვენი ნიშნები ჩვენ გვეკუთვნის.

ლიტერატურა, თუ საქმე საკითხის ისტორიას არ ეხება, გარდა მცირე გამონაკლისისა, დამოწმებულია ბოლო გამოცემის მიხედვით.

ციტატებში, სადაც მითითება არ არის, დაყოფა (ხაზგასმა) ჩვენია.

ავტორები წიგნში დასახელებული არიან სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის გარეშე.

დასასრულს, ულრმესი მადლობით უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომის გამოსაცემად მომზადებაში რედაქტორებსა და რეცენზენტებთან ერთად გულითადი დახმარება გაგვიწიეს: როლანდ ბერიძემ, რომელიც ორივე წიგნს თავიდან ბოლომდე ხელნაწერში გაეცნო; ცალკეული თავები წაიკითხეს: ზვიად გამსახურდიამ, ალექსანდრე გვახარიამ, მანანა გიგინეიშვილმა, მაგალი თოდუამ, ვახტანგ როდონაიამ, რევაზ სირაძემ, აკაკი ხინთიბიძემ.

პირველი თავი

ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობის დადგენისათვის

1. ლექსები, რომლებიც ვახტანგის პოეტურ თხზულებათა ხელნაწერ და ბეჭდურ კრებულებში არ შესულა

ვახტანგ მეექვსის ზოგიერთი ლექსი მის პოეტურ ნაწარმოებთა ხელნაწერ კრებულებში არ მოხვედრილა და სხვადასხვა ნუსხაშია გაბნეული. მათი ნაწილი შეტანილია პოეტის „ლექსებისა და პოემების“ ალ. ბარამიძის მიერ გამოცემულ კრებულში (1947, 1975), ნაწილი — არა. არის ისეთებიც, რომელთა ვახტანგისადმი კუთვნილება სადავო და გადაუჭრელია. განსაკუთრებით ეს ითქმის ვახტანგის ხელით მინაწერ ცალკეულ, თითოსტროფიან ლექსებზე, რომელთაც ავტორობის თაობაზე არავითარი მინიშნება არ ახლავთ. ამგვარ თხზულებათა მიმართ გადაჭრით რამის თქმა ძნელია, მაგრამ, სანამ უფრო სარწმუნო საბუთები გამოჩნდებოდეს, ხელისა და ზოგიერთი სხვა ნიშნის მიხედვით მათ ვახტანგის კუთვნილად ვთვლით. სათანადო ნიმუშებს ქვემოთ დავიმოწმებთ, როდესაც ვახტანგს სხვადასხვა ნუსხაზე ცალკეული სტროფები თავისი ცნობილი ნაწარმოებებიდან საკუთარი ხელით მიუწერია. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ანალოგიურ მაგალითებს იმ შემთხვევებშიაც უნდა ველოდოთ, როდესაც წყარო არ ჩანს და გვიანდელ შეთხზულ ლექსებთან გვაქვს საქმე. ამასთან ერთად კარგად უნდა გვახსოვდეს, ხელი ყოველთვის არც მეფე-პოეტის ავტორობას გვიდასტურებს ხოლმე. ვახტანგთან დაკავშირებით ეს ერთ შემთხვევაში დოკუმენტურადაც მტკიცდება. ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ერაჯ ჭალაშვილისეულ ნუსხაზე ვახტანგის ხელით მინაწერი სტროფი მას კი არა, იოსებ თბილელს ეკუთვნის.

ხელის მიხედვით ავტორის დადგენა ბევრ გაუგებრობას იწვევს თვით თანამედროვე მწერალთა მემკვიდრეობის შესწავლისას. მაგალითად, არაერთხელ ქცეულა სადავოდ, ეკუთვნის თუ არა ცოტა ხნის წინათ ჩვენს შორის მოსიარულე, თავისებური, მკვეთრად გამორჩეუ-

ლი ხმის პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს ზოგიერთი ლექსი, რომლებიც მისი ხელით არის ნაწერი და მისსავე არქივში ინახება[1].

გარდა ატრიბუციისა, აქვე განვიხილავთ იმ ნაწარმოებთა ცალკეულ ტექსტოლოგიურ საკითხებს, რომლებიც ვახტანგის პოეტურ თხზულებათა ხელნაწერ კრებულებში არ შესულა.

ა. ძმისადმი მიწერილი ლექსი

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A 910 ნუსხაში, რომელიც ზოგიერთი ბიბლიური თხზულების კრებულია, ბოლოს (გვ. 456v) ვახტანგის ცნობილი გაკრული ხელით მიწერილია ოთხსტრიქონიანი ლექსი (სურ. 1):

„აწ გიძღვნი ძმასა უხუცესს ვახტანგ მონურად მოსველი,
რომ იქნას შენდ[ა] გამწმენდლად ახალი, მერმე მოსველი,
ეს გნახ[ა]ვს, ენატრი სიშორით, შემქმნია თეალი მოსველი,
და ჴელ[ი]თ ჰყრობს მომიგონებდე, საფერიც ႺႠოე მოსველი“[2].

ეს ხელნაწერი აღწერა და მოყვანილი ლექსი გამოაქვეყნა მ. ჯანაშვილმა[3], ოღონდ არც ავტორი აღუნიშნავს და არც ის უხსენებია, რომ ლექსი ვახტანგის ხელით არის მიწერილი. მისი ცნობა ასეთია: «На об. последняго листа четверостишия почерком мхедрули».

ამ ლექსს გაკვრით შეეხო ქ. შარაშიძე, რომელმაც მიუთითა, რომ „ხელნაწერს ვახტანგის საკუთარი ხელით მიწერილი აქვს მიძღვნა მისი ძმის, ქართლის ტახტზე ახლად დამკვიდრებული ქაიხოსრო (იგივე ხოსრო) მეფისადმი“[4].

თვით ნუსხა, რომელიც დიდი მხატვრული ოსტატობით არის შესრულებული, დამზადებულია ვახტანგის ბრძანებით სიონის ღვთის-

---

[1] ნ. ალანია, აკადემიურის გამო. — „ლიტერატურული საქართველო“, 13 ივნისი, 1975, გვ. 2; ზ. გოგიჩაიშვილი, დასანანი შეცდომა. — „ლიტერატურული საქართველო“, 13 თებერვალი, 1976, გვ. 4; მისივე, გალაკტიონი თუ...? — გაზ. „კომუნისტი“, 24 თებერვალი, 1980, გვ. 4; რ. კუსრაშვილი, გალაკტიონის ერთი ლექსის გამო. — გაზ. „წიგნის სამყარო“, 8 დეკემბერი, 1976, გვ. 7: ტ. ჭანტურია, გაზიარებული შეცდომაც — შეცდომაა. — ალმანახი „კრიტიკა“, 1983, № 4, გვ. 162—168; ე. ჯავახაძე, ფრთხილად, ტექსტოლოგებო! — „კრიტიკა“, 1984, № 3, გვ. 133—140; ლ. ავალიანი, მეტი სიზუსტისათვის, — „ლიტერატურული საქართველო“, 31 იანვარი, 1986, გვ. 6 და სხვა.

[2] ხელნაწერში სიტყვები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ორწერტილით.

[3] М. Г. Джанашвили, Описание рукописей церковного музея Духовенства Грузинской Епархии, III, Тифлис, 1908, с. 170—189.

[4] ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბ., 1955, გვ. 129.

მშობლის ეკლესიის დეკანოზის შვილის გაბრიელის მიერ. მის ანდერძ-მინაწერში იკითხება:

„ნ[ე]ბითა ღ[ვთისა]ჲთა და ბრძ[ა]ნებითა ს[ა]ქართველოს გ[ა]მგის, პ[ა]ტრონის ვ[ა]ხტანგისითა, მე, ფ[რია]დ ც[ო]დვილმ[ა]ნ და ყ[ოველ]თა კერძო დ[ია]კ[ო]ნთა უნარჩევესმან, სიონთა ღ[ვთ]ისმშ[ო]ბლის დ[ე]კ[ა]ნ[ო]ზის შვილმ[ა]ნ გ[ა]ბრ[იე]ლ, აღვწერე წ[მიდა]ჲ და ს[უ]ლთა გ[ა]ნმ[ა]ნ[ა]თლ[ე]ბ[ე]ლი ს[ა]ზ[ა]რ[ე]ბ[ა]ჲ, ს[ა]მ[ო]ც[ი]ქ[უ]ლო, ი[ოვან]ეს მოხილვა და დ[ავი]თი. ესე უწყის უ[ფალმა]ნ, გაკრძ[ა]ლვ[ი]თ ვსწერე და თუ რამ მცდარ ვიყო, ნუ მწყევთ, გ[ევედრე]ბი, უ[ფალ]ნო, მრავალ[ი]მცა არ[ია]ნ წელნი ცხ[ო]რ[ე]ბისა ძისა მეფისა ვახტანგისნი“[5] (გვ. 90).

ლექსს წინ უძღვის ვახტანგის ხელითვე შესრულებული წარწერა: „დიალ [ს]ნეული [შევი]ქენ და თუ ვერა გნახო ცოცხალმა, ამაზე მამიგონე[6]. ღ[მერ]თმან ხომ იცის, ე[რთხელ თუ] გნახავ, მას უკან სიკვდილს აღარას ვინაღვლი“[7].

როგორც ვხედავთ, ლექსსა და მინაწერში არსებითად ერთი და იგივეა ნათქვამი. ამ მასალებიდან გარკვევით ჩანს, ლექსი ეკუთვნის ვახტანგ მეექვსეს, ხოლო ქ. შარაშიძის თანახმად, მისი ადრესატია ქაიხოსრო, პოეტის უფროსი ძმა. ნაწარმოებში არეკლილია სპარსელ დამპყრობთა ძალადობით გამოწვეული ქართლის მეფეთა პირადი, ოჯახური გასაჭირი მე-18 საუკუნის დასაწყისში. საისტორიო წყაროებიდან უამრავი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც ირანის შაჰებს, ისევე როგორც სხვა დამპყრობლებს, ქართველთა მეფეები და მათი ოჯახის წევრები მოუწყვეტიათ ერთმანეთისათვის, თავიანთი კერისა და სამშობლოსათვის და სხვადასხვა საბაბით შორეულ ქვეყნებში გადაუკარგავთ. ანალოგიური ხვედრი ვახტანგისა და ქაიხოსროსი, აგრეთვე მათი ოჯახის სხვა წევრებისა, კარგად არის ცნობილი[8]. უეჭველია, ეს ლექსი ძმების ამგვარი დაშორების ნიადაგზეა შექმნილი.

---

[5] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, აღწერილობა..., გვ. 170—171.

[6] ხელნაწერშია: „მამამიგონე“.

[7] წარწერა გამოქვეყნებული აქვს ქ. შარაშიძეს (გვ. 129), სადაც ჩვენს მიერ ფრჩხილებში ჩასმული ასოები პირდაპირ, შენიშვნების გარეშეა დაბეჭდილი.

ამავე ხელნაწერში დაცულია ფურცლის პატარა ნაგლეჯი, რომელზეც ვახტანგის უწვრილესი ხელით წერია: „სეკტენბერს: იგ: ოთხშაბათს: ზ: სათს (!): გასულს: მზე დაბნელდა:“.

[8] ქართლის ცხოვრება, IV, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1973, გვ. 485—491; ს. ჩ ხ ე ი ძ ე, საქართველოს ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, II, ახალი მოთხრობა. 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლადმდე, გამოცემული უ. ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი ს ა გ ა ნ, სანკტპეტერბურღს, 1854, გვ. 320—326 (ქვემოთ ვახუშტისა და სეხნია

ვინაიდან კალიგრაფის, გაბრიელის, ანდერძში ვახტანგი ქართლის გამგედ არის მოხსენიებული, ცხადია, ნუსხის დამზადება და საძიებელი ლექსის შეთხზვა-ჩაწერა 1703 წლის (ანუ ვახტანგის აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის) შემდგომ დროს განეკუთვნება. მეორე მხრივ, ცნობილია, ქაიხოსრო ავღანელებთან ბრძოლის დროს დაიღუპა 1711 წლის 26 ოქტომბერს[9]. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ ვახტანგის ლექსი დაწერილია 1703—1711 წლებში. ამ პერიოდში ქაიხოსრო, ჩვეულებრივ, სამშობლოს მოშორებული იყო და, როგორც შაჰ-ჰუსეინის მიერ გამწესებული მაღალი თანამდებობების პირი, ირანში იმყოფებოდა და სხვადასხვა ბრძოლაში მონაწილეობდა.

თუ ქ. შარაშიძის მოსაზრებას გავიზიარებთ, თხზულების დაწერის სავარაუდო დრო კიდევ უფრო დავიწროვდება. ზემოთ დამოწმებული მისი სიტყვებიდან გამოდის, რომ ლექსი განეკუთვნება იმ დროს, როდესაც ქაიხოსრო „ქართლის ტახტზე ახლად დამკვიდრებულია“. ეს კი, ცნობილია, 1709 წელს მოხდა. ამის მიხედვით ლექსის დაწერის თარიღად 1709—1711 წლებს ვღებულობთ.

ქ. შარაშიძე არ მიუთითებს წყაროს. შესაძლებელია მას მხედველობაში ჰქონდეს ლექსის სიტყვები: „აწ გიძღვნი ძმასა უხუცესს ვახტანგ მონურად მოსველი“. თუ ასეა, ვფიქრობთ, აღნიშნული აზრის მისაღებად ეს საკმარისი არ იქნება. ჩვენი ვარაუდით, სავსებით დასაშვებია „მონურად მოსველი“ ჰიპერბოლური გამოთქმა იყოს და უფროსი ძმისადმი უმცროსის მორჩილებას, ერთგულებას გამოხატავდეს და არა მეფისადმი მოადგილის დაქვემდებარებას.

აღნიშნული დროის განსაზღვრისათვის სხვა საყურადღებო საფუძველს ჩვენ ვერ ვხედავთ. ვფიქრობთ, შეცდომა ნაკლებ იქნება მოსალოდნელი, თუ საძიებელი ლექსის თარიღად 1703—1711 წლებს მივიღებთ.

ჩხეიძის შრომები ამ გამოცემათა მიხედვით არის მითითებული); ა. გაწერელია, მასალა ვახტანგ VI-ის ბიოგრაფიისათვის, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1962, გვ. 467—492; ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972, გვ. 51—55; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 402—406; მ. ქავთარია, ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია (XVII—XVIII სს.), 1. მუხრანბაგრატიონთა შტო, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, თბ., 1975, გვ. 205—206 და სხვა.

[9] გარდა ზემორე მითითებული ლიტერატურისა, იხ.: ი. ტაბაღუა, მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1982, გვ. 35—38, 95—97, 130—131, 196, 219—220.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ შიო მღვიმელის ცხოვრების შემცველ A 928 ხელნაწერის თავფურცელზე ვახტანგის ხელით მიწერილია შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი ერთსტროფიანი ლექსი (სურ. 2):

„ცოდვისაგან უხამური გევედრები, მამა შიო,
ბოროტითა ნაყროვანი შენთა ლვაწლ[თ]თვის მამაშიო,
ვის არ გწადდა საზდო რამე, არ კაკალი მამაშიო,
და ფარვას ვითხოვ ეშმაკისას, მჭურო მადლთა მამაშიო!"[10]

ბოლოს მისივე ხელით ჩახვეულად მიწერილია „ვახტანგ".

ხელნაწერი აღწერილი აქვს მ. ჯანაშვილს, რომელმაც ლექსთან ერთად დაბეჭდა ცნობა: «Впереди текста (ლაპარაკია შიო მღვიმელის ცხოვრების ტექსტზე) имеется следующее четверостишие, подписанное рукою-вязью царя Вахтанга VI-го»[11].

ეს ლექსიც არ შესულა ვახტანგის „ლექსებისა და პოემების" გამოცემებში. მას, როგორც ვახტანგის ნაწარმოებს, განიხილავს გ. მიქაძე[12].

ყველაფრიდან ჩანს, ეს ნაწარმოები ვახტანგის კალამს ეკუთვნის. ამაზე მიგვითითებს ხელი, მინაწერი „ვახტანგ" და სტილი. ეს არის ღრმად მორწმუნე პოეტის ლექსად დაწერილი თხოვნა და ღაღადისი წმინდანებისადმი იმავე ტიპისა, როგორიცაა გერგეტის სამების „სულთა მატიანის" წიგნში მისივე ხელით ჩაწერილი ვედრება: „ჰე, ყო[ვ]ლად ძლიერო ღმერთო, რომელმან... აწ ქართლის მთავრად ჰქმენ გიორგი ბრძანებითა შენითა! სძლიეს სპარსთა და გარ[და]ვარდა; დაყო წელი ღარიბობაში ოთხი და მოვიდა და დაიჭირა ქართლი; სთხოვა სპარსთა და არ მოსცა და მე, ვახტანგ. გამაგზავნა ლექში; და მე, ბძანებითა [მისითა], შემოვიარე აქ და მივდიოდი, რათა შეგვეწიონ სპარსთა ზედა [ძა]ლი ამა სამებისა წმიდანი. და აწ, გევედრები, რათა წარმიმართო სავალნი ჩემი. შემინდევ და ორსავე შინა ცხოვრებისად ღირს მყავ"[13].

ასეთივეა XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე გადაწერილ სასულიერო თხზულებათა კრებულზე მისივე ხელით მინაწერი მუდარა: „სი-

---

[10] დედანში სასვენ ნიშნებად გამოყენებულია სამი წერტილი.

[11] მ. ჯანაშვილი, დასახელებული „აღწერილობა", გვ. 202.

[12] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 517. აქ, ისე როგორც მ. ჯანაშვილის აღწერილობაში, მესამე სტრიქონში „არ კაკალი"-ს ნაცვლად დაბეჭდილია „ორ კაკალი".

[13] ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბ., 1964, გვ. 242, 287.

ბრძნით ყოვლისა უარსისა მა[ა]რსო და მევედრებელთა ყოველთა მდიდრად კეთილისა მიმნიჭებელნო, მამაო უშობელო, ძისა მხოლოდ შობილისა მშობელო, სულისა ყოვლად წმინდისა გამომავლენო, შემიწყალე ყოვლად უღირსი მონა შენი ბატონიშვილი ვახტანგ. ვინც მიემთხვიოთ, შენდობა ბძანეთ ჩემთვის. ღმრთისათვის გევედრები, ძმანო და მამანო, ამინ!"[14]

გ. „რანი და მოვაკანი..."

ეს შესანიშნავი, პატარა, ერთსტროფიანი, თავისებური რიტმის მქონე და დიდი სულიერი ტრაგიზმის გამომხატველი ლირიკული ლექსი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში კარგად არის ცნობილი[15]. იგი ვახტანგის ხელით მიწერილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდში დაცულ E 15 ნუსხის (ძველი ნომერი G 191b) თავფურცელზე (1r). ხელნაწერი შეიცავს ვახტანგის ასტროლოგიურ ნაშრომს „თალა მასალა", რომელიც ნასწორებია მისივე ხელით. აქედან ეს ლექსი გადმოუწერია და ალ. ბარამიძისათვის მიუწოდებია პ. ინგოროყვას[16]. ამ გზით შევიდა იგი პოეტის „ლექსებისა და პოემების" ორივე, 1947 (გვ. 2) და 1975 (გვ. 16) წლების, გამოცემაში. ხელნაწერში იკითხება (სურ. 3):

„ქ. რანი და მოვაკანი და, სახლი და კარი, ბანი და,
გათავდა ყოველი წერილი, ანი და ბანი, განი და...
ვიარე ბევრი ქვეყანა, სიგრძე და სივრცე, განი და,
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი და...
ხორცსა მრავალი დავაკელ, სულს მიეეც იქი რჯანი და,
ვაი-ვაი, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი და!"[17]

---

[14] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, I_1, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 229.

[15] გარდა ქვემოთ დასახელებული ნაშრომებისა, ამ ლექსის შესახებ იხ.: ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1940, გვ. 446; გ. მიქაძე, ვახტანგ VI, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 512; ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, თბ., 1966, გვ. 105; ს. ცაიშვილი, მარადიული სახეები, თბ., 1981, გვ. 105; ა. ხინთიბიძე, ჰაშნიკი ქართული ლექსმცოდნეობისა, წიგნში: მამუკა ბარათაშვილი, სწავლა ლექსის თქმისა, თბ., 1981, გვ. 53; მ. კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, თბ., 1983, გვ. 180—181; თ. ნატროშვილი, გვახსოვდეს მერვე მცნება..., გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1983, 9 დეკემბერი, № 50, გვ. 11 და სხვა.

[16] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 163.

[17] დედნისეული სასვენი ნიშანია ორწერტილი.

ამ ნაწარმოების ვახტანგისადმი კუთვნილებას, გარდა ხელისა, სხვა მონაცემებიც ადასტურებს. მისი შინაარსი და განწყობილება ზუსტად შეესაბამება პოეტის თავგადასავალს, მის მძიმე ხვედრს, რომელიც ისტორიიდან ვიცით და რაც ასახულია მის პოეტურ თხზულებებში. გ. ჯიბლაძის შეფასებით, „ეს თექვსმეტმარცვლოვანი ლექსი ვახტანგის პოეტური ავტოპორტრეტი უფროა, ვიდრე ლირიკული საგალობელი"[18].

ლექსის სტილი — ცალკეული მხატვრული სახეები, ლექსიკა, წერის მანერა — ნიშანდობლივ მსგავსებას ამჟღავნებს ავტორის სხვა პოეტურ თხზულებებთან:

„მოვშორდი ცოლსა, შვილს, თანამყოლსა, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო,
მოვშორდი ძმასა, გამყარე დასა, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო..."
(„უწყვეტელი", სტრიქონები 9—10)

„ძმასა რა არგო, სად ემწო, ანუ თუ დასცა დარია,
ანუ სოფლისა სიმდიდრე, ბევრს ვისმე დასცა, დარია..."
(„ამირ-ნასარიანი", სტრ. 79. 1—2)

„სულ დამიქცია სამყოფი, სახლი, სართული, ბანია,
მეფობის ნაცვლად სოფელმან მიბოძა ლექსობანია..."
(იქვე, 186. 3—4)

ერთსა და იმავე აზრს გამოხატავს სიტყვები:

„ხორცსა მრავალი დავაკელ, სულს მიეეც იქი რჯანი და".
„იმ სოფელს ვერას ვიკეთებ, აქა მაქვს ლხინი ძვირები!"
(„სალბუნად გულისა", სტრ. 9. 4)

ვახტანგს უყვარს „და" კავშირით დაბოლოებული სტროფების შექმნა[19]:

„ყრმათა ატყუებ უვბილთა, ვაჟთა სილაღით დარევ და,
შუაკაცს გამოუცდელსა ხელსა სიჯაბნით დარევ და,
მიკვირს, ბერ-კაცსა რაღა სწადს, ისიც იმათვე დარევ და,
და ქვე დაერჩებით და გაცვდები, თუ იქლა ჩვენთვის დარევ და".
(„კაეშანი", 6)

„გაუმაძღარი სისხლითა, შეუბრალები მკვდარი და,
მაღლიანს ჯელგა მოადგა, საზეიმელ[ი] ზარი და,
ფრანგის ომისა სამსგავსო, თოფები განაყარი და,
და განმრავლებული მოკლული კაცთაგან მოუხმარი და".
(„სალბუნად გულისა". სტრ. 62; მეორე რედაქცია — S 171, გვ. 9)

---

[18] გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, VI, თბ., 1981, გვ. 13.

[19] რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, ამგვარი აგებულების ლექსები მხოლოდ ვახტანგ მეექვსეს მოეპოვებოდეს და სხვებთან არ დასტურდებოდეს.

„ვტირ, სატრფოვ, მეტრფე საბრალოდ, მოლბობით შემიწყალო და,
გავიჭრე ველად, გაჭრილი სოფელსა გაეძალო და,
სოფლის დიდებას რას ვაქნევ, რადგან შენ მომეკრძალო და,
და ნება ესრული სასრული, რაც ბრძანოს მისმა სძალო და".
(„სატრფიალონი", 2)

„რადგან კაცია მოკვდავი, უნდა დაურჩეს რამე და,
სახელისაგან უმჯობე რამცა ჰქენ, რამც იამე და!
მოვიგონებენ ყოველნი ამითი ჟამით-ჟამე და,
და მოლექსობაცა იქნება ამის რამ შესაწამე და".
(იქვე, 90) და სხვა.

ვახტანგის ავტორობას უნდა ამტკიცებდეს ისიც, რომ ლექსი მისგან არის ნასწორები. ბოლო სტრიქონად მას ჯერ დაუწერია:

„ვაი-ვაი, რა ცუდაც(!) გამსაჯეს, არ მომცეს მე აჯანი და".

შემდეგ აღნიშნული სიტყვები გადაუხაზავს და მათ ნაცვლად ქვევიდან მიუწერია: „მსაჯეს უბრალოდ".

ჩანს, ლექსი გარკვეული ვერსიფიკაციული მიზნით არის შექმნილი. ვახტანგის ხელით იქვე მიწერილია: „ერთი ლექსის ხმა ესეც არი". ვახტანგის პოეტური მემკვიდრეობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ცხოვრების ბოლო პერიოდში იგი გატაცებული ყოფილა ლექსთწყობის საკითხებით. მაგალითად, მამუკა ბარათაშვილს ავალებს, ქართულ ლექს-სიმღერების ხმებზე შექმნას საკუთარი, ორიგინალური ნაწარმოებები. თვითონ წერს სხვადასხვა ფორმის ლექსებს და შეაქვს მამუკა ბარათაშვილის პოეტიკურ ტრაქტატში „ჭაშნიკი" და სხვა[20]. აშკარაა, საძიებელი ლექსიც ამავე პერიოდს განეკუთვნება და ამავე მიზანდასახულობით არის შეთხზული.

ამრიგად, ყოველმხრივ ჩანს, „რანი და მოვაკანი..." ვახტანგ მეექვსის ნაწარმოებია.

დედანსა და პუბლიკაციებში ლექსი რამდენადმე განსხვავებულად იკითხება. გამოცემასა და აქედან გამოკვლევებში მეორე სტრიქონის „ანი და ბანი" გადაადგილებულია. არის: „ანი, ბანი და", რაც მოსაზღვრე სტრიქონებს რიტმულად ნაკლებ ესადაგება. მესამე სტრიქონში „ბევრის" ნაცვლად დაბეჭდილია „ყოვლი", მეხუთე სტრიქონში „დავაკელ"-ის ნაცვლად — „დავაკლე", ბოლო სტრიქონში მეორე „ვაი"-ს ნაცვლად — „ვაჲ". რასაკვირველია, ლექსის შემდგომ პუბლიკაციებში დედნისეული ეს წაკითხვები უნდა აღდგეს. ცილობას იწვევს მხოლოდ ერთი, ბოლო წაკითხვა. დღეს ბოლო სტრიქონში შორისდებული

---

20 სათანადო ნიმუშები ქვემოთ არის დამოწმებული.

„ვაი-ვაი“ ერთ მარცვალს ზედმეტს იძლევა. ჩანს კი, თითქოს პოეტს ისინი თავიდან თითომარცვლიან სიტყვებად ესმოდა. ამას გვაფიქრებინებს პირველი ვარიანტი, რომელიც ზემოთ არის მოყვანილი. იგი სხვათა შესაბამისი 16-მარცვლოვანი გამოვა, თუ მოცემული შორისდებულის ორივე „ი“-ს უმარცვლო ბგერად მივიჩნევთ — „ვაჲ-ვაჲ“:

„ვაჲ-ვაჲ, რა ცუდა[დ] გამსაჯეს, არ მომცეს მე აჯანი, და!“

ხოლო ავტორის მიერ ახალი, შესწორებული რედაქციისას ასეთივე 16-მარცვლოვანი იქნება, თუ ერთ „ი“-ს უმარცვლოდ მივიღებთ, როგორც ეს გამოცემაშია, — „ვაი-ვაჲ“, ან კიდევ შებრუნებულად — „ვაჲ-ვაი“. ამიტომ ვფიქრობთ, მომავალ პუბლიკაციებში, წინააღმდეგ დედნისა, შეიძლება დავტოვოთ გამოცემისეული წაკითხვა:

„ვაი-ვაჲ, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და!“

ამ პატარა საკითხს ამდენ ყურადღებას იმიტომ ვუთმობთ, რომ, ისიც შესაძლებელია, ჩვენი მსჯელობა სინამდვილეს არ ასახავდეს და აღნიშნული შორისდებული პოეტს სწორედ ო თ ხ მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ სიტყვად ჰქონდეს გააზრებული, ხოლო მთელი ნაწარმოები — ა რ ა - თ ა ნ ა ბ ა რ მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ ლექსად, სადაც ბოლო სტრიქონი 17-მარცვლიანია. საკითხის გადაჭრაში ვერ გვშველის ვახტანგის თხზულებებში ამ შორისდებულის ხმარების წესის შესწავლა[21]. მის პოეზიაში ეს ორმაგი შორისდებული სხვაგან ცალკე სახით გვხვდება, — ერთმარცვლიანად და ორმარცვლიანადაც. ერთმარცვლიანია:

„ვაჲ, სოფელმან დლენო ჩემნი აწე ცუდად სა გალია!“
(„სალბუნად გულისა“, 41. 4)

„შავარდნითა შექცევასა, ვაჲ, სოფელო, მიმაწევ როს?!“
(იქვე, 46. 4)

„ვერ ვეწიო საწადელსა, ვაჲ, სოფელი დღესა მპარავს:“
(იქვე, 64. 4)

„ვაჲ, მომსწრებია სიბერე, სიკვდილის მოსაგონისა!“
(„ქილილა და დამანა“, S 3177, გვ. 386)

„ვა, თუ წუთმან საწუთრომან დღენაკლული მოაბეროს!“
(„სატრფიალონი“, 69. 4)

[21] „ვაჲ“ შორისდებულის ხმარების შესახებ ვეფხისტყაოსანსა და პოემის ვახტანგისეულ გამოცემაში იხ.: ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975, გვ. 19—23.

ორმარცვლიანია:

„ჭირს მყოფი ლხინსა ელოდეს, ვაი, რა მოიქნებისა!"
("ქილილა და დამანა", S 3177, გვ. 414)

„ვაი, სიყრმისა ყვავილი რა ტურფა, მოსახმარია, ...
„არც მკვდარი, არცა ცოცხალი, ეაი, სიბერე მწარია!"
("სატრფიალონი", 10. 1, 4)

„რა დავიბადე, სოფლით ვიბადე, ეაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!"
("უწყვეტელი")

„ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!"
("შურით აღივსნენ უგბილნი...")

„ვაი, რა ცუდად ვაშრომებ ჩემსა დღეთა და ჟამსაო!"
("კაეშანი", პირველი რედაქცია, 7. 1)

აღძრულ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ, როგორც აღინიშნა, ვახტანგი განსახილველ ლექსს თავისებური „ხმის" ნაწარმოებად წარმოგვიდგენს. ამიტომ მოსალოდნელია, ამ სიტყვაში ავტორი არა მარტო იმ რიტმულ თავისებურებას გულისხმობდეს, რაც თხზულებას, როგორც 16-მარცვლოვან შაირს, ახასიათებს, არამედ ამასთან ერთად ბოლო სტრიქონის განსხვავებული ზომაც ჰქონდეს მხედველობაში.

დ. მესამე ანბანთქება

ვახტანგის ლექსების ხელნაწერ და ბეჭდურ (1975 წ., გვ. 63—68) კრებულებში შესულია მისი ორი ანბანთქება: ვრცელი, რომელიც ასე იწყება: „ასრე არის აგებული..."; მეორე, ერთსტროფიანი — „არა ბძანებ გიორგ დედად..." Q 548 ხელნაწერში ამ ნაწარმოებს მოსდევს კიდევ ერთი ოთხტაეპოვანი ანბანთქება:

„აჰა, ბრძენთ. გესმასთ და ესე ვინა ხართ, ზოგთ, Ⴓე, თქმულია,
იმ კარგის ლუკას მორჩილი ნუმც ორ ჰირ ჟრჟოლა რთულია,
სიკვდილით ტანჯვად უფლისთვის ფრიად ქმნეს ღირსთ ყრმათ შთულია,
და ჩანს ცოდეილთ ძნიად წრწოლა ჭირს ხელ კუნდ ჯვრით ჰა მრგულია".
(გვ. 3)

ეს ლექსი იკითხება, აგრეთვე, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S 390 ხელნაწერ კრებულში[22], სადაც ის მიწერილია მამუკა ბარათაშვილის „ჭიმშედიანის" ბოლოს, ზედა არშიაზე და სათაურად აქვს „მეფის ვახტანგის ნაბძანები" (გვ. 144). პირველად ამ

[22] ხელნაწერი აღწერილი აქვთ ე. თაყაიშვილს (Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. I, Тб., 1902—1904, с. 410—418), თ. ენუქიძეს (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, გვ. 487—489), გ. მიქაძეს (მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. მიქაძემ, თბ., 1969, გვ. 145—148).

ანბანთქებაზე თავის „აღწერილობაში“ მიუთითა ე. თაყაიშვილმა (გვ. 411), ხოლო მას ვახტანგის თხზულებად განიხილავენ კ. კეკელიძე[23] და გ. მიქაძე[24].

ეს თვალსაზრისი სწორი ჩანს. ორივე ნუსხა სანდო ხელნაწერთა ჯგუფს განეკუთვნება. დოკუმენტურად მტკიცდება, რომ Q 548-ში შესული ყველა დანარჩენი ლექსი ვახტანგისაა და გამონაკლისი არც ეს უნდა იყოს. რაც შეეხება S 390-ს, ამ ნუსხას იცნობს ვახტანგი. იქვე მისი ხელით მიწერილია ერთსტროფიანი ლექსი „სიკვდილი ჯიმშედის ცოლისა“ (გვ. 140). საძიებელი ანბანთქება თითქოს იმავე ხელით არის ჩაწერილი, რომლითაც ჩამატებულია ანდერძ-მინაწერი: „...სრულ იქმნა წიგნი ესე ჩემ მიერ მოსკოს წელთა 1732, თვესა დეკემბერსა 11. შენდობა ბრძანებულთაცა, ამინ!“ (გვ. 143). ეს ხელი კი ნუსხის გადამწერს გარსევანიძეს უნდა ეკუთვნოდეს. მეორეც, „ჯიმშედიანი“ მამუკამ გალექსა ვახტანგის დავალებით. ლექსად დაწერილ ანდერძში, რომელიც ამ თხზულებას აქ ბოლოს ერთვის, იკითხება: „მეფეთა მიერ ბძანება სრულ იქმნა, ვითა ბძანესა!“ ნათელი არ არის, „მეფეთა ბძანებაში“ რა იგულისხმება, ან ვინ არიან ეს „მეფენი“. შესაძლებელია, იგი ეხებოდეს ხელნაწერის გადაწერას და „მეფენში“ ვახტანგი იგულისხმებოდეს. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, S 390 ხელნაწერი ვახტანგის დავალებით ყოფილა დამზადებული.

ამ ვარაუდებს რომ თავი დავანებოთ, ის კი უცილობელია: ხელნაწერი ვახტანგის მახლობელთა წრეს მიეკუთვნება და, ამდენად, მისი ცნობა საეჭვო არ უნდა იყოს.

აქვე, S 390 ხელნაწერში მოთავსებულია არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის ამავე ტიპის ანბანთქებანი. უნდა ვიფიქროთ, ამ ლექსებმა აღუძრა სურვილი მეფე-პოეტს, თავადაც შეექმნა მსგავსი ნაწარმოები. ვახტანგის ლექსი სწორედ იმავე გვერდის ზედა არშიაზეა მიწერილი, რომელზედაც არჩილისა და სულხან-საბას ლექსებია წარმოდგენილი.

ყველაფრიდან ჩანს, განხილული ანბანთქება ვახტანგს გვიან შეუქმნია. ამას ადასტურებს S 390 ნუსხის თარიღი — 1732 წლის 11 დეკემბერი და ისიც, რომ იგი არც პოეტის ადრინდელ ხელნაწერ კრებულებში შესულა და არც შემდგომ გავრცელებულა.

---

[23] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 603 (სქოლიო).

[24] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 517. აქვე ეს თხზულება დაბეჭდილიცაა.

ე. „სიკვდილი ჯიმშედის ცოლისა“

როგორც ახლახან აღვნიშნეთ, S 390 ხელნაწერში ვახტანგის ხელით მიწერილია ერთსტროფიანი ლექსი, რომელსაც ჰქვია „სიკვდილი ჯიმშედის ცოლისა“:

„მზე და მთვარე სიტურფისა ვისი იყო ბაძის მქნელი,
ბაღთა შიგან მისთა მჭვრეტთა ვარდი ქ[ო]ნდა გასაქნელი,
მუშკსა სადღა ახსენებდა მისი შუბლთა გამომქნელი,
ბოლოდ დაჭკნა ეს ყვავილი, მოუვიდა ის საქნელი“. (გვ. 140)

ხელნაწერის პირველი და ძირითადი ნაწილია მამუკა ბარათაშვილის მიერ გალექსილი „ჯიმშედიანი“. ხელნაწერში ვახტანგის ხელითვე მითითებულია, რომ ეს ლექსი ჩასამატებელია აღნიშნულ თხზულებაში 548 („ტომერან მოკვდა ცოლითურთ...“) და 549-ე („ჯიმშედს შვილისა სევდამან...“) სტროფებს შორის[25].

დამოწმებული ლექსი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი. იგი დაბეჭდილია[26] ე. თაყაიშვილისა (გვ. 411) და თ. ენუქიძის (გვ. 488) დასახელებულ აღწერილობებში, კ. კეკელიძისა[27] და გ. მიქაძის[28] ნაშრომებში. კ. კეკელიძე და გ. მიქაძე მას ვახტანგის ორიგინალურ თხზულებად განიხილავენ.

ეს მოსაზრება ჭეშმარიტი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, არც აქ ჩანს მისი რაიმე ხელისშემშლელი მიზეზი.

„ჯიმშედიანის“ დედანში, „რუსუდანიანის“ შესაბამის ტექსტში აღნიშნულია მხოლოდ ჯიმშედისა და მისი შვილის სიკვდილი და არაფერია ნათქვამი ცოლის შესახებ: „ის ყმაწვილიც (ჯიმშედის შვილი — ბ. დ.) ვეღარ წამოუვიდა მის გრძნეულისაგან შეგრძნებასა, უფრო და უფრო წახდა. დაყო ოცი წელი, მაგრამ არა სახელმწიფო ჭკუა ჰქონდა. მის შვილის სიმწუხარემა ჯიმშედ ხელმწიფეც მოაუსუსურა, ადრე დაბერდა და, რა ის შვილი მოუკვდა, აღარცა რა დიდი ხანი იმან გასძლო. ეს ახლა რომ ხელმწიფე ზის, ცოტა იყო ბევრი მპატიჟა, მაგრამ რადგან მათი სამსახური დამეკარგა, სხვას ხელმწიფის პირის ნახვას

---

[25] ვუთითებთ გ. მიქაძის გამოცემის მიხედვით (მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 121).

[26] ე. თაყაიშვილის „აღწერილობაში“ „ქონდა“-ს მაგივრად დაბეჭდილია „ქნიან“, კ. კეკელიძისა და გ. მიქაძის პუბლიკაციებში — „[ე]ქნა“. ე. თაყაიშვილი „მუშკსა სადღა“-ს ნაცვლად ბეჭდავს „მუშაკს რადღა“.

[27] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 604.

[28] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 516—517.

რაღას ვაქნევდი ანუ რაღას სამსახურის გამოჩენას ველოდი, მე არა ვქენ“[29].

მამუკა ბარათაშვილი ზედმიწევნით გაჰყოლია დედანს და ჯიმშედის ცოლი არც მის ტექსტშია ნახსენები:

„...მას ყრმასა გრძნებად ჰყრობილსა არ ჰქონდა საკადრონია,
და სიბრძნე შეშლოდა ქაჯთაგან, მათ ეყო სამოყრონია. (548, 3—4)

ჯიმშედს შვილისა სევდამან მალ მისცა უსუსურობა,
მოკვდა ძეცა და იგიცა, მოშალეს სმა და პურობა,
სხვა ძე გამეფდა, აწ რა ზის მიხედა ტახტისა მჯდურობა,
და მე მეპატიჟის ეაზირად, არ მივეც მე დასტურობა“. (549)

როგორც თვით მამუკა იუწყება, „ჯიმშედიანი“ ვახტანგის დავალებით გაულექსავს. ჩანს, მეფე-პოეტი დაინტერესებული ყოფილა ამ ნაწარმოების სრულყოფით. უნდა ვიფიქროთ, მას ნაკლად მიუჩნევია ის გარემოება, რომ თხზულების ბოლოს იხოცებიან მთავარი გმირი ჯიმშედი და მისი ძე, სხვა მეფდება, ხოლო ჯიმშედის ცოლზე არავითარი ცნობა არ არის. სწორედ ამ ნაკლის გამოსასწორებლად უნდა შეეთხზა ვახტანგს აღნიშნული სტროფი ჯიმშედის ცოლის გარდაცვალების შესახებ.

3. ხოსროს ფიცი

გამოჩენილი ინდოელი პოეტის ამირ ხოსრო დეჰლევის (1253—1325) სპარსულ ენაზე შეთხზული პოემის „ხოსროვ-შირინიანის“ (1299 წ.) ქართულ პროზაულ თარგმანს, რომელიც ერთადერთი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A 1787 ნუსხით[30] არის მოღწეული, ამავე ნუსხაში არშიაზე ვახტანგის ხელით მიწერილი აქვს ერთსტროფიანი ლექსი, რომლის პირველი სტრიქონი ხელნაწერის აკინძვისას ჩამოჭრილია:

---

[29] რუსუდანიანი, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 244.

[30] ხელნაწერი აღწერილი აქვთ ალ. ბარამიძეს („ლიტერატურული ძიებანი“, I, 1943, გვ. 59—61; ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1952, გვ. 293—296) და ლ. ქუთათელაძეს (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, V, თბ., 1955, გვ. 263—264). ცნობილია, რომ ბოლოს ხელნაწერის მფლობელი იყო იოვანე ბატონიშვილი. ის მის მეუღლეს ქეთევანს 1800 წელს შეუსყიდია ვინმე კოშორიძის ცოლის ელენესაგან. 1930 წლამდე ხელნაწერი ინახებოდა სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში (იოვანე ბატონიშვილის კოლექცია, № 27).

„. . . . .
ამ მხეალთ და მონათ შიგან, ვინცა ვისთვის ესრეთ გიცი,
გულსა შიგან ტრფიალება გქ[ო]ნდესაო ეისცა ვისცი,
და მე შეჰყარნე ორნივ ერთად, დამიცაო ესე ფიცი". (10r.)

ეს ლექსი რამდენჯერმეა გამოქვეყნებული და სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი. იგი დაბეჭდილია ორჯერ ალ. ბარამიძის გამოკვლევაში „ხოსროვ-შირინიანის ქართული ვერსიები"[31], შემდეგ — ლ. ქუთათელაძის აღწერილობაში (გვ. 263) და ბოლოს — „ხოსროვ-შირინიანის" მეორე გამოცემაზე დართულ ნ. გიგაშვილის გამოკვლევაში: „ამირ ხოსრო დეჰლევის პოემის „შირინ ო ხოსროს" ქართული თარგმანი"[32].

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, იგი გალექსილი ვარიანტია „ხოსროვ-შირინიანის" თარგმანის იმ ადგილისა, რომელიც გადმოგვცემს ხოსროს ლხინს: „...ზარხოშობა რომ შეიქნა, ხოსრომ ბრძანა: «ვინც რომ მალვით აშიყი იყოს, გაამჟღავნოს!» და ღმთის სახელი დაიფიცა, მას უკან შირინის მზეც დაიფიცა, რომ «ვინც მართალი თქვას, არ მეწყინოს, კიდეც გავარიგო მისი საქმე»".

საძიებელი თავნაკლული სტროფი ალ. ბარამიძეს ვახტანგის პოეტურ თხზულებათა გამოცემაში არ შეუტანია, მაგრამ, კარგად ჩანს, იგი არ უარყოფს ვახტანგისადმი მის კუთვნილებას. ეს ლექსი აქვს მხედველობაში, როცა ასკვნის: „ამრიგად, ირკვევა, რომ ვახტანგს ხელთ ჰქონია «ხოსროვშირინიანის» ჯერ კიდევ აუკინძავი ხელნაწერი და შიგ თავისი (მართალია, თავისთავად უმნიშვნელო) წვლილიც შეუტანია"[33].

ნ. გიგაშვილი „ხოსროვ-შირინიანის" ქართულად დამუშავების საკითხს კიდევ უფრო მჭიდროდ უკავშირებს ვახტანგის სახელს. მისი ვარაუდით, შესაძლებელია, ეს თხზულება ვახტანგის დავალებით ითარგმნა. ამის საბაბს მას ის აძლევს, რომ დასახელებულ ნუსხას ახლავს ეს მინაწერი ლექსი, ხოლო იმ ხელნაწერ კრებულში, რომელშიაც მოთავსებულია „ხოსროვ-შირინიანი", შესულია ვახტანგის დაკვეთით ნათარგმნი თხზულებანი „ბარამ-გულანდამიანი" და „ბახთიარნამე". მკვლევარი ასე მსჯელობს: „ეს სამი თხზულება ერთად მხოლოდ მას შემდეგ შეუკრავთ, რაც ერთ-ერთი მათგანი — «ხოსროვ-შირინიანი» ხელთ ჰქონია ვახტანგ მეფეს. შესაძლებელია, ქართული

---

[31] „ლიტერატურული ძიებანი", I, გვ. 61; ნარკვევები..., III, გვ. 295.

[32] ამირ ხოსრო დეჰლევი, ხოსროვ-შირინიანი, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ნანი გიგაშვილმა, თბ., 1979, გვ. 9.

[33] ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., III, გვ. 295.

«ხოსროვ-შირინიანი» სწორედ ვახტანგ VI-ის მინაწერის საფუძველზე აკინძეს დანარჩენ ორ თარგმანთან ერთად. თუ დანარჩენის ორის მსგავსად პირდაპირი განცხადება აქ არა ჩანს «ხოსროვ-შირინიანის» ვახტანგ მეფის ინიციატივით თარგმნის შესახებ, სამაგიეროდ ამავე თხზულების ხელნაწერზე დაცულია მეტად მნიშვნელოვანი მითითება, რომ იგივე ვახტანგი დაინტერესებული ყოფილა ამ ძეგლითაც" (გვ. 10).

ჩვენ ეს ვარაუდი სარწმუნოდ არ მიგვაჩნია. ქვემოთ სათანადოდ გვექნება მითითებული, რომ ხელნაწერებში, სათაურებში, ანდერძ-მინაწერებში საგანგებოდ არის აღნიშნული წვლილი, მათ შორის საინიციატივო ხასიათისა, რომელიც ვახტანგს ამა თუ იმ ძეგლის შექმნასა და დამუშავებაში მიუძღვის. ასევეა ამავე კრებულში შესულ „ბარამ-გულანდამიანისა" და „ბახთიარ-ნამეს" სათაურებში. აქ იკითხება: „ქ. კარი პირველი ბარამისა და გულანდამისა, სპარსულისაგან ქართულად გამოთარგმნული ბრძანებითა საქართველოს გამგებლის ბატონიშვილის ვახტანგისათა. მრავალჟამიერ ყოს უფალმან ორსავე ცხოვრებასა შინა. ამინ!" (33r.). „კარი პირველი აჯამისა ხელმწიფისა, ქართულად გადმოთარგმნული ბძანებითა საქართველოს გამგის, ბატონიშვილის ვახტანგისათა. მრავალჟამიერ ყოს უფალმან ორსავე შინა ცხოვრებასა" (გვ. 59r.).

„ხოსროვ-შირინიანსაც" მოეპოვება სათაური, მაგრამ ამგვარი ცნობა იქ არ არის. ხელნაწერში მარტივად წერია: „ქ. ამბავი პირველ დასაწყისი ხოსროვისა და შირინისა, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები".

სწორედ იმის გამო, რომ ვახტანგი იცნობს ამ თარგმანის ტექსტს, ამ ხელნაწერს და უშენიშვნოდ, რეაგირების გარეშე ტოვებს საკითხს მისი დავალებით ამ თხზულების თარგმნის თაობაზე, იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ ამგვარ ფაქტს ადგილი არა ჰქონია.

ასევე გადაჭარბებულად გვეჩვენება ნ. გიგაშვილის მოსაზრება, თითქოს ვახტანგს მიზნად ჰქონოდეს „ხოსროვ-შირინიანის" „გადამუშავება-გალექსვა" (გვ. 9) და ეს ლექსი ამგვარი სამუშაოს ნაშთად გვევლინებოდეს. „როგორც ხელნაწერზე არსებული მინაწერი მიგვანიშნებს, — წერს მკვლევარი, — ვახტანგ მეფეს უცდია, მაგრამ ვერ განუხორციელებია მისი ლიტერატურული დამუშავება. ამასთანავე საინტერესოა, რომ ქართული «ხოსროვ-შირინიანის» ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც თავის დროზე აუცილებლად ვახტანგის საკუთრებას წარმოადგენდა, შემდეგში წლების მანძილზე მეფის ოჯახში აღარ ინახებოდა და მხოლოდ 1800 წ. შეისყიდა ის «ვიღაც კოშორიძის ცოლ ელე-

ნესაგან იოვანე ბატონიშვილის მეუღლემ მწიგნობრობის მოყვარულმა მეფის რძალმა ქეთევანმა». ამ ხელნაწერის ისტორიაც მიგვანიშნებს, რომ რუსეთისაკენ გამგზავრებულ ვახტანგს (1724 წ.) ის თან წაუღია მრავალ სხვა ხელნაწერთან ერთად სწორედ მისი გამართვის მიზნით. და შემდგომ იგივე ხელნაწერი დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში აღარ დაბრუნებულა" (გვ. 12).

აღნიშნულ მინაწერ ლექსს საიმისოდ ვერ მივიჩნევთ, რომ ამ ნუსხის ვახტანგისადმი კუთვნილებას „აუცილებლად" ამტკიცებდეს. არგუმენტად ვერც ის ჩაითვლება, რომ ხელნაწერთან აკინძულია ვახტანგის ბრძანებით ნათარგმნი „ბარამ-გულანდამიანისა" და „ბახთიარნამეს" ნუსხები. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ხელნაწერი, რომლის მფლობელი გახლდათ ვინმე კოშორიძის მეუღლე, არ აღმოჩნდა ვახტანგის ნაქონ სხვა ნუსხების გვერდით.

კიდეც რომ გაგვეზიარებინა მტკიცება, „ხოსროვ-შირინიანის" საძიებელი ხელნაწერი ვახტანგის კუთვნილება იყო და ის რუსეთში საქართველოდან წაიღო, არც ეს იქნებოდა იმის უტყუარი დამადასტურებელი, რომ მეფე-პოეტს ამ თხზულების გალექსვა სწადდა.

საყურადღებოა, რომ ლექსი თხზულების დასაწყისში კი არ არის, არამედ რამდენიმე თავის შემდეგ. თანაც, არც ამ თავის დასაწყისს ეკუთვნის. პოეტს რომ მიზნად თხზულების გალექსვა ჰქონოდა, მაშინ მოსალოდნელი იყო, ეს საქმე თავიდან დაეწყო.

ერთი სიტყვით, არსაიდან ჩანს, „ხოსროვ-შირინიანი" ვახტანგ მეექვსის დავალებით იყოს ნათარგმნი და მას ამ თარგმანის გალექსვა ჰქონოდეს განზრახული.

რაც შეეხება კითხვას, აღნიშნული ნაწარმოები ვახტანგისაა თუ სხვისი, ვფიქრობთ, უფრო მართებული დადებითი პასუხი იქნებოდა. გარდა იმისა, რომ იგი ვახტანგის ხელით არის ნაწერი, სტილითაც შეესაბამება მის შემოქმედებას. ამ თვალსაზრისით რაიმე ხელისშემშლელი მიზეზი კი ჯერჯერობით არ არსებობს. პოეტის ასეთი მინაწერი ლექსები სხვაცა გვაქვს.

ზ. „რამლის წიგნზე" მინაწერი ლექსები

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების M 1 ხელნაწერში (ძველი ნომრები — M 4, G 188b), რომელიც „რამლის წიგნს"[34] შეიცავს,

---

[34] გ. ჯაკობიას ახსნით, „რამლი" ნიშნავს „სამკითხაო ქვიშას, მკითხაობას" (თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ., 1934, გვ. 308).

დასაწყის (1r—3r) და ბოლო (70v.—71v.) ფურცლებზე მოთავსებულია ვახტანგის ხელით ნაწერი ლექსები. ეს ლექსები მოიპოვა და სათანადო გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა თ. ჭყონიამ[35]. აქედან უმეტესობა წარმოადგენს „სატრფიალონის", რამდენიმე — „კაეშნისა" და „სიბრძნე მალაღობელის" თავისებური რედაქციის სტროფებს, ხოლო ნაწილი განსხვავებული, დამოუკიდებელი თხზულებანია. ეს უკანასკნელნი აქედან ალ. ბარამიძემ შეიტანა ვახტანგ მეექვსის „ლექსებისა და პოემების" მეორე, 1975 წლის, გამოცემაში (გვ. 74).

აშკარაა, ყველა ეს ლექსი ვახტანგისაა. როგორც ვთქვით, მათი დიდი უმრავლესობა პოეტის ცნობილ თხზულებათა ვარიანტებია, ერთს კი მისივე ხელით ახლავს მითითება: „ვახტანგ ჯოხზე (ე. ი. ჯოხის შესახებ — ბ. დ.) დასწერა" (გვ. 1r.).

თ. ჭყონიამ განსხვავებული, უცნობი ლექსები გამოკრიბა და სათაურით „ვახტანგ ჯოხზე დასწერა" თავის გამოკვლევაში გაერთიანებულად ცალკე დაბეჭდა (გვ. 287—288). ასეთივე გაერთიანებული სახით შევიდა ისინი ვახტანგის „ლექსებისა და პოემების" გამოცემაში, სადაც სათაურად აქვს: „ჯოხზე დაწერილი".

ამ ლექსების უბრალო გაცნობა უეჭველს ხდის, რომ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, სხვადასხვა თემაზე დაწერილი თხზულებანია. ერთია ჯოხზე ნათქვამი ალეგორიული ლექსი (1r. იხ. სურ. № 4).

„ვახტანგ ჯოხზე დასწერა

ქ. ერთპირობა ყოვლის ვისმე ამას მგეანობს, ამას დარობს:
ამის ტოლი რომ მივაკრათ, ოთხი, ხუთი ანუ ჯარობს, —
ვერვინ გასტეხს მწვე ადვილად, მოზიდვითა თუ ვინ ჴმარობს,
და ერთი, დიაღ, მალ გატყდება, ცოტა ძალი მალ ეჴმაროს.

ქ. ამ ჯოხს ძალუც თვალში იკრას, წაითხაროს, წაიმწაროს,
ესეც ძალუც დაიბჯინო, მოგისვენოს, მოგეხმაროს;
სწერო ზედა სალმთო სიტყვა და საერო, რომ გეჴმაროს,
და ყველა კაცთვის სახმრად იქმნა, თუ კარგისთვის არ იზაროს.

ქ. მართალ არს ერთი პირობა, ბევრთ სუსტის[ა] მძლედ მაგროპსა,
ვით ეს ფიცარი, ერთ სესტი[36], თუ სხვაცა თანა მყარობსა.
უსაქმობასვე საქმე სჯობს, თუ ვინმე ცუდად მჯდარობსა,
და ნუ თუ რას ველით ხან წაველით, ნუ ვინმე შემუდარობსა".

---

[35] თ. ჭ ყ ო ნ ი ა, ვახტანგ VI თხზულებათა ფრაგმენტები, კრებ.: „ლიტერატურული ძიებანი", VI, თბ., 1950, გვ. 269—291.

[36] ვახტანგის „ლექსებისა და პოემების" გამოცემაში „სესტის" მაგივრად დაბეჭდილია „სუსტი", რომელიც თითქოს კონტექსტს კიდეც შეეფერება. სინამდვილეში უნდა „სესტი", როგორც დედანშია. ეს იშვიათი სიტყვა იხმარება გრიგოლ ნოსელის

ეს ბოლო სტროფი მარჯვენა გვერდზეა მიწერილი და გადახაზული. ამის გამო და სხვა მონაცემებითაც ისმის საკითხი: რამდენად დასრულებულია ლექსი, არის თუ არა იგი ავტორის ბოლო ნების გამოხატულება? თუ ვიმსჯელებთ გადახაზული სტროფისა და ხელნაწერში მოთავსებული სხვა სტროფების მიხედვით, რომლებიც ისეთი რედაქციული ვარიანტებია, რომ დასახელებულ თხზულებათა („სატრფიალონი“, „კაეშანი“, „სიბრძნე მალაღობელი“) თეთრად გადანუსხულ არც ერთ ხელნაწერში არ შესულა, უფრო სწორი იქნება დავასკვნათ: არც ეს ნაწარმოები უნდა ჰქონდეს ავტორს ბოლომდე დამუშავებული და აქ მისი ძიებისა და შექმნის ერთი ეტაპია ასახული.

თ. ჭყონია მიუთითებს და ლექსის შინაარსიდანაც კარგად ჩანს, ამ ნაწარმოების თემა და იდეა იგივეა, რაც არის სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ არაკისა „ძალა ერთობისა“[37].

მომდევნოდ დაბეჭდილი სტროფი კი სხვა ლექსია (სურ. 5):

„ვ[აი], ს[ა]მნეო, ს[ა]მნეო, ასე რად გამის[ა]მნეო,
არ მომცა, გული დამიწვა და დარჩა გაუსამნეო.
უთხარ: ამგვარსა საქმეზე ნეტარ თუ რად მაწამნეო?
მსახურთა მისთა[38] უბძანა: ნუ აწყენთ, ცოტა ამნეო!
ის დარჩა, მე კი წამოველ, სხვა ვერა შევიწამნეო,
დავჯექ და ღ[მერ]თსა ვეხვეწე, ეს საქმე დამიამნეო.
და ვახტანგ, ამგვარსა საქმესა კვლა ნუღარა იქ სამნეო!“ (1v.)

როგორც ვხედავთ, ეს ლექსი პირველს არც შინაარსობრივად უკავშირდება და არც სტროფული სტრუქტურით. თუ პირველი კა-

ნაშრომის „კაცისა აგებულებისათჳს“ ადრინდელ თარგმანში: „და ვითარცა იგი მარცუალსა იფქლისასა, გინა თუ სხუათა თესლთასა, არს ძალი გამოღებად თავისა, რომელი იხილვებიან სესტჳთურთ და გოჯებით ფურცლითურთ და თესლით ფხიერად და არავინ თქუას, ვითარმედ საზღვარსა შინა ბუნებისა თჳსისასა უწინარჱსებაჲ რაჲმე აქუს ერთსა ერთისაგან, არამედ გამოჩნდის წესითა თჳსითა, და გამოჩინებაჲ იგი მისი არნ გზასა ზედა ბუნებისა თჳსისასა“ (უძველესი რედაქციები ბასილ კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, X—XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1964, გვ. 217; შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 118).

ილ. აბულაძის განმარტებით, აღნიშნული სიტყვა ნიშნავს ღეროს (იხ. თხზულების ილ. აბულაძისეულ მითითებულ გამოცემაზე დართული ლექსიკონი).

აშკარაა, ვახტანგი იმავე მნიშვნელობით იყენებს ამ სიტყვას, რაც აქვს მას გრიგოლ ნოსელის ნაშრომში.

[37] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ., 1959, გვ. 45.

[38] ჯერ დაუწერია „უთხრა“, რომელიც შემდეგ გადაუხაზავს.

ტრენებით არის შესრულებული, პოეტს აქ 7-სტრიქონიანი განსხვავებული, დამოუკიდებელი თემის ნაწარმოები შეუქმნია. არც ხელნაწერში მიჰყვება ეს ნაწარმოებები ერთმანეთს. პირველს უშუალოდ მოსდევს „სატრფიალონის“ ორი სტროფი: „ბღუნძველა ყაჭსა აკეთებს...“ (68) და „სოფელსა სჭირს, თუ კარგს მოგცემს...“ (69). მეორე გვერდზე ისევ „სატრფიალონის“ სტროფები გრძელდება: „წყალი რა მაღალს ადგილსა...“ (70), „მოცდით, იცოდე, ისრიმი ტკბილისა მომცემარია“ (71), „ამ სოფელს და იმ სოფელსა...“ (72), „სვავი ძვალსა გამოიზომს...“ (73) და ა. შ. ჩვენთვის საინტერესო ლექსი კი განსხვავებული სიმუქის მელნით შემდეგ არის ზემო არშიაზე მიწერილი.

ამ ნაწარმოების შინაარსი, თუ რას ეხება იგი, ჩვენთვის ნათელი არ არის. თ. ჭყონია წერს, რომ მას თითქოს „ხორციელი მიჯნურობის კონკრეტული ფაქტი აღუბეჭდავს“ (გვ. 289). ავტორი არ ასახელებს, ანალიზს არ იძლევა, რას ეყრდნობა ამგვარი დასკვნის გამოტანისას. ჩვენ კი რაიმე სამიჯნურო განწყობილებას მასში ვერ ვხედავთ.

მთლად დარწმუნებული არც იმაში ვართ, სწორად არის ამოკითხული თუ არა პირველი სტრიქონი. დედანში წერია: „ვსმნეო: სმნეო: ასე რად. გამისმნეო“. „ვაი სამნეო“-ს კითხვითი ნიშნით აღადგენს თ. ჭყონია. სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ახსნით, „სამნეო“ ნიშნავს სახელოს, საკარგავს, გასნაგებელს (управление)[39].

სულხან-საბა და ნ. ჩუბინაშვილი ამ სიტყვების განმარტებისას წყაროდ ასახელებენ ლუკას სახარების მე-16 თავის მე-3 მუხლს. ამ ადგილას და მომდევნო მუხლებშიაც სახარების ყველა რედაქციაში, რაც კი გამოცემულია[40], ნახმარია ფორმა „სამნო“ და არა „სამნეო“. ეს სიტყვა „სამნო“ ფორმით არის მოცემული სხვა ძეგლებშიაც[41]. მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ ნიშნავს, ჩვენს დიდ ლექსიკოგრაფებს შეცდომა მოსდიოდეთ. ირკვევა, რომ ეს სიტყვა „სამნეო“ ფორმითაც იხმარებოდა ძველად. ასეა, მაგალითად, „ტიმოთე ანტიოქიელის ცხოვრებაში“, სადაც მსჯელობა ეხება სახარების მითითებულ ეპიზოდს:

---

[39] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV_2, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბ., 1966; ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961; დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984.

[40] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945; ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, 1979.

[41] ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.

„რათა უწყოდით, რაჲ იგი გჳლირს ქმნად და რომლისაგან სივლ-ტოლად... და გემოთა განმხრწნელთა სულისათა. ვითარცა შეემთხვა გემოთ მოყუარესა მას მ ნ ე ს ა. რომელი წერილ არს წმიდასა შინა სახარებასა. რომელი იგი იქმნა სახე და ხატ ცხორებისა ჩვენისა. რამეთუ კაცად-კაცადი ჩუენი განმგე არს და მ ნ ე სულისა თჳსისა... ხოლო უკუეთუ ს ა მ ნ ე ო ჲ იგი ჩუენი შეურაცხ ვყოთ. და ჟამი იგი მეუფისა ჩუენისა მოსლვისაჲ უდებ ვყოთ. მეყსეულად ორად განკუე-თისა ჩუენისა განჩინებაჲ გამოვალს. ხოლო უკუეთუ ვვაჭრობდეთ კე-თილად ტალანტსა [მას] ჩუენდა მოცემულსა ღმრთისა მიერ და არა უქმად დაუტეოთ იგი. ღირს ვიქმნნეთ უმაღლესისაცა მ ნ ე ო ბ ი ს ა“[42].

აღსანიშნავია ისიც, რომ სულხან-საბა ორბელიანი თავის ნაწერებ-ში ამ სიტყვას სწორედ „სამნეო“-ს ფორმით იყენებს. „ქილილა და დამანას“ მისეულ რედაქციაში გვაქვს:

„ყოელი ქვეყნიერი კაცი სამთა აღსავალთა მძებნელი არიან: პირ-ველად, სიცოცხლის სიგრძე და მისი სახმარი და მისი მორთულობის სიადვილე მრავლის შემოკრებით იქნების, რომე მათი ჭამა, ჩაცმა, და-ბურვა, ხორცთ პატივი და სიუხვე მით არს; მეორე, მეპატრონობა და მაღალთა ხარისხთა აღსლვა, რომელთა ნებავს ს ა მ ნ ე ო და სიდი-დე და უფლობა და პატიოსნობა. ესე ორნი აღსავალნი უსაქონლოდ არ იქნებისო“[43].

მეორე მაგალითი:

„არ ვისი შემშურებია ს ა მ ნ ე ო საქონელია,
განაღა სატრფოს წადილი გულთა მქვს ღაზოდ ძნელია“[44].

რადგან სულხან-საბა ორბელიანი ამ სიტყვას მოცემული სახით წერს, ადვილი მოსალოდნელია ამავე სახით იყენებდეს ვახტანგიც[45].

---

[42] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1960, გვ. 321.

[43] ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, II_1, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით, თბ., 1962, გვ. 111; ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ვ ს ი ს ა და ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს მიერ, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკო-ნი დაურთო მ. თ ო დ უ ა მ, თბ., 1975, გვ. 276.

[44] იქვე, შესაბამისად გვ. 419 და 618.

[45] „ქილილა და დამანას“ დამოწმებული ტექსტების დედანში, ვახტანგისეულ თარგმანში, „სამნეო“-ს მაგივრად გამოყენებულია მისი ეკვივალენტური სიტყვა „სახელო“: „...მეორეს ეს, რომ სამყოფში პატიოსნობითა და ამაღლების ხარისხით რომ არიან და მათი საწადელი ეს არის, რომ ს ა ხ ე ლ ო თ ა და სიმდიდრეთა და პატიოსნობით იყვნენ“ (M 53, გვ. 45v).

მეორე მაგალითი: „მის დღეში მეშურნობა არ ვქენ ს ა ხ ე ლ ო ს ა და საქო-ნელზედ, ამის მეტისათვის რომ გულის წამლების შეყრის მეტი“ (იქვე, გვ. 230, r — v).

ბოლო სამი სიტყვა თავიდან ვახტანგს ასე გადმოუღია: „წამლებთან პირი აქვს“.

რაც შეეხება სიტყვას „გამის[ა]მნეო“, აშკარაა, იგი ნაწარმოებია „სამან“ ფუძისაგან. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „სამანი სომხურია, საზღვარს ჰქვიან“. ძველ ძეგლებში ეს სიტყვა ისევეა ნაწარმოები, როგორც ჩვენს ლექსში. მაგალითად, როსტომ მეფის 1651 წლის „განჩინებაში“ ვკითხულობთ: „რაც მაშინ იმათ გაუსამნავს და გაუსამძღვრავს, ის მიწები ჩვენცა სამკვიდროდ და საბოლო[ო]დ იოთამას შვილებისათვის გვიბოძებია“[46].

ვახტანგ მეექვსის ერთ „განჩინებაში“ კი წერია: „...ასრე დააფიცონ: «როდესაც ბატონიშვილმან ბატონმან ლევან ხოშაძემრისა და მუხათის საძღვარი რომ გაარიგა, ამა და ამ ალაგს გასამნა და სამძღვრად ეს გააჩინა», სადაც გაიარონ, იმ ალაგს სამნები ჩა[ა]სხან და ორნივ იმაზე დადგნენ და დასჯერდენ“ (იქვე, გვ. 242).

ნათქვამიდან გამომდინარე, თუ ვახტანგის მოყვანილ ლექსში „სამნეო“ სწორად არის აღდგენილი და მას იქ ის მნიშვნელობა აქვს, როგორც სულხან-საბა და სხვა ლექსიკოგრაფები განმარტავენ, მაშინ შეიძლებოდა გვეფიქრა, ლექსი ეძღვნება სახელოს, მაღალი თანამდებობის ძიების თემას, კერძოდ, ვახტანგი მისტირის თავის დაკარგულ სამეფოს, ძალა-უფლებას.

ახლა ვნახოთ დანარჩენი სტროფები, რომლებიც ვახტანგის „ლექსებისა და პოემების“ გამოცემაში ამ ლექსებთან ერთად არის დაბეჭდილი:

„ქ. ღ[მერ]თი ყოვლისა მხედველი ვერასდროს ვერა ნახავსა,
მეფე ხანდიხან, მაგრამე ზოგჯერ იმათგან ახავსა.
სხვა კაცი ყოველთვის უყურებს და მათსა სახეს სახავსა,
და ბრძენად ჩავაგდებ, ვინც ამას მის მსგავსად განიზრახავსა!

ქ. ვარდს ეტრფის მიწყივ ბულბული, სული უყვარს და ფერები,
რომ იმისთანა შეიქნას, ქონდეს ასეთი წერები,
ის უგუნური მას ცდილობს, კარგ იყოს შენამზერები[47],
და სახედ უქნია მოქმედსა, ვიყოთ მის შესაფერები!

ცრუ ის არის[48], ვინც სოფლისთვის ზრუნავს, ჭმუნავს, შეწუხდების,
ღ[მერ]თმან იცის[49], ვინ იშოვნის, ვინ ილეწის და ვის მიხვდების!“

ხელნაწერში პირველი ორი სტროფი ერთმანეთს მიჰყვება და მიწერილია მეორე ფურცლის პირველი გვერდის მარჯვენა არშიაზე

---

[46] ქართული სამართლის ძეგლები, IV, სასამართლო განჩინებანი (XVI—XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 91.

[47] წინა პუბლიკაციებში დაბეჭდილია: „შესამზერები“.

[48] წინა პუბლიკაციებშია: „ცრუ არის, ვინც სოფლისთვის“.

[49] პოეტს ჯერ დაუწერია „ვინც იცის თუ“, რომელიც შემდეგ გადაუხაზავს.

(სურ. № 6), ხოლო მესამე სტროფი ამავე ფურცლის მეორე გვერდის ქვედა მარცხენა არშიაზე.

თ. ჰყონია პირველ ორ სტროფს იდეურად უკავშირებს ერთმანეთს და წინა ლექსს („ვაი, სამნეო, სამნეო...“) და ფიქრობს, რომ სამივე მათგანი მიჯნურობის თემას ეძღვნება. „მიჯნურობის მოტივი— წერს ის, — ორი სახითაა წარმოდგენილი. პირველი: ვარდისა და ბულბულის მიჯნურობა“. ნიმუშად მოყვანილია მეორე სტროფი — „ვარდს ეტრფის მიწყივ ბულბული...“ (გვ. 289).

„მიჯნურობის მეორე სახე, რომელიც გამოხატავს ქალ-ვაჟის ურთიერთობას, — განაგრძობს მკვლევარი, — ორნაირად არის ნაჩვენები. პირველია — იდეური მიჯნურობა. მას იცნობენ არა მარტო უბრალო ადამიანები, არამედ მეფენიც — აღჭურვილნი განუსაზღვრელი უფლებებით“. ნიმუშად დამოწმებულია პირველი სტროფი — „ღმერთი ყოვლისა მხედველი...“, სადაც „ღმერთის“ ნაცვლად ის კითხულობს „ქალ თუ“.

მეორე სახის, „ხორციელი მიჯნურობის“ გამომხატველად, როგორც ზემოთ მივუთითეთ, დასახელებულია ლექსი „ვაი, სამნეო, სამნეო...“

ამ ლექსებს შორის ამგვარი კავშირი ჩვენ სარწმუნოდ არ მიგვაჩნია. როგორც ვთქვით, ლექსში „ვაი, სამნეო, სამნეო...“ მიჯნურობის მოტივი არ ჩანს. მომდევნო პირველი ორი სტროფი, მართალია, მიჯნურობის თემას უკავშირდება, მაგრამ არა იმ გაგებით, როგორც მკვლევარი ფიქრობს. უმართებულოა წაკითხვა „ქალ თუ“. ხელნაწერში „ქ“ ლექსის დასაწყისის აღმნიშვნელი ქანწილი უნდა იყოს, როგორც ეს ძველად იყო მიღებული, ხშირად იყენებდა ვახტანგ მეექვსე და გვაქვს მომდევნო სტროფის დასაწყისში. მეორე ასო „ა“ ტექსტში, გარკვევით ჩანს, არ არის. მის ადგილას მოხრილი, დაუკბილავი ასოა, რომლითაც ჩვეულებრივ გაკრული ხელით წერისას გამოისახებოდა „ლ“ და „ღ“. ზუსტად ამ სახითაა „ღ“ გამოხატული ამავე გვერდის ბოლოს წინა ლექსში: „სიმაღლე არის დიადი, ვის ეძებს მისი პურია“. განსახილველი სიტყვის უკანასკნელ მარცვალში „თი“ ზუსტად ისეა ერთმანეთთან გადაბმული, როგორც ამავე გვერდის ბოლოს მოთავსებული ლექსის მესამე სტრიქონშია: „თვარ[ე]მ ხმით და უსულითა, თქვი თუ რათი ნაკლებია“. „თი“ ზედმიწევნით ასევეა გამოსახული ამავე გვერდის შუა ადგილას მოცემულ წარწერაში: „ეს ანბანია მთლად. სხვა არ ურევია თითოს ასოს მეტი“.

ისიც საყურადღებოა, რომ ქარაგმის ნიშანი მოთავსებულია არა „ქ“-სა და მომდევნო ასოს შორის, არამედ ამ უკანასკნელსა და „თ“-ს შორის.

ერთი სიტყვით, ყველაფრიდან ჩანს, განსახილველი სტროფის დასაწყისში წერია „ღ[მერ]თი“ და არა „ქალ თუ“.

თვით სტროფის შინაარსი ბუნდოვანია, მაგრამ, ეტყობა, იგი ეხება ღვთიურ, მისტიკურ მოვლენას და არა „ქალ-ვაჟთა ურთიერთობასა“ და მათ „იდეალურ მიჯნურობას“.

ეს კიდევ უფრო გარკვევით იკვეთება მეორე სტროფიდან. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ მასში ვარდისა და ბულბულის მიჯნურობის თემა ქრისტიანული მისტიკურ-ალეგორიული თვალთახედვით არის წარმოდგენილი, როგორც ეს გვაქვს პოეტის ვრცელ ლირიკულ ნაწარმოებში „სატრფიალონი“.

ამ სტროფების კავშირი „სატრფიალონთან“ სხვა მხრივაც ვლინდება. „რამლის წიგნზე“ მინაწერი ლექსების უმრავლესობა „სატრფიალონიდანაა“. კერძოდ, იმ გვერდზე, სადაც განსახილველი სტროფებია მიწერილი, მოთავსებულია „სატრფიალონის“ 28-ე, 78—80, 37. 59, 41, 81—82, 39, 83—84-ე და თითო „კაეშნისა“ (მე-10) და „სიბრძნე მალაღობელის“ (60, 3—4) სტროფები.

ამ მონაცემების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ აღნიშნული პირველი-მეორე სტროფები „სატრფიალონის“ სტროფთა რიგს განეკუთვნება და ისინიც ამ თხზულებაში შესატანად იყო გამიზნული.

ასევე ვფიქრობთ მესამე, ორსტრიქონიანი სტროფის შესახებაც. იმ გვერდზე (2v.), სადაც ის მიწერილია, მოთავსებულია „სატრფიალონის“ მე-40, 95, 38, 94, 58, 85, 42, 95, 97—98, 96, 25—26, 29, 90, 92, 31, 93, 34-ე სტროფები და ერთი, „კაეშნის“ პირველი სტროფი. „სატრფიალონსა“ და „კაეშანში“ დიდი ადგილი უჭირავს სევდის მოტივს, რომელსაც ეძღვნება საძიებელი სტროფი. თემატიკურად, რასაკვირველია, დასაშვებია, ეს სტროფი „კაეშნის“ ნაწილად ჩაგვეთვალა, მაგრამ იმის გამო, რომ იგი ორსტრიქონიანია, ხოლო კატრენებით შესრულებულ „სატრფიალონში“ სხვაცა გვაქვს ერთ- და ორსტრიქონიანი სტროფები, მაშინ. როდესაც „კაეშნისათვის“ ამგვარი გადახვევები უცხოა, უფრო მოსალოდნელია აღნიშნული სტროფი „სატრფიალონისათვის“ შეთხზულად მივიჩნიოთ[50].

ამრიგად, ჩვენი დასკვნით. როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოებები, ცალ-ცალკე უნდა დაიბეჭდოს „ჯოხზე დაწერილი“ და „ვ[აი], ს[ა]მნეო, ს[ა]მნეო...“ ლექსები. დანარჩენი სამი სტროფი შეტანილ

---

[50] თუმცა „სიბრძნე მალაღობელში“ მრავლადაა ერთი- და ორსტრიქონიანი ლექს-სტროფები და M 1 ხელნაწერში ერთი ორსტრიქონიანი სტროფი (39=60, 3—4) ამ თხზულებიდანაც არის დამუშავებული, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო სტროფს „სიბრძნე მალაღობელის“ კუთვნილად ვერ მივიჩნევთ იმის გამო, რომ ეს ვრცელი ნაწარმოები „აპოფთეგმატას“ პროზაულ ტექსტს ეყრდნობა, ჩვენი სტროფი კი აქედან არ არის, ხოლო ვახტანგის ყველა ის მცირე ორიგინალური ლექსი, რომლებიც „სიბრძნე მალაღობელში“ პროლოგ-ეპილოგსა და სხვა თავებს წინ უძღვის, კატრენია.

იქნეს „სატრფიალონში“, როგორც მისი ნაწილი და ერთი ვარიანტთაგანი.

თ. „მასკვლავების წიგნზე“ მინაწერი სტროფები

ვახტანგის ხელით მინაწერი ორი სტროფი დაცულია მის მიერ სპარსულიდან ნათარგმნი „ჰიდაჲათ ილ-ნუჯუმის“, ანუ, როგორც მთარგმნელს თავისი ხელით დაუსათაურებია, „მასკვლავების წიგნის“ ხელნაწერზე, რომელიც ადრე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის განყოფილებაში იყო დაცული (Msc. Georg. № 188) და ახლა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება — Q 1493. ხელნაწერი აღწერა და ლექსები გამოაქვეყნა კ. დონდუამ[51]. ეს სტროფებია[52] (სურ. № 7):

„გულის სევდისა სალხენად განსა ეკრა აჭარხალითა,
მზევ, გული ჩემი ტყვე-ქმნილი მისწიე, აჭარხალითა,
გაველურდე და გაეიჭრა, დაერჩე ეით აჭარხალითა,
და საზდოდ ვიკმარო სიცოცხლე, ვატარო აჭარხალითა.

ვაქებ ღ[მერ]თს, ყოვლის მოქმედსა, კეთილთა მიუსდომელსა(!),
ყოველთა ნაყოფთა ნორჩისა გამოღებისა მდომელსა,
მზრდელსა ყოველთა, ზღვა-ხმელთა მტკავლითა გამაზომელსა,
და ჩემის სიბერის ყვავილით ჩემსა ქურციკებ მხდომელსა“ (1r.).

პირველი სტროფი „სატრფიალონიდან“ არის (სტრ. 40). ის ყველა რედაქციის ხელნაწერში მოიპოვება, გარდა ერთისა (S 4500-ს დაზიანების გამო აკლია). შესულია, აგრეთვე, ზემოთ განხილულ M 1 ნუსხაშიაც (2v. თ. ჰყონიას პუბლიკაციით, სტრ. 46). ის ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც მას არ იცნობს, არის S 171.

მეორე სტროფი ახალია, სხვაგან არსად დასტურდება. შინაარსით, სტილით იგი აშკარად ვახტანგისეულია. საფიქრებელია, ეს ღვთის საქებარი ლექსი ავტორს დამოუკიდებელ ნაწარმოებად ან რომელიმე თხზულებაში შესატანად დაეწერა. ღვთის სადიდებელი ლექსი ერთნაირი წარმატებით მიესადაგებოდა ყველა მის პოეტურ თხზულებას. ვინაიდან წინ „სატრფიალონის“ სტროფია, ადვილი შესაძლებელია, ესეც, მსგავსად ზემოთ განხილული სტროფებისა. ამ თხზულებაში შესატანად ჰქონოდა პოეტს გამიზნული.

დასადგენია ლექსის პირველი სტრიქონი. კ. დონდუა ბეჭდავს „კეთილით მიუსდომელსა“. ხელნაწერში „მიუსდომელსა“ ნამდვილად

---

[51] კ. დ ო ნ დ უ ა, ჰიდაჲათ ილ-ნუჯუმი და საიმისო სპარსულ-ქართული ლექსიკონი. — წიგნში: სპარსულ-ქართული ცდანი, I, ლენინგრადი, 1926, გვ. 56—59.

[52] დედანში სიტყვები გამოყოფილია ორწერტილით.

წერია, „კეთილით“ კი — არა. ამავე ნუსხიდან კარგად ჩანს, როდესაც პოეტი „ლი“-ს წერს, „ი“ ასოს გადაბმულად, მაგრამ შესამჩნევად გამოყოფილად წარმოადგენს, რაც ამ სიტყვის დაწერილობაში არა გვაქვს. სამაგიეროდ, „თა“-ს გამოსახატავად „თ“ ასოს აგრძელებს, რაც სხვა სიტყვებშიაც დასტურდება. მაშასადამე, აღნიშნული სიტყვა უნდა წავიკითხოთ ასე: „კეთილთა“.

რაც შეეხება მომდევნო სიტყვას, მასში „ს“ ზუსტად ისეა მოხაზული, როგორც „ხ“ სტროფის ბოლო სიტყვაში „მხდომელსა“. განსხვავება მხოლოდ ის არის, პირველ შემთხვევაში მუცელი თავგახსნილია, მეორეში — შეკრული. ამიტომ ვფიქრობთ, საძიებელ სიტყვაშიაც „ხ“ ასო უნდა გვქონდეს, რომელიც ავტორს გაბმული წერისას მუცელშეუკრავი დარჩენია[53].

მაშასადამე, ტექსტში უნდა იკითხებოდეს: „კეთილთა მიუხდომელსა“. „მიუხდომელი“ ნაწარმოები უნდა იყოს „მიხდომა“ სიტყვისაგან, რომელსაც ძველქართულში რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა. ერთ-ერთია თ ა ვ დ ა ს ხ მ ა, დ ა ც ე მ ა, მ ი ხ ტ ო მ ა.

ნ. ჩუბინაშვილი განმარტავს: „მ ი ხ დ ო მ ა, მ ი ხ დ ე ნ ა (მივუხდები), ზედადასხმა, нападать, наступать“. დ. ჩუბინაშვილი: „მ ი ხ დ ო მ ა, მ ი ხ უ დ ო მ ა, სხ. ზედ დასხმა, დაცემა, нападение...“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: „მიხდომა (მიხდომისა) ძვ. იგივეა, რაც მ ი ხ ტ ო მ ა (მნიშვ. 2)“[54].

სულხან-საბა ორბელიანი ამ სიტყვას ამ მნიშვნელობით ჯარით წერს: „მ ი ჯ დ ო მ ა ზედ მისლვა...“; „ჯ დ ო მ ა მიჯდომა, გინა წინა-აღდგომა“.

როდესაც დ. ჩუბინაშვილი ზემოთ დამოწმებულ განმარტებას იძლევა, ნიმუშად ასახელებს ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნს. ამ ნაშრომშიაც, რომლის ავტოგრაფი არა გვაქვს, მაგრამ ავტორიზებული ნუსხები[55] კი მოგვეპოვება, ეს სიტყვა უმეტეს წილად ჯარით არის წარმოდგენილი:

---

[53] „მიუხდომელსა“ — ასევე ბეჭდავს ამ სიტყვას ალ. ბარამიძე ვახტანგის „ლექსებისა და პოემების“ პირველ გამოცემაზე დართულ გამოკვლევაში (გვ. 175).

[54] ტ. V, ტომის რედაქტორები: სიმ. ჯ ა ნ ა შ ი ა, არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, თბ., 1958.

[55] თ. ენუქიძის შესავალი გამოკვლევა წიგნისა: ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ე ნ უ ქ ი ძ ე მ, თბ., 1955, გვ. 3—37; ი. დ ო ლ ი ძ ე, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის ხელნაწერთა აღწერილობა, წიგნში სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ი. დ ო ლ ი ძ ე მ, თბ., 1981, გვ. 108—166.

„მესამე, მიჯდომის კაცის სიკვდილის სისხლი არ არის, რომ დამხდურმან მოკლას. მაგრამე ბატონი რომ თავის ყმას მიუჯდეს, იმისი არ გვითქვამს“[56].

„თუ სასაფლაოში მყოფი მიმჯდომმან მოკლას და სასაფლაოსაც ესენი უყოს, რომელიც ზეით დაგვიწერია, მაშ, სამი სისხლი მისცეს — ერთი საფლავისათვის, ერთი სიკვდილისათვის და ერთი მიჯდომისათვის... თუ მიმჯდომი ან მისი ასაბია მოიკლას თუ დაიჭრას, მისი სისხლი არ არის“ (მუხლი 50).

„თუ სასახლესა და ცოლ-შვილში კაცი კაცს მიუჯდეს და დაესხას, რაც მოკლას ან დაჭრას, ოროლი სისხლი მისცეს, რასაც გვარისა იყოს და წანაღებიცა. და თუ არა მოკვდეს რა და დაიჭრას, ჭრილობისათვის ორი სისხლი და მიჯდომისათვის ერთი მთელი სისხლი მისცეს. თუ მიჯდომაში დედაკაცს შვილი მოსწყდა, მისთვინც მთელი სისხლი მისცეს. და თუ მიმჯდომი და ან ასაბია მოკვდეს ან დაიჭრას, მისი სისხლი არ არის“ (51).

„თუ უსასახლოდ და უცოლშვილოდ, სხვას თავის მამულში იყოს და ისრე მიუჯდეს და დამჯდომი მოკვდეს, სისხლი და სისხლის მესამედი მოსცეს... და თუ მიმჯდომი და ან მისი ასაბია მოკვდეს, სისხლის ნახევარი მიეცეს“ (53).

„თუ კაცი ასეთს დროს მამულის მოსარბევლად და საავოდ მიუჯდეს, რომე ან ქორწილი, ან ნათლობა და სიხარული ჰქონდეს,... და მამულში მომჯდომი მოკლას, სისხლის მეექვსედი დააკლონ. და თუ მამულის პატრონი მოკვდეს, მთელი სისხლი და მთელი სისხლის მესამედი მიჯდომისათვის მისცეს“ (55).

„და თუ დასთმოს და ის მიმჯდომი კაცი მოკლას, მთელი სისხლი მისცეს, ამიტომ რომ უფროსობის პატივი არ დაუც. და თუ ეს მამულის პატრონი მიმჯდომმან კაცმან მოკლას, მთელი სისხლი და კიდევ სისხლის მეოთხედი მისცეს“ (56) და სხვა.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ძეგლის უძველეს ნუსხებშიაც ეს სიტყვა აქა-იქ ხანით არის მოცემული, როგორც ხდებოდა, საზოგადოდ. ამ ეპოქაში. ი. დოლიძე წერს: „დაბეჭდილ ტექსტში გავასწორეთ ჯ-ისა და ხ-ის აღრევა. შემთხვევათა უმრავლესობის მიხედვით უპირატესობა ჯ-ის ხმარებას მივეცით“ (იქვე, გვ. 166).

ის ფაქტი, რომ აღნიშნული სიტყვა მიხტომა, დაცემის შინაარსით ძველად იწერებოდა ჯარით და ამგვარადვე დასტურდება იგი ვახტანგის ნაშრომშიაც, ბუნებრივია, სვამს საკითხს: რამდენად გამართლე-

---

[56] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, დასახელებული გამოცემები, მუხლი 42. იხ. აგრეთვე: მ. კეკელია, ქართული სამართლის წიგნების ზოგიერთი მუხლის მართებული წაკითხვისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1976, № 1, გვ. 82.

ბულია საძიებელ ლექსში მივიღოთ ეგ სიტყვა ასეთივე მნიშვნელობით და ხანიანი ფორმით?

S 4500, S 171 და M 1 ხელნაწერებში ვახტანგის ხელით ჩაწერილი ლექსების შესწავლა გვიჩვენებს, რომ პოეტი, გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა, ჴარს არ იყენებს, მაშინ როდესაც მდივან-მწიგნობართა და კალიგრაფთა გადაწერილ იმავე ლექსებში ხანი უმეტესად, სადაც საჭიროა, ჴარით არის გასწორებული. ბევრჯერ ჴარი არ იხმარება აგრეთვე S 3177 და M 53 ნუსხათა ვახტანგის ხელით ნაწერ „ქილილა და დამანას" ლექსებშიაც. ნიმუშად დავიმოწმებთ „სატრფიალონის" სტროფებს, რომლებიც ვახტანგის ხელით ჩაწერილია M 1 ნუსხაში, სადაც ავტორს ჴარი არ გამოუყენებია, ხოლო იგივე ან იმავე ფუძის სიტყვები მელქისედეგ კავკასიძის გადაწერილ M 3 ნუსხაში, პირიქით, მოცემულია ჴარით[57]:

„შვენება, ხორცთა ფუფუნი, ფშეა სურნელთ მრავალ ფერია". (15. 1/72)
„ასე გავხე, ჩემნი მნახი მეტყვის, ხარო დალალულად". (26. 3/62)
„საფრხე[ე]ბი. მისგან ჩემზე რომ განვხეთქ[ე] მასე, მასე". (33. 3/69)
„განბრწყინვებისთვის სანთელი ერთ ფეხზე დგას და ტირისა". (35. 1/59)
„ყინვას მისად გამახმობლად და სიცხესა მისად მწველად". (38. 2/49)
„რათ ვიხმარო ალარ ეიცი, მქონდეს კიდეც მოსაგონი". (39. 2/41)
„მაიმუნისთვის გახვრეტენ კაკალს, ხელს შეჰყოფს ზე სადა, ...
ველარ დააძრობს, ამრიგად მტრისგან გახდების კნესადა". (59. 1, 3/35)
„ბლუნძველა ყაჭსა აკეთებს, ვერად ვერ მოიხმარებსა". (68. 1/8)
„ასე ხამს კაციც დასწყნარდეს, საქმე ქნას ვულსადებისა". (70. 4/12)
„არ იქნების ერთის ხელით ორი ნესვი დანამჭირი". (72. 2/14)
„თვარემ ხმით და უსულითა, თქვით თუ რათი ნაკლებია". (82. 3/40)
„უხამთ მისცემს სიმდიდრესა, ზოვნი ხამსი მწვე იჭირვის". (89. 3/64)
„ტანი ალვად, ხელ-მკლავები შოლტი იყო მშვიდი მკრძალად". (97. 4/56).

ეს სიტყვები, ან მისგან ნაწარმოები ფორმები, რომლებიც, ვიმეორებთ, „სატრფიალონის" სხვა რედაქციებში ჴარით იკითხება, ამგვარადვე იწერებოდა ძველად. თუმცა რაღა შორს მივდივართ, თვით საძიებელი სტროფის მესამე სტრიქონის სიტყვა „ხმელთა" ვახტანგს ხანით მოუცია, რომელიც ძველ ძეგლებში ჴარით არის წარმოდგენილი.

ყოველივე ეს იმის დამადასტურებელია, რომ არაფერია იმაში მოულოდნელი, ვახტანგს „მიუხდომელი" (=მიუხტომელი, თავდაუსხმელი) ხანით დაეწერა.

ამრიგად, საძიებელი სტროფის პირველი სტრიქონი უნდა მივიღოთ ამ სახით:

---

[57] პირველი ციფრები „სატრფიალონის" გამოცემის სტროფისა და სტრიქონის მაჩვენებელია, მეორე — თ. ჴყონიასეული პუბლიკაციის სტროფთა ნუმერაციისა.

რაც უნდა ნიშნავდეს: ვაქებ ღმერთს, ყოვლის შემოქმედს, კეთილთა (ყოველი კეთილის მიმართ) თავდაუსხმელს (მის წინააღმდეგ არა მებრძოლს).

ეს არის ჩვენი ერთი ვარაუდი ტექსტის გაგებისა. არ გამოვრიცხავთ სხვანაირ ინტერპრეტაციებსაც. კერძოდ, შესაძლებელია შესიტყვებას „კეთილთა მიუხდომელსა“ სხვა, სპეციფიკური შინაარსი ჰქონოდა ძველად. ისიც საფიქრებელია, „მიუსდომელსა“-ს ადგილას არა „მიუხდომელსა“, არამედ სულ სხვა სიტყვა იგულისხმებოდეს.

ი. „ჭაშნიკში“ მოთავსებული ლექსები

ვახტანგის პოეტური მემკვიდრეობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ლექსები, რომლებიც მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკშია“ მოთავსებული. აქედან ვახტანგის ბეჭდურ კრებულში შესულია ოთხი ლექსი, რომლებსაც ახლავს ავტორზე მითითება[58]: „მეფის თქმული უწყვეტელი“[59] („რა დავიბადე, სოფლით ვიბადე...“), „მეფის თქმული ბოლოერთი“[60] („მე შევამკევ ცა, ქვეყანა...“), „მეფის თქმული“[61], („შურით აღივსნენ უგბილნი...“) და „მეფის ნათქვამი ლექს-ამბავი“[62] („საწუთროს ბალი რა ჰქონდა...“).

ეს ლექსები „ჭაშნიკის“ ყველა გამოცემაშია დაბეჭდილი, რომელთაც საფუძვლად სხვადასხვა ხელნაწერი უდევს[63]. ბოლო პუბლიკა-

---

[58] ამავე გამოცემაში დაბეჭდილია „ვახტანგურიც“, ოღონდ არა როგორც ვახტანგის ნაწარმოები.

[59] აქ მას სათაურად აქვს: „ვაი, სიკვდილო“ (1975 წ., გვ. 17).

[60] სათაურად აქვს: „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა“ (გვ. 19).

[61] სათაურად აქვს: „ვაი, რა მწარედ იწვოდა ნაწლევნი მარიამისა“ (გვ. 18).

[62] სათაურად აქვს: „ლექს-ამბავი“ (გვ. 20).

[63] „ჭაშნიკი“ გამოქვეყნებულია ექვსჯერ. პირველად დაბეჭდა ალ. ხახანაშვილმა („მოამბე“, 1900, № 12, მეორე განყოფილება, გვ. 52—68), მეორედ — გ. ლეონიძემ (ჭაშნიკი, მამუკა ბარათაშვილის პოეტიკა, თბ., 1920); სამჯერ გამოსცა გ. მიქაძემ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, V, თბ., 1950, გვ. 125—144; ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.), თბ., 1954, გვ. 7—33; მ. ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1969, გვ. 124—138); ბოლოს — ა. ხინთიბიძემ (მამუკა ბარათაშვილი, სწავლა ლექსის თქმისა, თბ., 1981).

„ჭაშნიკის“ ხელნაწერთა შესახებ იხ.: გ. მიქაძე, ტექსტისათვის, წიგნში — მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 140—150. ძირითადი ლიტერატურა აქვეა მითითებული.

ვახტანგის ამ ლექსების შესახებ იხ.: კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 602—603; ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 446; ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 118—119; გ. მიქაძე, ნარკვევები ქარ-

ციაში ისინი ხელნაწერთა და „ჰაშნიკის“ გამოცემათა ზოგიერთი ვარიანტითურთ არის წარმოდგენილი. ვახტანგის „ლექსებისა და პოემების“ გამოცემაში პირველი სამი მამუკას ავტოგრაფული ნუსხის (S 1550), ხოლო „ლექს-ამბავი“ გ. ავალიშვილისეული ანთოლოგიის (S 303) მიხედვით არის დაბეჭდილი. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, მოიპოვება „ჰაშნიკის“ კიდევ ერთი, ვახტანგის ხელთ ნაქყოფი ხელნაწერი, რომელშიაც პოეტს „ლექს-ამბავი“ თავისი ხელით ჩაუწერია. ეს არის ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციის № 36 ნუსხა.

ვახტანგის ლექსები ამ ხელნაწერებში ცოტაოდენ სხვაობას იძლევა. თუმცა ლენინგრადული ნუსხა ავტორიზებულია, მაგრამ ყველა ტექსტოლოგიური საკითხის გადაჭრას მაინც ვერ შველის. არის რამდენიმე წაკითხვა, რომელთა დადგენა ცილობას იწვევს.

მამუკასეულ ხელნაწერში „უწყვეტლის“ მე-7 და მე-8 სტრიქონები ამ სახით წერია:

„მოხველ ანასდათ მტრად და არ ჩემ დად, ვაი, სიკვდილო,
მწარე სიკვდილო,
მომკვეთე მსწრაფლად, მიწას მეც დაფლად,
ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო“[64].

ლენინგრადულ და გ. ავალიშვილისეულ ნუსხებში ამ ორი სტრიქონის ნაცვლად ერთია:

„მოხველ ანასდათ, მიწას მეც დაფლად, ვაი, სიკვდილო,
მწარე სიკვდილო“.

რა თქმა უნდა, მხატვრულად და შინაარსის სიმდიდრითაც პირველი ვარიანტი სჯობს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მეორე ვარიანტის რითმა უფრო ღარიბია (ანასდათ — დაფლად). ოღონდ პირველი ვარიანტის მიღებისას დაბრკოლებას ის ქმნის, რომ მისი ავთენტიკურობა მთლად ნათელი არ არის. მამუკას წერისას დაუტოვებია

თული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 56—58; გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, VI, გვ. 25—26; ა. ხინთიბიძე, ჰაშნიკი ქართული ლექსთმცოდნეობისა, წიგნში — მამუკა ბარათაშვილი, სწავლა ლექსის თქმისა, გვ. 60—62; მ. კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, გვ. 181—183, 186—188 და სხვა.

[64] მამუკა ბარათაშვილი, სწავლა ლექსის თქმისა, ა. ხინთიბიძის გამოცემა, გვ. 32—33.

ზოგიერთი კითხვა-სხვაობა ასახულია აგრეთვე გ. მიქაძის გამოკვლევაში „ტექსტისათვის“, რომელიც ერთვის მამუკა ბარათაშვილის თხზულებათა სრული კრებულის მისეულ გამოცემას (გვ. 141, 144—145).

ადგილი, სადაც დღეს იკითხება „მტრად და არ ჩემ დად“. ეს სიტყვები შემდეგ არის ჩაწერილი წვრილი, ვახტანგის დამახასიათებელი ხელით, მაგრამ ეკუთვნის თუ არა ისინი ვახტანგს, ამის თქმა ჭირს. ეს სიტყვები თითქოს იმავე ხელით უნდა იყოს შესრულებული, რომლითაც შევსებულია „მეფის თქმულის“ პირველი სტროფის მესამე სტრიქონი — „მიცემას ჰპირავს“, მეორე სტროფის პირველი სტრიქონი — „მტილში მიუძღვა“ და კიდევ „ჭაშნიკის“ სხვა ადგილები. ნაკლებ სარწმუნოა, ეს ჩანაწერები, მეტადრე უკანასკნელი წაკითხვა, ვახტანგს ეკუთვნოდეს. მეორე მხრივ, რომ დავუშვათ, აღნიშნული სიტყვები ვახტანგის ხელით არის ჩაწერილი, ან თუნდაც სხვის მიერ, მაგრამ ვახტანგს ეკუთვნის, მისი ავტოგრაფის მიხედვით არის აღდგენილი, ისმის კითხვები: რატომ არის აღნიშნული სტრიქონი ლენინგრადულ ნუსხაში უყურადღებოდ დატოვებული? შეიძლება თუ არა დავუშვათ, რომ ამ ნუსხაში ვახტანგს თავისი ლექსები არ წაუკითხავს ან მისი ნაკლულობა არ შეუნიშნავს? თუ ეს ბოლო ვარიანტია მისთვის მისაღები?

არსებობს ამ ურთიერთგამომრიცხველი კითხვების როგორც დამადასტურებელი, ისე უარმყოფელი გარემოებანი.

ვახტანგის პოეტურ თხზულებათა კრებულების განხილვისას ვნახეთ, რომ არის შემთხვევები, როცა თავდაპირველი ვარიანტი უკანასკნელს სჯობს. გამორიცხული არ არის, აქაც ასევე იყოს. ვთქვათ, მე-7 სტრიქონში რითმის სიზუსტისათვის პოეტმა მოიხმო სიტყვა „დად“, მაგრამ შემდეგ აღარ მოეწონა. მის წინაშე დაისვა კითხვა: რატომ „დად“ და არა „ძმად“! ამიტომ მანვე მექანიკურად შეამოკლა ტექსტი, მაგრამ ამ შემოკლებისას ყურადღება შინაარსზე გადაიტანა და მხედველობიდან გამორჩა, რომ კვლავ ღარიბი რითმა მიიღო.

ლენინგრადული ხელნაწერის ავთენტიკურობას მხარს დაუჭერდა შემდეგი ფაქტი: ქვემოთ ვნახავთ, ლენინგრადულ ნუსხაში არის მექანიკური, კალმისმიერი შეცდომები, რომლებიც გადამწერს არ გაუსწორებია, რაც, ერთი შეხედვით, გვაფიქრებინებს, რომ თითქოს არც გადამწერს და არც ვახტანგს აქ ტექსტი გულდასმით არ გადაუკითხავს. მაგრამ, მეორე მხრივ, გვაქვს იმის მაგალითებიც, როცა მათ სჭირდებათ, ტექსტი კიდეც გაუსწორებიათ. მაგალითად, ლექსში „ბოლოერთი“ გადამწერს მეორე სტროფის პირველი სტრიქონი („შევაძრწუნე მეგვიპტელნი...“) მთლიანად გამორჩენია და შემდეგ აღუდგენია. უფრო მეტიც, მამუკასეულ ნუსხაში „უწყვეტელის“ მე-13 სტრიქონი ასე იკითხება:

„სხვაგან გამგზავნე, დამხვდენ მ ე მ ა ვ ნ ე, ვაი, სიკვდილო,
მწარე სიკვდილო“.

ლენინგრადულ ნუსხაში ეს სტრიქონი გადამწერს თავიდან ასევე დაუწერია, მაგრამ შემდეგ „მე“ „მუნ“-ად გადაუკეთებია, რაც აზრობრივად უკეთესია. წესითა და კანონით, ეს ცვლილება ვახტანგის მითითებით უნდა მომხდარიყო. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, გადამწერი და ვახტანგიც ამ ხელნაწერში ტექსტს ფხიზლად ეკიდებიან, სიტყვებში ხმოვნების კლებას ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ პრინციპული ხასიათის შესწორებანი კი შეაქვთ. აქედან კი შეგვეძლო დაგვესკვნა, რომ ლენინგრადული ნუსხის საძიებელი სტრიქონი ავტორის ბოლონების გამოხატულებაა.

ვიმეორებთ, შეიძლებოდა ეს ასე გვეფიქრა, მაგრამ ამგვარი ვარაუდი ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება, უფრო ჩანს, მამუკასეული ხელნაწერის ვარიანტი მეტ ნდობას იმსახურებს.

დავიწყოთ იმით, რომ აშკარაა, ვახტანგის ლექსების გადაწერისას მამუკა ბარათაშვილი დაზიანებული დედნით სარგებლობს ან კიდევ ზეპირად წერს მათ. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ „უწყვეტელის“ აღნიშნული ფრაზის ადგილი დატოვებულია. ქვემოთ შევეხებით, ამავე ლექსში მე-16 და მე-17 სტრიქონების ნაცვლად მას ნახევრად დაუნაწევრებელი სიტყვები დაუწერია:

„თუიქისრე აქკიისრე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო“.

და მომდევნო სტრიქონის ადგილი დაუტოვებია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლექსში „მეფის თქმული“ მამუკას შეუვსებლად დაუტოვებია პირველი სტროფის მესამე სტრიქონი და მეორე სტროფის პირველი სტრიქონი.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ მამუკა ბარათაშვილი ერთგულად მიჰყვება დედანს და არ ცდილობს მის თვითნებურ შეცვლას. და რადგან საძიებელი ტექსტი აღნიშნულ ნუსხებში ორ სტრიქონად არის წარმოდგენილი, იგი უეჭველად დედნისეულ ვითარებას ასახავს.

მეორე გარემოება: ცნობილია, რომ მამუკა ბარათაშვილი რუსეთშიაც ახლოს იყო ვახტანგთან, ხოლო „ჭაშნიკის“ მის მიერ გადაწერილი ნუსხა კარგა ხანს ტრიალებდა ვახტანგის კოლონიის წრეში. ამას დამატებით ისიც ადასტურებს, რომ, როგორც მითითებულია, დავით გურამიშვილს თავისივე ხელით ჩაუწერია ერთი თავისი ლექსი — „სავარგონია მგონია...“[65] თუ იმ დროს, როდესაც მამუკას „ჭაშნიკში“

[65] პ. უმიკაშვილი, დავით გურამიშვილი და მისი დავითიანი, წიგნში — დავითიანი, თქმული გურამის-შვილის დავითისაგან, გამოცემული გ. ზალიკალიანისაგან პ. უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფ., 1881, გვ. XXI, XXV; ალ. ბარამიძე, დავით გურამიშვილი, წიგნში: დ. გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი, ალ. ბარამიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1931, გვ. LXXVII; „დავითიანის“ ტექსტისათვის, იქვე, გვ. 317—318.

ვახტანგის ლექსები შეჰქონდა, პოეტი ახლოს არ იმყოფებოდა, შემდეგ მას მრავალგზის ექნებოდა საშუალება, ლექსები ავტორისათვის გაეცნო და მისი მითითებისამებრ შეევსო ნაკლული ტექსტი. როდესაც ჩვენ დღეს კარგად ვხედავთ, მამუკა გადაწერის პროცესში რა მოკრძალებით ეკიდება დედანს და არ კისრულობს მის შეცვლას, უნდა ვივარაუდოთ, ვახტანგის სიცოცხლეში ვერც მამუკა და ვერც სხვა მისი წრიდან ვერ გაბედავდა ავტორის დაუკითხავად ესწორებინა მეფე-პოეტის ნაწარმოები.

ამ ვარაუდს კიდევ უფრო სარწმუნოდ ხდის ის ფაქტი, რომ მამუკასეულ ნუსხაში აღდგენილი „მეფის თქმულის“ ზემორე აღნიშნული ფრაზები „მიცემას ჰპირავს“ და „მტილში მიუძღვა“ ლენინგრადულ ხელნაწერში, გადამწერის ხელითვე შესრულებული, უცვლელად არის შესული. ყველაფრიდან ჩანს, ლენინგრადული ხელნაწერი მამუკასეული ნუსხიდან გადაწერილი არ არის. და რადგან ლენინგრადულ ხელნაწერში აღნიშნული ფრაზები განსხვავებულად არ იკითხება, ეს იმას მოწმობს, რომ მამუკასეული ნუსხა სანდო წყაროთია შევსებული[66].

რაც შეეხება საკითხს, წაკითხული ჰქონდა თუ არა ვახტანგს ლენინგრადულ ნუსხაში თავისი ლექსები და შეიძლებოდა თუ არა მას ტექსტის ნაკლულობა ვერ შეენიშნა, ვფიქრობთ, დასაშვებია ვთქვათ: შეიძლებოდა ასეც მომხდარიყო! ყოველ შემთხვევაში, ლენინგრადულ ნუსხაში, ვახტანგის ლექსებში, არის შეცდომები, რომლებიც გაუსწორებლადაა დატოვებული:

„უწყვეტელის“ მეორე სტრიქონი მამუკასეულ ნუსხაში ამგვარად იკითხება:

„მეგონა რამე, სოფლისა რამე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო...“

ლენინგრადულ ნუსხაში აღნიშნული სიტყვის ნაცვლად წერია „სოფლ“, რაც ორი მარცვლის ნაკლებობას იწვევს (გ. ავალიშვილისეულ ნუსხაშია „სოფელი“).

„ბოლოერთის“ მესამე სტროფის მეორე სტრიქონი მამუკასეულ ნუსხაში ასეა გამართული:

„ზღვა განუპე, განვიყვანე, მწყურვალთ მიეც კლდისგან ღვარი“.

ლენინგრადულ ნუსხაშია „კლდის განაღვარი“, რაც ერთ მარცვალს მეტს იძლევა (გ. ავალიშვილის ნუსხაშია „კლდის ნაღვარი“).

---

[66] თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს ერთიანობა დარღვეულია მე-16 და მე-17 სტრიქონების აღდგენისას.

ამავე თხზულების მე-5 სტროფის მესამე სტრიქონი გ. ავალიშვილისეულ ნუსხაშია:

„სნეულთ მიეეც განკურნება, ბრმათ ახილეა, ვ ა რ ქ ე ე ს ა რ ი".

ლენინგრადულ ნუსხაში აღნიშნული სიტყვების ნაცვლად წერია: „ვ ა რ ქ ე ი ე ს ვ ა რ ი", რაც ერთი მარცვლით მეტს იძლევა. და სხვა.

მართალია, ვახტანგის ავტოგრაფებსა და „ჭაშნიკში" მოთავსებულ მის ლექსებში ხშირია ხმოვანთა გამოტოვების შემთხვევები, მაგრამ ჩვენ მაინც უფრო გვგონია, გადამწერს ან ვახტანგს ეს შეცდომები რომ შეენიშნათ, გაასწორებდნენ.

ლენინგრადულ ხელნაწერში ორი სტრიქონის ნაცვლად ერთის არსებობა, შესაძლებელია, მექანიკური შეცდომის ბრალი იყოს. ვინაიდან სტრიქონების მეორე ნახევრები ერთი და იმავე სიტყვებით მთავრდება, გადამწერმა მისდა უნებლიეთ გააგრძელა მეორე სტრიქონის წერა — „მიწას მეც ღაფლად..." თუმცა, საფიქრებელია, ესეც დედნის დაზიანებით იყოს გამოწვეული.

ასეა თუ ისე, გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ვახტანგის „ლექსებისა და პოემების", აგრეთვე „ჭაშნიკის" გამოცემებში „უწყვეტელის" აღნიშნული ტექსტი მამუკასეული ხელნაწერის მიხედვით არის დაბეჭდილი.

თუ აქ უპირატესობა მამუკას ნუსხის ვარიანტს მიეცა, მეორე შემთხვევაში ამგვარად უნდა მოვიქცეთ ლენინგრადული ნუსხის მიმართ. „უწყვეტელის" მე-16 — 17 სტრიქონების ნაცვლად მამუკას თავის ნუსხაში დაუწერია:

„თუიქისრე აქკიისრე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო".

და ერთი სტრიქონის ადგილი დაუტოვებია. შემდეგ ვიღაცას აღნიშნული სიტყვები განსხვავებული, ბაცი მელნით გადაუხაზავს და მომდევნო სტრიქონად დაუწერია:

„თუცა იქ ისრე, აქ კი იკისრე".

ლენინგრადულ და გ. ავალიშვილისეულ ხელნაწერებში მათ ნაცვლად იკითხება ორი სტრიქონი:

„თუ იქ იხარე, აქ კი იხარე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო,
დამხვდენ მტარვალნი, მწარეთ მტანჯველნი, ვაი, სიკვდილო,
მწარე სიკვდილო".

როგორც ჩანს, მამუკას დედანი ვერ ამოუკითხავს და ამიტომ დაუტოვებია საჭირო ადგილი. რაც შეეხება აღდგენილსა და ლენინგრადული ნუსხის წაკითხვებს, ორიდან ერთია: ან მამუკასეული ნუსხის რედაქტორმა სწორად ვერ აღადგინა დედნისეული წაკითხვა, ან ვახტანგმა შემდეგ შექმნა ახალი ვარიანტი. ერთი კი ცხადია: ბოლო ვარიანტი ყოველმხრივ სანდო და მისაღებია.

უფრო რთული ვითარებაა „ბოლოერთის" მე-5 სტროფში. აქ ლენინგრადულ და გ. ავალიშვილისეულ ხელნაწერებში მეორე და მესამე სტრიქონები ასე იკითხება:

„მკვდარნი მათნი აღვადგინე, მკელობელი მათი ვარი,
სნეულთ მივეც განკურნება, ბრმათ ახილვა, ვარქვი ეს ვარი
(ვარქვ ეს არი S 303)".

თავიდან ეს სტრიქონები ასევე დაუწერია მამუკა ბარათაშვილს თავის გადანუსხულ ხელნაწერში, ოღონდ განსხვავებულად მოუცია მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვები — „ბრმათა ხილვა რამ მ[ა]ნ (?) ჯვარი". შემდეგ მასვე, ვისაც „უწყვეტელის" მე-16 სტრიქონი ჩაუსწორებია („თუმცა იქ ისრე, აქ კი იკისრე"), იმავე მელნით გადაუხაზავს ფრაზა „მკვდარნი მათნი აღვადგინე" და თავზე დაუწერია: „ბრმათა თვალნი აღუხილნე". ასევე, გადაუხაზავს ბოლო სიტყვები „ბრმათა ხილვა რამ მ[ა]ნ ჯვარი" და თავზე დაუწერია: „აღვადგინე მათი მკვდარი". ამრიგად, მივიღეთ ყოველმხრივ გამართული, უკეთესი ტექსტი:

„ბრმათა თვალნი აღუხილნე, მკელობელი მათი ვარი,
სნეულთ მივეც განკურნება, აღვადგინე მათი მკვდარი..."

ვის ეკუთვნის ეს შესწორება, დანამდვილებით თქმა ძნელია. ნაწერი ჩამოჰგავს როგორც თვით მამუკა ბარათაშვილის, ასევე დ. გურამიშვილის ხელს. თითქოს ამავე ხელით უნდა იყოს შესრულებული ხელნაწერზე გაკეთებული ზოგიერთი მინაწერი. ცვლილების ავტორისეულობას საეჭვოს ხდის ის ფაქტი, რომ ამავე ხელით გასწორებული „უწყვეტელის" მე-16 სტრიქონი არ ემთხვევა ავტორიზებულ ლენინგრადული ნუსხის ტექსტს. არადა, უფრო მოსალოდნელია მამუკას ხელთ ჰქონოდა ისეთი დედანი, სადაც ეწერა ლენინგრადული ნუსხის წაკითხვა — „თუ იქ იხარე, აქ კი იხარე" და „ხ" და „ს"-ს გრაფიკული აღრევის შედეგად იყოს გაჩენილი მამუკასეული ნუსხის თავდაპირველი წაკითხვა: „თუ იქ ისრე, აქ კი ისრე", ხოლო მისი ახალი, შესწორებული ვარიანტი „თუმცა იქ ისრე, აქ კი იკისრე" კი ამავე წაკითხვის ზეპირი გააზრიანებით იყოს მიღებული.

მეორე მხრივ. იმ აზრის გასავითარებლად, რომ მეფე-პოეტის ნაწერის შესწორებას ვერვინ გაბედავდაო, შეგვეძლო დაგვეშვა: მე-16—17 სტრიქონების ნაცვლად ვახტანგს თავიდან ერთი სტრიქონი ჰქონდა შექმნილი, თანაც განახლებული წაკითხვით — „თუმცა იქ ისრე, აქ კი იკისრე“ და ეს აღდგენა ავტორის მაშინდელ ნებას გამოხატავდეს.

მაგრამ ამ ვარაუდს ის უშლის ხელს, რომ მამუკას ხელნაწერში მეორე სტრიქონის ადგილიც აქვს დატოვებული, რომელიც შემდეგ აღდგენილი არ არის. ძნელი დასაჯერებელია, რომ მამუკას ერთი, ცუდად ამოკითხული სტრიქონისათვის დაეტოვებინოს ადგილი.

ასეთია წინააღმდეგობანი, რაც აღდგენილი ვარიანტის მიღებას ხელს უშლის. რასაკვირველია, ისიც შესაძლებელია, ჩვენ ყველა გარემოებას ვერ ვითვალისწინებდეთ და ეს წაკითხვაც ვახტანგისაგან მოდიოდეს. ამიტომ, მამუკასეული ნუსხის უცნობი ხელით შესრულებული წაკითხვა იმდენად უკეთესია და ლექსს ისე კარგად შეესატყვისება, რომ, დიდი ცოდვა არ იქნება, ტრადიცია გაგრძელდეს და გამოცემებში ისევ ამ ახალ, შესწორებულ ვარიანტს დაეთმოს ადგილი.

შემდეგ, „მეფის თქმულის“ მეორე სტროფის მეორე სტრიქონი მამუკასეულ და ლენინგრადულ ნუსხებში მარცვალნაკლულად არის წარმოდგენილი:

„მღვდელ-მოძღერისას მიეიდენ გასატანჯველად, ეა, მისა“[67].

ვახტანგის „ლექსებისა და პოემების“ ორივე გამოცემაში ნაკლული მარცვლის შესავსებად შემოტანილია სიტყვა „პალატს“.

„მღვდელთ-მოძღერის [პალატს] მივიდენ გასატანჯველად, ეა, მისა“.

გ. ავალიშვილის ნუსხასა და „ჰაშნიკის“ გამოცემებში ნაკლული მარცვალი იმით არის შევსებული, რომ წერია „მოძღვრისასა“, რაც ყოველმხრივ გამართლებულია.

მამუკასეულ ნუსხაში „ბოლოერთს“, გარდა უკანასკნელი სტროფისა, რეფრენად აქვს:

„ნაცვლად ჩემთა ს ი კ ე თ ე თ ა ალმიმართეს საკვდად ჯვარი!“

ბოლო, მე-5 სტროფში ხაზგასმული სიტყვის ადგილას არის „წყალობათა“. ასევეა ლენინგრადულ ნუსხაშიაც, ოღონდ აქ რეფრენი ამგვარადვე იკითხება მასში მე-3 სტროფშიაც. გ. ავალიშვილისეულ ნუს-

---

[67] ლენინგრადულ ნუსხაში მეორე მარცვალიც აკლია. წერია: „გასტანჯველად“.

ხაში ყველა სტროფში „წყალობა“ არის. ვფიქრობთ, უმჯობესია. ლექსს გაამდიდრებს ლენინგრადის ნუსხისებურად მე-3 სტროფის რეფრენშიაც სიტყვა „წყალობათა“ აღდგენა:

„ნაცვლად ჩემთა წყალობათა ალმიმართეს საკვდად ჯვარი!“

ამ რეფრენში ყველგან იკითხება „ჩემთა“. მხოლოდ ლენინგრადულ ნუსხაშია ერთადერთი გამონაკლისი, სადაც მეორე სტროფში არის „ჩემდა“. ვინაიდან სხვა შემთხვევა არა გვაქვს, ვფიქრობთ, რეფრენში ამ გამონაკლისის დაშვება მიზანშეწონილი არ არის.

ამავე ლექსის მეორე სტროფის პირველ სტრიქონად მამუკასეულ ხელნაწერში წერია:

„შევაჰრწუნე მ ე გ ვ ი პ ტ ე ნ ი, რისხვით მივეც დანამწვარი“.

აღნიშნული სიტყვა ასევე იკითხება ვახტანგის „ლექსებისა და პოემების“ გამოცემასა და „ჰაშნიკის“ პუბლიკაციებშიაც. გ. ავალიშვილისეულ ნუსხაშია „ეგვიპტერნი“. ძველად მიღებული, სწორი ფორმა იკითხება ლენინგრადულ ნუსხაში — „მეგვიპტელნი“, რაც აღდგენილ უნდა იქნეს გამოცემებში.

სათაურებში მამუკასეულ ნუსხაში წერია „თქმული“, ლენინგრადულში — „ნათქვამი“. ლექსში ამინდს არც ერთი ცვლის და არც მეორე. გამოცემებში ერთის დატოვებაც შეიძლება და მეორისაც.

აი, ეს არის უმთავრესი განსხვავებანი[68] მამუკასეულ და ლენინგრადულ ნუსხებს შორის. გ. ავალიშვილისეული ხელნაწერი მიჰყვება ლენინგრადულ ნუსხას. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ის სწორედ ამ უკანასკნელისაგან უნდა იყოს გადაწერილი, ოღონდ მისი ტექსტი ანტონ ბაგრატიონის გრამატიკისებურად მძლავრად არის შერყვნილი[69]. გვაქვს ფორმები: „უწყვეტელში“ — „ვმიყვჰყევ“ (3), „განვჰსცხერ“ (4), „ანაჰსდად“ (7); „ბოლოერთში“ — „ქუეყანა“, გუარი“ (1. 1), „სუმტით“ (3. 1), „ვჰქმენ“ (3. 3); „მეფის თქმულში“: „ჰზრახევდენ“ (1. 2), „უჰსჯულო“ (1. 3), „მიუძღუა გუამისა“ (2. 1), „ჰპოვნეს კუალად ჰსცემდენ“ (2. 3) და სხვა. არის ცალკეული შეცდომები.

ყურადღებას იპყრობს რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც, ალბათ, გ. ავალიშვილს ეკუთვნის. როგორც ვთქვით, „ბოლოერთის“ რეფრე-

---

[68] აღარაფერს ვამბობთ ისეთ კითხვა-სხვაობებზე, როგორიცაა „ბოლოერთში“, „მიუვლინე“ თუ „მოუვლინე“ (2. 2), „უძღვ“ თუ „უძღვი“ (3. 1). ერთს მივიღებთ თუ მეორეს, თითქმის არაფერი იცვლება.

[69] გ. მ ი ქ ა ძ ე, ტექსტისათვის, გვ. 145.

ნად „სიკეთეთა“-ს მაგიერ ყველგან „წყალობათა“ წერია. მამუკასეულ და ლენინგრადულ ხელნაწერებში „უწყვეტელის“ მე-11 სტრიქონად არის:

„მეგობარს სულთა, საყვარელთ ტ კ ბ ი ლ თ ა, ეაი, სიკვდილო,
მწარე სიკვდილო“.

გ. ავალიშვილისეულ ნუსხაში აღნიშნული სიტყვის ნაცვლად წერია „სრულთა“, რომელიც, გვეეჩვება, მის პროტოგრაფში ყოფილიყო.

ზოგიერთი გასწორების შესახებ ზემოთ იყო აღნიშნული: „უწყვეტელში“ — „სოფელი“ (2), „ბოლოერთში“ — „კლდის ნაღვარი“ (3. 2), „ვარქვ ეს არი“ (5. 3); „მეფის თქმულში“ — „მოძღვრისასა“ (2. 2).

განხილული სამი ლექსი ამ ვარიანტებისაგან დაზღვეულია როგორც ვახტანგის „ლექსებისა და პოემების“, ისე „ჭაშნიკის“ გამოცემებში. ოღონდ ამას ვერ ვიტყვით „ლექს-ამბავის“ შესახებ. როგორც ვთქვით, მოგვეპოვება ამ თხზულების ავტოგრაფი, ლენინგრადულ ნუსხაში პოეტის ხელით ჩაწერილი. ვახტანგის „ლექსებისა და პოემების“ გამოცემაში კი იგი გ. ავალიშვილისეული ნუსხის მიხედვით არის დაბეჭდილი, სადაც ზოგიერთი ფორმა გასწორებულია, როგორიცაა, „ჰსცან“ (1), „ჰმსგავსად“ (6), „ანაჰსდად გამოჰსჩნდა“ (20), „დაჰსცვივდა“ (21), „დაჰსქდა“ (24), „ჰსდევს“ (27), „ჰსწუხარ“ (28) და სხვა. მაგრამ საკმაოდ არის დატოვებული ისეთი ფორმები, რომლებიც ავტოგრაფს ეწინააღმდეგება. ესენია:

ლენინგრადული ნუსხა:	გ. ავალიშვილისეული ნუსხა და გამოცემა:
1 ქონდა	ჰქონდა
4 შიგა	შიგან
5 შროშანი გია	შროშანნი ჰგიან
6 გაელო	განელო
7 აევსო	აღევსო
10 ნარგისის	ნარგიზის
12 ცამდი	ცამდის
13 ისროდა	ისროდნენ
14 ღრუბლამდი იდგა	ღრუბლადმდე იდგნენ
15 ჰპოებდი	ჰპოვნებდი
16 ქონდა	ჰქონდა
19 შექნა	შეჰქმნა
20 ანაზდად... მოღრუბლა... გამოჩნდა	ანასდად... მოჰღრუბლა... გამოსჩნდა
23 გრიგალმა ქარმა... შემუსრა	გრიგალმან ქარმან... შეჰმუსრა
25 აღმოფხერა	აღმოჰფხვრა
26 ჩანს	სჩანს
28 და აწ... რათ... უცხოთ	აწ... რად... უცხოდ

რაგინდ გრამატიკულად სწორი და მისაღები იყოს გ. ავალიშვილისეული ნუსხის წაკითხვები, ვახტანგის პოეტურ თხზულებათა გამოცემაში მაინც ავტორისეული ფორმები უნდა აღდგეს.

ა. „ქილილა და დამანას“ ლექსები

დღეს კარგად არის ცნობილი ვახტანგის უდიდესი დამსახურება საქვეყნოდ განთქმული იგავ-არაკთა კრებულის „ქილილა და დამანას“ ქართულად თარგმნისა და დამუშავების საქმეში. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ბევრი რამ არ იყო აქედან გამოკვლეული, სრულიად სამართლიანად წერდა ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე: „ვიმეორებ ზემოდ თქმულს სიტყვებსა: გაზეთში შეუძლებელია ამ მაღალ მშვენიერის ქმნულების სრული დაფასება. ამას კი ვიტყვი გაბედვით, ვახტანგ მეფეს რომ გარდა «ქილილა და დამანასი» სხვა არა-რა ეღვაწნა ქართველთა სასარგებლოდ თავის ცხოვრებაში, ესეც საკმაო უნდა ყოფილიყო, რომ მისი სახელი აღგვემაღლებინა და იგი ჩვენს ისტორიაში, ჩვენთა უპირველეს მოღვაწეთა გუნდში შეგვერიცხა“[70].

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებია, რა თავგამოდებითა და გატაცებით ილვწოდა ვახტანგი ამ ვრცელ ნაწარმოებში ჩართული ლექსების ლექსებადვე გადმოღებისა და გამართვისათვის. სამწუხაროდ, ვახტანგის ეს ნამუშევარი, როგორც პროზაული ტექსტი, ისე ლექსები (გარდა ამ უკანასკნელის ნაწილისა), დღემდე გამოუქვეყნებელია, მაშინ როდესაც იგი ყოველმხრივ, — მეცნიერულად და, ჩვენ ვიტყოდით, მხატვრული ღირებულებითაც, — ღირსია დღის სინათლის ხილვისა.

ვახტანგის „ლექსებისა და პოემების“ პუბლიკაციაში შესულია მხოლოდ „ქილილა და დამანაზე“ დართული ვახტანგისეული პროლოგისა და ეპილოგის ორიგინალური ლექსები, — 16 სტროფი. ამის თაობაზე ალ. ბარამიძე წერს: „«ქილილა და დამანას» პროლოგ-ეპილოგის ტექსტი ამოღებული გვაქვს ამ თხზულების საუკეთესო ნუსხებიდან... ჩვენ შეგნებულად გვერდი ავუხვიეთ საკუთრივ «ქილილა და დამანას» მრავალრიცხოვან ლექსებს, რომლებიც ვახტანგის მიერაა გაწყობილი როგორც (და უმეტესად) A ვერსიის, ისე B ვერსიის მიმართ. ამ ლექსებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში აქვს. «ქილილა და დამანას» პირველი, A ვერსიის ლექსები დაბეჭდილი აქვს ე. თაყაიშვილს...“[71].

---

[70] დ. ბაქრაძე, ბიბლიოგრაფიული ცნობა, გაზ. „ივერია“, 4 თებერვალი, 1886, № 27, გვ. 3.

[71] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 164.

ვახტანგის მიერ ამ თხზულებაზე გაწეული ადრინდელი ნამუშევარი შემონახულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დ. ჩუბინაშვილისეულ S 3177 ხელნაწერში. აქ შესულია „ქილილა და დამანას" თარგმანები, რომლებიც შეასრულეს XVI საუკუნის ბოლოსა თუ XVII საუკუნის დასაწყისში თეიმურაზ პირველის მამამ, დავითმა, და შემდეგ XVIII საუკუნის დამდეგს ვახტანგის დავალებით ჩვენთვის უცნობმა სპარსელმა და სომეხმა მთარგმნელებმა.

როგორც ცნობილია, სპარსული დედანი ლექსების ე. წ. შიგ ჩართვის წესით არის დაწერილი: პროზაულ ტექსტს სისტემურად მიჰყვება ლექსები, რომლებშიაც უპეტესად შეგონება-აფორიზმების სახით განზოგადებულად გამეორებულია არაკებში პროზით მოთხრობილი ამბები. დავითის, სპარსელისა და სომხის თარგმანებში ლექსების დიდი ნაწილი გამოტოვებულია, ხოლო რაც გადმოღებულია, გაწყობილია არა ლექსებად, არამედ — პროზად[72].

ვახტანგს ჯერ ამ თარგმანთა პროზაულად გადმოღებული ლექსების ლექსებადვე გამართვა დაუწყია, რასაც იქვე ტექსტსა და არშიებზე ათავსებს. შემდეგ დედნის სპარსული ტექსტისათვის მიუმართავს და მის კვალობაზე შესწორებები შეაქვს როგორც ადრინდელ ქართულ თარგმანში, ისე თავის ლექსებშიაც.

ვახტანგის მთელი ეს ტექსტოლოგიური ნაღვაწი დაცულია S 3177 ხელნაწერში. ნუსხა პირველად აღწერა, შიგ მოთავსებული ლექსების ხელი გაარკვია და ამ ხელისა და ლექსების ვახტანგისადმი კუთვნილება დაადგინა ე. თაყაიშვილმა[73], რომელმაც, როგორც ეს ალ. ბარამიძის დამოწმებულ სიტყვებშია აღნიშნული, ნაწილი ლექსებისა იქვე დაბეჭდა (გვ. 322—345). ამავე ლექსებს განიხილავენ ალ. ბარამიძე, მ. თოდუა და სხვები.

სანიმუშოდ ვნახოთ ზოგიერთი ლექსი.

ქართულ პროზაულ თარგმანში არის: „რომელი რტო შენის ხელით აღმაღლდეს, მას ნუ დაამტვრევ შენივე ხელით, შენი უკადრისობაა" (გვ. 166).

ვახტანგი ლექსავს:

„რაც შტო შენით რომ ამაღლდეს, ნაყოფთ მქონედ აღემართოს,
ნუ დაამსხვრევს ხელი შენი, რაცა გინდ[ა] დაგემართოს!

---

[72] ახლახან გამოვიდა ნ. ჩხეიძის წიგნი: „ქილილა და დამანას" ქართული ვერსია (დავითი და ანონიმები), თბ., 1986. მასში დედანთან და მომდევნო თარგმანებთან შედარებულია აღნიშნული პირველი სამი თარგმანი. ამ თვალსაზრისით განხილულია ზოგიერთი ლექსი.

[73] ე. თაყაიშვილი, მითითებული „აღწერილობა", I, გვ. 302—347. შემოკლებით გადაბეჭდილია მისსავე „რჩეული ნაშრომების" პირველ ტომში (თბ., 1968, გვ. 120—136).

საპრახავე[ა]დ გაუხდების, ვინც ეს ასრე წარიმართოს,
და აუგი და მოყივნება ერთმანერთსა მიუმართოს!"

პროზაული თარგმანი: „რომელმაც იმხიარულოს სხვათა ავს საქმეზედან, მას მინდობა არა აქვს, გვარად და მოდგმით სჭირს ზნე ეს" (გვ. 177).

ვახტანგი ორსტრიქონიან ლექსად მართავს:

„ვინც იხარებდეს სხვის ავზე, იმას მიენდოს სხვა ვინა?
ზნეთა სჭირს, გვარად ეს მოსდგამს, ნეტამცა დამაწეეეინა!"[74]

პროზაული თარგმანი: „თუ ჰკუით საქმე არ გარიგდეს, გიჟობა გამოიჩინეო" (გვ. 178).

ვახტანგის გალექსილი:

„რა არ იქნას საქმე ჭკვითა, ხელობითა შე[ე]ცადე!"

პროზაული თარგმანი: „რომელი ავგვარი გამოდგა, მისგან იმედი ნურა გაქვს რა. ყვავი ქორათ არ გამოდგეს, რაგინდ ბევრს ეცადონ" (გვ. 183).

ამ ორ წინადადებასაც ვახტანგი ერთსტრიქონიან ლექსად აყალიბებს:

„არ გამოდგეს ყვავი ქორად, არც უგვარო გვართა[75] სწორად!"
და სხვა.

ახლა ვნახოთ ზოგიერთი იმის ნიმუში, სადაც ვახტანგმა აღნიშნული პროზაული თარგმანები შეადარა დედანს, ჩაწერა გამოტოვებული ლექსები, გაასწორა ლექსების ადრინდელი პროზაული თარგმანები, გზადაგზა და შემდეგაც მიუბრუნდა და ხელმეორედ გალექსა ან ცოტაოდენ შესცვალა ზოგიერთი თავისი პოეტური თარგმანი.

აი, ვახტანგის ხელით ჩაწერილი ერთი და იმავე ლექსის პწკარედული და პოეტური თარგმანები (გვ. 22): პწკარედული თარგმანი:

„ქვეყნის შვება და ლხინის თხოვნა რომ ექნათ,
ვინ დაინდო, რომ ჩვენ დაგვინდოს?!
მინდობის ტვინი არ არის ამ ძვ[ა]ლში,
უკდავების სული არ არი ამ მიწასში".

---

[74] ე. თაყაიშვილი კითხულობს: „დამაწყევინა".

[75] ე. თაყაიშვილის პუბლიკაციაშია: „გვარი".

გალექსილი ვარიანტი:

„შვება, ლხინი ამ სოფლისა რომ ვითხოვოთ, ვიწადენით, —
ვინ დაინდო, ჩვენ დაგვინდოს, არ გაგვეხადოს ცრემლთა დენით?!
ამ ძვალს ტვინი მინდობისა არც სულ უძეს, ვინც ეცადენით,
და არამ მიწას უკვდავებას სული უდის მოსადენით!"

აქა-იქ ერთი და იგივე ტექსტი ორი სხვადასხვა რედაქციით არის გალექსილი, რომელთაგან ერთი წაშლილია. პროზაული ტექსტი:

„ეპთიბარი ძაღლს რომ მისდგამს,
მას კაც ჯობს, ვის არ მოსდგამს" (გვ. 155).

ვახტანგს ჯერ გაულექსავს:

„ბუნებით ძაღლსა რომ მოსდგამს მინდობა, ერთგულობანი,
და მას სჯობს ასწილად უთუოდ, ვასაც აქვს ამის კლებანი!"

მერე ტექსტი გადაუხაზავს და იქვე მიუწერია:

„მინდობა და ერლგულობა ძაღლსა მოსდგამს მეტად დია,
მას კაცსა სჯობს ათას წილად, ვის ეს საქმე გაუგდ[ია]!"

ზოგიერთი კიდევ წაუშლელად არის დატოვებული და ჭირს გაგება, რომელია ბოლო რედაქცია. მაგალითად, დედნისეული პროზაული თარგმანია:

„ნუ დაუშურებ, სწავლება კაცს არ დაეშურება,
რაგინდ მის მსმენელი არა ჯერ იყოს.
ელია წვიმას მოიყვანს, არაეის მოიმდურებსო" (გვ. 183).

ვახტანგის ხელით ტექსტში ჩაწერილია:

„ელიასა წვიმის მსგავსად, ხამს, მცოდნემა კაცსა უყოს:
სწავლა არვის დაუჭიროს, თუ მსმენელი არ სჯერიყოს!"

იმავე ხელით არშიაზე მიწერილია:

„ცოდვას მოიმკის მადლის წილ, ვინც ამას დაიშურებსა:
ელია წვიმას[76] მოიყვანს, არვის არ მოიმდურებსა,
მის მსგავსად[77] შენცა სწავლანი ასმინე კაცთა ყურებსა,
და არ დაეჭირვის, ვინ ისმენს და ან ვინც არ იჯერებსა!"[78]

---

[76] ე. თაყაიშვილის პუბლიკაციაში დაბეჭდილია: „ელვა წვიმასა".

[77] დედანშია „მსგავსაც".

[78] პუბლიკაციაშია „იყურებსა".

პროზაული დედანი: „როდესაც საბელი გაწყდება, შეჰკვრენ და ნასკვი დარჩება“ (გვ. 192).

ვახტანგს ეს პატარა წინადადება ერთსტრიქონიან და ოთხსტრიქონიან ლექსებად გაუმართავს. ტექსტში ჩაუწერია:

„რა გაწყდეს სამე საბელი, შეკრავ, — დარჩების ნასკვები!“

არშიაზე კი მიუწერია:

„რა რომ გვარლი მეგვარლემა ჩალხითა ქნას შეგრეხილი,
რა ის იქნას, რასაც ფერით გაწყვეტილი, გატეხილი,
ეელარ შეკრა, რომ შეიქნა მეცადენე მეტად ფთხილი,
და კვლავ მას ნასკვი შესატყობი არ დააჩნდეს ვითა თხილი!“

სამი და მეტი რედაქციითაა დამუშავებული დედნის შემდეგი ტექსტი: ვახტანგს დედნის პროზაულ თარგმანად დაუწერია: „სადაც დუგუნის დასმა გინდოდეს, იქ მალმის დება არას არგებს“ (გვ. 143). გაულექსავს ოთხ და ერთსტრიქონიან ლექსებად:

„სად სწადდეს დასმა დაღისა ცეცხლითა მოსადებითა,
მუნ მალამოსა იყოსცა გამპირე დასადებითა, —
ვერ კურნებს იმას მკურნალი, მთაერობდეს ხელოვნებითა,
და გინ სიბრძნის შუქსა სამუდმოდ მყოფობდეს მოვანებითა!“

ამ სტროფის პირველი სტრიქონის გასწვრივ გვერდზე ერთი სტრიქონი ჩამოჭრილია და არ იკითხება. პროზაული ტექსტის ზემოთ და ქვემოთ ჩაწერილია:

„სადაც ხ[ა]მდეს დაღის დასმა, მ[ა]ს მალამმა ვერა კურნოს!“
„დაღის ადგილს მალმის დება არას არგებს უსაცილოდ!“
და სხვა.

როგორც ცნობილია, ვახტანგი არ დააკმაყოფილა ამ ნამუშევარმა და შემდეგ სპარსეთში, ქირმანში, ყოფნისას, 1714—1716 წლებში, „ქილილა და დამანა“ თვითონვე დამოუკიდებლივ თარგმნა უშუალოდ დედნიდან. და აქაც შემდეგ თავისი თარგმანი მრავალჯერ ჩაასწორა და გადაამუშავა.

ეს რედაქციული ნამუშევარი დაცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების M 53 ნუსხაში. იგი, მისი რედაქციული სახე „ქილილა და დამანას“ სხვა რედაქციებთან ერთად პირველად, მრავალმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლა ალ. ბარამიძემ, რამაც საშუალება მისცა გაერკვია და აღედგინა ამ ძვირფასი მხატვრული ძეგლის ქართულად თარგმნისა და ჩამოყალიბების რთული და ჩახლარ-

თული ისტორია. მეცნიერი სხვა საკითხებთან ერთად შეეხო თხზულების ვახტანგისეულ ლექსთა როგორც პოეტურ, ისე პროზაულ თარგმანებს, შეადარა ისინი, ერთი მხრივ. დედანს, მეორე მხრივ, სულხან-საბა ორბელიანისა და ონანა მდივნის რედაქციებს და მოგვცა ზოგიერთი მათგანის ისტორიულ-ფილოლოგიური და მხატვრული ანალიზი[79].

იგივე საკითხები სხვა ასპექტებით განხილული აქვს მ. თოდუას[80]. სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით „ქილილა და დამანას“ ლექსების ვახტანგისეულ თარგმანებს ეხებიან აგრეთვე ე. მეტრეველი და ალ. გვახარია[81], ვ. გაბესკირია[82], დ. კობიძე[83], დ. ბრეგაძე[84], ლ. მენაბდე[85] და სხვები.

ვახტანგს ნაწარმოების ხელმეორედ თარგმნისას ზოგიერთი თავისი ადრინდელი თარგმნილი ლექსი უცვლელად გამოუყენებია.

ადრინდელ პროზაულ თარგმანში იყო: „თქვა: გულს ეკალი ჩავჭრი (!), მისთვის ცრემლი შეუშრომი ვარ“ (S 3177, გვ. 391).

იქვე ვახტანგს მიუწერია:

„თქვა: ჩემი თვალთა ნათელი და ხარ წუთისა სოფელი,
ჩემ[ი]ს გულისა ნასკვისა სამუდმოთ გახსნით მყოფელი,
შემრჭმ[ი]ა გულსა ეკალი, შემქნია ჩასაყოფელი,
და ამად მდის ასე თვალთაგან, ვა, ცრემლი შე[უ]შრობელი“.

ლენინგრადულ M 53 ნუსხაში ეს სტროფი გადამწერის ხელით მთლიანად შეტანილია ტექსტში (გვ. 245r.).

---

[79] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 1945, გვ. 237—372.

[80] მ. თოდუა, „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბ., 1967. შემოკლებით შესულია წიგნში: ქილილა და დამანა, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მ. თოდუამ, თბ., 1975, გვ. 7—182.

[81] ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, სულხან-საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის, — კრებული: სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1959, გვ. 177—202.

[82] ვ. გაბესკირია, „ქილილა და დამანას“ გარშემო, „მნათობი“, 1961, № 3, გვ. 134—142; შესულია წიგნში: ვ. გაბესკირია, თხზულებანი, III, თბ., 1974, სადაც განხილულია „ქილილა და დამანას“ სხვა საკითხებიც, გვ. 341—389.

[83] დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969, გვ. 281—287, 292—299, 326—332.

[84] დ. ბრეგაძე, ვახტანგ VI ირანის ტყვეობაში. ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXVI, ქუთაისი, 1964, გვ. 162—179.

[85] ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 130—142.

თბილისურ S 3177 ხელნაწერში ვახტანგის მიერ ჩაწერილია (გვ. 462):

„სანამ ეცოცხალ ვარ, მე შენსა მხეელობასა ვიქ მონებით[66],
მოკვდები, შენსა საფლავსა ვმსახურებ გულით, გონებით“.

ასევე უცვლელად არის შეტანილი ეს ტექსტი ლენინგრადულ ნუსხაში (გვ. 276v.).

თბილისურ (გვ. 476) და ლენინგრადულ (გვ. 283r.) ნუსხებში ერთნაირად წერია ეს სტროფიც:

„თუ კაცს ვისმე კაცისაგან ერგებოდეს რაცა რამე,
მისი ნახვა მისთა[67] წყლულთა არის უცხო და საამე;
მაგრამ ვისგანც არას ელის, ნახოს ვინცა ისი სამე,
და არ იქნების არასფერის ლხინის რისმე შესაწამე“.
და სხვა.

ზოგიერთ ლექსში ვახტანგს მცირეოდენი შესწორებანი შეუტანია. ადრინდელ რედაქციაში არის (გვ. 161):

„ბევრის სარგებლის მდომელი დიდს ზიანს შე[ე]ყაროსა,
და ვის ეს არ *უნდა*, ამ საქმეს დაეხსნას, გაეყაროსა!“

ლენინგრადულ ნუსხაში „უნდა“-ს მაგივრად წერია „სწადდეს“ (გვ. 101v.).

თბილისურ ნუსხაშია:

„შენ რომ გამიშვა, გამაგდო, ახლო არ მომიკაროა,
ანუ *პირობა მიტეხო*, არათ არ დაიზაროა,
მე რომ *გაგიშვა* საწყალმა, *ნეტარ* რით გაეიხარო[ა]?
და *ვერცა პირობას* გაგიტეხ, *რაგინდ* რომ გამამწაროა!“

ლენინგრადულ ნუსხაში აღნიშნული სიტყვები შემდეგნაირად არის შეცვლილი: „პირობის გატეხა“, „გამიშვა“, „რიღათი“, „არც პირობასა“, „მწვეცა“.

ზოგიერთ ლექსში კიდევ მეტი ცვლილებაა შეტანილი:

ადრე, როდესაც ვახტანგი ლექსავდა პროზაულ ტექსტს — „რაგინდ შორს გაგვაგდონ, დაგვიძახებენ, ფრინვით მოვალთ“, — შექმნა თითოსტრიქონიანი ლექსები ორი რედაქციით:

---

[66] ე. თაყაიშვილი ბეჭდავს: „გონებით“.

[67] ე. თაყაიშვილი ბეჭდავს: „ქოსთა“.

„შორს გამ[ა]გდებს, დამიძახებს, მაინც მოვალ კიდევ [ფრე]ნით".
„შორს გ[ა]მ[ა]გდებენ, მალ მოვალ, რა დამიძახებს ფრე[ნითა]".
(S 3177, გვ. 157).

ლენინგრადულ ნუსხაში მათ ნაცვლად ორსტრიქონიანი ლექსია, სადაც მეორე სტრიქონად გამოყენებულია პირველი რედაქციის მეორე ტექსტი (97v.):

„გარეთ ნაჩვევი მფრინველი, აწ ასე თავშეწყენითა,
შორს გამაგდებენ, მალ მოვალ, რა დამიძახებს, ფრენით[ა]".

იქვე ვახტანგის ხელით ჩაწერილია შესაბამისი, ახალი პწკარედული თარგმანი:

„გარეული მფრინველი რომ შორს გამაგდონ,
რა რომ დამიძახებენ, გამოებრუნდები და მოვალ".

ადრინდელ რედაქციაში არის (გვ. 239):

„ბულბულთ ჭ ი კ ჭ ი კ ს ყურს არ უგდებ, ყვავთ ძახილსა ზედა ხ ა რ ო ბ!"

ბოლო რედაქციაში კი გვაქვს (გვ. 150r.):

„ბულბულის ხ მ ა ს ყურს არ უგდებ, ყვავის ძახილს ზედ დ ა ხ ა რ ი!"

პირველ რედაქციაშია (გვ. 416):

„სული და გული რა არი, შენს ჭირს არ ვანაცვალოა?!"

მისი საფუძველია პროზაული ტექსტი:

„სული რა არის, რომ შენ არ განაცვალო! გული რა არის, რომ
შენს ჭირს არ ვათაყვანო?!"

ამ ლექსის ადგილას ლენინგრადულ ნუსხაშია (გვ. 255v.):

„სული რა არის, საწყალმა შენს ჭირს არ ვანაცვალოა,
თუ გული შემეწიროდეს, ან იმას დავაცალოა!"

იქვე ვახტანგის ხელით ჩაწერილია შესაბამისი პწკარედული თარგმანი:

„სული რა არის, რომ შენთვის არ დაითმობოდეს,
თუ გული თავს შ[ე]მომეელებოდეს, რატუმ არა ვიქ?"

პირველი რედაქცია (გვ. 564):

„ვეზირმა სიბრძნის საუნჯის კარი გაალო გდებული,
თქვა: ქვეყანისა მპყრობელო, შე[ნ]მცა გაქვს ნება ნებული,
სწორის მსჯავრითა შენ ულხენ, დიდია ანუ ესებული,
და შე[ნ]მცა გაქვს ეტლი მღთისაგან ქორედად ზე აგებული".

ამ შემთხვევაში პოეტი ეყრდნობოდა შემდეგ თარგმანს: „ბრძენმა ვეზირმან რა ეს ისმინა მეფისაგან, გაიღო კარი სიტყვის სალაროთაგან და თქვა: ეჰა, ქვეყნის მპყრობელო, რომე შენის მართმსაჯულობით ულხენ ყოველთა დიდთა და მცირეთა!"

დამოწმებული ლექსი ლენინგრადულ ხელნაწერში რამდენადმე განსხვავებულად იკითხება (გვ. 335r.):

„რა ეს სცნა, ბრძენმა საუნჯის კარი გაალო გდებული,
თქვა: ქვეყანისა მპყრობელო, შენმცა გაქვს ნება ნებული,
შენს ბძანებასა მორჩილობს, არსად ვინც არი გებული,
და შენცა გაქვს ეტლი ღთისაგან ქორედად ზე აგებული".

როგორც ვხედავთ, აქ უცვლელად არის გამოყენებული მეორე და მეოთხე სტრიქონები, სანახევროდ შეცვლილია პირველი, მთლიანად— მესამე სტრიქონი.

მეორე შემთხვევაში პოეტი ეყრდნობა დედანს, რომლის მისეული პწკარედული თარგმანი მისივე ხელით იქვეა ჩაწერილი:

„მცოდნემ კაცმა რომ ეს სიტყვა გაიგონა,
სიტყვის განძის კარი გა[ა]ღო,
უთხრა: ეჰ, ხელმწიფევ, ქვეყნისა და დროსავსე
შენს ბძანებას ქვეშ არის ესეცა და ისიც".

ზოგიერთი ლექსი, დედნის შესაბამისად, ახლად არის შექმნილი და სრულიად განსხვავდება წინამორბედისაგან.

თბილისურ ხელნაწერში გვაქვს (გვ. 331):

„რადგან გიყვარს შენი თავი, გული[ს] სიტყვა შეინახე!"

ამ აფორიზმის საფუძველია პროზაული თარგმანი:

„თუ თავი გიყვარს, გულის პასუხი კარგად შეინახეო".

ლენინგრადულ ხელნაწერში აღნიშნული ლექსის ნაცვლად გადამწერის ხელით წერია ორსტრიქონიანი განსხვავებული ლექსი (გვ. 206v.):

„რა ტკბილად უბნობს, ისმინე, კაცი მღვიძარე, ქებული:
თუ თავი გიყვარს, ხვაშიადს ნუ უბნობ, ქონდეს დებული!“

ვახტანგს იქვე ჩაუწერია დედნის პწკარედული თარგმანი, რომელსაც ის ეყრდნობა:

„რა კარგად უთქვამს მას გონიერს კაცს:
თუ თავი გინდა, ხვაშიადი შეინახე!“

პირველ რედაქციაში ერთსტრიქონიანი ლექსია (გვ. 339):

„თავს არცხვენის ბუზი, ფასკუნჯის ადგილსა ვერ დაიჭერსა!“

შესაბამისი პროზაული თარგმანია:

„ბუზი ფასკუნჯის ალაგს ვერ დაიჭერს,
რასაც თავის თავს არ არცხვენს“.

ლენინგრადულ ნუსხაში მის ადგილას გადამწერის ხელით შეტანილი ოთხსტრიქონიანი ლექსია (გვ. 212v.):

„ფასქუნჯისა მეიდანსა, ეპა, ბუზო უსუსურო,
რა ალაგი შენი არის, ცხენის დაჭერა მოისურო;
შენ დაგგმობენ ყოველი სული, ჩვენ მოწყენას შეგვაცურო,
და არა ღირსხარ, ჩამოეხსენ, თავი გაიმამაცურო!“

ვახტანგს იქვე მიუწერია დედნის პწკარედული თარგმანი, რომელიც შინაარსობრივად საკმაოდ განსხვავდება გალექსილისაგან:

„ეჰ, ბუზო, ის ადგილი რომ ფასქუნჯის გასაფრენია, შენი ადგილი არ არი,
შენს უსირცხვილობას გამოაჩენ, ჩვენ გაგერჯო“.

პირველ რედაქციაში არის (გვ. 277):

„მე რას მარგებს თქვენთან ლხინი, შენ ჩრდილისებრ კლდესა ჰფარავ!“

მისი პროზაული დედანია:

„მე თქვენთან ლხინი რას მარგებს, რომ შენ ჩრდილებრ კლდეს ფარავ!“

თხზულების ხელმეორედ თარგმნისას ვახტანგს ეს ადგილი ჯერ პროზაულად გადმოუღია. ლენინგრადულ ხელნაწერში გადამწერის ხელით შეტანილია (გვ. 174v.):

„სათამაშოს პირს მზისას ჩემ საქმეში ვერა ეხედავ.
ის მიჯობს, რომ ჩრდილსაეით კედელს უკან დაეჯდე!"

შემდეგ გაულექსავს და იქვე მიუწერია პირველი პოეტური რედაქციისაგან განსხვავებული ტექსტი, რომელიც ემთხვევა მის მიერვე შესრულებულ პროზაულ თარგმანს:

„მზის პირთ თამაშის საფერსა ჩემს პირსა ვერა ეხედაო,
მიჯობს ჩრდილისებრ კედელსა უკანა დაეჯდე ზედაო!"

და სხვა.

ლენინგრადულ ნუსხაში ლექსების საკმაო ნაწილი ახალია. ისინი პოეტს ადრე არ დაუმუშავებია. ეს განსაკუთრებით ითქმის „ქილილა და დამანას" იმ ნაწილზე, რომელიც დავითმა თარგმნა. როგორც ვახტანგი თავის ანდერძში იუწყება, დავითს „არც ლექსი გამოელო და ზოგი სიტყვაც დაეკლო".

აქედანაც ზოგიერთი ლექსი ხელნაწერში გადამწერის ხელით არის შესული, ნაწილი კი ვახტანგის მიერ არის ჩაწერილი. ეს იმის მაჩვენებელია, რომ გადამწერის ხელით შესრულებული ლექსები პოეტს შედარებით ადრე აქვს შექმნილი, მის მიერ ჩაწერილები კი მომდევნო ხანას განეკუთვნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ლექსების უმეტესობა ლენინგრადულ ხელნაწერში გადამწერის ხელით არის მიწერილი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ვახტანგს ეს ლექსები მას შემდეგ შეუთხზავს, როცა აღნიშნული ნუსხის გადაწერა დამთავრებული იყო.

ნიმუშად დავიმოწმოთ გადამწერის ხელით მიწერილი რამდენიმე ლექსი, რომლებიც თბილისური ნუსხისათვის უცნობია:

„თემთა მისის სამართლითა სიმდიდრენი მოეპოეა,
ძალი თეისის მოწყალებით გაეძო და გაეპოეა" (4r.).

„სიმაღლე ჰქონდა ფრიდონის, სიმდიდრე ჯიმშედისანი,
მაკიდოვნურებ სახეეწი კარი აქვს სიდიდისანი,
მოწყალეება უკრთოდა ეით პირი მნათობისანი,
და ერთად შეერთო ცეცხლი და წყალი სხვის ბუნებისანი" (7v.).

„იყო წესი მის მეფისა ურჩთა შუბლის დადაღვანი,
მებრძოლთ თავზე ხრმლისა დასმა, ადგილიდამ გარდაძერანი,
სამართალში გასაწყრომთა სისხლის სმა და სისხლის ღვრანი,
და მოწყალება უღონოთა, სიმდიდრის წინ მოგვარანი" (7v.).

და სხვა.

ახლა გავეცნოთ ვახტანგის ხელით მიწერილ ლექსებს, რომლებიც, აგრეთვე, თბილისურ ნუსხაში არ დასტურდება:

„თითოს ამისა სიტყვაზე გაშლილა თითო ბაღია,
შაბჩირახისებრ ბრწყინვალე და უფრო განანაღია,
ამისნი ტკბილნი იგ[ა]ენი უკვდავთ წყალთაებრ საღია,
და ახალს ვაჟკაცებრ თამამობს, სიტყვები მისი ლაღია" (3v.).

„სიკეთე მუშკს გავს: რა გინდ რომ დაფარო, გა[ა]სხეიო და,
საყნოსელს სული ექნების, თუ გინდა არ გახიო და;
არ გაივსების მზის შუქი, ტალახი და[ა]სხიო და,
საათს და სა[ა]თს შუქს მატობს, რაგინდ არ მოივწიო და" (4r.).
და სხვა.

ვახტანგს აქაც ადრინდელი შეთხზული, გადამწერის ხელით მიწერილი ლექსები, რომლებიც პირველი რედაქციისათვის (თბილისური ნუსხისათვის) უცნობია, გადაუხაზავს და მის ნაცვლად ახალი ვარიანტი მოუცია:

გადამწერის ხელით მიწერილია (5r.):

„ეს წერილი ჰგავს ჩილთ თემსა თმასა მას კეკლუცისასა,
რომელთა აქვან ადგილი გულშია ყოველთ კაცისასა,
უწერ იგავთა სიკეთით სჭარბობს სხვის მზისა ცისასა,
და ვინ ისმენს, იქმსცა ნებასა მის ღთისა საფიცისასა".

ეს სტროფი გადახაზულია და იქვე ვახტანგის ხელით ჩაწერილია:

„ამ წერილს ვადრი ჩივეელთა თმასა მას კეკლუცისასა,
გავს ყოველ სულის ადგილსა და გულთა მანძილისასა;
უწერი — იგავთ სიკეთით სჭარბობს სხივს მზისა ცისასა,
მთვარისებრ ნათობს, კამკამობს გულთაცა უცებისასა".

გადამწერის ხელით მიწერილია (5v.):

„შენ სოილი ხარ, ვარსკვლავი, დარი და მგზავსი მზისანი;
რა ალმოჰხდები, ქვეყნისა მიმფენელი ხარ სვისანი;
ვის მიაყენებ შენ შუქსა, ბედისა არის ნიშანი,
და შლის სიბრძნის ვარდსა სამუდმოდ, მიცემა იცი წლისანი".

ესეც გადახაზულია და ტექსტში ვახტანგის ხელით ჩაწერილია ორსტრიქონიანი ლექსი:

„თაგდირი ხარ; ვისი ბედი, მიაყენო შენ რომ შუქი,
სვე-დოვლათის ნიშანია, რათლა იყოს იგი უქი!"

ეს უკანასკნელი შეესაბამება დედანს, რომლის ჰწკარედული თარგმანია:

„შენ სოილი ხარ. ვიხი ბედია, რომ შენ შუქი მიაყენო.
ვისაც მიადგება, დოვლათის ნიშანია“.

გადამწერის ხელით ჩაწერილია (6r.):

„სიტყვის ბაღის მებაღენი, ბრძენი დიდნი მითხრობდია:
მწვე წმინდაა ესე ბაღი, სამოთხესა ნიშნობდია;
ხენი დარგე რიგ-რიგისად, მსვლელი ვერა სწუნობდია,
და ვინცა სჭამდეს ხილსა მისგან, შენ შენდობას გეტყოდია!“

ესეც გადახაზულია და სამაგიეროდ ვახტანგის ხელით ტექსტში ჩაწერილია 8-სტრიქონიანი ლექსი:

„ასეო, ასეო, მრქუა სიტყვის მცოდნემ ასეო:
ჰე, სიტყვის ბაღის მებაღევ, ესე თქმა გაიასეო,
წმინდას იგავის მსგავს ბაღში ესენი შეაწმასეო,
იგავთ ხეები ერთ რიგად დარგე და შიგ[ა] დასეო!
ვინც ჭამოს მისი ნაყოფი სა[ა]მო, მოსასასეო,
დამრგველსა უთხრან შენდობა, ღ[მერ]თო, ის გა[ა]სასეო,
ამ ბაღში ბევრი ახალი ხილია დაუნასეო,
ერთმანეთისა უმჯობე სიკეთით დაუფასეო!“

ეს ტექსტიც დედნის შესაბამისია:

„ასე მითხრა სიტყვის მცოდნემ კაცმა:
ეჰა, სიტყვის ბაღის მებაღევ,
წმინდას მანის მზგავს ბაღში
იგავის ხეები ერთ რიგად დარგევ!
ვინც რომ სჭამოს მისგან ხილი,
დამრგველთა უთხრას შენდობა.
ამ ბაღში ბევრი ახალი ხილი არის,
სიკეთით ერთმანერთის მჯობი“.

და სხვა.

თავისთავად ცხადია, ეს ლექსები პოეტის ტექსტზე მუშაობის შემდგომი ეტაპის გამოხატულებაა.

როგორც ცნობილია, ამის შემდეგ ვახტანგი „ქილილა და დამანას“ თავის თარგმანს გასაჩარხავად აძლევს ცალკე ონანა მდივანს და ცალკე სულხან-საბა ორბელიანს. მისი ანდერძიდან ჩანს, ვახტანგის ყურადღების ცენტრში კვლავ ლექსების საკითხი მდგარა.

ონანასეულმა რედაქციამ ჩვენამდე ერთადერთი, ავტოგრაფული ნუსხით მოაღწია[88], რომელიც ს. ყუბანეიშვილმა მოიპოვა და ბოლო

[88] ონანას, ამ ნუსხისა და რედაქციის შესახებ იხ.: კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 465—470; ალ. ბარამიძე, ნარკვე-

დრომდე მასთან ინახებოდა, ახლა კი ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (Q 1564). აქედან ირკვევა, რომ ონანამ მხოლოდ ვახტანგის მიერ პროზაულად თარგმნილი ლექსები გადაამუშავა, ხოლო სწავლული მეფის პოეტურად გაწყობილი ლექსები ხელუხლებლად თუ მცირე ცვლილებებით დატოვა და არშიაზე მითითებით „მ“ (=მეფის ნათქვამი) შეიტანა თავის ნაშრომში. სულ ონანასეულ ნუსხაში, რომელიც ნაკლული სახით არის გადარჩენილი, ვახტანგის 42 ლექსი დასტურდება. აქედან ორს აღნიშნული მითითება არ ახლავს. ესენია: პირველი, ორსტრიქონიანი ლექსი:

„ვერძს მისის შიშით ცაშიგან შოენანი ეზარებოდა,
და მის მესაკლავედ მესისხლე მარიხი იარებოდა“ (გვ. 40v.).

ეს ლექსი, გადამწერის ხელით შესრულებული, ზუსტად ამგვარად იკითხება ლენინგრადულ ხელნაწერში (გვ. 28v.).

მეორე გარკვეულ სხვაობას იძლევა. ლენინგრადულ ხელნაწერში გვაქვს (გვ. 34r.):

„იტყოდა თუ: ნეტარ ღ[მერ]თო, ცხადსა ვხედავ, ანუ ბნელსა?!“

ონანას ხელნაწერში ეს სტრიქონი უცვლელად არის შეტანილი და თანაც მეორე სტრიქონი ემატება (48r.):

„თავსა ჩემსა სიკეთეში ამ ჭირს უკან მისთვის ხელსა“.

ეს ლექსი, მეორე სტრიქონის ჩათვლით, ზუსტად იმეორებს დედნის პროზაულ პწკარედს, რომელიც ლენინგრადულ ნუსხაში ვახტანგის ხელით არის ჩაწერილი (34r.):

„ეჰ, ღ[მერ]თო, ამას რომ ვხედავ, ცხადია თუ სიზმარი,
ჩემს თავს, ამ სიკეთეში ამთონს ჭირს უკან?“

შეიძლება ვიფიქროთ: ვინაიდან მეორე სტრიქონი ახალია, ონანამ ამიტომ არ ჩათვალა ეს ლექსი ვახტანგის კუთვნილად. მაგრამ, ამავე დროს, არც ის არის გამორიცხული, მეორე სტრიქონიც ვახტანგს ეკუთვნოდეს: იმ ხელნაწერში, რომელიც ონანას გადაეცა გასაჩარხა-

---

ვები... I[2], გვ. 348—350: გ. ჯ ა კ ო ბ ი ა, ონანა მდივნისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. X — B, თბ., 1940, გვ. 133—140; დ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII), I, თბილისი-ქუთაისი, 1958, გვ. 49—54, 214—252; მ. თ ო დ უ ა, ტექსტისათვის, გვ. 76—81, 85, 100—102, 110—111.

ონანას მიერ დამუშავებული „ქილილა და დამანას“ ლექსები გამოაქვეყნა დ. ბ რ ე გ ა ძ ე მ (ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII), I, გვ. 214—252).

ვად, ვახტანგს ის ორ სტრიქონად ჰქონდა წარმოდგენილი და, მსგავსად პირველი მაგალითისა, ონანას ავტორის აღნიშვნა გამორჩა. ერთი კი აშკარაა, პირველი ლექსი და მეორე ლექსის პირველი სტრიქონი ვახტანგისაა.

ვახტანგის ლექსებში ლენინგრადულ და ონანასეულ ნუსხებს შორის სხვაობა მცირეა. აი, მათგან უფრო მნიშვნელოვანი:

ლენინგრადული ნუსხა:	ონანასეული ნუსხის განსხვავებული წაკითხვები:
რას ჰირსა ვსჭამ ცის მზისაგან, რაღგან მადგას თქვენი ჩრდილი (9r.)	რად; გვადგა (13r.)
შენის სიცოცხლით ცოცხლობენ თემნი და სამეფონია (იქვე)	ცოცხალან (იქვე)
მაშიგან თეეზნი ვეცხლისებრ თეთრი, არა თუ რვალია (10r.)	ვერცხლისა; არ თურე (14v.)
მოარბევდის სატურფალად მისგან მისსა მონაყოლსა (10v.)	სატრფიალოდ (15r.)
ვის დიდი მდაბალ-გუნება იყოს თაედამდაბლებული (11v.)	ვახ (17r.)
კაცი კაცის სიავეზე სამუდმოდ არს მიწყიე მზანი (12r.)	სამუდამოდ არის (17v.)
ააგზნებს ცეცხლსა ასეთსა მტერობა დაუცადია (13v.)	მისის ცეცხლითა (20v.)
ამა ორთა სახეს შუვა გარჩევაა ესოდენი (იქვე)	სახეთაგან განრჩევაა (იქვე)
ორნი ტკბილნი მოყვარენი რომ გაყაროს შესაფერი (25v.)	გაგეყაროს (36v.)
სიმდაბლის მეტი სხვა ღონე ვერა ქნა გასაძალედა (28r.)	განაბის (40r.)
ვერვინ დახსნის უსიკვდილოდ, რაც ცოცხალი ქვეყნად ვარ და (28v.)	თუ (40v.)
მან ათასის ხერხის ცდითა გზა იპოვა გასაპარი (28v.)	იშოვნა (41r.)
გახსოვს, ოდეს შენს კარზედ ვჯექ, ლხინი არსით მელეოდა (30v.)	ნეტარ იყო შენს კარსა ვჯ(ე) ლხინი არის (43r.)
სისხლი სწვეთდა ძვლებისაგან, იტყოდის და თავსა ხრისა:	სდისა მისის ძვლისა
მუნ მივრბოდი სულის შიშით, ევებ დავრჩე მას ოხერსა...	მოვრჩე
დასჯერდი, ის გიჯობდა, მას დობლაჭსა ჯამის ძირსა (35v.)	დობლაჯსა (50r.)

არის კიდევ რამდენიმე ორთოგრაფიული და გრამატიკული სხვაობა. ამ მცირეოდენ განსხვავებულ სტროფებში ერთადერთი გამონაკლისია 8-სტრიქონიანი ლექსი, რომელიც ხელნაწერებში მნიშვნელოვნად შორდება ერთმანეთს.

ლენინგრადულ ხელნაწერში ვახტანგის ხელით ჩაწერილია (7r.):

„თუცა მოწყალე თვალით სინჯავს წყალობის თვალითო,
მინისაც ქონდეს, შე[ი]ტყოს და იცნას ამის ძალითო,
ჩემის უცდელის საქმისგან მრცხვენის, ვარ დასა[ა]ლითო,
შენ ნუღარ შემიქ ყვედრებით გულს ნაჭრად დასავალითო!
სოფელში თავისუფალთგან, წეს[ი] არ არის, ძალითო
დაცემულთ უთხრას ყვედრება ან ცხადად ანუ მალითო;
მეშურნე მკერდსა დაიხევს სირცხვილით შესაწყალითო,
მშვიდ-მხედი თვალი კაცის[ა] აიბს არ ნახავს ლალითო".

ონანას ხელნაწერში ეს ლექსი თავიდან ბოლომდე განსხვავებული რედაქციით იკითხება, თუმცა ვახტანგისადმი კუთვნილების აღმნიშვნელი „მ" ასო უწერია (გვ. 5v. — 6r.):

„თუ ვინ გასინჯავს, გასინჯავს მოწყალებისა თვალითა,
ჭიქის კაკალიც ეყაროს, იცნობის თავის ძალითა,
მრცხვენიან გამოუცდელსა, ჩემი საქმე მწვავს ალითა,
შენ გულსა რაღათ დამიკოდ ყვედრების მღვრიეს წყალითა?
სრულსა არ უხამს სოფელში იყოს ამისა ხალითა,
დაცემულს კაცსა ჰყვედრიდეს და იყოს მაზე ბრალითა,
მაგრამ მემშურნე სირცხვილით მკერდსა დაიხევს ბრჭალითა,
სიმშვიდის თვალი სხვის სირცხვილს არ დაინახა კვალითა".

ორივე რედაქციას საფუძვლად უდევს დედნის შემდეგი პწკარედული თარგმანი:

„თუ მოწყალე თვალი გასინჯავს მოწყალების თვალით,
მინისაც რომ ქონდეს, შეიტყობს და იცნობს.
მე მრცხვენია ჩემის გამოუცდელის საქმისაგან.
შენ ყვედრებით ნუ შემიქ გულს ნაჭერ-ნაჭერად.
სოფელში განთავისუფლებულთაგან წესი არ არის
დაცემულთ ყვედრების თქმა.
მოშურნე სირცხვილით თავის მკერდს დაიხევს.
სიმშვიდის დამნახველის კაცის თვალი აიბს არ დაინახავს".

თუ აქ გაუგებრობას ადგილი არა აქვს და ონანას ხელნაწერის ცნობა სწორია, ასევე, თუ განხილული ლექსების განსხვავებები, რომლებიც ამ ხელნაწერს ლენინგრადულ ნუსხასთან შედარებით მოეპოვება, ეკუთვნის ვახტანგს და არა ონანას, მაშინ ერთი საბუთი კიდევ გვაქვს იმის დასადასტურებლად, რომ ონანას ვახტანგმა დასამუშავებლად გაუგზავნა „ქილილა და დამანას" თარგმანის არა ლენინგრადული ნუსხა, არამედ რომელიღაც სხვა, დღესდღეობით უცნობი ხელნაწერი.

სხვა მაგალითების მოხმობით ამგვარივე დასკვნა გამოაქვს მ. თოდუას[89].

„ქილილა და დამანას" ლექსების ვახტანგისეული პოეტური თარგმანები მოიპოვება აგრეთვე სულხან-საბასეულ ტექსტშიაც. როგორც ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანმა პროზაულ ტექსტთან ერთად თავიდან ბოლომდე გადაამუშავა ამ თხზულების ვახტანგისეული პოეტურად თარგმნილი ლექსებიც. მისი ნამუშევარი მრავალი ხელნაწერითაა შემონახული. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტოგრაფი — კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S 31, მისგან გადათეთრებული პირი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების P 2 ნუსხა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მე-18 საუკუნის ხელნაწერები S 33, S 2650, S 3183 და სხვა. სულხან-საბამაც თავის რედაქციაში შეიტანა ვახტანგის მიერ პოეტურად ნათარგმნი რამდენიმე ლექსი, რომელთაც გაუკეთა აღნიშვნა: „მეფის თქმული", „მეფის ნათქვამი". სულხანის ამგვარი მინაწერი აქვს 5 ლექსს. ესენია:

1. „მე ვარ ღამისა მოყვარე, ამ დღისა მომლოდინარე,
თასი და ჰიქა ღეინითა კაშკაშით თავს გარმდინარე;
ყინვა წარხდა და მოვიდა იგ ვარდი მოუწყინარე,
და ზამთარმან განვლო, ზაფხული მოგვეცა მოსალხინარე"[90].

ეს ლექსი თბილისურ (გვ. 512) და ლენინგრადულ (გვ. 307г.) ნუსხებში რამდენადმე განსხვავებულად იკითხება:

„მე ვარ ლამისა მოყეარე, ამ დღისა მომლოდინარე[91],
თასი და მინა აღვსილი, კაშკაშით გადმომდინარე;
წავიდა ყინვა (გვალვა S 3177), მოვიდა იგ ვარდი მოუწყინარე,
და ზამთარი წახდა, ზაფხული გვეწვია (გვეწიეა M 53) მოსალხინარე".

2. „რაცა კაცი ასს საქმეში არ გესინჯოს, არ გეცადოს,
ხეაშიადსა ნუ გაანდობ, რაგინდ მრავალს შეეცადოს!"
(S 31, გვ. 165v.; გამოცემები: შესაბამისად II, 2, გვ. 227; 903)

თბილისური (გვ. 583) და ლენინგრადული (გვ. 347v.) ნუსხების წაკითხვა:

„რაცა კაცი ასს საქმეში (ასზე საქმით S 3177) არ გეშინჯოს,
არ გეცადოს,
რატომ (რასთვის M 53) ეტყვი ხეაშიადსა, რაგინდ (რაგინ S 3177)
ბევრსა შეეცადოს!"

---

[89] მ. თოდუა, ტექსტისათვის, ქილილა და დამანა, 1975, გვ. 81.

[90] ალ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის გამოცემა, II, 2, გვ. 137, მ. თოდუას გამოცემა, გვ. 803; S 31, გვ. 141г.

[91] S 3177-ში დაზიანების გამო ეს სტრიქონი არ იკითხება.

3. „წარბ-ბრტყელი, ტუჩ-პატარაი, ვარდის ფურცლებრი ღაწვია,
კბილ-მარგალიტი, ღრძილ-ძოწი, ენა-შაქარი აწვია,
ტანად სარო და პირად მზე, მჭვრეტელთა ჭირნი აწვია,
და მისთა ტრფიალთა უწყალოდ ცეცხლთა მომდები აწვია!"
(გვ. 166r.; II, 2, გვ. 228—229; 905)

თბილისური (გვ. 584) და ლენინგრადული (გვ. 348r.) ნუსხები აქაც განსხვავებულ ვარიანტს იძლევა:

„წარბ-ბრტყელი, ტუჩი პატარა, ვარდის ფურცლისა
(ფურცელი M 53) ღაწვია,
კბილ-მარგალიტი უფასო, ენას შაქარი აწვეია,
ტანად სარო და ლერწამი, შემხედთა ჭირი აწვეია,
და ტრფიალთა არად მოწყალე, ცეცხლის მომდები აწვეია".

4. „ნადიმ-ნათელი, პურ-დიდი, მზისაცა შესადარია,
ვეშპისა ომი ძალ-ედვა, მტერთა სრვად დაუზარია,
სწორის მსჯავრითა ყოველთა მისი შეჰქნოდა ზარია,
და უხვად გამცემით უნჯისა სხვათა მეფეთა დარია".
(გვ. 167r.; II_2, გვ. 232; 909)

თბილისური (გვ. 587) და ლენინგრადული (გვ. 349v.) ნუსხების ვარიანტი:

„ნადიმი ქონდა (ჰქონდა M 53) ნათელი, მზისაცა შესადარია,
ომი — ვეშპისა უმალე, მტერთა სერით (სერად M 53) დაუზარია,
სასწორის სჯითა ყოველნი (ყოველი M 53) მისი მორჩილი არია,
უხვად გაცემით (გამცემი M 53) ქვეყანად სხვა [ა]რა ყვანდა
(ჰყვანდა M 53) დარია".

5. „პირ-მთვარე, მუშკებრ სუნნელი, გულისა მოსანდომელი,
სურვილის მახარებელი, მნახველთა შემაცთომელი".
(167v.; II, 2, გვ. 235; 911)

თბილისური ნუსხის წაკითხვა (გვ. 590):

„პირ-მთვარე, მუშკ-საყნოსელი, გულისა წარმტაცებია".

ლენინგრადული ნუსხის წაკითხვა (გვ. 350v.):

„პირ-მთვარე, მუშკ-საყნოსელი, გულისა მოსანდომია,
სულისა მახარობელი, კაცისა მომაცდომია".

ბუნებრივია, აქაც ისმის საკითხი: ვის ეკუთვნის ის კითხვა-სხვაობანი, რომლებიც ამ ლექსებს თბილისურ და ლენინგრადულ ნუსხებთან შედარებით აქვს?

ალ. ბარამიძემ გაარკვია, რომ სულხან-საბა ორბელიანს მუშაობისას ხელთ სჭერია ლენინგრადული ნუსხა[92]. აქედან გამომდინარე, როგორც ალ. ბარამიძე ვარაუდობს[93], შესაძლებელია მივიღოთ, რომ აღნიშნული სხვაობა სულხანის ნახელავია, მაგრამ, ვინაიდან ცვლილებები დიდი არ იყო, მან ლექსებს ვახტანგის სახელი არ ჩამოაშორა. ვიმეორებთ, ამგვარი მოსაზრება სავსებით დასაშვებია. მაგრამ ამასთან ერთად, ვფიქრობთ, არც ის არის გამორიცხული, რომ სულხან-საბა ლენინგრადულ ნუსხასთან ერთად სხვა წყაროთიც სარგებლობდა, რომელშიაც ხსენებული ლექსები იმგვარადვე იყო, როგორც დღეს ისინი S 31 და მის მიმყოლ ხელნაწერებში არის.

გარდა ამ ხუთი სტროფისა, S 31 ხელნაწერში კიდევ სამ ლექსს აქვს მინაწერი „მეფის თქმული“, ოღონდ არა სულხან-საბა ორბელიანის, არამედ განსხვავებული ხელით. ეს ლექსებია:

1. „ბერთა სიცოცხლე მიდიან, მგზავრობენ მგზავრთა წესითა,
   მისთა მტერთაგან ვერ ვნახოთ, ქარმან მოგვბერნეს გესითა“.
   (გვ. 33v.; II, 1, გვ. 161; 330)

ავტორობის აღმნიშვნელ შენიშვნაში გადარჩენილია მეორე სიტყვა — „...თქმული“. დანარჩენი ჩამოჭრილია. ჩამოჭრილია აგრეთვე „თ“-ს პირველი ნახევარიც. S 2650-ში წარწერა „მეფის თქმული“ არ არის (გვ. 73r.).

ეს ლექსი თბილისურ და ლენინგრადულ ნუსხებში არ მოიპოვება. ლენინგრადულში არის მხოლოდ გადამწერის ხელით შესრულებული პწკარედული თარგმანი:

„ვაი, რომ სიცოცხლის ქარავანი ასე წავიდა,
რომ მათი მტვერი ჩვენი ალაგის პირსაც აღარ მოხვდება“.

2. „ამჟამად კაცთა მინდობა ამხანაგთაგან ძნელია,
   საწადლის პირთა გამთავე საქმით არა ჩანს მქნელია,
   რომელიც მშვიდი გგონია, იგ ხერხთა მომფენელია,
   და მუცელს ლხინად და ნადირად უჩანს საქმენი ბნელია!“
   (გვ. 44v.; II, 1, გვ. 161; 378)

---

[92] ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., I[2], გვ. 304, 321 და შემდგომი.

[93] იქვე, გვ. 342—343: მისივე, სულხან-საბა ორბელიანი, ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა, თბ., 1959, გვ. 126; შდრ.: მ. თოდუა, ტექსტისათვის, გვ. 101.

ამავე აზრს იზიარებს ლ. მენაბდე (სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ მეექვსის ურთიერთობისათვის, კრებული: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 71, თბ., 1958, გვ. 147—148).

S 2650 ხელნაწერს არც აქ მოეპოვება მინაწერი „მეფის თქმული" (გვ. 96v.). თბილისური და ლენინგრადული ხელნაწერებისათვის ეს ლექსიც უცნობია. ლენინგრადულ ნუსხაში არის მხოლოდ პწკარედული პროზაული თარგმანი.

3. „დაიწყო სიტყვა წყლიანი, ბროლისა უწმინდესია,
სიტკბოთ თაფლისა უტკბილე, რაცაა მისი წესია,
რომელი ყური ისმენდა, რამც იყო უამესია,
და პლატონ ბრძენისა ნათქვამსა, შენვე სთქვა, უკეთესია".
(გვ. 152r.; II, 2, გვ. 178; 849)

აქ ავტორობის აღმნიშვნელ მინაწერში გადარჩენილია მხოლოდ პირველი სიტყვა — „მეფის . . ." დანარჩენი ჩამოჭრილია. „ქილილა და დამანას" ვახტანგისეულ თბილისურ (გვ. 543) და ლენინგრადულ (გვ. 326v.) ნუსხებში ეს ლექსი განსხვავებული რედაქციითაა მოცემული. პირველში ერთსტრიქონიანია:

„სიტყვა უტკბოსი შაქრისა, უმჯობე თვალ-მარგალიტთა".

მეორე ნუსხის ვარიანტი საკმაოდ ახლოს დგას საძიებელ ლექსთან:

„დაიწყო სიტყვა სიწმინდით ქვათ წმინდათ უწმინდესია,
სიტკბოთი შაქრის უტკბილე, რაც იყო მისი წესია;
რაც ყური იმას ისმენდა, რამც იყო უამესია,
და აფლათუნ ბრძნისა ნათქვამსა მწვე იყო უკეთესია".

სამივე ამ ლექსის ავტორობის აღმნიშვნელი მინაწერი ერთი და იმავე ხელითაა შესრულებული. მართალია, ისინი სულხან-საბას ხელისაგან განსხვავებულია, მაგრამ, აშკარაა, ძველი მინაწერებია. S 31-ის ამ ცნობას ადასტურებს სხვა ხელნაწერები: S 33 (გვ. 77r., 99r., 333v), S 3183 (გვ. 87r., 288v.). S 2650-ში პირველ ორ სტროფს, როგორც ვთქვით, ეს მინაწერი არ გააჩნია, მესამეს კი აქვს.

ამ სტროფების ვახტანგისადმი კუთვნილებას უთუოდ ეჭვის ქვეშ აყენებს ის ფაქტი, რომ, ზემორე დამოწმებულ 5 სტროფისაგან განსხვავებით, S 31-ში ამ სამი სტროფის ავტორზე მითითება ნაწერია არა სულხან-საბა ორბელიანის ხელით. გამოსარკვევია, ვისია ეს ხელი და რამდენად სარწმუნოა მისი ცნობა.

უფრო მეტიც, „ქილილა და დამანას" სულხანისეულ რედაქციაში არის კიდევ 4 სტროფი, რომლებსაც ზოგიერთი ნუსხა ვახტანგს მიაწერს.

S 3183 ხელნაწერში იკითხება: „რაც ლექსს აშ[ი]აზედ მანი უზის, მეფის არის ნაბძანები" (გვ. 349r.). ამ ნუსხაში, გარდა დასახელებული სტროფებისა, „მ" უზის შემდეგ 4 სტროფს (345v.—347r.):

1. „ჩახრუხაული

ეჰა, მეფეო, პურ იეფეო, წადილის ხელით უნჯთა მძლეველად,
საგდებლის თოკი, თემთ დასაოკი, ცად გარდაგიცვამს ქვეყნის
მძლეველად,
გასარიგებლად, დასარიდებლად ცა დავიმშვიდდა არ ამრეველად,
და შენის ჩრდილითა, ბღუარით ჩრდილითა, შენი ძალი სძლევს
გამასრეველად.

2. ვინც იცნა სოფლის ღადრობა, მისი სიჭრელით ღებანი,
მას შიგან მყოფმა არა ქნა სამკვიდროდ სახლთა გებანი;
ფუნდუკსა, გინა პალატსა ვინმცა შეუმკო ზე ბანი,
და ბოლოდ სხვას დარჩა, წაუხდა მაშენებელსა ნებანი.

3. ეცადე საგზ[ლ]ის შეკვრასა, — მიხვალ საეანედ შორებსა,
მუნ ვერა ნახავ მოყვასთა, ვერცა თავისა სწორებსა.
არა მიგაქვ რა, გეტყვიან: იქით გამრიდე მორებსა!
და დამზადდი ნუზლი და ბარგი, ადრე აჰკიდე ჯორებსა!

4. ეჰა, სიტყვაო, ვინ გაქო, გონება-მიუწდომელო,
შენ აშენებ და შენ არღვევ, სიბრძნითა გაუზომელო;
შენ მოალხენ და შენ აწყენ, რაც გინდა ვისი მდომელო,
და რომელთა დამამშვიდებო, რომელთა გამამწყრომელო!"
(გამოცემები: II, 2, გვ. 303—305; 982—984)

ვახტანგისადმი ამ სტროფთა კუთვნილებას დუმილით უვლის გვერდს სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფი S 31 (გვ. 184v.—185v.), S 33, S 2650 და სხვა ნუსხები.

არც ერთი ეს სტროფი თბილისურ და ლენინგრადულ ნუსხებში გალექსილი არ არის. ვახტანგის ავტორობას ეჭვის ქვეშ აყენებს აგრეთვე პირველი სტროფი, რომელიც ჩახრუხაული ფორმითაა გალექსილი. „ქილილა და დამანას" ვახტანგის მიერ პოეტურად დამუშავებული ყველა ლექსი შესრულებულია რუსთველური შაირით. ამიტომ ეს გამონაკლისი სანდო არ უნდა იყოს.

ჩვენი საერთო დასკვნა კი ასეთია: საეჭვო არ არის სულხან-საბა ორბელიანის ცნობა: პირველი ხუთი სტროფი ვახტანგს ეკუთვნის, სულერთია, მისია თუ არა წაკითხვები, რომლითაც ისინი თბილისური და ლენინგრადული ნუსხებისაგან გამოირჩევა. ყურადსაღებია S 31 ხელნაწერის მინაწერიც დამოწმებული სამი სტროფის თაობაზე, რომლებიც თუმცა სულხან-საბას არ ეკუთვნის, მაგრამ ადრინდელია.

ამრიგად, ვახტანგ მეექვსის მიერ გალექსილი „ქილილა და დამანას" ლექსები საკმაო მოცულობისაა: შეიცავს 16-მარცვლიანი შაირით შესრულებულ 400-ზე მეტ ერთსტრიქონიან, ორსტრიქონიან, ოთხსტრიქონიან და აქა-იქ მეტსტრიქონიან ლექსებს, რომელთაგან

45-მდე ორი და სამი რედაქციითაა წარმოდგენილი. აქედან გამოქვეყნებულია ნახევარი. ე. თაყაიშვილს დაბეჭდილი აქვს 200-ზე ცოტა მეტი ლექს-სტროფი. ვახტანგის „ლექსებისა და პოემების“ გამოცემაში მხოლოდ პროლოგისა და ეპილოგის 16 სტროფია შესული. ეს სტროფები დაბეჭდილია, აგრეთვე, „ქილილა და დამანას“ სულხან-საბა ორბელიანისეულ რედაქციის გამოცემებში. მათ ემატება ის 5 თუ 8 სტროფი, რომლებიც ამ რედაქციაში დასტურდება.

ლ. ლექსი ნუშრევანზე

ზემოთ დასახელებულ „თალა-მასალის“ ლენინგრადულ E 15 ხელნაწერში, რომლის თავფურცლის პირველ გვერდზე „რანი და მოვაკანია...“ მოთავსებული, ამავე ფურცლის მეორე გვერდზე ვახტანგის ხელით მიწერილია ორსტრიქონიანი ლექსი:

„ქ. ნუშრევანს სჭირდა სამუდმოდ დარში სამართლის მკობანი,
წვიმაში — ძილი, ქარში — სმა, ღრუბელში — ნადირობანი“.

ამ უცნობი ლექსის შესახებ სხვა რაიმე მონაცემი არ გაგვაჩნია. ვფიქრობთ, ესეც ვახტანგის ნახელავად უნდა ვცნოთ. უფრო სავარაუდოა, ჯიმშედის ცოლის სიკვდილისა და ხოსროს ფიცის დარად, იგი რომელიღაც პროზაული ნაწარმოების გალექსილი ვარიანტი იყოს. უპირველესად მივმართეთ „რუსუდანიანს“. ხომ არ არის ის მამუკა ბარათაშვილის მიერ გალექსილ „ჯიმშედიანში“ ჩასართავი მეორე ლექსი? ამ თხზულების ნუშრევანს მართლაც აქვს რეგლამენტირებული დრო, ოღონდ იგი განსაზღვრულია არა ამინდის, არამედ კვირის დღეების მიხედვით. აი, ეს ეპიზოდი:

„...ქალაქსა ყვითლის ქალაქი ჰქვიანო და ხელმწიფისა სახელი ნ უ შ რ ე ვ ა ნ არისო. რომ ნახო, ამას იტყვი: ეს ქვეყნიერი არ არიო, ზეციერს ბაძავსო. წ ე ს ა დ დ ა უ ც ო, თ ვ ი ს თ ვ ე მ დ ი ა მ წ ე ს ი თ ი ქ ც ე ვ ა: დღესა ო რ შ ა ბ ა თ ს ა იხმობს სრულად, რაც გლახანი არიან მისსა საბრძანებელშია, და თავისისა ხელითა ტანსა დამოსს. რასაც წაღება შეუძლია, იმდენს მისცემს. დღესა ს ა მ შ ა ბ ა თ ს ა მოიხმობს ყოველთა ქვრივთა და ობოლთა, განიკითხავს, ვისგანაც ძალი და უსამართლობა სჭირს ანუ ვისგან რა აკლდეს თვისთა სარჩოზედა, მას გაურიგებს, რომე კაცთაგან არა ეჭირებოდეს რა, და აზომსცა მისცემსო, რომ თავისის სარჩოსა და საზრდელისათვინ არა იტანჯებოდენ და არცა ვის სხვას აწყენდენ. კვლავ სხვანი ურიცხვნი გლახანი სხვის ქვეყნისანი, უსადგურონი და უმამულონი, უპატრონონი, კეთროვანნი, მკელობელნი, ბრმანი და საპყარნი არიან ხელმწიფისა

სახლსა და თეითან ზრდის. მართ არის რიცხვითა ათასი, მაგრამ დღესა ოთხშაბათსა კვალად თვისითა ხელითა დაბანს და დამოსს, ასმევს და აჭმევს, თითოს დრაჰკანსა მისცემს, ნუ თუ გული უთქმიდეს საქონლისა შოვნისათვის. დღესა ხუთშაბათსა მონურისა ტანისამოსითა შეიმოსება და ქვეითი დაივლის, რომე არავინ ცნას, თუ ხელმწიფე არისო, და ყოვლისა სასწორთა და სარწყავთა მსყიდველთა და განმსყიდეელსა დაივლის, ამად რომე ბძანება გაცემულია — რითაც იყიდიან, მითვე გაჰყიდიან — და მას დაზვერავს, ნუთუ სიხარბემა დასძლიოსო, დაცვალონო. მაგრამ ვინ იკადრებს მისის ბრძანებისა შეცილებასა! დღესა პარასკევსა უზამს ყოველსა დიდებულსა და მცირებულსა მდივანსა და უზამს ასეთსა სამართალსა, რომე მის საბრძანებელში გულის კლება არა იყოს რა და არცა რას ამხანაგნი ერთმანერთისაგან მდურობდენ, არცა რას მეგობარნი და მეყვისნი სარჩლობდენ და არცა რას მდიდარნი გლახაკზე მძლავრობდეს. დღესა შაბათსა გასცემს ყოველსა საეკლესიოსა სამსახურებელსა, ასრე რომე არას ღმრთის მსახურსა კაცსა არ გაუშვებს, რომელიც მათი სახმარია, ყველა არ მისცეს. ცხრა ჟამამდი ამას გადასწყვეტს. ცხრა ჟამს შევა საყდარშია და უფლისად თვით მეფე და დედოფალი ცხრა ჟამით სამ ჟამამდე ღმერთსა ევედრებიან... რა სამი ჟამი იქნება დღისა, შევალს ყოველი კაცი, ღმრთისა მსახური, ეკლესიათა და თვით მეფე შემოსს ყოვლთა ხელითა თვისითა და ეგრეთ შესწირვენ მსხვერპლსა სჯულისა მათისა წესითა. რა აღასრულებენ, გამოვალს მეფე და გამოასხამს მათაც და თვით თავისითა ხელითა დასხამს, გაუშლის სუფრასა და მიართმევს საჭმელსა და ჩაურიგებს თვითოს მოსახსენებელსა ღვინოსა. მერმე ისიც მათში ჩაჯდება, თვით ხელმწიფე, და წესიერსა და ზომიერსა ლხინსა უჩვენებს მათცა და ისმენს სიტყვათა მათთა და იხარებს მათთანა და უბოძებს ყოველთა მრავალსა, ვის როგორ გაეწყობა. ერთს კვირას ამ წესით იქცევის. მეორე კვირას იწყებს ორშაფათითვე და გააღებინებს კართა საჭურჭლისათა და იხმობს დიდებულთა და მცირებულთა უკლებლად ყოველთა და, რაც კაცისათვის სახმარია, რომელსა რომელი შვენის, ეგრეთვე უბოძებს მრავალთა, ერთსა კვირესა სულ გასაცემშია. ამ წესით გამოივლის თვესა და, რა სხვა თვე დადგება, კვალად ასევე იწყებსო“[94].

ამავე ტიპის მუშაობის განრიგი ვახტანგ მეექვსის მეფობაშიაც არის აღნიშნული. სეხნია ჩხეიძე წერს: „ამა დროსა შინა განაგებდა გამგებელი საქართველოსი, ზნე სრული და მხნე ძლიერი, ჯანიშინად

---

[94] რუსუდანიანი, ი. აბულაძისა და ი. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 247—248.

თქმული, მაგრამ მეფედ წოდებული, ბატონიშვილი ვახტანგ. იყო განსვენებასა და სიხარულსა შიგა და განაგო საქმე საქართველოსი, განაჩინა წიგნი სამართლისა; ო თ ხ შ ა ბ ა თ ს ა და პ ა რ ა ს კ ე ვ- ს ა დაჯდის სამდივნოსა სახლსა, განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა-თანა, კ ვ ი რ ე ს ა და ს ა მ შ ა ბ ა თ ს ა განაგებდა მეჯლისა, ნახევდის ლხინსა, გასცემდის უშურველსა საბოძვარსა და როიცა სამართლისა და ლხინისაგან მოიცალის, ინადირის და გავიდის მოედანსა, აბურთის და ესროდენ ყაბახთა" (გვ. 323).

წინ, იესეს ქართლის განმგებელად დანიშვნასთან დაკავშირებით მოთხრობილია: „...ქნა მეჯლიში და ნახა ლხინი, უბოძა საბოძვარი მრავალი, იყო ამ განცხრომასა და სიხარულსა შიგან, სამართლობდის, განისვენებდის, ყოველსა შ ა ფ ა თ ს ა ქნის მეჯლიში ქართველთა, ს ა მ შ ა ფ ა თ ს — თათრისა, ს ხ ვ ა ს დ ღ ე ე ბ ს ა გავიდის სანადიროდ, შეექცეოდის, საითკენაც ურჩნი იყო, გაუსევდის ჯარსა და უყვის ყათლამი..." (გვ. 321).

ყოველივე ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ, რადგან ძველად სამეფო კარზე მიღებული იყო სამუშაო დღეთა ამგვარი განაწილება, შესაძლებელია საძიებელი ლექსი რომელიმე კონკრეტულ ფაქტს არც ასახავდეს, ან მისი შინაარსი შეგნებულად იყოს შეცვლილი.

გავეცანით, აგრეთვე, ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებს, რომლებშიაც მოქმედი პირი ნუშრევან/ნოშრევანია („შაჰნამე", თეიმურაზ პირველის „იოსებ-ზილიხანიანი", „ქილილა და დამანა"), მაგრამ ჩვენს ლექსს არც მათთან აღმოაჩნდა კავშირი.

ასე რომ, ამ ლექსის ავტორის ვინაობის საკითხი შემდგომ კვლევაძიებას მოითხოვს. სანამ სარწმუნო წყარო გამოჩნდებოდეს, მანამ იგი პირობით ვახტანგ მეექვსის პოეტურ თხზულებებში უნდა მოვათავსოთ.

2. ლექსები, რომლებიც ვახტანგს მიეწერება, მაგრამ მას არ ეკუთვნის

არის რამდენიმე ლექსი, რომლებიც ხელნაწერებსა და სპეციალურ ლიტერატურაში ვახტანგ მეექვსეს მიეკუთვნება, სინამდვილეში კი სხვისია. აქედან ნაწილი გარკვეულია, ნაწილიც — გასარკვევი.

მთელ რიგ ხელნაწერებში, ზოგან დაბეჭდითებით, ვახტანგის თხზულებად არის გამოცხადებული მისი ეპიტაფია, რომელიც ხელნაწერთა კვალობაზე ამგვარადვე გამოქვეყნდა ჯერ „ივერიაში" (1879, № 7), შემდეგ კი პოეტის „ლექსებისა და პოემების" პირველ, 1947 წლის გამოცემაში (გვ. 64):

„მე უმცირესი ძმათაგან, ვახტანგ-ყე სახელდებული,
ოთხს წელ ვქენ მცხეთა, ურბნისი, სადრის კამარა გებული,
ტფილის სიონი კელაკლად შეეძარწე ქანდაკებული,
და ჩემთვისაც სახლი ხარკისა, შიგ ლხინი მოწონებული.

სტამბა მოვიღე ელახეთით, ვამრავლე წიგნთა მელანი,
ქციის რუ ხუნანს ჩავიღე, გაღმითაც მოერწყე ველანი,
მაშაერის რუ ტბას შევრთეე, შიგ ჩავსხი თევზნი ყუელანი,
და ესე მთა მოვინადირე, ვკოცე ირემნი ძველანი.

სამართლის წიგნი აღვსწერე, სამსჯავროდ არა ცილობა;
ვეფხისტყაოსნის თარგმნობა, სხვას წურილთ რაღა ვქნა თქმულობა,
ჩემთანა ყოფთა ჭაბუკთა უქნია კარგა ზრდილობა.
და ბოლოდ მიმიღო სოფელმან სიმდიდრე, მეფეთ შვილობა".

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S 5234 ხელნაწერზე დაყრდნობით ე. მეტრეველმა გაარკვია, რომ ეს ნაწარმოები ეკუთვნის არა ვახტანგ მეექვსეს, არამედ მისი კარის მდივან-მწიგნობარს გივი თუმანიშვილს. ამ ავტოგრაფულ ნუსხაში თვით ავტორი იუწყება, რომ იგი შამბიანის წყაროზე ყოფილა მიწერილი: „ეს ლექსი შამბიანის წყაროზედ სწერია, მდივნის გივის ნათქვამი"[95].

მიუხედავად ამ გამოკვლევისა, სადაც საკითხი ნათლად და დამაჯერებლად არის გადაჭრილი, აღნიშნული „ეპიტაფია" სპეციალურ ლიტერატურაში აქა-იქ შეცდომით კვლავ ვახტანგის ნაწარმოებად მოიხსენიება[96].

ვახტანგ მეექვსის ნახელავი არ უნდა იყოს აგრეთვე „კვინკლოსში" ჩართული ორსტრიქონიანი ლექსი, რომელიც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის Q 225 ხელნაწერში გვაქვს და სადაც, მსგავსად „ეპიტაფიისა", თხრობა პირველი პირითაა მოცემული:

„ქ. პ[ირვე]ლ ასურს ბრძ[ე]ნთგან ფარვით ეს კინკლოსთა საუბარი,
ვახტანგ მოსკოს ცხადად ვწერე სათანადო საუბარი". (85v.)

ხელნაწერის აღწერილობაში ე. მეტრეველი ამ ლექსს ვახტანგ მეექვსის თხზულებად ასახელებს[97].

---

[95] ე. მეტრეველი, ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 43, 1951, გვ. 141—152. ლექსი აქედან გვაქვს დამოწმებული (გვ. 152).

[96] შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. 41; ე. მაღრაძე, გოდება, თბ., 1974, გვ. 63; ს. გამსახურდია, სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975, გვ. 179 და სხვა.

[97] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ახალი (Q) კოლექცია, შედგენილი ე. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 237.

ნუსხა გვიანდელია. როგორც მისი გადამწერის, იოსებ გაბაშვილის, ჩანაწერებიდან ჩანს, იგი მე-18 საუკუნის 60-იანი წლების დასასრულის მომდევნო ხანას განეკუთვნება. ამ დროს არის შეტანილი ეს ლექსიც. სხვაგან ის არ ჩანს და მის შესახებ არც სხვა რაიმე ცნობა მოგვეპოვება.

ვახტანგმა თავისი „კვინკლოსი", როგორც ცნობილია, 1712—1714 წლებში სპარსეთში დაამუშავა. რამდენადაც ჩვენ მისი ნუსხებიდან ვიცით, არსად არაფერია აღნიშნული, ავტორი ასწორებდა თუ არა მას მოსკოვში. უფრო მეტიც: ხელნაწერის აღწერილობაში Q 225-ის „კვინკლოსი" ვახტანგ მეექვსის ნაშრომად არის გამოცხადებული, მაგრამ თვით ხელნაწერში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი[98]. თუ საიდან არის აღებული მასში წარმოდგენილი ცხრილები, საგანგებო კვლევის საგანია. ერთი კი ამთავითვე შეიძლება ითქვას: ეს კალენდარული ნაშრომი ვახტანგ მეექვსის თხზულებას მთლიანი სახით არ იმეორებს.

მეორე მხრივ, ხელნაწერში მოცემულია დიდად საყურადღებო ცნობა, რომ ამ „კვინკლოსით" სარგებლობის წესის შედგენაზე უშრომია ვახტანგ ორბელიანს. აი, ეს ცნობა: „უ[კეთ]უ წელთა სამარადისო დღესასწაული გენებოს, თუცა რომელი(!) წელს რომელსა დღესა მომავალ არიან, დასჭვრიტე იმ წლის ხუთასეულისა ქ[ორონი]კ[ონ]ს და იძიე მის შრესა შინა საძიებელი მზის მოქცევისანი და წარმოვედ ზემორე ხელთისა (!) საუწყებელსა უ (!) თანა და მოიპოვე ცხრილი, რომელი შემზადებულ არს... ჰპოვო, შენდობა წარმოსთქვი ამაზე მშრომლის ვახტანგ ორბელიანისათვის" (22v)[99].

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ლექსში ნახსენები „ვახტანგი" არის არა ვახტანგ მეექვსე, არამედ — ვახტანგ ორბელიანი, ხოლო ლექსი ეკუთვნის არა ვახტანგ მეექვსეს, არამედ — ვახტანგ ორბელიანს ან სხვა ვინმეს.

ვახტანგის „ლექსებისა და პოემების" ორივე გამოცემაში შეტანილია ე. წ. მესტამბეთა ლექსი:

„ნავსაყუდელსა მენავე რა მიელენ, განისვენებენ,
მოყვასთა თვისთა სამყოფთა ნახვა სწადს, მით ისვენებენ;
ჭირთ მყოფნი ლხინსა შესრულნი მას აღარ მოიჩვენებენ;
და რა ბეჭდვა მბეჭდავს უსრულდეს, თავსა არ შეიჩვენებენ".
(1947 წ., გვ. 7; 1975 წ., გვ. 21)

---

[98] დასაწყისში, თხზულების ტექსტიდან გამოყოფილად, სხვა მელნით წერია: „ძველი ქ[ორონი]კ[ო]ნი ესე იტყვის..." (1r).
[99] აღწერილობა, გვ. 237.

ტექსტზე დართულ შენიშვნაში ალ. ბარამიძე იუწყება: „«ნავსაყუდელსა მენავე» დაუცავს 1711 წელს დაბეჭდილ ფსალმუნს, ლექსი გადმომცა ლუბა მეფარიშვილმა“ (1947 წ., გვ. 173; 1975, გვ. 163).

სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრჯერ არის მითითებული, რომ ეს ლექსი მოთავსებულია როგორც 1711 წელს ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ „დავითნში“, ისე 1713 წელს იქვე გამოცემულ „კურთხევანში“[100]. მაგრამ არც ერთში ავტორის ვინაობა გამჟღავნებული არაა. არც ის არის აღნიშნული, თუ რა მონაცემებს ეყრდნობოდა ლ. მეფარიშვილი. ახლახან ამის თაობაზე ვკითხე ქალბატონ ლუბას, რომელმაც გვიპასუხა: რადგან წიგნი ვახტანგმა დაბეჭდა, ალბათ ამის გამო თუ ვიფიქრეთ, ლექსიც მას ეკუთვნისო.

ვახტანგის „ლექსებისა და პოემების“ გამოქვეყნების შემდეგ, მისი გავლენით ამ ლექსს ვახტანგს მიაწერენ სხვებიც.

საძიებელი ლექსი წინ უძღვის ვახტანგის ძმის (იესეს) შვილიშვილის, დიმიტრი ბაგრატიონის, ერთ ლექსს, რომელიც მოსკოვის ქართული სტამბის მუშაკებისადმია მიძღვნილი[101]. ამ ნაწარმოებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მისი პირველი სტროფი ვახტანგ მეექვსისაა. მაგალითად, თუ დ. ბაგრატიონის დასახელებული თხზულების შემცველ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S 1535 ნუსხის აღწერილობაში მ. შანიძე ჩვენთვის საინტერესო სტროფის შესახებ ფრთხილად შენიშნავს — „ლექსს აკუთვნებენ ვახტანგ VI-ს“-ო[102], S 1559 ნუსხის აღწერილობაში გადაჭრით ამბობს: იგი „წარმოადგენს ვახტანგ VI-ის ლექსს“-ო[103].

დ. ბაგრატიონის ლექსის შესახებ მისი მკვლევარი-გამომცემელი რ. ნაკაშიძე წერს: „ტექსტის პირველი სტროფი ეკუთვნის ვახტანგ VI. დ. ბაგრატიონს იგი სათანადოდ გაუვრცია, სადაც იხსენიებს სტამბის დამაარსებლებს“ (გვ. 151).

---

[100] პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1629—1929, თბ., 1929, გვ. 53; ა. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I. ტფ., 1935. გვ. 162; ქ. შარაშიძე. პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), გვ. 103, 194. 201, და სხვა.

[101] დიმიტრი ბაგრატიონი, დიმიტრიანი (ლექსები და პოემები), გამოსაცემად მოამზადა რარა ნაკაშიძემ, თბ., 1978, გვ. 72.

[102] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველის და მზ. შანიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1961, გვ. 336.

[103] იგივე აღწერილობა, III, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძის და ქ. შარაშიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 11.

ნავთსაყუდელში მენავეთა შესვლასა და მით გამოწვეულ შვებაზე ძველ ქართულ მწერლობაში ბევრგან არის საუბარი. გრიგოლ ნოსელის თხზულებაში „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსა“, რომლის თარგმანი გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „ტკბილ არს უკუე და მაცხოვარ მენავეთა ნავთ-საყუდელი, და შემდგომად ზღუასა შინა ძვრის-ხილვისა შესავედრებელსა რასმე მყუდროსა შევედრებაჲ, რომელსა შინა დაივიწყიან ჭირნი იგი ზღვისანი და ყოველნივე განსუენებად მიიქცნიან, და გრძელთა მათ შრომათა მყუდროებითი ნუგეშინის-სციან, რაჟამს იგი არღარა არს მათ შორის შიში დანთქმისაჲ, არცა ქვათა მათ დაფარულთათჳს გონებაჲ, არცა ავაზაკთათჳს ურვაჲ, არცა ქართა კუეთებაჲ, არცა აღდუღებაჲ სიღრმეთაჲ, არამედ ყოველთავე ესევითართა ჭირთაგან თავისუფალ იქმნებიან ღელვა-გუემულნი იგი, უფსკრულთა შინა ნავთსაყუდელსა რაჲ შეევედრნენ.

აწ უკუეთუ ვინმე სული თჳსი ესრეთ დააყუდოს, რაჲთა თჳთცა მყუდროებასა შინა იყოს უღელვოსა და არცა სულთა მიერ ბოროტთა აღიძრვოდის...“[104].

არჩილი თავის გალექსილ „ვისრამიანში“ წერს:

„ზღვის ღელვისგან ნავთმოძღვარი მაშინ არი უშიშარი,
ოდეს ჰპოოს ნავთსადგური, წყალი ტკბილი, არ თუ მწარი...“[105]

თვით ვახტანგის „სიბრძნე მალაღობელში“ გვაქვს:

„რა ზღვა აღელდეს სასტიკად, საზაროდ მჟოფინარენი,
ნავთსაყუდელი მენავეს მიაჩანს სალხინარენი...“ (399. 1—2)

ამ მასალათა გამო შეიძლება კაცმა იფიქროს, ეს მოარული გამოთქმა მენავეებზე ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებში დამოუკიდებლივ გაჩნდაო. მაგრამ თვალნათლივ ჩანს, ეს ასე არ არის. მისი წყარო გამოკვლეულია.

ვახტანგისეული სტამბის ისტორიკოსთა ნაშრომებში ნაჩვენებია, რომ საძიებელი ლექსი რუმინულ ენაზე, ქართული ტრანსკრიფციით დაბეჭდილია იმავე ვახტანგის სტამბიდან ერთი წლით ადრე, 1710

---

[104] გ უ ლ ნ ა ზ კ ი კ ნ ა ძ ე, გიორგი მთაწმიდელის თარგმანი გრიგოლ ნოსელის თხზულებისა „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ“ (ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი), სადისერტაციო შრომა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1967, ხელნაწერი ნაშრომი დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, გვ. 67.

[105] ა რ ჩ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, არჩილიანი, I, თბ., 1936, სტრ. 27, 1—2.

წელს, გამოსული „კონდაკის“ უკანასკნელ გვერდზე. იქვეა მისი პროზაული ქართული თარგმანიც: „ქ. ვითარცა უცხონი იხარებენ ხილვასა ზედა თვისთა სამკვიდრებელთასა და ზღუათა შინა მავალნი ხილვასა ზედა ნავთსაყუდელისა, ეგრეცა მესტამბენი იხარებენ განსრულებასა ზედა წიგნთასა“[106].

ა. შანიძემ ფრანგი მეცნიერის ემილ პიკოს გამოკვლევის მიხედვით შენიშნა, რომ ქართული ასოებით „კონდაკში“ წარმოდგენილი რუმინული ლექსი დართული აქვს ანთიმოზ ივერიელის მიერ რუმინეთში 1697 წელს გამოქვეყნებულ „სახარებას“ (გვ. 164). ამასვე აღნიშნავდა შემდეგ გ. ლეონიძეც, ოღონდ შეცდომით წერდა, თითქოს ქართულ-რუმინული ლექსი მოთავსებული იყოს 1709 წელს თბილისში დაბეჭდილ „სახარებაში“. რუმინული „სახარების“ გამოცემის თარიღად ასახელებს 1691 წელს[107].

ბოლოს, შ. კურდღელაშვილმა რუმინელი მკვლევრის პ. კონსტანტინესკუ-იაშის ნაშრომების დამოწმებით დაადასტურა, რომ „1697 წელს სნაგოვის მონასტერში ანთიმოზის მიერ დაბეჭდილი რუმინული «სახარების» ბოლოში დართული ლექსისა და 1710 წელს თბილისში დასტამბული «კონდაკის» ტექსტის ბოლოს მოთავსებული ლექსის ტექსტები სრული იდენტურია“[108].

რუმინელ და სხვა მკვლევართა დასკვნით, ამ რუმინული ლექსის ავტორია ანთიმოზ ივერიელი.

მაშასადამე, დოკუმენტურად დამტკიცებულია, რომ, თუმცა საკვლევი „ლექსის პირველი ვარიანტი საუკუნეთა სიღრმიდან უნდა მომდინარეობდეს“[109], მაგრამ ქართული ტექსტის უშუალო წყარო რუმინული ლექსია.

მეორე საკითხია: ხომ არ არის ვახტანგი რუმინული ლექსის პროზაული თარგმანის გამლექსავი?

ასე რომ იყოს, ვფიქრობთ, სათანადოდაც იქნებოდა აღნიშნული. ვახტანგის სტამბიდან გამოსულ ყველა წიგნში ჩვეულებრივ მითითებულია, რაც მას ეკუთვნის.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს 1721 წელს დაბეჭდილი ვახტანგის ნაშრომის „ქმნულების ცოდნის წიგნის“

---

[106] დასახელებული ლიტერატურა: პ. გუგუშვილი, გვ. 53; ა. შანიძე, გვ. 161; ქ. შარაშიძე, გვ. 103, 188. და სხვა.

[107] გ. ლეონიძე, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის, „დროშა“, 1951, № 2, გვ. 17.

[108] შ. კურდღელაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 56.

[109] ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში..., გვ. 104. აქვე მითითებულია, რომ ანალოგიური შინაარსის ანდერძი ახლავს „ერთ-ერთ უძველეს რუსულ ხელნაწერს“.

ის ცალი, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში E 19 ნომრითაა დაცული. ვახტანგს ნაშრომის ტექსტი ბლომად უსწორებია, მაგრამ ხელუხლებლად დაუტოვებია მესტამბეთა ლექსი, რომელიც აქ განსხვავებული რედაქციითაა მოცემული:

„მენავე ღელვა-გვემული განერის ზღვისა წყრომასა,
გალატოზნი და ხურონი რა მორჩენ თვისსა შრომასა,
მათს სიხარულსა ვინ დასთვლის, ანუ შვებისა ზომასა,
და მესტამბე მათგან უაღრეს იქს სიხარულის ნდომასა"[110]. (78v.)

ეს ფაქტი შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ამრიგად, არსაიდან ჩანს, ვახტანგ მეექვსეს რაიმე მონაწილეობა მიეღოს მესტამბეთა ლექსის დამუშავებაში. იგი მისი თხზულებებიდან ამოღებულ უნდა იქნეს.

ვახტანგს მიეწერება აგრეთვე ერთი ნართაული, პორნოგრაფიული ხასიათის ოთხსტრიქონიანი ლექსი, რომელსაც თავის მხრივ კიდევ რამდენიმე, სხვადასხვა შინაარსის მქონე სტროფი უკავშირდება. ეს ლექსი ხელნაწერებსა და პუბლიკაციებში რამდენადმე განსხვავებული სახით იკითხება. ერთ-ერთი ვარიანტია:

„ამართა ბროლისა სვეტი, რა მზემან ნახა, იამა,
უფრჭკენელი ვარდი კოკობი მიზიდვით მიიზია მა;
სამთავე ერთად იდინეს — ბროლმან, ლალმან და იამა,
და იტეირთა ცვარი ობოლი სადაფის კარმან ღიამა".

ამ სტროფს ვახტანგ მეექვსეს მიაკუთვნებს ორი ხელნაწერი. ერთია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ონანა მდივნის გალექსილი „ბარამიანის" ნუსხა[111] (№ 15), რომელიც, ე. თაყაიშვილის ცნობით, დედნიდან გადაწერილია 1769 წელს, ხოლო „გამართულია (შესწორებულია) დავით რექტორის მიერ 1788 წელს"[112].

აქ თავში დავითს მიუწერია რამდენიმე ლექსი, რომლებიც, მისი აზრით, სულხან-საბა ორბელიანს, არჩილს, ვახტანგ მეექვსეს, ანა ხა-

---

[110] მითითებული ლიტერატურიდან ეს ლექსი დამოწმებული აქვთ: პ. გუგუშვილს — გვ. 61, ა. შანიძეს — გვ. 162, ქ. შარაშიძეს — გვ. 103, 207.

[111] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 48. გადაბეჭდილია მისი „რჩეული ნაშრომების" პირველ ტომში, გვ. 108—109.

[112] ხელნაწერის ფოტოფირი აქვს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს.

ნუმსა და სხვებს ეკუთვნით. ჩვენთვის საინტერესო სტროფს უძღვის წარწერა: „მეფის ვახტანგის ნაბძანები და მსმენელთა გასინჯეთ ჰაზრი“ (სურ. 8).

მეორეა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S 1543 ნუსხა, გადაწერილი მე-19 საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს (ქაღალდის ჰვირნიშანი — 1816 წ.), რომელიც სხვადასხვა ავტორთა მხატვრული თხზულებებისაგან შედგება. აქ სათაურით „მეფის ვახტანგისაგან ნაბძანები“ (74r) მოთავსებულია ვახტანგის პოეტური ქმნილებებიდან ამოკრებილი მაჯამური ლექსები, სადაც ბოლოს 3 უცნობ სტროფთან ერთად საძიებელი სტროფიც არის. სახელდობრ:

1. „ქ. მიკვირს, თავი, ტანი, ფეხი ესრეთ ვითა ელამაზნეს?
ზორ-ტანისა უსულითა ესაროვნეს, არ ევაზნეს;
ქარვის გარე გიშრის ბანდნი პირ-ნაქუფრად დაებანდნეს,
საუბრისა საკრძალავად ლალის კარნი დაეზარნეს.

2. ქ. უსუფელობ შენ ლამაზი, მზე მგონი ხარ, დგახარ რაზი,
ვინათგან ხარ ეგრე ნაზი, მნათობები იქით გაზი;
ხარ ფილთაფელთ დანახაზი, არეისგან ხარ მონაკმაზი,
რად დაგიხშავს ლალთა რაზი, მარგარიტთა ბუდე აზი.

3. ქ. ამართნა ბროლისა სვეტი...

4. ქ. ორნივ ერთად ვთამაშობდით: — შენ ქურციკი, მე ავაზი,
მე ულვაში სუმბულითა შენ თან თმითა მუშკ-ავაზი,
შენ ვარდი და მე ბულბული, შენ კაკაბი, მე გავაზი.
შეგეყრები პირს[113] გაკოცებ, მომეწყინა მე თავაზი“. (77v—78r)

კ. კეკელიძეს თავისი „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის პირველ (1924 წ., გვ. 430) და მეორე (1941 წ., გვ. 550) გამოცემებში S 1543 ხელნაწერიდან მოჰყავს მხოლოდ ეს ერთი, მესამე სტროფი („ამართნა ბროლისა სვეტი...“) და ვახტანგის ქმნილებად განიხილავს მას. ბოლო გამოცემებში კი ე. თაყაიშვილის ხსენებული პარიზული ნუსხის აღწერილობისა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S 118 და S 1087 ნუსხებზე მითითებით აღნიშნულ სტროფს „ამართნა ბროლისა სვეტი...“ უმატებს კიდევ 3 სხვა სტროფს და მათ ვახტანგის ნაწარმოებებად წარმოგვიდგენს, ესენია:

1. „ალმართნა ბროლისა სვეტნი...

2. ორსა ბროლისა ბურთსა შუა, შიგან, უფასო თვალია,
იაგუნდისა აუზი, მაშიგან ვარდის წყალია:

---

[113] ხელნაწერშია „პირირს“.

გარშემო ჭალა აელია, ვერ დასწვავს ნაპერწკალია.
ყველა მაზედან ვარჯიშობს: მეფე და ჯართაც ხმალია.

3. ვთქვი: თუ ჩემგან მისი შეყრა არ ეგების არაოდეს,
ზღვა ფონად არა ძალმიც, ვერ გადვიქცევ თავსა ოდეს,
ცუდად შერების ქეიშათ მთხრელი, თუ ხელითა ცასა ზომდეს,
ხელს არ მისცემს ჭერეტა მისი, უმეცრებით ვინცა რბოდეს.

4. მოლოდინი ვირემ ვშინჯო კედელი თუ ანუ კარი,
როდეს იქმნას — მთვარე ვნახო, ამისრულდეს სანუკვარი;
თუ არ ვნახო, როგორ გავსძლო, თვალთა ცრემლი ვაწანწკარი,
ეგრე მექნას სტავრის ნაცვლად გარს ნაბადი მოსაკარი". (გვ. 602).

მეცნიერი ასე მსჯელობს: „ჩვენ გვგონია, რომ, რადგანაც ვახტანგის «მაჯამა» მართლა მისი სხვადასხვა ნაწარმოებიდანაა ამოკრებილი, მასვე უნდა ეკუთვნოდეს ის ოთხსტროფიანი ლექსი, რომლის დასაწყისს შეადგენს «აღმართნა ბროლისა სვეტნი» (მეცხრე მაჯამის ნაწილი) და რომელიც ავტორის დაუსახელებლად გვხვდება ხელნაწერებში. რაიმე მიზეზით ეს ლექსი, რომელიც შინაარსითა და ფორმით სავსებით უდგება ვახტანგის პოეზიის სულსა და გულს, ალბათ, ამოვარდა ვახტანგის თხზულებათა კრებულიდან, შეიძლება თვითონ ვახტანგმა ამოიღო ის იქიდან. ლექსი რომ ვახტანგს ეკუთვნის, ეს დამოწმებულია 1769 წლის ერთ ხელნაწერში (ლაპარაკია პარიზულ ნუსხაზე. — ბ. დ.), რომელშიაც მოყვანილია მეორე სტროფი («აღმართა ბროლისა სვეტი...» — ბ. დ.) ვახტანგის სახელით" (გვ. 601—602).

როგორც აქ შენიშნულია, S 118 (ფ. 26) და S 1087 (გვ. 39) ხელნაწერებში ეს სტროფები ავტორდაუსახელებლადაა მოცემული. ასევეა S 2267 ნუსხაშიაც (ფ. 14). სამივე ხელნაწერი გვიანდელია, მიეკუთვნება მე-19 საუკუნეს. აღნიშნული სტროფები მოსდევს „ნარგიზოვანს". ამიტომაა, კ. კეკელიძე წერს: „...ამასთან არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ გარემოებას: ეს ლექსი («აღმართნა ბროლისა სვეტი...» — ბ. დ.) ზოგიერთ ხელნაწერში მოთავსებულია გარსევან ჩოლოყაშვილის «ხილთა ქებასთან» (S 118, S 1087), თან სიტყვები «თვალთა ცრემლი ვაწანწკარი» მოგვაგონებს გარსევანის ამგვარ გამოთქმას, თუმცა მას დავით გურამიშვილთანაც ვპოულობთ (1955 წლის გამოცემა, გვ. 24, 120, 132)"[114]. ხოლო ლ. ქუთათელაძე S 1087 ნუსხის აღწერილობაში გარსევან ჩოლოყაშვილის დასახელების შემდეგ ამ სტროფების ავტორის განსასაზღვრავად კითხვითი ნიშნით წერს: „მისივე?"[115].

---

[114] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 601, შენიშვნა 3.
[115] ტ. I, გვ. 635.

ნამდვილად კი სამივე ხელნაწერში ეს სტროფები გამოყოფილია წარწერით: „დასრულდა ნარგიზოვანი“.

ზ. ჭიჭინაძე და მის კვალობაზე ა. ხახანაშვილი ამ ოთხ სტროფს არჩილს მიაწერენ, — თუ რატომ, არც ერთი და არც მეორე არაფერს ამბობს[116].

ზოგიერთ ხელნაწერში მეორე სტროფი („ორსა ბროლისა ბურთს// ბურჯს შუა...“) ცალკეც გვხვდება, მაგრამ არსად ავტორი აღნიშნული არ არის. ასეა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერებში: S 2385 (90r. მიწერილია ფანქრით თანამედროვე ხელით), S 4631 (131r), S 5315 (616v.). ესენი მე-19 საუკუნის ნუსხებია.

ხსენებული სტროფი უავტოროდაა მოყვანილი აგრეთვე პარიზულ № 15 ხელნაწერში. აქ იგი მოსდევს სტროფს „აღმართნა ბროლნი სვეტისა...“ შუაში წერია: „ე ს ს ხ ვ ი ს ნ ა თ ქ ვ ა მ ი ა რ ი ს, ხუმრობაა, თორემ ან რა სათქმელია და ან რა დასაწერი“. მთავრდება წარწერით: „ეს ცუდი ლექსია. ამისთვის როგორ დაშვერ? ამისი შემდგომი უცხო ვიცოდი, მარამ (!) დაწერა არ ვაჯობინე. ეს კი წაშალე!“

ე. თაყაიშვილის აღწერილობაში კი ისეა წარმოდგენილი, თითქოს ხელნაწერში ის ვახტანგს მიეკუთვნებოდეს. მკვლევარი წერს: „პირველ გვერდზე ხელნაწერისა სხვადასხვა ხელით სწერია ცნობილი ლექსები: ყაფლანიშვილის საბასი (საბა ორბელიანის), არჩილ მეფისა, ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ვ ს ი ს ა; ს ხ ვ ა თ ა შ ო რ ი ს მ ი ს ი გ ა მ ო ც ა ნ ა“ და სრულად დამოწმებულია ეს სტროფი: „ორსა ბროლისა ბურთს შუა...“

როგორც ვნახეთ, ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება.

მაშასადამე, რამდენადაც დღესდღეობით გამოვლენილი მასალები გვიჩვენებს, კ. კეკელიძის მიერ, როგორც თვითონ უწოდებს, „აღდგენილი სახით“ მოყვანილ ოთხ სტროფს არც ერთად და არც ცალცალკე რომელიმე ნუსხა ვახტანგის ნაწარმოებად არ ასახელებს. გვრჩება მხოლოდ S 1543-ისა და პარიზული „ბარამიანის“ მონაცემები.

S 1543-ის ტექსტი გამოაქვეყნა ალ. ბარამიძემ ჯერ 1928 წელს[117], შემდეგ ვახტანგის „ლექსებისა და პოემების“ ორივე გამოცემაში

---

[116] ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს ა. თბ., 1888, გვ. 23; А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. III, Москва, 1901, с. 99; მ ი ს ი ვ ე, ქართული სიტყვიერების ისტორია (უძველესი დროიდან XVIII საუკ. გასულამდე), ტფ., 1904, გვ. 475.

[117] ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, რედაქტორი ი ა ე კ ა ლ ა ძ ე, ტფ., 1928, გვ. 142.

(1947 წ., გვ. 43—50; 1975, გვ. 50—56). ამ ბოლო პუბლიკაციებში „ამართნა ბროლისა სვეტი...“ და მასთან მოთავსებული ზემოთ დამოწმებული 3 სტროფი (IX თავი) მეცნიერმა ვახტანგის „მაჯამებიდან“ სხვა შრიფტით გამოჰყო. შენიშვნაში აღნიშნა, რომ ისინი „მაჯამები“ არ არის და სხვა მონაცემებითაც საეჭვოა, რომ ვახტანგს ეკუთვნოდეს. მკვლევარი ასე მსჯელობს: „«მაჯამის» ბოლო თავი (IX, 55—58) ნამდვილად არც არის «მაჯამა», ე. ი. ომონიმური ლექსი. ეს ბოლო თავი სხვა მხრივაც იწვევს ეჭვს, აქ ძლიერ იგრძნობა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის პოეტიკური სული, კერძოდ ბესიკის რითმა (რაზი, გაზი...). ამიტომ ეს ნაწილი თუმცა სისრულისათვის დავბეჭდეთ, მაგრამ განსხვავებული შრიფტით, პეტიტით გამოვყავით“ (1975 წ., გვ. 164).

მიუხედავად ამ შენიშვნისა, გარდა სტროფისა „ამართნა ბროლისა სვეტი...“, სამეცნიერო ლიტერატურაში ვახტანგ მეექვსის თხზულებად განიხილავენ აგრეთვე მასთან მდგომ სხვა სტროფებსაც. მაგალითად, ასეთად მიიჩნევს გ. ლეონიძე ბოლო სტროფს — „ორნივ ერთად ვთამაშობდით...“[118]

რამდენად სანდოა S 1543-ისა და პარიზული ნუსხის ეს გვიანდელი მონაცემები?

დავიწყოთ იმით, რომ სხვა ხელნაწერები მათ მხარს არ უჭერს. უპირველესად უნდა დავასახელოთ ხელნაწერთა ინსტიტუტის S 1516 კრებული. ეს ნუსხაც S 1543-ის დროინდელია. თუ ამ უკანასკნელის ჭვირნიშანია 1816 წ., მისია — 1819 წ. მსგავსად S 1543-ისა, აქაც გვაქვს ვახტანგის თხზულებებიდან ამოკრებილი „მაჯამები“, ოღონდ მას არ ახლავს ის ბოლო ოთხი სტროფი, რომლებშიაც შედის „ამართნა ბროლისა სვეტი...“ („მიკვირს თავი, ტანი...“, „უსუფეობ შენ ლამაზი...“ და „ორნივ ერთად ვთამაშობდით...“). მეორე მხრივ, ასევე მე-19 საუკუნეში გადაწერილ იმავე ინსტიტუტის S 1576ბ ნუსხაში ვახტანგის „მაჯამების“ გარეშე ერთად არის წარმოდგენილი ეს ოთხი სტროფი, მაგრამ უავტოროდ, დასახელებული არაა, თუ ვის ეკუთვნის ისინი.

როგორც მიუთითებენ, სტროფი „ამართნა ბროლისა სვეტი...“ ხელნაწერებში ცალკეც გვხვდება, მაგრამ ვახტანგს არსად მიეწერება. ასეთია ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხები H 1282 (116г.)[119], A 1164 (55г.), სადაც კრიპტოგრაფიულად წერია, ხოლო S 3723-ში თეიმუ-

---

[118] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 219.

[119] თუმცა ამ ნუსხის აღწერილობაში ავტორად ვახტანგ მეექვსეა გამოცხადებული (ტ. III, გვ. 217).

რაზ პირველს მიეკუთვნება[120] (39r). ეს ნუსხებიც გვიანდელია, მე-19 საუკუნისაა[121].

სანდოდ ვერ მივიჩნევთ „ბარამიანის“ პარიზული ნუსხის მინაწერებსაც, რადგან ისინი არეულ-დარეულ ცნობებს შეიცავენ. მაგალითად, იქ „მეფის არჩილის ნაბძანებად“ არის გამოცხადებული იაკობ შემოქმედელის არჩილისადმი მიძღვნილი კარგად ცნობილი ხოტბა „მხნე-ახოვან, ქველ-დიდებულ, ისარ-ლესულ ძლიერისა...“ და მისი ფორმალისტური სტროფი — „აბანაკად, აბანაკად, აბანაკად, აბანაკად...“, — პოემიდან „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“ (სტრ. 43)[122].

აღარაფერს ვამბობთ ლექსზე „ალმას ბასრი გალესული...“, რომელიც დღეს არჩილის თხზულებად არის ცნობილი[123], იქ კი სულხან-საბა ორბელიანს მიეწერება. თავს ვიკავებთ იმიტომ, რომ ამ სტროფს სულხან-საბას მიაკუთვნებს აგრეთვე სხვა ნუსხებიც[124].

რადგან სიტყვამ მოიტანა, ზემოთ არ გვითქვამს და აქ ვიტყვით: S 1543 და მასთან მდგომ ნუსხებში (S 1087, S 2267) „ალმართნა ბროლისა სვეტსა...“ და მომდევნო სტროფებს („ორსა ბროლისა ბურთს

---

[120] ალ. ბარამიძე, ტექსტისათვის, წიგნში: თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 016.

შესაძლებელია ეს შეცდომა გამოიწვია თეიმურაზის „ვარდ-ბულბულიანის“ მე-14 სტროფმა, რომელიც რითმებითა და ზოგიერთი გამოთქმით საძიებელ სტროფს ჩამოჰგავს:

„დაუსწრო პირველ ყოველთა ყვავილთა მოსვლა იამან,
მოგვართვა სული სურნელი, იგ საყნოსელმა იამან;
თავმოდრეკილმა სიმდაბლით არ თავი გაიზვია მან,
და ტკბილად შეხედნა თვალმან და გულისა კარმან ღიამან“.

[121] როგორც ი. გრიშაშვილი გვამცნობს, ეს სტროფი უავტოროდ არის მოყვანილი აგრეთვე მამამისისეულ „დარიჩინისფერ რვეულში, რომელიც გადაწერილი ყოფილა წყაროსუბნელ ბუჩუღა გარსუასასაგან“ (ი. გრიშაშვილი, სათნოვა, ტფ., 1918, გვ. 46, შენიშვნა. გადაბეჭდილია მის თხზულებათა ხუთტომეულის მესამე ტომში, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ლ. მეფარიშვილმა, თბ., 1985, გვ. 72).

სამწუხაროდ, ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ხელნაწერთა კატალოგი გამოცემული არ არის. ძველი ნუსხები სათანადოდ დალაგებული (გამოყოფილი) და აღწერილი არც ადგილზე არის. ამის გამო აღნიშნული ხელნაწერი ჩვენთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

[122] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა S 342 (გვ. 281) და სხვა.

[123] არჩილიანი, I, გვ. 273.

[124] დავასახელებთ ხელნაწერთა აღწერილობების მიხედვით: S 390 (ტ. I, გვ. 487), S 424 (იქვე, გვ. 541), S 1508 (ტ. II, გვ. 247), Q 548 (ტ. II, გვ. 32) და სხვა.

შუა...“, „ვთქვი თუ ჩემგან...“ და „მოლოდინი ვირემ ვშინჯო...“) ბოლოს მიჰყვება „აბდულმესიანის“ სტროფი — „ბრძანონ სამალად. არ თუ სამალად...“[125]. ეს ხუთი სტროფი S 118 და S 2267 ნუსხებში მომიჯნავე თხზულებებისაგან თავში და ბოლოში ხაზითაც არის გამოყოფილი. კ. კეკელიძეს „აბდულმესიანის“ ხსენებული სტროფი არ მოჰყავს. რადგან „აღმართნა ბროლისა სვეტს...“ და მის მიმდევარ სტროფებს ვახტანგს ვაკუთვნებთ, მაშინ ამ ლოგიკით ასევე უნდა მოვპყრობოდით „აბდულმესიანის“ ხსენებულ სტროფსაც. როგორც ვხედავთ, ამგვარმა განსჯამ აბსურდამდე მიგვიყვანა!

„აღმართნა ბროლისა სვეტი...“ საკმაოდ პოპულარული ლექსი ჩანს ძველად. მისი გახალხურებული ვარიანტი თ. რაზიკაშვილს ჩაუწერია ქართლში:

„ჩემო ამ სოფლის სიცოცხლევ,
მაცოცხლებელო გულისა!
შენი თვალ-წარბის ჭირიმე
მაგ შენი წმინდა სულისა.

მიამბობენ შენსა ქებას,
სილამაზეს თავისასა,
გაელასა და გამოელასა,
სილერწამეს ტანისასა,
ისე მოეკვდე, რომ ვერ ვნახო,
რას მიბრძანებ ამისასა?

ამართე სამანი ბროლი,
როცა რო ნახოს იამა,
იდინოს ცვარმა ოქრომა,
სადაფის კარმა ლიამა,
სამთავემ ერთად ვიაროთ
ლალმა, ბროლმა და იამა“[126].

ამ პოპულარობის გამო უნდა იყოს, რომ ხელნაწერებში იგი მეტწილად ზეპირად ჩაწერილი ჩანს, რამაც თავის მხრივ, ბუნებრივია, გამოიწვია ვარიანტები და განსხვავებული ცნობები ავტორობის შესახებ. მაგალითად, „ბარამიანის“ პარიზული ნუსხის დასახელებულ

---

[125] ძველი ქართველი მეხოტბენი, II, იოანე შავთელი, აბდულმესიანი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1964, გვ. 125.

[126] ხალხური სიტყვიერება, ლექსები, ანდაზები, სიტყვის მასალა და გამოცანები, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1916, გვ. 295; გადაბეჭდილია „ქართული ხალხური პოეზიის“ მეექვსე ტომში (შემდგენელნი: ე. ვირსალაძე, გ. ბარნოვი, თბ., 1978, გვ. 60).

მინაწერში დავით რექტორი ანა ხანუმის ლექსის შესახებ აღნიშნავს: „ქ. ანისა ხანუმის ნათქვამი, ვ ჰ გ ო ნ ე ბ, სანატრელს ცხებულს საქართველოს მეფის თეიმურასზედ“.

იმავე დავით რექტორს ამ ნუსხაში „ამართნა ბროლისა სვეტი...“ (შემდეგ რომ გადაუხაზავს) პირველად იმ ლექსებს შორის მოუთავსებია, რომლებსაც არჩილს მიაწერს. ესენია იაკობ შემოქმედელის „მხნე-ახოვან, ქველ-დიდებულ...“ და „აბანაკად, აბანაკად...“.

თვით ა. წერეთელიც ამ ლექსის შესახებ მეხსიერებაზე დაყრდნობით უნდა მსჯელობდეს: „მეფე ერეკლემ რომ რძალი მიიყვანა, კათალიკოსი ხუმრობით შეეკითხა ძმას: «წუხელ როგორ გაატარე დროვო». და პასუხად მიიღო შემდეგი ლექსი: «აღმართა ბროლისა სვეტნი...»“. „ეს ლექსი — აგრძელებს აკაკი, — დაბეჭდილია დავით ჩუბინოვისაგან“[127].

ა. წერეთელს მხედველობაში დ. ჩუბინაშვილის „ქრისტომატია“ უნდა ჰქონდეს, მაგრამ, როგორც ლ. მენაბდე მიუთითებს, იქ „აღნიშნული სტროფი დაბეჭდილი არაა“[128].

საკვლევი სტროფის წარმომავლობის განსაზღვრისათვის სარწმუნო მონაცემს იძლევა ნოდარ ციციშვილის „ბარამგურიანი“. გ. მიქაძემ პარალელი გაავლო ამ სტროფსა და „ბარამგურიანის“ 1353-ე სტროფს შორის და დაასკვნა, რომ „აღმართნა ბროლისა სვეტი...“ „დაწერილია ნოდარ ციციშვილის «ბარამგურიანის» ძლიერი გავლენით“. ამიტომ იგი, ისე როგორც «მაჯამის» მეცხრე თავი, ვახტანგის კალამს არ ეკუთვნის“[129]. აი, როგორი სახისაა იგი ხსენებულ თხზულებაში:

„აღემრნეს მანა ბროლისა, რომე შეიპყრა მზე ამან,
უფრჭკვნელსა ვარდსა კოკობსა ჯრით შეჰქდა, შეიზია მან;
ორგნითვე იწყეს დადენა ბროლ-ლალამან, ვარდმან, იამან,
და იტეირთა ცვარნი ობოლნი სადაფთა კარმან ლიამან“[130].

---

[127] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV, თბ.. 1961. გვ. 329.

ი. გრიშაშვილი იგონებს: „ეს ლექსი ჩემი ბავშვობის დროს აკაკისგან მქონდა განაგონი «ნიშადურის» რედაქციაში“ (ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი 5 ტომად, III. გვ. 72).

[128] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973, გვ. 206.

[129] გ. მ ი ქ ა ძ ე, ფილოლოგიური ძიებანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, № 4 (13), გვ. 190—192.

[130] ნ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, შვიდი მთიები, ბარამ-გური, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით, თბ., 1930, გვ. 164.

ჩვენ ვთხოვეთ ირინე ასათიანს, რომელიც სწავლობს „ბარამგურიანის" სპარსულ წყაროებს, შეემოწმებინა ამ სტროფის დედანთან მიმართება. მან გაარკვია, რომ „იმ სპარსულ პოემებში, რომელთა მიბაძვითაც დაუწერია ნ. ციციშვილს «ბარამგურიანი», ეს სტროფი მეშვიდე ამბის შესავლის ბოლოს არ გვხვდება, მაგრამ მსგავსი შინაარსის სტროფები მრავლად არის გაბნეული ამ თხზულებებში (იგულისხმება ნიზამის «შვიდი მზეთუნახავი», ხოსრო დეჰლევის «რვა სამოთხე», ნავოის «შვიდი მგზავრი»)[131]. მანვე დაადასტურა, რომ „ეს სტროფი ბარამგურიანამდე არ ჩანს", ხოლო იგი მის ყველა (ოთხივე) ხელნაწერში დასტურდება.

თუ დასახელებულ ხელნაწერებში გაბნეულ ამ სტროფს შევადარებთ „ბარამგურიანისეულ" ტექსტს, ვნახავთ, რომ გამოთქმა ისინი „დაწერილია" ამ უკანასკნელის „ძლიერი გავლენით" უთუოდ ცოტაა. ნამდვილად კი საქმე გვაქვს ერთ ლექსთან და მის ვარიანტებთან, რომლებიც ჩვეულებრივ ჩნდება ხოლმე გადაწერისას და მეტადრე — ზეპირად გავრცელების დროს. აქა-იქ ამ ნუსხებშიაც შეიმჩნევა დედნისეული წაკითხვა ან მისი კვალი. მაგალითად. „ბარამგურიანისეული" ტექსტის მეორე სტრიქონში გვაქვს: „ჯ რ ი თ შეჰხდა, შეიზია მან". S 1543-ში, სადაც იგი ვახტანგს მიეწერება, არის: „მ ი ზ ი დ ვ ი თ მიიზია მა". პარიზულ და სხვა ნუსხებში (S 118, S 1087, S 2267) შემონახულია დედნისეული ფორმა: „ჯ რ ი თ შედგა, შეიზია მა (შეისიამა S 118, შეესმა S 2267)". ი. გრიშაშვილის ხელნაწერი: „ჯ ი რ ი თ ვკარ. შ ე ი ხ ი ა მან".

„ბარამგურიანის" მესამე სტრიქონში ვკითხულობთ: „ო რ გ ნ ი თ ვ ე ი წ ყ ე ს დადენა". S 1543-შია: „ს ა მ თ ა ვ ე ე რ თ ა დ იდინეს". პარიზული და ხსენებული ნუსხები: „ო რ თ ა ვ ე დენა დ ა ი წ ყ ე ს".

ძირითადი განსხვავება „ბარამგურიანისეულ" და ხელნაწერთა ტექსტებს შორის პირველი სტრიქონის სამ სიტყვაშია[132]. „ბარამგურიანში" არის:

„ა ღ ე ძ რ ნ ე ს მ ა ნ ა ბროლისა, რომე შ ე ი პ ყ რ ა მზე ამან".

დანარჩენებშია:

„ა ღ მ ა რ თ ა (//აღმართნა) ბროლნი ს ვ ე ტ ი ს ა (//ბროლისა სვეტი)
რა მზემან ნ ა ხ ა იამა".

---

[131] ნ. ასათიანის ნაშრომი გადაცემულია დასაბეჭდად ჟურ. „მაცნეში" (ენისა და ლიტერატურის სერია).

[132] აღარაფერს ვამბობთ იმ განსხვავებებზე, რომლებიც ამ სტროფს ხელნაწერებში მოეპოვება.

პირველისაგან გრაფიკულ და ასოციაციის ნიადაგზე თავისუფლად შეიძლებოდა მიგვეღო მეორე ვარიანტი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „მანა არს პალი და მომცრო მარგილი; მანა არს საღილე ქალთა... ფილასოფოსთა სიტყვითა მან მამლად ითქმის, ხოლო მანა — დედლად..." მეორე ადგილას: „მანა ეწოდება თითისტარსა ქალთასა. კვალად მანად ითქმიან პალი დასარჭობელი, გინა მომცრო მარგილი ღობეთა..."

ამ მასალათა მიხედვით, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ლექსი „ამართნა ბროლისა სვეტი..." ეკუთვნის „ბარამგურიანს" და არა ვახტანგ მეექვსეს.

ეს ტექსტოლოგიური მონაცემებიც რომ არა გვქონდეს, აღნიშნულ ლექსს თავისი შინაარსის გამო ვახტანგის ნახელავად მაინც ვერ მივიჩნევდით. კ. კეკელიძე წერს: იგი „შინაარსითა და ფორმით სავსებით უდგება ვახტანგის პოეზიის სულსა და გულს"-ო. იმოწმებს რა ამ სიტყვებს, გ. ჯიბლაძე შენიშნავს: „ეს აბსოლუტურად სწორი მოსაზრებაა"[133].

„აღმართნა ბროლისა სვეტი..." და „ორსა ბროლისა ბურთს შუა..." ლექსების სალაღობო-ეროტიკულ შინაარსს ბევრმა მიაქცია ყურადღება. პარიზულ ნუსხაში ამაზე ხაზგასმით წერს დავით რექტორი, შემდგომ — ა. ხახანაშვილი[134] და სხვები. ვახტანგის პოეზია თავიდან ბოლომდე სერიოზული, დარბაისული კილოთია გამსჭვალული. მისთვის ჩვეულებრივი იუმორიც კი უცხოა[135]: აღნიშნული ლექსები სწორედ რომ არ შეესაბამება „ვახტანგის პოეზიის სულსა და გულს"!

ამრიგად, ყოველმხრივ ჩანს, „აღმართნა ბროლისა სვეტი..." და მასთან მდგომი სტროფები ვახტანგის კალამს არ ეკუთვნის და ისინი მის სახელს უნდა ჩამოვაშოროთ.

დასასრულ, „ქართლის ცხოვრებაზე" მინაწერი ლექსების შესახებ[136].

---

[133] გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები. VI, გვ. 8.

[134] ა. ხახანაშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, „მოამბე", 1898, № 1, გვ. 15; მისივე, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1904, გვ. 475.

[135] ვახტანგი, ქართველი კაცი, დიდი იუმორისტული მადლით დაჯილდოებული სულხან-საბა ორბელიანის აღზრდილი, მძლავრი ირონიის პატრონი რომ ყოფილა, ეს სარწმუნოების შეცვლასთან დაკავშირებით თ. კრუსინსკისთან მისი საუბრიდან ჩანს (ამაზე ქვემოთ), ოღონდ საქმე ის არის, თავის პოეტურ შემოქმედებაში ამ ნიჭისათვის მას გზა არ მიუცია. დედნის შესაბამისად „სიბრძნე მალაღობელსა" და „ამირ-ნასარიანში" სერიოზულ საკითხებზე საუბრისას აქა-იქ გვაქვს კომიზმის ელემენტები, მაგრამ არსად პოეტი ამ ხაზს ოდნავადაც არ აცხოველებს.

[136] ეს ნარკვევი შემოკლებული სახით გამოქვეყნებულია გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში" (1 სექტემბერი, 1972 წ., გვ. 2).

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ „ქართლის ცხოვრების“ ეგრეთწოდებული ერაჯ ჭალაშვილისეული ნუსხის (Q 207) ძველ ნაწილზე (XVI ს.) არის სხვადასხვა მინაწერები, მათ შორის ვახტანგის ხელით ნაწერი ლექსები. ი. ჯავახიშვილის[137] შემდეგ ეს ნუსხა მრავალმხრივ შეისწავლა და მინაწერები გამოაქვეყნა კ. გრიგოლიამ[138]. იგი ამ მონაცემებს იყენებს ხელნაწერის თავგადასავლის დასადგენად, რაც უკავშირდება ჩვენი ისტორიოგრაფიის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორიცაა XVII—XVIII საუკუნეების ისტორიულ თხზულებათა წყაროების გამოვლენა: რომელ მათგანს უსარგებლია ამ ნუსხით.

კიდეებზე წითურით მინაწერი მეფეთა სახელების მიხედვით კ. გრიგოლიამ გაარკვია, რომ ხსენებული ხელნაწერი ერთ დროს ხელთ ჰქონია ვახუშტი ბაგრატიონს (გვ. 112—113). ლექსების მიხედვით ის ამასვე ვარაუდობს ვახტანგ მეექვსის მიმართაც. მკვლევარი გარდა ხელისა, საყურადღებო შინაარსობრივ მსგავსებას ხედავს ამ ლექსებსა და ვახტანგის ზოგიერთ ნაწარმოებს შორის. სრულად მოჰყავს რა ეს ლექსები, ის ასკვნის: „ვის ეკუთვნის ეს ლექსები, დანამდვილებით ცნობილი არ არის, მაგრამ მათი ნაღვლიანი კილო, სუბიექტის თვალცრემლიანობა და აგრეთვე ხელის მსგავსება ეჭვს ბადებს ვახტანგ VI-ის ავტორობის შესახებ და თუ ეს ვარაუდი გამართლდა, მაშინ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ «ქართლის ცხოვრების» სწორედ ის ძველი, თავ-ბოლონაკლული ხელნაწერი, რომელიც შემდეგში ერაჯ ჭალაშვილს ჩავარდნია ხელთ, ადრე ვახტანგის პირად საკუთრებას შეადგენდა და მის ბიბლიოთეკაში ინახებოდა. ხოლო 1724 წელს, როდესაც ქართლის სამეფო სახლი ვახტანგის მეთაურობით რუსეთს გადაიხვეწა, ხელნაწერიც სამეფო ბიბლიოთეკასთან ერთად რუსეთში იქნებოდა წაღებული. იქ კი, შესაძლებელია, პირადად ვახტანგისაგან ჰქონდეს მიღებული ერაჯ ჭალაშვილს შესავსებად და «ქართლის ცხოვრების» სრული ხელნაწერის შესამზადებლად“[139].

---

[137] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის ცხოვრება, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923, გვ. 186—216; გადაბეჭდილია მეცნიერის თხზულებათა თორმეტტომეულის VIII ტომში (თბ., 1977, გვ. 373—395).

ეს ხელნაწერი აღწერილია აგრეთვე ე. მეტრეველის მიერ (Q ფონდის აღწერილობა, I, გვ. 228—230). სათანადო ლიტერატურაც აქვეა მითითებული.

[138] კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 108—114; შემოკლებით შესულია მისსავე წიგნში: რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, თბ., 1971, გვ. 19—22.

[139] რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, გვ. 22.

ამ ვარაუდის მიხედვით, გარდა იმისა, რომ საყურადღებო საბუთი გვეძლევა ვახტანგის „მეცნიერ კაცთა“ მიერ თავიანთ მუშაობაში „ქართლის ცხოვრების“ დასახელებული ნუსხის ძველი ნაწილის გამოყენების შესახებ, საკითხი დგება ვახტანგ მეექვსის უცნობი ლექსების არსებობის შესახებაც. ყოველივე ამის გამო კ. გრიგოლიას ეს მოსაზრება საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

1. უთუოდ ვახტანგის ხელითაა ნაწერი ეს ლექსი (სურ. № 9):

„შვილო სარიდან, უჩემოთ თვალი ცრემლითა შენამე;
გულსა არ უთხრა: «მტრისაგან ეიჯაბნე, მომხდა შენამე»;
ჩემს ძეთ ძმობილთა[140] მსახურე, ეტკბე, ემდაბლე, შენამე;
და მტერს უპასუხე, როგორც მე, იკითხე, მექნას შენამე“.
(112r., ქვემო არშია)

2. ვახტანგის ხელით უნდა იყოს შესრულებული ეს მინაწერიც (სურ. № 10):

„ქ. ღ[მერ]თო, ღ[მერ]თო[141], გევედრები, სიტყვა ჩემი შეისმინე:
ნუ წამ[ი]წყმ[ე]დ[142] სულსა ჩემსა, ნურც[ა] მ[ი]სცემ სატანასა,
სიკვდილის დროს მ[ა]ცხ[ო]ვ[ა]რი მე დამ[ი]ჯდეს მ[ა]რჯ[ვ]ნით მხ[ა]რსა,
ს[ა]მ[ო]თხესა არ ვღირს[ი]ე[ა]რ, შორით დაანახოს თვალსა!
ღ[მერ]თო და წმინდავ ნინო, შეიწყალე ამისი მწ[ე]რ[ა]ლი!“
(156v, ქვედა არშია)

3. ვახტანგის ხელს ჰგავს (სურ. № 11):

„ქ. ვახტანგს ვაქებ[დე]თ[143], მეფეთა ზედან მეფესა მფლობელსა,
მაღლით ცხებულსა ზეგარდმო, ლომსა, ქართველთა მპყრობელსა,
ინდოეთს, სტამბოლს, საბერძნეთს მტერთა ძალისა მსწრობელსა,
და სამოთხეც დაემკვიდრების მისსა უებროდ მშობელსა!“
(89v., ზედა არშია)

იგივე უნდა ითქვას შემდეგ მინაწერებზეც:

---

140 კ. გრიგოლია „ძმობილთა“-ს ნაცვლად ბეჭდავს: „ჰმიმართე“. წიგნში „რას მოგვითხრობს «ქართლის ცხოვრება»“ არის: „ჩემ ძეთ ჰმიმართ ემსახურე“. ე. მეტრეველის აღწერილობაში გვაქვს „ძმობითა“.

141 წიგნში „ახალი ქართლის ცხოვრება“ დაბეჭდილია ერთი სიტყვა: „ღთო“.

142 იქვეა: „წაწყმედ“.

143 იქვე: „ვაქებ“.

4. (სურ. № 12):

„ინდეთს[144] ჰკრა ქმალი და სინდეთს, აბაშს სტამბოლს და ურუმთა[145],
ბაღდადით ნიჭი მოიღო, ბეგარი დასდვა ჩზურუმთა".
(იქვე, მარცხენა არშია)

5. (სურ. № 13):

„ქ. წმინდავ ნინო, შეიწყალე ცოდვ[ი]ლი და უნანელი!
უნდო ჩემ[ე]ბრუ[146] ცოდვილმან თვ[ა]ლ ცრემლი არ წყნარ[სო][147],
დღისით და[148] ღამით ილოცოს ღ[მთ]ისავ აწ[149] წინა არ წყნარსო,
ევ[ე]დროს ყოლ[ა] წმინდასა ენა ვითარ წყნარსო,
ამ სოფლის ლხინსა დაეხსნას მართ[150]..."
(107r, ქვედა არშია; შემდეგ ჩამოჭრილია)

ამავე ფურცლის მეორე გვერდის ქვედა არშიაზე: „ქ. შეისმინე ლოცვა ჩემი, ღ[მერ]თო და წმინდავ ნინო!"

ამ მინაწერებიდან ერთადერთი პირველი ლექსია, რომლის ავტორი ზუსტად შეგვიძლია განვსაზღვროთ. იგი განეკუთვნება ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთ გვიანდელ დანართ ეპიზოდს, ტარიელისა და ნესტანის ანდერძს, რომლის ავტორია XVII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი პოეტი და საეკლესიო მოღვაწე იოსებ თბილელი. სარიდანი ტარიელისა და ნესტანის შვილია. მოგვეპოვება ამ ანდერძის ავტოგრაფი, სადაც დასახელებულია მისი ავტორი. მხედველობაში გვაქვს ვეფხისტყაოსნის ეგრეთწოდებული ზაზასეული ხელნაწერი, რომელიც ამჟამად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (Q 1082). ეს ნუსხა გადაწერილია იოსებ თბილელის მიერ XVII საუკუნის 60-იან წლებში[151]. აქ გადამწერის ხელით შეტანილია ეს ანდერძი (179v—183r), რომლის სათაურია: „აქა კიდევ სხვა ანდერძი და სოფლის გმობა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ტფილელის იოსების ნათქვამი" (179v).

აღნიშნული ცნობა დაცულია აგრეთვე ვეფხისტყაოსნის H 3061, S 4527, H 422 (ხელნაწერთა ინსტიტუტი), ვ. ასლანიშვილის ნაქონ

---

[144] იქვე: „და ინდოეთს".
[145] იქვე: „ურუმ".
[146] იქვე: „ჩემებრ".
[147] აქ და მომდევნო ორ სტრიქონში კ. გრიგოლია ბეჭდავს: „წყნარის".
[148] იქვე „და"-ს მაგივრად დაბეჭდილია „თუ".
[149] იქვე „აწ" გამოტოვებულია.
[150] იქვე ეს სიტყვაც გამოტოვებულია.
[151] ამ ნუსხის შესახებ სათანადო ლიტერატურა იხ.: ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, წერილები და გამოკვლევები, I, თბ., 1984, გვ. 384.

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა აK $\frac{25299}{2}$) და M 48 (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება) ნუსხებში. ყველა ესენი პოემის გაგრძელებებში რედაქციულად ზაზასეულ ხელნაწერს მიჰყვება[152].

იოსებ თბილელის ხსენებული ანდერძი ჩვენთვის საინტერესო სტროფითურთ ბევრჯერ არის გამოქვეყნებული. პირველად იგი დაბეჭდა ს. კაკაბაძემ[153], მეორედ — ს. იორდანიშვილმა[154], მესამედ — ს. ყუბანეიშვილმა[155], რომლის გამოცემული ტექსტი შესაბამისი ვარიანტების დამატებით გადაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების" მეოთხე ნაკვეთში (გამოსაცემად მოამზადა ი. ლოლაშვილმა, თბ., 1963, სტრ. 2063[17]).

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების" ერაჯ ჰალაშვილისეულ ხელნაწერზე მინაწერი სტროფის „შვილო სარიდან, უჩემოდ..." ავტორია პოეტი იოსებ თბილელი.

დანარჩენი ლექსების მიმართ გადაჭრით რაიმეს თქმა გვიჭირს. გვიჭირს არა მარტო იმიტომ, რომ აქ მეფე-პოეტის ხელით ნაწერი ლექსი სხვისი აღმოჩნდა, არამედ უფრო იმის გამო, რომ დარწმუნებული არა ვართ, ისინი ნამდვილად ვახტანგის ხელით არის შესრულებული თუ არა[156]. ისე, ეს ნახევრად გალექსილი ლოცვების შინაარსი, მათი ხელნაწერებზე მიწერის პრაქტიკა, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი პოეტისათვის ჩვეულებრივი ამბავია (თუმცა არც სხვებისთვისაა უჩვეულო!).

როგორც კ. გრიგოლია მიუთითებს, ანალოგიური შინაარსის ლოცვა ვახტანგს მიუწერია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაზე" (S 30): „ქ. ეჰ, ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედო, რომელი მისცემ მოსავთ და თაყვანისმცემელთა შენთა სიმაღლესა და სიკეთეს, აწც გე-

---

[152] ამ ხელნაწერთა რედაქციული თავისებურებების შესახებ იხ.: ს. ცაიშვილი, წერილები და გამოკვლევები, I; ჩვენი: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით, თბ., 1975.

[153] ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, ტფ., 1913, სტრ. 1731[17].

[154] ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა და წინასიტყვაობა შენიშვნებით დაურთო ს. იორდანიშვილმა, თბ., 1948, სტრ. 678.

[155] ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი ტექსტები, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1956, სტრ. 2063[17].

[156] რასაკვირველია, იმასაც ვითვალისწინებთ, რომ ხელნაწერი სქელია და კიდეებზე მიწერა ბუნებრივ ვითარებაში არ ხდებოდა.

ვედრები უნდო და ულირსი მონა ესე შენი, შებღალული ცოდვითა ბატონიშვილი ვახტანგ, რათა მომივლინო ანგელოზი, წმინდა შენი გან-საწმედელი და ცოდვათა ჩემათ შესანდობელათ, ცოდვათა ჩემთა! უფალო, უფალო ჩემო, არავინ უწყი სხვა ღმერთი შენსა გარეშე. და შემინდევ ცოდ-ძლიერო-ვანი ჩემნი მრავალნი კაცთმოყვარებისა შენისათვინ. ვინც შენდობა გვიბძანოთ, ღმერთმან თქვენ შეგინდოს!" (გვ. 359, ქვედა არშია)[157].

რა თქმა უნდა, ეს ღაღადისი, ისე როგორც სასულიერო თხზულებათა კრებულზე გაკეთებული ზემოთ დამოწმებული ვახტანგის მინაწერი, შინაარსობრივი თვალსაზრისით რაიმე ორიგინალობით არ გამოირჩევა.

ასე რომ, მოყვანილი მინაწერებიდან დანარჩენები შემდგომ შესწავლას მოითხოვს. მათგან საყურადღებო და მნიშვნელოვანია მე-3 და მე-4 ლექსები, რომლებიც ვახტანგ გორგასალს უნდა ეხებოდეს.

---

[157] ე. თაყაიშვილი, Описание..., II, გვ. 35; S ფონდის აღწერილობა, I, გვ. 44.

მეორე თავი

ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო

1. მეფე და პოეტი

ამ ვრცელი თემიდან მხოლოდ ერთ საკითხს შევეხებით: როგორ უხამებდა ვახტანგი ერთმანეთს მეფობასა და პოეტობას? უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, როდის წერდა ის ლექსებს?

კარგად ცნობილია: ვინაიდან ძველად საქართველოს მოსვენება არ ჰქონდა და ათასგვარი გასაჭირი ადგა, ზოგი სწავლული ათვალწუნებით უყურებდა და უყურებს იმ ფაქტს, რომ ჩვენი მეფეები პოეზიით იყვნენ გატაცებულნი და სხვადასხვა ხასიათის ლექსებს თხზავდნენ.

ამ მხრივ განსაკუთრებით მკაცრად იქნა შეფასებული თეიმურაზ პირველის პოეტური საქმიანობა, თანაც, ისეთი დიდი მოღვაწის მიერ, როგორიც აკაკი წერეთელია. მწერალი „ბაში-აჩუკის" მეოთხე თავს ასე იწყებს: „კახეთის მეფე, თეიმურაზ პირველი, დავით წინასწარმეტყველს ეტოლებოდა თავის გუნებაში: «ის ჩემი წინაპარი და მე მისი ჩამომავალი, ისიც გვირგვინოსანი მგოსანი და მეც» — ჰფიქრობდა და ის კი ავიწყდებოდა, რომ დავით მეფობდა უმაღლესად ჩაგონებული და თეიმურაზი მხოლოდ ქვეშევრდომთაგან უმდაბლესად შეგონებული; ის იქ ებრძოდა «ამალეკთა» და ეს აქ — თათარ-ლეკთა!.. პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პოლიტიკობდა ის დალოცვილი და მით საზარელ მომავალს უმზადებდა სამეფოს. ამას ატყობდნენ ზოგიერთები, მაგრამ ვინ გაბედავდა ცხადად მხილებას? — და ჩუმად კი აქა-იქ საყვედურები ისმოდა"[1].

იქვე თხზულების ორ პერსონაჟს, მამა-შვილს, მწერალი ასე ალაპარაკებს:

„— რა ამბავია, რომ ეს ერთი ხანია ბატონი სადარბაზოდ აღარ დაბრძანდება?.. ჩაუკეტია კარები და ჩამწყვდეულა!..

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, თხუთმეტ ტომად, VII, თბ., 1958, გვ. 146—147.

— სტვირის გუდას თუ ჰბერავს?! — უპასუხა მოხუცმა ცივად.

— გუდას?!

— ჰო! შარშან გაზაფხულზე ჩაიკეტა და «ლეილ-მეჯნუნიანი» დაგვიწერა, ერთხელაც ზაფხულში — «შამი-ფარვანიანი», მეორედ შემოდგომას — «ხილთა-ქება» და ახლაც უთუოდ ზამთრის შესაფერსა სწერს რასმე...

— მაგათი არა დაშავდება რა!.. სწეროს! მოცლის დროს ესეც კარგია.

— მოცლის დროს?! მერე და მეფე და მოცლის დრო ვის გაუგონია?.. არა, შვილო!.. მეფე რომ «პიიპუუ-პიიპუს» დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო «ვაი-ვაისა» იმღერებს" (გვ. 147).

როგორც ჩანს, დიდი აკაკის რისხვა უმთავრესად იმით იყო გამოწვეული, რომ მას თეიმურაზის ლექსები ღირსეულ პოეზიად არ ესახებოდა. ამას მოწმობს დიალოგის გაგრძელება:

„— დავით აღმაშენებელიც მწერალი იყო, მაგრამ სამეფოსთვის არა დაუკლია რა.

— აღმაშენებელი წინასწარმეტყველსა ჰბაძავდა, ადიდებდა ყოვლის შემოქმედს; მისი იამბიკო ლოცვა იყო და ამისი შაირები კი ლაზღანდარობაა!..

— რუსთველს ეჯიბრება.

— ჰმ! უკვდავების წყარო და ნაძალადევი ჭა, ერთმანეთს ვინ შეადარა?!" (გვ. 147).

ამ ეპიზოდის ბოლოს, წინააღმდეგ პერსონაჟთა მსჯელობისა, ირკვევა: „სწორედ იმ დროს, როცა ორი დარბაისელი მამა-შვილი ბუხრის წინ საყვედურობდნენ, თეიმურაზ მეფე მართლა ჩაკეტილში იჯდა და მარტოდმარტო, დიდ საგონებელში ჩავარდნილი, მაგრამ რუსთველზე არ ჰფიქრობდა", არც ლექსს წერდა, „წინ ედვა ორი წერილი. ერთი ჩრდილოეთიდან (ე. ი. რუსეთიდან. — ბ. დ.) და მეორე აღმოსავლეთიდან (შაჰ-აბაზისაგან. — ბ. დ.) გამოგზავნილი. პირველი ტკბილი იყო, ალერსიანი და იმედით გამამხნევებელი, მეორე — რჩევა-საყვედურებითა და მუქარით სავსე: ერთი გულში უხიცინებდა, და მეორე კი გულში ჰკბენდა:..." (გვ. 149).

ამ შენიშვნით თეიმურაზის ჩაკეტვის მიზეზის ახსნაში ავტორი თავის პერსონაჟებს უპირისპირდება. ვიგებთ, რომ იმ დროს ქართველი მეფე პოეზიას კი არ გაუტაცნია, პირიქით, სწორედ თავისი ქვეყნისა და ხალხის საქმეებზე ღრმა, მტანჯველ ფიქრებსა და საგონებელს მისცემია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, სადავო გავხადოთ საკითხი, იზიარებდა თუ არა მწერალი თავის პერსონაჟთა იმ შეფასებასაც, რომელსაც ისი-

ნი თეიმურაზის პოეზიაზე გამოთქვამენ[2]. თხზულებაში გამოყვანილი მამა-შვილი იმავე აზრს ავითარებენ, რასაც მწერალი დამოწმებული თავის დასაწყისში პირდაპირ და გარკვევით წერს. მეორეც. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ა. წერეთელი ანალოგიურ აზრს სხვაგანაც გამოთქვამს. მოთხრობაში „სიკვდილი" მწერალი გიორგი ბრწყინვალეს ასე ალაპარაკებს: „თვით თეიმურაზ პირველი ს ტ ვ ი რ ი ს გ უ დ ი თ კარი-კარზე დაწანწალებდა, და, როცა ქართლ-კახეთს შავი დღე ადგა, ის იმერეთში «შამი-ფარვანიანს» ლათაიობდა..." (ტ. VIII, თბ., 1958, გვ. 97).

საქმეს არ ცვლის ან სიმძაფრეს არ ანელებს ის ფაქტი, რომ ა. წერეთელს ეს შეხედულება მხატვრულ ქმნილებებში აქვს გამოთქმული. უკვე მივუთითეთ, ავტორი „ბაში-აჩუკში" თავისი პირითაც იმასვე გადმოგვცემს, რასაც მოთხრობის გმირები აღნიშნავენ. თანაც, მწერალი ერთსა და იმავეს იმეორებს ორ სრულიად სხვადასხვა გარემოს ამსახველ, სავსებით განსხვავებული მიზანდასახულობის მოთხრობაში.

უფრო ადრე თეიმურაზ პირველის მეფობისა და პოეტობის შესახებ ამგვარივე აზრი ანტონ ფურცელაძემ გამოთქვა. მისი სიტყვებია: „...ამაებს დაურთო ზედ მ ე ლ ე ქ ს ე ო ბ ა, რომელიც იმას (თეიმურაზ პირველს, — ბ. დ.) მეტად უყვარდა. იმას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ნერონს თავისი მემუსიკობა, პოეტობა და მსახიობობა, რომ ა მ ი ს ბ ა დ ა ლ ი მ ე ლ ე ქ ს ე ა რ გ ა ჩ ე ნ ი ლ ა. უ ჯ დ ა მ თ ე ლ ი დ ღ ე ო ბ ი თ ა მ უ შ ნ ო დ ა უ ა ზ რ ო ლ ე ქ ს ე ბ ს დ ა ა კ ლ ა ვ დ ა თ ა ვ ი ს ს ი ც ო ც ხ ლ ე ს შ ი გ ა. წერდა ლექსებს, სადაც არც ესტეტიკა, არც ხელოვნება, არც იდეია, არც რამე აზრი, არც რამე ისტორიული მხატვრობა, არაფერი ღვთისგან განაჩენი არ ისახებოდა, გარდა უბრალო და უაზროდ გადატმასვნული სიტყვების რახა-რუხისა, სიტყვების ტმანსვა-გრეხისა..."[3].

ზოგიერთ ჩვენს მოღვაწეს ქართველი კაცის პოეზიით, „მელექსეობით" გატაცება ეროვნულ უბედურებადაც კი ესახებოდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია დრამატურგის, პოეტისა და პუბლიცისტის დავით ერისთავის შეხედულება. ი. მანსვეტაშვილი გადმოგვცემს: „დავით ერისთავს ლექსი ეხერხებოდა... ეს ნიჭიც მამისგან ჰქონდა გადმოცემული, მაგრამ რამდენადაც უყვარდა ნამდვილი, ჭეშმარიტი პოეზია, იმდენად სძულდა, ჰკიცხავდა ლექსების მჯღაბნელებს, რომელნიც

---

[2] ეს საკითხი რამდენადმე ამგვარად არის დასმული თ. ნატროშვილის წერილში «გვახსოვდეს მერვე მცნება...» („ლიტერატურული საქართველო", 9 დეკემბერი, 1983, გვ. 11).

[3] ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო ანტონ ფურცელაძისა, ავტორისაგან ახლად შევსებული და შესწორებული მეორე გამოცემა, თბ., 1911, გვ. 474.

ქართველებში ძლიერ გახშირებულნი იყვნენ იმ დროს და რომელთაც თავი მართალ პოეტებად მოჰქონდათ. ამის გამო ერთი ახირებული აზრი ჰქონდა აჩემებული ერისთავს: ქართველები თუ დაიღუპებიან, შელექსეობა დაჰღუპავთო. იმის მაგიერ, რომ საქმე გააკეთონ რაშე, აუღიათ ხელში კალამი და ვინც არა მგონია, ლექსებს სწერს. უბრალო კორესპონდენციებსაც კი ლექსად სწერენ. ამას, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი ენაც უწყობს ხელს: ძალიან დამყოლი, ადვილად მოსაქნელი ენააო, როგორც გინდა გადასვი-გადმოსვი სიტყვა, ასო მოაკელ, ასო ჩაუმატე, სულერთია, აიტანს"[4].

ი. მანსვეტაშვილი ამგვარ თვალსაზრისს გადაჭარბებულად თვლის, ახირებულსაც კი უწოდებს, მაგრამ არსებითად იზიარებს მას და ნიმუშებად ისიც ჩვენს მეფე-პოეტებს ასახელებს. „იქნება ცოტა გადაჭარბებული იყოს ეს აზრი, — წერს ჩვენი სასიქადულო მემუარისტი დ. ერისთავის შეხედულების თაობაზე, — მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ სიმართლეს სრულებით მოკლებული იყოს. გადაჰხედეთ თუნდაც ჩვენ ისტორიას, აიღეთ სანიმუშოდ თუნდ მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნე. ქართველობას თავზე ბანი ენგრეოდა, შინაური და გარეული მტრები ჩვენს ქვეყანას თავს ესხმოდნენ, ძირს უთხრიდნენ, განადგურებას უქადნენ, — და მერე ამ დროს ჩვენი მეფეები რას შვრებოდნენ, რას აკეთებდნენ? ისხდნენ და გულარხეინად ლექსებსა სთხზავდნენ. მე ჩემის საკუთარი თვალით მინახავს და გადამითვალიერებია კიდეც მეფე არჩილის, მეფე თეიმურაზის ლექსთა კრებული, ნაწერი სქელ ქაღალდზე. დიდი ტანის რვეულებად შეკრული და შეკაზმული. მერე რა არის შინაარსი ამ ლექსების? უმთავრესად არშიყობა და მერე სწავლა-დარიგება, თუ როგორ უნდა მოიქცეს კაცი ოჯახის მოწყობაში, შინაურ ცხოვრებაში და სხვა ამგვარი ფუჰი ლაყბობა და ზნეობითი სწავლება. აი ასეთ საქმეში იყვნენ გართულნი ჩვენი გვირგვინოსანნი იმ დროს, როდესაც შაჰ-აბაზები და შაჰ-მურადები კარს მოსდგომოდნენ, ქვეყანას აოხრებდნენ და ხალხს ჰჟლეტდნენ" (იქვე, გვ. 158—159).

თეიმურაზ პირველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, პოეტური მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლისა და გამოცემის შედეგად მისი პოლიტიკური საქმიანობისა და მწერლური შემოქმედების აღნიშნული

---

[4] იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებები, ნახული და გაგონილი, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბ., 1985, გვ. 158.

ნიჰილისტური შეფასება უარყოფილია[5], თუმცა ამავე საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა კვლავაც არსებობს[6].

მსგავსად თეიმურაზ პირველისა, ზოგიერთი მკვლევარი უარყოფითად აფასებს აგრეთვე ვახტანგ მეექვსის მიერ გადადგმულ ცალკეულ პოლიტიკურ ნაბიჯებს და ამის მიზეზსაც მის პოეტობაში ხედავს. მაგალითად, ლ. სანიკიძე ამგვარ შეფასებას აძლევს 1722 წელს ვახტანგის დამოკიდებულებას, ნდობას პეტრე პირველის დაპირებისადმი. როგორც ცნობილია, სათანადო დიპლომატიური კავშირით მაშინ ქართველი მეფე და რუსეთის იმპერატორი შეთანხმდნენ, თავიანთი ჯარებით ივლისში შეხვედროდნენ ერთმანეთს შირვანში და ერთიანი ძალით დაემარცხებინათ ირანელი დამპყრობლები და სხვა მტრები. ვახტანგმა ზუსტად და ზედმიწევნით შეასრულა თავისი სიტყვა: დროულად ჩავიდა განჯაში და ქართველთა და სომეხთა გაერთიანებული ლაშქრით ელოდებოდა რუსეთის ჯარს. დიდმა პეტრემ სხვადასხვა მიზეზის გამო პირობის შესრულება ვერ შეძლო, უკან დაიხია და საერთო ლაშქრობა მომდევნო წლისათვის გადადო, თუმცა მისი განხორციელება ვერც შემდეგ მოახერხა[7].

ლ. სანიკიძე გადმოგვცემს: „დღე დღეზე ელოდა ვახტანგ მეფე რუსების შემოსვლას შირვანში, სადაც თვითონაც მივიდოდა «დათქმულ პაემანზე».

იდგა და ელოდა, დარწმუნებული და დაჯერებული, რომ მან აირჩია «ერთადერთი სწორი გზა».

უკან აღარ იხევდა. იცოდა მხოლოდ, რომ უკანდასახევი გზა თვითონვე ჩააქცია, გინა — დასწვა ხიდი მდინარეზე გადასვლის შემდგომ.

სამი თვე იცადა.

---

[5] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 553; ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 143—145; ლ. მენაბდე, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, გვ. 196—202 და სხვა.

[6] შესაბამისი ლიტერატურა განხილული აქვს ალ. ბარამიძეს: განახლებული დავა, ალმანახი „კრიტიკა", 1980. № 30, გვ. 53—69. წერილის ნაწილი შესულია მისი „ნარკვევების" VIII ტომში, თბ., 1985, გვ. 145—151.

ახლახან ამავე საკითხებზე დაიბეჭდა: რ. ბარამიძე, სამი რეპლიკა, ალმანახი „კრიტიკა", № 3, 1987, გვ. 161—164; ტ. ჭანტურია, „სამი რეპლიკის" გამო, „ლიტერატურული საქართველო", 31 ივლისი, 1987, გვ. 13; თ. ნატროშვილი, იძულებითი განმარტება, იგივე გაზეთი, 7 აგვისტო, 1987, გვ. 13; და სხვა.

[7] ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, 1962, გვ. 492—509; გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 111—117; დ. ბრეგაძე, მეგობრობის მეკვლე, გვ. 24—54; ი. სურგულაძე, რამდენიმე ეპიზოდი ვახტანგ VI-ის მოღვაწეობიდან, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1976, № 1, გვ. 73—79 და სხვა.

და როგორც იქნა, ნოემბერში მოუვიდა ამბავი ჩრდილოეთიდან — ჩრდილოეთისკენ გაკერპებული თვალით მაცქერალ მეფეს.

მოუვიდა!.. მაგრამ ვაი იმისთანა მოსვლას!

პეტრე პირველი უკან გაბრუნებულა დარუბანდიდან! აქეთ რომ უნდა წამოსულიყო (საქართველოსკენ), თურმე პირიქით, იქით წასულა (რუსეთისკენ)!"[8].

„მაშ, მისმა «მხსნელმა», მისმა «მესიამ» უკან დაიხია! — გრძელდება თხრობა ვახტანგის მძიმე მდგომარეობაზე, — ახლა, ალბათ, თვითონაც უნდა დაიხიოს უკან! მაგრამ რომ დაიხიოს, სადღა დაიხიოს, როცა ყოველი უკანდასახევი გზა თვითონვე წინასწარ ჩაექცა და ჩაეწვა რუსი ხელმწიფის ასე მისტიკურად მოიმედეს!

იგი ახლა სავსებით მარტოდმარტო იყო მტრულ გარემოცვაში. მტერი იყო თურქეთის ფადიშაჰი აჰმედ მესამე. მტერი იყო სპარსეთის ორივე შაჰი (მირ-მაჰმუდი ისფაჰანში, თამაზ II თავრიზში). მტერი იყო დაღესტნის ორივე ბატონი — ჰაჯი დაუდი და სურხაი-ხანი. და ასე გასინჯეთ, მტერი იყო კახეთის მეფეც — კონსტანტინე მაჰმადყული-ხანი... (მრავალწერტილი ავტორისაა. — ბ. დ.).

ორი ათასი რუსი ჯარისკაცი მაინც გამომიგზავნეთ საქართველოშიო, — იბღავლა უილაჯო ხელის სავსავით (!) ქართველმა მეფემ.

ტოლსტოის გულწრფელად უნდოდა, აღსრულებულიყო ვახტანგის თხოვნა და ბევრიც იბრძოლა საამისოდ. ბოლოს პეტრე პირველმა მართლა მოაწერა ხელი ორი ათასი რუსი ჯარისკაცის გამოყოფაზე საქართველოსათვის. მაგრამ ქაღალდზე დაწერილისა და ხელმოწერილის განხორციელებისათვის აღარავის შეუწუხებია თავი" (იქვე, გვ. 161).

ბოლოს, დასკვნის სახით ვახტანგის ეს პოლიტიკური ნაბიჯი ასეა შეფასებული: „რა მოუფიქრებლად, განუსჯელად და განუკითხავად მინდობია თურმე ვახტანგ მეფე, «მეფე» კი არა — ვახტანგ «პოეტი» ყოვლად მიამიტურ, საოცრად მალემრწმენ «ქრისტიანულ გულს»! თურმე პოლიტიკა გაცილებით უფრო სასტიკი და «ხვანჯიანი» ხათაბალა ყოფილა, ვიდრე პოეტური «პიი-პუუ», «რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი და»... და მისთანანი!" (გვ. 161).

ვახტანგის პოლიტიკური მოღვაწეობის ნაკლოვანებანი უფრო ფართოდ და მასშტაბურად ესახება გ. მაღულარიას. და ისიც ამ სისუსტეს

---

[8] ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, ქართველთა ისტორიულ-ეპიკური თავგადასავალი, IV, თბ., 1981, გვ. 160.

მეფის სხვა ღირსებებით — მისი მეცნიერობით, პოეტობით, ინტელიგენტობით — ხსნის[9]. მისი აზრით, ვახტანგის ამგვარ მოღვაწედ ჩამოყალიბებაში გარკვეული წილი მის მასწავლებელს, სულხან-საბა ორბელიანს, მიუძღვის[10]. მკვლევარი ასე მსჯელობს:

„სულხან-საბა ორბელიანი რომ კარგად ერკვეოდა იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაში და ბევრს ფიქრობდა სახელმწიფოს მმართველი აპარატის გაუმჯობესებაზე, ეს მისი თხზულებებიდანაც ჩანს, მაგრამ თავისი ინდივიდუალური მონაცემებით იგი უფრო დიდი მეცნიერი, დიდი მწერალი და დიდი ინტელიგენტი იყო, ვიდრე პოლიტიკური სარბიელით დაინტერესებული პიროვნება და ამიტომ ვახტანგიც უფრო მეცნიერად, პოეტად და ინტელიგენტად აღზარდა, ვიდრე შორსმჭვრეტელ, აღლოგამახვილებულ პოლიტიკურ მოღვაწედ. ვახტანგის მერყეობა, კრიტიკულ მომენტებში არასწორი გადაწყვეტილებების მიღება სწორედ მისი ინტელიგენტობით იყო გამოწვეული: ქართველ ხალხს თავისი არსებობის მანძილზე ავბედითობის მეტი რა უნახავს, მაგრამ ისეთ მძიმე მდგომარეობაში, როგორიც ვახტანგის რუსეთში გადასვლისა და სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, იშვიათად აღმოჩენილა“[11].

მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ „შეიძლება ისეთ მძიმე დროში, როგორშიც ვახტანგს უხდებოდა ცხოვრება, გენიალური პოლიტიკური

---

[9] ადრე თ. ბეგიაშვილი ვახტანგის შესახებ გადაჭრით წერდა: „მისი ყურადღება იმდენად პოლიტიკური საქმიანობისაკენ არ იყო მიქცეული, რამდენად კულტურული ცხოვრებისაკენ“ (თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, მესამე ნაწილი, ტფ., 1931, გვ. 124).

[10] ვახტანგ მეექვსის სახელმწიფოებრივ საქმიანობაზე სულხან-საბა ორბელიანის გავლენის ფაქტს სხვებიც აღნიშნავენ, ოღონდ მათ ეს გავლენა პოზიტიურად ესახებათ. გ. ლეონიძე წერდა: „გასაგებია სამეფო ოჯახის მხრივ სიყვარული იმ პიროვნებისა (ე. ი. სულხან-საბასი. — ბ. დ.), რომელიც იყო მამოძრავებელი და შთამაგონებელი ვახტანგის სახელმწიფო საქმიანობისა. განსაკუთრებით ვახტანგის მეფობის პირველ პერიოდში (1703—1712 წწ.) შეურყეველი უნდა ყოფილიყო საბას საზოგადოებრივი ავტორიტეტი“. „...ჭაბუკი, გამოუცდელი მეფე (ლაპარაკია ვახტანგზე. — ბ. დ.), თუმცა შესაფერისად გაწვრთნილი სახელმწიფო საქმეებისათვის, ვერ შეძლებდა ეროვნული აღორძინების შეკავშირებას თავის სახელთან, რომ მის აღმზრდელს, გამოცდილ პოლიტიკოსს და პირველ სახელმწიფოებრივ ადამიანს არ დაეთმო დავით-გარეჯის ბნელი თაღები და არ გამოსულიყო ოფიციალურ სცენაზე რეგენტის როლში“ (გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 152, 153).

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს გ. ჯიბლაძე (კრიტიკული ეტიუდები, VI, გვ. 11).

[11] გ. მაღულარია, ლიტერატურული პორტრეტები, თბ., 1982, გვ. 147—148.

მოღვაწეც ვერ იხსნიდა ქვეყანას დარბევისა და დაპყრობისაგან, მაგრამ — მაინც თვლის, — ვახტანგს რომ უფრო მტკიცე ხასიათი ჰქონოდა და მეტი პოლიტიკური მოქნილობა გამოეჩინა, შეიძლებოდა ქართლს ისეთი შავი დღე არ დასდგომოდა, როგორიც ვახტანგის სამშობლოდან გადახვეწის შემდეგ დაადგა" (გვ. 148).

ვახტანგი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე და პოეტი, დაახლოებით ამგვარადვე ეხატება ე. მაღრაძეს. დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილ დოკუმენტურ-მხატვრულ რომანში „გოდება" ის წერს: „რაც შეეხება ვახტანგ მეექვსეს, იგი ალბათ განათლებისა და კულტურის მედროშედ იყო დაბადებული. ბედმა მდევარმა კი ხელთ ხალხის მართვის სადავეები მისცა, საბრძოლო დროშა შეაჩეჩა, ქვეყნის საჭე ჩააბარა და მაჰმადიანური ფანატიკური რწმენით აღგზნებული ხალხების აზვირთებულ ზღვაში უკომპასოდ შეუშვა. არ ჩანდა ნაპირი, ხსნის გზის ძიებაში პოეტი-მეფე დაიბნა და გაოგნდა... იგი უსასოოდ უხმობდა თავისივე გონებით დასახულ მშველელს, მაგრამ მისი განწირული სულისკვეთება აღმოსავლური ბარბაროსობის უკიდეგანო ოკეანეში უწყალოდ დაინთქა. ვახტანგი დამარცხდა და ბოლმა-ნაღველს ლექსებით იქარვებდა"[12].

სხვა ავტორების დარად, ე. მაღრაძეც შენიშნავს, რომ „იოლია მეოცე საუკუნიდან მეთვრამეტე საუკუნეში მომხდარი ამბების განსჯა და მსჯავრის დადება" (გვ. 142), რომ „ვახტანგის ადგილზე იმ რთულ ვითარებაში ბევრად უფრო წინდახედულ, შორსმჭვრეტელ მეფესაც გაუჭირდებოდა გამოსავლის პოვნა" (გვ. 151), მაგრამ ამასთან ერთად ვახტანგის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ ასეთ შეფასებასაც იძლევა: „გულუბრყვილო ვახტანგ მეფემ მალე ირწმუნა და თავიც დააჯერა, რომ დაუძლურებული ირანის ბატონობას თავს დააღწევდა..." (გვ. 65); „ყველაზე ცუდი შედეგი, რაც ვახტანგ მეფის წინდაუხედაობას მოჰყვა, ის იყო, რომ რუსეთი და თურქეთი შეთანხმდნენ და ჯერ კიდევ ცოცხალი ირანის ლომის ტყავი გაინაწილეს" (გვ. 66): „კონსტანტინე, კახთა მეფე, ვახტანგზე შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა. იგი შაჰის ძლევენს არ დახარბდა..." (იქვე); „ისეთი განათლებული და სწავლული მონარქისაგან, როგორიც ვახტანგ მეექვსე იყო, დავით გურამიშვილი ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში მოელოდა სასწაულებს. სინამდვილემ კი თავში კეტივით დასცა, ჯერ ძმათამკვლელი ომი და მერე საჭის მპყრობელი გვირგვინოსნისგან სრულიად წინდაუხედავი და მოუფიქრებელი ნაბიჯი — ქვეყნიდან აყრა და უცხოთა კარზე სამოწყალოდ წაბრძანება"

---

[12] ე. მაღრაძე, გოდება, თბ., 1974, გვ. 68.

(გვ. 94); „ქართლის მეფისგან ქვეყნის წ ი ნ დ ა უ ხ ე დ ა ვ ა დ მიტოვებამ დავითს თავისი სულიერი მოძღვრის პავლე მღვდლის დამოძღვრა გაახსენა“ (იქვე); „ვახტანგს რომ მ ე ტ ი თ ა ო ს ნ ო ბ ა, გ ა ბ ე დ უ ლ ე ბ ა გ ა მ ო ე ჩ ი ნ ა...“ (გვ. 147); „მაგრამ ვახტანგს ა ნ გ ა რ ი შ ი უ ნ დ ა გ ა ე წ ი ა შექმნილი ვითარებისათვის, თავი მეგობრად მოეჩვენებინა, დრო მოეგო და თავის საწადელს მერე სწეოდა. ამის ნაცვლად იგი უ გ უ ნ უ რ ი კ ე რ პ ო ბ ი ს გზას დაადგა“ (გვ. 156) და სხვა[13].

ნ. აგიაშვილი ვახტანგ მეექვსეს მსუბუქი, მიმტევებელი იუმორით მეცნიერებისა და კულტურის იმ დიდ ქართველ მოღვაწეთა გვერდით მოიხსენიებს, რომელთა გატაცების საგანი ლექსების წერა იყო. როგორც თვითონ გვიხსნის, „ერთი ცნობილი თანამედროვე მწერლის“ გამოთქმის შესაბამისად ამ გატაცებას ის „ტკბილ წარწყმედას“ უწოდებს. წერილში „სასუმელი ესე... და გამწყრალი მუზა“ იგი წერს: „ამ «ტკბილ წარწყმედისათვის», აბა, რამდენმა დაჰკარგა სულის სიმშვიდე, რამდენს გაუკრთა ძილი და მოსვენება, და ამ თრიაქთა და სასმელით სამუდამოდ გულგასენილმა არც ს ხ ვ ე ბ ი დ ა ი ნ დ ო და მ ო ა ს ვ ე ნ ა. და ვინც კი ერთხელ მაინც იგემა და იწვნია თუნდაც მცირეოდენი წვეთი ამ საშინელი, მაგრამ თავბრუდამხვევი და გონების დამბნედი საწამლავისა, და განიცადა მისი სიტკბო-სიმწარე, გულდამწვარსა და გათანგულს სიბერემდე აწვალებს, ტანჯავს და საშველს არ აძლევს დაუოკებელი სწრაფვა ლ ე ქ ს ი ს წ ე რ ი ს ა და სიკვდილამდე ვეღარ ივიწყებს იმ სასმელის გემოს...“[14]

იმოწმებს და ახასიათებს რა თანამედროვე ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა ლექსის წერით გატაცების მაგალითებს, ნ. აგიაშვილი საგანგებოდ გამოყოფს: „თვითონ მეფენიც...“ (გვ. 13) და ზოგადად და ცალკეულ მაგალითებზე მითითებით ასახელებს ზოგიერთ ნიმუშს.

„მე-17 და მე-18 საუკუნეებში, იმ საშინელი ვერაგობისა და უსაშველო რაინდობის ხანაში, — წერს იგი, — საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ და მოქმედ მ ე ფ ე თ ა შ ი გ ა ნ ლ ე ქ ს თ ა მ თ ქ მ ე ლ ო ბ ი ს ა ს ე თ ი ს ი უ ხ ვ ე ა რ ა ხ ს ო ვ ს ა რ ც ე რ თ ს ხ ვ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა ს. აღორძინებისა და გარდამავალი ხანის მწერლობაში, თ ი თ ო-ო რ ო ლ ა ნ ი ჭ ი ე რ ა ვ ქ ს ო ნ თ ა ნ ე რ თ ა დ, ჩვენი

---

[13] ალ. ბარამიძის შენიშვნით, „ავტორი (ე. მაღრაძე. — ბ. დ.) ზედმეტ სიმკაცრეს იჩენს მეფის (ვახტანგის. — ბ. დ.) როგორც პოლიტიკური კურსის, ისე ადამიანური თვისებების შეფასების მხრივ“. „ქვეყნის განმაახლებლური საქმის მეთაურისა და ყიზილბაშურ-ოსმალური აგრესიის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი შესანიშნავი მეფის პოლიტიკურ მოღვაწეობას სხვაგვარი დახასიათება შეეფერება“ (ნარკვევები..., VII, გვ. 204—205).

[14] ნ. ა გ ი ა შ ვ ი ლ ი, პირად პირადი, თბ., 1986, გვ. 3.

ქვეყანა სავსე იყო მდაბიო «მესტიხეებით». და სწორედ მაშინ ძალზე განვითარდა პოეზიის მცირე ფორმები: მრავალგვარი, უმეტესად — ხელოვნური და ნაძალადევი, მოკლე-მოკლე და გრძელ-გრძელი, შეწყობილი და შეუწყობელი ბოლოკიდურები და ბოლოსართები, მრჩობლები — ჭადრაკის, ნარდის განჯაფისა და დგიმ-სავარცხელთა გამო, ხშირად აბდაუბდა სამკვეთი კიდურწერილობანი და ფიქრთა გასართველად დაწერილ-შეთხზული, ძნელად წასაკითხ-გასაგები, უაზრო პოლინდრომები და მიწყივ, წაღმა-უკუღმა ჩარხებმბრუნავი ყარიბული ან ვახტანგურ-მუხრანული ლექსები... ორ-სამმუხლიანი და მრავალმუხლიანი ანბანთქებანი, მრავალგვარი მაჯამები, ფისტიკაურები და ეპიტაფიები... აგრეთვე მარაილზედა სხვათა და სხვათაგან თხზული ხუთმუხლოვანი მუხამბაზები და მეფეთაგან თარგმნილი პოემები, რუბაიები და მისთანანი..." (გვ. 14—15).

აქ ჩამოთვლილთაგან ვახტანგის კალამსაც ეკუთვნის პოლინდრომი, ანუ წაღმა-უკუღმა საკითხავი ლექსი, ანბანთქებანი, თარგმნილი პოემები. მისივეა „ვახტანგური" და „მუხრანული". შემდეგ ავტორი პირდაპირ ასახელებს ვახტანგ მეექვსეს და ასახელებს ასეთ კონტექსტში: „რა იღონეს და რა გააკეთეს იმ დროს, ან როგორ რა გაახერხეს მეფეთა და მმართველთა ჰერეთისა, კახეთისა, კუხეთისა, სრულიად ქართლისა და ლიხთ-იმერთა მხრისა..." (გვ. 15). როცა თითქმის ყველა „ათასი ფუთი ვაი-ვარამისა და სიდუხჭირის მტვირთველი და მზიდველი კი იყო... და როგორ იცლიდნენ ლექსთა თხზვისათვის! ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დაადნობდა, ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდაო, წერს შეჭირვებაში მყოფი ვახტანგ მეექვსე (1675—1737) და ბოლმა-ნაღველს ლექსთა წყობაში იქარვებს" (გვ. 16).

იქვე ზოგადად აღნიშნულია: „მეფეებმა აღარ იცოდნენ მოშლილ-განადგურებული ქვეყნისათვის როგორ მოევლოთ და ეპატრონათ. და იმ დროს... არ ივიწყებდნენ იმ სასუმელს!.." მაგალითად დასახელებულია ვახტანგის ლექსის „კაეშნის" სიტყვები: „დამიმონა კაეშანმა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად, ნაღველს ეხმარობ მუდამ მელნად, გულსა ვაწევ მისად კალმად... დავუტევე სახლ-სამყოფი... დავკარგულვარ უცხო თემსა..." (გვ. 16—17. ბოლო სამ ციტატაში სამწერტილი ავტორს ეკუთვნის).

ზოგადი მსჯელობა ისევ გრძელდება: „ასე ჩიოდნენ, და მრავალი მათგანი, ცხოვრებაშიც და მწერლობაშიც ხელმოცარულნი, გუნებაში დავით მეფსალმუნეს უტოლებდნენ თავს" და ისევ ციტატი ვახტანგის ლექსიდან: „ეს მერე იყო, როცა «გათავდა ყოველი წერილი, ანი, ბანი და განი და...»" (გვ. 17).

ნ. აგიაშვილი იმასაც წერს, რომ „იქნებ, ხმალთან ერთად, იმ ლექსებმა და პოემებმა გადაარჩინეს ბევრი რამ: ენა ქართული, რჯული, სარწმუნოება, მთელი ქართველი ხალხი...“ (გვ. 19), რომ „ნუ დავუშლით პოეტს, რაოდენიცა სურს, შესვას სიცოცხლით სავსე ჰურჰლიდან თუ სარწყულიდან უკვდავების შარბათი, იგრძნოს უმაღლესი სიტკბოსიამე და სულიც თავისი ზედ დააკონოს...“ (გვ. 20. სამწერტილი ორივეგან ავტორს ეკუთვნის), მაგრამ ამ კეთილი ღიმილით განათებულ წერილში თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ მეექვსისა და სხვათა მიმართ იგივე კრიტიკა ისმის, რასაც ა. წერეთელი და ზემოთ დასახელებული ავტორები გამოთქვამენ. აქ აკაკის „ბაში-აჩუკის“ ზემოთ მოყვანილი სიტყვები დამოწმებულიც კი არის (გვ. 17).

ვახტანგ მეექვსის პოლიტიკურ საქმიანობას მოწინააღმდეგენი და კრიტიკოსები იმთავითვე ჰყავდა. იესე ტლაშაძე თავის „კათალიკოზ-ბაქარიანში“, რომელიც ვახტანგ მეექვსისა და მისი სამეფო კარის აპოლოგიაა, ერთგან უარმყოფელი გაკვირვებით მოიხსენიებს იმ ფაქტს, რომ ქართლის მეფემ ბრძოლა არ გააგრძელა თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ და რუსეთის გზას დაადგა:

„ახლა დავიწყებ ამბავსა მეფისა ვახტანგისასა,
ქართლი დააგდო, წავიდა, ძირს დადგა დიდის მთისასა,
წავა ცოლ-შვილით რუსეთსა, ახსენებს სახელს ღვთისასა,
და ხმალი არა ჰკრა ხვანთქარსა, *უყურე ჭკუას მისასა!*“[15]

დიდად საყურადღებო ცნობებს იძლევა დ. გურამიშვილის „დავითიანი“, რომელიც ამ თვალსაზრისით არაერთხელ არის გაანალიზებული[16]. აქ პირუთვნელად და საკმაოდ მკაცრად მოთხრობილი და შეფასებულია, თუ როგორ, რა წინააღმდეგობის ვითარებაში გადაწყვიტა ვახტანგმა, მიეღო პეტრე პირველის წინადადება ზემორე აღნიშნული ერთობლივი ლაშქრობის თაობაზე.

აქედან ვიგებთ, რომ რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების საკითხი ქართლის სამეფო კარზე საგანგებო განხილვის საგანი ყოფილა:

---

[15] *იესე ტლაშაძე*, ბაქარიანი, გამოსაცემად მოამზადა *ს. ყუბანეიშვილმა*, თბ., 1962, სტრ. 108.

[16] *ივ. ჯავახიშვილი*, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის, XVIII საუკუნეში, თბ., 1919, გვ. 8—10; *ვ. დონდუა*, საისტორიო ძიებანი, III, თბ., 1985, გვ. 106—113; *ლ. მენაბდე*, ვახტანგ მეექვსე, გვ. 78—79; *ნ. მახათაძე*, მეგობრობის ფურცლები, თბ., 1983, გვ. 34—40; *დ. ბრეგაძე*, მეგობრობის მეკვლე, გვ. 27—31 და სხვა.

„შეკრბენ ქართველთ ბატონ-ყმანი, ერთად თავი მაიყარეს,
დასხდნენ რიგით, ივეზირეს, წინ წიგნები დაიყარეს"[17].
(წიგნი ა, სტროფი 203. 1—2)

დარბაზის წევრთა ერთი ნაწილი დიდ იმედს ამყარებს ერთმორწმუნე რუსეთთან მეგობრობასა და სამხედრო კავშირზე:

„ქრისტიანის ხელმწიფისა ხელ-დებულნი შევიქნებით,
ჩვენ მაგათზე რად წავხდებით, თუ არ უფრო გავკეთდებით!" (204. 3—4)

დარბაისელთა მეორე ნაწილი კი ამ გეგმას დაბეჯითებით ეწინააღმდეგება:

„ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხვდების". (205. 4)

„იტიროდენ, ამას იტყოდენ: ახლა არს ჩვენი დავსება!
ვერ მოგვიხდების კარგათა ამდენი წყვეტა, ტმასება,
მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება.
და სამი ვეშაპი ერთს ლომსა აწ ვითარ მოეთავსება?!

მ ე ფ ე ს ს ძ რ ა ხ ე ვ დ ე ნ, იტყოდენ ეგევითარსა ჰმობასა:
სამს დიდ ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა!
ყვენის სპასალარია, თავს ირჭვამს მის რაყმობასა!
და რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა!

ჩვენს ჭკვაში ესე საქმენი არ არის მოსაწონარი:
რა სამთავ ცემა შეექმნასთ, ჩვენზე მათ შექნან ონარი,
გარს მოგვეჭიროს მუხრუჯი, არსით ჩნდეს მოსაფონარი,
და ვიქნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით მოსაგონარი!" (213—215)

რუსეთთან ურთიერთობის საკითხში ვახტანგს მედგარ მეტოქეობას უწევს თვით მის ვაჟი, ბაქარი:

„წახდენის დროს მამა-შვილთაც არა ჰქონდათ ერთი პირი,
არჩევდიან, არ მოსწონდათ ერთმანერთის ნავეზირი". (217. 3—4)

„ერთმანერთის ნავეზირი მათ მოსწონდათ ამად არა:
მამა რუსეთს იზიდევდა, შვილი ყვენისა კარა..." (219. 1—2)

განსჯისა და ცხარე კამათის საგანია ისიც, თუ რამოდენა ჯარით, როგორი ტაქტიკით, ცხადად თუ შენიღბულად წასულიყვნენ რუსეთის ჯართან შესახვედრად (სტრ. 207—211).

---

[17] დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი [პასუხისმგებელი რედაქტორი ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე], თბ., 1955, გვ. 55; ბოლო პუბლიკაცია: გამოსაცემად მოამზადა ს. ც ა ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1986, გვ. 48.

დ. გურამიშვილი, რომელიც ცდილობს ობიექტურად მოგვითხროს სინამდვილე, უკმაყოფილებას ვერ ფარავს ვახტანგის გადაწყვეტილების გამო — ამ ვითარებაში სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დაამყაროს რუსეთთან. იგი საკმაოდ გამოხატული გულისწყრომით გადმოგვცემს მიღებულ დადგენილებას და ერთგვარ მეფურ თვითნებობადაც თვლის მას:

„ვითა ირემსა მაშვრალსა წყაროსა წყალი სწყუროდა,
ეგრეთ მეფესა რუსეთის ხელმწიფის ნახვა სუროდა;
ამჯობინებდა წასვლასა, თუმცა არ მიეშუროდა.
და ეინც არ ემოწმის, მაზედა ერთგულად არ უყურებდა“.
(206)

„მეფემ აღარა ბრძანა რა, ინება თვისი წადილი,
გულში დაასკვნა საქნელად იგი პირველი ქადილი;
გათავდა რჩევა, გადასწყდა!.. (212. 1, 3)

„ბევრნი ბევრს რასმე იტყოდა, მაგრამ ვინ მოისმინებდა?
მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!“ (216. 1—2)

ვახტანგ მეექვსის პოლიტიკის მიმართ კიდევ უფრო მკაცრი განაჩენი გამოაქვს დ. გურამიშვილს შემდეგ, როცა ბაქარს ათქმევინებს:

„ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე მინაწდომარე,
რაზედაც მიდგა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე!“
(544. 1—2)

დ. გურამიშვილის მიერ ხატოვნად და მკვეთრად გამოთქმულმა შეხედულებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვახტანგის საგარეო პოლიტიკის იმ უარყოფით შეფასებათა შემუშავებაში, რომლებიც თანამედროვე სწავლულთა ნაშრომებში გვხვდება. მისი ჩამოყალიბების, გავრცელებისა და განმტკიცების საქმეს დიდად შეუწყო ხელი 1919 წელს გამოცემულმა ივ. ჯავახიშვილის დასახელებულმა ნაშრომმა „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“, რომელიც არსებითად „დავითიანს“ ეფუძნება და რომლის ტენდენცია, ჩვენი აზრით, ნაწილობრივ მაინც, საქართველოში შექმნილმა მაშინდელმა პოლიტიკურმა ვითარებამ განსაზღვრა. ოღონდ თუ დ. გურამიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებში საკითხი ერთ ფაქტს ეხება, ზოგიერთ თანამედროვე, მათ შორის, ზემოთ დამოწმებულ გამოკვლევებში, მოცემული თვალსაზრისი გაფართოებულია და მსჯელობა ვახტანგის მთელ საგარეო პოლიტიკაზე ზოგადდება, თანაც — კიდევ უფრო გაზვიადებული და გადაჭარბებული სახით.

ახლა, როდესაც შედეგების მიხედვით ვსაზღვრავთ ვახტანგ მეექვსის ამა თუ იმ პოლიტიკურ საქმიანობას, ადვილად ჩანს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მაგრამ ეს შეფასება მეტწილად ცალმხრივია და ნაკლებ წრმოგვიდგენს გარემოების სირთულეს. ა. გაწერელია წერს: „სხვა საკითხია — რატომ არ გაუმართლდა ბევრი რამ თავის გეგმიდან ვახტანგს. მართალია, თვითეული სახელმწიფო მოღვაწის შეფასება ხდება მისი პოლიტიკის რეალური შედეგების მიხედვით, მაგრამ ამ შედეგების მიზეზებსაც უნდა გათვალისწინება"[18].

დღეს ვახტანგის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ დიდძალი ლიტერატურა გვაქვს. უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები მოიპოვეს და სათანადო მეცნიერული გამოკვლევითურთ გამოაქვეყნეს მ. ბროსემ, მ. თამარაშვილმა, ვ. დონდუამ, დ. ლანგმა, ვ. გაბაშვილმა, ი. ტაბაღუამ, გ. პაიჭაძემ, დ. ბრეგაძემ, მ. პაპოშვილმა და სხვებმა. ამ საკითხს არაერთი ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი ეხება და მაინც აღნიშნული პრობლემა შესწავლილი არ არის არათუ მთლიანად, მონოგრაფიული სისრულით, არამედ ცალკეულ შემთხვევაშიაც კი, ვთქვათ, რომელიმე ფაქტის განხილვისას ყოველმხრივ ამომწურავად და კომპლექსურად იყოს გათვალისწინებული მთელი იმდროინდელი ისტორიული სინამდვილე. როდესაც ამგვარი საგანგებო, ფართო და ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიება ჩატარდება, გამოვლენილი და თავმოყრილი იქნება საკითხის ირგვლივ არსებული ყველა მასალა და მათი ანალიზის შედეგად პოზიტიურ სინამდვილესთან ერთად დადგენილი იქნება ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის წინაპირობები, რამდენად შეიძლებოდა განჭვრეტილიყო ესა თუ ის პოლიტიკური ნაბიჯი, საქმის სხვაგვარ გადაწყვეტას რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა და ა. შ., — მხოლოდ ამის შემდეგ გვექნება მყარი საფუძველი ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური მოღვაწეობის ავ-კარგის განსაზღვრისათვის.

ამჟამად ამ საკითხებში ჩაღრმავება ჩვენი საკვლევი თემისა და შესაძლებლობის ფარგლებს სცილდება. თუმცა ეს კი მაინც უნდა შევნიშნოთ: როდესაც ზემოთ დასახელებულ მეცნიერ-სპეციალისტთა საგანგებო გამოკვლევებს ვეცნობით, ვახტანგის დიპლომატიური პოლიტიკის „პოეტურ პოლიტიკად" შეფასება ყოვლად უსაფუძვლოდ და გაუმართლებლად გვესახება. ჩვენი შთაბეჭდილებით, თუკი მსგავსება არის მის საგარეო-სახელმწიფოებრივ საქმიანობასა და პოეზიას შორის, არის მხოლოდ ერთი თვალსაზრისით: ორივე საქმეში, ისე როგორც მისი მოღვაწეობის სხვა სფეროებში, ჩანს ვახტანგის დაუცხრომელი, მუდამ მაძიებელი, ნოვატორული ბუნება.

---

[18] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, რჩეული ნაწერები, I, 1962, გვ. 501.

აღძრული პრობლემიდან შევეხებით მხოლოდ ორ საკითხს: რა ადგილი ეჭირა ვახტანგის ცხოვრებაში მელექსეობას და რა მოქალაქეობრივი და ესთეტიკური ღირებულებისაა მისი პოეზია.

როდესაც რედაქციული თვალსაზრისით ვახტანგის პოეტურ მემკვიდრეობას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მას მართლაც დიდი შრომა გაუწევია. დიდი დრო და ენერგია დაუთმია თავისი ლექსებისათვის, — ყველა დიდი და ზოგიერთი მცირე ფორმის ნაწარმოები ორი, სამი და მეტი რედაქციით დაუმუშავებია. ამიტომ, ერთი შეხედვით, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ თითქოს მეფე-პოეტი მელექსეობას იყო გადაყოლილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, ძირითადად რა ვითარებაში იქმნებოდა ვახტანგის ლექსები. ალ. ბარამიძე წერს: „ვახტანგის ლ ი რ ი კ უ ლ ი ლ ე ქ ს ე ბ ი ს უ მ ე ტ ე ს ო ბ ა დაწერილია უცხოეთში (ისპაანში, ქირმანში, მოსკოვში) ექსორიობისა და ემიგრანტობის დროს“[19].

გ. მიქაძე: „ვახტანგის ლექსების უ მ ე ტ ე ს ი ნ ა წ ი ლ ი დაწერილია უცხოეთში ყოფნის დროს. როცა მეფე-პოეტი სამშობლოსა და დიდების დაკარგვის გამო შეპყრობილი იყო მძაფრი სულიერი განცდებით“[20].

გამოთქმები „უმეტესობა“, „უმეტესი ნაწილი“, მით უფრო, თუ ის მხოლოდ ლირიკულ ლექსებს ეხება, ცოტაა. ვახტანგის მთელი პოეტური მემკვიდრეობა, გარდა უმცირესი ნაწილისა, დაწერილია უცხოობაში ყოფნისას, მოცალეობის ჟამს, როდესაც იგი სახელმწიფოებრივ საქმიანობას ჩამოშორებული იყო. ალ. ბარამიძის გამოთქმით, „ვახტანგი ფაქტობრივ მწერლობდა იძულებით გამოწვეულ თავისუფალ დროს“[21].

ცნობილია, რომ სპარსეთში ექსორიობის ჟამს (1712—1718) განეკუთვნება „ქილილა და დამანა“, „სალბუნად გულისა“-ს პირველი რედაქცია და „კვინკლოსის“ ანდერძის ლექსები. პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ჩანს, ამავე დროს არის დამუშავებული „ქილილა და დამანას“ ლექსების პირველი რედაქცია, რომელიც დღეს S 3177 ხელნაწერში გვაქვს. როგორც ვიცით, ამ ლექსების ვახტანგისეული პოეტური თარგმანი დავითის, აგრეთვე უცნობ სპარსელ და სომეხ მთარგმნელთა გადმოღებულ ნაწილებს მოიცავს. სომეხ მთარგმნელს კი ვახტანგი დავალებას სპარსეთში აძლევს. მის ანდერძში ვკითხულობთ: „ქილილა და დამანა“ „შემდგომ ბატონს დავითს, ბატონის

[19] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები..., II, გვ. 443—444.

[20] ქართული ლიტერატურის ისტორია, 1966, გვ. 510.

[21] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები..., VII, გვ. 183.

თეიმურაზის მამას, კუსა და მორიელის არაკამდის ეთარგმნა, მაგრამ არც ლექსი გამოელო და ზოგი სიტყვაც დაეკლო და არც გასრულება დასცალებოდა. მე ის წიგნი ხელად შემომივარდა და... ერთს სპარსსა რომ მცირედ ქართული ენა და წიგნი ესწავლა, ამის შესრულება უთხარი. მან თარგმნა იწყო, მაგრამ ენის უცოდინარობით ვერც კარგა გამოიღო და გასრულებამდის მეც ისპაანს წასვლა მომიხდა. ისპაანს რომ ჩაველ, მუნ ერთს სომეხს უთხარ, რომ სპარსული ესწავლა, ნაკლების შესრულება, და მან შეასრულა“[22].

S 3177 ხელნაწერში სამივე ავტორის თარგმანია შესული, სამივე ერთი ხელით არის შესრულებული და ვახტანგის კალამი სამივეს ეხება. ეს კი იმის უტყუარი ნიშანია, რომ ვახტანგს თარგმანებში გამოტოვებული ლექსები მას შემდეგ დაუმუშავებია, როდესაც სომეხი მთარგმნელის ნამუშევარი პირველ ორ თარგმანს დამატებული ჰქონდა.

„ქილილა და დამანაზე“ ვახტანგის შემდგომი მუშაობა კი, როგორც ვახტანგისა და სულხან-საბა ორბელიანის ანდერძებით კარგად არის ცნობილი, სპარსეთში გრძელდებოდა. ბარემ სულხან-საბას სიტყვებიც დავიმოწმოთ: „ეს წიგნი ქირმანსა და ისპაანს შეჭირვებაში მყოფსა და უსაქმო მზრუნავს გონების ურვის წამლად მოემუშაკა ქართველთასა მეფე ვახტანგს — სპარსულისაგან ქართულად ეთარგმნინა“[23].

„კვინკლოსის“ ანდერძის ლექსითი ნაწილისა და „სალბუნად გულისა“-ს სპარსეთში დაწერის თაობაზე ცნობებიც თვით ამ თხზულებებშია დაცული.

„კვინკლოსის“ ანდერძში ვახტანგი იუწყება: „ქრისტეს აქათ ჩღიბ (1712 წ. — ბ. დ.) აპრილის კბ (24 — ბ. დ.) წამოველ ტფილისით და ივლის დ (4 — ბ. დ.) მოველ ისპაანს და აწ ვიმყოფები აქა. დალაკათუ პატივცემულ ვარ, არამედ მწირ ვარ...“[24]

„სალბუნად გულისა“-ს სათაურად ავტორიზებულ ხელნაწერებში იკითხება[25]: „მეფე ვახტანგ სამეფოსაგან კიდეგანქმნილი სალბუნად გულისა წყლულებათათვის მკურნალ თავისა თვისისათვის იქმნების

---

[22] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II_1, გვ. 38; ქ. ჟოდუას გამოცემა, გვ. 190.

[23] იქვე, გვ. შესაბამისად 40 და 186.

[24] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 61.

[25] იქვე, გვ. 174—175. გარდა „სალბუნად გულისა“, იქვე M 3 და S 526 ნუსხების მიხედვით დაბეჭდილია კომენტარ-სათაურები შემდეგი ნაწარმოებებისა: „კაეშანი“, „სატრფიალონი“, „ანბანთ-ქება“, „კვლავ მიხმეს ისევ ისპაანს...“, „ამირ-ნასარიანი“, „სიბრძნე მალალობელი“.

და სწერს ესრეთ ქ ი რ მ ა ნ ს (ი ს პ ა ა ნ ს S 171)“ S 4500 (გვ. 245), S 171 (გვ. 1) და სხვა.

იგივე ცნობა დადასტურებულია ტექსტშიაც (სტრ. 26. 4; 66. 1).

როგორც ცნობილია, ვახტანგის პოეტურ თხზულებათა უმეტესობა შექმნილია რუსეთში. ამის თაობაზე „სიბრძნე მალაღობელის“, „ამირნასარიანის“, „სატრფიალონისა“ და „კაეშნის“ შესახებ პირდაპირი ცნობები მოგვეპოვება.

„სიბრძნე მალაღობელის“ ეპილოგში პოეტი წერს:

„ქირმანს «ქილილა-დამანა», მოსკოს ვარ ამის მთქმელია“. (807. 1)

გარდა ამისა, ლ. ძოწენიძემ გაარკვია, რომ „აპოფთეგმატას“ ერასტი თურქისტანიშვილისეული პროზაული თარგმანი, რომელიც საფუძვლად უდევს „სიბრძნე მალაღობელს“, შესრულებულია 1723 წლის პეტერბურგული გამოცემიდან[26].

„ამირ-ნასარიანის“ სათაურია: „წიგნი პირველი, ამირ-ნასარიანი, სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი ამბად მეფეთ მეფის ვახტანგისა მიერ და ბოლოდ მ ო ს კ ო ვ ს მის მეფისგანვე გალექსილი...“ S 4500 (გვ. 213), S 171 (გვ. 107) და სხვა.

ცნობა „სატრფიალონის“ დაწერის ადგილის შესახებ დაცულია მხოლოდ S 171 ხელნაწერში: „აქა იწყებიან ტრფიალისაგან სატრფოსათვის შაირობა დ ი დ ს ა ქ ა ლ ა ქ ს ა მ ო ს კ ო ვ ს ა და მკითხველთა უკამს გულისკმიერება, თუ ვისადმე ტრფიალებს მეფე ვახტანგ...“ (გვ. 16).

„კაეშნის“ სათაური[27]: „მოცალეობასა (-ლებ- S 171) შინა მყოფსა ჰმუნვა-ნავღლისა (-ღვ- S 171) მაქარვებელად (-ბლ- S 171) იწერების საქართველოს მეფის ვახტანგისა (-ის S 171) მიერ ქალაქსა მ ო ს კ ო ვ ს ა (პ ე ტ ე რ ბ უ ხ ს ა S 171) წელსა 1730“ S 4500 (გვ. 266), S 171 (გვ. 15) და სხვა.

ყველაფრიდან ჩანს, რუსეთშია შექმნილი მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკში“ მოთავსებული ვახტანგის ლექსები. ცნობილია, რომ თავისი პოეტიკური ნაშრომის წერა მამუკას 1731 წლის დასაწყისისათვის დაუმთავრებია. ავტოგრაფში და მომდევნო ნუსხებში გადამწერის ხელით შესული მეფე-პოეტის ლექსები „უწყვეტელი“, „ბოლოერთი“ და

---

[26] ლ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, რუსული „აპოფთეგმატას“ ქართული რედაქციები, თბ., 1959, გვ. 36, 43.

[27] „სალბუნად გულისა“-ს და „კაეშნის“ დაწერის ადგილის თაობაზე S 171 ნუსხის განსხვავებულ ჩვენებათა შესახებ საუბარი გვაქვს წიგნში: „ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა“, გვ. 23—24, 65.

„შურით აღივსნენ უგბილნი...“ ვახტანგის თხზულებათა, და საერთოდ, არც ერთ სხვა ხელნაწერში არ დასტურდება და სამივე, ისე როგორც ამ პოეტიკურ ტრაქტატში მოცემული დანარჩენი მისი ლექსები, თავისებური სახის, ვერსიფიკაციული მიზნით შეთხზული ნაწარმოებებია. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ისინი საგანგებოდ „ჭაშნიკისთვისაა“ დაწერილი. იგივე კიდევ უფრო მეტად ითქმის ვახტანგის ლექსებზე „ვახტანგური“, „მუხრანული“ და „ლექს-ამბავი“, რომლებიც „ჭაშნიკის“ ლენინგრადულ ნუსხაში მერმეა ჩაწერილი.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, ამავე მოტივით პოეტის მოღვაწეობის ბოლო ხანას უნდა განეკუთვნებოდეს „რანი და მოვაკანი...“, ხოლო იგივე დოკუმენტურად მტკიცდება ლექსების „სიკვდილი ჯიმშედის ცოლისა“ და მესამე ანბანთქების მიმართ.

ვაჩვენეთ აგრეთვე ისიც, რომ ყველა რედაქციული სწორებანი, რომლებიც M 3 და S 171 ხელნაწერებში გვაქვს, ვახტანგის ცხოვრების ბოლოდროინდელია[28].

იგივე უნდა გავიმეოროთ „რამლის წიგნში“ დაცულ ლექსებზე, რომელთა გვერდით იმავდროულად მიწერილია რუსეთში შეთხზული „სატრფიალონისა“ და „კაეშნის“ ცალკეულ სტროფთა გვიანდელი რედაქციული ვარიანტები.

მეორე მხრივ, საქართველოში შეთხზული ჩანს რამდენიმე პატარა ლექსი, კერძოდ: ხუთსტროფიანი „შვიდთა მთიებთა ბუნება“, 37-სტროფიანი ანბანთქება („ასრე არის აგებული...“) და ერთსტროფიანი ძმისადმი მიწერილი ლექსი. პირველი სულხან-საბა ორბელიანსა და გივი თუმანიშვილთან ლექსად გაპაექრების შედეგია და, სათაურის მიხედვით, ვახტანგის გამგებლობის პერიოდშია დაწერილი (1703—1712). სათაური იუწყება: „საქართველოს გამგებლის ბატონიშვილის ვახტანგის ნაბრძანები“[29].

ძმისადმი მიძღვნილ ლექსზე ზემოთ ვიმსჯელეთ. დასახელებულ ანბანთქებას კი M 3 ავტორიზებულ ნუსხაში სათაურად აქვს: „ქ. ესე ანბანთ ქება, უცხო და ახლად შემოღებული და არა ადვილად სათარგმანებელნი, თქმული მეფის ვახტანგის მიერ ტფილისს, უფალმან მრავალჟამიერ ყოს, ამინ!“ (გვ. 2).

---

[28] ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა, გვ. 174—176.

[29] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, VII, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჭანკიევმა, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 178; ელ. მეტრეველი, ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, თსუ შრომები, № 43, 1951, გვ. 150.

მეორე ავტორიზებული ნუსხა S 171 ამ ლექსს არ იცნობს, S 4500 ავტორიზებული ნუსხა დაზიანებულია — სათაური და პირველი შვიდი სტროფი არ მოეპოვება. დაზიანებულია აგრეთვე ამ უკანასკნელთან რედაქციულად ახლო მდგომი Q 548 ხელნაწერი, რომელშიაც არა გვაქვს სათაური და 1—11. 1—3 სტროფები. დანარჩენ ხელნაწერ-კრებულებში, რომლებიც რედაქციულად S 4500 და Q 548 ნუსხებს ენათესავება, სათაური არის, მაგრამ არც ერთში არ არის ცნობა ლექსის დაწერის ადგილის შესახებ. მაგალითად, A 1776 (გვ. 49r), ცენტრალური არქივის № 138 (გვ. 1r) და № 297 (95r), H 957 (100r), H 21 (49r) ხელნაწერებში იკითხება: „ესე (ეს H 957) ანბანთ ქება, უცხო და ახლად შემოღებული და არ ადვილად სათარგმანებელნი (-ლი არქ. № 297, H 957) თქმული (-ლნი H 21, — H 957) მეფის (მეფი A 1776) ვახტანგის (-სა არქ. № 138, 297) მიერ, უფალმან მრავალჟამიერ (სასუფეველი არქ. № 297, H 957) ყოს (მიანიჭოს არქ. № 297, H 957), ამინ".

სხვა. გვიანდელ ხელნაწერებშიაც ლექსის დაწერის ადგილის თაობაზე არაფერია ნათქვამი. აი, ზოგიერთი მათგანის სათაური: S 1512, რომელიც გადაწერილია 1821—1823 წლებში[30]: „ეს ანბანთქება, უცხო და ახალ შემოღებული და არა ადვილად სათარგმანებელი, შაჰნავაზის შვილისშვილის, ლევანის ძის, ბატონიშვილის ვახტანგისაგან თქმული, რომელი იქმნა შემდგომად მეფედ საქართუელოსა ზედა..." (7r).

S 2694, გადაწერილი 1835 წელს[31]: „ეს ანბათ (!) ქება, უცხო და [ა]ხლათ შემოღებული და [ა]რა [ა]დვილათ სათარრგმნელი (!) ბატონისშვილის ვახტანგისაგან თქმული და გალექსული და სასმენელათ შესაქცევი" (გვ. 69).

დავით რექტორის კრებული[32] — A 1164: „ეს ანბანთ ქება, უცხო და ახალ შემოღებული და არა ადვილად სათარგმანებელი, ბატონის შვილის ვახტანგისაგან თქმული. უფალმან განაძლიეროს მტერსა ზედა. ამინ!" (გვ. 7r) და სხვა.

ამ ნუსხების მიხედვით გამოდის, თითქოს ლექსი ვახტანგს ბატონიშვილობაში დაეწეროს, M 3-ის მიხედვით კი მეფობაში (1719 წლის შემდეგ). რასაკვირველია, მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს ავტორიზებულ ხელნაწერს, თუმცა ცდომილება არც აქ არის გამორიცხული. შე-

---

[30] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, II, გვ. 257.

[31] იგივე აღწერილობა, IV, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, ლ. კიკნაძის, მ. ქავთარიას, ლ. ქაჯაიას, მ. შანიძის, ქრ. შარაშიძის და ც. ჰანკიევის მიერ, თბ., 1965, გვ. 149.

[32] საქართველოს სახელმწიფო ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, IV, შეადგინა ქრ. შარაშიძემ, თბ., 1954, გვ. 217.

საძლებელია, სიტყვა „მეფე“ იმჟამინდელ ვითარებას ასახავდეს, როცა ხელნაწერის გადაწერა ხდებოდა და არა დროს ლექსის შექმნისა. ასეა თუ ისე, ჩვენ მაინც ვუშვებთ. რომ ეს ანბანთქება ვახტანგმა თბილისში, სამეფო ტახტზე ყოფნისას შეთხზა.

სად და რა გარემოებაში დაიწერა დანარჩენი ლექსები, არ ვიცით. ესენია ოთხტაეპედები: „შეგონება“, „ანბანთქება“ („არა ბძანებ გიორგ დედად...“), „ყველის ქება“, წაღმა-უკუღმა საკითხავი ლექსი, ხოსროს ფიცი, შიო მღვიმელს, „მასკვლავების წიგნზე“ მინაწერი სტროფი („ვაქებ ღმერთს, ყოვლის მოქმედსა...“), „თუ კი გინდა სულის კარგი...“, ათცხრამეტური და სულხან-საბა ორბელიანზე ნათქვამი ორსტროფიანი ლექსი. სულ 11 სტროფი.

უფრო მოსალოდნელია ბოლოსწინა სამი ლექსი რუსეთში იყოს შეთხზული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მასკვლავების წიგნზე“ მინაწერი ლექსი, მსგავსად მასთან მოთავსებული ლექსისა „გულის სევდისა სალხენად...“, „სატრფიალონში“ შესატანად უნდა იყოს შექმნილი. „თუ კი გინდა სულის კარგი...“ და ათცხრამეტური ცალკეული ქაღალდების ნაჭრებზეა შესრულებული და ავტორის თხზულებათა არც ერთ ხელნაწერში არ შესულა. ამ ფაქტისა და E 106 კრებულში მოთავსებული სხვა გვიანდელი ჩანაწერების გამო უფრო სამართლიანი იქნება, ხსენებული ლექსები ვახტანგის მოღვაწეობის ბოლო ხანებს მივაკუთვნოთ.

მაგრამ, მოდით, თავი დავანებოთ ამ წვრილი ლექსების შექმნის დროისა და ადგილის ძიებას და ჩავთვალოთ, ყველა ისინი საქართველოში, ვახტანგის მეფობის პერიოდშია შეთხზული. ვიღებთ 50-ზე ცოტა მეტ სტროფს. ვახტანგის პოეტურ მემკვიდრეობასთან შეფარდებით ეს, რაღა თქმა უნდა, უმნიშვნელო ციფრია!

მეორეც, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, მსგავსად არჩილისა და ზოგიერთი სხვა ქართველი მეფე-პოეტისა, ვახტანგისთვისაც მელექსეობა იძულებითი, მარტოობისას თავშესაქცევი, სევდა-ნაღვლის გამაქარვებელი საშუალება იყო. ამის თაობაზე პოეტი მრავალჯერ და დაბეჯითებით წერს.

„ქილილა და დამანას“ ანდერძში აღნიშნულია: „რა მიველ მუნ (სპარსეთში.—ბ. დ.), წიგნი სარგონი არ მახლდა, და ც უ დ ა დ ყ ო ფ ნ ა ს უ ლ ი ს ა ც მ ა ზ ი ა ნ ე ბ ლ ა დ ვ ნ ა ხ ე და ხ ო რ ც ი ს ს ა წ უ ხ რ ა დ ა ც. ს ხ ვ ა ს ა ქ მ ე ა რ ა მ ქ ო ნ დ ა რ ა და ა მ ი ს შ ე ქ ც ე ვ ა ს გ ა მ ო ვ ე კ ი დ ე“. იქვე ლექსად ნათქვამია:

„ცუდად ყოფნისა წამალად ვსვი ცუდი შარბათებია...“

„ეს ობოლი მარგალიტი დაეაცვი და დავაშადე,
ჭირნი ჩემნი უსაზომო ამ საქმითა გავაშადე...“

ამასვე ადასტურებს სულხან-საბა ორბელიანის ზემოთ დამოწმებული სიტყვები: „ეს წიგნი ქირმანსა და ისპაანს შეჭირვებაში მყოფსა და უსაქმო მზრუნავს გონების ურვის წამლად მოემუშაკა ქართველთასა მეფე ვახტანგს...“

„კვინკლოსის“ ანდერძში მეფე-პოეტი იუწყება: „წესია ჩემებრთა მწირთა თავის-წინობა და ხალვა. ვინათგან ესე ესრეთ არს, უქმად ყოფას ეუფლების მოწყინება, და ვინათგან მოწყინება დედა არს ყოვლისა ცოდვისა, ნუუკვე შევსძინო ცოდვა ცოდვასა ზედა, აღვიღე ხელთსაქმრად წინამდებარე ესე“.

„სალბუნად გულისა“-ს სათაური გვამცნობს: „მეფე ვახტანგ სამეფოსაგან კიდეგან ქმნილი სალბუნად გულისა წყლულებათათვის მკურნალ თავისა თვისისათვის იქმნების და სწერს ესრეთ...“

ნაწარმოებში პოეტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ იგი სხვათა, თანმხლებელთა, რჩევის თანახმად, სწორედ ჯავრისა და ფიქრის შესამსუბუქებლად დაუწერია:

„მაწვიეს თანამხლებელთა: «საქმის არა ხარ მქონელი,
ლექსი თქვი, ნუთუ ჯავრისა არ იყო
განამყოლელი».
მეც დაუჯერე, თქვენც ნახავთ, რისაც საქმის ვარ მდომელი;
და ამითი გავლე ცოტას ხანს სოფელი
დაუდგრომელი“. (95)

„ამირ-ნასარიანის“ ეპილოგში ვკითხულობთ:

„ამრ-ნასრანის ნათქვამი გათავდა სპარსთა თქმულები,
ჯერ გამოვილე ანბავად ვარდი-კოკობი რგულები,
აწ სევდის მოსაქარვებლად ლექსად ვარ განამგულები...“
(185)

იგივეა აღნიშნული „სიბრძნე-მალაღობელის“ ეპილოგში:

„აწ გაუსრულდა წადილი ამბისა ლექსად მკონოსა,
სევდისა განსაბნეველად, რაც მქონდა მოსაგონოსა...“
(806. 1—2)

„მე გავაწყე ბრძენთა სიტყვა არ თუ მათი საფერისად,
სევდა თავსა მოვაშორვე, ნდომა მქონდა რაცა ვისად...“
(808. 1—2)

ზემოთ უკვე დამოწმებულ „კაეშნის“ სათაურში ხაზგასმულია: „მოცალებასა შინა, ჰმუნვა-ნაღვლის მაქარვებლად იწერების...“ პირველ სტროფში კი მეტაფორულად ნათქვამია:

„დამიმონა კაეშანმა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
ნაღველს ეხმარობ მუდამ მელნად, გულსა ვაწებ
მისად კალმად“.

„სატრფიალონის“ ეპილოგში აღნიშნული აზრი ასეა გადმოცემული:

„ცუდად ვიყავ სოფლისაგან, ესე რამე გავაუბნენ,
ვერა ვირგე ნაღველთაგან, სევდა უფრო გავაუბნენ...“ (146. 1—2)

ვახტანგის წაღმა-უკუღმა საკითხავ ლექსს „აბანა ერსა მოშიშთა...“ წინ მხოლოდ ორი სიტყვა უძღვის: „ცუდად ვიყავ“ (S 4500, გვ. 265; S 171, გვ. 15). აქ ეს სიტყვები იმავე აზრის გამომხატველი უნდა იყოს, რაც ზემოთ დამოწმებულ ტექსტებში გვაქვს. მსგავსება განსაკუთრებით დიდია „სატრფიალონთან“. ამ ნიშნის მიხედვით აშკარაა, ეს ნაწარმოებიც პოეტის მძაფრი სულიერი ტკივილების დასაყუჩებლად არის შექმნილი. მართალია, ვახტანგს სამშობლოშიაც არაერთი ვაება გადახდომია თავს, განსაკუთრებით, 1721—1724 წლებში, მაგრამ, ვინაიდან ეს ლექსი თხზულებათა ძველ ხელნაწერ-კრებულებში დასტურდება, აღმოსავლური ყაიდისაა და პოეტის მძიმე სულიერ განცდებს უკავშირდება, ადვილი მოსალოდნელია, ავტორს ისიც სპარსეთში ყოფნისას დაეწერა.

გარკვევით ჩანს, ვახტანგ მეექვსეს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ მისი, როგორც მეფის, უპირველესი მოვალეობა იყო სახელმწიფოს მართვა, ზრუნვა თავისი ქვეყნისა და ხალხის ძლიერებისა და კეთილდღეობისათვის და არა მწერლობა, პოეტობა. მეფობას ჩამოშორებული, რუსეთში გადახვეწილი, მელექსეობას იძულებით გამოდევნებული ვახტანგი „ამირ-ნასარიანის“ ეპილოგში დიდი გულისტკივილითა და მწარე ირონიით წერს:

„მეფობის ნაცვლად სოფელმან მიბოძა ლექსობანია!“ (186. 4)

ხოლო 1721 წელს მისგან დასტამბული „აიათის“, ანუ „ქმნულების ცოდნის წიგნის“ შესავალში, გვესაუბრება რა იმ დიდ გარჯაზე, რაც ამ ნაშრომის შექმნისა და გამოცემისათვის გაუწევია, საგანგებოდ აღნიშნავს, ყოველივე ეს ისე გავაკეთე, ქვეყნის სამსახურისათვის არაფერი დამიკლიაო: „...და აწ მე, მეფეთა მეფეთამან ვახტანგ, ეს სპარსული «აიათი», რომელ არს «ქმნულების ცოდნის წიგნი», «ზიჯი», «თალა მასალა» და სხვა ოქმების წიგნი ვთარგმნე... და ჩემთვისაც შენდობის მოქენე ვარ, რამეთუ საქმეთაგან საცნაურ არს, ვითარმედ მრავალნი ჰირნი მინახვან ამა წიგნთა ზედა და არცა თუ მეფობისა მსახურება დამიკლიეს“.

საკითხის მეორე მხარე: ვახტანგს კარგად მოეხსენება მხატვრული სიტყვის მადლი და მაღალი დანიშნულება, ჭეშმარიტი პოეტის სახელის უკვდავება, რის შესახებაც ქვემოთ იქნება მსჯელობა. ის ყოველთვის გრძნობდა, რომ თავისი ლიტერატურული საქმიანობით, პოეზიით სასარგებლო საქმეს აკეთებდა. „ქილილა და დამანას" შესავალში, მას შემდეგ, რაც „ცუდად ყოფნის წამალზე" ლაპარაკობს, ამ თხზულების თარგმნის საჭიროებაზე ის აღნიშნავს: „კიდეც ვნახე, რომ კ ა ც ი ს ა თ ვ ი ს მ რ ა ვ ა ლ ი ს ა რ გ ე ბ ე ლ ი ჰ ქ ო ნ დ ა, ს ა ს მ ე ნ ლ ა დ ა ც მ წ ვ ე ტ კ ბ ი ლ ი დ ა ს ა ა მ ო ი ყ ო, და გარჯას აღარ ვრიდე ამის მიზეზისთვის. ეს ობოლი მარგალიტი დავაცვი და დავაშადე".

ამ მაღალი „მიზეზისათვის" სწევს იმ კოლოსალურ შრომას, რომელიც „ქილილა და დამანას" ქართულ ენაზე დამუშავებას დასჭირდა. ვახტანგი იქვე წერს: „არვის გმართებსთ, ვისაც ხელად შემოგივარდესთ, ამის ამბის შეუტყობარი დარჩეთ, და ან მ ე რ ა ჭ ი რ ი მ ი ნ ა ხ ა ვ ს ა მ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ზ ე, ისიც არ შეიტყოთ და არ გასინჯოთ".

სწორედ ეს იყო ის კეთილშობილური „მიზეზი", რამაც „მოცალეობასა შინა" მას სხვა რაიმე მსუბუქ, გასართობ საქმეს კი არ მოაკიდებინა ხელი, არამედ მეცნიერების, ლიტერატურის, პოეზიის მძიმე ჭაპანს შეაჭიდა. ვახტანგი არაფერში ამჟღავნებს ზერელე დამოკიდებულებას და ბუნებრივია, რომ იმავე „მიზეზით", იმავე „მოცალეობასა შინა" გულმოდგინედ და თავდადებით იღვწის თავის ქმნილებათა დახვეწისა და სრულყოფისათვის.

ვახტანგის მიზანი და შედეგი ბევრ რამეში, მათ შორის პოეზიაში, არსებითად თანხვდება ერთმანეთს. რაკი იმ პოეტურ სიმაღლეებს ვერ სწვდება, რომლებიც ძველ საქართველოში შოთა რუსთველმა, დავით გურამიშვილმა და სხვებმა დაიპყრეს, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ვახტანგს ერთი თვალსაჩინო და უმნიშვნელოვანესი ადგილი არ ეჭიროს.

და თუ დღეს ან ადრე აქა-იქ ვხვდებით ვახტანგის პოეზიისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, კერძოდ, თუ ჯეროვნად არ არის დანახული, როგორ ეხმიანება მისი პოეზია თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო მოვლენებს, რომელთაგან ზოგიერთს დღესაც არ გასვლია ყავლი, — ეს მხოლოდ ცალმხრივობით, საკითხის არასაკმარისი ცოდნით აიხსნება.

სავსებით სამართლიანი იყო თ. ნატროშვილის გულისწყრომა, რომელმაც მკაცრად დაჰგმო ლ. სანიკიძის მიერ „უქარქაშო ხმლებში" ყოველგვარი განხილვის გარეშე ვახტანგის და არა მარტო ვახტანგის, მთელი ქართული პოეზიის, ერთი საუკეთესო ნიმუშის „რანი და მოვა-

კანის...“ პოეტურ „პიი-პუუდ“ გამოცხადება[33]. იმოწმებს რა ამ ლექსის შესახებ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებულ მაღალ შეფასებას, თავის მხრივ უმატებს: „მასში ძალზე შთამბეჭდავად და ლაკონიურად არის გადმოცემული მწუხარება სამშობლოს უბედობით სევეგამწარებული მეფისა და ქართული კულტურის რაინდისა. როგორ შეიძლება ქირქილი იმ ლექსის მიმართ, რომელიც თითქოს და საკუთარი საფლავის ქვაზე ამოსაკვეთ ეპიტაფიად დაუწერია ვახტანგ VI-ს“[34].

უფრო ადრე ალ. ბარამიძე წერდა: „მცდარზე მცდარია შეხედულება, რომელსაც, შესაძლებელია, მავანი ვინმე ახლაც იზიარებდეს, თითქოს ვახტანგი უიდეო და უშინაარსო, ანუ «პიი-პუუს» ჰანგზე მღეროდა, მაშინ როცა მის ქვეყანას თავზე ატყდა ათასგვარი უბედურება“[35].

ამრიგად: არ არის მართებული ზოგიერთის მიერ გამოთქმული შეხედულება, თითქოს ვახტანგ მეექვსე პოეზიის „თრიაქითა და სასმელით სამუდამოდ გულგასენილი“, მელექსეობას გადაყოლილი მეფე ყოფილიყოს, პოეტობა თავისი უპირველესი მოვალეობის, სახელმწიფოებრივი საქმიანობის, წინ დაეყენებინოს, თუმცა გარკვევით ჩანს, მხატვრული სიტყვის ყადრი კარგად ესმოდა, პოეტური ღვთიური ნიჭიც საკმაოდ ჰქონდა მომადლებული და ისიც იგრძნობა, მწერლის მაღალი სახელი იზიდავდა და ხიბლავდა კიდეც. მისი პოეტური მოღვაწეობა უმთავრესად გამოწვეული იყო იმ შავბედობით, რომელიც მას, როგორც პატარა ქვეყნის მეფეს, იმდროინდელ დიდ. ძლიერ და მოძალადე სახელმწიფოებთან თავდაცვით ბრძოლებში ერგო.

ვახტანგის პოეზიის ღირსებანი, მისი მოქალაქეობრივი ბუნება, აზრის სიღრმე და მაღალმხატვრულობა ქართული ლიტერატურის ისტორიკოს-სპეციალისტთა შორის დაეჭვებას არ იწვევს. ამ მხრივ ბევრი რამ გამორკვეული და ცნობილია, ხოლო არსებით საკითხებზე საგანგებოდ და ფართოდ ქვემოთ ვიმსჯელებთ.

რაც შეეხება ვახტანგის მეფობისა და სახელმწიფო მოღვაწეობის საკითხს, აქაც მრავალი მხარეა გამორკვეული და ცნობილი. მაგრამ მისი სრულყოფილად შესწავლა და წარმოჩენა მომავლის საქმეა.

---

[33] ამის შემდეგაც იგივე გამეორებულია ავტორის ახლახან გამოსულ წიგნში: ლედა ისტორია, II, ბაზალეთიდან წიწამურამდე, თბ.. 1986, გვ. 101—103.

[34] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 9 დეკემბერი, 1983, გვ. 11.

[35] ალ. ბარამიძე, ვახტანგ მეექვსე, წიგნში: ვახტანგ მეექვსე. ლექსები და პოემები, 1975, გვ. 10; გადაბეჭდილია მისივე „ნარკვევების“ VII წიგნში, გვ. 183.

2. ლიტერატურული შეხედულებანი

ვახტანგ მეექვსის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი მთლიანად და სრულად შესწავლილი არ არის. უპირატესად გაანალიზებულია მწერლის ცალკეული მოსაზრებანი, რომლებიც მოცემულია ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემის კომენტარებში. თანაც, მათ უმთავრესად ყურადღება ექცევა რუსთველოლოგიური პრობლემატიკის, პოემის ისტორიულ-ლიტერატურული და ფილოლოგიური თვალსაზრისით განხილვისას. ვახტანგის მწერლურ-თეორიული ნააზრევი, როგორც ასეთი, ნაკლებად არის მსჯელობის საგნად ქცეული. ამ მხრივ აღსანიშნავია ს. ხუციშვილის, ჯ. ჭუმბურიძის, რ. სირაძის ნაშრომები[36].

ჩვენი მიზანია, გამოვყოთ ლიტერატურული შეხედულებანი, რომლებიც მის ლექსებშია გამოთქმული. იგი კი ეხება პოეზიის რაობისა და დანიშნულების, მის იდეურ-მსოფლმხედველობრივ და მხატვრულ-გამომსახველობით ცალკეულ საკითხებს, რომელთა ნაწილს, ზოგიერთს უფრო სისტემურადაც ჩამოყალიბებულს, მამუკა ბარათაშვილის თეორიულ ტრაქტატში, „ჭაშნიკში", ვხვდებით.

ვახტანგი პოეზიას მიიჩნევს ხელოვანთა შემოქმედებად, ადამიანთა მრავალმხრივ სასარგებლო, დამატკბობელ მშვენიერებად. ის არის სასიამოვნო სასმენი, ისეთივე მიმზიდველი და დამატკბობელი, როგორიც ფერად-ფერადი და სურნელოვანი ყვავილებია. „ქილილა და დამანას" ანდერძში ნათქვამია:

> -ეს «ქილილა და დამანა» ბრძენთაგან გამოთქმულები...
> ვპოე და ჩვენად გარდმოვსთქვი ყვაეილთა ტურფად რგულები..."
>
> -ეს წიგნი ბრძენთა ნათელი, სხივით და შუქით მზიანი,
> ყურითა ტკბილად სასმენი, სულით ვარდი და იანი,
> მკითხველთა სარგო მრავალი, არათი არა ზიანი..."

პოეტი თავმდაბლურად აღნიშნავს, რომ „ქილილა და დამანა", ყვავილთა ეს მშვენიერი კონა, რომელსაც ერთგან „ობოლ მარგალიტს" უწოდებს, მშობლიურ ენაზე შესაფერისად ვერ გადმოვიღეო:

> „მეც მივჰყევ სპარსთა ზღაპრისა თარგმანებისა მგებართა,
> არავინ მიშეებს გარეგან მთათა და გინა მე ბართა;

---

[36] ქართული ლიტერატურული კრიტიკის მოკლე მიმოხილვა XIX საუკუნემდე, წიგნში: ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, შეადგინა, წინასიტყვაობა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა, თბ., 1954, გვ. 14—16; ჯ. ჭუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, I, მეორე გამოცემა, თბ., 1974, გვ. 59—63; რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978, გვ. 258—278.

არ ეგავარ არას საქმითა ვ ა რ დ თ ა კ ო კ ო ბ თ ა მ კ რ ე ბ ა რ თ ა,
და რა უყო, გაბჭეთ, სამუდმოდ სახმილსა მმაფრად მგზებართა".

სამაგიეროდ, გულუხვად აქებს ონანა მდივნის ნამუშევარს, რომელსაც დიდი ხელოვნებით შესრულებულ წალკოტის ფერადოვანი ყვავილების თაიგულად იხსენიებს: „...და მდივანს ონანას უბრძანეთ, რომე ამ ტ უ რ ფ ა ს წ ა ლ კ ო ტ ი ს ყ ვ ა ვ ი ლ ნ ი ფ ე რ ო ვ ა ნ ე ბ ი თ შ ე ჰ კ რ ა ს დ ა ხ ე ლ ო ვ ა ნ თ გ ა ხ ა ლ ი ს ე ბ უ ლ ი დრაჰკანი კავშირით შეასრულოს.

ლექსი

მერმე უბძანეთ მდივანსა, ჩვენსა კარისა მონასა,
სპარსულის რიგით გალექსვა; მანცა არ ცუდად მონასა,
შეჰკრავს და ტურფად შეაწყობს წ ა ლ კ ო ტ ი ს ვ ა რ დ ი ს კ ო ნ ა ს ა,
და გააკავშირებს ხ ე ლ ო ვ ა ნ თ შექმნულსა ოქროს წონასა".

ჭეშმარიტ პოეზიას ვახტანგი ამგვარივე სიტყვებით ახასიათებს სხვაგანაც. „სალბუნად გულისა"-ში კარგი და ცუდი ლექსები ასეა ერთმანეთთან დაპირისპირებული:

„კაცს ვისმე სახლი-სამყოფი, ზღუდე უყეარდეს ამბარით,
იგ ტ ვ ი ა ს როდის იქონებს, ამას უსუნებ ა მ ბ ა რ ი თ;
ვზარდო ფ ე რ ა დ ი ყ ვ ა ვ ი ლ ნ ი, მოვიღო მთით და ამ ბარით,
და მას ვინ გაუშეებს, გამკილვენ: «ამან მისთანა ამბა რით».

მაგრამ ვნახე, რომ ურევდენ ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ შ ი ა მ რ ე ჰ ა ნ ს ა,
ბევრი ვინმე მას უბნობდა ყველაზედა ამ რეანსა,
მისა მსგავსად ეგებ ვინმე იკითხევდეს ამრე ან სა,
და არ სურნელით სულ უკლებსა, მცირედ რამე ამბრეანსა". (96–97)

თუ ერთ მხარეს „ამბრიანი", „ფერადი ყვავილნი" გვაქვს, მეორე მხარეს ამ ღირსებებს მოკლებული ტვია და რეჰანია. აქ რომ პოეზიაზეა საუბარი, წინა და მომდევნო სტროფები ადასტურებს. წინ ზემოთ დამოწმებული 95-ე სტროფია, სადაც ვკითხულობთ: „მაწვიეს თანამხლებელთა...", ჯავრს რომ არ გადაყვე, „ლექსი თქვი"-ო და „მეც დაუჯერე, თქვენც ნახავთ, რისაც საქმის ვარ მდომელი". საძიებელ 96—97-ე სტროფებში განმარტებულია ლექსთა ხარისხი და მათზე მოთხოვნილება. რა თქმა უნდა, პოეტის ოცნებაა, შექმნას მაღალი ღირსების ლექსები — „ვზარდო ფერადი ყვავილნი". მომდევნო სტროფში კი ნათქვამია, თუ რაოდენ ფასეულია მისი ნახელავი:

„ლექსები რამ ვთქვი საბრალო, მტერთაცა შესაწყალია,
ვინც წაიკითხავთ, ამაზე ცრემლით აგევსოს თვალია,
ხარბად ადინეთ, სოფლისგან არის რამ დასავალია..." (98. 1–3)

შესაბამე. ჩვენთვის საინტერესო სტრიქონები და წინა და მომდევნო სტროფები ერთ საკითხს — პოეზიას, ლექსებს — ეხება.

პოეზიის გაგებით არის ყვავილებზე საუბარი აგრეთვე „ამირ-ნასარიანის“ ეპილოგსა და ერთ-ერთი ქვეთავის შესავალ სტროფში:

> „ამირ-ნასრანის ნათქვამი გათავდა სპარსთა თქმულები,
> ჯერ გამოეილე ამბავად ვარდი-კოკობი რგულები...“ (185. 1—2)

> „ბევრი დავთესე ყვავილნი, სურნელებისა ფშოვანი,
> გავმარგლე, მოვრწყე, გავაწყე, კარი არ უყავ მხშოვანი,
> ყურისა ხარბად სასმენი, გულისა შესაშოვანი;
> და გარე ნუ უვლით, შიგ შედით, მიიღეთ მოსაშოვანი!“ (119)

საყურადღებო და მნიშვნელოვანია ვახტანგის მოსაზრება პოეზიის დანიშნულებაზე, რომელიც თანამედროვე ესთეტიკურ მოთხოვნებს ეხმიანება. მისი აზრით, ის ლექსებია ფასეული, რომლებიც ხალხს გამოადგება. პოეზია ყოველთვის სიკეთეს უნდა თესავდეს და ბოროტებას ებრძოდეს. „სიბრძნე მალაღობელის“ ეპილოგში აღნიშნულია:

> „რა სახმარია ლექსობა ურგები, კაცთა უყენი...,
> სულ ბოროტზედა მსრბოლელი, კეთილსა ზედა უყენი,
> და ცუდი ამბავი, ცუდ შრომა, ცუდისგან მუდამ უყენი!? (811. 1, 3—4)

ეს მოსაზრება მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკში“ ასეა ჩამოყალიბებული: „...მაგრამ თუცა ავზედა თქვა, ურიგოდ თქვა, ქებისა და მოგონების ნაცვლად, საძრახავი და საგმობელი იქნება და ცოდვაც მძიმე, რომე კაცი ცოდვაზედ აღძრავს და ავს ასწავლის... მაშ, მართებს, კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს... ან კარგი იგავები მოიყვანე და იმაზედა თქვი, ან კაი სწავლის ამბებით კაი ამბები გალექსე...“[37]

პოეტური ქმნილება სიბრძნის შემცველი, ცოდნის მომცემი, მასწავლებელი უნდა იყოს. „სატრფიალონის“ პირველი რედაქციის პირველ სტროფში იკითხება:

> „ლექსი უნდა ტკბილ-ვეარითა სწავლის სიტყვით გამახარი,
> სარ-ითხ რიგად გასასინჯი, სიბრძნესზედა არ სახარი...“
>
> (Q 548, გვ. 28)

ვინაიდან ამ საკითხს საგანგებოდ ქვემოთ ვეხებით, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

---

[37] გ. მიქაძის გამოცემა, გვ. 124—125; ა. ხინთიბიძის გამოცემა, გვ. 7—8. ქვემოთ ეს უკანასკნელი კუთხოვანი ფრჩხილებით აღინიშნება.

ვახტანგი აღიარებს მწერლობის უდიდეს საბრძოლო ძალას, როდესაც კალამსა და ხმალს ერთ დონეზე აყენებს. „სიბრძნე მალაღობელის“ ერთ-ერთ ორიგინალურ სტროფში, რომელიც დედნიდან არ მომდინარეობს, ნათქვამია:

„ზოგთ ჰგონია, სიცრუვისგან საქმე კარგა გაეგების,
ზაკვითა და ცბიერობით კაცსა მოყვსად დაეგების,
დათესილსა თვითონ მომკის, ცუდი არის, რაც ერგების,
და კ ა ლ ა მ ს ა დ ა ხ რ მ ა ლ ს ა მ თ ე ლ ს ა წ ი ნ ვ ე რ ა ვ ი ნ
დ ა უ დ გ ე ბ ი ს!“ (756)

სამხედრო და მამაცური სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდის საქმეში ლიტერატურის როლზე მ. ბარათაშვილიც ლაპარაკობს. „ჭაშნიკში“, გარდა იმისა, რომ პოეზიის დახასიათებისას „სულიერი ცოდნის“ გვერდით „სამხედრო ცოდნაც“ არის დასახელებული, საგანგებოდ აღნიშნულია: „ან ომსა და ფალავნების ამბავზედ თქვი, ამისთვის, რომ კაცს გააგულოვნებს, ომს მოანდომებს, ომისა და იარაღის ხმარებას ასწავლის, და რჯულისა და მეფის და ქვეყნის მტერზე გამოსაყენებელია“ (გვ. 125 [8]).

ვახტანგი პოეზიას უმაღლეს, ღვთიურ გამოვლინებად წარმოგვიდგენს. მას, როგორც შუა საუკუნეების ქრისტიან მოაზროვნეს, მიაჩნია, რომ პოეტური მადლიც ყოველმხრივ ღვთისგან არის განსაზღვრული. პოეტის უპირველესი დანიშნულებაც ღვთის ქებაა, მაგრამ ამ საქმის ღირსეული შესრულება ადამიანებს ჩვეულებრივ არ ძალუძთ. „სატრფიალონში“ ავტორი ღმერთს მიმართავს:

„მოვიუბენ შენი ქება არცა ერთი საკადრისი,
შენ სხვათ აძლევ შესაქებსა, ღირსი არი ვინცა რისი,
მაგრამ კაცნი უძლურნი ვართ უმაღლესის რასმე თქმისი,
და შენ სხვა ხარ და ქება სხვაა, უშვერია ზრახვა მისი“. (28)

„ქილილა და დამანას“ ანდერძში პირდაპირ წერია:

„ვერ ვიტყვი ღირსად საფერად წმიდის სამების ქებასა,
მოსეც შლის ამოებაზე ღვთის სახელისა ხმობასა...“

ამასვე ქადაგებს პოეტი ვეფხისტყაოსნის კომენტარებში. აზოგადებს რა ამ ფაქტს, ჯ. ჭუმბურიძე წერს: „კომენტარებში სავსებით ნათლად გამოჩნდა ვახტანგ მეექვსის შეხედულება ხელოვნებაზე. ამის მიხედვით ვახტანგი ჩვენს წინაშე წარმოდგება, როგორც ქრისტიანი-მორალისტი, რომელიც პოეზიას უტილიტარული თვალსაზრისით უყურებს: პოეზიამ ღვთისადმი სიყვარული უნდა ჩაუნერგოს ადამიანებს; მან ღმერთი უნდა გაიხადოს თავისი ქების საგნად, ხოლო აუცილებ-

ლობის შემთხვევაში, ცოლქმრული სიყვარულის ფარგლებს არ გასცილდეს.

როგორც ვხედავთ, ქრისტიანულმა გრძნობამ განსაზღვრა ვახტანგის ლიტერატურული თვალსაზრისი და, სამწუხაროდ, ამან აიძულა ვახტანგი პოეზიის არე ასე მეტად დაევიწროებინა“ (დასახელებული ნაშრომი, გვ. 63).

ვახტანგის მითითებული თვალსაზრისი აისახა მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკში“. აქ აღნიშნულია: „ღმერთის ქება-დიდება კარგები ითქმის, რომ სულის სარგებელი იყოს ამითი, რომ რაც საგალობელი და იამბიკონია, ისიც ერთი რიგი ლექსობა არი... როგორც რუსთველს ცოლქმრობის სიყვარულზე უთქვამს და სხვა მრავალი საღმთოდ საერო სწავლება მოუყვანია, რომელსა მისი თარგმანი მეფეს რომ უბძანებია, ის გამოაცხადებს, მაგრამ ზოგიერთს მელექსეს იმისი წიგნი ცუდს სააშიყოთ გაუსინჯავს და რომელსამე სალმრთო წერილი სამეძაოდ გაულექსავს, სხვას მრავალთ დედაკაცთ ტრფიალებისათვის თათრის ზღაპრები გაულექსავს, მსმენთ საზიანოთ და მთქმელთ საურიგოდ... თუ სააშიყო ლექსი უნდა, ღმრთის სააშიყო, ეკლესიის წმინდათა ამბავი გალექსოს...“ (იქვე).

ვახტანგიც, XVII—XVIII საუკუნეთა ზოგიერთი თანამოკალმის მსგავსად, ეხება საკითხს, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს საზოგადოებაში სასულიერო და საერო მწერლობას. როგორც ცნობილია, ამ ხანის არაერთი ჩვენი მოღვაწე, მათ შორის თეიმურაზ პირველი და არჩილი, ერთგვარი გულისტკივილით აღნიშნავენ ხალხთა ფართო ფენების გულგრილ დამოკიდებულებას სასულიერო საქმეებისა და ლიტერატურისადმი და კრძალვითა და მობოდიშებით გვთავაზობენ საერო ხასიათის თავიანთ ნაწარმოებებს.

ბუნებრივია, ვახტანგი უდიდეს პატივს მიაგებს სალვთო შინაარსის თხზულებებს და მოუწოდებს ხალხს, დაეწაფონ ამგვარ წიგნებს; არწმუნებს, სიბრძნეს ეზიარებითო. „სიბრძნე მალაღობელში“ ეს აზრი ასეა წარმოდგენილი:

„გიყვარდეს წიგნის კეთილის კითხვა და გაგონებანი,
სიბრძნე შეგმატოს, შეიტყოთ შემოქმედისა ნებანი,
რომელსა შვენის დიდება, პატივი, თაყვანებანი,
და უკუნით უკუნისამდე ამინ და ამინებანი!“ (644)

ეს ლექსი ზედმიწევნით იმეორებს თავის პროზაულ დედანს. „აპოფთეგმატას“ ერასტი თურქისტანიშვილისეულ თარგმანში გვაქვს: „ამისთვის გიყვარდესთ კეთილ წერილთ კითხვა, რამეთუ განგა-

ბრძნობსთ და იცნობთ შემოქმედსა ყოვლისასა, რომელსა შვენის დიდება, პატივი და თაყვანისცემა საუკუნითგან უკუნისამდე. ამინ!“[38]

წინა სტროფები კი სიბრძნესა და მის მნიშვნელობას ეხება:

„სიბრძნე გიყვარდეს, ისწავლე, ძვირფასი არის სახისა,
და დაცემულთ მაღლა ამწევი, მადიდებელი გლახისა!“ (642)

„ვისაც არ უნდა პატივი ხორცისა, გინა ტანისა,
და პირველი სიბრძნე ის არის კეთილის მოსატანისა!“ (643)

„ვინც პოოს სიბრძნე, ამისთვის დავითც თქვა ნეტარებანი“. (644. 1)

ამ სტრიქონებიდან გარკვევით ჩანს, ყველგან ქრისტიანულ სიბრძნესა და მის შემცველ წიგნებზეა საუბარი.

ერთგან ვახტანგი „ქილილა და დამანას“ ზღაპარს უწოდებს, როგორც იხსენიებენ მის დროს საერო თხზულებებს:

„მეც მიპყევ სპარსთა ზ ღ ა პ რ ი ს ა თარგმანებისა მგებართა“.

იქვე, მსგავსად სხვა პოეტებისა, მასაც საუკუნო სასუფევლის მოპოვებისათვის ერთგვარ საჩოთირო საქმედ მიაჩნია საერო თხზულებათა დამუშავება:

„ზ ღ ა პ ა რ ი მ ე თ ქ ვ ა ისიცა ვაკმარე ამ ამბობასა,
და ამისთვის აღარ მივხედე უ შ ე ს ა ვ ლ ო ბ ი ს გ მ ო ბ ა ს ა“.

ამავე თვალსაზრისით უნდა იყოს გამოწვეული შიში, რომელიც „სიბრძნე მალაღობელის“ ეპილოგშია გამოთქმული:

„მე გავაწყე ბრძენთა სიტყვა არ თუ მათი საფერისად...
ა ნ უ ს უ ლ ს ა ა ნ უ ხ ო რ ც ს ა ი მ ე დ ი ა ქ ვ ს ნ ე ტ ა რ რ ი ს ა დ!?“
(808. 1, 4)

„სიბრძნე მალაღობელის“ მეორე წიგნის შესავალში დანანებით აღნიშნულია, რომ საერო, სააშიკო ლექსებს მეტი მკითხველი ჰყავს და ესეც მაშინდელი ჩვეულებრივი გულისტკივილია, რომლებსაც სხვებიც გამოთქვამენ:

„თ უ მ ე თ ქ ვ ა ა შ ი კ-მ ა შ ი ყ თ ა წ ა დ ი ლ ი ს ე ბ რ ი ე მ კ ო ბ ა ნ ი,
ე გ ე ბ ა ჩ ე მ ი ლ ე ქ ს ი ს ა ც ა რ ა ვ ი ს ე თ ქ ვ ა გ მ ო ბ ა ნ ი,
მაგრამ გასინჯეთ ამბავი, ვისაც გაქვსთ გამოცნობანი;
და ქვის ამწევს ხელზე შეხვივდეს, ბამბისა მიხვდეს თბობანი“. (648)

---

[38] სიტყვის-გება სოკრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ლ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე მ, თბ., 1978, გვ. 70.

ბოლო სტრიქონიდან გამოკვეთილად ჩანს, პოეტი „სიბრძნე მალაღობელს“ საერო-სატრფიალო („აშიკ-მაშიყთა“) ლექსებზე მაღლა აყენებს.

სხვაგან ვახტანგი მხარს უჭერს ისეთ ლიტერატურას, რომელიც გამოსადეგი იქნება როგორც სასულიერო, ისე საერო პირთათვის. საერთოდ, იგი განუყოფლად თვლის სააქაო და საიქიო ცხოვრებისათვის ზრუნვას. ჩანს, ამქვეყნიური ცხოვრება მას ისევე აუცილებლად მიაჩნია ადამიანისათვის, როგორც იმქვეყნიური. ოღონდ, იგულისხმება, პირველი ხელს არ უნდა უშლიდეს მეორეს. პირიქით, წუთისოფელი ასპარეზია, დროებითი, გამოსაცდელი ადგილია, რომლის მეოხებითაც სამუდამო ადგილსამყოფელი, სასუფეველი, მოიპოვება. ამიტომაც მისი უარყოფა და ზურგის შექცევა გაუმართლებელია. სააქაო და საიქიო ცხოვრებისათვის ზრუნვა პოეტმა ნათლად გამოხატა ლექსში „შეგონება“:

„კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს“.

ვახტანგი სასულიერო და საერო ლიტერატურას, როგორც განუყოფელ და ერთნაირად საჭირო და სასარგებლო საქმეს, ყველგან ერთად ასახელებს. „ქილილა და დამანას“ ანდერძში წერს:

„არ ეიყავ სულად უცოდნი, ვიცოდი ენა მძიმები,
მეკითხა წიგნი ს ა ღ ვ თ ო და ს ა ე რ ო ამას წინები“.

„სალბუნად გულისა“-ში ამაყად ამბობს: „საღმთოც ვიცოდი, საეროც“ (71. 3). ლექსში „ჯოხზე დაწერილი“ აღნიშნულია:

„ამ ჯოხს ძალუც თვალში იკრას, წაითხაროს, წაიმწაროს...
სწერო ზედა ს ა ღ მ რ თ ო ს ი ტ ყ ვ ა და ს ა ე რ ო, რომ ვეკმაროს“.

ქვემოთ ნაჩვენები იქნება: ვეფხისტყაოსნის კომენტარებში ვახტანგი არაერთხელ აღნიშნავს, რომ ეს პოემა საღვთოც არის და საეროც.

სულისა და ხორცის მარგებელ ნაწარმოებად ავტორი ასახელებს „ამირ-ნასარიანს“, რომელიც შესავალში ასეა დახასიათებული:

„ს უ ლ ი ს ა შვების მიმცემი, ხ ო რ ც ი ს ა გასამხნობანი,
ბედისა არად სახმარი, ცდისა და საქმის ნობანი...“ (2. 3, 4)

დასმული საკითხის თვალსაზრისით საინტერესოა „სიბრძნე მალაღობელის“ შემდეგი ორიგინალური სტროფი:

„წიგნის კითხვა, შეგონება, დაუდვიათ დია სარგად,
ზღაპარი და ყბედი სიტყვა სანახავად დასაკარგად,
საღმთოს რისმე გაგონება საუკუნოდ გასაბარგად,
და აქაც პოებს სარგებელსა, ვინცა ისმენს ორსავ კარგად".
(645)

როგორც ვთქვით, ეს სტროფი არ არის „აპოფთეგმატას" ტექსტის გალექსილი ვარიანტი. იგი ვახტანგის საკუთარი აზრის გამომხატველია. აქ კი პოეტი იმ საერო ლიტერატურასაც სასარგებლოდ თვლის, რომლებიც „ზღაპარი და ყბედი სიტყვის" შემცველია, სხვათა მიერ დაგმობილია და ადამიანის დამკარგავად, დამღუპველად არის მიჩნეული.

ამრიგად, თავისი შეხედულებით და პრაქტიკული მწერლური მოღვაწეობით ვახტანგი საბოლოოდ ერთმანეთთან ათანაბრებს სასულიერო და საერო სიტყვიერებას და ორივეს მეტად საჭირო და ღირებულ საქმედ წარმოგვიდგენს, თუმცა, ადრინდელი და მისდროინდელი ზოგიერთი მოღვაწის მსგავსად, ზოგჯერ ისიც ერთგვარ უპირატესობას სასულიერო ლიტერატურას ანიჭებს.

ვახტანგი, შუა საუკუნეების ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი მეთოდის შესაბამისად, პოეზიის ერთ-ერთ ნიშან-თვისებად სიმბოლურ-ალეგორიულ აზროვნებას, იგავურ სტილს მიიჩნევს. „სატრფიალონის" ზემოთ დამოწმებულ პირველ სტროფში ნათქვამია (ამჯერად მოგვყავს მეორე რედაქციის მიხედვით):

„ლექსი ტკბილი, გვარიანი, სწავლით უნდა გამახარი,
სამ-ოთხ რიგად გასასინჯი, სიბრძნეზედა მოუხარი..."

„სიბრძნე მალაღობელის" ეპილოგი:

„რა სახმარია ლექსობა ურგები, კაცთა უცენი,
უიგაო და უჩხრეკი, მწვე სამსგავსოა უცენი..." (811. 1—2)

როგორც ცნობილია, ასეთ იგავურ ნაწარმოებად თვლის ვახტანგი ვეფხისტყაოსანს, რის შესახებაც ვრცლად მსჯელობს მასზე დართულ კომენტარებში. ამასვე იმეორებს „სიბრძნე მალაღობელის" შესავალ სტროფში:

„რუსთველსა ენა-შაქარსა უქნია რისმე მკობანი,
სიტკბო, სიბრძნე და იგავნი, ცოლ-ქმართა აშიკობანი,
ბევრად საჩხრეკი; ვერ მიხვდენ, მიბაძეს ცუდი ხმობანი,
და სამღთო წერილი საცრუოდ თქვეს და დავვივდეს გმობანი". (1)

ეს საკითხები ქვემოთ არის განხილული და ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ზემოთ ციტირებულ ვახტანგის სტრიქონებში ბევრგან ჩანს ვეფხისტყაოსნის პროლოგის ცალკეული ადგილების რემინისცენციები, ერთგან კი დამოწმებულია რუსთველის გამონათქვამი პოეზიის ჟანრებისა და ფორმების თაობაზე. „სატრფიალონის“ პირველ სტროფში ვკითხულობთ:

„ლექსი ტკბილი, გვარიანი სწავლით უნდა გამახარი...
რუსთველს სამად გაუყვია მისი გზა და მისი მხარი,
და იდვას რამე მოკლე სიტყვით სალხინო თუ საწუხარი“.

ის არაერთხელ და საგანგებოდ იმეორებს რუსთველის დებულებას „გრძელი სიტყვის მოკლედ“ თქმის შესახებ და, როგორც თვითონ წერს, ცდილობს ამ მითითებით იხელმძღვანელოს. „სიბრძნე მალაღობელის“ 29-ე სტროფში, რომელიც დედნის ტექსტს არ ეყრდნობა და პოეტს ეკუთვნის, ნათქვამია:

„სიტყვა მოკლედ მოყვანილი, არა რამე გასაძნელად,
კვლავ წერილი სასიამოდ, ნუ ნაჩმახი ცუდად გრძელად,
ყურსა მისცეს განსვენება, გული შექნას შესანელად.
და საწყინოა გრძელი სიტყვა, ყურისა გახდის დასაბნელად!“

ეპილოგში კი ამ ნაწარმოების შესახებ აღნიშნულია:

„მე ბრძენთა სიტყვა გავლექსე, სათქმელად გასაძნელები,
ვეცადე იყოს სიმოკლით, სხვისა სხვად საგებელები,
და უკეთ არ მოჰხდა, ძრახვისა ნურვინ ხართ შემომზღეელები“.

ამ გამონათქვამთა გაცნობისას ჩვენს წინაშე ისმის კითხვა: სხვა მონაცემებთან ერთად ამ რუსთველისეული დებულებითაც ხომ არ ხელმძღვანელობდა ვახტანგი, როდესაც თავის პოეტურ ქმნილებათა რედაქციული დამუშავებისას გამუდმებით ამცირებდა სტრიქონებში სიტყვათა რაოდენობას?[39]

რუსთველთან დაკავშირებით ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ ვახტანგი უმაღლეს შეფასებას აძლევს ვეფხისტყაოსანს, როგორც პოეტურ ქმნილებას, და მის ავტორს პოეზიის გვირგვინოსან მეფეს უწოდებს. სხვა ქართველ კალმოსანთაგან ასახელებს ჩახრუხაძეს, არჩილს, სულხან-საბა ორბელიანსა და მამუკა ბარათაშვილს. დანარჩენებს არ ახსენებს. თუ რის შედეგია ეს დუმილი, თუნდაც თეიმურაზ პირველის მიმართ, არ ჩანს. აი, „სიბრძნე მალაღობელის“ ეს ბოლო სტროფიც:

---

[39] პოეტის ეს რედაქციული მუშაობა განხილული გვაქვს პირველ წიგნში — „ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა“.

„რუსთველის ლექსი მეფეა ტახტზედ გვირგვინით მჯდომელი,
კვლავ ჩახრუხაძე აგრეთვე სხვისა რიგისა მდომელი,
მეფის არჩილის სარჯელი სწაელაა დაუცხრომელი,
და საბა თაადი მჯდომელი, მამუკა ბოლოს მდგომელი. (812)

ვახტანგი სრულყოფილ პოეტად მას აღიარებს, ვისაც არა მარტო ლექსად თქმა ეხერხება, არამედ საკუთარი სიუჟეტის შეთხზვაც შეუძლია. იმავე „სიბრძნე მალაღობელის“ ეპილოგში ნათქვამია:

„ლექსი მას უქეთ, ვინც იყოს ამბისაც თვითვე მთქმელები“. (810. 1)

და ამას ამბობს პოეტი, რომლის მხატვრულ ქმნილებათა დიდი უმეტესობა სწორედ სხვის თხზულებათა გალექსვის შედეგად არის მიღებული.

ვახტანგი უაღრესად თავმდაბალი, უპრეტენზიო შემოქმედია. გალექსილი „ამირ-ნასარიანის“ ერთ-ერთი ქვეთავის შესავალში ის წერს:

„გემუდარები, ნუ მიჩხრეკ ლექსისა სიგძე-განებსა,
ნურცა რუსთველსა მადარებ, ნურცალა ლექსთა სხეანებსა,
ზარდახშანშია დასჭვრიტე თეთრსა, წითელსა, მწვანებსა,
და აღილე, რაცა გეწადოს, ნუ ეძებ შეუგვანებსა!“ (133)

იგი ზოგიერთი თავისი თხზულების მიმართ უკმარისობის გრძნობას გამოთქვამს. „ქილილა და დამანას“ ანდერძში ამბობს:

„ვინც უკეთ იტყვით, არ გიშლი, არც არას მეწყინებისა;
მე ჩემმა ბედმა არ მომცა ჟამი ჩემისა ნებისა.
რაც ჯავრისაგან შევიძელ, ვთქვი რამე მელხინებისა,
და სხვა მეტი ვერა გავაწყვე თქმა ქების, გინდ გინებისა“.

მწერლის გულწრფელობა იქიდანაც მჟღავნდება, რომ ეს თხზულება მან დასამუშავებლად გადასცა ონანა მდივანსა და სულხან-საბა ორბელიანს.

იგივეა აღნიშნული „სიბრძნე მალაღობელის“ მიმართაც. პროლოგში ვკითხულობთ:

„ვერ ამოვკრიფე საკრეფი სხვისაკენ დამაძლეველმან,
და მაგრამ შეიტყოს შემტყობმან, ჭაშნიკი — დამალეველმან“. (3. 3—4)

უფრო გარკვევით ნათქვამია ეპილოგში:

„აწ გაუსრულდა წადილი ამბისა ლექსად მკონოსა,
ეგების სხვათაც იამოს, თუ ვისმე მოეწონოსა,
და არ ისმენ, დასდევ, ხანს უკან სხვა მოვა, გაიგონოსა“. (806. 1, 3—4)

„მე გავაწყე ბრძენთა სიტყვა არ თუ მათი საფერისად,
ვინცა იტყვით ამის უკეთ, არ იქნება ჩემთვის მქისად..." (808. 1, 3)

ეს ამონაწერები და ის მრავალმხრივი რედაქციული სამუშაო, რაც ვახტანგს თავის პოეტურ თხზულებათა სრულყოფისათვის გაუწევია, ნათლად მეტყველებს, რანაირი პასუხისმგებლობით ეკიდება იგი პოეტის სახელს.

ვახტანგიც, რუსთველის მსგავსად, ადამიანისათვის ყველაზე დიდ განძად „სახელოვანი სახელის" მოპოვებას თვლის. როცა ყველაფერი წარმავალია, ყველაზე დიდხანს ხსოვნას კიდევ სახელი რჩება. „ამირნასარიანში" პოეტი ამბობს:

„რა ხანი წარვლის, გარდავა სახელიც სახელოვანი,
იგივ უფროა სიგძითა სხვისაგან გასაძლოვანი;
რადგან არა-რა დაგვრჩება, ესევ სჯობს ძალგულოვანი,
და მიუდევდეთ მასვე სახელსა, შევიქნათ დასაგლოვანი!" (104)

იგივეა ნათქვამი „სატრფიალონში", სადაც სახელის უკვდავსაყოფად მელექსეობა, პოეტობაც, არის დასახელებული:

„რადგან კაცია მოკვდავი, უნდა დაურჩეს რამე და,
სახელისაგან უმჯობე რამცა ჰქენ, რამც იამე და!
მოგიგონებენ ყოველნი ამითი ჟამით-ჟამედა,
და მოლექსობაცა იქნება ამის რამ შესაწამედა"[40]. (90)

ჩანს, ამ მტკიცე რწმენით ერკინებოდა მეფე-პოეტი ქართულ სიტყვას!

საერთოდ, ვახტანგის მიერ გამოთქმული ეს ლიტერატურული იდეები, ყველა მის პოეტურ შემოქმედებაშია განხორციელებული. მეორე მხრივ, უნდა ვთქვათ, რომ მწერლის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი აღნიშნულით არ ამოიწურება. ზოგი რამ მისი შემოქმედებითი პრაქტიკიდანაც ჩანს, რომელთაც სხვა საკითხების განხილვისას (საღვთო მიჯნურობა, ვერსიფიკაციული ძიებანი და ა. შ.) ქვემოთ ვეხებით.

3. დიდაქტიკურ-განმანათლებლური იდეები

ვახტანგ მეექვსე თავისი დროის უდიდესი განმანათლებელია, რომლის თვალსაწიერი იმჟამინდელი ცოდნის თითქმის ყველა სფეროს

[40] ამავე საკითხზე მ. ბარათაშვილი „ჭაშნიკში" წერს: „ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში. ამისთვის ამ სოფლის საქმის ცდა კაცისათვის ყოველივე ამაზედ არის — სიკვდილის უკან მოიგონებდეს, და ესე ამისაგანაც იქნება, რომ თუ კარგს

სწვდება. ი. ჯავახიშვილი მე-18 საუკუნის პირველ ნახევარს საქართველოსათვის „ენციკლოპედიურ ხანას“ უწოდებს და ამ შეფასებისას უპირველესად და უმთავრესად ვახტანგის მრავალმხრივსა და მრავალფეროვან მოღვაწეობას გულისხმობს. მისი სიტყვებია: „სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა! ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა იმდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცნობა გარდაეცათ. ამ დიდი საქმის მოთავედ და სულის ჩამდგმელად გიორგი XI და მეტადრე დიდებული და დაუვიწყარი ვახტანგ VI იყო“[41].

ცნობილია, რომ ეს საშვილიშვილო მამულიშვილური საქმიანობა მეტად ძნელბედობის ჟამს მიმდინარეობდა. ასეთსავე დროს მოუხდა ვახტანგს ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის გატარება. კ. კეკელიძე გაოცებით წერს: „ვახტანგ ლევანის ძე დაიბადა... და იზრდებოდა ისეთ პირობებში, რომ, საკვირველია, როგორ პოულობდა ის დროს სწავლა-განათლების საზრუნავად“[42]. მიუხედავად ამისა, თავისი დიდი ნიჭის, უნარისა და შინაგანი მოწოდების წყალობით, ბრწყინვალე მასწავლებლის — სულხან-საბა ორბელიანის ხელმძღვანელობით მან მაინც მოახერხა იმ დროის კვალობაზე ფართო და საფუძვლიანი ცოდნა და განათლება მიეღო. ყოველ შემთხვევაში, იმავე კ. კეკელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „1703 წელს, როდესაც ვახტანგი ქართლის გამგე შეიქნა, ის ჩვენ გვევლინება როგორც ჭკვიანი, ენერგიული, განათლებით აღჭურვილი... ადამიანი. მის განათლებას ორმაგი ხასიათი ჰქონდა: სასულიერო და საერო; ზედმიწევნით იცოდა საეკლესიო ლიტერატურა და აგრეთვე საერო მწერლობა, ქართული და სპარსული“[43].

ნიშანდობლივია, რომ ვახტანგის ნიჭიერება და განათლებისადმი მიდრეკილება უცხოელსაც არ დარჩენია შეუმჩნეველი. პატრი რეჯინალდო 1709 წლის 15 აგვისტოს თბილისიდან გაგზავნილ ერთ-ერთ

იტყვი სიტყვის სიმარჯვითა და ცოდნის ძალითა, სულიერის ცოდნითა და სამხედროს ცოდნით, მთქმელი მოიგონება და მსმენი ისწავლის“ (გვ. 127, [7]).

[41] ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 112.

[42] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 593.

[43] იქვე, გვ. 593.

მოხსენებით ბარათში მის შესახებ წერდა: „ეს ბატონი მთავარი საკმაოდ მაღალ ნიჭიერია და სწავლის მოყვარე“[44].

საქართველოს ძლიერი და დამოუკიდებელი, მოწინავე, განათლებული და კულტურული ეროვნულ-ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნისა და აღორძინებისათვის დაუცხრომლად მებრძოლი ვახტანგი თავიდანვე, „«ჯანიშინობის» პერიოდშივე ფართო განმანათლებლურ მიზნებს ისახავდა“[45] და ამ მიზნების განხორციელებისათვის თავდადებული და შეუპოვარი ბრძოლა სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია. მან „თანდათანობით ჩამოაცილა სამეფო კარს მისთვის მიუღებელი და მერყევი ელემენტები... განდევნა შემთხვევითი პიროვნებები და თავის გარშემო განათლებისა და კულტურის მქონე ბრწყინვალე პლეადა შემოიკრიბა“[46].

უაღრესად ძნელ პირობებში მიმდინარეობდა ვახტანგის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, მაგრამ მშობლიური ქვეყნისა და ხალხის სიყვარულმა, მაღალმა მოქალაქეობრივმა იდეალებმა, მათდამი თავდადებამ, მტკიცე და ურყევმა ნებისყოფამ სწავლულ მეფეს შეუძლებელი შეაძლებინა. სწორად და მოხდენილად წერს ი. ტაბაღუა: „დაძაბულ და რთულ ვითარებაში უხდებოდა მოღვაწეობა და ქვეყნის მართვა ვახტანგ VI-ს. სამწუხაროდ, იგი თავისი მოღვაწეობის მეტხანს სამშობლოს გარეთ იყო. მაშინაც კი, როცა ის მართავდა თავის ქვეყანას, იძულებული იყო ერთ ხელში იარაღი დაეჭირა, რათა დაეცვა სამშობლო შინაგანი და გარეგანი მტრებისაგან, ხოლო მეორეში — კალამი, რომლითაც ის წარმატებით იბრძოდა საქართველოში განათლების, კულტურისა და მეცნიერების წინსვლისათვის. ამ მეფე-მებრძოლის, მეფე-მწერლის, მეფე-კანონმდებლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დიდი წარმატება მოიპოვა დასახული მიზნების განხორციელებაში, რითაც უკვდავყო თავისი სახელი ქართველი ხალხის ისტორიაში“[47].

ქართველი ხალხის განათლებისა და გონებრივი ჰორიზონტის გაფართოების კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა ვახტანგის მისწრაფება, — შეესწავლა, გამოემზეურებინა, გაეცხოველებინა და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გაეხადა ჩვენი სულიერი და ნივთიერი ფასეულობანი, მშობლიური ნიადაგზე დაენერგა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურისა და მეცნიერების იმდროინდელი მიღწევები.

---

[44] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, XII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ., 1902, გვ. 339.

[45] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 399.

[46] იქვე, გვ. 399—400.

[47] ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 56.

როგორც ცნობილია, გარდა მსოფლიოში განთქმული არაერთი მხატვრული ქმნილებისა, პირადად მან თარგმნა, გადმოაკეთა და შექმნა მეცნიერების სრულიად განსხვავებული დარგების მრავალი დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი. ამასვე ავალებდა და აკეთებინებდა სხვებსაც. მათ შორის არის სახელმძღვანელოები.

ასევე, მშობელი ხალხის განათლებასა და ცოდნის ამაღლებას ემსახურებოდა მის მიერ დაარსებული სტამბა და იქ დაბეჭდილი ყველა წიგნი...

ვახტანგი გამუდმებით სწავლობდა და ასწავლიდა... ზემორე ნახსენებ პატრი რეჯინალდოს მოხსენებით ბარათში მის შესახებ აღნიშნულია: „ამ უკანასკნელ დროებში იგი ძლიერ დაგვიახლოვდა და დაგვიმეგობრდა იმის გამო, რომ პატრი უფროსი ასტრონომიის გაკვეთილებს აძლევს, ისიც კარგად ითვისებს და ძალიან კმაყოფილიცაა“ (გვ. 339).

მეორე მხრივ, იოანე ჯამბაკურ-ორბელიანი იუწყება: „სანატრელმან მეფემან ვახტანგ ფრიადი შრომა ყო ჩემდა და მასწავა რომელიმე სწავლა ქალდეური ვარსკვლავთმრიცხველობისა“[48].

ვახტანგი საზოგადოების განათლებისა და კულტურული დონის ამაღლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად სიტყვაკაზმულ მწერლობას თვლიდა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჭეშმარიტი პოეზია მისთვის სიბრძნის შემცველი, ცოდნის მომცემი, დამრიგებელ-მასწავლებელია. ამ თვალსაზრისით უყურებდა და აფასებდა იგი ვეფხისტყაოსანს. ამ ნაწარმოებზე დართულ კომენტარებში მეფე-მკვლევარი საგანგებოდ შენიშნავს: „რუსთველისა წიგნი სულ სასწავლო არის“[49]. ცალკეული სტრიქონების განმარტებისას მრავალჯერ აღნიშნავს მის ბრძნულ სასწავლო და სააღმზრდელო მნიშვნელობას:

„ახლა სწავლას ისწავლება, სწავლის მოსმენა ასე ხამსო“ (გვ. ტვ).

„ეს ბატონყმობის სასწავლოდ უთქვამს“ (ტზ).

„და ისწავლება, თუ რა მტერი ნახოს, რა იარაღის მომართვა მართებს“ (ტთ).

„მამა-შვილობასაც ისწავლება, თუ მამას რა სიყვარული და შვილს რა სათნოება მართებს“ (ტი).

---

[48] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, IV, გვ. 211; ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 35.

[49] შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა 1712 წ., აღდგენილი ა. შანიძის მიერ 1937 წ., ფოტორეპროდუქციული გამოცემა 1975 წ., გვ. ტკ.

„მოყვრობის რიგსა და ცოლ-ქმრობის რიგებას ისწავლება. რაც რომ კარგი რამ არის, ყველგან მოუყვანია და ზნეობაებ ისწავლება“ (ტიბ — ტივ).

„აქა გლახათ მოწყალებას ისწავლება“ (ტიდ).

„გაჭირებულს კაცს ასწავლის, ჭირში ასრე მაგრა უნდა იყოსო“ (ტიზ).

„ამას ისწავლება: სიკუდილი სჯობს აუგიანს სიცოცხლესაო“ (ტიზ).

„ქალი რომ მორცხვი უნდა იყოს, იმას ისწავლება“ (ტით).

„მოყრობასა და ყოვლს სასწავლოს ისწავლება“ (ტლდ) და ა. შ.

ერთგან განზოგადებულად ამბობს: „ბევრჯელ ვამბობ: ყველა სასწავლო საქმეები უთქვამს (ტლვ).

კომენტარს უკეთებს რა რუსთველისა და მისი პოემის მკითხველთა მისამართით ვახტანგის ნათქვამ სიტყვებს — „რაც ამას დაუწერია, თუ კაის გზით ისწავლით, ერთს ოსტატად გეყოფათ“ (ტმდ), — გ. თავზიშვილი სამართლიანად წერს: „ვეფხისტყაოსნის სასწავლო მნიშვნელობის აღიარებასთან ერთად. ვახტანგ VI მას მიიჩნევს აგრეთვე ისეთ მასწავლებლად ანუ ოსტატად, რომელიც დამოუკიდებლად ზრდის მკითხველს“[50].

ვახტანგი ამავე საწყაოთი ზომავდა არჩილისა და სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებას. „სიბრძნე მალაღობელის“ ეპილოგში ნათქვამია:

„მეფის არჩილის სარჯელი ს წ ა ვ ლ ა ა დ ა უ ც ხ რ ო მ ე ლ ი“. (812. 3)

სულხან-საბა ორბელიანისადმი მიძღვნილ ლექსში კი წერია:

„სიყრმითგან იყო მუდამად ს ი ბ რ ძ ნ ი ს ს წ ა ვ ლ ი ს ა მსახველი“.

სწავლულმა მეფემ ამავე მიმართულებით წარმართა თავისი მხატვრული შემოქმედებაც. მის პოეზიაში ყველაზე დიდი ადგილი სწორედ დიდაქტიკურ-განმანათლებლურ მოტივს უჭირავს. ამ თემისადმი მიძღვნილი მისი ლექსები რამდენჯერმე აღემატება ყველა დანარჩენ მის პოეტურ ქმნილებას, ერთად აღებულს. ესენია უმთავრესად ნათარგმნი და გალექსილი ნაწარმოებები: რომ არაფერი ვთქვათ „ქილილა და დამანაზე“, რომლის მისეულ თარგმანს გავრცელება არ უპოვია, საკმარისია დავასახელოთ ვრცელი თხზულებანი „ამირ-ნასარიანი“ და „სიბრძნე მალაღობელი“. როგორც ვთქვით, ეს უკანასკნელი ბლომად შეიცავს პოეტის ორიგინალურ სტროფებსაც.

---

[50] გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, I, ი. ბ ო ც ვ ა ძ ი ს რედაქციით, თბ., 1974, გვ. 83.

„ქილილა და დამანას“, „ყაბუს-ნამეს“ და „აპოფთეგმატას“ ვახტანგის ყურადღება თავისი ღრმა, ცხოვრებისეული სიბრძნით და ქმედითი სასწავლო-აღმზრდელობითი მონაცემებით მიუპყრია. ამას თვითონვე არაერთხელ აღნიშნავს. „ქილილა და დამანას“ ანდერძში წერს: „მე ეს წიგნი ხელად შემომივარდა. ვნახე, რომ იგი სიტკბოთი და სარგოთი სრული. რაოდენი ზღაპრის წიგნია, და ანუ მსოფლიო სწავლანი არიან, ამისთანა სარგო და საამოდ საკითხავი არ იპოებოდა“. „კიდეც ვნახე, რომ კაცისათვის მრავალი სარგებელი ჰქონოდა, სასმენელადაც მწვე ტკბილი და საამო იყო და გარჯას აღარ ვრიდე ამის მიზეზისათვის“.

„მე კაცის შეუტყობრობისა და მოუძაგებლობის გულისათვის ადვილისა და მსოფლიოს სიტყვით დავსწერე, რომ მკითხველთ სამძულვაროდ არ უჩნდესთ და ეს სწავლა გაუგონებელი არ დარჩეს“[51].

---

[51] ამ მხატვრული და პედაგოგიური პრინციპით უდგება ვახტანგი სხვა თხზულებებსაც. ჩვენი აზრით, ამგვარმა დამოკიდებულებამ განსაზღვრა ის ენობრივი სისადავე და გამჭვირვალე სტილი, რომელიც მის პოეტურ ქმნილებათა პირველი რედაქციის ტექსტებს ახასიათებს.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე გერმანე მღვდელ-მონაზონის წმინდა პედაგოგიური ნაშრომი „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“, რომელიც ვახტანგისეულ სტამბაში დაიბეჭდა 1711 წელს. როგორც ქ. შარაშიძე მიუთითებს, ამ პირველ ბეჭდურ ქართულ სახელმძღვანელოში „ქრისტიანული სარწმუნოების ყოველი ძირითადი დებულება შესაძლებელი სიცხადითა და სისადავით არის განმარტებული. ეს სასწავლო წიგნი ყურადღებას იპყრობს სიადვილის პრინციპით, რომელიც ავტორს აქ თავიდან ბოლომდის აქვს გატარებული: შინაარსის სადა გადმოცემით, ტექსტის მხედრული შრიფტით დაბეჭდვით და ხალხური, სასაუბრო ენის გამოყენებით“ (პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 141). ყველაფერი ეს მთელი შეგნებითაა გაკეთებული. გერმანე რამდენჯერმე წერს: „ამისთვის დავსწერე საეროს სიტყვითა, რომ ახლად მოსწავლენი ყრმანი სიადვილისათვის მსწრაფლ ზედ მიიწეოდენ და უცთომელად დაისწავლიდენ და ესრეთ მეცნიერებად აღიყვანებდენ გონებასა მათსა...“, „ამისთვის დავსწერე საეროსა და სოფლურის სიტყვითა, რომ სიადვილისათვის შენდობას იტყოდეთ“ (იქვე, გვ. 195).

როგორც გერმანე იუწყება, ნაშრომის ამ მხარისათვის ყურადღება მიუქცევია და, თანახმად ქ. შარაშიძისა, უნდა ვიფიქროთ, უზრუნია კიდეც თვით ვახტანგს: „ესეცა არ უგულებელსყო ყრმათათვისცა დიდად მოღვაწემ და სწავლა-შემატების გულსმოდგინემ, სულიერად და ხორციელად გამგეობის ტრფიალმან ბატონიშვილმა ვახტანგ და დააბეჭდვინა თვისთა საფასთა წარსაგებლითა“ (იქვე, გვ. 195).

იმავე გერმანეს კარგად ესმის ვახტანგის სტამბის უდიდესი როლი საგანმანათლებლო საქმეში. დასახელებული თხზულების ანდერძში იგი ვახტანგზე წერს: „ამან მოიხენა სტამბა... და მომართა ქვეყანასა ქართლისასა დიდის საფასითა და წარსაგებლითა. და აღავსო და განანათლა ქვეყანა ჩვენი წიგნებითა, რომელი დაკლებულიყო ჟამთა ვითარებისაგან მდევართაგან ქრისტეს რჯულისათა“ (იქვე, გვ. 194).

„მას ჟამსა, ოდეს *ბრძენთაგან სამეცნიეროდ ამაღლებული სწავლანი* სპარსულის ენისაგან ქართულს ენაზედ გადმოვსთარგმნეთ, ისრევე სპარსულის ლექსის კვალად გალექსვა ამ წიგნისა ერთის რიგით მოვინდომეთ...“

გალექსილი „ამირ-ნასარიანის“ შესავალში საგანგებოდ არის მითითებული ამ ნაწარმოების პედაგოგიურ-განმანათლებლური დანიშნულება:

„თუ *იწვრთნი*, მითქვამს ნათქვამი ფილოსოფოსთა *ბრძნობანი*,
ყრმათა და გამოუცდელთა ბრძმედულად გარდადნობანი“. (2. 1, 4)

„*სიბრძნემ მიმზიდა* საამბოდ ამბავი საამბელადო,
შეემზადე რამე *საზრდელი*, არ სულა უგბობელადო...“ (3. 1, 3)

„სიბრძნე მალაღობელის“ შესავალში პოეტი თავის წყაროს, „აპოფთეგმატას“, ასე ახასიათებს: „შეუკრავთ სწავლა სიბრძნისა“ (2. 2), ხოლო ეპილოგში პირდაპირ წერს, რომ მან, ბერიკაცმა, ეს ნაწარმოები ახალგაზრდობისათვის გალექსა:

„არმაღნად ესე დავაცვი *ყრმათათვის მოსართმეველად*,
მე ბერიკაცი ასე ვარ ამაზე სარჯლის მწეველად,
ყრმათა რა გიხამსთ, გასინჯეთ, ამისა *მოსასთველეველად*,
და გკადრებთ ყოველთა, არა ქნათ გაფანჩულ-გასაბნეველად“. (809)

ვახტანგის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას, კერძოდ, მისი იდეების პოეზიაში გამოხატულებას მრავალი ეხება.

ქ. შარაშიძე, რომელიც მიმოიხილავს საქართველოში პედაგოგიურ-განმანათლებლურ საქმიანობას მე-17 საუკუნის ბოლოსა და მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, გაკვრით ამ მიმართულებით ვახტანგის მუშაობასაც გვიჩვენებს[52].

ვახტანგის შემოქმედებაში წამოჭრილ აღზრდის საკითხებს ვრცელი ნაშრომები უძღვნა ი. ჯღარკავამ[53]. საკითხის ისტორიისა და ეპოქის

ზოგიერთი მონაცემის მიხედვით თითქოს იმავე 1711 წელსვე ვახტანგის სტამბაში დაიბეჭდა მიხაი იშტვანოვიჩის „პედაგოგია“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია (Н. К. *Орловская*, Грузия в литературах Западной Европы XVII—XVIII веков. Тб., 1965, с. 248—250; *მისივე*, XVIII საუკუნის ევროპული ცნობები ვახტანგ VI-ის სტამბის შესახებ, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1975, № 4, გვ. 13—15; გ. *შარაძე*, პეტრე დიდიდან ლევ ტოლსტოიმდე, რამდენიმე ეპიზოდი საქართველო-რუსეთის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობიდან (XVII—XIX სს.), თბ., 1986, გვ. 6—13).

[52] პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 42—46, 139—142 და სხვა.

[53] ი. *ჯღარკავა*, აღზრდის იდეები ვახტანგ VI შემოქმედებაში, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები,

დახასიათების შემდეგ ავტორი პოეტის მხატვრული თხზულებების მიხედვით განიხილავს სწავლული მეფის „პედაგოგიურ-თეორიულ" შეხედულებებს „აღზრდის მიზან-ამოცანების, შინაარსისა და შედეგის", ცოდნის, სიბრძნის, მემკვიდრეობის, სიბეჯითის, მშობლისა და მასწავლებლის, პედაგოგიური მეთოდების, წიგნის (სახელმძღვანელოს, მხატვრული სიტყვის), თვალსაჩინოების მეთოდის, თვითგანსწავლის, საზოგადოდ, გონებრივ-ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის შესახებ. ცალკე გამოყოფს მეგობრობის გრძნობის, პატრიოტიზმის, შრომისმოყვარეობის (გონებრივი და ფიზიკური შრომის), ოჯახისა და საოჯახო აღზრდის საკითხებს. ბოლო ორი საკითხის მიხედვით საკმაოდ ვრცლად განიხილავს აგრეთვე არჩილის, სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებას.

სამწუხაროდ, ავტორის მსჯელობა და დასკვნები ბევრ შემთხვევაში გადაჭარბებულია და რეალურ სურათს არ ასახავს. მაგალითები:

პოეტის ცალკეულ თეოლოგიური მიზანდასახულების გამონათქვამებში ი. ჯღარკავა ზოგჯერ წმინდა პედაგოგიკურ შეხედულებებს ხედავს. სასულიერო-ალეგორიული თხზულების „სატრფიალონის" იმ თავში, რომელსაც „შვიდი საიდუმლო" ეწოდება და სადაც გალექსილია ეს საეკლესიო დოგმები, შესავალ სტროფად იკითხება:

„რაცა იშვების შობილი, მშობელსა შეემსგავსებით,
უმართებს, იშვნენ სულისგან, სულითა მოისავსებით,
დაიბეჭდენი ბეჭდითა, გიცნან ვისი ხარ დასებით,
და ვეღარ გიპოოს მპარავმან მოცული ზეშთა ზესებით". (50)

მკვლევარს პირველი სტრიქონის მიხედვით გამოაქვს დასკვნა, თითქოს ავტორი ამით ჭკუის მემკვიდრეობითობას აღიარებდეს. მისი სიტყვებია: „ქართველ პროგრესისტთა მსგავსად ვახტანგს სწამს, რომ «შობილი მშობელსა შეემსგავსება» (გვ. 30)[54]. ინდივიდუალური განსხვავებულობით ბევრი რამ, მათ შორის, ჭკუაც, ბავშვს მემკვიდრეობით გადმოეცემა" (ტ. XXIII, გვ. 166).

შესაძლებელია, სხვაგვარად არც სწავლული მეფე ფიქრობდა, მაგრამ საქმე ის არის, ხსენებულ ტექსტში ეს საკითხი არ დგას. მისი სასაუბრო თემა, როგორც ვთქვით, სხვაა.

XXIII, ქუთაისი, 1961, გვ. 159—198; მ ი ს ი ვ ე, სათნოების, შრომისა და საოჯახო აღზრდის საკითხები განმანათლებელთა ნააზრევში, იმავე ინსტიტუტის შრომები, XXV, ქუთაისი, 1963, გვ. 71—100.

[54] მკვლევარი სარგებლობს ვახტანგ მეექვსის „ლექსებისა და პოემების" პირველი, 1947 წლის, გამოცემით და მხოლოდ გვერდების მითითებით კმაყოფილდება.

ასევე, ძველთაძველი თეოლოგიური თვალსაზრისი „ავი არ დაბადებულა“ (=ღვთისაგან არ გაჩენილა), რომლის ფესვები ფსევდო დიონისე არეოპაგელამდე დადის და რომელმაც გარკვეული ასახვა „ვეფხისტყაოსანსა“ და ვახტანგის პოეზიაშიაც ჰპოვა, ი. ჯღარკავას პედაგოგიკურ თეორიად ესახება. იგი ასე მსჯელობს: „ბავშვი რაც გინდ მდიდარი და ძლიერიც იყოს ჭკუით, მის ფორმირებაში მთავარი მაინც გარემოა და აღზრდა, ადამიანური შესაძლებლობის დასრულება — დავაჟკაცება. ბავშვის უნარშესაძლებლობასა და ჭკუას მოვლა-პატრონობა უნდა. განახლების ახალ ხანაში ვახტანგი რუსოზე დიდად ადრე «ავი არ დაბადებულას» (გვ. 133) სწორ თეორიაზე იდგა. მისთვის ცოდნა-გამოცდილება, ზნეობრივი სისავსე, თუ სხვა მისაღებმიუღებელი ადამიანური თვისებები «კაცთა არს მონაგონები» (იქვე), გარემოებითა და აღზრდით შენაძენი. უმოქმედობით ჭკუა იფიტება და ქრება, მოქმედებით კი სრულქმნილი ხდება. აღზრდა-გარემო ბავშვში ამ უკანასკნელს ემსახურება“ (იგივე ტომი, გვ. 167).

„სიბრძნე მალაღობელის“ იმ ტექსტის გაცნობა, საიდანაც აღნიშნული ფრაზებია ამოწერილი, გვიჩვენებს, რომ პოეტისა და მისი დედნის მსჯელობის საგანი სულ სხვაა და გაკვრითაც არ ეხება ადამიანის ჩამოყალიბებაში გარემოსა და აღზრდის საკითხებს:

„ავი არ დაბადებულა, კაცთა არს მონაგონები,
იქ და მიზეზსა იგონებ, კარგათ ქნა გასაგონები;
ერიდე, პირველ გაფთხილდი, სულ გქონდეს დასაყონები,
და რა შეგხვდეს კარგი მსაჯული, წაგიხდეს შენაკონები“. (447)

ეს არის ვახტანგის განზოგადებული დასკვნა წინა სტროფში მოთხრობილი ამბისა:

„მოსამსახურემ შესცოდა, უბრძანა მისი გვემანი:
«ბედმან მიყოო, — დავარდა, — მომმადლე ჩემი ცემანი!»
უბრძანა: «ეგეც ბედით გჭირს, მისგან გაქეს გამოცემანი;
და ბედსა ვერ მოვშლი, არ ძალმიც წახდენა, ქვე დაცემანი!»“ (446)

თხზულების შეგონება ეს არის: თუ ადამიანი ცუდ საქმეს ჩაიდენს, დამნაშავე თვითონაა და ნურავის დააბრალებს. ეს უფრო ნათლად გამოთქმულია მომდევნო სტროფში:

„ღმერთმან გვიყო, ავი რომ ქნან, ანუ ეშმაკს აბრალებენ,
და ღმერთმან ავი არ დაბადა, ეშმაკს რასთვის იძალებენ?!“ (448)

განხილული ტექსტები, ბუნებრივია, არ იძლევა იმ საერთო დასკვნას, რომელიც მკვლევარს გამოაქვს: „მაშასადამე, ჭკუა თავისთავადი, მემკვიდრეობითია, მაგრამ აღზრდა-გარემოთი გასამდიდრებელ-

გასაკეთილშობილებელი. ისინი ურთიერთმოქმედებით სრულყოფენ პიროვნებას" (გვ. 167).

ეს დებულება თავისთავად სწორია, მაგრამ ვახტანგ მეექვსეს მასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამ საკითხით ის არ დაინტერესებულა. ყოველ შემთხვევაში, იმ ტექსტებიდან, რომლებიც საამისოდ მოხმობილია, ეს არ ჩანს.

„სატრფიალონში" ვახტანგი ერთგან სიბერეზე მოთქვამს:

„ვაი, სიყრმისა ყვავილი რა ტურფა მოსახმარია,
თვალი ბრწყინვალედ მხედველი, ყური სმინებად მხარია,
სხვადასხვა-რიგი ვარჯიში, რა შვება, გასახარია,
და არც მკვდარი, არცა ცოცხალი, ვაი, სიბერე მწარია!" (100)

იმოწმებს რა ამ სტროფს ბოლო სტრიქონის გარეშე, ი. ჯღარკავა „ასაკობრივი პედაგოგიკის" გამოხატულებად მიიჩნევს მას, სადაც თითქოს „აღმზრდელისადმი დიდ ოპტიმისტურ მოწოდებად ისმის ვახტანგის სიტყვები". წინ კი ასე მსჯელობს: „სააღმზრდელო ზემოქმედების საუკეთესო წლები ეს ბავშვობის წლებია. ფსიქოფიზიკური მონაცემებით ბავშვი ამ ასაკში ელასტიურია, ყველაფერს ადვილად და მტკიცედ ითვისებს. მის ტვინში დანათესი ადვილად ხარობს და აღმზრდელსაც ახარებს; ამიტომ მას აღზრდა თავიდან უნდა დაუწყოთ და დამოუკიდებლობის გაგნებამდე გეგმაზომიერად სდიოთ". ავტორი უფრო შორსაც მიდის: მისი ფიქრით, „პედაგოგიური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ასაკობრივი პედაგოგიკა ამით დღესაც შეიძლება იყოს დავალებული" (იქვე, გვ. 167—168).

ნამდვილად კი აქაც აღძრულ საკითხებს დამოწმებული სტროფი ოდნავადაც არ ეხება. მასში პოეტი ნაღვლიანად მისტირის გარდასულ ახალგაზრდობას, როდესაც ადამიანს თვალი და ყური არ ღალატობს, უამრავი სიხარული და ბედნიერება აქვს: სიბერეში კი არც მკვდარი ეთქმის და არც ცოცხალი. ამასვე გადმოგვცემს წინა სტროფი:

„დაადუხჭირებ მშვენვართა, მისცემ ხორცთ ფერთა კლებასა,
ვეფხვებრ კისკასად მქცეველსა საბანს ქვეშ მისცემ ძლებასა".

თუმცა პოეტის აზრი უამსტროფოდაც ნათელია.

მკვლევარი საქმეს ისე წარმოგვიდგენს, ვითომც ვახტანგი „სიბრძნე მალაღობელში" ორგვარი — დამოუკიდებელი და სხვისი ხელმძღვანელობით — სწავლების მეთოდს გვთავაზობდეს. მისი მსჯელობა და არგუმენტაცია ასეთია: „ქართული პედაგოგიური აზრი მოზარდის ფორმირებაში თვითგანსწავლასა და თვითგანვითარებას საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდა, ადამიანისათვის მას ცხოვრების ბოლო წუ-

თამდე სავალდებულოდ თვლიდა... ვახტანგიც ამ გზას მიყვება: თ ვ ი თ-გ ა ნ ს წ ა ვ ლ ა ს ა დ ა თ ვ ი თ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს მ ი ს პ ე დ ა-გ ო გ ი კ ა შ ი ს ა პ ა ტ ი ო ა დ გ ი ლ ს უ თ მ ო ბ ს, პიროვნების ფორმირებაში სწავლის ორ გზას გვიჩვენებს: სწავლა-აღზრდა მასწავლებლის ხელმძღვანელობით და მასწავლებლის გარეშე თვითგანვითარების გზით, წიგნებისა და პრაქტიკული ცხოვრების შესწავლით. სწავლებისას მასწავლებელი მოსწავლეს ცხოვრების გზას უჩვენებს; მასზე სვლას უადვილებს. მოსწავლე კი მასწავლებელთან დამოუკიდებლობის გაგნებამდეა. მოსწავლე პლატონს ჰკითხეს, — წერს ვახტანგი,

> «სოკრატს რასათვის მოშორდი, რა მიზეზები (!) გაქვს, რომელი?
> სანამდი სიბრძნე მინდოდა, ვიყავ იმასთან მშრომელი». (გვ. 99)

— პასუხობს იგი. ცხოვრების რთულ და აღმართ-დაღმართიან მძიმე გზაზე სიარული ადამიანს თ ვ ი თ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ა ც უმსუბუქდება. დაიხსომე, მიმართვას იგი მოსწავლეს, «ძებნა არ უნდა სწავლისა დღესა, დროსა და ჟამსა» (გვ. 69)" (ტ. XIII, გვ. 180—181).

არავითარი ამის მსგავსი დამოწმებულ სტროფებში არ არის. პირველ სტროფში, რომელიც აქ ნაკლულად არის მოყვანილი, ისე როგორც მის დედანსა და მოსაზღვრე ტექსტში, ერთმანეთთან დაპირისპირებულია სიბრძნე — ცოდნა და ნივთიერი ქონება — სიმდიდრე. ის, ვინც სოკრატთან იყო, მისი მოსწავლე კი არ არის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ „იმასთან მშრომელი", მომუშავეა. თანაც, ნაწარმოებიდან გარკვევით ჩანს, იგი სოკრატის ნამოწაფარი პლატონი როდია, არამედ დიოღენია, რომელიც მეფეს იმას კი არ ეუბნება, რომ აქამდე სოკრატის ხელმძღვანელობით ვსწავლობდი და ახლა დამოუკიდებლად მსურს სწავლის გაგრძელებაო, როგორც ეს ი. ჯღარკავას ესმის, არამედ იმას, რომ, სანამ სიბრძნისა და ცოდნის მიღება მწადდა, სოკრატთან ვმუშაობდი, ახლა ფული მჭირდება და საამისოდ შენთან მოვედიო. აი, „აპოფთეგმატას" პროზაული ტექსტი: „დიოღენს ჰკითხა მეფემ ზიკირიელმან: რად გაუშვი სოკრატ და ახლა აქ მოხველ? მიუგო: სანამ სიბრძნე მინდოდა, სოკრატთან ვიყავ და, რახანაც თეთრი მომინდა, შენთან მოველ! (გვ. 32, მუხლი 54).

ვახტანგის გალექსილი ვერსია:

> „ზიკირიელი მეფეა, დიოღენ[ს] უთხრას მდომელი:
> «სოკრატს რასათვის მოშორდი, რა მიზეზი გაქვს, რომელი?»
> — «სანამდი სიბრძნე მინდოდა, ვიყავ იმასთან მშრომელი,
> და აწ თეთრი მომდომებია, თქვენს წინაშე ვარ მდგომელი!»" (79)

ამაზე დაფუძნებულ, მომდევნო, ვახტანგის საკუთარ, განმაზოგადებელ სტროფში აზრი სწორედ აღნიშნული თვალსაზრისით არის განვითარებული და არავითარ პედაგოგიკურ მეთოდს იგი არ ეხება:

„წესია სოფლის მოყვასთა, ხან ეს უნდა და ხან ისი,
ლხინი, შვება და სიამე დიდის რამ შესაგვანისი,
ხან სიბრძნე, გონიერება, თვალს წინა მოსაყვანისი,
და მალე დააზროს სოფელმან იგ მისი გასამწვანისი". (80)

წამოყენებულ მოსაზრებას არც მეორე მაგალითი უჭერს მხარს. მთელ სტროფში საუბარია არა დამოუკიდებლად და დამხმარის საშუალებით სწავლაზე, არამედ იმაზე, რომ ადამიანი გამუდმებით უნდა ზრუნავდეს ცოდნის შეძენისათვის, ისე რომ ერთი წამიც არ უნდა დაკარგოს:

„ძებნა არ უნდა სწავლისა დღესა, დროსა და ჟამებსა,
კვლავ შევეცდები, რად უბნობ, გულისა დასაამებსა?
არ დაისწავლის ერთიცა, ნუ გამოუშვებ წამებსა.
და რა სახმარია, სოფელში კაცი გიძახდეს ხამებსა?!" (21)

ი. ჯღარკავა ვახტანგის პოეზიაში ხედავს მოძღვრებას ფიზიკურ აღზრდაზე. მოვუსმინოთ, როგორ ესახება ეს საკითხი: „განახლების ხანის სხვა ქართველ პედაგოგთა მსგავსად ვახტანგის აზრითაც «ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული დგას». სხეულის ფიზიკური მდგომარეობა მიაჩნდა მას ადამიანობის სხვა თვისებათა ძირითად საფუძვლად. ფიზიკური აღზრდა პიროვნების ჩამოყალიბების საერთო პროცესში აქვს წარმოდგენილი და ამის მიხედვით განხილული...

ჯანსაღი, ლამაზი, ამტანი, გამძლე სხეულის აღზრდის მოთხოვნილებით XVII, XVIII საუკუნ[ეებ]ის ქართველ პედაგოგთა შორის ვახტანგის სახელოვან წინაპრად მხოლოდ არჩილი შეიძლება დავასახელოთ... ფიზიკური აღზრდის რაინდული თეორია ვახტანგის მოძღვრებაში არჩილისებურად ქართულ ნიადაგზე განვითარდა. მოზარდის წრთობისა და განვითარების საქმეში არჩილი კუთვნილ ადგილს უთმობდა თამაშობას, ასპარეზობას და სპორტის სხვა სახეებს. ვახტანგი, ალბათ, ამიტომ მათ ვრცლად არ შეხებია, თუმც ნადირობასა და სამხედრო წრთობაზე ბევრს წერს. იგი აღიარებს ლამაზი, თანაბარ-პროპორციული, ჰარმონიულად განვითარებული სხეულის აღზრდაში ნადირობის უპირველეს როლს. ნადირობა აჩვევს ბავშვს სიძნელის გადალახვის (!), ბრძოლისუნარიანობას, ამტანობას თუ ბევრ სხვა სასურველ ფიზიკურ თვისებას" (იქვე, გვ. 182—183).

საილუსტრაციოდ დასახელებულია „სალბუნად გულისა"-ს ის სტროფები, რომლებშიც ვახტანგისა და მისი ამალის ნადირობა, თევზაობა, ნადიმობა და სხვა გართობანია აღწერილი. ამ ეპიზოდებს ვრცლად ქვემოთ ვიხილავთ და მათ შემცველ სტროფებს თითქმის უკ-

ლებლივ ვიმოწმებთ. მათი ზერელე გაცნობაც კი უმალვე გვიჩვენებს, რომ იქ არსად არავითარ ფიზიკურ აღზრდაზე საუბარი არ არის.

იგივე უნდა ითქვას სამხედრო აღზრდის შესახებაც. ი. ჯღარკავა წერს: „ფიზიკური განვითარების ცალკე საშუალებად სამხედრო წრთობაა მიჩნეული. არჩილთან ერთად, ვახტანგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამხედრო წვრთნას. იგი ყოველ ქართველს სამშობლოს დაცვას ავალებს, ეს კი, ბუნებრივია, სამხედრო სწავლებასა და წრთობას მოითხოვს" (იქვე, გვ. 184).

აქ კი ნიმუშებად მოყვანილია „ამირ-ნასარიანისა" (105; 107. 1—2) და „სიბრძნე მალაღობელის" (478. 1—2; 479. 3—4) სტროფები, რომლებშიაც ლაპარაკია მებრძოლის, ჯარის უფროსის საჭირო თვისებებზე (მამაცობაზე, ერთგულებაზე...) და არა მათ აღზრდაზე, მით უფრო, როგორც ფიზიკური წრთობის საშუალებაზე.

ამ საკითხებიდან გამომდინარე მკვლევრის დასკვნა ასეთია: ვახტანგმა „ფიზიკური და სამხედრო აღზრდის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებით შუასაუკუნეობრივი რაინდული აღზრდის სისტემა არჩილისებურად იმითაც დასძლია, რომ ფიზიკური სიჯანსაღე მან განათლებული, ზნესრული და ესთეტიკურად ფაქიზი პირის სრულყოფის საწყისად ჩათვალა" (გვ. 184—185).

ეს განზოგადებული დასკვნა კიდევ უფრო დაშორებულია სინამდვილეს.

ი. ჯღარკავა ვახტანგის პოეზიიდან გამოყოფს შეხედულებას გონებრივ და ფიზიკურ შრომათა მონაცვლეობის შესახებ. „ვახტანგი — წერს იგი, — გონებრივი შრომის ფიზიკურით შეცვლას და ფიზიკურის — გონებრივით ბავშვისათვის დასვენება-გართობად თვლიდა... სწავლისა და შრომის ასეთი გონივრული შენაცვლება, სჯეროდა მას, ძნელი სწავლების არსებულ პრაქტიკას ადვილ სწავლებად აქცევდა და თვით ბავშვს სრულფასოვან, შრომისმოყვარე პირად გახდიდა. ვახტანგის აზრით, სწავლისმოყვარეობა შრომისმოყვარეობით მიიღწევა და პირიქით, შრომისმოყვარეობა — სწავლისმოყვარეობით. შრომისმოყვარეობის აღზრდის საქმე ვახტანგისათვის არამეორეხარისხოვანი საქმეა" (გვ. 193. იგივე აზრი გამეორებულია მეორე ნაშრომში, ტ. XXV, გვ. 79). საბუთად მოყვანილია „ამირ-ნასარიანის" სტრიქონები:

„მცოდნესა და გონიერსა გარჯა უფრო მოასვენებს,
უგბილსა და უმეცარსა მოსვენებაც ვერ ასვენებს". (163. 1—2)

როგორც ვხედავთ, აქ სულ სხვა რამეა ნათქვამი. მკვლევრის დებულებას არ შეესაბამება აგრეთვე ამავე ნაწარმოების მე-8 სტროფის მეორე სტრიქონი, რომელსაც ის წინ იმოწმებს:

„სოფელსა კაცი ამით იქს თავისა გამოჩენასა,
თავი არ რიდოს გარჯასა, სწავლისა აღმოცენასა,
ენა და ყური აცადე კარგის თქმასა და სმენასა,
და თვარემ მიგზიდავს ბუნება სათქმელად კაცის წყენასა".

შესაძლებელია, ამ საკმაოდ ხანდაზმულ ნაშრომზე დღეს ასე გამოდევნება ზედმეტი იყოს, მაგრამ, თუ ამას ვაკეთებთ, იმიტომ რომ მას აქამდე არვინ შეხებია და მასში კი უაღრესად შორსგამწვდომი დასკვნებია გამოტანილი.

ავტორი უყოყმანოდ წერს, რომ „ვახტანგ VI პედაგოგ-თეორეტიკოსიც იყო" (ტ. XXIII, გვ. 159). მეორე ადგილას: „ვახტანგი ხალხსა და ახალგაზრდობაში ცოდნის პროპაგანდით როდი კმაყოფილდება, არამედ სწავლების ორიგინალურ თეორიასაც იმუშავებს" (გვ. 173). ეს მაშინ, როდესაც იგი მეტწილად პოეტის ნათარგმნ და გალექსილ ნაწარმოებებს ეყრდნობა და საკუთრივ ვახტანგისა და სხვათა ნააზრევის ერთმანეთისაგან გამიჯვნას არ ცდილობს. თუ როგორაა გაანალიზებული გამოყენებული მასალა, ეს კიდევ მეორე საკითხია.

ი. ჯღარკავას ერთი ძირითადი მცდარი დებულება, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით, სოციალურ საკითხს ეხება. ის თვლის, თითქოს მეფე-პოეტი ფეოდალური აღზრდის სისტემასა და იდეებს ეწინააღმდეგებოდეს. ეს მოსაზრება მით უფრო საყურადღებო, რომ, ვინაიდან საქმე განმანათლებელს ეხება, ევროპელ და, კერძოდ, ფრანგ განმანათლებელთა დარად[55], ზოგიერთს, შეიძლება, დამაჯერებლადაც ეჩვენოს. „არჩილისა და სულხან-საბას შემდეგ — წერს მკვლევარი, — ვახტანგი ფეოდალური აღზრდისა და აღზრდის პროდუქტის თავისებური განმსჯელია. მან იცის, რომ აღზრდის ფეოდალური სისტემა იმუშავებს ორპირ, გაიძვერა, მატყუარა, ცბიერ, შურიან, ამპარტავან, ქედმაღალ, ტრაბახა, ხარბ, ცერცეტ, ოინბაზ კაცუნებს. საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში მოქცეული ეს კაცუნები პოლიტიკურად შლიან და მორალურად ხრწნიან ქვეყანას. მომხვდურებს ქვეშ ეგებიან, სამშობლო ქვეყნის აოხრება-აწიოკებისაკენ აქეზებენ...

აღზრდის კარგი სისტემა საზოგადოების განვითარებას აჩქარებს და, პირიქით, ცუდი ყოველმხრივ აკნინებს და აფერხებს. საილუსტრაციოდ იგი არჩევს აღზრდის ფეოდალურ სისტემას და ჰუმანისტი განმანათლებლის თვალსაზრისით კიცხავს მას" (ტ. XXIII, გვ. 168).

---

[55] ნიშანდობლივია, რომ ა. ფრანგიშვილი ევროპელ განმანათლებელთა პოზიციიდან აფასებს ვახტანგის დამოკიდებულებას რელიგიისადმი (ა. ფრანგიშვილი, ფსიქოლოგიური ნარკვევები, თბ., 1987, გვ. 70—78).

საბუთად მოხმობილია „ამირ-ნასარიანის“ ტექსტი:

„ხუთი უნდა თარხანს სჭირდეს მათის გულის დასალღობი:
პირველ ესე — თვალი, ყური, გულიც მათგან მოუღლობი“. (71. 3—4)

„მეორედ — იყოს შვენებით მხატვართა დასაწერელი...“ (72. 3)

„მესამედ — მეფეთ წინაშე საჩენი ყველა რამენი,
წიგნი, შაირი, კაი ზმა, ხუმრობა სასიამენი,
ვარსკვლავთრიცხვა და გამოთქმა, მისი რამ შესაწამენი“. (73. 1—3)

ფეოდალიზმის არავითარი საწინააღმდეგო ამ სიტყვებში არ არის. პირიქით, ყველაფერი მეფის სამსახურისადმია დასახული. მითითებული სტროფების წინ იკითხება:

„ბრძენთა სიტყვა, მ ე ფ ე თ წ ყ რ ო მ ა ნუ გგონია სალაღობი,
ცოდნა კაცსა გაათარხნებს, ზღუდე არის მოსაღობი...“ (71. 1—2)

„ეს სამი (თვალი, ყური, გული — ბ. დ.) ჰქონდეს მუდამად
ხელმწიფეზედა მზერელი,
ამ წამ რა ბრძანოს, რა სწადდეს, რისაცა იყოს მჭირელი...“ (72. 1—2)

მეორე ადგილას მკვლევარი ამბობს: ვახტანგი „ცოდნისადმი ფეოდალურ უდარდელობას კიცხავდა, უვიცს ბრიყვთან აიგივებდა. უვიცსო, წერდა იგი, «გონია ბრძენი ვარ, საქმისა შემძლე მქნელადო» (გვ. 98). უვიცი «სვესვიანი» ამპარტოვან-უსმენი, უჯერო, გაუზრდელია. ბრძენმაო, ამბობს ვახტანგი,

«ბრიყვი ვინმე, გაუზრდელი, კაცი ნახა ქვაზე მჯდომი,
გაეცინა, სხვათა უთხრა: ქვა ქვაზეა ყოფნის მდომი» (გვ. 120)

უვიცობა მანკია და მას განკურნება სჭირდება...“ (გვ. 171).

ეს ციტატები „სიბრძნე მალაღობელიდანაა“ (სტრ. 67. 1 და 288). არც ერთ მათგანში საკითხისადმი სოციალური მიდგომა არ ჩანს.

ვახტანგის სოციალურ შეხედულებებს ი. ჯღარკავა ასე ახასიათებს: „კლასობრივ-წოდებრივი დაპირისპირების ხანაში ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ა გ რ ე თ ვ ე წ ო დ ე ბ ა თ ა შ ო რ ი ს ზ ნ ე ო ბ რ ი ვ დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა ს ა ც ხ ე დ ა ვ დ ა: სიკეთეს — მშრომელებში, სიხარბე-გაუმაძღრობას — ფ ე ო დ ა ლ უ რ-კ ლ ე რ ი კ ა ლ უ რ წ რ ე ე ბ შ ი. სიფლიდე-ცრუკაცობა, სიხარბე-გაუმაძღრობა, შურიანობა-გაუტანლობა, ქურდობა-ავაზაკობა, ყოყოჩობა-ამპარტავნობა — აი ის ძირითადი მანკიერებანი, რითაც ფ ე ო დ ა ლ თ ა ზ ე დ ა ფ ე ნ ე ბ ი ხასიათდებიან, სიტყვითა და საქმით ვახტანგი მათ კიცხავდა: ხარბსო, — წერ-

და იგი, — «სხვისა სწადს მოსახვეჭარად» (გვ. 32), მაგრამ «თვისას დაჰკარგავსო». შური «კაცსა გააყვითლებს» (იქვე), «განლევს». ფლიდ-გაუტანელო,

> «რა არის თაგვებრ მსუნაგობ, დასძრები კარის კარადო?
> ამას თაყვანსცემ და იმას შესტირი სულთქმით, მწარადო,
> ძაღლებრ ლაქუცობ, მელისებრ ატყუებ შეუგვარადო» (გვ. 35)

არანაკლებ გაკიცხა მან ყოყოჩა-ქედმაღალი: «ამპარტავანი ამაყი მისივე გახმეს სახელად» (გვ. 150). ქურდობა, ავაზაკობა, ანგარების მძიმე სოციალური სენი, მისი აზრით, ზ ე დ ა ფ ე ნ ე ბ შ ი, «დიდ ქურდობით» სვიანობს...“ (გვ. 186).

მთელი ეს მსჯელობა სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩამოთვლილი და სხვა უარყოფითი ადამიანური თვისებები ვახტანგის პოეზიაში ყველგან ნახსენები და დაგმობილია ზოგადად და არსად ისინი რომელიმე სოციალურ ფენას არ მიეწერება. აი, თუნდაც ვნახოთ დამოწმებული აფორიზმი, რომელიც „სიბრძნე მალაღობელს“ განეკუთვნება, ნაშრომში კი მითითებულია არასწორად და მოყვანილია დანაწევრებულად:

> „ზ ო გ ნ ი თავისას დაჰკარგავს, სხვისა სწადს მოსახვეჭარად!“
> (გვ. 92, სტრ. 11)

ეს „ზოგნი“ საერთოდაა ნათქვამი და არა რომელიმე სოციალურ წრეზე.

სხვა საკითხებს აღარ გამოვუდგებით. ეს მაგალითები, ვფიქრობთ, საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ი. ჯღარკავას დასახელებული ნაშრომები ვახტანგის პედაგოგიურ შეხედულებებს, რომლებიც გაბნეულია მის პოეტურ თხზულებებში, სათანადოდ ვერ წარმოგვიდგენს. მისი ცალკეული მსჯელობანი და საერთო, ძირითადი დასკვნები მეტწილად სინამდვილეს დაშორებულია.

დიდაქტიკურ მოტივს ვახტანგის პოეზიაში ეხება ე. ლორთქიფანიძე. თავის მონოგრაფიულ ნარკვევში „ვახტანგ მეექვსე და ქართული სტამბის მოღვაწენი“ (თბ., 1962), რომელშიც ყურადღება გამახვილებულია „ამ სტამბის სახელმწიფოებრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობაზე და იმ მოსამზადებელ პერიოდზე, რომელმაც ცხადყო სტამბის შექმნის აუცილებლობა და ხელი შეუწყო თბილისში სტამბის შექმნას“ (გვ. 4), იგი მიმოიხილავს არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ მეექვსის, ნაწილობრივ დავით გურამიშვილისა

და სხვათა პედაგოგიურ იდეებსა და პრაქტიკულ საქმიანობას[56]. ავტორი თითო მაგალითის მიხედვით გვიჩვენებს „ამირ-ნასარიანსა“ და უფრო მეტად „სიბრძნე მალაღობელში“ მოცემულ გამონათქვამებს სიბრძნის, სიკეთის, შურის, ბოროტების, მეგობრობის, სათნოების, ლმობიერების, თავმდაბლობის, თავშეკავებულობის, ზომიერების, ზნეობისა და გონიერების ჰარმონიულობის, გამოცდილების როლის, მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობის, წრის და გარემოს მნიშვნელობისა და სხვათა შესახებ (გვ. 39—45).

ე. ლორთქიფანიძე ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ვახტანგის დიდაქტიკური „დებულებანი ხშირად არ არიან ორიგინალურნი“. მაგრამო, აგრძელებს მკვლევარი მსჯელობას, „იმ პერიოდში თარგმანს თავის[ი] სპეციფიკა ჰქონდა. იგი სიტყვა-სიტყვით არ მისდევდა დედანს. არამედ მთარგმნელის მსოფლმხედველობასა და ქართულ სინამდვილესთან იყო შეგუებული“ (გვ. 39).

უნდა ვთქვათ, რომ ვახტანგის ის შეხედულებანი, რომლებსაც ე. ლორთქიფანიძე იმოწმებს, ყველა ნათარგმნი თხზულებიდანაა და, გარდა ორიოდე მაგალითისა, დედნის სიტყვასიტყვით გალექსვის შედეგად არის მიღებული.

ვახტანგის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვა საკითხებთან ერთად დიდაქტიკურ მოტივს ჯეროვან ყურადღებას აქცევს ლ. მენაბდე[57]. სხვებისაგან განსხვავებით, ის ცალ-ცალკე განიხილავს პოეტის ორიგინალურ და გალექსილ ნაწარმოებებს და წარმოგვიდგენს მათ მორალურ-აღმზრდელობითი ხასიათის ტიპურ ნიმუშებს.

არსებითად ვახტანგის დიდაქტიკურ მოტივს აშუქებს დ. გვრიტიშვილი, თუმცაღა მისი ძირითადი მიზანი მეფე-პოეტის ისტორიულ-პოლიტიკურ შეხედულებათა შესწავლა იყო[58]. ამავე თვალსაზრისით აქვე გაანალიზებულია არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და სხვათა პოეტური შემოქმედება.

ვახტანგის მოღვაწეობას საგანმანათლებლო სარბიელზე სათანადო ადგილი ეთმობა ს. გამსახურდიას ზემოთ დასახელებულ წიგნში „სწავლა-განათლება ძველ საქართველოში“, სადაც დასმული საკითხი შესწავლილია უძველესი ხანიდან მე-19 საუკუნემდე. მკვლევარი, რო-

---

[56] უფრო ადრე ავტორმა ფსევდონიმით „ექ. ქართველი“ გამოაქვეყნა წერილი: „აღზრდის იდეები ვახტანგ VI-ის შემოქმედებაში“ (ჟურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1958, № 4). ფსევდონიმი გახსნილი აქვს გ. მიქაძეს (ძველი ქართული მწერლობის ბიბლიოგრაფია, II, თბ., 1968, გვ. 236).

[57] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 112—113, 121—126, 140—142, 146—150; მ ი ს ი ვ ე, სახელოვანი იუბილარი, „სკოლა და ცხოვრება“, 1975, № 12, გვ. 52—55.

[58] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან III, თბ., 1968, გვ. 74—86.

გორც სახელმძღვანელოებს, ისე მიმოიხილავს ვახტანგის ნაშრომებს, მათ შორის საბუნებისმეტყველო დარგისას (გვ. 132—137), ხოლო მისი პოეზიიდან გამოყოფს დიდაქტიკურ-პედაგოგიკურ შეხედულებებს სწავლის, ცოდნის, ასაკის, ნიჭის, ბეჯითობის, წიგნის, აღზრდის, მშობლისა და მასწავლებლის, საზოგადოების მანკიერ მხარეთა და სხვათა შესახებ (გვ. 179—184). აქაც ნიმუშებად თითო მაგალითია მოყვანილი „სატრფიალონიდან", „ამირ-ნასარიანიდან" და „სიბრძნე მალაღობელიდან".

ვახტანგის პოეტურ შემოქმედებას პედაგოგიკურ-დიდაქტიკური თვალსაზრისით ეხებიან აგრეთვე შ. ქურდაძე[59], გ. ჯიბლაძე[60], დ. ლაშქარაძე[61], ტ. სარიშვილი[62] და სხვები.

ეს ნაშრომები ზოგად წარმოდგენას იძლევა ვახტანგის პოეზიაში აღძრულ ცალკეულ დიდაქტიკურ შეხედულებებზე, მაგრამ არ გვიჩვენებს, რამდენად ორიგინალურია ისინი და რა წვლილი მიუძღვის პოეტს მათ დამუშავებაში.

როგორც ვთქვით, თავიდან ბოლომდე დიდაქტიკურ მოტივს ეძღვნება ვახტანგის გალექსილი თხზულებანი. იგივე მოტივი საკმაოდ გვხვდება მის ორიგინალურ ლექსებშიაც. უპირველესად აღსანიშნავია ერთსტროფიანი ლექსი „შეგონება". მასში პოეტი საერო და სასულიერო ცხოვრების ერთიანობასთან ერთად ხაზგასმით და გამოყოფილად მიუთითებს ადამიანის ამქვეყნიურ მოვალეობაზე, რომ იგი მოყვასთა, ამხანაგთა საკეთილდღეოდ და, საერთოდ, სახელის უკვდავსაყოფად დღენიადაგ უნდა ზრუნავდეს:

„მოყვასთა და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა სამე დარგოს!"

დიდაქტიკურ მოტივზეა შექმნილი ზემოთ განხილული ჯოხზე ნათქვამი ალეგორიული ლექსი, რომლითაც პოეტი „ერთპირობას", ერთსულოვნებას, ერთიანობას ქადაგებს.

მრავალ დარიგებას იძლევა პოეტი „სატრფიალონში", რომლის ძირითადი თემა სააქაო და საიქაო ცხოვრების საკითხებია. ღმერთის პირით პოეტი ქადაგებს:

---

[59] შ. ქურდაძე, ძველი ქართული მეთოდიკური ცოდნა, თბ., 1973, გვ. 180—195. 234—236.

[60] გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, VI, გვ. 16—18, 24—25 და სხვა.

[61] დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თეიმურაზ პირველიდან ნიკოლოზ ბარათაშვილამდე, თბ., 1977, გვ. 50—52.

[62] ტ. სარიშვილი, ნარკვევები საქართველო-რუსეთის მეცნიერულ-პედაგოგიური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1983, გვ. 6—12.

„თუ დაიმარხავ შენ ჩემსა სიტყვასა, სწავლა-თქმულებსა,
საყურებრ ყურად გაიყრი და დაიმკვიდრებ გულებსა,
დღეთა შეგძინებს ამ სოფელს, ზეცას აღაფრენს სულებსა,
და აქ მოგეცემა კეთილი, იქაც მორჩები წყლულებსა". (44)

პოეტის „სწავლა-თქმულები" ამ ნაწარმოებში და სხვაგანაც ბევრჯერ წმინდა თეოლოგიური ხასიათისაა და ადამიანთა სამუდამო განსასვენებლისათვის, საიქიოსათვის, ზრუნვას ქადაგებს. ცხადია, შინაარსობრივად მათში ახალი ბევრი არაფერია, მაგრამ მთავარი ის არის, მხატვრული გარდათქმისას ავტორი ახერხებს ქრისტიანობაში მიღებულ და საყოველთაოდ ცნობილ შეგონებებს პოეტური სული შთაბეროს და ცოცხალი ხატოვანი სახეებით მიმზიდველობა და დამაჯერებლობა მიანიჭოს მათ. ასეთია, მაგალითად, დოგმები „ათი მცნების" (სტრ. 45—49), „შვიდი საიდუმლოს" (50—53), „მომაკვდინებელ ცოდვათა" (54—59), „ცხრა ნეტარების" (60—70), ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებისა და სხვათა შესახებ, რომლებსაც სრულად ქვემოთ, თეოლოგიური საკითხების განხილვისას ვიმოწმებთ. აქ რამდენიმე სხვა ნიმუშს მოვიხმობთ.

აი, როგორი პირდაპირი, შეუვალი, დაბეჯითებითი კილოთი, ყველასათვის თვალნათლივი მაგალითით, მაგრამ ძნელად ამოსახსნელი მაჯამური რითმებით გვაწვდის პოეტი აღნიშნულ იდეას:

„დამრგველმა მისმა მოიმკოს დარგულთა მისთა ნაყოფი,
არცა წაუხდეს იმისგან, არც ექნას მისგან ნაყოფი,
კარგი ზეცამდე ამაღლდეს, ავმა სახლში ქნას ნაყოფი,
და რაც რბილად ჰგონოს, უმაგრდეს, ვით ბასრი წყალსა ნაყოფი!" (135)

ფუტკრის შრომასთან დაკავშირებით შექმნილი და ფართოდ გავრცელებული არაკის მეოხებით პოეტი ასე „ასაბუთებს" ზეციური ნეტარების მოსაპოვებლად ამქვეყნიური გარჯის აუცილებლობას:

„ნახე, ფუტკარი ზამთრისთვის თუ რამდონს შრომას ნახავსა!
სადაც აქეს თვისი სამყოფი, მუნ მრავალს შეინახავსა;
ვინ ამ სოფელსა დაშვრების, ზაფხულად გამოსახავსა,
და მუნ უმტკივრობას შეიკრებს, რად ვინმე სხვასა ჩმახავსა!"
(სტრ. 74; S 4500, გვ. 277)

„სატრფიალონში" არაერთი შეგონებაა მოცემული, რომლებიც თეოლოგიურ ფარგლებს სცილდება და საყოველთაო, ყოველდღიურად გამოსადეგ ჭეშმარიტებას შეიცავს. საკუთარი შესაძლებლობის

განსაზღვრის თაობაზე ძველად გავრცელებულ არაკს სვავის მოქმედების შესახებ ვახტანგი ამგვარად აყალიბებს:

„სვავი ძვალსა გამოიზომს, ჩანთქმა ძალუცს, ანუ არა,
რა გასინჯავს, შეიძლება, მერმე აღარ დაიზარა.
შენც გასინჯე შენი საქმე, შენა გმეტობს, ან გეკმარა,
და რაც შეგეძლოს, მას ეცადე, ნურას ეძებ გარის-გარად!"

(სტრ. 73; იქვე, გვ. 277)

საინტერესო, უცხო და თავისებური „დასაბუთებითაა" წარმოდგენილი მოწოდება მოწყალების შესახებ:

„მოწყალება გალატოზს გაეს, თვის საქმესა მუშაობდეს,
რამთონს აგურს ხელით დასდებს, კიდევ სხეათა ევსებოდეს;
აგრევ შენცა, რაც დახარჯო, კვლავ უფროსი მოგხედებოდეს,
და რადლა ზოგავ სხვისას შენთვის, ცეცხლი აღარ გეგზნებოდეს!"

(სტრ. 77; იქვე, გვ. 278)

ცხოვრებაში, საქმეში სიდინჯეს, თანმიმდევრობას, მეთოდურობას შემდეგი მაგალითით გვიხატავს:

„წყალი რა შელმა ადგილსა თუ შეხვდა, დაწყნარდებისა,
ნელ-ნელა მისდევს უკანით, ამ საქმით გადიდდებისა,
რა ძალს შეიკრებს, ან გახეთქს, ან თავსა გარდვარდებისა;
და აგრე ჰხამს კაცთა სიწყნარე, საქმე ქნას გულსადებისა!"

(სტრ. 70; იქვე, გვ. 276)

მსუბუქ-მოფარფატე ადამიანებთან შედარებით სიბრძნით, ჭკუაგონებით დადინჯებულთა და „დამძიმებულთა" უპირატესობაზე წერს:

„რაცა რამე ცარიელი ადვილია ასაღებლად,
მძიმე რამე გაჭირდება აწევითა გასაღებლად,
დაიმძიმე თავი შენი სიბრძნის ფერის გასაღებლად,
და საალქატო გაგიხადოს მტრობის კლიტემ გასაღებლად!" (სტრ. 81)

პოეტი გმობს უზნეო, მსუნაგ და მატყუარა ადამიანებს და აფრთხილებს მათ:

„რა არის, თაგვებრ მსუნავობ, დასძვრები კარის კარადო?
ამას თაყვანსცემ და იმას შესტირი სულთქმით, მწარადო,
ძაღლებრ ლაქუცობ, მელისებრ ატყუებ შეუგვარადო,
და მომცემი სხვა გყავს, ცუდია, დარჩები გარის-გარადო!" (88)

ამავე ტიპისაა სხვა დარიგებანიც. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მოვიყვანთ ცალკეულ აფორმიზმებსა და ანდაზებს, რომლებიც ამ ნაწარმოებში გვხვდება:

„ცილისა დამწამებელი კაცობაშია ძნელია!" (S 171, გვ. 22)

„ნუ მოინდომებ ირმულად ცოლებსა მოყვასისასა!" (იქვე)

„ისრიმს ტკბილად გარდააქცევს დრომდი საქმის შემომცდელი!"
(იქვე, გვ. 25)

„ვის უნახავს ერთის ხელით ორი ნესვი დანამჭირი!"
(S 4500, გვ. 277)

„კაცის სიკეთის სისრულე პირია მართლის მზრახავი!"
(იქვე, გვ. 278)

„ვინცა რა ქნა ამ სოფელსა, მიიხვედრა მისი წილი!"
(გვ. 278)

„თუცა გინდა ოქრო იყო, ურიიოში, ფეროვანი,
მრავალგზისად გარდაიდნე, წიდას უქმენ ცეცხლით წვანი!"
(გვ. 279)

„უსმენი და ბევრის მთქმელი შედარებით დამლებ არი!"
(82. 4)

„უადგილოდ კარგიც რამე არად ვარგა, — გიძეს წინ ეს!"
(95. 2)

„ვერა სჯობს თაფლის სიტკბილე ფუტკრისა დაკბინებასა!"
(S 171, გვ. 28)

„ცეცხლს თუ შეშა თან არ ახლავს, დაშრტების და იქმნას მწირად,
თუ ერთმანეთს არ უმწობენ, ორნიე იქნას კარგზე ძვირად!"
(სტრ. 130. 3—4)

„ნუ იმძიმებ, ნუ იხარებ ან იშოო, ან დაკარგო!"
(S 171, გვ. 32)

„ტეირთი შენგან უზიდაეი სხვამან ვითა აიკიდოს!"
(იქვე, გვ. 33)

„მზირმან მუნვე მოიტაცოს უსარგებლო საუბარი!" (იქვე)

„იხარი და პირით სიტყვა რა გასტყორცო, არ მობრუნდეს!"
(იქვე)

„ბევრს ჰიქას კენჭი ეყოფა, უგუნურს — დრამის წონანი!"
(იქვე)

„ისმინე გამონათქვამი, არა ქნა დაკარგულია:
ყური ფუნდუკად იქონე და ენა დალაგმულია!"
(იქვე)
და სხვა.

ცალკეული შეგონებები გვაქვს „სალბუნად გულისა“-ში, „ქილილა და დამანაზე“ დართულ ლექსში, „კაე'მანში“. პოეტი ამ ნაწარმოებებშიაც ქრისტიანული თვალთახედვით აფასებს მოვლენებს, გვაფრთხილებს ამქვეყნიური ცხოვრების დროებითობასა და წარმავლობაზე (ამაზე ქვემოთ), მოგვიწოდებს ერთმანეთისა და ღვთის სიყვარულისაკენ. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით „სალბუნად გულისა“-ში ნათქვამია:

„ვისცა ძმა სძულს, სიყვარული ღვთისა მწამლეს მათგან რათი?!“
(75. 2)

მეორე რედაქციით:

„ძმისა მძულთა მეუფისა სიყვარულსა დაუვმობენ!“
(S 171, გვ. 10)

თუ რა შედეგები მოაქვს ერთმანეთის გაუტანლობასა და მტრობას, ნაჩვენებია შემდეგი იგავით[63]:

„ორბს ვინმე სტყორცა ისარი, ეცა, ქვე იქმნა მდებარე,
განკვირდა: „პაერთ სიმაღლე რა მომწვდა გულსა მგებარე?
გასინჯა, იცნა მისივ ფრთა, ისარსა ზედა მწებარე,
და თქვა: ჩემთაგანვე მომედვა ცეცხლი უშრეტი, მგზებარე“ (72)

თხზულება მტკიცე სწავლებით მთავრდება:

„ვინც მთხრებლსა სთხრის, ამას ცდილობს, თვით იქნების ჩავარდნილი,
ვით მორჩება გაუსვრელად, ვინც აკეთოს მიწყივ მილი?!
არ დახუჭო, ეს იცოდე, არ მოგივა თვალთა ძილი;
და რაც ვინმე ქნას, მისა მსგავსად გაიტანოს მისი წილი!“ (105)

ამავე ნაწარმოებში გვხვდება დამრიგებლური, იგავური გამონათქვამები:

„რას ვარგა კარგი საჭმელი მარილზე მოუწონია,
ვისამცა მძივი ალმასად ყირათით მოუწონია?!“ (67. 1—2)

„ქუნარის თაფლი უეკლოდ არავის უგემებია!“ (99. 4)

---

[63] ალ. გვახარია პარალელს ავლებს ამ იგავსა და XI საუკუნის სპარსელი პოეტის ნასერ ხოსროვის ფილოსოფიურ ლექსთა „დივანში“ გამოთქმულ იგავს შორის და ამ უკანასკნელიდან მომდინარედ თვლის მას (იხ. მ ი ს ი: ვახტანგ VI და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, კრებულში: სპარსულ-ქართული ცდანი, თბ., 1983, გვ. 76—77).

„ვეფხისტყაოსნის“ რემინისცენცია:

„მზეს ღრუბელი მოეფაროს, დაბინდებს, და-ცა-ჰფარავს,
ვარდი მზის შუქს რა ვერ ნახავს, ფერს წაართმევს, და-ცა-ჰქარავს!“
(69. 1—2)

ასეთსავე ნართაული შინაარსის სენტენციას იძლევა პოეტი „ქილილა და დამანაზე“ დართულ ლექსში:

„სამთავსა და კვერსა შუა ჭიქა როგორ გამაგრდება?
ტალსა კვესსა რა ჩამოჰკრავ, აბედს ცეცხლი მოედება,
და ცეცხლსა მძაფრსა ნავთს დაასხამ, მითხარ, როგორ დანელდება?!“ (3)

„კაეშანში“ თემისაგან გადახვევით, მოულოდნელად ლაპარაკია სწავლის მნიშვნელობაზე. პოეტი იგავური ფორმით გვიხსნის, რომ, თუ ღირსეული კაცი დროულად მიიღებს სწავლა-განათლებას, დიდ სიკეთეს მოუტანს მას. სხვა შემთხვევაში ის უშედეგოა:

„სწავლა გავს წყალსა წმიდასა, რუულად მომდინარესა:
რა მიხვდეს კარგსა სათესსა დროსა, ჟამსა და არესა,
ალმოაცენებს ნაყოფსა ასწილად შესაწყნარესა;
და მორწყული ქვიშა ანასდად გაიდენს, გაიტარესა“. (2)

ვახტანგის ორი ლექსი პირდაპირ სასწავლო-პრაქტიკული დანიშნულებისაა. დაუმთავრებელი ლექსის „თუ კი გინდა სულის კარგი...“ მიზანია გააცნოს და ზეპირად დაასწავლოს ხალხს „ძველი აღთქმის“ წიგნები[64]. ხოლო მეორე ლექსი, რომელსაც ჩვენ „ათცხრამეტური“ ვუწოდეთ, ემსახურება ძველი დროისათვის ისეთ ფრიად მნიშვნელოვან და ფართო საჭიროების საგანს, როგორიც საეკლესიო კალენდარია. მისი საშუალებით ადვილად ხდება დასწავლა და დახსომება გაზაფხულის პირველი სავსე მთვარის თვე და რიცხვებისა, რითაც ხელის გულზე მარტივად შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს აღდგომის დღე ნებისმიერი წლისა, რაც კიდევ თავის მხრივ მოძრავი საეკლესიო დღესასწაულების გამოთვლის საწინდარია[65].

აი, არსებითად ასეთია ის სწავლანი, რომლებიც ვახტანგის ორიგინალურ პოეტურ თხზულებებში გვხვდება. შინაარსობრივად ბევრი მათგანი, ვიმეორებთ, ცნობილი და გავრცელებულია. მაგალითად, „სატრფიალონის“ დამოწმებული აფორიზმი „ტვირთი შენგან უზიდავი

---

[64] ამ საკითხზე ვსაუბრობთ წიგნში: „ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა“ (გვ. 221—222). აქ დავუმატებთ: ანალოგიური ხასიათის ლექსები აქვთ არჩილს („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, სტრ. 155—176), იაკობ შემოქმედელს (S 342, გვ. 302v—303r).

[65] დასახელებული ჩვენი წიგნი, გვ. 223—239.

სხვამან ვითა აიკიდოს!“ ბოლო რედაქციული ვარიანტია. პოეტს თავიდან დაუწერია:

„თუ შენს ტვირთს შენ კი არ აზევ, ნუ ჰკიდებ სხვას, ვერ აზევსა!“
(141)

ეს აფორიზმი გვხვდება „ქილილა და დამანაში“. მის ადრინდელ პროზაულ თარგმანში იყო: „თუ კაცი თავის საპალნის ზიდვას თვითან ვერ შეიძლებს, მისი ზიდვა სხვამც რომ ვერ შეიძლოს, არა საკვირველია“ (S 3177, გვ. 215). მაშინ ვახტანგმა იგი ასე გალექსა:

„თუ შენს ტვირთსა შენ ვერ ზიდავ, სხვამც ვერ უძლოს,
რატომ გიკვირს?!“ (იქვე)

იმავე „სატრფიალონიდან“ ზემოთ დამოწმებულია:

„ვერა სჯობს თაფლის სიტკბილე ფუტკრისა დაკბინებასა!“

მისი პირველი ვარიანტია:

„არ იცი, თაფლი არა ღირს ფუტკრის კბენად და წყინებად?!“

ეს აფორიზმიც „ქილილა და დამანადან“ არის. ვახტანგს პროზაულად გადმოაქვს: „...არ ღირს სოფელი ამ დაჭრის და ფუტკრის კბენად“ (M 53, გვ. 35v). ლექსავს ამგვარად:

„არ იცოდი, ფუტკრის კბენად თაფლი, უთქვამთ, არა ღირსა!“ (იქვე)

ასევე, „ქილილა და დამანასა“ და „სიბრძნე მალაღობელს“ ენათესავება „სატრფიალონში“ გამოყენებული აფორიზმი: „ისარი და პირით სიტყვა, რა გასტყორცო, არ მობრუნდეს!“ „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული პროზაული თარგმანია: „ხელით გასულს ისარს ხელით ვეღარ დაიჭერ, რაგინდ კბილით ხელის ზურგს იკბინო“ (S 3177, გვ. 24), საიდანაც მივიღეთ მისივე პოეტური თარგმანი:

„მშვილდად ნასროლი ისარი წავა ვით ქარნი ზენანი,
წამხდარსა საქმეს რას არგებს მას უკან თითზე კბენანი?!“ (იქვე)

„აპოფთეგმეტას“ ე. თურქისტანიშვილისეულ თარგმანში იკითხება: „ცხენს ლაგმითაც არის დაიჭერ და გაშვებულს სიტყვას ვეღარათი შეიპყრობ“ (გვ. 56, მუხლი 281). ვახტანგის გალექსილი ვარიანტი:

„ლაგმითაც არის დაიჭერ ცხენსა მორბედსა, ძლიერსა,
და ვერ დააბრუნვებ სიტყვასა, წარსულსა ბაგისმიერსა!“ (419)

და სხვა.

რაც შეეხება ვახტანგის ნათარგმნ და გალექსილ ნაწარმოებებს, ისინი თავიდან ბოლომდე დიდაქტიზმით არიან გამსჭვალულნი და ფეოდალური ეპოქის საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ეხებიან, თუმცა ამ თხზულებებიდან რომელიმე მათგანი ან ყველა ერთად რაიმე ერთიან, მწყობრ პედაგოგიკურ ან მორალურ-ზნეობრივ სისტემას არ იძლევა, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს წარმოუდგენია. ამ შემთხვევაშიაც ვახტანგის დამსახურება ის არის, რომ იმდროინდელი მოწინავე აღმზრდელობითი ბრძნული შეხედულებანი გალექსა, რამდენიმე უმაღლესი ღირსების აფორიზმამდეც აიყვანა, ხოლო ზოგიერთი მოსაზრება განავრცო და მის კვალობაზე საკუთარი თვალსაზრისი პოეტურად ჩამოაყალიბა.

ზემოთ ნაწილობრივ ვაჩვენეთ, ქართულად როგორ ამუშავებდა მეფე-პოეტი „ქილილა და დამანას“ ლექსებს. მათში მრავალი გაუხუნარი რჩევა-დარიგებაა მოცემული. ასეთია, მაგალითად, სწავლისაკენ — ცოდნის, სიბრძნის შეძენისაკენ მოწოდებანი:

„ხამს ისწაელოს კაცმა ცოდნა ბრძნისაგან და მეცნიერთა,
სამღთოთი და საეროთი მიემსგავსოს გულხმიერთა,
უსწავლთა და უმეცართა რამცა არგონ მისმიერთა,
და სენი არის მეტად დიდი ვინცა ესე შეიერთა!“ (S 3177, გვ. 527)

„სწავლისთვის სარჯელს გარდიხდი, ხამსცა გამპირე ამისად,
ბოლო გაქვს ლხინი უთუოდ, რა იყო წამვლე ჟამისად,
არ წაუხდების მოძღვარსა იგ ჭირნახული და მისად,
და ვის სწადდეს ქონა, ჭირი ხამს დღივ და ღღიე, წამ და წამისად!“
(გვ. 554)

„თუ გწადდეს თავის პატივი, ანუ თუ გამოჩენანი,
აიღე სწავლა კეთილი, ამაზე დასძარ ენანი,
უცოდნი ფეტვის მარცვლისა არ არი შესაწონანი.
და ქვე დაერდომილსა აღადგენს, ვისაც სჭირს ისი ზენანი!“ (558)

„ვის აქვს სიბრძნე და სიწმინდე, ის ორგანე გაიხარებსა!“ (438)

„ვინც სიბრძნით სდვას საფუძველი, მან აროდეს ივაგლახოს,
ვინც ბრძენთ სიტყვა გაიგონოს, გულით წყენა აღარ ნახოს!“
(477) და სხვა.

აქ ისიც არის შენიშნული, რომ სწავლა-განათლება ღირსეულს უნდა მიეცეს, თორემ:

„უგვაროს კაცის სწავლება ამას ჰგავს, კიდეც ასრია:
მეკობრეს მისცე ხელშიგან ხმალი ორპირი, ბასრია!“
(იქვე, გვ. 581)

მრავალი დარიგება ეხება მეფეებს. ჭეშმარიტი მეფე უნდა იყოს დინჯი, ბრძენი და განათლებული, თავისი ქვეყნისა და ხალხის ერთგული და თავდადებული, სამართლიანი და მოწყალე, კეთილი, ავის მოძულე, თავმდაბალი, მდაბალთა და გლახაკთა მფარველი და შემწე. თუ ეს ღირსებები არ გააჩნია, აოხრდება მისი სამეფო და თავი სავალალოდ გაუხდება:

„მეფეთ თავია სიკეთე, სამართლის მოქმედებანი,
ლოცვა მხურვალი, სამუდმოდ სიმშვიდის გარ მოდებანი;
ამ საქმის თუცა დაიწყეს ნანობა, ქეე დადებანი,
და მათთა თემთა და ადგილთა შეექნას აოხრებანი". (M 53, გვ. 8r)

„კარგია კაცი ხელმწიფე ავზე ხელდამოკლებული,
ვის დიდი მდაბალ-გუნება იყოს თაედამდაბლებული". (11v)

„მართლ მსაჯულსა მეფესთანა უსამართლომ ვერ იხაროს!"
(S 3177, გვ. 234)

„მეფე თუ მოყვა სამუდმოდ სმასა, სიცილსა, მღერასა,
გაუცუდებენ ანაზდათ მასა ბედსა და წერასა!" (იქვე, გვ. 511)

„მეფეთ ხამს სიტყვა გასინჯონ, ისე თქეან მოგეიანოდა,
გაუსინჯავად თუ რამ თქვან, ვერ მორჩენ უზიანოდა!" (გვ. 565)

ცალკე უნდა გამოვყოთ ნათქვამი „მდაბალთა", გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ:

„მეფე მდაბლის მოწყალებით ტახტ-გვირგვინსა მოიხმარებს!"
(იქვე, გვ. 342)

„მეფე თუ გლეხთ გაუსვენებს, მასცა მიხედეს განსვენება!" (გვ. 220)

აი, ზოგიერთი სხვა დარიგებანი, რომლებიც „ქილილა და დამანას" ლექსების ვახტანგისეულ მხატვრულ თარგმანებში გვაქვს (M 53):

„არ გაისერების მზის შუქი, ტალახი დაასხიო და!" (2r)

„ნუ მოჰკვეთ ხელსა მოყვსისა კალთასა ალერსისასა,
მარტო ნუ ზიხარ სამუდმოდ, საქმეს იქ ხელობისასა!" (13r)

„კარგსა იქ, მისად სანაცვლოდ კარგს გიზმენ მისა წილებსა,
ავისთვის ავსა ელოდე, არ ახლა, კვლაცა ქმნილებსა!.." (22v)

„ეშმაკი — მახედ, საკენკი სოფლის გემოდა სახესა,
და გული ჩიტია, საკენკის ნდომა გააბამს მახესა!" (29r)

„ვინც დაიბადოს, მან უნდა ჭაშნიკი ნახოს ვებისა,
ამ სოფლის ღვინის ჯამისა და ქვეყნად გათავებისა!"   (47v)

„მოყვასო, წადი, რაცა გაქვს, ანუ რაც ზედა გკიდია,
ერთი მოყვარე იყიდე, მას ცუდად ნუ გაყიდია!"   (89r)

S 3177 ხელნაწერიდან:

„ერთი კაცის მტერობა სძლევს ათასისა მოყრობასა!"   (გვ. 176)

„არ გამოდგეს ყვავი ქორად, არც უგვარო გვართა სწორად!"   (183)

„თუ დასთესო სადმე ქერი, რისთვის ელი მისგან ქრთილსა,
ან კიტრისგან სიტკბოებას, ან ავის ქნით კარგის წილსა?!"   (200)

„ავს კაცთან ჯდომას ერიდე, ისმინე ჩემი თქმულები:
შენს სიკარკაცეს დაფარავს მისი სიმყრალის სულები;
ვერ ხედავ, მცირეს ღრუბელსა, — მეტობდეს გინდა ფულები, —
და მზის სიდიდესა დაფარავს, ექნების დამასულები".   (208)

„მართლის მთქმელსა ყველა მტერობს, მაგრამ იგი არ წახდებ[ის],
მტყუანი და არა წმინდა მიწა-მტვერად გარდახდების!"   (232)

„გაუსინჯავად საქმის ქმნა ცრუს და უგვაროს წესია!"   (444)

„ვინც დაემინდეს მტრისაგან, ჭმუნვას მოიღებს დიდებსა,
გაუსინჯავად მთესვარი ჭირს მომკის, მოიზიდებსა!"   (479)

„წყარო სათავით, თუცა გწადს, ჩხირითაც გარდივლებისა,
მაგრამ, თუ ბოლო შეუკარ, სპილოცა ვერ გახდებისა!"   (521)

„ვისცა უნდა ზამთარ ლხინი, ზაფხულს უნდა გაისა[რ]ჯოს!"   (540)

„ქერის პური სჯობს საჭმელად უმსგავსოდ ზანდურს ჭამასა!"   (547)

„არ შეექნას მწერს ბოლო-ფრთა ფარშამანგის მსგავსი, დარი,
ვერცა მკალი შეიქნების ფასკუნჯისა ფერად, გვარი,
ძმარსა ღვინის გემოვნება ვერ უპოო, ვერცა ცვარი,
და ეკლისაგან ვარდის სული არ გამოვა მოსახმარი!"   (544)

„შეუწდომლისა რისამე შეწდომის ცდა და პირობა,
სირცხვილი არის კაცისა, სიბრიყვე, დიდი ვირობა!"   (559)

„ვის ნამუსი მთელი ქონდეს, კაცში არის კაცი სრული,
სიკეკლუცით არ იქნება სიკეთე და არცა გული,
ზნესრულობით სათავნოა სილამაზით პირი ქმნული,
და უიმისოთ ესე ასრე დამწვარია და დაგული!"   (564)

„ამად უნდა კაცს სიცოცხლე, მოყვას თვისთან იხარებდეს,
უამათოდ რას ვინ აქნევს, მიწის პირზე რომე რებდეს!"   (573)

„ქამისგან გულის მოწყენა მოცდისგან გაჯთდებისა!“ (578)

„ვინცა საქმე ჭკუითა ქნას, ჭირს გაღურჩეს უსაცილოდ!“ (585)

„არ ეთხოუნება კაცობა მიწყივ ჯაერთ სახმილთ მგზებელსა!“
(589)

„ეკალი დასწვა ისი სჯობს, სიტყვა არ უნდა ბჭობისა,
თუ შეინახო სახელში, ხორცს სადმე შეერჭობისა!“ (592)

„ტირიფის ხილის თხოვნას გაეს უგვაროს კარგის თხოვნანი!“ (606)

რამდენიმე ნიმუშს კიდევ ქვემოთ, ლექსწყობის საკითხების განხილვისას ვიმოწმებთ.

ანალოგიური ვითარებაა „ამირ-ნასარიანში“. ვახტანგს, მცირე გამონაკლისის გარდა, ზედმიწევნით აქვს გალექსილი „ყაბუს-ნამეს“ მის მიერვე პროზაულად გადმოღებული ტექსტი. ლექსად გაწყობილმა შეგონებებმა, ბუნებრივია, ბევრ შემთხვევაში მეტი ძალა და დამაჯერებლობა შეიძინა და, რაც მთავარია, უფრო ადვილი დასასწავლი და დასამახსოვრებელი გახდა. გარდა ცალკეული ცხოვრებისეული დარიგებისა, აქ ჩამოყალიბებულია სწავლანი ხელმწიფეთადმი სამსახურის, მდივნების, ვეზირებისა და სპასალართა მოვალეობისა და დანიშნულების, სტუმარ-მასპინძლობის, სიყვარულის, საქონლის შეძენისა და მოხმარების, ანაბრის შენახვის, შურიანობის, სიკეთისა და სხვათა შესახებ. აი, ზოგიერთი ნიმუში:

„ხამსცა კაცსა ავ-სიტყვაზე ყური ჰქონდეს ნარიდალი!“ (10. 1)

„რა კარგი ქნას უმეცარმა, მასვე წამსა დაინანებს,
არ იციან, კარგი კარგს შობს, ავი ავსა მოიყვანებს!“ (14. 1–2)

„ლხენას ვერ მისცემს სნეულსა მკურნალი შეუგნებელი!“ (15. 4)

„ნუ ხარ ამყოლი კაცისა საშუღრად მომდომელისა,
რა გაეწყობის აეს სიტყვას? — მოთმენა მომთმენელისა!“ (16. 2, 4)

„სიკეთესა და ნამუსსა ვერა სჯობს ტანსაცმელია,
უგვანთა მორთეა, შემკობა უნათლოა და ბნელია!..“ (20. 1–2)

„ორი რამ არის კაცისა საქმენი შეუქებელი:
სირბილე — ყველას საბრიყო, სიძვირე — მოურგებელი!“
(S 171, გვ. 110)

„ისევ ტყუილი სჯობია, მართალი ვვანდეს მრუდებსა,
ბევრს მართალს ერთი ტყუილი[ს] შერევა გააცუდებსა!“
(იქვე, გვ. 111)

„ასეთს მართალსა რას აქნევ, უმოწმოდ არვის სჯეროდეს!"
(35. 4)

„ვასინჯე სიტყვა, ასე თქვი, არ მოგხვდეს დასაკვნესითა,
სიტყვა წაახდენს და სიტყვით გახდება მზე უმზესითა!"
(40. 3—4)

„გამოუცდელად მავალი თავს მტერსა დაამონებსა!"
(S 171, გვ. 112)

„რისაცა მოვლა შეგეძლოს, ეგზომი იპყარ მქონელად!"
(გვ. 115)

„შეშისა გამოუმეტლოდ მწვადი დარჩების უმადო!"
(გვ. 118)

„კბილისა გამონაკრტენმა მუცელს ვერ მისცეს წვევანი!"
(იქვე)

„პატივი და სიყვარული სულ აღმოფხვრის ეკალ-ნარებს!"
(109. 4)

„დია ხამს სტუმრის თავაზა დახდომა, გულის ჩვენება,
ყმა იყოს, გინა უმცროსი, პატივით მართებს ხსენება!.."
(110. 1—2)

„მბდვინვარესა ბევრი ზეთი ვერ აანთებს, დააბნელებს,
ხარბად მორწყვა მოსავალსა გააცუდებს, დაანელებს,
სარგო არის ზომიერი, არასფერსა გააძნელებს,
და შუას გზითა შუა საქმე საძნელოსა დაანელებს!"
(S 171, გვ. 123)

„თქმულა: მგელიც შეინახავს ცხვარსა მისსა მინაბარსა!"
(132. 4)

„სიავე და უწყალობა, ნუ გგონია, შეგრჩეს ბოლოს,
თუ პირველზე გაგინათლოს, მერმე ბნელად დაგაბნელოს,
დაიჯერე ბრძენთა სიტყვა, ნუ აჰყვები აუყოლოს,
და რაც ნაქნარი უმეცრული თავსა მისცემს დასაქოლოს!"
(147)

„მოეშორე სამსა რასმე შესაშვებად სულად, გულად:
უთქმს, უნახსა, უქონელსა ნუ ეძიებ დასაწყლულად!"
(S 171, გვ. 126)

„ნუ დაუზოგავ, რა ნახო დაჭირებითა მხმობარე,
ბევრსა იპოებ ცოტათი დათესვით გამომგებარე!" (იქვე)

„კეკლუცი იყოს აე-გული, შვენებით სატურფალია,
უსიკეთონი სიტურფე დასამარხ-დასაფალია!“ (გვ. 127)

„უცების აყირბაჩებას ზღმურდლი სჯობს გამოგებასა!“
(გვ. 128) და სხვა.

ბევრად უფრო ვრცლად, მრავალფეროვნად და მეტი გულმოდგინებით არის დამუშავებული „სიბრძნე მალაღობელი“. ამ ნაწარმოების რედაქციული თვალსაზრისით განხილვისას ვაჩვენეთ, რომ ვახტანგი თავიდან ზედმიწევნით, თითქმის სიტყვასიტყვით გაჰყოლია დედანს — „აპოფთეგმეტას“ ე. თურქისტანიშვილისეულ პროზაულ თარგმანს, ხოლო თავისი ტექსტის შემდგომი სწორების შედეგად კონკრეტული შინაარსის მქონე ამბები განმაზოგადებელი აზრის გამომხატველ შეგონებებად უქცევია. ძირითადად აქ არის ის შემთხვევები, როდესაც პოეტი თავის წყაროს ავრცობს, უმატებს თითო სტროფს (იშვიათად მეტსაც), რომლებშიაც დედნისეულ თვალსაზრისს ავითარებს და ზოგჯერ სხვა მიმართულებასაც აძლევს[66]. ასე მივიღეთ განთქმული აფორიზმი „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი!“

ასე რომ, „სიბრძნე მალაღობელში“ სხვადასხვა რედაქციულ ვარიანტად, ზოგჯერ ვახტანგის მიერ გადაკეთებული, შევსებული და გამდიდრებული სახით, პოეტურ ფორმებში მოცემულია ძველი ბერძენი და რომაელი ფილოსოფოსების — სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ანტისთენეს, ანაქსაგორას, აღათოკლეს, ეპიკურეს..., მეფეებისა და მხედართმთავრების — ივლიანე და ავგუსტუს კეისრების, ციცერონის, ალექსანდრე მაკედონელისა და სხვათა ბრძნული ეთიკური გამონათქვამები, მოთხრობილია ჰკუის სასწავლო მოკლე ეპიზოდები მათი ცხოვრებიდან. იგი სავსეა სხვადასხვა, ხალას ცხოვრებისეულ მოვლენებზე გამოთქმული ჭეშმარიტი, ღრმააზროვანი, გონებამახვილური დარიგებებით — ანდაზებით, აფორიზმებით, მცირე ფორმის ნოველებით, იგავ-არაკებით, ანეკდოტებით, ნაკვესებით... თუ რას ეხებიან ისინი, ვაჩვენებთ ზოგიერთ მათგანს, უფრო მეტად, რაც ვახტანგის ორიგინალურ სტროფებში გვხვდება და უშუალოდ დედნის გალექსილი ვარიანტი არ არის.

როგორც სხვა ნაწარმოებებში, ვახტანგი აქაც ადამიანურ ღირსებათაგან ყველაზე წინ ჰკუა-გონებას, ცოდნას, სიბრძნეს, სწავლა-განათლებას აყენებს. აქ პოეტი იმასვე ქადაგებს, რაც შემდგომ ბრწყინვალე პოეტურ სახეებში დავით გურამიშვილმა ჩამოქნა...

ვახტანგის მტკიცებითაც, აღნიშნული სწორედ ის მუდმივი განძია, რომლის ბადალი ადამიანს სხვა არ მოეპოვება. იგი არ ბერდება და

[66] ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა, გვ. 104—173.

არც ცვდება, სხვისგან ხელუყოფელია, რამდენიც უნდა ხარჯო, მოუკლებელია:

„სჯობს ყოველს სიმდიდრეს, ქონებას სწავლითა გამდიდრებანი,
არც ქურდი რასმე მოჰპარავს, არც მზირისაგან ენებანი,
ვერც მძლავრსა ძალუც ძალითა მისი მოღება, კლებანი,
და უმჯობესია ყოველსა სამუდმოდ მისი ხლებანი!" (355)

„ბრძენსა აქვს დიდი სიმდიდრე, არვისგან მისაღებელი,
არც დაბერდა და არც გაცვდა, არც არი შესაღებელი,
იმ საჭურჭლისა კლიტენი გაღებად გაუღებელი;
და უხეობს და არა აკლდების, სიუხვით წარსაგებელი". (460)

სიბრძნე ის კეთილშობილური სიმდიდრე და ძალაა, მრავალგვარი უსიამოვნებისა და ხიფათისაგან რომ იცავს ადამიანს:

„ბრძენი სიბრძნითა უგუნურს სიტყვასა გაუცუდებსა,
მისთვის სიავის მძრახველსა უჩვენებს ფერსზე ხუნდებსა,
მალ გაასწორებს საძრახსა, დახვეულსა და მრუდებსა;
და სიბრძნით სიმდიდრე სიმდიდრეს საქონლით შეიქს უდებსა!" (318)

ვისაც ამ სიმდიდრის, უმაღლესი ბედნიერებისა და სიამოვნების მოპოვება სურს, იგი გამუდმებით უნდა ზრუნავდეს ჭკვიან და ბრძენ კაცთან იქონიოს საქმე და მისგან სწავლობდეს:

„ნუ მიგაჩანს უკეთესად, ნურცა ერთი შენად ვანად,
ბრძენი ხშირად მოეიდოდეს, შენ მოექცე მისად მვვანად,
გაგამდიდრებს, სხვა ვერ პოო მისი მსგავსი შესაძლევანად;
და ჰმატს ყოველსა შესატანსა კარგი კაცი შესაყვანად!" (172)

„მსწავლულთა კაცთა გაწყობა კარგს მოგცემს, არა კლებასა,
აღგავსებს სუნნელებითა, ვით მუშკი გაუცლებასა,
წარმართებ შენსა საქმესა, სიმდიდრეს, გასაწყლებასა;
და სჯობს ერთი წამი ბრძენთანა ასწელ უგბილთა ხლებასა!" (431)

ასეთი ადამიანის პოვნა იოლი არ არის:

„კაცი, სიბრძნითა შემძლები, საშოებელად ძნელია!" (408. 4)

ჭკვიანი და ბრძენი მაშინ ითქმის ადამიანზე, როდესაც მას უნარი შესწევს, ბრძნულად ნათქვამი და ნაქნარი სწორად გაიგოს და შეაფასოს:

„ვინ თუცა ვისას შეიტყობს სიბრძნეს და სიბრძნით ქმნულებსა,
მსგავსი იქნება იმისი, გაიადვილებს თქმულებსა..." (324. 1—2)

ცხოვრება თავისთავად მძიმე ჭაპანწყვეტაა. სათანადო აღზრდისა და წვრთნის გარეშე მისი გავლა ძნელზე ძნელია:

„კაცს სოფლისაგან სოფელში უძეს რამ დიდი ჭირები,
რჩენა, დარჩენა თავისა ნამეტანია ძვირები;
არას ისწავლი, რაც გმართებს, და ისე ცუდად ირები,
და დაგიმძიმდების სიცოცხლე, გახდები გლახა, მწირები!" (128)

„ბრალი არის საწუთოსა კაცი ბრიყვი, გაუზრდელი,
ვერც მაღლისა ამწდომელი, ვერც დაბალსა დასწვდეს მწდელი,
პირუტყულად მოარული, ვერასფერით ხელის მხდელი..." (181)

„ძნელი რამ გარდეკიდება ყრმას უშიშობის მჩვევარსა,
ნებით გაზრდილი, სათუთად რას მისწვდეს მისაწევარსა?!
ეგონოს თავი გაწვერთნილი, ვერ ასწევს ასაწევარსა;
და სინანულს მისცემს სოფელი სიყრმის ქარისა მდევარსა!" (689)

ვისაც საჭირო განათლება არ მიუღია, მისგან სიკეთე მოსალოდნელი არ არის, ხოლო ვინც ამ მადლს ეზიარება, იგი თავისთავსაც არგებს და სხვასაც:

„ყოელი უწვერთნელი იქნება არათი ხელსახდელია;
ვინც ეძებს მისგან კეთილსა, ცუდია მისი მცდელია.
თუ გინდა შენთვის, ასწაელე, რაცა გყავს გასაზდელია,
და გარგებს და ირგებს, ოდესცა მისწვდება მისაწედელია". (65)

სრულყოფილებას ადამიანი სწავლით აღწევს:

„რა აღივსების სწავლითა, იქნების განასრულები!" (17. 4)

ჭკვიანი და კეთილი ადამიანი სწავლისათვის არაფერს იშურებს, არ კმაყოფილდება მიღწეულით და დღენიადაგ იღვწის ცოდნის გაღრმავებისათვის:

„კეთილი მთქმელი, შემსმენი, მომგონი არ იმწარებსა,
რაგინდ რომ ბევრი ისწავლოს, კვლავ ცდილობს, არ იკმარებსა,
სახელი დარჩეს ბოლომდი, ვინც იწადს, ვინც იკარებსა.
და სიბრძნე კარგია სასწავლოდ, ვინც კარგად მოიხმარებსა!" (18)

„ზოგს სირცხვილად მიაჩნია სიყრმეს უკან კითხვა, სწავლა,
და მაგრამ ბრძენთა სახელად სჩანთ სიკვდილამდე მაშიგ წავლა". (33)

პოეტი მოუწოდებს მშობლებს, ყოველნაირად ეცადონ, შვილი უსწავლელი არ დაურჩეთ, თორემ მერმე ეს დიდად სანანებელი ექნებათ:

„ვისაც უნდა შვილი შვილად, სოლომონსა დაუჯეროს,
სწავლისათვის ნურას რიდებ, ჯერი იყოს, ან უჯეროს,
თვარამ ბოლოს გავიხდება საწუხარად, მტრის სამტეროს!..“ (656)

ნაწარმოებში შიგადაშიგ საუბარია სწავლების მეთოდიკურ მხარეებზე. სწავლა ძნელი და რთული საქმეა. ვახტანგი თავისი წყაროს კვალობაზე (სტრ. 115) აღიარებს ფიზიკური ზემოქმედების. დაშინების მეთოდს:

„მწერთნელთა მოსწაელას ცემაზე ვინ დაუზრახოს ბრალები?!“
(116. 1)

„ყრმამ პატივი უშიშარად კარგად ვერა შეიფეროს!“ (656. 4)

მაგრამ ამავე დროს, სხვაგან უპირატესობას ანიჭებს მოსწავლეთადმი თბილ, ალერსიან დამოკიდებულებას, საკუთარი მაგალითის ჩვენებით, დარწმუნების გზით სწავლებას:

„სჯობს დანახვებით, გასინჯვით, რისხვითა რასმე სწავლასა,
შეაძულვებს და დასწყევლის მისსა ბედსა და დაელასა.
რაც სიმწარისგან გამოვა, სიტკბო უკეთ იქს გაელასა,
და დიდი რამ უნდა მოძღვრისგან მოწაფეების მოვლასა!“ (465)

ამ შემთხვევაშიაც პოეტი თავის წყაროს ეყრდნობა (სტრ. 464).

პოეტი მოუწოდებს ხალხს, დაეწაფონ წიგნებს, — ცოდნისა და სიბრძნის წყაროს. „აპოფთეგმატას“ ტექსტის გალექსვის შედეგად მივიღეთ:

„გიყვარდეს წიგნის კეთილის კითხვა და გაგონებანი,
სიბრძნე შეგმატოს, შეიტყოთ შემოქმედისა ნებანი!..“ (644. 2—3)

პოეტი თავის მხრივ უმატებს:

„წიგნის კითხვა, შეგონება დაუდეიათ დია სარგად...“ (645. 1)

ვახტანგი მუქარით წერს მათზე, ვინც სწავლასა და დარიგებას არ ღებულობს და ჯიუტად დგას თავის ნებაზე. ასეთი ადამიანი თავისი თვალით ნახავს, ამის შედეგად რა უბედურებასაც გადაეყრება:

„კარგს არ ისმენდეს, წყინობდეს თქმასა და შეგონებასა,
არ იმადლებდეს, იქმოდეს თავის გულისა ნებასა,
მიუშვი, ბოლოდ შეიტყობს მის უბედობა-ენებასა;
და შემომფრთხალისა ჯიხვისა ნუ ცდილობ დაყენებასა!“ (468)

აი, კიდევ სწავლასთან დაკავშირებით გამოთქმული ზოგიერთი შეგონება, რომლებიც ვახტანგმა „აპოფთეგმატას" ტექსტის გალექსვის შედეგად მოგვცა:

„კაცსა სწავლა განანათლებს, ვითა მთვარე ღამე ბნელსა!" (122)

„სწავლული კაცი მალ ნახავს, რა რაზე მისდევს სხვისასა,
და ვერ ხედავს გაუსწავლელი ვერც სხვავსა, ვერცა მისასა!" (123)

„სწავლის ძირი მწარე არის, ნაყოფს მოგცემს ბოლოდ ტკბილსა!"
(124)

„პირველ სწავლა საწყინოა, ბოლოდ — ლხინი შენ და სხვისა!"
(125)

„ბედში სწავლა გამოდგების, დააშვენებს უბედობას!.." (127. 1)

„სწავლა ყრმას მისცემს სიფხიზლეს, ნუგეშსცემს ბერის გულებსა
და გლახას — სიმდიდრეს, მდიდარსა შვენებას გაუსრულებსა!" (246)

„უსწავლელობით ნაზარდსა ესენი დააკლდებიან
და საძრახავი და აუგი მრავალი მოუხდებიან!" (S 171, გვ. 62)

„სიყრმითგანვე ყოველთვის სწავლა სიბერეში გამოგადგეს!" (342)

„სირცხვილად სჩანს სწავლა კაცთა, რა გაჭირდა, ჰკითხვენ ბერსა,
და ვერ განაბრძნობს მხცოვანება უსწავლელს და დაუმზერსა!" (343)

„რა იწადო სიბრძნის სწავლა, უწინ ბოროტს განეშორე!" (573)

„ორსავ სოფელს საბრალოა, რასაც კაცსა სწავლა სძულსა!" (580)

„ვინც მოწაფედ არ ყოფილა, ის მოძღვარი არ იქნების!" (622)

„ვერასფერით ვერ ისწავლი ონტატით და დიდის ცდითა,
თუ მომთმინე არ შეიქენ გასინჯვით და გამოცდითა!" (623)

„გაურჯელად არ იქნება არას კარგის მოსწავლობა!" (626)

„ბრძენი როგორცა თავისას, სხვათ აგრე ცდილობს სწავლასა!"
(628)

„სიბრძნე გიყვარდეს, ისწავლე, ძვირფასი არის სახისა,
და დაცემულთ მაღლა ამწევი, მადიდებელი გლახისა!" (642)
და სხვა.

ვახტანგი აქტიურ ცხოვრებას, ყოველდღიურ შრომასა და გარჯას მოითხოვს, დღევანდელი საქმე დღესვე უნდა გაკეთდეს:

„დღემ განვლო, ასე ვერა ქნა მისი საქმისა წილები,
მას დღეს ნუ ჰგონებ სამენოდ, ამას არ უნდა ცილები;
დღევანდელს ხვალზე ნუ აგდებ, გარჯისთვის ნუ ხარ წბილები.
და რა სახმარია სოფელში ცუდი ჭამა და ძილები!" (718)

შრომა და გარჯა, რომელიც უპირველესად სარჩო-საბადებელის მოპოვებას უკავშირდება, ყველას ეხება, — მეფე იქნება იგი, ბრძენი თუ გლახაკი. ვინც ამ სიძნელეს თავს აარიდებს, შვებას ვერ პოვებს:

„მეფეს, ბრძენსა და გლახაკსა, — ყოველთა ეჭირებიან,
თავის რჩომისთვის სარჯელი, რისგანაც იშოვებიან;
ვერ მიხვდენ შვებით, უცდელად, თუ ჭირსა ერიდებიან!.."
(S 4500, გვ. 22)

თავის გატანისათვის მუშაობა მძიმე და მომქანცველია. თუ ამის შემდეგ ადამიანს შინ თბილი კერა არ ხვდება და მოსვენების საშუალება არა აქვს, სიცოცხლე გაუჭირდება:

„რა კაცი გარეთ გამოვა, თავის სარჩოსა მცდელობსა,
იხვეწების და ირჯების, რით მოიყვანოს, მქნელობსა,
შინ მისელის განსვენებისა იმედით არა მწყენლობსა,
და იქიც თუ დახვდა სასარჯლო, სიცოცხლე მოიძულობსა!" (377)

ეს დასკვნა პოეტისათვის შთაუგონებია „აპოფთეგმატას" იმ ტექსტს, რომელიც მეუღლის არჩევის საკითხს ეხება. იქ არისტოტელე რჩევას იძლევა: კაცმა შესაფერისი ცოლი უნდა შეირთოს. უკეთესი, მდიდარი ბევრი უსიამოვნების მომტანია. ვახტანგის გალექსვით იგი ასე ჟღერს (ბოლო რედაქცია):

„ვისაც სწადია სოფელსა გემოვნობითა ტკბილობა,
საფერი ცოლი შეირთე, შვებით მოგიხდეს ძილობა;
უდიდემ სახლში გიჩვენოს კამენდიითა ყრილობა,
და მეტოლე უღარიბესმა გაამოს, გიყოს ზრდილობა!" (S 171, გვ. 68)

„სიბრძნე მალაღობელში" სხვაც ბევრი დარიგებაა ქალის შესახებ. შექებულია მშვიდი და წყნარი, ნამუსიანი, სპეტაკი, თავმდაბალი, ქმრისა და ოჯახის ერთგული და მოსიყვარულე, ხოლო პირიქით, დაგმობილია ლამაზი და კეკლუცი, მაგრამ ურცხვი, ზარმაცი, ყბედი, ზვიადი ბუნებისა და არამეოჯახე ქალი. „აპოფთეგმატას" ტექსტის გალექსვის შედეგად გვაქვს:

„კარგი ქალი თავის ქმრისთვის სიკვდილს თავსა არ არიდებს,
ავნი მათსა სიკვდილზედა გაიხეევნ არცა რიდებს;
ერთი არი სიხარული, ლხინსა მისცემს, განადიდებს,
და ის მეორე — შეჭირვება, სიმძიმილსა ა-ცა-ჰკიდებს". (13)

„ჰკითხეს ბორისტელს დაჰკითხეს: «ცოლი შეეირთო თუ არა?»
— «კეკლუცი, სხვათა სანდომი, დუხჭირსა ვინ მოუარა!»" (381)

„ცოლი გინდა შესართავად, უკეთესი ვით მოირთო? —
ასეთს რასმე შეეცადე, ქალბატონი არ შეირთო!" (S 171, გვ. 78)

„ეყოფის ქალსა ზითევად სიწმინდე, ნამუსობანი!" (იქვე, გვ. 81)

ვახტანგის დამატებული სტროფებია:

„მშვიდი, წყნარი და მორცხვედი ქალი თავისა მცველია,
სახლისა მაშენებელი, გვირგვინი უეჭველია,
შვილთა მომვლელი, ქმრისათვის შემწე და მინაშველია,
და კაცს მოშლის, გულსა მოუკლავს ენაგრძელი და მწყელია!" (14)

„ძწვე კარგია ქალისათვის ქრმისთვის ტურფად დაშვენება,
თვითც ხარობდეს მისის ნახვით, მასცა მისცეს განსვენება,
მაგრამ ზოგთა გველისაგან უფროსი აქვს კაცის ენება,
და რა ქმარს ნახავს პირს მოიშლის, სხვას კეკლუცათ ეჩვენება!" (670)

ცოლქმრობა რთული საქმეა. ბევრი რამ არის დამოკიდებული მეორე მხარეზეც, — ქმარზე. დაგმობილია ისეთი ოჯახები, სადაც კაცის საქმეს ქალი ასრულებს და პირიქით, ქალისას — კაცი:

„თუმცა მართებს კაცსა ცოლის პატივი და სიყვარული,
რაც შეეძლოს საბოძვარი, მიწყივ მასთან სიხარული.
ზოგი კარგა შეიფერებს, ზოგთა სხვა აქვს მიფარული,
და ცოლი ქრმად და ქმარი ცოლად საქმე არის მომწარული!" (707)

„აპოფთეგმატა" და მასზე დაყრდნობით ვახტანგი დროულად დაქორწინებას მოითხოვს. პირველ რედაქციაში ვკითხულობთ: დიოღენს

„ჰკითხეს: «კაცმა რა დროულმა ქორწილით ქნას გახარება?»
— «ყმაწვილთათვის ადრე არი, ბერთა აღარ ეფერება!»" (200)

მეორე რედაქციაში აფორიზმის სახით არის ნათქვამი:

„ქორწილი ყრმათა ადრეა, ბერთა არ ეფერებისა!" (S 171, გვ. 54)

ნაწარმოებში ლაპარაკია ღირსეული შვილის, მემკვიდრის თაობაზე. პოეტი დედნის მიხედვით რჩევას იძლევა: „შვილს ეცადე კეთილ ქალთან!.." (534). თავის ნააზრევში აღნიშნავს, რომ ადამიანისათვის უდიდესი ბედნიერებაა, როცა შვილი მას სჯობს. ჭეშმარიტი მემკვიდრე მშობლის სახელის უკვდავმყოფელია:

„წყალობა არის მაღლისა უმჯობის შვილის ყოლანი,
მაშინ შეექნას მამასა ტკბილი ძილი და წოლანი;
ზოგსა სჭირს, თვითან არ ვარგა, ხმობს: მამა მყვანდა მბრძოლანი,
და მკვდრისგან ნუ ცოცხლობ, მკვდარი ქენ განაღვიძ-განაცხოვლანი!"
(716)

სანატრელია ისეთი შთამომავლობა, რომლებიც წინაპრების ხსოვნას, გვარს დიდებას შემატებს. მამა-პაპათა შემრცხვენელთა ყოლას, უშვილძიროდ გადაშენება სჯობია:

„სანდომი სანატრელია, უგვარო იქნას გვარულად,
მამა-პაპანი წარსრული წამოაყენოს ჯარულად;
მავრამ გვარს გვარი წაუხდეს, შეექნას მოუხმარულად,
და სჯობს უშობობა შობასა გვარისა გასაქარულად!" (754)

ვახტანგი, როგორც ქრისტიანულ კულტურაზე აღზრდილი კაცი, ურთიერთსიყვარულისა და ძმობა-მეგობრობის მგზნებარე აპოლოგეტია. ასევე გვევლინება იგი „სიბრძნე მალაღობელში", რაც საკმაო წილად მისი დედნითაც არის გაპირობებული. „აპოფთეგმატას" ტექსტის გალექსვის შედეგად მივიღეთ:

„თქვა: მეგობარი კეთილი უსაყვარლეა ყოველსა!" (379)

მეორე ვარიანტი:

„სჯობს საყვარელსა ყოველსა მოყვასი დანაცადარი!"
(S 171, გვ. 69)

სხვაგან:

„მეგობრისას კარგს ეცადე, უფრო კარგი შეიქნება,
და მტერს ეცადე დაიმოყვრო, ძალი იყოს, ანუ ნება!" (514—515)

მეორე ვარიანტი:

„კაცს მოყვასის მიდევნება სიკეთესა მოუმატებს,
და მტრისა მოყვსად გარდაქცევა სახარისხსა გაანატებს!" (გვ. 79)

ჭეშმარიტი მეგობარი და მეგობრობა ჭირში გამოიცდება:

„კაცი კარგა გამოსცადე, ისევ უყავ მეგობრობა,
და ჭირთა შიგან გამოჩნდება მეგობართა სიმაგრობა!" (371—372)

მეგობრებთან ურთიერთობის თაობაზე აქ ზოგიერთი კონკრეტული რჩევაც არის მოცემული:

„ორი გესვას მეგობარი, არამცა პყო მათი ბჭობა,
და მათგან ერთსა გაიმტერებ, მოგეგების ლახვრის რჭობა!" (364)

მეორე ვარიანტი:

„ორი მოყვსის მოსამართლედ გონიერი არ დაჯდების,
და საბოლოოდ ორში ერთი დასამოყვსოდ დააკლდების!" (გვ. 68)

სხვა შემთხვევაში საქმის სამართლიანი გარიგება მოყვარეს შესძენს კაცს:

„თუ მეგობარი არ იყოს, ნუ რიდობ სამართლობასა,
და ორთაგან ერთი დაგიწყებს ამ საქმით მწეე მადლობასა!" (365)

მეორე ვარიანტი:

„უმოყვსოს სამართლობასა ნურათი დაერიდების,
მოყვსად გაუხდის ერთსაცა, საკარგოდ მოეკიდების!" (გვ. 68)

როგორც ვხედავთ, მეფე-პოეტი შემდეგ და შემდეგ უფრო „ახალი აღთქმისეული" ტერმინის — „მოყვასისაკენ" იხრება.

ვახტანგის საკუთარი ნააზრევი ნამდვილ, უანგარო მეგობრობაზე ასეთია:

„რა სჯობს სხვა მეგობრობასა, არ იყოს მაშიგ შურია,
ჭირი და ლხინი ერთი აქვს, შიან თუ მონაწყურია,
ამაღლდა ანუ დამდაბლდა, მისივე მონასურია,
და არცა რა მისი მისთვის შურს, არც მისი დანაშურია". (194)

პოეტი დიდ სიბრალულს გამოთქვამს მათ მიმართ, რომელთაც გვერდში თანამდგომი არა ჰყავს, ხოლო ჰკილავს ისეთებს, ვინც ერთგულ ამხანაგს არ ეძებს, ან მუდამ იმაზე ფიქრობს, სხვას რას გამორჩეს:

„რა ქნას კაცმა, თუ არა ჰყავს კაცი მისთვის საქმის მცდელი,
თავს ეძებს და მას არ ეძებს, მისგან კარგსა რაღას ელი?
რას გამოგრჩეს, იმას ცდილობს, რაგინდ იყოს მოსაშლელი;
და სჯობს ყოველსა საყოლელსა ყმა ერთგული, საქმის მქნელი!" (786)

ვახტანგის დარიგებათა უმეტესი ნაწილი ზნეობრივ-ეთიკურ საკითხებს ეხება. იგი ერთმანეთს უპირისპირებს შორსმჭვრეტელსა და ჰკუით ბეც ადამიანებს, ერთნი საერთო სასარგებლო საქმეს რომ ეწევიან, მეორენი — მხოლოდ საკუთარი თავისათვის ზრუნავენ:

„კაცია, ღიაღ, ბევრრივი სოფელსა მოარებული,
შორ-დამნახავი, ცნობილი, ყველაში სახმარებული,
ზოგი თავისი შემძინე, ზოგი სხვის სარგოთ ქებული,
და ზოგს თვალი აქვს და ვერ ხედავს, საქმე სჭირს, დია, კლებული".
(561)

აქებს და ადიდებს კაცურ კაცს, რომელიც უწესობას გვერდს უვლის, ყველგან სიკეთეს თესავს, ბოროტსაც კი მტრობას სიკეთით უხდის:

„კაცმან კაცზედა კარგი ქნას, ან სამსახური დიდები,
არ დაიხსოენოს ნაცვალი, შორა ქნას განაკიდები,
კაცი კაცური უგვანთა მწვე არი მომარიდები,
და ტეირთია, ზურგზე ეკიდოს ტყვიისა ანაზიდები". (406)

სიკეთე და კარგკაცობა უმაღლესი დიდებაა, რომელიც ყოველთვის ინარჩუნებს სისპეტაკეს და არასოდეს იბღალება:

„ვით იაგუნდსა მწვირეში არარა შეეხებისა,
რა აღმოიღებ, გარდასწმენდ, აღარა აქვს რა ცხებისა, —
აგრევ კაცისა სიკეთეს აროდეს დაუცხებისა,
და მოვა კაცთანა, ინახვის უმაღლე ალვის ხებისა". (187)

კაცური კაცის სიკვდილი მძიმე დანაკლისია, რომელიც უღრმეს მწუხარებასა და გლოვას იწვევს:

„ძნელია, კაცი კეთილი, შემკული ყოვლის წესითა
სოფელსა გაესალამოს, დამრჩომი დარჩეს კვნესითა..." (95. 1—2)

პოეტი თავისას უზღავს ბოროტებას და გვირჩევს, განვერიდოთ მას:

„საცა ბოროტი გამოჩნდა სიავეს სიმრავლებითა,
ძირი გადიდდა, გამსხვილდა მიღმამდი გასაელებითა,
ნაყოფი ტკბილი აღმოფხვრა, გახადა დანაკლებითა,
და აოხრდა თემი, ქვეყანა მისითა მიახლებითა". (103)

„ერიდე სხვისა ბოროტსა, არ იყოს შენი ბრალია,
ნუ შეექნები მიზეზი, გექმნასმცა გულ-გამწყრალია,
მას ნება მიხვდა, შენ — ენება, ზე-ქვემდე გასაქრალია,
და ეს არის უგუნურება, კაცისა დასამცხრალია!" (792)

ვინც ბოროტს, ავსა და უწმინდურს დაეხმარება, ან მასთან საქმეს დაიჭერს, მალე ისიც ისეთივე გახდება. ადამიანი ავს უნდა ერიდოს და კარგი აკეთოს:

„უგვანოს შემწე, მომხმარე ისიც იმასთან იდები,
უწმინდურისა შემხები მწიკელით არ გაიწმინდები;
ავსა ერიდე, კარგი ქენ განამრაელ-განადიდები,
და ცუდის საქმისა მიმყოლმა თავი ქნას განაცუდები!" (281)

ასევე, ცუდის, უხამსის ლაპარაკისაგან მუდამ თავს უნდა იკავებდე და კარგის თქმას ცდილობდე:

„კარგია კაი ამბავი, მოკლე იყოს თუ გძელები,
კაცსა აამოს, ასწავლოს სიტყვანი ძველის-ძველები;
უხამსმა, გაუწყობარმა გული ქნას დასაწველები,
და კარგი თქვი, ცუდსა ნუ უბნობ, ენასა მიეც მცეელები!" (232)

ვახტანგი ბევრჯერ და დაბეჯითებით გმობს ავყიასა და სხვათა მაგინებელს, ცუდი, უწმაწური ამბების მთხრობელს და მოგვიწოდებს, უმალვე გავეცალოთ მათ:

„მაგინებელსა არ უნდა თქმა რამე საუბარისა,
უთქმელად იქით გასცილდი, თავს უზამს დასაბარისა!.." (92. 1–2)

„ძრახვის მთქმელი სიკეთეში არაოდეს დაიწერა,
არ მიხედავს გონიერი, არცა უნდა მისი მზერა..." (250. 1–2)

„ზრახვა არის შეუძლები კაცისათვის, კაცო კარგო,
არ იკადრო, მამაცურო, ამგვარები სარგო დარგო!.." (437. 1–2)

„ავიც არ სჭირდეს, კაცს მართებს, მაშინც ძრახვისა რიდება,
თუ ეს არ გინდა, როს ნახო, გულში უმართის მიდება,
ვით ნორჩი, ადრე მოჰკვეთე, მას უყავ განაკიდება,
და ნიგოზი ცოტა ამოეა, ძირგადგმით გაგიდიდდება!" (687)

„რა საკადრია კაცისა გინება, ცუდი თხრობანი,
დედაბერული ანბავი, თავისა დასამცრობანი,
არად სახმარი ბრძენისა, უხამსი მოარობანი,
და ვერას დამკლები სხვისა და პირისა ამოყრობანი?!" (714)

ვახტანგი ბოროტების ერთ-ერთ სახეობად სიხარბესა და შურს წარმოგვიდგენს, რომელიც სიკეთეზე აბრმავებს ადამიანს და ათასგვარ სიბილწისაკენ ეწევა:

„შური დააბრმობს კეთილსა, თვარამ რად ეძებს ბილწია,
ახალ ნაშობსა ყმაწეილსა, ვის არა ჰქონდა ბიწია?!" (654. 1–2)

„სიხარბე კაცსა დააზრობს, ვით ყინვა ვარდის კონებსა,
შოებისათვის ავსა და უხამსა მოაწონებსა,
შეუფერისა აუგსა არად არ შეაწონებსა,
და ალსძრაეს სიცრუვეს სიცრუვით, სიცრუეეს გააგონებსა!" (681)

პოეტი ჰკიცხავს მათ, ვისაც სხვის ქონებაზე თვალი უჭირავს. წამლეტველობა დაღუპვის კარამდე მიიყვანს ადამიანს:

„არ მართებს კაცსა სხვის ვისმე მოღება, გამოხვევანი,
თუ გამოართვა, მაშ, მისი, იცოდე შემოცვებანი,
მასცა წაართვამ, საშენოდ არ იცი ხელის დებანი,
და ჭია ქორს მოჰკლავს, ველარ ქნა თავისა გახარებანი!" (737)

„შეძინების მომჭირნეს" ურჩევს:

„სჯობს, დასჯერდეს თავის წილსა, მას ილეწოდეს აგებითა,
არ მიხვდების საწადელი უგზოს ცდით და გაგებითა!" (558. 3—4)

ათვალწუნებით უყურებს ოქრო-ვერცხლისაკენ სწრაფვას. „ოქრო და მიწა სწორეა"-ო ამბობს (72. 2) პოეტი და ყველაზე დიდ ღირებულებად ადამიანს ასახელებს:

„ვერას მოიგებ კაცისა მსგავსსა და შესადაროსა,
ოქრო, ვერცხლი და სპეკალი ვინცა ვინ დააჯაროსა,
ისევ იმისთვის კარგია, მაზედა მოიხმაროსა;
და მოუხმარებმა სიმდიდრემ ადრობით გაგამწაროსა" (739)

ძუნწის ქონებას განიავება ელის:

„ნეტა რა არის მრავალი დიდება დასადებისა?
არც შენთვის გინდა, არც სხვისა მწადიხარ მისაგდებისა,
რა გაუმრავლდეს, უფროსსა სიმრავლეს შეეცდებისა;
და გაგებნას შემოკრებული, რა თოკი გაგიწყდებისა!" (429)

ხარჯვაში ზომიერებაა საჭირო:

„არც მას ვაქებ, ცუდად ხარჯოს, სხვას ილებდეს გზა უკვალოს,
რა კარგია კაცისათვის ვალი ვალსა დაევალოს!" (662. 3—4)

„უგზო ხარჯი და გაცემა ვის მიხვდეს, მისთვის მწარია!" (749. 4)

დაგმობილია სიცრუე, ფლიდობა და ცბიერება:

„დაჰპირდები და არა გაქეს, ტყუილი რა სასურია,
გქონან და პირსა გაუტეხ, ოფლისა მოსაწურია!" (111. 1—2)

„ტყუილით კაცი ვერა იქს თავისა გამოძრომასა!" (286. 3)

„ზოგთ ჰგონია, სიცრუვისგან საქმე კარგა გაეგების,
ზაკვითა და ცბიერობით კაცსა მოყვსად დაეგების,
დათესილსა თვითონ მომკის, ცუდი არის, რაც ერგების!.." (756)

ამგვარადვეა შეფასებული მედიდურობა, ამპარტავნობა:

„ამპარტავანსა არწივსა მღილები დაჰკეთს მხარებსა!" (358. 4)

„ამპარტავანი, ამაყი მისითვე გახმეს სარულად!" (672. 4)

„ამპარტავნებით გამოვა მუქარა, ცუდი ჯავრები,
არად სახმარი კაცისა, ბედია გარდამწვარები!.." (795. 1—2)

მოგვიწოდებს თავმდაბლობისაკენ:

„ბევრნი ამაღლდენ მდაბალნი, არა ქნეს მიმმადლელობა...
და რამთონს ამაღლდე, დამდაბლდი, თუ გინდა მოუშლელობა!" (746. 1, 4)

გვირჩევს, გვქონდეს მადლიერების გრძნობა (სტრ. 20) და „დამთმო და მშვიდი გუნება" (701), ვიცოდეთ საქმეში ზომა და წონა, რომ „მეტსა არ ვეჭიდებოდეთ" (148, 209), ჭკვიანური და ზომიერი ლაპარაკი (151, 303, 493, 658), არ ვიყოთ მრისხანენი (41), ვიბრძოლოთ სახელისათვის (22, 652) და ა. შ.

აი, როგორ არის უარყოფილი გადაჭარბებული ღვინის სმა და სიმთვრალე:

„არა ხამს ყრმათა სტუმრობა, მალე მიუგდოს თვალია,
და სისხლის მომმატე სასმელი წაახდენს, უყოს ძალია!" (211. 3—4)

„ბევრთა მიხედა სიგლახაკე სიავით და მემთვრალობით,
და ძოინდომეს ბოლოს კარგი, ვეღარ პოვს საბრალობით". (226)

„ვის მემთვრალობის ზნეობა უჭირდეს მოსაკვეთარად,
და ქცევა-ხელობა გასინჯოს, მოუნდეს გასაცვეთარად!" (S171, გვ. 81)

„ღვინო ზომიერ სასმელად ჭკუასა გაასწორებსა,
და მეტი სახესაც მოუშლის, სიკეთეს გააშორებსა!" (გვ. 85)
და სხვა.

ვახტანგი ხშირად გვებაასება იმის თაობაზე, თუ რა ღირსებანი უნდა ახასიათებდეთ მეფეებს, მღვდელმთავრებს, მხედართუფროსებს.

როგორც სხვა ნაწარმოებებში, პოეტი აქაც მოითხოვს, რომ მეფე უნდა იყოს თავმდაბალი, მშვიდი, გულკეთილი, უხვი და მოწყალე, სამართლიანად გამსჯელი, თავისი ქვეყნისა და ხალხისადმი თავდადებული და ერთგული, ომში მთავარსარდალი, საჭიროების შემთხვევაში მრისხანე:

„მეფე მდაბალი, მოწყალე, მშვიდი და გულკეთილია,
ქვეყნის მომვლელი, ერთგული, უყვარდეს ვითა შვილია,
გამსინჯავი და სარდალი, რისხვის დროს შეუცილია,
და ორისავ ხელთა დარჩება ამის და ამის წილია". (563)

„ასე ხამს მეფე მოქმედი, გავსჭვრეტდეთ მისა ქმნულებსა,
არც თავის დასაკლისისთვის ან სხვას დააკლდეს გულებსა,
არ გაამრუდოს სამსჯავრო, სწორი არ მისცეს წყლულებსა...“ (673. 1–3)

„მეფე არა ხამს თავისა გემოსა მიდევნებული,
უხვი, მხნე, ტკბილი, მოწყალე, დროს რისხვის მონებებული,
შემძლე საქმისა, სხვათაგან რჩევითა უფრო ქებული,
და თვით ელვიძოს და სამეფო — მძინარი, განსვენებული“. (788)

სამღვდელოება, ღვთისმსახურთა მეთაური ვალდებულია იყოს კეთილი მოძღვარი და მწყემსი ხალხისა, სარწმუნოების განუხრელად აღმსრულებელი და მსახური, ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი, მტკიცე და მხნე:

„მართებს სამღვდელოს სიმტკიცე, თავის რიგი და წესები,
ბოროტის რისმე მომღებსა სხვა უთხრა უკეთესები,
სიმხნითა წინა აღუდგეს, არ იქნას დანათესები,
და სიკვდილისათვის არა ქნას საქმე რამ უმართესები!“ (338)

„პირველ მოძღვართა მიხედვით, თუ რა ქნეს განაკეთები,
ფარი არ ქონდათ, არც ხმალი, სიტყვა ტკბილი და მკვეთები,
დაამხეს სარწმუნოებით მძლავრთა მრავალი ღმერთები,
და ხელად ნურავინ აიღებთ, თუმცა არ შეე[ე]რთები!“ (341) და სხვა.

ვახტანგი ადამიანის სხვადასხვა ნიჭისა და უნარისაგან საგანგებოდ გამოყოფს მხედართმთავრობის ნიჭს და მაღალ შეფასებას აძლევს მას:

„ჭკუა ბევრია კაცისა, ვით სახე უგვანებელი,
ზოგთ ხელთუფლება, ზოგს სიბრძნე, ზოგს რჩევა უნანებელი,
ზოგს ჯარის მოვლა, გაძღოლა, გზა მისი გასაგნებელი,
და მაგრამ სჯობს მამაცობასა სარდლობა გამომგებელი“. (780)

მეთაურს უნდა ახასიათებდეს, ერთი მხრივ, სიფრთხილე, დაკვირვებულობა, ალღოიანობა, მეორე მხრივ, გულადობა, მამაცობა, შეუპოვრობა:

„კარგია, კაცმა იცოდეს ჯარის ყვანა და ძღოლანი,
რიგიან მოხმარებანი, ადგილს ვით ხამდეს ბრძოლანი,
პირველ ფთხილი და მის დროსა არ ქონდეს შიში, ძრწოლანი;
და მწვე შეეწევის სრულსაცა კარგთა მრჩეველთა ყოლანი!“ (477)

გამარჯვებისათვის თავს არ უნდა ზოგავდეს, მტერმა ვერ უნდა გამოიცნოს მისი გეგმები, თანამებრძოლებს შეაყვაროს თავი:

„ჯარის უფროსსა ცდა მართებს, ჯარსა უყვარდეს გულადო,
მისისა წარმართებისთვის თავს არ ზოგევდენ წყლულადო,
არა სცნას მისი განზრახვა მტერებმა უსაცილადო,
და მაშინ მიეცეს სახელი სახელოვნების წილადო“. (479)

როგორც ეს ვეფხისტყაოსანშია, ერთ-ერთი საჭირო და აუცილებელი თვისებაა, ჰქონდეს სიბრალულისა და მოწყალების გრძნობა. დამარცხებული მტრის მიმართ, ნაცვლად გაბოროტებისა, ლმობიერება გამოიჩინოს:

„რა მოგხვდეს მტრისა მორევა ჯარისა უხუცობასა,
ნუ უზამ ავსა, ნუ იჩენ სისხლსა და დამხოცობასა,
მიეც პატივი გულსრულთა, იქს საქმის გაოცობასა,
და თუ მოწყალება არა გაქვს, რად იქებ მამაცობასა?!“ (782)

ასეთია ძირითადად „სიბრძნე მალაღობელის“ ჰუმანური, დემოკრატიული, პროგრესული სწავლანი. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ ნიშნავს, თხზულებაში უგულებელყოფილი იყოს გაბატონებული ფეოდალური საზოგადოების უფლებები და ინტერესები. პირიქით, ისინი ყველგან მტკიცედ არის დაცული.

ვახტანგის პოეზიაში გატარებული სოციალური იდეები მის საკანონმდებლო თხზულებებთან შეპირისპირებით უნდა იქნეს განხილული, როგორც ამას ზოგჯერ დ. გვრიტიშვილი აკეთებს, მაგრამ ამჯერად ამის საშუალება არა გვაქვს. აქ მხოლოდ რამდენიმე დიდაქტიკური შინაარსის პოეტური გამონათქვამის მითითებით დავკმაყოფილდებით.

თუ ვახტანგი ერთი მხრივ აღნიშნავს, ბატონი თავის ყმას სიყვარულითა და მოწყალებით უნდა ეპყრობოდესო, მეორე მხრივ, სავალდებულოდ თვლის ბატონისადმი ყმის ერთგულებას, შიშს, კრძალვასა და მორჩილებას:

„შიში, კრძალვა, მორჩილება, თუცა უნდა ყმასა ყმობა,
ჰქონდეს სწორი ერთგულობა, ყველაზედა სიამობა,
ბატონს შეილებრ მოწყალება, სიყვარულით ტკბილი ძმობა;
და გაეშორენ ერთმანერთსა, თუ შექნათ ამის გმობა“. (206)

ვახტანგი იზიარებს და მხარს უჭერს „აპოფთეგმატას“ მოთხოვნას: „მეფეთა და დიდთა მეპატრონეთა წინააღმდეგი ნუ იქნები!“ (გვ. 63, მუხლი 353):

„წინააღმდეგი ნუმცა ხარ მებატონისა, მეფისა!“ (522)

თუმცა შემდეგი რედაქციული სწორებისას ეს სახელდებითი სოციალური დატვირთვა პოეტს მოუხსნია:

„მბრძანებელსა დაურჩება შემძლებელსაც გააცუდებს!“ (S 171, გვ. 79)

მეფესთან დამოკიდებულებაშიაც ვახტანგი ერთგულებას, მორიდებასა და შიშს ასახელებს:

„სამიშზე მართებს ერთობით მეფისა რიდი, შიშები,
რაზომ გწყალობდეს, მაშინცა მტერსა არ მისცე იშები,
სიმდაბლით, ტკბილად მოიქეც, ქენ ერთგულობის ნიშები!..“
(224. 1—3)

მეფის წინაშე წარდგომის წესია:

„გახსოვდეს თქვენცა წარდგომა ქედ-დახრილ, ხელშეკრულებსა“.
(674. 4)

ვახტანგი ერთიანი ცენტრალიზებული ხელისუფლებისათვის მებრძოლია და დიდ და საერთო უბედურებად მიიჩნევს მეფისადმი ურჩობას. სულერთია, ვინც უნდა იყოს ამის ჩამდენი:

„რა ქნას მეფემან, ყმა ჰყვანდეს ურჩი, იყოსმცა გმირია,
ის დაბლა კარგსა ბრძანებდეს, მონა ბრიყულად მყეირია,
ბერთა და ერთა ორისავე არის რამ დიდი ჭირია.
და სად მორჩილება არ არის, გახმების ხეთა ძირია!“ (797)

წინ ამბობს:

„კარგია, საცა წესია, შიში, კრძალვა და რიდობა,
გასაძლისია მეფესთან, ჭირი მოგხვდეს თუ მშვიდობა!“ (650. 1, 4)

საერთოდ, სწავლანი, რომლებიც „სიბრძნე მალაობელშია“ გაბნეული, თავისი დროისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რომელთაგან უმეტესი ნაწილი დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. უფრო მეტიც, ცალკეულ სპეციფიკურ საკითხებზე აქ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება იმდენად ესადაგება თანამედროვე ცხოვრებას, რომ ხანდახან ისინი საგანგებოდ ამ მოვლენების გამო დაწერილის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მაგალითად, ახლა, ტექნიკის, ტელევიზიის ეპოქაში, როდესაც გონებრივი შრომა დაწინაურდა, ადამიანთა ფიზიკურმა დატვირთვამ იკლო და ქალაქად და სოფლადაც სასიცოცხლო ამოცანად რაციონული, შეზღუდული კვების საკითხი დადგა, უაღრესად თანამედროვედ ჟღერს „აპოფთეგმატას“ დარიგება, რომელსაც ვახტანგის გალექსილ ვერსიაში ამგვარი სახე აქვს:

„როს გიორგი ლეონტინმა გასძლო წელი ასდაშეიდი,
სხვათა ჰკითხეს: «როგორ გასძელ, სოფლისაგან არ იწვეიდი?»
— «მქონდა წესი ჟამთა ჩემთა, ამ საქმესა არ ვადვიდი:
დ ა რ ი ს დ ა მ ჭ ი რ ნ ე ა რ ა ვ ი ყ ა ვ, ა რ ა ვ ჭ ა მ დ ი, ა რ ა ვ ს მ ი დ ი!»“
(549)

დღეს ჩვენს ირგვლივ საკმაოდ მომრავლდნენ ისეთი ფულიანი ადამიანები, რომლებიც ბედნიერებას ნივთიერ კეთილდღეობაში ხედავენ და თავიანთ უკვდავსაყოფად უზარმაზარ სასახლეებსა და სასაფლაოებს იშენებენ. თითქოს მათზეაო ნათქვამი „აპოფთეგმატას“ ვახტანგისეული სიტყვები:

„მეზობელი, დიაღ უხვი, დიდს პალატსა იშენებდა,
თქვა: სიუხვე მოკვდავისა უკვდავებას მოინებდა!“
(488)

მეორე ვარიანტი:

„მდიდარნი ნრასა-დარბაზედ დახარჯვენ მოსახოჭელსა,
მოკვდავს სიუხვე მიუგავს უკვდავებისა მეჭველსა!“ (S171, გვ. 78)

იმის გამო, რომ ჩვენში არის შემთხვევები, როდესაც წვრილმანი ქურდებისა და დამტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლას ბევრად უფრო დიდი, შენიღბული ქურდები, მომხვეჭელები და მექრთამეები განაგებენ, ჩვენი ქვეყნის უმაღლეს ფორუმზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე, პოეტი შოთა ნიშნიანიძე ამბობდა:

„წუთისოფელი ომია,
ომი ფუტკრის და კრაზანის,
აქლემის ქურდი ნემსის ქურდს,
ხდება, ციხეში აგზავნის“[67].

ამგვარ შემთხვევებზე ლაპარაკია „აპოფთეგმატაში“. ვახტანგის გალექსილ პირველ ვარიანტში გვაქვს:

„სტაქნის ქურდი ხაზინიდამ მიჰყავს, ნახა, დასარჩობლად,
და თქვა: დიდს ქურდსა მცირე მიჰყავს სიკვდილისვან შესაჰყრობლად!“ (190)

მეორე ვარიანტი:

„მოლარე საკვდად მიზიდავს ხაზინით ჭიქის მპარავსა,
და ცოტასა ქურდსა დიდები უპირებს დასაზარავსა!“ (S 171. გვ. 53)
და სხვა.

დასასრულს, აქაც დავიმოწმებთ „სიბრძნე მაღალობელის“ რამდენიმე რჩეულ ბრძნულ გამონათქვამს:

„კარგი არ იტყვის პირს ქებას, თუ უკან დაუძრახებსა!“
(S 171, გვ. 35)

[67] გაზ. „კომუნისტი“, 29 იანვარი, 1986, გვ. 2.

„გააცუდებს რკინას გეხლი, კაცსა შურის მიდევნება!" (გვ. 45)

„გამოსწმენდს გრდემლი ოქროსა და კაცსა გამოცდილება!" (139)

„თუ ენას კლიტე არა აქვს, ჭირია ულხინებელი!" (150. 4)

„ცხვარი მატყლსა ვერ იხმარებს, სხვისა არი მოსახმარი!" (გვ. 54)

„უმეცარი მონას მონებს, მონას ვეროს დაიმონებს!" (გვ. 60)

„ლომის მჭერი ლომს მსახურებს, ართუ ლომი ლომის მჭერსა!" (270. 2)

„უწმინდურისა შემხები მწიკულით არ გაიწმიდები!" (281. 2)

„ვით უსმინობა არ ვარგა, აგრევ სმენისა სმენანი!" (284. 1)

„უსწავლელი ქვაზედ დაჯდეს, ქვა ქვაზედა დაემატოს!" (გვ. 62)

„სხვისა კარგი მოსამართლე თავს ვერ უზამს სამართალსა!" (გვ. 62)

„ბრიყვი ბედსა ვერ იპოვნის, ბედი პოებს, ვერ იბედებს!" (გვ. 70)

„გლახის ძრახვა, მდიდრის შური უმეცრება არის დიდი!"
(S 4500, გვ. 111)

„ვინც უფრო არის მდიდარი, უფროა ჯაერით მწუხარი!" (519)

„რომ სიკვდილი ახლოს გახლავს, რად დაიჭერ იმას შორად!" (534)

„სჯობს სიკეთითა წახდენა სიავით გამდიდრებასა!" (S 171, გვ. 83)

„ვერ გახვრეტს მალნიტს ჩუგლუგი, რაზომცა მოეძალოსა!" (635. 4)

„ქვის ამწევს ხელზე შესციოდეს, ბამბისას მიზვდეს თბობანი!" (648. 4)

„თავდაღმართი მოიფიქრე აღმართისა გარდასავლად!" (678. 3)

„ყოველი ნადები ქეისებრი ღირსია მიწად გდებისა!" (703. 4)

„მაშინ იცნობა თემისა წახდენა უსაცილობით:
მიცემა ანუ წართმევა არ იყოს სწორის წილობით". (S 171, გვ. 101)

„სჯობს ოქროს პატრონობასა ოქროს მთლობთ მფლობელობანი!" (776. 4)
და სხვა.

ამრიგად, ვახტანგ მეექვსის პოეზიის ერთი დიდი და უმძლავრესი ნაკადის მიზანდასახულობა ქართველი ხალხის გონებრივი და ზნეობ-

რივი აღზრდისა და ამაღლების სამსახურია, რომლის უმეტეს ნაწილს საუკუნეთა მანძილზე არც ყავლი გასვლია და არც ცხოველმყოფელობა დაუკარგავს.

4. სევდისა და სოფლის გმობის მოტივი

ვახტანგ მეექვსის პოეზია, როგორც ეს დამახასიათებელია შუა საუკუნეების მწერლობისათვის, თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ღრმა სევდითა და ამქვეყნიური ცხოვრების ამაოების, სოფლის გმობის იდეით. ამ თემაზეა დაწერილი „სალბუნად გულისა“, „ქილილა და დამანასა“ და „კვინკლოსის“ ანდერძები, „კაეშანი“, „რანი და მოვაკანი...“, „უწყვეტელი“, „ლექს-ამბავი“; დიდი ადგილი უჭირავს „სატრფიალონში“, ცალკეული სტროფები ეთმობა „სიბრძნე მალაღობელში“, „ამირნასარიანში“ და სხვა ლექსებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი მოკლედ არის განხილული[68]. გამოთქმულია ზოგიერთი სადავო მოსაზრებაც. ვახტანგის პოეზიის უკეთ გაცნობისათვის საჭიროა უფრო ფართოდ წარმოვადგინოთ იგი.

პირველი სამი თხზულება სპარსეთში ტყვეობის დროს არის დაწერილი და პოეტის მაშინდელ განწყობილებას ასახავს. როგორც ვიცით, ავღანელებთან ბრძოლაში უფროსი ძმის, ქართლის მეფის, ქაიხოსროს დაღუპვის შემდეგ მის ადგილას დასამტკიცებლად 1712 წლის 4 ივლისს ვახტანგი ისპაჰანს ჩავიდა. ირანის ყაენმა შაჰ-ჰუსეინმა გამაჰმადიანება მოსთხოვა. ვახტანგმა მტკიცე უარით უპასუხა, რისთვისაც 1714 წლის მარტში ქირმანში გადაასახლეს, სადაც 1716 წლის 1 ივნისამდე დაჰყო. ამ პერიოდშია შეთხზული „სალბუნად გულისა“, „ქილილა და დამანასა“ და „კვინკლოსის“ ანდერძების ლექსები.

„სალბუნად გულისა“-ში ნაჩვენებია, ერთი მხრივ, ის უზრუნველი ყოფა, ბედნიერება და მხიარულება, რომელიც მეფე-პოეტს ქართლის განმგებლობის ჟამს ჰქონდა, ხოლო, მეორე მხრივ, გადმოცემულია ის უდიდესი ჭმუნვა და ნაღველი, რაც უცხო ქვეყანაში დაკავებას მოჰ-

---

[68] ძირითადი ლიტერატურა: კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 594—595, 602—604; თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, III, გვ. 125—126, 128; ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 444—448; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 510—514; ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 110—113; გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, VI, გვ. 13—15, 20—35; ბ. ქიქოძე, ვახტანგ მეექვსის ცხოვრება და მოღვაწეობა (დაბადების 300 წლისთავის გამო), კრებული: საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები, ისტორია-ფილოლოგიის სერია, II, თბ., 1976, გვ. 301—303; მ. კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, თბ., 1983, გვ. 177—189 და სხვა.

ყვა[69]. პოეტი მკვეთრ ზღვარს ავლებს ამ ორ ხანას შორის და უშუალოდ გადადის თავისი მძიმე და აუტანელი ხვედრის აღწერაზე:

„აწ გავათავე ლხინი და ვთქვა ჭირი შეუწონარი...
რა სივლახაკე, შიმშილი, სიშიშვლე დასაღონარი;
და მამაძებნინეს წერაქვი, აწ გამიჩნდების ონარი". (68. 1, 3–4)

„მტილი ყვავილით აღვსილი მე ნებით ჩემით ვინარე,
ჭირნი ეგზომნი ურიცხვი, ჩემკენ არ ვიცი, ვინ არე..." (78. 1–2)

„ჰე, თაო, პირველ შეებულო, აწ უცხო ჭირსა ვარდია,
საკვრელსა ძნელად სახსნელსა, მთხრებლსა მოღრმოსა ვარდია...
და ლაწვი შემქნია ზაფრანად, ვის ვერა მდრიდა ვარდია". (84. 1–2, 4)

„აღმემართა კაეშანი, ეს არ ვიცი, როს იხაროს!" (82. 2)

„მოვიდა ქარი ხორშაკი, ანაზდად სამე მეცა და". (85. 2)

„ის მოსავალი პირველი დასეტყვა, ასე მეხა რა,
ზე-აღმართული სვე-ბედი ანაზდად ენახე მეხარა,
სამსალის უფრო გამწარდა, რაც ამას წინათ მეხარა,
და არ გიკვირსთ სოფლის სიმუხთლე, დემად შემქნია მე ხარა?!" (86)

„მე სანთელი, მრავლად მნთები, მეყსა შინა მექრალება,
არ დავარდი, მეცა მომხვდა, სხვის დაწვისაებრ ალება..." (92. 1–2)
და სხვა.

სპარსეთში გადასახლებული ვახტანგი ისეა ყველაფრისაგან იზოლირებული, რომ ჭაში ხელშეკვრით მჯდომი ტუსაღივით გრძნობს თავს. მისი თქმით, ასეთ პირობებში გონიერი არსების ყოფნას პირუტყვობა სჯობს:

„მწვე სჯობს უენო ენიანს ამ საქმის მიწყივ მქონესა,
უკაცურს სახლსა მჯდომელსა, ვერა-რის ვერ გამგონესა;
რა მართებს საქმის შემძლებსა, ჭკუაზე თავმომწონესა,
და ჭაში მჯდომელსა ხელ-შეკვრით მტერთ ასე დამამონესა!" (102)

პოეტის მდგომარეობა დღითი დღე უიმედო ხდება. ტერორი და შიში უძლიერდება, სიკვდილი გარდაუვლად ემუქრება, შველა არსაიდან ჩანს:

---

[69] ეს საკითხი ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით განხილული აქვთ ვ. დონდუას (საისტორიო ძიებანი, III, თბ., 1985, გვ. 79—93), დ. ბრეგაძეს (ვახტანგ VI ირანის ტყვეობაში, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXVI, გვ. 136—198) და სხვებს.

„თაეი დაეაბი ჭირსა და ეზიეარ უხსნელსა კარებსა,
წამდაწამ ეისმენ ამბაესა სამსალის უფრო მწარებსა;
აეს მექადიან სიკვდილსა, მტერთაცა შესაზარებსა..“ (74. 1—3)

პოეტის ეს განცხადება გაზვიადებული არ არის, რეალურ ვითარებას ასახავს. ამას ადასტურებს, მაგალითად, კაპუჩინი ბერის ბერნარ დე ბურჟის 1713 წლის 26 თებერვლის ისპაჰანიდან საფრანგეთის ელჩის გრაფ დეზალორისადმი თავრიზში გაგზავნილი წერილი, სადაც აღნიშნულია: „საქართველოს მეფე, რომელიც ლამაზი სიტყვებით მოატყუეს ისპაჰანში დაპირებით, რომ მას დააბრუნებდნენ უკანვე თავის სამეფოში, ამჟამად სპარსელებს ჰყავთ იგი თავის ხელში და უკვე არ ფიქრობენ სიტყვაზე, რომელიც მას მისცეს. მე ვფიქრობ, რომ *მას არ შეუძლია ჰქონდეს იმედი სხვა ბედისა, ვიდრე ბედისა თავისი მამის, ძმის, ბიძების, რომლებიც სპარსელებმა თავიდან მოიშორეს საწამლავით ან ამოხოცვით*“[70].

1714 წლის 8 ივნისს თავრიზიდან გამოგზავნილი ფრანგი მისიონერის პიერ დ'ისუდენის წერილში ვახტანგის შესახებ ნათქვამია: „არ გააჩნიათ რა არავითარი მფარველობა, *ძლიერ საშიშია, რომ ისინი მას თავიდან არ მოიშორებენ*, იმიტომ რომ ეს ერთადერთია ამ ოჯახიდან, რომელსაც უნარი შესწევს წამოიწყოს რაიმე საქმე. აი, რატომაა, რომ სპარსელებს ეშინიათ, კვლავ დააბრუნონ ის თავის ქვეყანაში და უნდოდათ, რომ ის ჯერ გამაჰმადიანებულიყო, რაც ეწინააღმდეგება იმ პირობებს, რომლებიც მათ აღუთქვეს, როცა ისინი დაიპყრეს“[71].

ვახტანგის უმწეო და უსასოო მდგომარეობა გადმოცემულია „ქილილა და დამანასა“ და „კვინკლოსის“ ანდერძებში. პირველში ვკითხულობთ: „ჩემი ჰირი ქვას ჰქონებოდა, დაადნობდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა“. ლექსი:

„ღამესა ეარ უნათლოსა, მიეემსგავსე მე მას წოსა,
ალსა ეზიეარ ცეცხლისასა, სანამ გაქრეს, უნდა მწოსა“.

„კვინკლოსის“ ანდერძიდან:

„საწუთოსა საცთურითა, ეარ საქმისა უნაწილო,
მოყვარეთა ცრემლი სცვივა, მტერთა გავხე სასაცილო,
ჭაში ეზიეარ, უსაბლოსა არეინა მყავ ამაცილო...“ (2. 1—3)

[70] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი — 1714 წლის დეკემბერი), I, შესავალი, თარგმანი და განმარტებები დაურთო ი. ტაბაღუამ, თბ., 1975, გვ. 124.

[71] იქვე, გვ. 299.

ვახტანგის მძიმე ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას ადასტურებს სულხან-საბა ორბელიანი „ქილილა და დამანას“ ზემოთ დამოწმებულ ანდერძში, ხოლო 1714 წლის 25 მარტით დათარიღებულ სამახსოვრო ბარათში, რომელიც საფრანგეთის იმპერატორისადმი წარსადგენად მის სახელმწიფო მინისტრს გრაფ დე პონშარტრენს გადასცა, იგი ვახტანგს „უპედურ მეფეს“ უწოდებს[72].

რას უჩივის პოეტი, მისი მწუხარება რისგან ან ვისგან არის გამოწვეული?

უპირველესად ეს გამოწვეულია მისი ტყვეობით, რომ მოშორებულია თავის სახლ-კარს, ახლობლებს; დაკარგული აქვს ადრინდელი პრივილეგიები და უუფლებო მდგომარეობაშია. „სალბუნად გულისა“-ში გვამცნობს:

„დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი ტომნი, მონაძები,
დავკარგულვარ უცხოს თემსა, ვარ არვისგან მონაძები“. (3. 1—2)

„ქართლსა გაჰყროდეს, ისპაანს კაცს მიხდომოდეს ნობანი“. (26. 4)

„სიყრმითგან ჩემი მწირობა, კაცთაგან მოუგონარი“. (68. 2)

„მზეს ღრუბელი მოეფაროს, დააბინდებს, და-ცა-ჰფარავს,
ვარდი მზის შუქს რა ვერ ნახავს, ფერს წაართმევს, და-ცა-ჰქარავს;
აწ მე შევხედი ამგვარ დღესა, შესაწუხარს, შესაზარავს,
და ვერ ვეწიო საწადელსა, ვაი, სოფელი დღესა მპარავს!“ (69)

„მკვიდრი უმკვიდრო შევიქენ, სამყოფთგან გარე ვარდია“. (84. 3)

იგივეა ნათქვამი „ქილილა და დამანას“ ანდერძში: „...ამის მიზეზისათვის ტყვე მყვეს და შემდგომად ამისა ქირმანს წარმგზავნეს“. ლექსი:

„მეტყვიან ხვალმე, რასთვის გაქვს ჭირი, ჭმუნვა და წყინება?
ქუჩუქას[73] სახლსა ვსწუნობდი, როგორ ნუ მომეწყინება!
ახლა ქირმანსაც დამკარგეს, დამეიწყდა ამას წინება...“

„...მზე აღმოეიდა, მიადგა — ბარი იყო, თუ მთებია,
მაგრამ მე მისი მწვერვალი არსით არ მომნათებია,
და ამისთვის სევდა-ნაღველი გლახ გულსა გამერთებია“.

„... არავინ მიშვებს გარეგან მთათა და გინა მე ბართა;
არ ვგავარ არას საქმითა ვარდთა კოკობთა მკრებართა,
და რა უყო, გაბჭეთ, სამუდმოდ, სახმილსა მძაფრად მგზებართა“.

---

[72] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 183.

[73] „ქუჩუქა“, „ქუჩუქოვების“ შესახებ იხ.: ვ. დ ო ნ დ უ ა, საისტორიო ძიებანი, III, გვ. 131—132, 137.

თავის ნებაზე, რჯულის შეცვლაზე რომ ადვილად დაეყოლიებინა, ირანის ყაენმა ვახტანგი თავიდან პატივით მიიღო. ვერაგი და თვალთმაქცი შაჰ-ჰუსეინი და მისი მოხელეები შიგადაშიგ, გარემოებათა მიხედვით, მის მიმართ შემდეგაც იჩენდნენ ყურადღებასა და სითბოს, მაგრამ ამაყი და ჭკვიანი ქართველი მეფე კარგად გრძნობდა რეალურ ვითარებას, თავის უუფლებო, პატივაყრილ მდგომარეობას. „კვინკლოსის" ანდერძში იგი წერს: „ოდეს გარდავვემეტე ცოდვითა ტომსა მას ჩემსა მანასეს, ამისთვის მსგავსად მისა მივეცი მეცა ხელთა უცხო თესლთასა. ქრისტეს აქათ ჩღიბ (1712. — ბ. დ.), აპრილს კბ (24. — ბ. დ.) წამოველ ტფილისით და ივლის[ს] დ (4. — ბ. დ.) მოველ ისპაანს და აწ ვიმყოფები აქა. დ ა ღ ა ც ა თ უ პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ვ ა რ, ა რ ა მ ე დ მ წ ი რ ვ ა რ".

ანალოგიური აზრია გატარებული მის ლექსში „მეფის ნაბძანები შაირი", რომელიც „ქილილა და დამანას" ბოლოს ერთვის[74]. მისი შინაარსიდან ჩანს, იგი დაწერილია მას შემდეგ, რაც შაჰ-ჰუსეინმა შემორიგებისა და თავისი მიზნების შესასრულებლად ვახტანგი ისპაჰანში გამოიძახა და მოჩვენებითი ზარ-ზეიმით მიიღო:

„კვლავ მიხმეს ისევ ისპაანს, დამრჩა ეს შეუსრულები.
მომცეს პატივი მრავალი, ვა, თუ დავაბი სულები!
მან თავის ტოლად მადიდა, არ შემქმნა უფლისწულები..." (1. 1–3)

ვახტანგს ამჯერად ბევრი პატივი და დიდება მიაგეს, მაგრამ მისთვის დღესავით ნათელია, ყოველივე ეს დროებითი მანევრია ყაენისა. ამიტომაა, დამოწმებულ სტროფს იგი ასე ამთავრებს:

„წარმავალია ყველაი, ჟამი მიც გარდასულები".

პოეტს გაუნელებელ სევდასა და მწუხარებას ჰგვრის თავისი, როგორც მეფისა და პიროვნების, არასრულფასოვანი მდგომარეობა. ამავე ლექსში ნათქვამია:

„ჩემნო გულისშემტკივარნო, იწუხეთ და ჩემთვის ახეთ,
ჭირნი ჩემნი სხვათა ჭირთა მიამსგავსეთ, მიასახეთ;
სოფლის საქმეს ყური უგდეთ, ან იტირეთ, ანუ ვახეთ,
და აბედინას შეილის ამარ დაერჩომილვარ, აწ ეს ნახეთ!" (5)

---

[74] ვახტანგის ლექსებისა და პოემების გამოცემაში დაბეჭდილია სათაურით: „კვლავ მიხმეს ისევ ისპაანს" (1975 წ., გვ. 62).

ვახტანგს გულს უკლავს მწარე სინამდვილე და დიდ სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ისპაჰანს ჩავიდა და ყაენისაგან სიკეთეს მოელის. „სალბუნად გულისა“-ში ვკითხულობთ:

„რას ვაბრალებ საწუთოსა, ვამბობ: მიყო ამან ესო,
რაც მე შევსვი შესასმელი, ესე ხელსა ვისცა ესო?!
ვარდი მელვა ბაღსა ჩემსა, არ თუ სამე ნარი ესო,
და მე ა ღ მ ო ვ ფ ხ ვ ა რ, სხვას ვის ეძლო, მისთვის რამე ძირსა ესო?!“
(80)

„ვამიფრინდა სვისა ქორი, არ თუ არი ვანახადად,
ბედი, სვე და სპა და ჯარი, — ყველა მექნა ვანახადად;
ცრემლი მიმდის უფრო მისგან, რა სელი ქნან ვანახადად,
და მ წ ვ ე მ ი ჯ ო ბ დ ა ს ხ ვ ა გ ა ნ მ ე ვ ლ ო, განა დვალად, განა ხადად!“
(83)

„ვერ მოვიფარე საფარი, დამწვა, სხვებთანა მეცა და,
და რა მწვე მიჯობდა, სიბრძნითა თ ა ვ ი ს ხ ვ ა რ ი გ ა დ მ ე ც ა დ ა!“
(85. 3–4)

ამ სტრიქონებს ყურადღება მიაქცია ვ. დონდუამ და სამართლიანად განმარტა როგორც მეფე-პოეტის მსჯელობა საგარეო პოლიტიკის ახალი კურსის შესახებ. იგი წერს: „ქართლში შექმნილ სიტუაციაში ვახტანგს თავი სრულებით იზოლირებულად ჩაუთვლია. ასე დაბადებია მას სურვილი — მკაცრად შეეფასებინა თავისი მდგომარეობა, კარგად ჩაკვირვებოდა საგარეო პოლიტიკას, მის მიმართებას... მკითხველი იპყრს მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ჩანაფიქრს. მისგან ნახსენები დვალი (დვალეთი) და ხადა საქართველოს მთიანეთის ისტორიულად კარგად ცნობილი თემებია არაგვის ზედა წელზე (ხადა, ძველი მართლწერით, «ჴადა») და დიდი ლიახვის სათავეების, მამისონის გადასავლის გარემოში და მომიჯნავე მხარეში (დვალეთი). საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა ხელმძღვანელობას აქ ეგულებოდა თავისი ზურგი და საფარი...

ამ რთულ ურთიერთობას მთიანეთთან, ამ ურთიერთობისა და მისი სახელმწიფოებრივი ეფექტიანობის საკითხს, ძალზე ჩაუფიქრებია ისპაანს მჯდომი ვახტანგი, კრიტიკულად განუწყვია იგი იმ პოლიტიკური და სტრატეგიული გეგმა-საქმიანობისადმი, რომლის წარმატება და განხორციელება შეპირობებული იყო მთიანეთზე და, მაშასადამე, ადგილობრივ, ვიწრო ზურგზე დაყრდნობით“[75].

დასმულ საკითხს კიდევ უფრო ავრცობს და აზუსტებს 88-ე სტროფი. საიდანაც ირკვევა: სპარსეთში განცდილმა უბედურებამ, ახლოდან

---

[75] ვ. დ ო ნ დ უ ა, საისტორიო ძიებანი, III, გვ. 132—133.

დანახულმა სინამდვილემ ვახტანგი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ სხვა მიმართულებით, კერძოდ, რუსეთზე აეღო პოლიტიკური ორიენტაცია, რაც შემდეგ პრაქტიკულად განახორციელა კიდეც. აი, ეს სტროფიც:

„მეფეს არჩილსა სძრახეედენ, სხვას თემს რომ იყო მლელია,
იგ ანთებულსა სახლკარსა შეექნა დამანელია;
მეც მასვე მძრახვენ, აქ მოველ, მაშ, რა ვქნათ, რა საქნელია?
და მას ლომსა, ვეფხებრ კისკასსა, ჭკუა პქონია მთელია".

როგორც ვხედავთ, აქაც არის გამოთქმული წუხილი მეფე-პოეტისა, — რა გზას დაადგეს, ვის მიმართოს საშველად[76]. „ვახტანგისათვის ამ საგანზე წერა, — აგრძელებს მსჯელობას ვ. დონდუა, — ცხადია, კალმის უბრალო ვარჯიში არ იყო. ის ამ დროს წყვეტს რთულ პოლიტიკურ ნაბიჯებს და ამიტომ «რჩევას» თავის წინაპრებსაც ეკითხება. დასაყრდენის ძებნაში «გუშინ» გარდაცვლილი ბიძის არჩილის დიპლომატიის მაგალითზე ჩერდება, ბაძავს კიდეც მას, ამ მაგალითს თავის გასამართლებელ საბუთად და გამამხნევებელ პრეცენდენტად ისახავს" (გვ. 135).

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ლექსში გამოთქმულ არჩილისა და ვახტანგის მოქმედების მსგავსებაზე და კითხვას სვამს, — როგორ უნდა გავიგოთ იგი: „არჩილი თავის დროზე მოკავშირის თუ მფარველის შესაძენად ქართლიდან გარეთ გავიდა, რუსეთს შეაფარა თავი. აგერ თვითონ ვახტანგიც გარეთაა (ისპაანში), მძიმე საჭიროებით იძულებული — არჩილის მსგავსად თვითონაც აიტანოს მოწინააღმდეგეთა კრიტიკა... მაგრამ ამით ხომ არ შეზღუდულა მსგავსება ამ ორი მეფის საგარეო პოლიტიკის განვითარებისა! ვახტანგის სიტყვებია — «მეც მასვე მძრახვენ, აქ მოველ»... ისპაანსო! ეს როგორ უნდა გავიგოთ? განა ისე, თითქოს ვახტანგი ისპაანს, შაჰინშაჰის კარზე ეძიებდა მფარველ მოკავშირეს, ისე როგორც არჩილი — იმპერატორის კარზე?" (გვ. 135—136).

მეცნიერის დასკვნით, დამოწმებულ სტროფში ამ მსგავსებაზე არ შეიძლება საუბარი იყოს; რომ მასში იგულისხმება არჩილის მიერ რუ-

---

[76] ე. ლორთქიფანიძე ამ სტროფს თვლის ვახტანგისა და პეტრე პირველის 1722 წელს დადებული სამხედრო ხელშეკრულების გამოძახილად. „პეტრე პირველმა — წერს იგი, — მეფე ვახტანგს პირობა არ შეუსრულა და საქართველო ხელში შერჩა გაავთრებულ სპარსეთსა და ოსმალეთს. მეფე-პოეტი აღიარებს თავის შეცდომას და დაუფიქრებელი გადადგმული ნაბიჯის გამო როგორც თანამედროვეთა, ისე მომავალი თაობის წინაშე ბოდიშს იხდის" (ე. ლორთქიფანიძე, ვახტანგ მეექვსე და ქართული სტამბის მოღვაწენი, გვ. 18).

ამგვარი გაგება არასწორია, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „სალბუნად გულისა" ბევრად ადრე დაიწერა, ვიდრე აღნიშნული ხელშეკრულება დაიდებოდა, ხოლო ამ სტროფის ჩანართობა არსაიდან ჩანს.

სეთისაკენ აღებული გეზის მართებულობა: „არამც და არამც. — დაბეჯითებით აცხადებს ვ. დონდუა, — ჩვენ ვფიქრობთ, შაირსიტყვით შეზღუდულმა ვახტანგმა ლექსში უნებლიეთ შეკუმშა თავისი აზრი. როგორც ვიცით, ისპაანს მისი ჩასვლა (1712 წ.) სულ არ ჰგავდა არჩილის ნებისმიერ სტუმრობას მოსკოვის კარზე, სადაც არჩილი მართლაც ეძებდა მფარველს, მშველელს. ვახტანგი ირანის შაჰს ტყვედ ჰყავდა ისპაანში, ვით ურჩი ვალი საქართველოისა. აქ დიდი ხნითვე შექმნილ სიტუაციაში გამორიცხულია მფარველობითი კონსტიტუციის ძიების შესაძლებლობა. საქმე სხვაგვარად ისახება. ისპაანის საშიშ ტყვეობაში მჯდომი ვახტანგი, იყო რა საგარეო პოლიტიკის სწორი გადასინჯვის ზრუნვაში, უიარაღოდ აჯანყებული შაჰის მძლავრობის წინააღმდეგ, როგორც დავინახეთ ფიქრობს გამოიყენოს არჩილის გარეპოლიტიკური გამოცდილება. ჯერ იყო და, მან, არჩილის მაგალითზე აღიარა «სხვაგან» მოკავშირის ძებნის პრინციპული სისწორე. ამას დოკუმენტურად გამართლებული გაგრძელება უნდა მოჰყოლოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვახტანგი არჩილისაგან არჩეულ და გაკვალულ გზას უნდა დასდგომოდა. ეს მტკიცება თითქოს დღეს უსაგნო ჩანს, რადგანაც ვახტანგის მერმინდელი სავალი გზები ისედაც ხომ ცნობილია. მაინცდამაინც, 1720 წლიდან ასტრახანელი გუბერნატორი წარმართავდა მეფესთან მაშინ ერთხელ კიდევ წამოწყებულს რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობას. 1725 წელს ვახტანგი თვითონ გადასახლდა რუსეთს და ა. შ. მაგრამ წინამდებარე წერილის დანიშნულება სწორედ იმის წარმოჩენაში მდგომარეობს, რომ რუსეთის ორიენტაციის საკითხი[77] ვახტანგის წინაშე, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, წამოჭრილია უფრო ადრე, ვიდრე ამას გვაფიქრებინებს სხვა ცნობილი მასალები (წარმოშობით რუსული და სხვ.). წამოჭრილა მაშინ (1712—1714 წწ.), როდესაც ვახტანგი, გავიმეოროთ, ისპაანში მისცემოდა საკუთარ გარეპოლიტიკურ გეგმაზე ფიქრებს. ეტყობა, მოსკოვში არჩილის გარდაცვალების (1713 წ.) შესახებ ქართლში ახლად მოსულმა ცნობამ ერთბაშად მიაპყრობინა ვახტანგს ყურადღება იმავე მოსკოვისაკენ, აღუძრა რა სურვილი — უწყვეტლივ განეგრძო არჩილის მისია, — ბიძამისის, როგორც ვახტანგი დაჯერებული იყო, ეტყობა, «ჭკვიანური», საშვილიშვილო საქმე“ (გვ. 136).

ამ მსჯელობაში შეიძლება მართებული არ იყოს დაბეჯითებით მტკიცება იმისა, თუ რისთვის „სძრახევდენ“ არჩილსა და ვახტანგს: ორივე შემთხვევაში ერთსა და იმავეს ნიშნავს თუ განსხვავებული შინაარსი აქვს გამოთქმას — „სხვას თემს რომ იყო მლელია“. იგივე უნდა

---

[77] ავტორის შენიშვნაა: „და არა მხოლოდ კათოლიკური ევროპის, კერძოდ, საფრანგეთის საკითხი“.

ითქვას ვარაუდზე, რომ თითქოს არჩილის გარდაცვალების ამბავმა მიაპყრობინა ან გაამახვილებინა ვახტანგს რუსეთზე ყურადღება. სამაგიეროდ, „სალბუნად გულისა"-ს დამოწმებული ეპიზოდიდან აშკარად ჩანს ის მთავარი საკითხი, რომელიც ვ. დონდუამ გაშიფრა და წინ წამოსწია: ისპაჰანში ნანახი და განცდილი აიძულებს ვახტანგ მეფეს, ახალი პოლიტიკური გზები ეძიოს და იწონებს არჩილის კურსს, რომელიც რუსეთისაკენ მიემართება. ამის დამადასტურებელია სიტყვები: „მას ლომსა, ვეფხებრ კისკასსა, ჰკუა ჰქონია მთელია".

რადგან სიტყვამ მოიტანა, ბარემ იმასაც ვიტყვით, აქედან ისიც გარკვევით ჩანს, რარიგ უსაფუძვლოა მათი თვალსაზრისი, ვინც პეტრე პირველთან ვახტანგის დაკავშირება ნაჩქარევ, მოუფიქრებელ, განუსჯელ, განუკითხავ ნაბიჯად შეაფასა. ხოლო, მეორე მხრივ, რარიგ დამაჯერებელია ვ. დონდუას სიტყვები: „ჩვენ ვახტანგს ვუქებთ პოლიტიკურ სიდინჯეს..." (გვ. 134).

ამრიგად, „სალბუნად გულისა"-ში დიდი განცდებით, ჰოჰმანით, წუხილითა და ტკივილებით არის გადმოცემული ვახტანგის, როგორც მეფისა და სახელმწიფო მოღვაწის, პოლიტიკურ ორიენტაციაზე ფიქრები.

ვახტანგის უდიდეს გულისტკივილსა და სულით ობლობას იწვევს ქართლში შექმნილი სიტუაცია, რომ მის წინააღმდეგ ამხედრებულია მტერი და მოყვარე, რომ თანამემამულეებმა, ახლობლებმა უღალატეს, გალანძღეს, მრავალი ჭორი მოუგონეს, დააბეზღეს და სასიკვდილოთაც გაიმეტეს, ხოლო მისი ქონება დაიტაცეს. მანაც კი წამოყო თავი, რომელიც გულადობით არასოდეს გამოირჩეოდა; ხოლო, ვისი მოიმედეც იყო, ისინი კიდევ უფრო აქტიურობენ მის წინააღმდეგ:

„შეკრბენ ჩემზედა თვისტომნი, საყოლთაც მომიძულესა,
ვინც მხევალთაგან შიშობდენ, მანც ჩემზე კბილი ილესა;
გამომიმეტეს საკვდავად, რაც მქონდა, განიწილესა;
და ვის ვიმედობდი, მათ უფრო გამკიცხეს, გა-ცა-მკილესა". (71)

„სულ გამიმტერდენ მოყვასნი, აწ, მითხართ, კარგი ვინ არე?" (78. 3)

„ვჩივი, თუცა არვინ მისმენს, რა ვქნა, თავი მებრალება,
ვერა ვირგე, მომეწყინა ესოდენი მე ბრალება..." (92. 3–4)

ისინი, ვინც ასე უმოწყალოდ მოეპყრნენ, მისი ხელქვეითები, ამხანაგები, ძმები და ნათესავები არიან, რომელთა მიმართ მას დიდი ამაგი, „წყალობა", „სიკეთე", „სამსახური" მიუძღვის:

„ყმაზე წამიხდა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები,
ამხანაგთზედა სიკეთე, სხვათაგან შესაშურები,
ძმათა და თვისთა მოყვსობა, რა ჩემგან მოსასურები;
და განმაძეს ასე უბრალოდ თვალთ ცრემლთა მომაწურები". (77)

მეფე-პოეტი, რომელიც მტერთა რისხვა იყო, გულწრფელი სიყვარულითა და ერთგულებით ეპყრობოდა თავის ხალხს, „მოყვასთ“; ერთნაირი პატივისცემით ეკიდებოდა სასულიერო და საერო საქმეებს. მათ კი უმიზეზოდ გაწირეს იგი:

„ვიყავ მოყესისა სიმაღლე, მტერთა დამცემი, მხარავი,
ყმათ პატივისა მდებელი, მიმცემი, მიწყივ მხარავი,
სამღთოც ეიცოდი, საეროც, მექმენ აწ ზურგი მხარა-ეი,
და დაუნაშაელად შემექნენ უწყალოდ ძელისა მხარავი“. (70)

თავისიანთა საქციელზე პოეტს მწარედ აგონდება იგავი, — ცაში მოლივლივე ორბს სასიკვდილოდ სწორედ მისი ფრთის საშუალებით რომ მისწვდნენ:

„თქვა: «ჩემთაგანვე მომედვა ცეცხლი უშრეტი, მგზებარე»“. (72. 4)

თუ ვახტანგი განუხრელად იცავდა ქრისტიანულ პრინციპს მოყვასის სიყვარულის შესახებ, მისმა „მოყვსებმა“ დაივიწყეს მოციქულთა ეს შეგონება; არად ჩააგდეს არც „რჯულით ძმობა“ და არც ის, რომ საკუთარ მეფესთან ჰქონდათ საქმე:

„არ ისმინეს მოციქულთა, თორმეტი ხმობს, გინა ათი.
ვისცა ძმა სძულს, სიყვარული ღ[მ]თისა მწაშდეს მათგან რათი?
მოყვარე ვართ, რჯულით ძმანი, ერთხელ ვიყავ მეფეც მათი,
და არცა ერთსა არ მიხედეს, გამიკეთეს უცხო ხლათი“. (75)

სწავლულ მეფეს ვერ აუხსნია, რას ერჩიან, რა დანაშაული მიუძღვის მათ წინაშე. ადრე ყველა ერთგულებას ეფიცებოდა, რაიმე წყენა არავის გამოუმჟღავნებია:

„მათ უგბილთ და უმეცართა რათ მომიდვეს ცეცხლის ალი,
რა ვაწყინე ასე ძნელი, რა მიადგათ ვისგან ძალი?
ყველა ფიცით მპირდებოდენ, არვინ მყვანდა შემომწყრალი;
და ეს არ ვიცი, რა შევცოდე, შემქნეს ასე შეუწყალი!“ (73)

მწერალი გაოცებითა და გულდაწყვეტით აღნიშნავს თავისიანთა ვერაგობას, მათ მორალურ გახრწნასა და გადაგვარებას. როცა თვითონ ქრისტიანობისათვის, მამაპაპური რჯულისათვის ყველაფერს თმობს, თავს განსაცდელში იგდებს, ისინი, ერი და ბერიც, ივიწყებენ ღვთის ცნებას, უმოწყალოდ სწირავენ თავიანთ ერთგულ მეფეს, მის ცოლშვილს დასატყვევებლად დაეძებენ, ქონებას უნადგურებენ; უცხოე-

ლები, მილთონები[78], მეფედ ცნობენ და შესაბამისი პატივით ეპყრობიან, თავისი ხალხი კი მის გაქრობას ცდილობს:

„ერთა ღმერთი არ იწამეს, ბერთა რჯული შეურაცხყვეს,
არას კერპსა არ უქნია, ჩემ საქმეზე იმათ რაც ყვეს;
მოლა ღმერთსა მახვეწებდა, ჩემთა მკვლელთა ბერნი დაყვეს,
და ჩემს ცოლშვილთა ტყვედ ემებდენ, საქონელი იავარყვეს.

თუცა ეიყავ ამათს რჯულზე, მაშ ესენი რას მტერობდენ?
თუ ქრისტესთვის თავი დავსდევ, მაშ, ისინი რათ მაქრობდენ?
უცხო არის ჩემი საქმე, საარაკო, თუ ფიქრობდენ.
და მილთონთა ესჩან მეფედ მათად, თვის ტომსა სწადს, რომ მაქრობდენ“.

(93–94)

თავისიანების ორგულობასა და ღალატზე ვახტანგი ლაპარაკობს აგრეთვე „ქილილა და დამანასა“ და „კვინკლოსის“ ანდერძებში. პირველში წერია: „არა თუ ჩემის რისმე დანაშაულისათვის, არამედ სული უმჯობოა საზრდელისა და გვამი — სამოსლისა, ამისთვის მომიძულეს მე უსამართლოდ. და შემდგომად ამისსა, თავისთაცა ჩემთა, ნაცვლად კეთილისა, მომაგეს ბოროტი და აღმიდგეს შურად და ამის მიზეზისათვის ტყვე მყვეს...“

„კვინკლოსის“ ანდერძი: „...უქმობისა წამლად იტყვის მოციქული: «შეეწეოდეთ ურთიერთსა!». თუცა ხმისა მის მსმენელნი ჩემთვის თემთა და ძმათა ჩემთაგანი არავინ არს დაგანგდებულ ვიქმენ, ვითარცა მკვდარ მოძაგებული მათგან“.

---

[78] „მილთონები“ ვ. ლონდუას ესმის როგორც „არაქრისტიანები“. იგი განმარტავს: „ესე იგი არაქრისტიანები (უთუოდ იგულისხმებიან სამეფოს მუსლიმი მოსახლეები) მეფედ მცნობენ, ჩემიანებმა კი გამწირესო. მილთონი სომხურშიც ჩანს გამოყენებული (სომხ. მლთონ) ბარბაროსის, ურჯულოს მნიშვნელობით. ირანში და თურქისტანში «ინდური» სიტყვა მულთან «ინდოელების» აღმნიშვნელია“ (საისტორიო ძიებანი, III, გვ. 87. შდრ. ი. გრიშაშვილის შედგენილი ლექსიკონი, რომელიც ახლავს საიათნოვას ლექსების მისეულ გამოცემას (თბ., 1918, გვ. 130).

ამგვარი ახსნა კონტექსტს ნაკლებ შეესაბამება. საყურადღებოა „კალმასობაში“ მოცემული ცნობები: „თომაიანნი არიან უმეტეს ინდოეთსა შინა მილთონებად წოდებულნი და სწამთ მათ, უმეტეს ყოველთა, თომა მოციქული...“ (კალმასობა, თხზ. იოანე ბატონიშვილისა. დიმიტრი ბაქრაძის წინასიტყვაობით, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, ტფ.. 1895, გვ. 58. ბოლო 1938 წლის გამოცემაში ეს ადგილი გამოტოვებულია).

სხვანაირად განმარტავს თ. ნატროშვილი. მისი აზრით, „მილთონი“ ინგლისური წარმოშობის გვარი უნდა იყოს, რომლის სავაჭრო კომპანიას მე-18 საუკუნეში ფეხი ჰქონდა მოკიდებული როგორც საქართველოში, ისე ირანში (მაშრიყით მაღრიბამდე, გვ. 338—339).

ამ ნაწარმოებებში და სხვაგანაც მწერალი კონკრეტულად არაფერს ამბობს, თუ ვინ რა ჩაიდინა. მაგრამ სხვა, სპეციალისტებისათვის კარგად ცნობილი წყაროებიდან ირკვევა, რომ პოეტის წუხილი და ჩივილი არ არის უსაფუძვლო და სიმართლეს მოკლებული. ამ მხრივ საკმარისია ის ცნობები, რომლებიც ვახტანგის ძმების საქციელთა შესახებ მოგვეპოვება.

ვახტანგისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ ხშირად გამოდის ქართლის სამეფო ტახტის მაძიებელი მისი მესამე ძმა (დედით სხვა) იესე, ირანის ყაენისაგან ალი ყული-ხანად წოდებული[79]. იგი, რომელმაც 1709 წელს შაჰ-ჰუსეინისაგან ქირმანის ბეგლარბეგობა (გენერალ-გუბერნატორობა), ხოლო 1710 წელს თოფჩიბაშობა[80] (არტილერიის სარდლობა) მიიღო, ვახტანგის სპარსეთში ყოფნისას, 1714—1716 წლებში ქართლის მეფე ხდება[81].

იესე ვახტანგს ყაენთან აბეზღებს ყურანის დაწვისა და ქართლში მაჰმადიანთა შევიწროების თაობაზე და აღადგენინებს ვახტანგის მიერ გადაყენებულ თბილისის მეციხოვნეებს, რომლებიც სპარსელებისაგან შედგებოდა[82]. ვახუშტი მოგვითხრობს: „ხოლო იესემ აღუდგინა ვახტანგს, ძმასა თჳსსა, ტფილისის გუშაგნი, რომელი იყო თოფჩიბაში, და შეასმენდენ ყეენსა დაწვითა ყორანისათა და სხჳთა მრავლითა უჯეროთა მაჰმადიანთა ზედა“ (გვ. 492).

არადა, თბილისის დამცველ-ყიზილბაშთა შეცვლა და სხვა საქმეები, რომლებსაც დასმენისათვის იყენებს იესე, ვახტანგის ის უმნიშვნელოვანესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღონისძიებანია, სწავლულმა მეფემ ქართლის გამგებლად ყოფნისას რომ გაატარა. ვახუშტი გადმოგვცემს: როდესაც ვახტანგმა ხსენებული თანამდებობა მიიღო, „მოშალა ტყუს ყიდვა, დაამდაბლნა თათარნი, და უმეტეს ტფილისს ციხის მცველნი, აღამაღლნა ქართველნი“ (გვ. 482).

ყოველივე ეს დიდი ბრძოლების ფასად იყო მოპოვებული. იგივე ვახუშტი გადმოგვცემს: „არამედ, ვინაითგან დაამდაბლნა მცველნი ტფილისისანი თათარნი, განდგნენ და დაკშნეს კარნი ციხისა და იწყეს სროლა თოფ-ზარბაზნითა. ესე აცნობა ყეენს ვახტანგ, განრისხნა ყეენი, წარმოავლინა მტარვალნი, მოვიდა და ჰელხუნდოსანნი მოართუნა ყოველნი ვახტანგს. მერმე წარიყვანეს ის-

---

[79] იესესა და მისი შთამომავლობის შესახებ იხ.: მ. ქავთარია, ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია..., მრავალთავი, V, გვ. 214—224.

[80] სეხნია ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 325—326.

[81] ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 493—494.

[82] ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, III, გვ. 82.

პაანს და პატიმარ ჰყვნეს ალამუტის ციხესა შინა. ამისთჳს არღარა იყო ტყუს-ყიდვა“ (გვ. 486).

1714 წლის 20 თებერვალს სპარსეთიდან გაგზავნილ ბარათში, რომელიც იტალიურ ენაზეა დაწერილი, ვახტანგი ევროპაში მყოფ სულხან-საბა ორბელიანს სწერს: „მე ვერ ვბედავ რაიმე დავწერო საკუთარი ხელით, ჩემი ძმის, არტილერიის გენერლის იესეს შიშით, რომელიც, როგორც დემონი, არამეგობარი და მეამბოხე, თავს დამტრიალებს, რათა შთანმთქოს. ასე რომ, თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი შეიტყოთ, როცა თქვენი ძველი მეგობარი ჯუზეპე ჩავა საფრანგეთში, რომელიც, ვიმედოვნებ, გაემგზავრება ამ მარხვის პირველი კვირის შემდეგ. და თუმცა ჩემთვის ძნელია ის გა[ვ]უშვა, რამდენადაც ის ერთადერთია, რომელიც ყოველდღე მოდის ჩემს სანუგეშებლად, მაგრამ არ შემიძლია სხვანაირად მოვიქცე, რათა თავიდან ავიცდინო საკუთარი ხელით წერა“[83].

მტრების შიშით რომ ვახტანგი კონსპირაციას მიმართავს და თავისი ხელით ბარათების წერასაც ერიდება, ამას რამდენჯერმე საგანგებოდ და ხაზგასმით აღნიშნავს ისპაანში მყოფი კაპუჩინი ბერი ჟან ბატისტ დე მონმორო. 1714 წლის 19 თებერვლით დათარიღებულ მის ერთ წერილში ნათქვამია: „წერილები, რომლებიც თქვენმა აღმატებულებამ გამოუგზავნა მის უმაღლესობას საქართველოს მეფეს (ვახტანგ მეექვსეს. — ბ. დ.), მას ჩაბარდა საკუთარ ხელში ამა თვის 14-ში და მას შემდეგ, რაც მას წაეკითხა წერილი, რომელიც წარსულ 28 ნოემბერს მას თქვენმა აღმატებულებამ მისწერა, მან მიბრძანა ამაზე პასუხი დამეწერა იმავე ენაზე. სიფრთხილე, რომელიც მე დამავალა, რომ გამომეჩინა მის მიწერ-მოწერაში, არის იმის მიზეზი, რომ თვითონ არ სწერს თქვენს აღმატებულებას, რომ ის არ აწერს ხელს წერილს, რომელსაც მიიღებს თავისი წერილის პასუხად. ამიტომაცაა, რომ მან განიზრახა რამდენიმე დღეში გაეგზავნა თქვენს აღმატებულებასთან ფრანგი პატიოსანი ადამიანი, რომელიც გაცნობებთ თქვენ თავის მოსაზრებას ისე, რომ

---

[83] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 163—164.

მ. თამარაშვილი რამდენადმე განსხვავებული რედაქციის ტექსტს იძლევა: „ვერ ვბედავ და ჩემის ხელით ვერაფერსა გწერ, რადგან მეშინია ჩემის ძმის, არტილერიის გენერლის იესესი, რომელიც როგორც მუდამ განდგომილი მტერი და ეშმაკი, ისე დამტრიალებს გარს, რათა ჩამნთქას...“ (ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 317).

არ ჰქონდეს შიში, რომ მისი წერილები ვინმეს ხელში ჩაუვარდეს"[84].

ამავე დღეს კონსტანტინეპოლში საფრანგეთის ელჩის დეზალორისათვის გაგზავნილ ბარათში წერია: „...მისმა უმაღლესობამ (ვახტანგ მეექვსემ. — ბ. დ.) მიბრძანა ამაზე მეპასუხა ჩვენს ენაზე, იმის შიშით, რომ იმ შემთხვევაში, თუ იგი მის ენაზე დაწერილი ხელში ჩაუვარდებოდა მის მტრებს, მას არ შეეტანა რაიმე აღრევა მის საქმეებში...

თქვენი აღმატებულებისათვის ცნობილი იქნება იტალიურად დაწერილი იმ წერილის წაკითხვიდან, რომელსაც თქვენ ნახავთ დაბეჭდილ პაკეტში, რამდენ სიფრთხილეს იჩენს მისი უმაღლესობა, რათა მის მტრებს არ მოუხდეთ წაკითხვა მისი ქცევის შესახებ, რათა არ მოუწყონ მას ცუდი საქმე და ამის თავიდან ასაცილებლად მისი უმაღლესობა იმედოვნებს თქვენ გამოგიგზავნოთ აღდგომის შემდეგ ის პიროვნება, რომელმაც დაწერა იტალიურად ეს წერილი, რომელიც პირადად მოგახსენებთ თქვენ მის განზრახვაზე, იმის შიშის გარეშე, რომ მის წერილებს ვინმე ჩაიგდებს ხელში" (იქვე, გვ. 160).

ზემორე დამოწმებული ვახტანგის წერილიდან ჩანს, აქ ნახსენები მტრებიდან უპირველესი იესეა.

ვახუშტის ცნობით, იესე ახალ-ახალ მუხანათურ საქმეებს სჩადის ვახტანგის და მისი ოჯახის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ საქართველოში წამოსვლის წინ ყაენს ჰპირდება, სპარსეთში სამუდამოდ დასატოვებლად გაუგზავნის მის ცოლ-შვილს. ვახუშტის სიტყვებია: „არამედ ომარათაგან იძულებულმან (ყაენმა. — ბ. დ.) წარმოავლინა იესე მეფედ ქართლისად ნიჭითა, ვინაჲთგან აღუთქუა იესეს ყეენისათჳს წარვლინებად დედოფალი და ძენი ვახტანგისნი და ხუთასნი ქართველნი ცოლ-შვილით, რათა დაასახლოს ფარაბათს" (გვ. 493). ამიტომ იყო, რუსუდანმა როგორც კი გაიგო იესეს მეფედ დანიშვნის ამბავი, შვილებითურთ უმალვე გაეცალა ქართლს.

იესე თავისას არ იშლის: ყაენს სთხოვს, ვახტანგი ისპაანიდან, დედაქალაქიდან, პროვინციაში გადაასახლოს. თვითონ კი თავის სამეფოში გარყვნილ, აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევა. ვახუშტი გვიამბობს: „და იყო ესე (იესე — ბ. დ.) ფრიად მიქცეულ მაჰმადიანობასა ზედა და მქცევი მათებრ, მდიდარი და ამაყი. ხოლო დედოფალი და ძენი ვახტანგისნი წარვიდენ რაჭას და გამოუტევეს კათალიკოზი დომენტი. მოსრულსა იესემ პატივ-სცა და დაადგინა კუა-

---

[84] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 157—158.

ლად კათალიკოზად. შემდგომად მიუწერა იესემ ყეენსა: «უკეთუ არს წინაშე შენსა ვახტანგ. ვერა ვჰყოფ ბრძანებულსა. არამედ წარავლინე პატიმრად». შეუძნდა ყეენსა, რამეთუ უყუარდა ფრიად. მერმე მოუწერა ვახტანგს ტკბილად: «წარვედ პატივით ქირმანს, ვფუცავ, რამეთუ მსწრაფლ გამოგიყვანო კუალად, პატივს-გცე და მოგანიჭო მრავალი». და წარვიდა დიდითა პატივითა, ვითარცა პატრონი მათი[85]. ხოლო იესე იყო მშუებელი და განმცხრომელი უწესობითა ყრმათა თანა და უგვანთა მღერათა. გარნა მქცევი დიდებულად წაგვარა ცოლი დედის ბიძასა თჳსსა ქაიხოსრო ამირეჯიბს, ბებიის ძმისწული თჳსი, ასული ერასტისა, და შეირთო თჳთ ცოლად. ამხილეს კათალიკოზ-ეპისკოპოსთა და უმეტეს იოანე სააკაძემ, გარეჯის ბერთუბნის მამამან, კაცმან ღირსმან. არამედ მან არ უსმინა მეტყუელმან: «ვარ მაჰმადიან, ესრეთ ჯერ არს ჩემდა»" (გვ. 494).

ბუნებრივია, ეს ამბებიც გულს უკლავდა და მოსვენებას უკარგავდა თავისი ქვეყნისა და ხალხისადმი თავდადებულ ვახტანგს.

1715 წლის 30 ივლისს იესეს მეფობის შესახებ პროპაგანდა სულხანსაბას საპასუხოდ კონსტანტინეპოლში ატყობინებს: „ეგრეთვე პაპი და კარდინალები ძლიერ შეწუხდენ, როცა გაიგეს. რომ საქართველოს მეფის ვახტანგის ძმას მთავრობა ხელში ჩაუგდია და ამით ვახტანგის საქმე აურ-დაურევია: გარნა იმედია, რომ სპარსეთის მეფის წინაშე უქრისტიანესი ხელმწიფის გავლენიანი შუამდგომლობით, გარემოება შეიცვალოს და ეგ ქვეყანა ჩაჰბარდეს თავის კანონიერ მთავარს"[86].

იესე შემდეგაც ამხედრებულა ვახტანგის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ამბები ჩვენს საკითხს შორდება და მათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ[87].

სპარსეთში ვახტანგის ექსორიობის დროს მის წინააღმდეგ გამოსულა მეოთხე ძმაც სვიმონი (1683—1740), რომელიც იესესავით ნახევარძმა იყო[88].

თავიდან სვიმონი ვახტანგის მხარდამჭერი იყო. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მეოთხე წიგნში აღნიშნულია: „ვახტანგის ირანში ყოფნის დროს ქართლში მძლავრი ბრძოლა გაჩაღდა ორ დაჯგუფებას შორის. ქართული არისტოკრატიის მოწინავე ნაწილს, რომელიც პოლიტიკურ-კულტურულ ასპარეზზე ვახტანგის ეროვნულ პოლიტიკას

[85] სინამდვილეში რა სიყვარულითა და პატივისცემით იყო ვახტანგი გარემოსილი, ეს მისი ლექსებიდან კარგად ჩანს!

[86] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 333.

[87] იესე გარდაიცვალა 1727 წელს (ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 510).

[88] სვიმონის შესახებ იხ.: ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, I, გვ. 146—191; მ. ქავთარია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 213—214.

მისდევდა. სათავეში ედგა ვახტანგის უმცროსი ძმა სიმონ ლევანის ძე. იგი, როგორც ჩანს, იზიარებდა ვახტანგის პოლიტიკურ პროგრამას. ამით აიხსნება, რომ ვახტანგმა სწორედ სიმონი დატოვა ქართლის გამგებლად (1712—1714)" (გვ. 404).

მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართლის ჯანიშინის საქმეები ირანში გართულდა და აიწეწა, „ამ მომენტში ვახტანგს სიმონიც განუდგა" (იქვე, გვ. 404—405). მან კავშირი გააბა ვახტანგისადმი მტრულად განწყობილ დიდებულებთან, მათ შორის არაგვისა და ქსნის ერისთავებთან — გიორგისა და დათუნასთან. გიორგი ერისთავს პოლიტიკური მიზნით დაუნათესავდა კიდეც: 1712 წლის ბოლოს ცოლად შეირთო მისი ძის, ბარძიმის, ასული, რომელიც ადრე თავისი უფროსი ძმის, ქაიხოსროს, საცოლედ იყო დანიშნული. ვახუშტი ბაგრატიონი იუწყება: **„ხოლო სჳმონ მასვე ქორონიკონსა მოიყვანა დაწინდული ქაიხოსროსი ასული ბარძიმისა ცოლად და იქორწინა, მომტკიცებისათჳს გიორგი ერისთავისა, და ი წ ყ ე ს ქ უ ე გ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა დ ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა"** (გვ. 492).

არაგვისა და ქსნის ერისთავები უკმაყოფილონი იყვნენ ვახტანგის საშინაო პოლიტიკით, რომელიც ფეოდალური პარტიკულარიზმის ალაგმვასა და მეფის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას ეფუძნებოდა. შიშობდნენ, ვახტანგი ისე არ მოპყრობოდა მათ მამულებს, როგორც მათივე მოსაზღვრე სამფლობელოებს მოექცა: 1707 და 1711 წელს ორჯერ დალაშქრა ოსეთი და შემოიმტკიცა ეს მხარე. ამიტომ იყო, როდესაც ყაენმა იესეს საჩივართან დაკავშირებით საქართველოში საქმის გამოსარკვევად ხოლოფა გამოგზავნა, სვიმონი მხარში ამოუდგა არაგვისა და ქსნის ერისთავებსა და სხვა ოპოზიციონერებს, რომლებმაც ქართლის სამეფო ტახტიდან ვახტანგის გადაყენება და მის ადგილას იესეს დასმა მოითხოვეს. ვახუშტი გვიამბობს: **„ამისთჳს მოგზავნა ყეენმან ხოლოფა ტფილისს, რათა ხოლოფას, უკეთუ იცეს ჟამი, თჳთ დაიპყრას ქართლი და სჳმონ მუნ წარავლინოს. მოსრულის ხ ო ლ ო ფ ა ს თ ა ნ ა შ ე ი ზ რ ა ხ ნ ე ს ს ჳ მ ო ნ და მ თ ა ვ ა რ ნ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა ნ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ბ ო რ ო ტ ს ა ზ ე დ ა, რამეთუ, რაჟამს დაიპყრა ვახტანგ ოსეთი და განიწყო მცველნი თჳსნი, მიერით ეშინოდათ გიორგის და დათუნას ერისთავთა მამულთა მათთა დაპყრობისა. ა მ ი ს თ ჳ ს მ ი უ წ ე რ ე ს ყ ე ე ნ ს ა: «ა რ ა გ ვ ნ ე ბ ა ვ ს ვ ა ხ ტ ა ნ გ, ა რ ა მ ე დ მ ო გ ვ ი ვ ლ ი ნ ე ი ე ს ე»"** (გვ. 492—493).

ვახუშტის ცნობები ვახტანგის მიმართ სვიმონის მტრული მოქმედების თაობაზე საეჭვოდ ესახება სვიმონზე საგანგებო გამოკვლევის ავტორს ვ. დონდუას. მაგრამ სანამ ამას შევეხებოდეთ, მანამ განვიხილოთ დომენტი კათალიკოსის ანალოგიური ქმედება, რომელსაც უკავშირდება ეს საკითხი.

ირანში ვახტანგის შეპყრობის ჟამს მის წინააღმდეგ გამოსულა და ქართლის სამეფო ტახტზე ასვლა მოუნდომებია აგრეთვე მის ღვიძლ ძმას, ქართლის კათალიკოსს დომენტის, რომელიც ქართლის ეკლესიის საჭეთმპყრობელად თვით ვახტანგმა დანიშნა (1705 წ.) და რომელიც საქვეყნო საქმეების მოგვარებაში წლების განმავლობაში აქტიურად ედგა გვერდში თავის ძმას.

ქართულ წყაროებში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ზოგიერთი ცნობა კი ყურადღებას იპყრობს. ვახუშტი ბაგრატიონის ბოლოს დამოწმებული ტექსტი ასე გრძელდება: „ეჰა უცხო, რამეთუ ქრისტესთჳს იძულებულისა ვახტანგისათჳს ნება-მოწმობა სცეს კათალიკოზმან, ეპისკოპოსთა და სამღუდელოთამან. ხოლო ამისა მყოფელთა განკიცხეს ხოლოფა და წარივლტოდა ისპაანსვე".

ამ ტექსტს საგანგებოდ განიხილავს ვ. დონდუა და უარყოფს მის ადრინდელ ინტერპრეტაციებს[89], რომლებიც პ. იოსელიანსა და მ. ბროსეს ეკუთვნით. პ.იოსელიანი, რომელიც წყაროს არ ასახელებს, მაგრამ ჩანს, ვახუშტის თხზულების ამ ადგილს ეყრდნობა, თვლის, რომ „კათალიკოსი, ეპისკოპოსები და მთელი სასულიერო დასი გამოექომაგნენ ვახტანგს"[90].

მ. ბროსე პირუკუ თარგმნის: დასახელებულმა პირებმა „თავიანთი ხმა და თავიანთი მოწმობა მისცეს ქრისტესთვის დევნილი ვახტანგის წინააღმდეგ"[91], ვ. დონდუა, რომელიც ადრე მ. ბროსესეულ გაგებას იზიარებდა[92], შემდეგ ორივე თვალსაზრისი უარყო და ახალი წარმოადგინა. მისი აზრით, ტექსტში ქართლის სამღვდელოების მიერ ვახტანგისადმი რჯულის შეცვლის ნებართვაზეა ლაპარაკი. „ამ წინადადებაში — წერს მკვლევარი, — ვახუშტიმ, მისთვის დამახასიათებელი სტილით და ლაკონიურობით, ცხადია, გამოხატა ასეთი აზრი: სასულიერო კრებამ შაჰს დასტური მისცა არჩევანი შეეჩერებინა ვახტანგზე (იგი ეცნო ვალად და მეფედ და არა რომელიმე მისი მეტოქე) მისი გამუსლიმების პირობის დაცვით. გაემეფებინა ვახტანგი არა როგორც, ასე ვთქვათ, თავის ნებაზე მავალი, არამედ — როგორც «ქრისტესთვის აიძულებული», როგორც პირი, რომელსაც აიძულებდნენ ქრისტეს მიმართ, უნდა თუ არა, მისთვის მიუღებელი პოზიცია დაეჭირა.

---

[89] საისტორიო ძიებანი, III, გვ. 83—85.

[90] დამოწმებულია ნაშრომი: П. Иоселиани, Исторический взгляд на состояние Грузии под властию царей магометан, Тифлис, 1849, с. 70.

[91] დამოწმებულია მ. ბროსეს მიერ ფრანგულად ნათარგმნი ვახუშტის ნაშრომი, რომელიც მოთავსებულია „ქართლის ცხოვრების" მისეული ფრანგული თარგმანის მე-2 ტომში (1856 წ., გვ. 110—111).

[92] საისტორიო ძიებანი, I, გვ. 155, შენიშვნა 30; III, გვ. 84, შენიშვნა 199.

აი, რას უნდა გამოეწვია ვახუშტის შეძახილი: «ეჰა უცხო». მომხდარი ფაქტი, თვით კათალიკოსის (ვახტანგის ძმის დომენტის) და სამღვდელო კრებულის მიერ გაცემული «ნება-მოწმობა» — არა უშავს, ვახტანგმა, თუნდაც «აიძულებულმა», შუბლზე მირონი მოიწმინდოს და «მოჰმედს» შეუერთდეს, ის მაინც ჩვენთვის სასურველი მეფე იქნებაო — ასეთი თანხმობა მართლაც საარაკო ამბად უნდა დასახოდა ყოველს კომპრომისის ვერშემწყნარებელს, პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, «ჭეშმარიტ კაცს და ნამდვილ ქრისტიანს» (ვ. რუხაძე)" (გვ. 85).

ვ. დონდუამ ამგვარი ახსნა ადრეც წარმოადგინა, როცა მ. ბროსესეულ გაგებას იზიარებდა. „მთელს ამ ორომტრიალში — წერდა მკვლევარი, — ვახტანგის ერთგულთა წრეებში უმეტესი შთაბეჭდილება მოუხდენია დომენტისა და ერთობლივ სამღვდელოთა მოულოდნელ პოლიტიკურ გამოსვლას. ეს შთაბეჭდილება ვახუშტის გადმოცემული აქვს ლაკონიკური ენით: «ეჰა უცხო, — რიტორიკული მანერით შენიშნავს ისტორიკოსი, — რამეთუ ქრისტესთჳს აიძულებულისა ვახტანგისათჳს ნება-მოწმობა სცეს კათალიკოზმან, ეპისკოპოსთა და სამღუდელოთამან». ესე იგი «ქრისტეს მხედრობამ» სწორედ ქრისტეს სარწმუნოებისათვის სპარსეთში სულიერად გვემული, ვახუშტის გამოთქმით, «აიძულებული» მოღვაწე არ დაინდო, უგულებელყო რა მისი მრწამსი: ეკლესიის მესვეურებმა კვერი დაუკრეს, «ნება-მოწმობა სცეს» ყიზილბაშებს, არა უშავს, მეფობა სურს, და გათათრდესო, კეთილი ინებოს და კომპრომისს დაადგესო"[93].

ორივე გამოკვლევაში ამ ფაქტს უკავშირებს მკვლევარი ვახტანგის მიერ სამღვდელოებისადმი გამოთქმულ საყვედურს, რომელიც „სალბუნად გულისა"-შია მოცემული: „ვახუშტის სწორედ ეს აკვირვებს («ეჰა უცხო»), — აგრძელებს ვ. დონდუა მსჯელობას, — რომ კათალიკოზი არსებითად გადაემიჯნა ქრისტიან მეფეს. მართალია, გაუპიროვნებლად, მაგრამ, როგორც ეს უკვე აღინიშნა ლიტერატურაში, უთუოდ დომენტისა და მის სამღვდელოებას გულისხმობს თვით მეფე ვახტანგიც, როდესაც ის მწარე საყვედურითა და გმობით მოიხსენიებს თავის ავტობიოგრაფიულ ლექსში, კერძოდ, «ბერთა» მიერ მისდამი გაწეულ მუხანათობასა და «რჯულის შეურაცხყოფას», «ქრისტესთვის თავდადებული» მეფის «გაქრობის» განზრახვას, როდესაც ვახტანგი ნიშანდობლივად აღნიშნავს საკუთარი ხვედრის «უცხოობასა» და «საარაკობას» და ა. შ."[94]

---

[93] საისტორიო ძიებანი, I, გვ. 154—155.

[94] იქვე, გვ. 155.

იგივეა გამეორებული შემდეგდროინდელ გამოკვლევაშიაც: „ყველაფერი ეს გასაგებს ხდის ვახუშტის უკმაყოფილებას, მისგან გამოხატულს წმინდა კრებულის მიმართ. ახლა ისიც გასაგებია, თუ რამ გამოიწვია ვახტანგის მწარე საყვედური იმავე სამღვდელოებისადმი, რომელიც მან გამოთქვა თავის ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსში. ეს არის ლიტერატურაში დღეს კარგად ცნობილი ლექსი — «სალბუნად გულისა»"[95].

ვახუშტი ბაგრატიონის საძიებელი ტექსტი ამგვარადვე ესმის სხვებსაც. გ. პაიჭაძე წერს: „ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაება დომენტი კათალიკოსიც. როგორც ჩანს, მისი ინიციატივით მოწვეული იყო საეკლესიო კრება, რომელმაც ვახტანგს ნება დართო მიეღო მაჰმადიანობა ქვეყნის ინტერესებისათვის...

კათალიკოსის მხრივ ასეთი ნაბიჯის გადადგმამ იმდროინდელ საზოგადოებაში დიდი გაკვირვება გამოიწვია. ეს საქციელი თვით ვახუშტისავე სიტყვებით «ეჰა უცხო» იყო.

ჩვენ ვიცით, რომ ქართული ქრისტიანული ეკლესია ქართველ მეფეთა იძულებით გამაჰმადიანებას ურიგდებოდა, თუმცა ოფიციალურად ამ საკითხზე არაფერს ამბობდა, რადგან ფორმალურად ეკლესიის მიერ დასტურის მიცემა თვით ქრისტიანობის უარყოფად ჩაითვლებოდა. ამიტომაც კათალიკოს დომენტის საქციელიც ქრისტიანულ საზოგადოებაში ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელი იყო"[96].

ვ. დონდუას მსგავსად, გ. პაიჭაძეც ფიქრობს, რომ საეკლესიო მოღვაწეთა ამ თაოსნობამ გამოიწვია ვახტანგის ის უკმაყოფილება და საყვედური, რომელიც „სალბუნად გულისა"-ში სამღვდელოების მიმართ არის გამოთქმული. „ამრიგად. — დაასკვნის მკვლევარი, — ვახტანგმა კათალიკოსის საქციელი იდეოლოგიურად გაუმართლებელ ნაბიჯად ჩათვალა და პრაქტიკულად თავისთვის საზიანო მოქმედებად მიიჩნია" (გვ. 34).

დ. ზუმბაძე აღნიშნავს: „...და საოცარი რამ მოხდა. არ ვიცი, არის თუ არა მსგავსი რამ ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში. ვახტანგის მეფობა იმდენად სწყუროდა საქართველოს, რომ საქართველოს ქრისტიანულმა სამღვდელოებამ საეკლესიო კრება მოიწვია და ეკლესიამ მოსთხოვა ვახტანგს მაჰმადიანობის მიღება"[97]. „...ეკლესიის განაჩენმა კიდევ უფრო გაამწარა ვახტანგი" (იქვე).

ვახუშტი ბაგრატიონის დამოწმებული ტექსტიდან მართლაც გარკვევით ჩანს, რომ ეკლესიის მღვდელმთავრებს მემატიანისათვის რაღაც

---

[95] საისტორიო ძიებანი, III, გვ. 85.

[96] გ. პ ა ი ჭ ა ძ ე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 32—33.

[97] დ. ზ უ მ ბ ა ძ ე, „საქმითა წმიდა და წესითა რჩეული" (ვახტანგ მეექვსის ხსოვნისათვის), ჟურ. „ცისკარი", 1976, № 5, გვ. 123.

გასაკვირად მიუღებელი რამ ჩაუდენიათ. თანახმად ვ. დონდუასა და სხვათა შენიშვნისა, ამას აშკარად გამოხატავს გამოთქმა „ეჰა უცხო", ვინაიდან მატიანეს ამ ეპიზოდში საგანგებოდ და ხაზგასმით ლაპარაკია ვახტანგის საწინააღმდეგო გამოხდომებზე, რომლებიც მოჰყვა იესეს დასმენასა და ხოლოფას ჩამოსვლას, უეჭველია, ღვთისმსახურთა ეს მოქმედებაც ამგვარივე ხასიათისა უნდა იყოს. ამდენად, ვ. დონდუას კრიტიკა, მიმართული პ. იოსელიანის გაგების უარსაყოფად, სავსებით დამაჯერებელია. ოღონდ ჩვენ სარწმუნოდ არ მიგვაჩნია ის განმარტება, რომელსაც მკვლევარი თვითონ იძლევა. საკვლევ წინადადებაში აზრი გამოკვეთილად გამოთქმული არ არის, თუ ვის და რაზე სცეს ნება-მოწმობა.

სულხან-საბა ორბელიანის ახსნით, „**იძულება**[98] ესე არს სამარადისო იგივეობა, მქონებელი მიდრეკისა". ზოგიერთი ნუსხის მიხედვით, „ესე იგი არს დაყინება". ამავე ლექსიკონში ვკითხულობთ: „**აიძულა** დაუყინა, დაუყინასავით", „**ვიიძულე** მისგან დაყინებულ ვიქმენ", „**მაიძულა** დამიყინა".

არც ამ შინაარსით და არც თანამედროვე გაგებით (ძალადობა, ძალდატანება) ვახუშტის თხზულებიდან არ ჩანს, რომ ნებართვა ვახტანგის რჯულის შეცვლას ეხებოდეს, როგორც ამას ვ. დონდუა და გ. პაიჭაძე ფიქრობენ. ჩვენი აზრით, აღნიშნული წინადადება შინაარსობრივად უკავშირდება და აგრძელებს წინა წინადადებას, სადაც ნათქვამია, რომ ქართლის მთავრებმა სვიმონთან ერთად „მიუწერეს ყეენს: «არა გვნებავს ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იესე»". ქართლის ეკლესიის მესვეურთა ნება-მოწმობა, თანხმობა სწორედ ამ მოთხოვნას უნდა ეხებოდეს და მემატიანის გაკვირვებაც ამას უნდა გამოეწვია. მამის პოზიციაზე მდგომი ვახუშტისთვის უფრო უცხო და მოულოდნელი ის იქნებოდა, რომ „ქრისტესთვის იძულებული" (დაყინებით, შეუდრეკლად თავდადებული) ვახტანგი რწმენის გამო, რაც თავისი ქვეყნის სამომავლო კეთილდღეობასთან დიდად იყო დაკავშირებული, თმობს მეფობას, საფრთხეში იგდებს თავს, ხოლო ქრისტიანული ეკლესიის მამამთავრები, მხარში ამოდგომისა და გამხნევების მაგივრად, ასეთი მოწამისა და კანონიერი, ამაგდარი გვირგვინოსნის გადაყენებასა და მის ნაცვლად გამაჰმადიანებული იესეს მოყვანაზე თანხმობას იძლევიან და არა ის, რომ გაჭირვებაში მყოფი, სიკვდილის პირას მისული მეფისათვის რწმენის შეცვლის ნებართვა გაეცათ. მართალია, ჭეშმარიტი მორწმუნისათვის რჯულის შეცვლის საკითხი თავისთავად გასაკვირალი და აღმაშფოთებელიც შეიძლება იყოს, მაგრამ, ძნელი დასაჯერებელია, ეს შემთხვევა რომ ყოფილიყო, ვახუშტის არ დაენახა მისი კეთილი მხარე:

---

[98] ვ. დონდუა იყენებს ფორმას „აიძულებულისა". ს. ყაუხჩიშვილის კრიტიკულ გამოცემაში არის „იძულებულისა".

ბოლოს და ბოლოს, ეს დათმობა ხომ ვახტანგისათვის მორალური და ფიზიკური მდგომარეობის შემსუბუქების, სიცოცხლისა და სამეფო ტახტის დაბრუნების წინაპირობა იყო.

ეს კიდევ მეტად ითქმის ვახტანგის მიმართ, რომელიც „სალბუნად გულისა"-ში პირდაპირ აღნიშნავს, რომ ქრისტიანული სამღვდელოება იმათ მხარეს არის, რომელთაც მისი მოკვლა, გაქრობა სწადიათ: „ჩემთა მკვლელთა ბ ე რ ნ ი დაყვეს" (93. 3). ან კიდევ: „თუცა ვიყავ ამათს რჯულზე, მაშ ესენი რას მტერობდენ? თუ ქრისტესთვის თავი დავსდევ, მაშ, ისინი რათ მაქრობდენ?"[99] (94. 1—2).

ვფიქრობთ, სამართლიანი არ იქნება ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით არ გავიგოთ და მათში მხოლოდ მორწმუნის ფანატიზმი, რჯულის შეცვლით გამოწვეული სულიერ სიკვდილზე მსჯელობა დავინახოთ.

ამრიგად, ჩვენი დასკვნით, სწორი უნდა იყოს ვახუშტი ბაგრატიონის საანალიზო ტექსტის ის გააზრება, რომელსაც მ. ბროსე გვთავაზობს: ქართლის კათალიკოსმა, ეპისკოპოსებმა და მთელმა სამღვდელოებამ „თავიანთი ხმა და თავიანთი მოწმობა მისცეს ქრისტესთვის დევნილი ვახტანგის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ".

ცხადია, ქართლის ეკლესიის მესვეურთა ამ სულმდაბლობასა და საძრახ საქმეში უპირველესი ბრალი მათ მეთაურს, ვახტანგის ღვიძლ ძმას, დომენტი კათალიკოსს მიუძღვის.

უცხოური წყაროების მიხედვით, რომლებიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ არის დამოწმებული და განხილული, დომენტის ამ დროს ანაფორის გახდა, მაჰმადიანობის მიღება და ქართლის სამეფო ტახტის დაკავებაც მოუნდომებია[100]. პოლონელი იეზუი-

---

[99] ზემოთ ეს სტროფები პირველი რედაქციის მიხედვით მთლიანად არის მოყვანილი. მეორე რედაქციაში, რომელიც კარგა ხნის შემდეგ, რუსეთშია შექმნილი, სამღვდელოების მიმართ გამოთქმული საყვედური რამდენადმე შემცირებულია, მაგრამ მოხსნილი არ არის. აი, როგორ არის ისინი გადაკეთებული:

„საეროთა ურწმენობით ბერთა სჯული შეურაცხყვეს,
უქნელსა და მოუგონსა თავი ჩემზე ამოაყვეს,
უსჯულონი მახვეწებენ, იგ საკვდავად გარდამოყვეს,
და სახლეული გამოაძეს, საქონელი იავარყვეს.

არ მოუსმინე, გამაძეს, მაჰმადის ნაუბარენი,
ქრისტესთვის დატევებული თქვენ რასთვინს გამამწარენი?!
უცხოა ჩემი ამბავი, სასმენად დასაზარენი,
და მილთონი მეფედ მხადიან, მოყვასთა დამადარენი!" (S 171, გვ. 19v).

[100] ვ. დ ო ნ დ უ ა, საისტორიო ძიებანი, I, გვ. 152, 156; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 303—305, 309; თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, მაშ-

ტი თადეუშ კრუსინსკი, რომელიც იმ ხანად სპარსეთში იმყოფებოდა და მაშინდელი ამბების მომსწრეა, ამის თაობაზე იუწყება: „...იმ დროს უკვე ყოფილი პატრიარქი, თავისი ნებით დათანხმდა ცოლი შეერთო და მაჰმადიანობაში გადასულიყო“[101].

ამასვე უფრო პირდაპირ და გარკვევით გვამცნობს მე-18 საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსი ჯ. ჰანვეი: „იმის შემდეგ, — წერს იგი, — რაც ხოსრო-ხან მოკლულ იქნა ყანდაჰართან, მის მემკვიდრედ საქართველოს მეფის (ვალი) პოსტზე უნდა დამტკიცებულიყო ოჯახში უფროსი — ვახტანგ. მაგრამ, რადგანაც მან უარი თქვა მაჰმადიანობის მიღებაზე, *ამიტომ მისმა უმცროსმა ძმამ, თუმცა ის იყო* საქართველოს პატრიარქი, ითხოვა თავისი დანიშვნა ამ პოსტზე...“[102]

ორივე ავტორის მიერ საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს დომენტის ეს განზრახვა დაუშალა და მასზე ხელი აალებინა მამამისმა, ლევან მეფემ, რაც, უკვე აღნიშნულია, ანაქრონიზმია[103] (ლევანი გარდაიცვალა 1709 წ.).

მიუხედავად ამ და სხვა უზუსტობებისა, აღნიშნული ცნობა დომენტის საქციელის შესახებ სარწმუნოდ რჩება, რადგან მას სხვა წყაროებიც ადასტურებს. ფრანგი მისიონერის პიერ დ'ისუდენის 1714 წლის 8 ივნისს თავრიზიდან კონსტანტინეპოლს გაგზავნილ ზემოთ დასახელებულ წერილში აღნიშნულია: „საქართველოს მეფე (ვახტანგ მეექვსე — ბ. დ.) დაკავებულია აქ უფრო მჭიდროდ, ვიდრე ადრევე სარწმუნოებაში მისი სიმტკიცის გამო, რამაც ცოტა ხნის შემდეგ გა-

---

რიყით მაღრიბამდე, გვ. 292—293 და სხვა (მ. ბროსესა და სხვა, ადრინდელი ლიტერატურა ამავე ნაშრომებშია დასახელებული).

[101] ვსარგებლობთ თ. კრუსინსკის ნაშრომის („ტრაგიკული ისტორია სპარსეთის მიმდინარე ომისა“) რუსული თარგმანით, რომელიც ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტშია დაცული, § 172.

[102] მ. ხ უ ბ უ ა, ქართულ-ირანულ ურთიერთობიდან, ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 254.

[103] კერძოდ, ეს შენიშნული აქვთ დასახელებულ ნაშრომებში ვ. დონდუასა (გვ. 152) და თ. ნატროშვილს (გვ. 293).

გ. პაიჭაძე თვლის, თითქოს თ. კრუსინსკის ცნობა 1709 წლის ამბებს ეხებოდეს. მისი სიტყვებია: „ისპაჰანში კათოლიკური მისიის მეთაურს, ცნობილ პოლონელ ავტორს კრუშინსკის დაუწერია, რომ თითქოს 1709 წ. კათალიკოს დომენტის, მონაზონ კაცს გაუმჟღავნებია სურვილი ცოლის შერთვისა და მაჰმადიანობაში გადასვლისა გამეფების მიზნით, რის გამოც მამამისმა ლევანმა მას ფეხისგულზე ჯოხის ცემა მიუსაჯა და ასე ამოაღებინა გულიდან ეს წადილიო“ (ვახტანგ მეექვსე, გვ. 33).

თ. კრუსინსკის ნაშრომიდან კი გარკვევით ჩანს, დომენტის მოქმედება მაშინ ხდება, როცა ვახტანგი ირანშია და მიმდინარეობს ბრძოლა მისი გამაჰმადიანებისათვის (§ 171).

მოიწვია საქართველოში დიდი უწესრიგობა, რომლის დამთავრებასაც ელოდებიან.

ამ მეფეს, რომელსაც ჰქვია ვახტანგ მირზა, ჰყავს ძმა, რომელიც ამ ბერძნული რელიგიური წესჩვეულების მქონე ერის პატრიარქია. ამ პატრიარქმა, რომელიც დაახლოებით 50 წლისაა, მისწერა სპარსეთის შაჰს და მას თხოვა, რათა დანიშნონ იგი საქართველოს მმართველად, მიათხოვონ მას ცოლად საქართველოს კახეთის მთავრის ქალიშვილი და რომ ის გამაჰმადიანდებოდა; დაპირდა რა აგრეთვე მონათა დიდი რაოდენობა, რომელსაც ის გაუგზავნის შაჰს — საქართველოს ჩვეულებრივი ხარკი; რომ ის გაუგზავნის მას აგრეთვე ვახტანგის ცოლს და მეფე ვახტანგის ოჯახს, თავის ძმისშვილს, ზემოხსენებული მეფის შვილს, და საქართველოს ყველა სხვა თავადს და დიდებულს.

შაჰმა სიამოვნებით მიიღო ეს ახალი ამბავი და მაშინათვე გაგზავნა შიკრიკები, რათა წაეღოთ საჩუქრები ამ პატრიარქისათვის, წერილებთან ერთად, რომლებშიც იგი მას აღუთქვამს დააკმაყოფილოს ის მთლიანად, როგორც კი იგი გამაჰმადიანდება. საქართველოს თავადებმა შეიტყვეს რა ის, რაც ხდებოდა, შეიპყრეს პატრიარქი და იგი კარგად ჰყავთ დაცული მხარეში, რომელსაც ეწოდება ოსეთი, საიდანაც სპარსეთის შაჰს არ შეუძლია მისი გამოყვანა"[104].

პიერ დ'ისუდენზე დაყრდნობით დომენტის სამეფო ტახტისაკენ ლტოლვას აღნიშნავს ფრანგი მისიონერი ჟან რიშარი ერთ თავის, 1714 წლის 29 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში: „სხვათა შორის, ის (პიერ დ'ისუდენი — ბ. დ.) მე მაცნობებს, რომ მათ თვალები დათხარეს საქართველოს პატრიარქს, იმისათვის, რომ მან მოისურვა გამხდარიყო მაჰმადიანი და ამით ხელთ ეგდო საქართველო" (იქვე, გვ. 359—360).

ჩანს, ჟ. რიშარს ხელთ აქვს პ. დ'ისუდენის არა ზემორე დამოწმებული, არამედ რომელიღაც სხვა წერილი, სადაც აღნიშნული ყოფილა, თითქოს ქართლის პატრიარქს თვალები დასთხარეს (ამგვარი რამ პ. დ'ისუდენის მითითებულ წერილში არ წერია). ყალბმა ცნობამ პატრიარქისათვის თვალების დათხრის თაობაზე არ უნდა გააუფასუროს წერილის სხვა მონაცემი, რადგან, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი იუწყება, იმ ხანად მართლაც მდგარა დომენტისათვის თვალების დათხრის საკითხი. მემატიანის სიტყვებია: „შეიპყრა სვმონ კათალიკოზი

[104] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 298—299.

დომენტი ზაკვთ და წარმოუვლინა ბაქარს. რ ა თ ა ა ღ მ ო ჯ ა დ ო ს თ უ ა ლ ნ ი. გარნა არა ჰყო ესე დედოფალმან რუსუდან და იყოფოდა მათ თანა პატივითა“ (გვ. 493).

1715 წლის ერთი დოკუმენტის მიხედვით, რომლის ავტორადაც მ. ბროსე, ვ. დონდუა და სხვებიც სულხან-საბა ორბელიანს ვარაუდობენ. „საქართველოს პატრიარქმა მისწერა შაჰს, რომ ის მზადაა გამაჰმადიანდეს, თუ ის გახდის მას ქართლის მმართველად“ და როდესაც თანხმობა მიიღო, „გაემართა ციხე-სიმაგრისაკენ, რათა იქ თავი გამოეცხადებინა მეფედ“[105].

როგორც ვხედავთ, სპარსეთში ვახტანგის ყოფნისას იქ გავრცელებულა ცნობა, რომ ქართლის სამეფო ტახტის დასაკავებლად გამართულ ბრძოლაში კონკურენტად დომენტი კათალიკოსიც მონაწილეობდა. ეს ხმები კი, რა თქმა უნდა, ვახტანგის საწინააღმდეგოდ იმოქმედებდა, მის საქმეებს კიდევ უფრო აწეწავდა და გაართულებდა.

ქართველი მემატიანეები ამ საკითხზე დუმან. ამის გამო გ. პაიჭაძე ამგვარი ფაქტის არსებობას უარყოფს. მას მიაჩნია, ეს არის გამოძახილი ქართლის სამღვდელოების იმ საქციელისა, რომლებმაც თითქოს ნება დართეს ვახტანგს რჯულის შეცვლაზე. „კათალიკოსის ამ მოქმედებამ — წერს მკვლევარი ამ ნებართვასთან დაკავშირებით, — კათოლიკე მისიონერებს შორის დიდი მითქმა-მოთქმა და ანეგდოტების შეთხზვაც კი გამოიწვია“. მაგალითად დასახელებულია ზემოთ დამოწმებული ცნობა თ. კრუსინსკისა. ბოლოს კი დასკვნის სახით მოცემულია: „აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამდაგვარ ფაქტს არც ერთი ქართული წყარო არ ადასტურებს. ამიტომაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში[106] გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს კათალიკოს დომენტის რაღაც მსგავსი ნაბიჯი გადაუდგამს, შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში ყველაზე სანდო წყაროდ ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი ითვლება, იქ კი დომენტის მხრივ რაიმე მსგავსი ნაბიჯის შესახებ სრულებით არაფერია ნათქვამი“[107].

ჩვენი საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, დომენტი ნამდვილად იბრძოდა თუ არა ვახტანგის კუთვნილი სამეფო ადგილის დასაკავებლად. მთავარი ის არის, რომ ირანში ასეთი ხმები ყოფილა გავრცელებული და, უნდა ვიფიქროთ, ასევე ეცოდინებოდა ვახტანგს, რაც საკმარისი იყო მისი, როგორც პოეტის, სევდიანი ჰანგის გასაძლიერებლად.

---

[105] ვ. დ ო ნ დ უ ა, საისტორიო ძიებანი, I, გვ. 152; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 304.

[106] დასახელებულია ვ. დონდუას ზემოთ დამოწმებული „საისტორიო ძიებანის“ პირველი წიგნი და „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეოთხე ტომი.

[107] გ. პ ა ი ჭ ა ძ ე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 33.

ისე კი, უნდა ვთქვათ, რომ საქმესთან ახლო მდგომი სხვადასხვა ავტორთა ამდენი ცნობა უსაფუძვლო არ იქნება. მეორეც, როგორც ზემოთ აღინიშნა, თანახმად მ. ბროსესი. ვახუშტი ბაგრატიონიც აღნიშნავს ქართლის ეკლესიის მესვეურთა მიერ ჩადენილ ვახტანგის საწინააღმდეგო ქმედებას. იქ დომენტი და სხვები სახელებით ნახსენები არ არის, მაგრამ პირდაპირ არის დასახელებული მისი თანამდებობა — „კათალიკოზი". იქვე ვახუშტი იმასაც იუწყება, რომ დომენტი შეუპყრია და ბაქარისათვის თვალების ამოსათხრელად გადაუცია იმჟამად ქართლის გამგებლად მყოფ სვიმონს. გარდა ამისა, შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, იესე ტლაშაძის ისტორიულ პოემაში „კათალიკოზ-ბაქარიანი" დომენტი თავს იმართლებს:

„მე მამიგონეს ტყუილი, კაცის ყურს სმოდეს აროდეს,
აწ ჩემნი ყმანი შეითქვნეს, ჩემს დაჭერასა ჩქაროდეს,
ვიზედაც კარგი რამ მექნა, ჩემს წახდენასა ხაროდეს,
და ღვთის მეტი მშველი არა მყავს, ანდა მიშველის ძმა როდეს?" (30)

წინ კი ამბობს:

„გარდაჰკიდებენ ერთმანერთს ტკბილსა, საყვარელ ძმათაო". (29. 4)

უთუოდ სწორია თ. ნატროშვილის შენიშვნა: „ამ თავის მართლებაზე ერთადერთი ის შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კათალიკოსს ტყუილუბრალოდ არავინ შეიპყრობდა და ტყუილუბრალოდ არავინ დაუპირებდა თვალების დათხრას"[108].

ვახუშტი ბაგრატიონის ხსენებული ცნობები დომენტისთან დაკავშირებით[109] საბაბს აძლევს ვ. დონდუას ტენდენციურად და გადაჭარბებულად შეაფასოს მისი მონათხრობი ვახტანგის წინააღმდეგ სვიმონის გამოსვლის თაობაზე. იგი, მ. ბროსეზე დაყრდნობით, ვახუშტის ამ ცნობებს უკავშირებს ზემორე წარმოდგენილ უცხოურ გადმოცემებს დომენტის მიერ ქართლის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების შესახებ და ვარაუდობს, რომ სვიმონისაგან დომენტის დაპატიმრება მოხდა ამ განზრახვის გამო ხოლოფას ჩამოსვლის დროს[110]. და რადგან, იმავე

---

[108] მაშრიყით მაღრიბამდე, გვ. 294.

[109] დომენტის მოღალატეობრივი საქმიანობის შესახებ აღნიშნავს სომეხი მემატიანე აბრამ ერევანცი, მაგრამ იგი სხვა პერიოდს ეხება და ჩვენს საკითხს უშუალოდ არ უკავშირდება (იხ. მისი: ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძემ, თბ., 1976, გვ. 9—10, 18).

[110] მ. ბროსეს ნაშრომის ქართულ თარგმანში იკითხება: „სვიმონმა შეიპყრა კათალიკოზი დომენტი და სურდა მისთვის თვალები დაეთხარა, რადგან სამარცხვინოდ მოქმედებდა ვახტანგის წინააღმდეგ და ტახტს იძიებდა, რისთვისაც სჯულის უარ-

ვახუშტის მიხედვით. სვიმონმა დომენტი დასასჯელად გადასცა ბაქარს, აქედან გამოაქვს დასკვნა, სვიმონი ბაქარისა და ვახტანგის მხარეზე გამოდის, რაც თითქოს ეწინააღმდეგება მისსავე მონათხრობს, ვითომ ამ დროს სვიმონს ვახტანგის წინააღმდეგ ებრძოლა.

მკვლევარი ასე მსჯელობს: „ახლა, თუ შევაჯამებთ ვახუშტის ამ ცნობას[111] სულხან-საბა ორბელიანის მოწმობასთან[112], მივიღებთ სრულ სურათს: კათალიკოზი თბილისში დასდგომია ციხის უბნის გზას, რათა ციხეში, ყიზილბაშთა ბანაკში, თავი მეფედ გამოეცხადებინა, მაგრამ «ქართველებმა» მოასწრეს და «შეიპყრეს» (ს.-ს. ორბელიანი), ცხადია, გზაშივე, ციხეში შესვლამდე. კათალიკოზის შეპყრობა მოუხდენია სვიმონს (ვახუშტი) თავისი საგანგებო უფლების ძალით, — სხვას («ქართველებსა») არც შეეძლო ეკლესიის უზენაესი მესაჭის შეპყრობა. კათალიკოზის გაგზავნაც ექსორიად... სახელდობრ ქალაქიდან — შიგნით ქართლს, ქალაქ გორს, ქართლის ქვეყნის ქართულ ცენტრში, აგრეთვე ბუნებრივად განუხორციელებია იმავე სვიმონს (ვახუშტი).

ჩვენთვის საინტერესო სვიმონის დასახასიათებლად აქ აღნიშნულ დეტალებს უთუოდ გარკვეული მნიშვნელობა აქვთ. დამოუკიდებლივ იმისგან, რომ ვახუშტი ამ თავის ბიძის სახელს გესლში ამოვლებული კალმით უკავშირებს ვახტანგის რეაქციულ მოწინააღმდეგეთა საქმიანობას («ხოლოფას-თანა შეიზრახნენ სვიმონ და მთავარნი ქართლისანი ვახტანგის ბოროტსა ზედა»), სვიმონი, როგორც მოღვაწე, წყაროებში *არსად ჩანს ყაენ-ყიზილბაშთა გულდაჯერებულ თანამშრომლად*: მოყვანილ საგულისხმო შემთხვევაშიც ის მოქმედებს როგორც მდგომი ყიზილბაშური წრეების გარეშე. თბილისში მოწყობილი ირანული ბანაკის («ციხის») გამოღმა, და კონტაქტი აქვს გორთან, რომელსაც კიდეც, გადაუგზავნა სვიმონმა ვახტანგის ფრიად გავლენიანი მეტოქე, დომენტი, «ქართველების» მიერ შეპყრობილი, თვალების აღმოსახდელად.

მოვლენათა ამ ფონზე ვახუშტის მსჯავრი სვიმონ ბაგრატიონის მიმართ გამოიხატება, როგორც *საკმაოდ ცალმხრივი*. ზემოთ აღნიშნულისაებრ, ისტორიკოსის მიერ სვიმონის სახელი ისეთ კონტექსტშია დაკავშირებული საქართველოსათვის სრულებით ვიგინდარა ხოლოფას სახელთან, რომ მისი მკითხველი დგება საცთურის წინა-

---

ყოფას აპირებდა და კათალიკოზობაზე ხელს იღებდა. ახლა იესემ დომენტის დაუბრუნა კათალიკოზობა“ (მ. *ბროსე*, საქართველოს ისტორია, II, ნათარგმნი და განმარტებული *სიმონ ღოღობერიძის* მიერ, ტფ., 1900, გვ. 57—58).

[111] ლაპარაკია ვახუშტის სიტყვებზე: „შეიპყრა სჳმონ კათალიკოზი დომენტი ზაკჳთ და წარმოუვლინა ბაქარს, რათა აღმოყადოს თუალნი“.

[112] მხედველობაშია ზემოთ ნახსენები 1715 წლის საბუთი.

შე — ქვა და გუნდა ესროლოს ქართლის განმგებს სვიმონს, ვით უპრინციპოსა და სულმოკლე კაცს. ვახუშტი, ჩვენი შეხედვით, წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც ის, ერთის მხრივ, კათალიკოზ დომენტის მიერ «ნება-მოწმობის» გაცემას ვახტანგის შესავიწროებლად სთვლის «უცხოდ» და არნახულ საქმედ, თვით ქრისტეს განდგომად, და, მეორეს მხრივ, ამავე კათალიკოზის შეპყრობას სვიმონის მიერ და დანაშაულის ზღვევინების განზრახვას ბრალად აკისრებს ისევ სვიმონს («შეიპყრა სვიმონ კათალიკოზი ზაკვით» — წერს ვახუშტი). ამის გამო ვახუშტის ბრალდება სვიმონის მიმართ გვიძნელდება დამაჯერებლად ვყოთ ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალების საფუძველზე...

· სვიმონის მიერ დომენტის გადაცემა მის დასასჯელად ბაქარის განკარგულებაში საკმაოდ ნათლად მოწმობს, თუ ვინ ვისთან მოქმედებდა შეთანხმებულად. სვიმონი და ბაქარი უთუოდ ერთ პოლიტიკურ მისწრაფებით ემიჯნებოდნენ ტახტის მეძიებელ მღვდელმთავარს. ერთი სიტყვით, სვიმონი არ უნდა ყოფილიყო ისე გამოთიშული ვახტანგის ერთგულთა წრისათვის, როგორც ეს ვახუშტის აქვს წარმოდგენილი. ქართლის განმგის მხრივ იესეს სამეფო კანდიდატურის შეწყნარებაც თავისთავად კიდევ არ მოასწავებდა, უნდა ვიფიქროთ, მის მავნებლურ სოლიდარობას ვახტანგის წინააღმდეგ «შეზრახულ» ფეოდალებთან, მეტადრე ყაენის მოხელეებთან“[113].

ამ მოსაზრებას რამდენიმე გარემოება ეწინააღმდეგება და, უპირველესად, თვით ვახუშტის ცნობები. მისი ნაშრომიდან არ ჩანს, რისთვის დააპატიმრა სვიმონმა დომენტი. თანაც, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, მემატიანე ამ საქმეში სვიმონს არ თანაუგრძნობს. მისი სიტყვით, კათალიკოსი შეპყრობილ იქნა „ზაკვით“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ზაკუა არს პირით სიყუარულსა იჩემებდეს და გულითა ბოროტი დაიმარხოს“. სვიმონს, როგორც ქართლის განმგებელს, რომელსაც სათანადო შეიარაღებული ძალები ჰყავდა, ფიზიკურად კათალიკოსის დაპატიმრება ისე არ უნდა გასჭირვებოდა, რომ რაიმე ეშმაკობისათვის, მოტყუებისათვის მიემართა. და რადგან მემატიანე ამას აღნიშნავს, ვფიქრობთ, ამაში გამოსჭვივის მისი შეფასებაც — სვიმონის საქციელს მთლად კეთილშობილურად არ თვლის.

მაგრამ ეს ცოტაა. რაც მთავარია, ვახუშტის თხზულებიდან არ დასტურდება, რომ თითქოს სვიმონი და ვახტანგის ოჯახი დომენტის მიმართ „მოქმედებდა შეთანხმებულად“ და „ემიჯნებოდნენ“ მას. მემატიანე პირიქით მოგვითხრობს: როცა სვიმონმა დომენტი თვალების

---

[113] საისტორიო ძიებანი, I, გვ. 156—158. პირველი დაყოფა ავტორისაა.

დასათხრელად ბაქარს გადასცა, „გარნა არა ჰყო ესე დედოფალმან რუსუდან და იყოფოდა მათ თანა პატივითა“. „მათ“ ნაცვალსახელში რუსუდანი, ბაქარი და მისი ოჯახის სხვა წევრები უნდა ვიგულისხმოთ.

უნდა ითქვას, თავისთავად გამორიცხული არ არის, ვახუშტი ბაგრატიონი რამდენადმე შელამაზებულად, ტენდენციურად გადმოცემდეს ქართლის სამეფო ტახტისათვის გამართულ ბრძოლებს. კერძოდ, შესაძლებელია, ზოგი რამ მან მიჩქმალა, ყველაფერი სააშკარაოზე არ გამოიტანა ღვიძლი ბიძის, დომენტის, შესახებ, ხოლო ასე არ მოეპყრა ნახევრად მკვიდრ ბიძებს — იესესა და სვიმონს. მაგრამ თქმა იმისა, რომ ამ ამბებთან დაკავშირებით მის მონათხრობში ლოგიკური შეუსაბამობა იყოს, ვფიქრობთ, სამართლიანი არ არის. არც იმის საფუძველი ჩანს, დავუშვათ, ის საგანგებოდ, ხელოვნურად გაზვიადებულად ხატავდეს სვიმონს.

ჩვენი საკითხისათვის მთავარი ის არის, რომ „სალბუნად გულისა“-ში, ისე როგორც „კვინკლოსის“ პროზაულ ანდერძში, ვახტანგი სამდურავს გამოხატავს არა „ძმის“, არამედ „ძმათა“ მიმართ (მრავლობით რიცხვში): „თუცა ხმისა მის მსმენელნი ჩემთვის თემთა და ძ მ ა თ ა ჩემთაგანი არავინ არს და განგდებულ ვიქენ, ვითარცა მკვდარი-მოძაგებული მ ა თ გ ა ნ“. „სალბუნად გულისა“: ყმაზე წამიხდა წყალობა,... ამხანაგთზედა — სიკეთე,... ძ მ ა თ ა და თვისთა — მოყვსობა... განმაძეს ასე უბრალოდ...“ (77).

აღნიშნული ცნობები ერთმანეთს ავსებს და გვიჩვენებს, ვახტანგის სპარსეთში ტყვეობის დროს შეთხზულ ნაწარმოებებში წარმოდგენილი სევდა პოეტის ღვიძლი ძმების, ახლობლების, თანამემამულეების უმადურობით, ორგულობითა და ღალატით არის გამოწვეული.

ვახტანგის პოეზიაში შესაბამისი ასახვა ჰპოვა იმ დამოკიდებულებამაც, განდგომილებმა რომ გამოიჩინეს მის მიმართ მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალით იხილეს თავიანთი საქმიანობის ნაყოფი: იესემ აურდაურია ქართლის საქმეები, ხოლო სხვებმა ვერ მიიღეს, რასაც ელოდნენ. ეს ამბები უნდა იგულისხმებოდეს „ქილილა და დამანაზე“ დართულ ლექსში:

„არ იცოდი, არ გმართებდათ ჩემი ასე გარდაგდება!
სამთავსა და კვერსა შუა ჭიქა ვოგორ გამაგრდება?
ტალსა კვესსა რა ჩამოჰკრავ, აბედს ცეცხლი მოედება,
და ცეცხლსა მძაფრსა ნავთს დაასხამ, მითხარ, როგორ დანელდება?!

თვითვე ნანობენ უგბილნი, თუცა ბევრს ჭირსა მახესა,
ლომი დაბმული აეხსნას, ვაცსა გააბამს მახესა;
რაღასლა ეძებ სახვეწრად კლდესა, ტყესა და მა ხესა,
და რაც ერგოთ ჩემის ამ საქმით, აწყა თვითანცა ნახესა!“

შესაძლებელია, აქვე იყოს მინიშნებული ის მოსალოდნელი თუ მომხდარი შედეგები, რომლებიც მოჰყვა თავის უფლებებში ვახტანგის აღდგენას, ქართლის მეფედ დანიშვნას. როგორც ცნობილია, იგი სათანადოდ გაუსწორდა თავის მოწინააღმდეგეებს.

ამავე ლექსში ვახტანგი უჩივის იმედგაცრუებას, რომ დაუძლურებულს არავინ გამოუჩნდა შემწე და მხარში ამომდგომი:

„არ დამცალდა სხვას ლექსთა თქმა, მიხმეს ისევ კიდევ კარად,
ხორცისათვის საპატიოდ, სხვას ბევრ რიგად დასაზარად.
რა ვქნა, არვინ არ გამოჩნდა არასფერში
მოსახმარად!
და მოუძლურდა ხორცი სუსტი, რადა მეთქვა
მსმენთვის მწარად?!" (2)

ჩვენი აზრით, ამ სტრიქონებში მარტო ის კი არ იგულისხმება, რომ ვერვინ გამოადგა „ქილილა და დამანას" თარგმნის საქმეში[114], არამედ ის დიდი პოლიტიკური იმედგაცრუებაც, ევროპისაგან რომ ერგო. მეფე-პოეტმა ბრძოლის ყველა შესაძლებლობა ამოწურა და იძულებული ხდება, დაემორჩილოს ყაენის მოთხოვნას, შეიცვალოს სარწმუნოება.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით გაკვრით მივუთითებთ ერთ მოსაზრებაზე, რომელიც „სალბუნად გულისა"-ში გამოხატული სევდის მიზეზს ეხება. კ. მეძველია ამ თხზულების მეორე („გამსაჯა მიწყივ სოფელმა..."), მესამე (ბოლო რედაქციით — „დავკარგე სამკვიდრებელი...") და „კაეშნის" პირველი („დამიმონა კაეშანმა...") სტროფების დამოწმებით აღნიშნავს, თითქოს ვახტანგის სევდა გარკვეულ წილად „საკუთარი კლასის" დაცემას გამოეწვიოს. მისი სიტყვებია: „სამშობლოდან ექსორიაქმნილი პოეტი, საკუთარი კლასის დაცემასთან ერთად, მშობლიური ცის დაკარგვასაც ტიროდა"[115]. შემდეგ: „ერთი მხრივ, საკუთარი კლასის დამარცხებამ და, მეორე მხრივ, სამშობლოდან გარდახვეწამ კიდევ უფრო ტრაგიკული გახადა ვახტანგ მეექვსის ცხოვრება და გააღრმავა წუთისოფლისადმი მისი გულგატეხილობა" (გვ. 18). იქვე ახსნილია, რომ მას მხედველობაში აქვს „ფეოდალური კლასის დაცემულობა და უპერსპექტივობა" (გვ. 19).

ნამდვილად კი მოვლენათა ამგვარი გააზრება არც დასახელებულ სტროფებში ჩანს და არც სხვაგან შეინიშნება. ცხადია, გამართლებული

---

[114] ივარაუდება, იგი ჯერ კიდევ გადაცემული არა აქვს სულხან-საბა ორბელიანსა და ონანა მდივანს.

[115] კ. მეძველია, ლიტერატურული წერილები, თბილისი-ქუთაისი, 1975, გვ. 18.

არც ის იქნება, ვახტანგის მომხრე და მოწინააღმდეგე ჯგუფთა თუ ბანაკთა დაპირისპირება კლასობრივ ბრძოლებად განვიხილოთ.

პოეტის ადრინდელი დიდება, მჩქეფარე სიცოცხლე ბევრ მხრივ დასცა და შეწყვიტა მკაცრმა დრომ და გარემოებამ. „სალბუნად გულისა"-ში პოეტის ურვის მიზეზად დასახელებულია სახელოვანი მამის, ძმებისა და ბიძების უმოწყალოდ დაღუპვა[116]:

„მაღლად მყოფო, სოფლისაგან ბოლოდ მიწად დაწყვეტილო,
სოფლის ნასთთა მსხვილად სთულთა უცხოდ რათმე დაწყვეტილო,
რუო, ხარბად მომდინარო, მლაშისებრივ დაწყვეტილო,
და სახელოვან ბიძა-ძმათა, მამით უწყლად დაწყვეტილო!" (87)

პოეტის ეს სევდა-მწუხარებაც რეალურ ვითარებას გამოხატავს. როგორც ცნობილია, მას ამ დროისათვის დაღუპული ჰყავდა: მამა (1709 წ.), ძმები — თეიმურაზი (1710) და ქაიხოსრო (1711), ბიძები — გიორგი XI (1709) და არჩილი (1713).

„სალბუნად გულისა"-ში ასახულ ჰმუნვა-ნაღველის საკმაო ნაწილს რელიგიური ნიადაგი ასაზრდოებს.

პოეტის გულს აწყლულებს და ატირებს ძლიერი, განუკურნებელი, უიმედო სიყვარული (სტრ. 7—9 და სხვა). ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ ეს არის ქრისტიანულ-რელიგიური მისტიკური სიყვარული. პოეტი გამოხატავს მორწმუნე ადამიანის წუხილსა და ზრუნვას, მიეტევოს ამქვეყნიური ცოდვები, რომლებიც მას, როგორც პიროვნებას და ადამის შთამომავალს, აწევს, და მიეცეს სამოთხეში საუკუნო განსასვენებელი. მას აშფოთებს და საგონებელში აგდებს ცხოვრებისეულ ცდუნებათა შედეგები:

„ცრემლთა ნაკადმან აავსო, ნახეთ, გაცნობოს მაჯამა,
დამწვა სოფლისა საცთურმა, ველარა სცემოს მაჯამა". (5. 2—3)

როგორც ცნობილია, ქრისტიანული მოძღვრება მტკიცედ გმობს ამქვეყნიურ ცხოვრებას, სოფელს, როგორც დროებითს, წარმავალსა და მაცდურს, რომელიც ხელს უშლის ადამიანს სამუდამო ბედნიერების, სასუფევლის მოპოვებაში. „ახალი აღთქმა" ქადაგებს:

„ვაჲ სოფელსა ამას საცთურთა მათგან, რამეთუ უნებლიაჲთცა მომავალ არს საცთური; ხოლო ვაჲ მას კაცსა, რომლისა მიერ მოვიდეს საცთური იგი" (მათე, 18. 7).

---

[116] მეორე რედაქციაში ზოგადად არის ნათქვამი: „სახელოვანთ საყოლთაგან შეუწყალად დაწყვეტილო" (S 171, გვ. 18v).

„რაჲ სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თჳსი იზღვიოს? ანუ რაჲ მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თჳსისა?“ (მათე, 16. 26; მარკოზი, 8. 36—37).

„რომელსა უყუარდეს თავი თჳსი, განუტევოს იგი; და რომელსა სძულდეს თავი თჳსი ამას სოფელსა, ცხორებად საუკუნოდ დაიმარხოს იგი“ (იოვანე, 12. 25).

„ვერ ჴელ-ეწიფების სოფელსა მოძულებად თქუენდა, ხოლო მე ესძულ, რამეთუ მე ვწამებ მისთჳს, რამეთუ საქმენი მისნი ბოროტ არიან“ (იოვანე, 7. 7).

„...ზრუნვამან ამის სოფლისამან და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშთვის სიტყუაჲ იგი, და უნაყოფო იქმნის“ (მათე, 13, 22. იხ. აგრეთვე: მარკოზი, 4. 19; ლუკა, 8. 14).

„ეკრძალენით თავთა თქუენთა, ნუუკუე დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა და მთვრალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისაჲთა, და მეყსეულად მოიწიოს თქუენ ზედა დღჱ იგი. რამეთუ ვითარცა საფრჴჱ მოუჴდეს მსხდომარეთა ზედა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა. იღჳძებდით უკუე ყოველსა ჟამსა და ევედრებოდეთ, რაჲთა ღირს იქმნეთ განრინებად ამის ყოვლისაგან, რომელი ყოფად არს, და დადგომად წინაშე ძისა კაცისა“ (ლუკა, 21. 34—36).

„და თქუენ ნუ ეძიებთ, რაჲ ჰჭამოთ და რაჲ სუათ, და ნუცა განსცხრებით. რამეთუ ამას ყოველსა ნათესავნი სოფლისანი ეძიებენ, ხოლო მამამან თქუენმან იცის, რომელი გიჴმს ამათ ყოველთაგანი“ (ლუკა, 12. 29—30).

„ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცა-და რაჲ არს სოფლისაჲ ამის. უკეთუ ვინმე უყუარდეს სოფელი ესე, არა არს სიყუარული მამისაჲ მის თანა. რამეთუ ყოველივე სოფელსა შინა ესე არს გულის თქუმაჲ ჴორცთაჲ და გულის თქუმაჲ თუალთაჲ და სილაღე ამის ცხორებისაჲ. და ესე არა არს მამისაგან, არამედ სოფლისაგანი არს. და სოფელი ესე წარჴდეს და გულის თქუმაჲ მისი, ხოლო რომელმან ყოს ნებაჲ ღმრთისაჲ, იგი ეგოს უკუნისამდე“ (I იოანე, 2. 15—17).

„და რომელნი იმსახურებდენ სოფელსა ამას, ვითარცა არა იმსახურებდენ, რამეთუ წარმავალ არს ხატი ამის სოფლისაჲ“ (1 კორინთელთა მიმართ, 7. 31) და სხვა[117].

სოფლის გმობის ეს მოტივი, რომლითაც მძლავრად არის გამსჭვალული მთელი ძველი ქართული მწერლობა[118], ფართოდ არის გავრცელებული აგრეთვე ვახტანგის პოეზიაში. „სალბუნად გულისა“-შიც

---

[117] რამდენიმე მაგალითი ქვევით, „ამირ-ნასარიანის“ განხილვისას არის დამოწმებული.

[118] კ. კეკელიძე, ეტიუდები..., XIII, თბ., 1974, გვ. 138—147.

სოფელი დახასიათებულია როგორც მაცდური, დაუნდობელი, მუხთალი, წარმავალი, უსამართლო და ა. შ. და ეს მეორდება მთელ ნაწარმოებში:

„გამსაჯა მიწყიე სოფელმან, უფრო ყველასგან აჯამა,
არ შემიწყალა არათი, არ გამომართვა აჯა-მა,
ამავსებინა ცრემლითა კალთა, ფიალა ა ჯამა,
და მწვე მომაწყინა სოფლისა ასე უბრალოდ გარჯამა". (2)

„სოფლის მიმყოლთა ყოველთა სცნან, როგორა სჭირს ძალები!" (6. 4)

„ვაი, სოფელმან დღენი ჩემნი აწე ცუდად სა გალია!" (41. 4)

„ვერ ვეწიო საწადელსა, ვაი, სოფელი დღესა მპარავს" (69. 4)

„ცრუმან სოფელმან სიმუხთლით მწვე, მიკვირს, ჩემთვის აგო რა!
მან კაეშანი უხსნელი შეყრით შეჰყარა, აგორა,
ვერ მომიძვირა, არ ვიცი, გულსა ასეთი აგო რა,
და დღე ჩემი წინათ წარსრული ყრმათ ჩიკორისებრ აგორა". (79)

„სოფელი ჩემი მესისხლე — ზღაპარი არის, ყბედია"[119] (90. 4)

„სოფლის ხლათის დაფაცურითა ჭირს დაეები გაუგებსა,
უცხო რამ ჭირს ზოგს ლხინს მისცემს, ზოგს ლახვარსა გაუგებსა,
ზოგს აგორებს ეკალზედა, ზოგსა ვარდსა გაუგებსა,
და ზოგს ძირამდის სახლს დაუქცევს, ზოგს ქორედად გაუგებსა". (91)

„ვგმობ საწუთროსა მუხთალსა, უცხოსა, გასაკვირასა!" (100. 4)
და სხვა[120].

იგივეა აღნიშნული „კვინკლოსის" ანდერძში:

„საწუთროა საცთურითა, ვარ საქმისა უნაწილო" (2. 1)

„ქილილა და დამანაზე" დართულ ლექსში:

„წარმავალია ყველაი, ჟამი მიც გარდასულები". (1. 4)

პოეტი ზოგჯერ საკმაოდ რეალური შტრიხებით ხატავს წუთისოფლის ყოფას. ადამიანს ცხოვრებაში აქვს პერიოდები, როდესაც ყველაფერი ლამაზად და მიმზიდველად ესახება. ანწლიც კი, ეს მყრალი

[119] ბ. ქიქოძე წერს: „ვახტანგის ღრმა რწმენით, «სოფელი — ჩვენი მესისხლე — ზღაპარი არის ყბედია». ამ დასკვნამდე, როგორც ჩანს, ჩვენი პოეტი პირადმა გამოცდილებამ და ცხოვრებაზე დაკვირვებამ მიიყვანა" (დასახელებული ნაშრომი, გვ. 302). ნამდვილად კი ეს შეხედულება პოეტს ლიტერატურიდანაც შეეძლო მიეღო.

[120] ზოგიერთი სხვა ნიმუში ქვემოთ არის მოყვანილი.

მცენარე, ყველაზე სურნელოვან ყვავილად ეჩვენება. მაგრამ ამქვეყანაზევე დგება საპირისპირო განწყობილებაც, როდესაც ვარდი ლახვრად წარმოუდგება. ოღონდ ყველაფერი ეს, მორწმუნე პოეტის ახსნით, ბედითა და უბედობით აიხსნება. „სალბუნად გულისა"-ს სტრიქონებია:

„უცხო რამ სჭირს ცრუ სოფელსა, ვისცა სვენი მიადგების,
ანწლიც მისი წალკოტისა რა მიწითა დაეგების,
ყოველს ყვავილთა უკეთა სჩანთ, მას აქებენ, არ ეგების;
და რა გაბრუნდა, ვარდი მისცე, მოყვასთ ლახვრად დაეგების!" (104)

ვახტანგის პოეზიაში ისმის ქრისტიანული, ეკლესიასტესებური წუხილი მიწიერი ცხოვრების ამაოების გამო. მაგრამ ეს იმდენად ურყევი და გარდაუვალი სინამდვილეა, რომ სადარდებლად არ ღირს. ამის შეგნება თითქოს ერთგვარ ნუგეშსა და მხნეობას მატებს პოეტს. „ქვინკლოსის" ანდერძში წერია:

„მიწა ვართ კაცი ყოველი, მიწისგან დანაბადია,
სახელოვნება კაცისა კვამლია განბნევადია,
ბოლო ყოველთა — ნაცარი, ვინც ვისმე მწუთა ხადია;
და მაშ, რაღას ვსწუხვართ, თუ ცოდვა შემქნოდეს განახადია?!" (1)

მიუხედავად ამდენი სევდა-ვაებისა, საბოლოო ანგარიშით, პოეტი, როგორც იტყვიან, სასოწარკვეთილებას მაინც არ ეძლევა და მომავალს იმედით შეჰყურებს.

1714 წლის 20 თებერვალს ვახტანგი ჯუზეპე ფრესკურატი ვერონელის ხელით სულხან-საბა ორბელიანს სწერს: „მე მანუგეშებს ის, რომ მე ცოცხალი ვარ და სანამ ცოცხალი ვარ, ცოცხალი იქნება ჩემი იმედიც"[121]. პოეტის ლექსების მიხედვით, ეს არის იმედი ქრისტიანი მორწმუნისა, რომ ღმერთი კეთილია და იგი თავის შექმნილს არ გაწირავს. „სალბუნად გულისა"-ში ვკითხულობთ:

„ავს მექადიან სიკვდილსა, მტერთაცა შესაზარებსა;
მაინც მოველი ღ[მ]თისაგან დროს რასმე
გასახარებსა!" (74. 3–4)

„არ ვიშიშვი, რადგან რომე თაყვანსა ვსცემ
ღ[მ]თისა კრავსა,
უსამართლოდ მტერთა ჩემთა საკვრელითა ისი კრავსა..." (76. 1–2)

„ქილილა და დამანას" ანდერძშია:

„არ ვეჭობ, შერჩეს ღ[მ]თისაგან, ვინც ჩემთვის ასე ინება".

---

[121] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 163.

ყველაფერი ღმერთზეა დამოკიდებული. მის გარეშე ადამიანი უმწეოა. „სალბუნად გულისა“-ში აღნიშნულია:

„ვინც ა ღ[მ]თისა მიუნდობლად, რამც იქმოს, რამც იხაროს?!“
(82. 2)

„თუცა უთქვამთ და რამ არი ეტლი, სვენი და ბედია,
მაგრამ ამათი მიყოლა ბრძენთაგან გაუბედია;
იგია ყოვლის მპყრობელი, ყოველთა ზედა
მხედია...“ (90. 1—3)

პოეტი მადლობელია ღვთისა, რომ შეაძლებინა, აიტანოს ამდენი გაჭირვება:

„ესე მიკვირს, თუ როგორ სძლებს, არ ეყრების გვამსა სული?
და მადლი მასვე, ვინცა მომცა ასე შემძლე ჭირთა გული!“ (103. 3—4)

ვახტანგი შიგადაშიგ აღავლენს ლოცვას ღვთისა და წმინდანებისადმი, რომელთაც ყოველმხრივ მფარველობასა და შემწეობას სთხოვს. „სალბუნად გულისა“-ს სტრიქონებია:

„მწამს, მისი სარჯლით აშკმული ჯოჯოხეთს პირი იცოდა,
მას ვევედრები, რომელმან არარა ცოდვა იცოდა;
მას შემწედ ეხადი, მის წინა ვინ სულის წმინდით იცოდა,
და შემინდოს ყოვლი რეგვნობით, რაც ჩემგან რამე იცოდა“. (1)

„ვინ დამბადე, შემიწყალე ყველასაგან მონაძები,
და შემომძარცვე, რაც მაცეია, ჭირი, ჭმუნვა, საძაძები“ (3. 3—4)

„ბერთუბანო ჩიჩხიტურით, ცოდვა ჩემი ამიხოცე,
და ნათლისმცემლით წამებულო, დოდოვ, მტერი დამიხოცე!“ (64. 3—4)

„ძნელსა დავები, თუ შენვე არ მიხსნი, შექენ ვინ არე...“ (78. 4)

თუმცა პოეტის უზენაესისაგან შემწეობის იმედი მტკიცეა, ღვთისადმი მიძღვნილ ამ სტრიქონებშიაც გაისმის უბედური ადამიანის ნაღვლიანი კილო.

ძირითადად ამგვარივე შინაარსისაა რუსეთში დაწერილ თხზულებათა სევდის მოტივი, რომელთაც არსებითად იგივე მიზეზები ედო საფუძვლად, რაც ირანში შექმნილ ნაწარმოებებს. მეფე-პოეტი იქაც იძულებით იყო მოწყვეტილი თავის ქვეყანას, სამეფოს; დაკარგული ჰქონდა უწინდელი პატივი და დიდება; მიუხედავად ყოველგვარი ცდისა და მოქმედებისა, საშველი მაინც არ ჩანდა... ამ გაუხარელ, უღიმ-

ღამო დღეთაგან გამოწვეული ნაღვლიანი განწყობილება, პირდაპირ თუ გადატანით, ცხოველმყოფელი ფერებით არის ასახული მის პოეზიაში. „ამირ-ნასარიანის“ ეპილოგში პირდაპირ არის ნათქვამი:

„...უკან და უკან სხვა მომყვა ერთმანეთს მონაბანია,
სულ დამიქცია სამყოფი, სახლი, სართული, ბანია;
და მეფობის ნაცვლად სოფელმან მიბოძა ლექსობანია!“ (186. 2—4)

ვახტანგის მწვავე სულიერი ტკივილები მძაფრად არის გადმოცემული ლირიკულ ლექსში „კაეშანი“. ისე როგორც „სალბუნად გულისა“-ში (სტრ. 82), პოეტი აქაც ჩივის გაუნელებელ სევდასა და მწუხარებას, ცრემლსა და ურვას, რომლებსაც მთელი მისი არსება შეუპყრია:

„დაეემონე კაეშანსა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
მელნად ნაღველს მოვიხმარებ, აღმოვაწებ გულსა კალმად;
ლხინის ბაღის მოსარწყავად ცრემლი მიმდის გასალამად,
და ველი, სამე გამომიჩნდეს გამომყვანი დასამალმად“. (1)

პოეტი ზოგადად აღნიშნავს, რომ მისი შრომა და გარჯა ამაოა, ნაყოფი ვერ მიიღო, ხელცარიელი მიდის ამქვეყნისაგან. პირველი რედაქციის ტექსტში ვკითხულობთ:

„ვაი, რა ცუდად ვაშრომებ ჩემსა დღეთა და ჟამსაო,
რუსთ ზაფხულისებრ მალ გავლით ამა სოფლისა წამსაო,
არცა რა მიმდევს, არც მრჩების, ვით როგორ ჩემთვის ხამსაო,
და უნაყოფოსა ვემსგავსე ხისა რასამე გვამსაო!“ (7)

ეს ზოგადად ნათქვამი სიტყვები უაღრესად კონკრეტული ისტორიული სინამდვილის გამომხატველია და ზუსტად ასახავს ვახტანგის, როგორც ადამიანის, მეფისა და პოლიტიკური მოღვაწის, ცხოვრებისა და საქმიანობის შედეგებს.

მწერალი დიდი გულისტკივილით ლაპარაკობს სიცოცხლის ხანმოკლეობაზე, რომ ადამიანი ამ ქვეყნად ვერ ასწრებს ნაყოფიერად განვლოს იგი:

„ჩვენი სიცოცხლე მწვედა ჰგავს რუსთა წალკოტის წესებსა;
რა გამოჩნდება ნაყოფი, ჭია სჭამს ბევრ ათასებსა;
სისრულეშია სიცივე დაჰრის და დააკვნესებსა,
და სიმწიფეშია ყინული ფოლადებრ დააკვესებსა“. (3)

აქაც ყველაფერი ეს სოფლის სიმუხთლის ჩვეულებრივ გამოვლინებად არის მიჩნეული. პოეტი რამდენჯერმე გამოკვეთილად და ხაზგასმით აღნიშნავს:

„რა მიყო, ხედავთ, სოფელმან ცრუმან და ანასდეულმა!..“ (4. 1)

„ყმაწვილს ატყუებ უცებსა, ყმას ამაყობით დარევ და,
შუაკაცს დაუცდელობით ხელსა სიჯაბნით დარევ და...“ (5. 1–2)

„რად ზრუნავ, კაცო ცხოველო, ხედავ დროთ მიწყივ ქცევასა,
ბორბლის მუდამად ბრუნვასა, სხვადასხვა რიგად ზევასა?..“ (8. 1–2)

„წყალმან არა ქნას სისველე, ვინღა უწოდოს წყალია?
ცეცხლმან არ დაწვას რაც ნივთი, ვით გამოჩნდება ალია?
აგრევ სოფელმან ცქაფობა, მითხარ, რას მოეკრძალია?
და თვის თვისა საქმეს ბუნებით შერებიან დაუმალია!“ (9)

სოფელი და ადამიანი მუდმივ წინააღმდეგობასა და ბრძოლაშია. ადამიანის ძალა და დიდება ის არის, არ აჰყვეს მის მაცდურობას:

„თუ შენ სჩქარობ, მე კი ესწყნარობ, მოგითმენ და მოგიჭირევებ,
რახან რასმე შენ მოიყვან, არც ერთს არას გავიკვირევებ;
იმას უფრო დაგიმადლებ, რასაც ჩემთვის დაიძვირებ,
და სხვა ადგილი, სხვა მომხმარე მყავს და იმას მივაშურვებ“. (5)

ეს „სხვა მომხმარე“ და „სხვა ადგილი“ ღმერთი და სასუფეველია, რომელთა რწმენა იმედს აძლევს და ასულდგმულებს პოეტს:

„...ეგებ მობრუნდეს შენთვის ცა, მორჩე ჟამისა რევასა,
და მზე თუ მზერს მუშთარს ხუთ კუთხით, შენ მოგცემს
მტერზე ძლევასა!“ (8. 3–4)

უფრო დაბეჯითებით ნათქვამია ბოლო რედაქციაში:

„შეზრუნებულმა მიხედე მოსავალისა ქცევასა,
ბორბლისა საბრუნავებსა, განასხვავებად ზევასა;
გამობრუნდების შენთვის ცა, მორჩები ჟამთა რევასა,
და მზე მუშთარს ხუთით შეხედავს, გაგიადვილებს ძლევასა!“

თუ აქ იმედი ერთგვარი ასტროლოგიური თვალთახედვით არის მოცემული, ბოლო სტროფში გარკვევით დასახელებულია ღმერთი — ყოვლის შემოქმედი და წყალობის მომცემი:

„სიბრძნით აღაგო ყოველი, საქმითა განასრულითა,
წესიერებით შეამკო საზომი განასრულითა,
უსხეულონი მსახურად, ზოგნი ყო განასრულითა,
და არვინ დაავდო წყალობის კარითა განასრულითა!“ (10)

მწარე სინამდვილეს, ადამიანურ ტრაგედიას — მშობლიური კერის დაკარგვას, ქვეყნიდან ქვეყანაში წანწალს, მიუსაფრობას, ახლობლებ-

თან დაშორებას, ტანჯვა-წამებას, — გვიხატავს ლექსები „უწყვეტელი“ და „რანი და მოვაკანი...“

პირველში აღნიშნულია:

„მოხველ ანასდად, მტრად და არ ჩემ დად, ვაი, სიკედილო,
მწარე სიკედილო!
მომკვეთე მსწრაფლად, მიწას მეც ღაფლად, ვაი, სიკვდილო,
მწარე სიკვდილო!
მოვშორდი ცოლსა, შვილს, თანამყოლსა, ვაი, სიკედილო,
მწარე სიკედილო!
მოვშორდი ძმასა, გამყარე დასა, ვაი, სიკვდილო,
მწარე სიკედილო!
მეგობარს სულთა, საყვარელთ ტკბილთა, ვაი, სიკვდილო,
მწარე სიკედილო!
მომკალ, მომკეეთე სოფლის მოკეთე, ვაი, სიკედილო,
მწარე სიკვდილო!
სხვაგან გამგზავნე, დამხედენ მუნ მაენე, ვაი, სიკვდილო,
მწარე სიკვდილო!..“

ხიზანი მეფის მძიმე და აუტანელი მდგომარეობა იშვიათი პოეტური ოსტატობით, რამდენიმე შტრიხით, დიდი ექსპრესიით არის მოცემული ლექსში „რანი და მოვაკანი...“:

„რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, პანი და,
გათავდა ყოვლი წერილი, ანი და, ბანი, განი და,
ვიარე ბევრი ქვეყანა, სიგრძე და სივრცე. განი და,
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი, და...“

ეს რეალური სურათები სრული შესატყვისია მეფე-პოეტის თავგადასავლისა. ავტორი, რომელიც ყოველგვარი ილუზიისაგან თავისუფალია, თვალს უსწორებს სინამდვილეს და სამართლიანად ხედავს და გრძნობს: დამთავრდა, გადაიწურა ყველა იმედი — „გათავდა ყოვლი წერილი...“ ასევე, გადაჭარბებული არაა მოთქმა:

„მუნ გამიკითხეს, დამცეს, დამწნიხეს, ვაი, სიკედილო,
მწარე სიკედილო!
დამხედენ მტარვალნი, მწარედ მტანჯველნი, ვაი, სიკედილო,
მწარე სიკვდილო!“

„ვაი-ვა, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი და!“

მორწმუნე პოეტი, ბუნებრივია, შიშობს სულის მოსალოდნელ წარწყმედაზე, მაგრამ ამავე დროს უთუოდ საყურადღებოა მისი წუხილი, — თავს ამქვეყნიური სიამოვნება მოვაკელიო: „ხ ო რ ც ს ა მ რ ა ვ ა ლ ი დ ა ვ ა კ ე ლ, სულს მივეც იქი რჯანი და“.

აქ ერთხელ კიდევ გამოჩნდა ვახტანგის მსოფლმხედველობა ცისა და დედამიწის ერთიანობის, მიწიერი ცხოვრების მნიშვნელობის შესახებ.

უკვე ხანდაზმული პოეტი რუსეთში ჩივის სიყმაწვილის გადასვლასა და სიბერის მოსვლას, სილამაზისა და ძალღონის დაკარგვას. და ესეც მოცემულია არა როგორც პირადი გაჭირვება, არამედ განზოგადებულად, ადამიანთა საერთო სენად. „სატრფიალონში" ვკითხულობთ:

„შემოდგომა ხარ, წაართვამ ფერსა და სურნელებასა,
ზამთრისა უფრო გაახმობ მინდორთ, შვენების ხლებასა,
დაუდუხჭირებ მშვენვართა, მისცემ ხორცთ ფერთა კლებასა,
და ვეფხებრ კისკასად მქცეველსა საბანს ქვეშ მისცემ ძლებასა.

ვაი, სიყრმისა ყვავილი რა ტურფა, მოსახმარია,
თვალი ბრწყინვალედ მხედველი, ყური სმინებად მხარია,
სხვადასხვა რიგი ვარჯიში, რა შვება, გასახარია,
და არც მკვდარი, არცა ცოცხალი, ვაი, სიბერე მწარია!" (99—100)

ამავე ნაწარმოებში ვახტანგი შეუფერებელ საქციელად თვლის, ბერიკაცი ყმაწვილისებრ ირჯებოდეს, ხოლო ახალგაზრდა ბებრულად მოქმედებდეს:

„ვნახე ბერი ყრმათა უყრმე და ყმაწვილი ბერთ უბერე;
ბერი ცუდად მწვე არქარდა, ყრმა დაწყნარდა, რაც უბერე,
უხუცესი არას ნაღლობს, უმცირე სწუხს: ვარ უბერე!
და ის უფროსი იბერება, ეს უმცირე არს უბერე"[122]. (140)

---

[122] აქ გვაგონდება ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები, რომელიც მის ლექსში „ჩემთ მეგობართ" არის გამოთქმული:

„სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს,
და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს!"

ხომ არა გვაქვს აქ საქმე ისეთსავე ორგანულ კავშირთან, როგორსაც ვარაუდობენ ვახტანგის „შეგონებასა" და ნ. ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას" შორის? ვახტანგი: „კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოიევარგოს, ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს" და სხვა. ნ. ბარათაშვილი:

„მაგრამ, რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს".

ამ მსგავსების შესახებ ალ. ბარამიძე წერს: „ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ სოფლის პრობლემის ბარათაშვილისეული გადაწყვეტა პირდაპირ ეხმაურება ამ პრობლემის ვახტან-

სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი მარადიული თემაა მწერლობისა და ამ მხრივ თავისი სიმძაფრით გამოირჩევა ქრისტიანული მწერლობა, მაგრამ, ვფიქრობთ, გარკვეული როლი პოეტის ასაკმაც შეასრულა, როცა იგი „უწყვეტელში“ სიკვდილის გამო კვნესის:

„რა დავიბადე, სოფლით ვიბადე, ვაი სიკვდილო,
მწარე სიკვდილო!
მეგონა რამე სოფლისა რამე, ვაი, სიკვდილო,
მწარე სიკვდილო!“

აი, ეს არის ძირითადად რუსეთში შექმნილი ლექსები, სადაც ასე თუ ისე, შედარებით პირდაპირ აისახა პოეტის ირგვლივ არსებული ობიექტური მიზეზები, რომლებიც მასში სევდასა და მწუხარებას იწვევდა.

მეორე წყარო პოეტის სევდის მოტივისა აქაც ქრისტიანულ-რელიგიური მოძღვრებაა.

ვახტანგის პირად წერილებში, რომლებიც ამ პერიოდს ეკუთვნის და ყველა მათგანი რუსეთის ხელისუფლების მიმართ დიდი კრძალვითა და რიდით არის გამსჭვალული, პოლიტიკურ-დიპლომატიურ თუ საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებით აქა-იქ მაინც გაისმის უკმაყოფილება ზოგიერთი მაღალი ჩინის მოხელის მოქმედების გამო. ძნელი დასაჯერებელია, ქართველი მეფე-ხიზანის გულში სათანადო რეაქცია არ გამოეწვია იმ გაუთავებელ ფუჭ დაპირებებს, რომლებსაც იგი რუსეთის მთავრობისაგან იღებდა. და მაინც მის ლექსებში ერთი სასაყვედურო სიტყვაც არ არის დაძრული რომელიმე მათგანის ან ამა

გისეულ ახსნას. ორივე შემთხვევაში ფილოსოფიური ჭვრეტის სიღრმითაა გაშუქებული წუთისოფლის რაობისა და ადამიანის საამქვეყნო დანიშნულების ის მარადიული თემა. არსებითად ერთი და იგივე პასუხია გამოძებნილი... ვახტანგ VI და ბარათაშვილი ერთგვარი პოეტური პათოსითა და თითქმის ერთგვარი სიტყვიერი ფორმით აყალიბებენ ადამიანის საამქვეყნო დანიშნულების ეთიკურ ნორმებს. მართალია, ვახტანგს არც საიმქვეყნიო ცხოვრების სფერო ავიწყდება («კაცმან უნდა... იქაც ბარგი დაიბარგოს»). ნიკოლოზ ბარათაშვილს ადამიანის მხოლოდ საამქვეყნო დანიშნულება აინტერესებს. ამ მხრივ მისი ფილოსოფიური შეგონება უფრო თანამედროვეა, უფრო მიწიერი. ამისდამიუხედავად, ბარათაშვილის აზროვნება რაღაცნაირი კუთხით მაინც ვახტანგის თვალსაზრისს ებჯინება, ვახტანგის პოეზიით არის დავალებული (ნარკვევები..., VII, გვ. 185—186).

ანალოგიური ხასიათის მსგავსება ჩანს პირველ შემთხვევაშიაც. ჩვენი აზრით, ამ ორი სხვადასხვა შინაარსის აფორიზმული ტიპის გამონათქვამთა ნათესაობა შემთხვევითი არ უნდა იყოს და ისინი იმის დამადასტურებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ ნ. ბარათაშვილი იცნობდა ვახტანგ მეექვსის პოეზიას და აღნიშნული სტრიქონები პირდაპირ თუ ქვეცნობიერად მისგან არის შთაგონებული.

თუ იმ კონკრეტული ფაქტის გამო. ყველაფერი სოფლის, საწუთროს გაუტანელ ბუნებაზეა გადაბრალებული. იმავე „უწყვეტელში“ ცოლშვილთან, ძმასთან, დასთან, მეგობრებთან დაშორებაც სოფლის სიმუხთლეს მიეწერება.

სოფლის, ამქვეყნიური დიდების წარმავლობის თემას ეძღვნება თავისებური ფორმის ლირიკული ნაწარმოები „ლექს-ამბავი“. თანახმად მ. კაკაბაძის მითითებისა, მასში საკითხი იმგვარადვეა დასმული და გადაჭრილი, როგორც შემდგომ ეს გვაქვს ქართველ რომანტიკოსთა, კერძოდ, ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში[123]. პოეტი აღწერს „საწუთროს ბაღს“, რომელიც ყოველგვარი უმაღლესი სიკეთით არის შემკული:

„საწუთროს ბაღი რა ქონდა, სცან, ალექსანდრეს, მეფეო,
იდგა ყვავილი მრავალი, სახელის სუნი, მეფეო,
მის ფშვას აღევსო ქვეყანა სხვადასხვა რიგთა, მეფეო...“

ამ წალკოტს ამშვენებს მდიდრული სრა-სასახლეები. ირგვლივ სიხარული და ნეტარებაა:

„...სვე-სვიანობის სასახლე შიგ იდგა ცამდის, მეფეო,
დოვლათის შადრევანები მაღლა ისროდა, მეფეო,
სიხარულისა არღავანს მრავლად პოებდი, მეფეო,
კარგთ გულ ფერისა შაბუნი იდგა მრავალი, მეფეო,
გოვარის თასთა ამბარ-ბუ შიგ გაშლილიყო, მეფეო...“

მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი ეს მოისპო და ნაცარტუტად იქცა:

„ანაზდად ცამან მოღრუბლა, ნეფხვრა, გამოჩნდა, მეფეო,
დააზრო, ზოგი გაახმო, დასცვივდა სრულად, მეფეო,
სახლთ წვიმა-სეტყვით მიეცა ნოტიო დიდი, მეფეო,
გრიგალმა ქარმა იქროლა, შემუსრა სრულად, მეფეო,
შადრევანები ნამსხვრევით აღივსო, დასქდა, მეფეო,
ალვა ძირითურთ აღმოფხვრა ქარის სიმძაფრემ, მეფეო,
ჩანს უნაყოფოს მინდორად აწ ახლა იგი, მეფეო...“

ამ ბოროტების ჩამდენი სოფელია. წინ, სანამ ჩამოთვლიდეს ამ საზარელ ცვლილებებს, პოეტი წერს:

„ეს ასე შექნა სოფელმან, ახლა რომ ვიტყვი, მეფეო“.

იგივეა გამეორებული ლექსის ბოლო სტრიქონებში. სოფლის სიმუხთლე და სიავე იმდენად ჩვეულებრივ მოვლენადაა წარმოდგენილი,

---

[123] მ. კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, გვ. 181—183.

რომ პოეტი გაკვირვებულია: რად დასდევს ადამიანი მის დიდებას ან რად წუხს, რად არ შეეგუა მის სივერაგეს, რატომ ღებულობს მას როგორც მოულოდნელს. და პოეტი ამას უპირველესად ეუბნება საკუთარ თავს:

„სოფლის სიმუხთლე ასეა, რად ვინ სდევს, მიკვირს, მეფეო,
და აწ შენ ამისთვის რათ სწუხარ, უცხოთ მჩანს, ვახტანგ მეფეო!"

ეს უკანასკნელი აზრი ვახტანგს სხვაგანაც აქვს გამოთქმული, რაც ზოგჯერ ერთგვარ ოპტიმისტურ განწყობილებადაც გაისმის („სატრფიალონი", სტრ. 89. 1; 92. 4; 138. 4, რომლებიც ქვემოთ არის დამოწმებული).

რუსეთის პერიოდის თითქმის ყველა ლექსში, სულერთია, ამ საკითხს ეძღვნება თუ არა, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სოფლის გმობის თემას.

„სატრფიალონში" იგი ორგანულად ერწყმის ქრისტიანული თეოლოგიის ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა საღვთო მიჯნურობა, ადამის მოდგმის ცოდვილიანობა, სულისა და ხორცის პაექრობა და ა. შ.

ამქვეყნიური ცხოვრება აქაც დახასიათებულია როგორც არასტაბილური, უსამართლოდ ცვალებადი, მაცდური:

„სჭირს სოფელსა, რა კარგს მოგცემს, ჭირიც თანვე მოაბეროს,
ავსა კარგსა მოადევნებს, თუ გასინჯავ, დაგაჯეროს,
და ვა, თუ წუთმან საწუთრომან დღენაკლული მოაბეროს!.." (69. 1—3)

„დამაკვირვებს, სოფლისათვის კაცი ასე რად იჭირვის,
ანუ ვინცა მოსახმარად, დამაფიქრებს, ვით იჭირვის?!
უხამსთ მისცემს სიმდიდრესა, ზოგნი ხამსნი მწვე იჭირვის,
და საუკუნოდ შეიგვარლის დახვანჯული, დაიჭირვის". (89)

„რაღას ვსწუხვარ ჭირთა ჩემთა, სოფელია ასე მცემად!" (92. 4)

„ეს სოფელი ჰგავს ყვავილსა ტურფა კეკლუცად ქმნულებსა,
სიცხე წვით, ყინვა დაზრობით, სცემს მზე, ღრუბელი წყლულებსა..."
(138. 1—2) და სხვა.

ადამიანი როგორც მოიქცევა ამ სოფლად, შედეგიც ისეთივე ექნება:

„რაცა ვინ ქნა ამ სოფელსა, მასვე მიხვდა მისი წილი!" (80. 1)

ვახტანგი, რომელიც, საერთოდ, როგორც ვთქვით, სააქაოსა და საიქაოს მორიგებას ქადაგებს, უარყოფს ამქვეყნიური ცხოვრების იმ მხა-

რეთა გამოდევნებას, რომლებიც სამუდამო ბედნიერების მოპოვებას ხელს შეუშლის:

„რაღვანა ხარ ორი სოფლის საშოვარად მონამჭირი,
და ვით იქნება ორი ნესვი ერთის ხელით დანამჭირი?!" (72)

ავტორი აქაც გამოთქვამს წუხილს, რომ აჰყვა სოფლის მაცდურობას და სათანადოდ ვერ იზრუნა სულის უკვდავსაყოფად:

„მიკვირს, სოფელს რასთვის დავშვერ, რომ ვიცოდი მისი ზნენი?
ვაგემოვნე გული ჩემი, სულს არ ახლდა კეთილთ მნენი,
ხორცი მწადდა უკვდავ მყოფად, ზრქელად უჩნდა მოსასმენი,
და ახლა დარჩა საკიცხელად სულისათვის გაუმხნენი!" (62)

როგორც სხვა თხზულებებში, პოეტის ოპტიმიზმი აქაც ღვთის კეთილგანწყობილებას ემყარება:

„შემოველი ავზე კარგსა, ღმერთმან ვგებ ამამღეროს!" (69. 3)

„სოფლის სამდურავი" უხვად გვაქვს ნათარგმნ და გადმოკეთებულ თხზულებებში — „ამირ-ნასარიანსა" და „სიბრძნე მალაღობელში", ზოგჯერ მაშინაც, როცა დედანი სხვას გვიჩვენებს. მაგალითები:

„ამირ-ნასარიანის" პროზაული თარგმანია: „ვინც ხელის უფრობის მქონებელი ნახო, ნუ შეიშურვებ, ღვთის ნაბოძებია, შენი ხომ არ არის რა?"[124] გალექსილში აქცენტი გადატანილია სოფლის წარმავლობაზე:

„რა ნახო კაცი მდიდარი, მაღალი, მაღლა მყოფელი,
ნუ ბორგავ, ნუ გშურს, ხომ იცი, წარმავალია სოფელი..."
(12. 1–2)

„ამირ-ნასარიანის" პროზაული ტექსტი: „ძენი ადამისნი საქონლისაგან უფრო მოტყუვდებიან, ვირემც ენისაგან" (იქვე).

გალექსილი ვერსია:

„თუ ენა კაცსა ატყუებს და გულსა დააჯერებსა,
მისაცემელი უფროსად აცდენს და გააჯერებსა!
მიკვირს სოფლისა სიცრუვე, ვით მისწევს დანაბერებსა!
და რა მოსავალი მოვიდეს, ბრძენს უფრო გააშტერებსა". (13)

ამ ნაწარმოებში აღნიშნულ თემას ეძღვნება ეპილოგისა და ზოგიერთი ქვეთავის ორიგინალური სტროფები. ამ უკანასკნელთ ქვემოთ

---

[124] გ. იმედაშვილი, ყაბუს-ნამეს ქართული ვერსია ამირ-ნასარიანი, „ლიტერატურული ძიებანი", IX, თბ., 1955, გვ. 351.

სხვა საკითხებთან დაკავშირებით შევეხებით, აქ კი დავიმოწმებთ ეპილოგის სტრიქონებს:

„ყველას დარჩება სოფელში გაუკურნებლად წყლულები". (185. 4)

„არვის დაინდობს სოფელი მისანდოდ დაუნდობელი,
მიმდევთა გასაქიქენი, უდევთა დასაგმობელი,
მეფეთა ანუ გლახაკთა ბუკთა საჭიროს მხმობელი,
და გულითა ამაღლებულთა საბრალოდ დამამხობელი". (187)

წუთისოფლის სევდიანი სამდურავი ხშირად გაისმის „სიბრძნე მალაღობელში", პოეტის საკუთარი ნააზრევის შემცველ ე. წ. განმაზოგადებელ სტროფებში. სოფელი ჰმუნვას აქაც იმავე თვისებების გამო იწვევს, რაც გამჟღავნებულია სხვა თხზულებებში. იგი ცვალებადია, მისი დიდება დროებითი და წარმავალია:

„ძნელია სიბრძნით სიკვდილი, საწუთოს ქცევა ჟამისა,
ხან აამაღლებს, ხან დასცემს, ყველაა ერთის წამისა,
ნუ მისდევ, ყურსა ნუ უგდებ მისსა, ამისსა და მისა,
და შენ დაიჭირე სადავე მაგრა შენისა გვამისა!" (36)

„სოფლის მოყვასთა" მოთხოვნილებანი განუსაზღვრელია: „ხან ეს უნდა და ხან ისი, ლხინი, შვება და სიამე..." მაგრამ, წინააღმდეგ ამ სურვილებისა, მოქმედებს გარდაუვალი კანონი: „მალე დააზროს სოფელმა იგ მისი გასამწვანისი" (80).

სოფელი ულოგიკო და უსამართლოა. მან არ იცის ერთმანეთისაგან გარჩევა ბრძენისა და გიჟის, ძლიერისა და სუსტის, ავისა და კარგის:

„ვის მიადგება სოფელი, ხელიცა იყოს, ბრძენია,
ამკობს, აქებს და ადიდებს ყოვლი ადამის ძენია;
ვის პირი შემოაქციეა, შეიქნა გასაძენია;
და არ ვიცი, სოფლის სიმუხთლე თუ როგორ მოსაძენია!" (709)

„ვერ მოურჩები სოფელსა ვერც მეფე მძლავრი დიდები,
ცუდათ შეფრფინავთ, ვერ იხსნი, რაც საუნჯეთა იდები..." (729. 1—2)

„ჩალხთ ბრუნვას დასდევს სოფელი, წესი აქვს მისის რებისა,
ბრძენთ ვერც სიმაღლე ამაღლებს, არც ავსა მოეხრებისა;
მოვა და წავა ანაზდად სიდიდე-სიმცირებისა,
და თუ დასცალდების სოფელში, კაცი ბევრს შეესწრებისა". (752)

იგი სიკეთეს არ დაგიდევს, ბოროტია:

„უცხოა ესე სოფელი და იმაშიგან მყოფელი,
კეთილის არას მოწადე, ბოროტზე უფრო მდგომელი,
ვერ დამნახავი საქმისა, ვერასი ვერ მიმწდომელი,
და ასეთს იქს, თავი ჰგონია მის ჟამში გაუცდომელი". (167)

აქაც არაერთხელ დგას საკითხი, თუ რა პოზიცია უნდა ეჭიროს ადამიანს სოფლის, სააქაო ცხოვრების მიმართ:

„მაგრამ სჯობს სოფელს მიხედო, რა არი მისა დავები?!“ (732. 3)

ღირსეულად განვლო წუთისოფელი, დიდად სანატრელი, მაგრამ ერთობ ძნელი და რთული საქმეა. ამას ახერხებს მხოლოდ ის, ვინც ბრძენია და არ აყვება სოფლის სიამტკბილობას:

„სანატრელია. სოფლისა თუ განვლო კაცმან მზღვარები,
არც ვისი შიში ექნება, არც სირცხვილითა მწვარები.
რად ვარგა, კიდეგ უყვარდეს პატივი, მისი ცვარები?
და უბნობს: არ მინდა სოფელი. კვლავ მისგან შენასვარები!“ (62)

„სოფელი ნებას არ მოგცემს, ვირემ ხარ მისი მჯერები,
არც ავით, არცა სიკეთით ვერ შექნას გასაჯერები!
დასთმეს. ამისთვის ბასრობენ სიბრძნეზე შესამზერები;
და სჯობს ნება უნებობასა! — ბრძენია ასე მწერები“. (98)

„სოფლისგან ხელის ალებას ვინც არის მომნებებელი,
ამისი არა არად სჩანს, სხვის გზისა არის მგნებელი.
ვერ პოო ვერა საქმისთვის მეფეთა შემქენებელი,
და ხილული უქმად მიაჩანს, სხვა რამ აქვს მოსაძებელი“. (174)

„კაცი სოფელში ერთობით სოფლისა არის ნივთისა,
სიბრძნით მქცეველი ყოველი მანვე თავისი ირთისა,
სადაცა იყოს, სწორეა, რა მოვა მოსვლა ზვირთისა,
და ვინცა არ იცის, რა მართებს, სახეა ყველგან კირთისა“. (218)

პოეტი გმობს მათ, ვინც მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობისათვის, ნივთიერი სიმდიდრის, საზოგადოებაში აღზევებისათვის იბრძვის. ასეთი ადამიანი არა მარტო სასუფევლის სამუდამო ბედნიერებას ჰკარგავს, ამ წუთისოფელშიაც უბედურებას იმკის:

„ვის უფრო აქვს ამ სოფელში შეწუხება ანუ ურვა?
— ვისაც უნდა დიდ საქმეში შევარდნა და შენაცურვა,
სანამ პოვებს, მეცადუნობს, მაზედა აქვს ცრემლის წურვა,
და რა იშოვნის, იმას ნაღვლობს, არ წამიხდეს ჩემი სურვა“. (384)

„ბევრნი ეცადნენ სოფელში, ჰქონდეს, რაც სწადდეს, იშონა,
ვერა ირგეს რა მაშინცა, საქმე რომ ჰპოეს, იშონა,
ნათლისაგანმა ბნელითა რაღაჲცა რამე იშონა,
და ვერავინ მიზვდეს კეთილსა, თუ სამჯერ არა იშონა“. (640)

„რადგან არის სოფელშია გამოჩენა საწადელი,
მისთვის ბორგავს ყოვლი კაცი, მოჭირვებით მისი მცდელი,
მაგრამ მოსდევს რასაც საქმეს სიკვდილი და განსაცდელი,
და ავათ თავსა ვინ გაიხდის სიმრთელისა ხელის ჩხდლი!" (726)

„მიკვირს სოფლისთვის სასჯელი, ვამსგავსებ რასმე ანავსა,
რად ვირჯებით და რად ვშვრებით არას კეთილით, ან ავსა,
ხმელსა ვსჭერეტთ აყვავებულსა, იჩქითად რადმე ა ნავსა.
და ყველა ცუდია სოფლისა, კარგს ემახიან ან ავსა". (777)

მწერალი მხარს უჭერს მათ, ვინც ამქვეყნიურ დიდებას არ მისდევს, „სოფლის ჭირისა და სასჯელის" „დათმობა" შეუძლია და სულის უკვდავსაყოფად ზრუნავს:

„ასეა სოფლის დათმობა ბრძენთაგან ქებით თქმულია,
სოფლის ჭირი და სასჯელი, სირცხვილი, რაცა ქმნულია,
მორჩება ნების სნატზედა სიმტკიცით დანასმულია.
და ყოვლი სოფლისა მოყვარე ანძაზე ანაცმულია". (222)

„ასე მართებს სოფლისაგან განშორება განაშორსა,
მისსა რასმე არ ხმარობდეს, არ ეძებდეს სხვათა სწორსა,
სულ გაეგდოს მისი საქმე მას იმისა დამაგორსა.
და მაშინ მიხვდეს საწადელსა მოსანდომსა, გამაორსა". (277)

„სოფლის ქებაა მიცვლილთა პატიეით განსვენებანი,
მისი წესია სხვათაებრ დაუდგრომელი ნებანი;
სჯობს სულის რამე კეთილი, მუნ არ მიეცეს ვნებანი,
და თუ ვის კარგი სჭირს, ხორციმცა იყოს მხეცთ საგემებანი". (412)

ეს შეხედულება ქრისტიანულ მოძღვრებას განეკუთვნება, მაგრამ იგი, კერძოდ სოფლის თმობა და სულისთვის ზრუნვა, სრულებითაც არ ნიშნავს რელიგიურ-ასკეტური კარჩაკეტილობისა და უმოქმედობისაკენ მოწოდებას. ვახტანგის მთელი სისხლსავსე ცხოვრება და მოღვაწეობა, მათ შორის პოეტური შემოქმედება, იმის დამადასტურებელია, რომ იგი ამქვეყნიური ვალის მოხდასა და საუკუნო ნეტარების მოპოვებას იმ კაცურკაცობით (სიბრძნით, სიკეთით, ზომიერებით და ა. შ.) ცხოვრებას უკავშირებს, რასაც „სიბრძნე მალალობელსა" და სხვა თხზულებებში ქადაგებს.

მსგავსად „სალბუნად გულისა", წმინდა რელიგიურ ნიადაგზეა აღმოცენებული ტანჯვა-წუხილი, რომელსაც პოეტი, როგორც „სატრფიალონის" გამიჯნურებული ლირიკული გმირი, ამ ნაწარმოებში გამოთქვამს (ეს საკითხიც ქვემოთ არის განხილული).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგის პოეზიაში გამოხატულ სევდას მის პატრიოტულ მოტივს უკავშირებენ, რის შესახებაც აგრეთვე ქვემოთ ვიმსჯელებთ.

ამრიგად: სევდისა და სოფლის გმობის მოტივს, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს ვახტანგ მეექვსის პოეზიაში, ასაზრდოებს ორი გარემოება: საქართველოს, კერძოდ, ქართლის ძნელბედობით გამოწვეული მეფე-პოეტის მძიმე ხვედრი — თავისი ქვეყნის, სამეფოს, მამაპაპური კერის მიტოვება, ძალაუფლების დაკარგვა, ახლობლებთან დაშორება, მათი დაღუპვა, თავისიანთა და შინაურთა ორგულობა და ღალატი, — ყველაფერი საშინელება, რაც კი ირანში ტყვეობასა და რუსეთში ემიგრანტობას მოჰყვა. მეორეა, ქრისტიანულ-თეოლოგიური მსოფლმხედველობა ამქვეყნიური ცხოვრების ამაოების, წუთისოფლის გაუტანლობისა და ვერაგობის შესახებ, რომლითაც გაჟღენთილი იყო მთელი ჩვენი მაშინდელი და წინარე მწერლობა, ოფიციალური საზოგადოებრივი აზრი...

ვახტანგი, როგორც თავისი დროის მოწინავე მორწმუნე მოაზროვნე, ცდილობს საიქაოსა და სააქაოს მორიგებას და თავის პოეზიაში ამქვეყნიური ცხოვრებისათვის ზრუნვასა და აქტიურ მოქმედებას ქადაგებს (იგულისხმება — გარკვეულ ზნეობრივ ფარგლებში).

იმავე ქრისტიანულ მოძღვრებას, ღვთის ყოვლის მოწყალების იდეას ემყარება ვახტანგის ოპტიმისტური განწყობილება, რომელიც მის პოეზიაში აქა-იქ გამოკრთის.

5. რელიგიური თემატიკა და სიყვარულის სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატულება

ამ თემაზე საკმაოდ ბევრია დაწერილი, მაგრამ მთავარი და საკვანძო საკითხები, ვფიქრობთ, სათანადოდ გადაჭრილი არ არის.

ვახტანგს მისი თანამედროვენი ერთხმად ახასიათებენ მტკიცე და ღრმად მორწმუნე ადამიანად, ქრისტიანობისათვის დაუღალავ და თავდადებულ მოღვაწედ. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ესე ვახტანგ იყო ღუთის მოშიში და ღუთის მოყუარე და ფრიად მოღუაწე, სამღუდელოთა პატივისმცემელი, ქურივ-ობოლთა და გლახაკთა მიმცემელი, ულონოთა შემბრალე, ეკლესიათა მაშენებელი, ხატთა და ჯუართა შემამკობელი, მოწყალე, ცოდნის მოყუარე, ბრძენი, მჴნე და ახოვანი, შუენიერ-ჰაეროვანი, მუშაკი, უხჳ და მშჳდი, არამედ ჟამად მრისხანე“ (გვ. 481). „განამრავლნა წიგნი სამღთონი, რამეთუ უმეცარნიცა სამღუდელოთა წერილთა იკითხვიდან“ (გვ. 482) და სხვა.

ამასვე აღნიშნავს სეხნია ჩხეიძე: ვახტანგი „თვით ქრისტიანე იყო და ქრისტეს სარწმუნოებაზე აღზრდილი, ინება საქართველოს სარწმუნოებაზე განძლიერება, აღაშენა ქალაქს სიონისა გუმბათი და სამხრო და შეამკო ყოვლითურთ სიპატიოსნითა, განაპატიოსნა ცხოველსმყოფელი სვეტი და დაასვენა კარსა სვეტისასა ხატი პატიოსანი, შემკული

ყოვლითურთ სიპატიოსნითა. შემოავლო სვეტსა ფარდა მძიმისა ზარ-ბაბისა, გამოუცვალა კანკელსა ზეით სვეტები, თლილისა ქვისა აღაშენა ურბნის სამრეკლო და გალავანი, განაპატიოსნა შიგნით გარემდი, მოიყვანა ვლახეთის ხელმწიფიდან მესტამბე და გამოიღო სტამბა, განამრავლა საღმრთო წერილი" (გვ. 323).

ვახტანგისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში, რომელიც, თ. ჟყონიას ვარაუდით, დაწერილი უნდა იყოს 1722 წელს გიორგი აბაშიძის მიერ, ნათქვამია:

> „იერუსალიმს, მთაწმიდას, სხუათ მონასტერთა ცხოველთა,
> შესაწირავით ამდიდრებ. გულს აღუსრულებ მთხოველთა,
> პატრიარხთ-კათალიკოსთა, სხუათ ეპისკოპოსთ ყოველთა,
> და ჰსწყალობთ ქერივთ, ობოლთ, მონაზონთ, გლახაკთ ხელაღუპყრობელთა"[125].

ვახტანგის სარწმუნოებრივი სიმტკიცე კარგად გამოჩნდა სპარსეთში ტყვეობის დროს, სადაც მან დიდხანს იბრძოლა და ყოველ ღონეს მიმართა, ბოლომდე შეენარჩუნებინა ქრისტიანული რჯული. 1712 წლის 28 აგვისტოს პიერ დ'ისუდენი ისპაჰანიდან იწერებოდა: „საქართველოს მეფე... უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც ჩამოვიდა ისფაჰანში, მისი ძმის, სპარსეთის ჯარების გენერალსიმუსის სიკვდილის შემდეგ შაჰმა ის დაიბარა, რათა დაეყოლიებინა გამაჰმადიანებულიყო. მან მასზე რამდენჯერმე მიიტანა იერიში, რომელსაც მეფემ დღემდე დიდი სიმტკიცით გაუწია წინააღმდეგობა. ორი ან სამი შეხვედრის დროს, მე რომ პატივი მქონდა იგი მენახა, მან მე მითხრა, რომ უფრო ადრე მას ნაკუწ-ნაკუწად აქცევენ, ვიდრე თავის სარწმუნოებას მიატოვებინებენ... ჩანს, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უფრო ადრე დატოვოს თავისი სამფლობელოები, ვიდრე სარწმუნოება"[126].

1713 წლის 13 მაისის წერილში იგივე პიერ დ'ისუდენი იუწყებოდა: „ვინაიდან ეს საბრალო მეფე იმყოფება აქ, აი, უკვე წელიწადია, როგორც ტყვე, შაჰს, რომელმაც ის მიიწვია, არ უნდოდა მისთვის ნება დაერთო წასულიყო თავის სამფლობელოებში, სანამ ის არ გახდებოდა მაჰმადიანი, როგორც ეს გააკეთა მისმა მამამ, ბიძამ და მისმა ძმამ, რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი სამთავრო. ის, თითქოს,

---

[125] თ. ჟ ყ ო ნ ი ა, „ქება ვახტანგ მეექვსისა", გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 6 აპრილი, 1947, გვ. 4.

[126] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 110.

მტკიცედ დგას და სრულიად არ სურს დაუბრუნდეს ასეთ უღირს პირობებს...“ (იქვე, გვ. 117).

ეს სარწმუნოებრივი შეუვალობა უნდა ჰქონოდა მხედველობაში ჟან რიშარს, როდესაც იგი 1714 წლის 29 ოქტომბერს ვახტანგის შესახებ წერდა: მისი „სიმამაცე, როგორც მე ვფიქრობ, სიამოვნებას მოჰგვრის საფრანგეთის მეფეს“ (იქვე, გვ. 117).

თ. კრუსინსკის ცნობით, როცა ოთხი წლის გადასახლების შემდეგ ვახტანგს ისევ შესთავაზეს მაჰმადიანობის მიღება, „მან ადრინდელი შეუდრეკლობით განაცხადა, რომ მზად არის მოკვდეს თავისი სარწმუნოებისათვის“ (§ 172).

ასე იყო ერთხანს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვახტანგი იძულებული გახდა დამორჩილებოდა ძალმომრეობას და 1716 წლის 1 ივლისს მიეღო მაჰმადიანობა[127]. როგორც თ. კრუსინსკი აღნიშნავს, „იმავე დღეს გაუკეთდა წინადაცვეთა“ (§172). ამ მისიონერისავე ცნობით, ვახტანგმა მხოლოდ გარეგნულად, ფორმალურად მიიღო ისლამი. სინამდვილეში, თავისი შინაგანი რწმენით ის ჭეშმარიტ ქრისტიანად დარჩა. თ. კრუსინსკი, რომელიც ამგვარი შემთხვევების გამო საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „საყოველთაოდ ცნობილი იყო, ქართველი თავადები გულში ყოველთვის ინარჩუნებდნენ ქრისტიანობისადმი ერთგულებას და უფრო უთანაგრძნობდნენ ქრისტიანულ ლაშქრობებს, ვიდრე მუსლიმანურს“[128], ვახტანგის შესახებ მოგვითხრობს: „ერევანზე გავლით უკან დაბრუნებისას მან (ვახტანგმა — ბ. დ.) გვიან ღამით უკვე ნახსენები ელიზბარის საშუალებით გამომიგზავნა მოლა და თავისთან მიმიწვია. მიმნდობი და ხანგრძლივი საუბრის დროს მან განაცხადა: «ქრისტე მაცხოვარს ეკუთვნის ჩემი სხეული, ხოლო მაჰმადს კი სხეულის ის [მოკვეთილი] ნაწილი, რომელიც მისი სექტის ნიშანია»“ (§ 173).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქრისტიანობისადმი ვახტანგის თავდადება და ზრუნვა მარტო მისი რელიგიური მორწმუნეობით, მით უფრო ფანატიზმით, არ შეიძლება აიხსნას. როდესაც ეკლესიისადმი მის დამოკიდებულებას ვეცნობით, აშკარად ჩანს, საეკლესიო საქმე მისთვის განუყოფელია იმ დიდი და ფართო სახელმწი-

---

[127] ამ თარიღს იძლევა სეხნია ჩხეიძე: „ქორონიკონს უდ, თიბათვის ა, მოიყვანეს ქირმანიდამ ბატონიშვილი ვახტანგ, გაათათრეს, მისცა ყაენმა პატივი და უშურველი წყალობა, გაათათრეს და დაარქვეს უსეინ ყული-ხანი, უბოძა ქართლი, ერანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდა“ (გვ. 327).

ვახუშტი ბაგრატიონი მარტო წელს აღნიშნავს: „ხოლო ვინაჲთგან ვერღარა აღასრულა იესემ დავედრებული ყეენისა, მაშინ მოიყვანა ყეენმან ვახტანგ, მისცა ქართლი და სპასალარობა ერანისა და მიაქციეს რჯულსა მათსა ქ-სა ჩღივ, ქარ. უ-დ და წარმოავლინეს თავრიზს...“ (გვ. 495).

[128] ამასვე აღნიშნავს იგი წინაც (§ 151).

ფოებრივი ღონისძიებებისაგან, რომელსაც იგი შინ და გარეთ ატარებდა. მისი მოღვაწეობის ყოველი ნაბიჯი გვიჩვენებს. სწავლული მეფე ყოველმხრივ ცდილობს განამტკიცოს ეკლესია, ქრისტიანული სარწმუნოება იმ პირობით, რომ დაუქვემდებაროს საერო ხელისუფლებას და გამოიყენოს იგი, ერთი მხრივ, ქვეყნის საშინაო ერთიანობისა და სიმტკიცისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გარეშე მტრებთან ბრძოლაში. „თურქ-სპარსთა შემოტევის გამო ერში ქრისტიანული მოძღვრების განმტკიცება ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნების ერთ-ერთი ფორმა იყო"[129]. სწორედ ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი ერთიანობის ძალის მოიმედე უნდა ყოფილიყო ვახტანგი, როდესაც იგი „მაჰმადიანობის ძალმომრეობის პირობებში... ეროვნულ-ქრისტიანული პოლიტიკის მედროშედ გამოვიდა"[130].

XVII—XVIII საუკუნეთა მოღვაწეები, კერძოდ, თეიმურაზ პირველი, არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი, დავით გურამიშვილი და სხვები ერთხმად აღნიშნავენ საქართველოში ქრისტიანობის რყევას, რელიგიურ გულგრილობას, მამაპაპური ტრადიციების დავიწყებასა და უცხოური, ყიზილბაშური ადათ-წესების შემოღებას, ზნეობრივ გახრწნასა და გადაგვარებას... ყველაფერი ეს მიზეზშედეგობრივ კავშირში იყო ერთმანეთთან, საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული დაღუპვისაკენ რომ ეწეოდა.

„დღესავით ნათელია, — წერს ქრ. შარაშიძე, — რომ სპარსულ-თურქულ ბატონობასთან ბრძოლაში ფეოდალური საქართველოს (კერძოდ, ქართლის) მოწინავე ადამიანები ძალადობით თავზე მოხვეულ მუსლიმანურ გავლენას უპირისპირებდნენ ძველი საქრისტიანო ქვეყნის ეროვნულ-სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობის იდეას.

ეს იმიტომ, რომ ფეოდალური შეზღუდულობის პირობებში ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეა ერთადერთი გამაერთიანებელი დროშა იყო, რომელსაც, თითქოს, შესწევდა დარღვეული სახელმწიფოებრივი სხეულის იდეურად გამთელების ძალა.

ასეთი ბრძოლა იმდროინდელ ვითარებაში მით უფრო საიმედო იყო, რომ სინამდვილეში არსებობდა დაშლილი საქართველოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი ერთიანობა, რომელიც ზოგადად კულტურული და ყოფა-ცხოვრებით ერთიანობის შემცველიც იყო. შეიძლება ითქვას, რომ იგი არასოდეს არ გამქრალა, თუმცა შერყეული და დაზიანებული იყო. საჭირო იყო მისი წინ წამოწევა, განმტკიცება და მტერთან ბრძოლაში მძლავრ იარაღად გამოყენება. ოდესღაც დიადი კულტურული ტრადიციის მქონე ქართული ეკლესიის გამაერთიანებელი უნარის

---

[129] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 441.

[130] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 399.

მთელი მნიშვნელობა მტერსაც მშვენივრად ესმოდა და სწორედ ამიტომ აქეთკენ მიმართავდა იგი თავისი მოქნილი პოლიტიკის საწერტელს"[131].

ამ დიდი სახელმწიფოებრივი მიზნებით იყო ნაკარნახევი ვახტანგის მიერ ჩატარებული ღონისძიებანი, საეკლესიო საქმეების მოწესრიგებას რომ ეხებოდა: მცხეთის კათალიკოსად ერეკლე პირველის მიერ დასმული ბესარიონის ნაცვლად თავისი ძმის, დომენტის, დაყენება, ეკლესიისათვის ფეოდალების მიერ მიტაცებული მამულების უკან დაბრუნება, ეკლესია-მონასტრების შეკეთება-განახლება, სასულიერო წიგნების გამრავლება-ბეჭდვა...

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ თავის საკანონმდებლო წიგნში „სამართალი ვახტანგ მეექვსისა" მან ერთად და ცალკე მუხლად გამოყო სასჯელი ქრისტიანობისა და ქვეყნის ღალატისათვის: „ვინც კაცმა ქ ვ ე ყ ა ნ ა ს და ქ რ ი ს ტ ე ს რ ჯ უ ლ ს უორგულოს, კიდეც ხედევდეს, იმით რ ჯ უ ლ ი წ ა ხ დ ე ბ ო დ ე ს, იმას მიყვეს,— ღ მ ე რ თ ი ს ა და ბ ა ტ ო ნ ი ს ა, ო რ ი ს ა ვ ე მ ე ს ი ს ხ ლ ე ი ქ ნ ე ბ ი ს და ყ ო ვ ე ლ ი ა ვ ი ი მ ა ზ ე დ შ ა რ თ ე ბ უ ლ ი ა რ ი ს" (მუხლი 222).

როგორც მ. ბროსეს, მ. თამარაშვილის, დ. ლანგის, ი. ტაბაღუასა და სხვათა მიერ გამოქვეყნებული საბუთები გვიჩვენებს, მუსლიმანური სახელმწიფოებისაგან თავდაცვის მიზნით ევროპის სახელმწიფოებთან კავშირის დასამყარებლად ვახტანგი ყოველნაირად უჭერს მხარს კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას საქართველოში და თავადაც მზად არის კათოლიკობა მიიღოს.

სულხან-საბა ორბელიანის 1714 წლის 25 მარტის მემორანდუმში, რომელიც მან საფრანგეთის იმპერატორის სახელმწიფო მინისტრს გრაფ დე პონშარტრენს იმპერატორისათვის გადასაცემად წარუდგინა, აღნიშნულია: „თუ ვახტანგი, საქართველოს მეფე, დარჩება ისფაჰანში, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მ თ ლ ი ა ნ ა დ გ ა მ ა ჰ მ ა დ ი ა ნ ე ბ ი ს ა შ კ ა რ ა ს ა ფ რ თ ხ ე შ ი ა. თუ ის დაბრუნდება თავის სამფლობელოებში, ქართველები არა მარტო შეინარჩუნებენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, არამედ ასევე შ ე უ ე რ თ დ ე ბ ი ა ნ კ ა თ ო ლ ი კ უ რ ს თ ა ვ ი ა ნ თ ი მ ე ფ ი ს მ ა გ ა ლ ი თ ი ს ა მ ე ბ რ, რ ო მ ე ლ ი ც გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ი ა ე ს გ ა ა კ ე თ ო ს და, რომელიც მიაწერს რა თავის უბედურებას ამ საქმეში მის მიერ დაყოვნებას, გ ა მ ო თ ქ ვ ა ს უ რ ვ ი ლ ი მ ე ტ ი ა ღ ა რ დ ა ა ყ ო ვ ნ ო ს, როგორც კი ის დაბრუნდება თავის სამეფოში. ამ მეფის განზრახვა უფრო ვრცელიცაა; მ ა ს ს უ რ ს მ ი ს ი ო ნ ე რ ე ბ ს მ ი ს ც ე ს ქ მ ე დ ი თ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი, მ ი ა ღ ე ბ ი ნ ო ს ე ს ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა ჩ ე რ ქ ე ზ ე თ ს,

---

[131] ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), გვ. 62.

რომელიც ესაზღვრება საქართველოს და რომლის მთავრის ერთ-ერთი ასული მან ცოლად შეირთო“[132].

მეორე „მემორანდუმში“, რომელიც 1714 წლის 25 აპრილით არის დათარიღებული და რომლის შედგენაში მონაწილეობა მიუღია სულხან-საბა ორბელიანს (გვ. 238), ნათქვამია: „სულხან-საბას, როგორც ჩანს, გავლენა აქვს საქართველოში: ხალხში და სამეფო ოჯახზე; ასევე ჩანს, რომ გულით მეტად განწყობილია რომის კათოლიკური სარწმუნოებისადმი იმ იმედით, რათა მასში გააერთიანოს თავისი ქვეყნის ყველა ხალხი, რომლებიც საქიზმატიკები არიან. გახდა რა თვითონ 22 წლის წინათ რომაელი კათოლიკე და შემდგომში ბერი, რათა ჰქონოდა საშუალება ემუშავა ამ მიზნისათვის უფრო თავისუფლად; და სწორედ ამან მიიყვანა ის იქამდე, რომ მისულიყო საფრანგეთამდე ერთადერთი მიზნით, გამოეთხოვა მისიონერები. სამეგრელოს პატრიარქი[133], რომელიც არის ასევე, თუმცა სულ სხვადასხვა ხალხების, აფხაზების, იმერლების და გურულების პატრიარქი, მიემხრო მას იმავე მიზნით, სურდა რა პირველ რიგში თვითონ განათლებულიყო და მიეზიდა შემდგომში რომის ეკლესიისადმი ყველა ეს ქვეყანა. ისინი ამბობენ აგრეთვე, რომ საქართველოს მეფეს ვახტანგს ისე არ სურდა არაფერი, როგორც ის, რომ ჰქონოდა შესაძლებლობა მიეღო კათოლიკობა და მიეცა ეს მაგალითი ყველა იმ ქვეშევრდომისათვის, რომლებიც მას კიდევ რჩება, რომ გარდა ამისა, ეს მეფე ენათესავება რა დედოფლის, თავისი მეუღლის მხრივ სამ მთავარს, რომლებიც მართავენ ჩერქეზეთს და რომლებიც დედოფლის ძმები არიან; ასევე, მეტად ადვილი იქნებოდა შემდგომში ყველა იმ ხალხის სარწმუნოებაში მოქცევა, რომლებიც მათ ემორჩილებიან და რომლებსაც უკავიათ ქვეყნის სივრცე იმდენადვე მნიშვნელოვანი, რამდენადაც ძნელად შესაღწევი...“ (გვ. 212—213).

1714 წლის 13 აპრილს რომის პაპი კლიმენტი XI საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-ს სწერდა: „...იოტისოდენა ეჭვიც არ შეგვიძლია ვიქონიოთ, რომ აღფრთოვანებით და მზადყოფიერითა სულითა და უმტკიცესი საქმით მიიღებდით მფარველობასა შენსა მეფესა ანუ მთავარსა საქართველოსა, რომელიც ამ ხანად სპარსთა მეფესთან მისდაუნებურ დაკავებულია. ხოლო იგი, როგორც შეგვიტყვია, თუ კი და-

[132] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 182.

[133] ი. ტაბაღუას შენიშვნით, ეს არის დასავლეთ საქართველოს (იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი) კათალიკოსი გრიგოლ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე (1696—1744). საფრანგეთში დაცული მასალების მიხედვით, სულხან-საბას საფრანგეთსა და იტალიაში მოგზაურობისას ახლდა გრიგოლის თანაშემწე ბერი დავითი (იქვე, გვ. 134—137).

უბრკოლებრივ თავის უფლებაში დაბრუნებას შესძლებდა, იმ განწყობილებას, რომელსაც იგი კათოლიკობისადმი წინად ავლინებდა, კვლავადაც მათდამი მოწყალებაზე ხელს არ აიღებდა" (იქვე, გვ. 200, აგრეთვე, გვ. 210).

ამ წერილს ახლავს ე. წ. „არგუმენტი", სადაც ნათქვამია: „უქრისტიანეს მეფეს ვთხოვ, რომ ზეგავლენა მოახდინოს სპარსეთის ხელმწიფეზე, რათა მან აზიის იბერიის მეფე გაათავისუფლოს და თავის სამშობლოში დააბრუნოს, იმის გამოც, რომ მეფე დიდ იმედს იძლევა კათოლიკური სარწმუნოებისადმი კეთილმოსურნეობაზე, ამისათვის საჭიროა, რომ მან მართლმადიდებელი სარწმუნოება აღადგინოს" (გვ. 204).

აღნიშნული ცნობები გამეორებულია აგრეთვე სხვა წერილებში (გვ. 261, 327). მოგვიანებით, 1722 წლის 29 ნოემბერს ვახტანგი ავსტრიის იმპერატორს კარლოს მეექვსეს სწერს: „ამ მძიმე ვითარებაში ჩვენ გვრჩება ერთადერთი გამოსავალი, მივმართოთ თქვენს გულმოწყალებას; მოგმართავთ რა თქვენ თხოვნით, აიძულოთ მაჰმადიანები ძალით ან პორტაში თქვენი ელჩის საშუალებით, შეაჩერონ ჩვენზე გამანადგურებელი ლაშქრობა, რომლითაც ისინი ჩვენ გვემუქრებიან და, თუ აქაური ხალხის, რომლებიც იმყოფებიან თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ, უმრავლესობა არ იმსახურებს ამ პატივს, — რადგანაც გაეყარნენ ჭეშმარიტ რომაულ ეკლესიას, მაინც მეტად მრავლად არიან ჩვენს სამფლობელოებში კათოლიკეები, და მათ რიცხვში მეც, ჩემი რწმენით, თუმცა ამ ადგილებში არეულობა ჯერ კიდევ საშუალებას არ მაძლევს, გავამხილო ეს. ჩემს მოვალეობად მივიჩნევ, მაინც ვაცნობო ეს თქვენს უდიდებულესობას, ვინაიდან თქვენი გულმოწყალე მფარველობა აქ მცხოვრებ კათოლიკური ეკლესიის ჭეშმარიტი შვილებისადმი იქნება მეტად ნაყოფიერი საშუალება, რათა კვლავ გაერთიანდნენ გათიშულნი და მოექცნენ ისინი ჭეშმარიტ, ნამდვილ სარწმუნოებაში. ამიტომ უმორჩილესად გევედრებით თქვენ კეთილ მფარველობას"[134].

თუ ევროპის ქვეყნებისაგან დახმარების მიღებისათვის ვახტანგი კათოლიკობის მიღებასაც არ ერიდებოდა, რაც, როგორც თვითონ მიანიშნებს, მნიშვნელოვან წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული,

---

[134] ი. ტაბაღუა, საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან), თბ., 1979, გვ. 78—79.

ცხადია, ამ მხრივ ბევრად უფრო სასურველი და საიმედო უნდა ყოფილიყო მართლმადიდებელ რუსეთთან საქმის დაჭერა. როდესაც ვახუშტი ბაგრატიონი ვახტანგისა და პეტრე პირველის სამხედრო შეთანხმებაზე მოგვითხრობს, უპირველესად ქრისტიანობას უსვამს ხაზს: „ამა ამბავთა შიგა მოვიდა ელჩი რუსეთის ხელმწიფისა პეტრესგან მეფეს ვახტანგთანა და ებოძა ქარტა წყალობისა და ხლება მისათანა: «ძალითა ქ რ ი ს ტ ე ს ი თ ა აღვსდეგ ტახტით ჩემითგან და მოვსრნე მტერნი ჩემნი და წარმოვალ ადგილთა შირვანისათა, ნახე ბრწყინვალება და სპათა სიმრავლე». იამა მეფეს სიხარულითა დიდითა, ვითარცა ქ რ ი ს ტ ე ს მ ო ყ ვ ა რ ე ი ყ ო, ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ხ ე ლ მ წ ი ფ ე იპყრობდა ქვეყანასა" (გვ. 329—330).

ვახტანგის ეპისტოლეებში, რომლებსაც იგი პეტრე პირველსა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს უგზავნის, ისე როგორც დასავლეთ ევროპის მონარქებთან გაგზავნილ წერილებში, თითქმის ყოველთვის თხოვნა სარწმუნოებრივ ნიადაგზეა მოტივირებული: ქრისტიანებმა იხსნან ქრისტიანობა და ქრისტიანი ხალხი.

ამავე პოზიციიდან უნდა შევაფასოთ ვახტანგის მხატვრული შემოქმედებაც. მისი პოეზია, რომელიც ქრისტიანულ მოძღვრებაში ღრმად განსწავლული მორწმუნე ადამიანის სულისკვეთებით არის გამსჭვალული, გარდა იმისა, რომ მასში გამოთქმული ღვთისადმი ღაღადისი პოეტის სულიერ სიმშვიდეს იწვევდა, ამავე დროს ის ხელს უწყობდა ქრისტიანული იდეების პროპაგანდასა და რელიგიური რწმენის განმტკიცებას ხალხში, რაც თავის მხრივ, ვიმეორებთ, მძლავრი საშუალება იყო ძველი საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის.

როგორც ზემოთ ითქვა, ზოგიერთი მისი ლექსი წმინდა პრაქტიკული დანიშნულებისაა და ამა თუ იმ რელიგიურ საქმეს ემსახურება. ლექსი „თუ კი გინდა სულის კარგი..." ხალხს აცნობს „ძველი აღთქმის" წიგნებს, რაც უთუოდ დაეხმარებოდა მათ ბიბლიისადმი ინტერესის აღძვრასა და შემდგომ — შესწავლაში. „ათცხრამეტური" კი აღდგომის დღის გამოსაანგარიშებელი ლექსია, რომელიც თავის მხრივ სხვა მოძრავი საეკლესიო დღესასწაულების გამოთვლის საშუალებას იძლევა.

ვახტანგის თითქმის ყველა პოეტური ქმნილება მორწმუნე ქრისტიანის პოზიციებიდან არის დაწერილი, ეს ორიგინალური ნაწარმოები იქნება („სალბუნად გულისა", „ქილილა და დამანასა" და „კვინკლოსის" ანდერძები, „შვიდთა მთიებთა ბუნება", „ყვლის ქება", „კაეშანი", „უწყვეტელი", „რანი და მოვაკანი...") თუ თარგმნილი თხზულებანი („ამირ-ნასარიანი", „სიბრძნე მალაღობელი", „ქილილა და დამანა"), რომელთა ძირითადი თემები სხვა არის. ამ ნაწარმოებთა შესავალი,

ქვეთავების დასაწყისი (რომელთაც ეს ნაწილები აქვთ) და ცალკეული პასაჟები თეოლოგიურ საკითხებს ეძღვნება. შექებულია ღმერთი, ქრისტე, როგორც ცისა და ქვეყნის შემოქმედი და გამრიგე, სიკეთისა და სამართლიანობის დამცველი... აღნიშნულია ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობა და სამარადისო სასუფევლისადმი ზრუნვა. მოცემულია ლოცვა და ვედრება, იხსნას ადამიანთა მოდგმა ეშმაკისაგან, აქაური ცდუნებებისაგან და ა. შ. აქედან ზოგიერთ მათგანზე უკვე ვისაუბრეთ, ზოგსაც ქვემოთ შევეხებით.

ვახტანგს საკმაოდ აქვს ოდენ სასულიერო თემებზე შეთხზული ნაწარმოებები. გარდა ლექსისა „თუ კი გინდა სულის კარგი...", ასეთებია: „სატრფიალონი", „შიო მღვიმელს", „ბოლოერთი", „შურით აღივსნენ უგბილნი...", „ვახტანგური", „მუხრანული". თუმცა ეს ლექსები თეოლოგიურ თემებზეა აგებული, მაგრამ მათი იდეა ყოველთვის სასულიერო ხასიათით არ იფარგლება. მაგალითად, ლექსში „ბოლოერთი" აზრი უმადურობის ზოგად იდეამდე მაღლდება. მასში ბიბლიის მიხედვით, ღმერთის პირით მოთხრობილია ის ამაგი, რომელიც მან კაცობრიობას დასდო, სამაგიერო კი იმით გადაუხადეს, — სასიკვდილო ჯვარი აღუმართეს:

„მე შევამკევ ცა, ქვეყანა, ზღვა, მთა, ველი, ნაყოფთ ვვარი,
აბრამს უხმე საყვარელად, ძედ ალგითქვი თესლთა მზღვარი,
განვამდიდრე, განვამრავლე, ზეცით მოვეც ნაყოფთ ცვარი,
ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი!" (1)

შემდეგ მოთხრობილია: „შევაძრწუნე მეგვიპტელნი, რისხვით მივეც დანამწვარი...", „განვიყვანე ხელთა მათგან უჭირველად განაგვარი...", „ღამე უძღოვ ნათლის სვეტით...", „მწყურვალთ მივეც კლდისგან ღვარი...", „სულ აღვხოცე მტერნი მათნი...", „ბრმათა თვალი აღუხილე..., სნეულთ მივეც განკურნება, აღვადგინე მათი მკვდარი" და ა. შ. სამაგიერო ამ დიდი ზრუნვისა ერთია: „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა (ანდა „წყალობათა") აღმიმართეს საკვდად ჯვარი!", რომელიც ხუთივე სტროფში რეფრენად მეორდება.

აქ უნებლიეთ გვაგონდება ვახტანგის თავგადასავალი. განა, „სალბუნად გულისა"-ში ანალოგიურ მოპყრობას არ უჩივის იგი თავის ნაამაგარ ხალხს?

დღესაც, რელიგიური გრძნობისაგან თავისუფალი მკითხველისათვის, რომლებიც ბიბლიურ ამბებს ისე გულმხურვალედ და უტყუარ ჭეშმარიტებად აღარ განიცდიან, როგორც მორწმუნენი, „ბოლოერთს" არ დაუკარგავს ზემოქმედების უნარი, რადგან იგი ეხება მარადიულ თემას და ცოცხლად და დამაჯერებლად გვიხატავს და გმობს უმადურობასა და უსამართლობას.

ამავე თვალსაზრისით, საყურადღებოა ლექსი „შურით აღივსნენ უგბილნი...“ ამ პატარა, ორსტროფიან ლექსში სახარების შესაბამისად პარალელიზმის მხატვრული ხერხით მოთხრობილია ბოროტ და უმეცარ შეთქმულთა მოქმედება ქრისტეს საწამებლად: „შურით აღივსნენ უგბილნი... სიკვდილს ზრახვიდენ უწესოდ... უსჯულო მისი მოწაფე მიცემას ჰპირავს ამისა...“ და ბოლოს:

„მტილში მიუძღვა კრებულთა საწუხი ყოვლის გვამისა,
მღვდელ-მოძღვრისასა მიეიდენ გასატანჯველად, ვა, მისა,
ბრალი ვერ პოვეს მის ზედა, კვლავ სცემდენ წამ-და-წამისა...“

პოეტი ხატავს შემზარავ სურათს წამებისა, მაგრამ ამას აკეთებს არა ქრისტეს ტკივილებისა და ტანჯვის აღწერით, არამედ მარიამ ღვთისმშობლის, ანუ, როგორც რ. ბარამიძე აღნიშნავს, დედის განცდების წინ წამოწევით: „ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!“, რომელიც თხრობის პარალელურად ორივე სტროფის ბოლოს რეფრენად მეორდება. განიხილავს რა დ. გურამიშვილის ანალოგიური შინაარსის ლექსს[135], რ. ბარამიძე წერს: „დავით გურამიშვილის ღვთისმშობლის საგალობლები ასევე ეხმიანება თავისი პატრონის, ვახტანგ მეექვსის ანალოგიურ მიძღვნას ღვთისმშობლისადმი. ვახტანგ მეექვსის ლირიკული ლექსი: «ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევ[ნ]ი მარიამისა», ისე როგორც დ. გურამიშვილის ზემოთ განხილული ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ლოცვები გამოხატავს შვილის დაღუპვით გამოწვეულ დედის ღრმა განცდებს: განცდას დედისა, რომელიც ძის ფიზიკური ტკივილების თანაზიარია. ვახტანგ მეექვსეს ხატოვნად აქვს გადმოცემული იესოს ფიზიკური გვემის შემაძრწუნებელი სურათები და ამ სურათების შემყურე დედის მწარე განცდები“[136].

ამრიგად, ვახტანგმა შეძლო დაეძლია შუასაუკუნეების მწერლობაში შემუშავებული სტერეოტიპური ხატი ღვთისმშობლისა[137] და ქრისტეს ჯვარცმასთან დაკავშირებით მოეცა ყველა დროში ყველასათვის გასაგები და ახლობელი ორიგინალური და ფაქიზი სახე დედისა. ეს ლექსი, თავისი მხატვრული სიმართლითა და გამომსახველობითი ოსტატობით ერთი საუკეთესოთაგანია ქართულ პოეზიაში.

---

[135] ამ ლექსის შესახებ იხ.: ალ. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 21—22; შდრ.: მისივე, ახლო წარსულიდან (მოგონებანი). მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 1987, გვ. 95—96.

[136] რ. ბარამიძე, ქართული მწერლობის შესწავლისათვის, თბ., 1986, გვ. 159.

[137] ამ საკითხზე იხ.: ტ. მოსია, დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა, გვ. 101—117.

ვახტანგის ლიტერატურულ შემოქმედებაში მძლავრად არის ალბეჭდილი აზროვნების სიმბოლურ-ალეგორიული სტილი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული შუასაუკუნეების ყველა ერის ქრისტიანულ (და არა მარტო ქრისტიანულ!) მწერლობაში[138].

ამ თვალსაზრისით ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ „მუხრანული", სადაც სიმბოლურ-ალეგორიული ფორმით მოცემულია ქრისტიანულ-თეოლოგიური ესქატოლოგიური მოწოდება ქრისტეს მეორედ მოსვლისა და განსჯის შესახებ[139].

ვახტანგის პოეტურ და მეცნიერულ თხზულებებში ამავე მეთოდით არის გაშუქებული სიყვარულის თემა, რომელსაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს როგორც მის პოეზიაში, ისე ქრისტიანულ მოძღვრებაში.

ამ თემაზეა დაწერილი ვახტანგის ყველაზე ვრცელი ორიგინალური ნაწარმოები „სატრფიალონი". საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი მის მეორე, ასევე ვრცელ ორიგინალურ თხზულებაში „სალბუნად გულისა". ამავე თემას ეძღვნება მისი პატარა ლირიკული ლექსი „ვახტანგური". გარკვეული ადგილი ეთმობა მას აგრეთვე „ამირ-ნასარიანში"[140].

ჩვენი მოსაზრება „ვახტანგურის" შესახებ უკვე გამოვთქვით[141]. განვიხილოთ დანარჩენები. ვინაიდან საკითხი შედარებით მარტივად და ნათლად „ამირ-ნასარიანშია", პირველად მას შევეხებით.

---

[136] სიმბოლოსა და ალეგორიის შესახებ ძველ ქართულ მწერლობაში იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული მწერლობიდან, XI, თბ., 1973, გვ. 178—239; რ. ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 164—204; ს. ცაიშვილი, შოთა რუსთველი — დავით გურამიშვილი, თბ., 1974, გვ. 206—211; რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 245—257; ზ. გამსახურდია, რუსთველი და ანტონ პირველი, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 1, გვ. 75—87, № 3, გვ. 97—107; ი. ამირხანაშვილი, ლექსთა იგავი, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1987, № 1, გვ. 40—49; თ. გრძელიძე, სიმბოლიკის საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, „ლიტერატურული ძიებანი", II (XVII), თბ., 1987, გვ. 301—310 და სხვა.

[139] ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა, გვ. 192—220.

[140] სიყვარულზე აქა-იქ საუბარია ვახტანგის სხვა თხზულებებშიაც („სიბრძნე მალაღობელი", „ქილილა და დამანას" ლექსების მისეული თარგმანი), მაგრამ ჩვენი კვლევის თვალსაზრისით ისინი რაიმე საყურადღებოს არ შეიცავენ.

[141] ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა, გვ. 183—185.

ამ ნაწარმოებში სიყვარულზე ორჯერ არის მსჯელობა. ერთგან მას პატარა, სამსტროფიანი, მაგრამ ცალკე, საგანგებო თავი აქვს გამოყოფილი, რომლის სათაურია „თქმა სიყვარულისათვის“. პირველ რედაქციაში იგი ასე იკითხება:

„მღთით სვემან და მოჭირვებამ წარმიმართა ამა სამა,
ერთმა სოფლის მოსავალმა ცუდათ რამე ამასამა,
აწ გამხადა სოფლის მგმობლად ჭირმა ჩემ[მ]ა ამა სამა,
და ვერვინ ჰპოოს სოფელშია საამბობლად ამას ამა. (116)

ნახეთ, მოციქულთ წერილი სიყვარულს როგორ ზრახებსა!
თვით მას მოქმედს და უქმედსა სიყვარულს დაასახებსა,
ამით გვაქადის მორჩენას მას ძნელსა დასაახებსა,
და თავსა დაგხურავს გვირგვინსა თვალთაგან დაუნახებსა. (117)

გიყვარდეს ასე მოყვასი, რაცა გწადს შენ საქნელადო,
მტერი იყოს, თუ მოყვარე, მეტი ნუ გინდა ძნელადო!
ნუ საქმით, ნურცა რჩევითა, ნურც სიტყვის გამომთქმელადო;
და სხვისგან შენავი, სხვამ შენგან ვერ პოოს მოსასხლელადო!“ (118)

მეორე რედაქციული წაკითხვა:

„ღმთით სვემა და მოჭირვებით წარმიმართა ამა სამა,
სოფლისაგან მოსავალმა მოუქმარად ამასამა,
აწ გამქადა დამაგმობლად საჭირომა ამ ასამა,
და უპოვია საწუთროსა საამბობლად ამას ამა. (116)

მოციქულებსა მიხედეთ, სიყვარულს ვითა აქებსა!
მას შემოქმედსა უქმედსა სიყვარულს დაასახებსა,
ამითი დაგვაქადებენ მორჩენას ძნელსა ახებსა,
და გვეუბნებიან გვირგვინსა თვალითა დაუნახებსა. (117)

ასე გიყვარდეს მოყვასი, შენთვის გწადს მოსაქნელადო;
მტერ-მოყვარეთა მეტობით ნუ მისცემ ვასაძნელადო!
საქმითა, გამორჩევითა, ნუც სიტყვის გამომთქმელადო;
და მისგან შენ ავი, მას შენგან უხვედრი მოსავალადო!“ (118)

(S 171, გვ. 121—122)

ამ ნაწილის დედანთან — „ყაბუს-ნამეს“ სპარსულ ტექსტთან და მის ქართულ ვახტანგისეულ პროზაულ თარგმანთან მიმართება ასეთია:

---

[142] ეს თავი გამოქვეყნებულია კრებულში: ლიტერატურული ძიებანი, II (XVII), გვ. 259—272.

ვახტანგისეულ პროზაულ თარგმანში არ იკითხება სპარსული ტექსტის სწორედ ის თავი, რომელიც უშუალოდ სიყვარულს ეხება და სათაურიც შესაბამისი აქვს — „სიყვარულისათვის". მასში საუბარია ქალისადმი სიყვარულზე, — რას წარმოადგენს იგი, როგორი პოზიცია უნდა ჰქონდეს კაცს მის მიმართ და ა. შ.[143] ამ თავის სანაცვლოდ, ამავე სათაურით („სიყვარულისათვის") ვახტანგს გადმოუღია თხზულების მომდევნო თავი, რომელშიც საუბარია არა სიყვარულზე, არამედ სქესობრივი კავშირის ზნეთსწავლაზე, რაც დედანში სათაურშივეა აღნიშნული — „ვნებათა დაკმაყოფილებისათვის"[144]. აი, ვახტანგის პროზაული თარგმანი:

„სიყვარულისათვის

შვილო! საყვარელი გიყვარდეს, ნიადაგ ხუმრობასა და თამაშობას ნუ აჰყვები, ნიადაგ ნუ დასწვები, მუდმისად წოლას კაცისათვის ზიანი მოაქვს და მთვრალი კაცისაგან ქალთან წოლას კიდევ უფრო ზიანი აქვს. მეორეს დღეს ნამთვრალევს უკეთესია. რასაც დროს ქალთან წოლა მოგინდეს, ნუ იქმ! იმგვარი საქმე სხვამ, პირუტყვმა იცის, რომ, რასაც დროს მოაგონდების, არ იკითხავს. ადამიანი, კაცი დროს უნდა დაიჭერდეს, ამიტომ რომ ნამეტნავი იმგვარი საქმე ავი არის და რომ სულ არა ქნას, ისიც ავი არის. მაშ, ყოველს ფერში კაცი შუათანად უნდა იყოს, რომ ზიანი არა ჰქონდეს ამ საქმისაგან. ზიანი ხომ გამოჩენით ჩანს, რომ არც თბილს აბანოში უნდა, არც ცივს სახლში, არც მშიერს უნდა და არც მწვედ მაძღარს ვარგა. ჰავა რომ მოთადილი იყოს, გამოზაფხულს კარგია, აგრევე შემოდგომაზედა"[145].

თუ შევადარებთ ამ ტექსტს დედანს, მის თანამედროვე ქართულ თარგმანს, დავრწმუნდებით, რომ ვახტანგი საკმაოდ ზედმიწევნით გაჰყოლია მას. სამაგიეროდ, მისი შედარება ლექსით ვერსიასთან საპირისპიროს გვიჩვენებს, მათ შორის არაფერია საერთო. ვახტანგი ლექსით ვერსიაში გვერდს უვლის არა მარტო ამ თავში აღძრულ საკითხებს, არამედ, საერთოდ, „ყაბუს-ნამეში" მოცემულ მსჯელობას სიყვარულის შესახებ და სულ სხვა შინაარსს იძლევა. იგი ეყრდნობა და ქადაგებს ქრისტიანულ თვალსაზრისს სიყვარულის შესახებ. აქ წყარო პირდაპირ არის დასახელებული, — „მოციქულთ წერილი".

როგორც ცნობილია, ქრისტიანულ თეოლოგიაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს მოძღვრებას სიყვარულის შესახებ, ამ სიტყვის

---

143 ქეი-ქაუსი. ყაბუს-ნამე, დარიგებათა წიგნი. სპარსულიდან თარგმნა წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ა. ლომთაძემ. თბ., 1978, გვ. 59—63.

144 იქვე. გვ. 64.

145 „ლიტერატურული ძიებანი", IX, გვ. 361.

ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. სახარებაში და მოციქულთა, განსაკუთრებით იოვანესა და პავლეს, ეპისტოლეებში არაერთი ღირსშესანიშნავი აზრია გამოთქმული ამ გრძნობასთან დაკავშირებით. სიყვარულის უდიდესი ძალა და ცხოველმყოფელობა შესანიშნავად არის გადმოცემული კორინთელთადმი მიწერილ პავლეს პირველ ეპისტოლეში. აი, ზოგიერთი ადგილი ამ ეპისტოლედან:

„და მაქუნდეს ღათუ წინაჲსწარმეტყუელებაჲ და უწყოდი ყოველი საიდუმლოჲ და ყოველი მეცნიერებაჲ და მაქუნდეს ღათუ ყოველი სარწმუნოებაჲ, ვიდრე მთათაცა ცვალებადმდე, და სიყუარული თუ არ მაქუნდეს, არა-ვე-რაჲ ვარ.

და შე-ღათუ-ვჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივსცნე ჴორცნი ჩემნი დასაწუველად, და სიყუარული არა მაქუნდეს, არარაჲვე სარგებელ არს ჩემდა.

სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა შურნ, სიყუარული არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხვინელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა. ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ.

სიყვარული არასადა დავარდების, გინა თუ წინაჲსწარმეტყუელებანი განქარდენ, ანუ თუ ენანი და-ვე-სცხრენ, გინა თუ მეცნიერებანი განქარდენ" (13. 2—8).

„ხოლო აწ ესერა ჰგიეს სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული, სამი ესე; ხოლო უფროჲს ამათსა სიყუარული არს" (13. 13).

„შეუდეგით სიყუარულსა და ჰბაძევდით სულიერსა მას..." (14. 1).

„ყოველივე თქუენი სიყუარულით იყავნ" (16. 14) და სხვა.

მართლა პავლეს ეპისტოლეს ამ სიტყვებს შეიძლებოდა გამოეწვია ვახტანგის აღფრთოვანება და ის პათეტიკური ტონი, რომელიც აშკარად გამოსჭვივის მის სიტყვებში: „ნახეთ, მოციქულთ წერილი სიყვარულს როგორ ზრახებსა!" ან „მოციქულებსა მიხედეთ, სიყვარულს ვითა აქებსა!"[146]

---

[146] ვეფხისტყაოსანში გვაქვს: „მართლად იტყვის მოციქული: «შიში შეიქმს სიყვარულსა»" (სტრ. 1045). როგორც ვხედავთ, აქ „მოციქული" სხვა კონტექსტშია დამოწმებული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ვახტანგის მოყვანილი სტრიქონები ამ ტექსტის გავლენით არ არის შექმნილი.

ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ყოველგვარი სიყვარული ღმერთს უკავშირდება და ღვთისგან გამოდის. იოანეს პირველ ეპისტოლეში წერია: „საყუარელნო, ვიყუარებოდით ურთიერთას, რამეთუ სიყუარული ღმრთისაგან არს და ყოველი, რომელსა უყუარდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი. რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი...“ (4. 7—8).

სიყვარულის საფუძველს ქმნის ღვთის სიყვარული თავისი ქმნილების, ადამიანებისადმი, რის სანაცვლოდაც ეს უკანასკნელნიც ამავე გრძნობით არიან (ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყვნენ) გამსჭვალულნი თავისი მეუფისადმი: „და ესე არს სიყუარული, არა რამეთუ ჩუენ შევიყუარეთ ღმერთი, არამედ რამეთუ მან ჩუენ შემიყუარნა... ჩუენ გჳყუარს იგი, რამეთუ მან პირველად შემიყუარნა ჩუენ“ (იქვე, 4. 10, 19).

ამავე მოძღვრებით, ადამიანთა ურთიერთსიყვარულიც ღვთის სიყვარულით არის განპირობებული: „საყუარელნო, უკუეთუ ღმერთმან ესრეთ შემიყუარნა, ჩუენცა თანა-გუაც ურთიერთას სიყუარული. ღმერთი არასადავის უხილავს. უკუეთუ ვიყუარებოდით ურთიერთას, ღმერთი ჩუენ შორის ჰგიეს და სიყუარული მისი ჩუენ შორის აღსრულებულ არს“ (იქვე, 4. 11—12).

ერთმანეთისადმი სიყვარული ნიშნავს ქრისტიანულ ცნებაზე დგომას, მის შესრულებას: „და აწ გიკითხავ შენ, დედოფალო, არა ვითარცა მცნებასა ახალსა მივსწერ შენდა, არამედ რომელი მაქუნდა დასაბამითგან, რაჲთა ვიყუარებოდით ურთიერთას. და ესე არს სიყუარული, რაჲთა ვიდოდით მცნებათაებრ მისთა, და ესე არს მცნებაჲ მისი, ვითარცა-იგი გესმა დასაბამითგან, რაჲთა მას შინა ხჳდოდით“ (2 იოანე, 1. 5—6).

ქრისტიანობა იმდენად უკავშირებს სიყვარულს ღმერთს, რომ სიყვარულსა და ღმერთს იგივეობრივი ცნებით გამოხატავს, — თვით ღმერთს სიყვარულად სახავს და სხვა სახელებთან ერთად ამ სახელით მოიაზრებს მას. იოანეს პირველ ეპისტოლეში ეს პირდაპირ არის ნათქვამი და არა ერთხელ: „რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარული არს... და ჩუენ ვცნათ და გურწმენა სიყუარული, რომელი აქუს ღმერთსა ჩუენდა მომართ. ღმერთი სიყუარული არს და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა“ (4. 8, 21).

ეს შეხედულება გამეორებულია ვეფხისტყაოსანზე დართულ ვახტანგის კომენტარებში. განმარტავს რა ვეფხისტყაოსნის სტროფს „წაგიკითხავ, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ“ (სტრ. ღპა), მეფე-

პოეტი წერს: „ამას პეტრესა და იოვანეს და იაკობს ძმა უფლისას მოწმობს. ისინი ბძანებენ: სიყვარული ღ[მერ]თი არისო. ვისაც კაცი არ უყვარს, ღ[მერ]თი არ ეყვარებაო და ის მოუყვანია“ (გვ. ტლჱ).

იგივეა ნათქვამი, როდესაც განმარტავს სტროფს — „მიკვირს, კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა“ (სტრ. ლ): „ამას გაკვირვებით უბნობს. საყვარელი ქრისტეს ჰქვიან. ამ ქრისტეს სიყუარულს რატომ იჩემებს კაცი, თუ ეს უყუარს, რატომღა ქუეყანაში აყიენებს მისთვის დაწყლულებულს ქრისტეს...“ (გვ. ტა).

აქ მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ ერთგან ღმერთია დასახელებული და მეორეგან ქრისტე. ცნობილია, რომ ქრისტიანულ თეოლოგიაში სამპიროვანი ღმერთი ერთმანეთისაგან განუყოფელია. იგივე ითქმის ღვთის სიყვარულის შესახებაც. სახარებაში ქრისტე ეუბნება იუდას: „უკუეთუ ვინმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ. ხოლო რომელსა არა უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი არა დაიმარხნეს; და სიტყუანი, რომელ გესმიან, არა ჩემნი არიან, არამედ მომავლინებელისა ჩემისა მამისანი“ (იოვანე, 14. 23—24).

კორინთელთა მიმართ გაგზავნილ პავლეს პირველ ეპისტოლეში სიყვარულის წარმართველად დასახელებულია ქრისტე: „სიყუარული ჩემი თქუენ ყოველთა თანა ქრისტეს იესოჲს მიერ. ამინ“ (16. 24).

ღმერთის სიყვარულის ყოვლისმომცველობას, — რომ ღმერთია სიყვარული, ის არის საწყისი და განმსაზღვრელი ყოველგვარი სიყვარულისა, რომელიც არსებობს როგორც ღმერთსა და ადამიანებს შორის, ისე თვით ადამიანებს შორისაც, — ამ რელიგიურ დებულებას უნდა გამოხატავდეს ვახტანგის სიტყვები:

„თვით მას მოქმედს და უქმედსა სიყვარულს დაასახებსა“.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „მოქმედი“, რომელიც ნიშნავს „მქნელს“, ფილოსოფიური ტერმინია და უპირისპირდება ტერმინს „ძალით“-ს[146ა]. ძალითი არის პოტენციური ძალა, უნარი, ხოლო მოქმედი — მისი გამოვლენა, ქმნა. ასევეა ეს ტერმინები ახსნილი ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშიაც. აშკარაა, ვახტანგის დამოწმებულ სტრიქონში „მოქმედი“ ღმერთს აღნიშნავს. ღმერთია

[146ა] შდრ.: ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნ. კეჰაყმაძემ და მ. რაფავამ, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. რაფავამ, თბ., 1983, გვ. 77—80 და სხვ.

მოქმედი, შემოქმედი, მქმნელი[146ბ], მშობელი, თვითონ კი არვისგან შექმნილი არ არის, უქმედია. მეორე რედაქციაში პოეტს „მოქმედი“ შეუცვლია ღვთის უფრო გავრცელებული სახელით — შემოქმედი:

„მას შემოქმედსა უქმედსა საყვარულს დაასახებსა“.

ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა პოეტს ბევრჯერ აქვს გამოყენებული სხვა თხზულებებში. „სატრფიალონის“ თავში „ათი მცნება“ პირველ მცნებას „მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ ღმერთი უცხონი ჩემსა გარეშე“ ვახტანგი ლექსად ასე გადმოგვცემს:

„რაც რომ ცხოველი მოქმედობს, მისცემს მის ნაცვლად სარგოსა,
ჩვენს მოქმედს ჩვენგან რა ერგოს, რომ კაცმან იგი აჰსა?
გულით გიყვარდეს, მის სახელს ნუ დასძრავ უქმზე პაგოსა,
და თვარამ უსულო გვაჯობებს, ეიქთ საქმეს დასადაგოსა!“
(Q 548, გვ. 35)

მეორე რედაქცია:

„ცხოველი რასაც მოქმედობს, მოელის მოსაგვაროსა,
მოქმედს ჩვენ გამო რა ერგოს, ქმნულისგან დაენერგოსა?
გიყვარდეს, მისა სახელზე უქმად ნუ შესძრავ პაგოსა,
და არ გვჯობინოს პირუტყვი საქმესა დასადაგოსა!“
(სტრ. 45)

მესამე რედაქცია:

„ცხოველმან მოქმედებითა ნაცვალი მოივარგოსა,
მოქმედსა ჩვენგან რა ერგოს, იგიცა ვინმე ავოსა...“
(S 171, გვ. 22)

[146ბ] მქმნელის, მშობელის მნიშვნელობით ხმარობს ამ სიტყვას ვახტანგი „სატრფიალონში“:

„პია რა ბოესა შემზადებს, მოიცავს მისსა გარებსა,
ქარი არ ეცეს, საწყენი არ მიხვდეს გასამწარებსა...
თუ ის მოქმედზე ამას იქმს, რა ვხედავთ შეუგვარებსა,
და მისთა მშობელთა პატივის-ცემას რად დაიზარებსა?!“ (სტრ. 47)

პირველ რედაქციაში ჩვენთვის საინტერესო სტრიქონი ასე იკითხება:

„თუ ის შემქმნელზე ამას იქს ცხოველთში გასაგარებსა“.
(Q 548, გვ. 36)

მესამე რედაქციაში:

„მშობელსა ზედა ესე სჭირს ცხოველზე გასაგარებსა“.
(S 171, გვ. 22)

საყურადღებოა, რომ აქ ერთმანეთს ცვლიან სიტყვები: „ქმნული“, „კაცი“ და „ვინმე“, რომლებითაც ღვთისგან გაჩენილები აღინიშნება.

ღმერთს „მოქმედის“ სახელით ვახტანგი რამდენჯერმე ახსენებს „სიბრძნე მალაღობელში“:

„დაპკარგეს ქმნულთა მ ო ქ მ ე დ ი, საქმე ქნეს უმეცრულებ[ი],
განქარვებადად იტყოდეს, რა მიხვდეს სიკვდიდ რულები...“
(სტრ. 16)

როგორც „სატრფიალონშია“, აქაც „მოქმედი“ ნახსენებია „ქმნულთა“-ს გვერდით და ჩანს, რომ მ ო ქ მ ე დ ი არის მ ქ ნ ე ლ ი ქ მ ნ ი ლ ი ს ა. წინა სტროფში კი საუბარია ღმერთზე:

„სოგრატ მოკვდავი უ ფ ა ლ ს ა ამ სიტყვით გევედრებისა:
სიბრძნისა დამბადებელო, ყოელ სულთა დახმარებისა,
შენ შემოგვევედრებ ჩემ სულსა, მყოფი ხარ საცა კრებისა,
და შემინდევ ჩემი ნაქნარი შენს წინა მოსახრებისა!“[147]
(სტრ. 15)

ამ სტროფის პროზაული დედანია: „სოგრატ კვდებოდა და უკანასკნელი ლოცვა ესრეთ შეს წირა ღ მ ე რ თ ს ა: დამბადებელო ღ მ ე რ თ ო ყოვლისა სულისა და სიბრძნისა, შენ შეგვედრებ ჩემს სულსა!“[148]

პირველი, ჩვენთვის საინტერესო სტროფი შინაარსობრივად ამ მეორე სტროფის გაგრძელებას წარმოადგენს.

უფრო მეტიც, ვახტანგის პოეტურ თხზულებათა რედაქციებში ერთმანეთს ენაცვლებიან „ღმერთი“ და „მოქმედი“. იმავე „სიბრძნე მალაღობელის“ პირველ რედაქციაში იკითხება:

„პირველ პატიეი ღ მ ე რ თ ს ა ეც, მერმე — მშობელთა შენთაო,
ყოელს კაცს სიმართლათ მოექეც, უკვანთა — შესაგვანთაო!“
(S 4500, გვ. 32)

მეორე რედაქცია:

„ღ მ ე რ თ ს ა პატივ-ეც, აგრეთვე მშობელთა მიმსგავსებანი,
და სიმართლით იქეც, ნუ გინდა ნუეისი ქვე დაცემანი!“
(სტრ. 153)

---

[147] გამოცემაში სტროფს წინ ახლავს სტრიქონი — „არ წახდე, ისე ეცადე მეგობარისა რგებასა“. სინამდვილეში იგი ცალკე სალექსო ერთეულია და ამ სტროფს არ ეკუთვნის.

[148] სიტყვის-გება სოგრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა, ლ. ძ ო წ ე ნ ი ძ ი ს გამოცემა, გვ. 27, მუხლი 12.

მესამე რედაქცია:

„მიეც მ ო ქ მ ე დ ს ა პატივი, მშობელთა მიმსგავსებანი,
და სიმართლის მოქმედებითა გაირონინე ესებანი!"
(S 171, გვ. 49)

ასევეა „სალბუნად გულისა"-ში. პირველი რედაქცია:

„ალმემართა კაეშანი, ეს არ ვიცი, რის იხარის,
ეინცა ღ ვ თ ი ს ა მიუნდობლად, რამც იკეთის, რამც იხარის?!..."
(სტრ. 82. 1—2)

მეორე რედაქცია:

„ალმემართა კაეშანი, არა ვიცი, რის იხარის,
მ ო ქ მ ე დ ი ს ა მიუნდობლად კარგი რამე რით იხარის?!..."
(S 171, გვ. 11) და სხვა.

ღმერთის, როგორც სიყვარულის, გაგებას უკავშირდება ქრისტიანული მოძღვრება საუკუნო ცხოვრების მოპოვების შესახებ. ამაზე უნდა იყოს საუბარი „ამირ-ნასარიანის" განსახილველი სტროფის მომდევნო სტრიქონებში:

„ამით ვეაქადის მორჩენას მას ძნელსა დასაახებსა,
თავსა დაგხურავს გ ვ ი რ გ ვ ი ნ ს ა თვალთაგან დაუნახებსა".

„იოვანეს გამოცხადებაში" ვკითხულობთ: „...იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკუდილადმდე, და მოგცე შენ გ ჳ რ გ ჳ ნ ი იგი ცხორებისაჲ" (2. 10).

რაც შეეხება „ამირ-ნასარიანის" ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდის ბოლო სტროფს, იქ ყველაფერი ნათელია: იგი შეკუმშულად იმეორებს ქრისტიანულ სწავლას მოყვასის სიყვარულის შესახებ.

როგორც ცნობილია, „ახალ აღთქმაში" დიდი ადგილი ეთმობა ადამიანთა შორის სიყვარულის ქადაგებას. ზემოთ უკვე ითქვა, იგი განუყოფელია იმ სიყვარულისაგან, რომელიც ღმერთსა და ადამიანს შორის არსებობს: „ხოლო იესუ ჰრქუა მას: შ ე ი ყ უ ა რ ო უ ფ ა ლ ი ღ მ ე რ თ ი შ ე ნ ი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ე ს ე ა რ ს დ ი დ ი დ ა პ ი რ ვ ე ლ ი მ ც ნ ე ბ ა ჲ. და მეორე, მსგავსი ამისი: შ ე ი ყ უ ა რ ო მ ო ყ უ ა ს ი შ ე ნ ი, ვითარცა თავი თჳსი" (მათე, 22. 37—39).

ასევეა გამეორებული მარკოზისა (12. 30—31) და ლუკას (10. 27) სახარებაში.

შემდეგ: „ვითარცა შემიყუარა მე მამამან, მეცა შეგიყუარენ თქუენ, დაადგერით სიყუარულსა ჩემსა ზედა. უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ, ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა... რამეთუ ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ. უფროჲსი ამისსა სიყუარული არავის აქვს, რაჲთა სული თჳსი დადვას მეგობართა თჳსთათჳს" (იოვანე, 15. 9—13).

„მცნებასა ახალსა მოგცემ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ, რაჲთა თქუენცა იყუარებოდით ურთიერთას. ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას" (იოვანე, 13. 34—35).

„უკუეთუ ვინმე თქუას ვითარმედ მიყუარს ღმერთი და ძმაჲ თჳსი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არა უყუარდეს მამაჲ თჳსი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უც შეყუარებად? და ესე მცნებაჲ მოვიღეთ მისგან, რაჲთა რომელსა უყუარდეს ღმერთი, უყუარდეს მამაჲცა თჳსი" (1 იოვანე, 4. 20—21).

„პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი" (მათე, 19. 19).

„უკუეთუ სჯულსა აღასრულებთ სამეუფოსა, მსგავსად წერილისა: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი, კეთილად ჰყოფთ" (იაკობ, 2. 8) და სხვა.

ვახტანგის მოწოდებაა არა მარტო მოყვასისადმი სიყვარული, არამედ მტრისადმი სიყვარული და კეთილდამოკიდებულებაც:

„გიყვარდეს ასე მოყვასი, რაცა ვწადს შენ საქნელადო,
მტერი იყოს თუ მოყვარე, მეტი ნუ გინდა ძნელადო!..."

კარგად ცნობილია, რომ ესეც ქრისტიანული შეგონებაა:

„გესმა, რამეთუ თქმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ" (მათე, 5. 43—44).

ეს გამეორებულია ლუკას სახარებაში (6. 27—28). მეორე ადგილას არის: „ხოლო თქუენ გიყუარდედ მტერნი თქუენნი და

კეთილსა უყოფდით და ავასხებდით და ნურარას უსასო ჰყოფთ..." (ლუკა, 6. 35).

ამასვე ეხმიანება ვახტანგის რჩევა-დარიგება, რომ ნურვინ მიაგებს ერთმანეთს ავს, ნურც საქმითა და ნურც სიტყვით:

„ნუ საქმით, ნურცა რჩევითა, ნურც სიტყვის გამომთქმელადო,
სხვისგან შენ ავი, სხვამ შენგან ვერ პოოს მოსასვლელადო!"

„ახალ აღთქმაში" დაბეჯითებით არის მოთხოვნა: „ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ, ნუცა გინებასა გინებისა წილ, არამედ წინააღმდგომსა აკურთხევდით" (1 პეტრე, 3. 9). სიყვარულია ყოველივე სიკეთის მომტანი: „ყოვლისა წინა ურთიერთას სიყვარული განმარტებული გაქუნდინ, რამეთუ სიყუარულმან დაფარის სიმრავლე ცოდვათა" (1 პეტრე, 4. 8).

რაც შეეხება პირველ სტროფში გადმოცემულ სოფლის გმობას, კარგად არის ცნობილი, რომ ეს იდეაც ქრისტიანულია. დავძენთ, რომ „ახალ აღთქმაში" სოფლის, ამ ქვეყნის გმობა, როგორც დროებითი, წარმავალი, ცდუნებებით სავსე სამყოფელისა, ერთიან კავშირშია ქრისტიანული სიყვარულის მოძღვრებასთან. ამ თეორიის მიხედვით, სოფლის სიყვარული, ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ზრუნვა უპირისპირდება არა მარტო ღვთის სიყვარულს, არამედ ადამიანთა ერთმანეთისადმი სიყვარულსაც, რაც თავის მხრივ გამორიცხავს სამუდამო საცხოვრებლის, ნეტარების მოპოვებას:

„მეძავნო და მემრუშენო, არა უწყითა, რამეთუ სიყუარული სოფლისაჲ ამის მტერობა არს ღმრთისა? აწ უკუე რომელსა უნდეს მეგობარი ყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთსა აღუდგების" (იაკობ, 4. 4).

„ამას გამცნებ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას. უკუეთუ სოფელი გძულობს თქუენ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულა. უკუეთუმცა სოფლისაგანნი იყვენით, სოფელიმცა თჳსთა ჰყუარობდა; რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქუენ, არამედ მე გამოგირჩიენ თქუენ სოფლისაგან, ამისთჳს სძულთ თქუენ სოფელსა" (იოვანე, 15. 17—19).

„სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, რომელი სოფელსა ვერ ჴელეწიფების მოღებად, რამეთუ არა ჰხედავს მას, არცა იცის იგი, ხოლო თქუენ იცით, რამეთუ თქუენ თანა არს და თქუენ თანა იყოს. არა დაგიტევნე თქუენ ობლად, მოვიდე თქუენდა. მცირედღა, და სოფელი ესე არა მხედვიდეს, ხოლო თქუენ მხედვიდეთ მე, რამეთუ მე ცხოველ ვარ, და თქუენცა ცხოველ იყვნეთ. მას დღესა შინა სცნათ თქუენ, რამეთუ მე მამისა ჩემისა თანა, და თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ შორის. რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგი-

ნი, იგი არს, რომელსა უყუარ მე. ხოლო რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ და მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი" (იოვანე, 14. 17—21) და სხვა.

ასე რომ, „ამირ-ნასარიანის" ეს შესავალი სტროფიც, სადაც სოფლის გმობაა მოცემული, ქრისტიანულია არა მარტო თავისი შინაარსით, არამედ სიყვარულის ქრისტიანულ კონცეფციასთან ერთიანობითაც[149].

ამრიგად, „ყაბუს-ნამეს" დამუშავებისას სიყვარულის თემას ვახტანგ მეექვსე შემოქმედებითად მოჰკიდებია. ჯერ პროზაულ თარგმანში არ შეუტანია ამ თემისადმი მიძღვნილი საგანგებო თავი და მის ნაცვლად სხვა თავი გადმოულია. შემდეგ ლექსით ვერსიაში ეს ნაწილიც შეუცვლია და სიყვარული ქრისტიანული თვალსაზრისით გაუშუქებია.

ამ მაგალითით ერთხელ კიდევ გამოჩნდა ვახტანგ მეექვსის რელიგიური და იდეოლოგიური მრწამსი, რომელიც სავსებით შეესაბამება მის მოღვაწეობას ყველა უბანზე. ცნობილია, რომ პოლიტიკური მდგომარეობის გამო ვახტანგი იძულებული იყო მაჰმადიანობა მიეღო, წლების განმავლობაში მთელი გატაცებით სწავლობდა და ითვისებდა აღმოსავლური, ისლამური სამყაროს მიღწევებს... მიუხედავად ამისა, სადაც კი შესაძლებლობა აქვს, იგი ყოველთვის მტკიცედ დგას ეროვნულ პოზიციებზე. ხსენებულ ქვეყანათა კულტურისა და მეცნიერების საუკეთესო ნიმუშების გადმოღებისას ვახტანგი იდეოლოგიურ ბრძმედში ატარებს მათ და ყოველივეს ცვლის და უკუაგდებს, რასაც ქრისტიანობისა და თავისი ხალხის ყოფისათვის უცხოდ და მიუღებლად თვლის. ვახტანგის ეს მიდრეკილება თვალნათლივ ჩანს „ამირ-ნასარიანის" პროზაული და ლექსითი ვერსიების ანალიზისას, რომელიც გ. იმედაშვილის გამოკვლევაშია მოცემული. მკვლევარის დასკვნით, ვახტანგს „ყოველი სტრიქონის თარგმნის დროს ქართული სინამდვილის მოთხოვნილება აქვს მხედველობაში, რომელსაც უფარდებს როგორც წიგნის აგებულებას, ისე მისი ცალკეული ამბებისა და მოტივების გაგებასა და გაფორმებას"[150]. კერძოდ, „უპირველეს ყოვლისა

[149] ყოველივე ზემოთ აღნიშნული (სიყვარულის მოძღვრების მოციქულთაგან ქადაგება, სიკეთის ღვთისაგან წარმომავლობა, მისი მიმართება სოფელთან) ერთად, კონცენტრირებული სახით მოცემულია ვახტანგის ორიგინალურ ლექსში, რომელიც „სიბრძნე მალაღობელშია" ჩართული:

„თვით მოციქულნი ბძანებენ, წყლულნი, ნაგვემნი, ცემული::
სიყვარული გვაქვს წყალობით ღმთისაგან გამოცემული::
ვინ არ შეისმენს სასმენსა სირეგვნით დანაცემული,
და დასცეს სოფელმან, დაეცეს, დაცემით დანაცემული!" (766)

[150] ლიტერატურული ძიებანი, IX, გვ. 338.

თვალში საცემია, რომ ძეგლს ქართულ თარგმანში შეგნებულად აქვს ჩამოცილებული მაჰმადიანურ-რელიგიური სამყარო", „სპარსული ნაციონალური თავისებურებანი, როგორც ყოფითი, ისე იდეოლოგიური" (გვ. 342) და სხვა.

აქედან გამომდინარე, რადგან პროზაულ „ამირ-ნასარიანში" არ იკითხება „ყაბუს-ნამეს" თავი „სიყვარულისათვის", უნდა დავასკვნათ, რომ მთარგმნელი შეგნებულად ტოვებს და ცვლის მას. ვახტანგს არ მოეწონა ალბათ ეს ნაწილი იმის გამო, რომ იგი სრულებით არ ეხმაურებოდა ქრისტიანულ და ქართულ ყოფაში შემუშავებულ შეხედულებას სიყვარულზე, რაც გაასწორა შემდეგ კიდეც ლექსით ვერსიაში. ადვილი შესაძლებელია ისიც, რომ მისთვის, როგორც ადამიანისათვის, მიუღებელი იყო სპარსელი მწერლის თვალსაზრისი, რომ „სიყვარული ავადმყოფობაა", რომ „ვიდრე შეგიძლია, თავს გაუფრთხილდი და სიყვარულს ერიდე. გონიერის გარდა სიყვარულისათვის ზურგის შექცევა არავის ძალუძს" და ა. შ.

ვახტანგის დაინტერესება ქრისტიანული სიყვარულით კიდევ უფრო რელიეფურად ჩანს სხვა შემთხვევებში.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, „ამირ-ნასარიანში" სიყვარულზე სხვაგანაც არის მსჯელობა. ცალკე თავში, რომლის სათაურია „თქმა ხელმწიფეთა სამსახურისათვის" (სტრ. 67—68), შესავალი სტროფი სწორედ სიყვარულს ეხება:

„ხედავთ, ტრფიალნო, გამოდით გაზაფხულისა არესო,
ვარდსა ლახვრისა მსობელსა, რომელს მიჯნურსა არ ესო?
ყვავილსა ფერად-ფერებში, ეს თუ არავინ არესო,
და იმას უამოდ რას ექნევ, სამსალის უფრო მწარესო?!" (67)

მეორე რედაქციული ვარიანტი:

„ტრფიალო, მზერდე, გამოდით გაზაფხულისა არებსა,
ვარდებსა განაბუტკენილსა, მიჯნურთა სამკობარებსა,
დაფერებულთა ყვავილში, ამას თუ არვინ არებსა,
და იგი უამოდ სამსალის უმწარედ გამამწარებსა!"
(S 171, გვ. 115)

ეს სტროფიც, ისე როგორც „ამირ-ნასარიანის" ცალკეული თავების შესავალი სტროფები, ვახტანგის ორიგინალური შემოქმედებაა და მას შესატყვისი არ მოეპოვება არც თხზულების სპარსულ დედანში და არც ვახტანგისეულ პროზაულ თარგმანში.

აღნიშნულ თავში მოთხრობილია სამეფო კარის, ხელმწიფეთა მომსახურებაზე, რა უნდა იცოდნენ „მსახურთ", როგორ უნდა ეჭიროთ თავი „მეფეთ წინაშე" და სხვა. შესავალ სტროფს ამ საკითხებთან არა-

ფერი აქვს საერთო. როგორც ვხედავთ, მასში მოცემულია „ტრფიალის“, მიჯნურისადმი მოწოდება, დასტკბნენ გაზაფხულის ყვავილების მშვენიერებით. აქვე მინიშნებულია სიყვარულის მნიშვნელობაზე. მომდევნო სტროფებში, მთელ თავში კი, ვიმეორებთ, ამ გრძნობის შესახებ, ტრფობაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

რატომ არის ეს შეუსაბამობა? ხომ არა გვაქვს აქ საქმე სიყვარულის თავისებურ გაგებასთან?

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს სხვა თავების ანალოგიური ხასიათის სტროფები. ამ სტროფთა უმრავლესობაში გადმოცემულია წუხილი და შეგონება ამქვეყნიურ ამაოებაზე, სოფლის სიმუხთლე-გაუტანლობასა და წარმავლობაზე. მაგალითები:

თავის „თქმა მდივანთათვის“ (სტრ. 79—88) შესავალი სტროფია:

„მმასა რა არგო, სად ემწო, ანუ თუ დასცა დარია,
ანუ სოფლისა სიმდიდრე, ბევრს ვისმე დასცა, დარია,
ვინ მორჩა სიმუხთლისაგან, არავინ ლასცა დარია,
და ბოლოს ყოველი მუხთალმან ანაზდათ დასცა და რია“. (79)

მომდევნო თავს „თხრობა ვეზირთათვის“ (სტრ. 89—103) წინ უძღვის:

„თუ აქვს სოფელსა სიმაღლე ზეცამდი მისაწდომელად,
ბოლოს დაუშვებს ძლიერად ქვესკნელად ჩასაკდომელად,
საჭვრეტლად გაქდის საბრალოდ და არარისა მდომელად,
და თოკი გაწყდება რჩევისა მისაწდომ-მისახდომელად“. (89)

ზოგადად ამასვე გამოხატავს შესავალი სტროფი თავისა „თქმა სტუმართათვის“ (სტრ. 109—115):

„ყვაეილს სიცხე ააყვავებს, ყინვა დასძრავს. დაამჭკნარებს,
აგრევ კაცსა ეს სოფელი ბოლოდ ჭირად დაამთქნარებს,
ვერ გაიტანს მოსაკმარსა, თუ არ კარგის ნასაქმნარებს.
და პატივი და სიყვარული სულ აღმოფხვრის ეკალ-ნარებს“. (109)

ასეთივეა აგრეთვე ბოლო თავის „თქმა სიკეთისათვის“ (სტრ. 140—184) შესავალი სტროფი:

„შიგ დავრჩი სოფლის ღელეასა მენავე ნაოსანია,
არ დამიჯერეს უმცროსთა, რაც უთხარ სარგოსანია,
იქით მკრა, აქეთ მომაგდო, საქმე ეცან სამხნოსანია,
და ნაპირს გამოველ, ეს დამრჩა სალხინოდ სამოსანია“. (140)

დაახლოებით ამგვარივე შინაარსისაა შესავალი სტროფიც თავისა „თქმა სპასალართათვის“ (სტრ. 104—108):

„რა ხანი წარვლის, გარდავა სახელიც სახელოვანი,
ივიე უფროა სიკვდითა სხვისაგან გასაძლოვანი;
რადგან არარა დავერჩება, ესევ სჯობს ძალგულოვანი,
და მივდევდეთ მასვე სახელსა, შევიქნათ დასაგლოვანი!" (104)

ამქვეყნიურ წარმავლობას გარკვეულად ასახავს აგრეთვე შესავალი სტროფი თავისა „თქმა ანაბარის შენახვისათვის" (სტრ. 126—132):

„ბრალი არის წასაქცენად მაღლა სარო ანაზარდი,
ქვე ზურმუხტად გამწვანებული, დაცვარული ვარე ვარდი,
ჩრდილი მისი მონაძული, გაგდებული, განავარდი,
და არვინ ჰყვანდეს ჰელის მყრელი, შესახვევი, შესაყვარდი". (126)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფლის სამდურავით იწყება თავი „თქმა სიყვარულისათვის" (სტრ. 116).

განსხვავებული შინაარსის შესავალი სტროფი აქვს მხოლოდ ორ თავს — „თქმა საქონლის შეკრებისათვის" (სტრ. 119—125) და „თქმა მემშურნეობისათვის" (სტრ. 133—139), რომლებიც, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, პოეტურ ოსტატობას ეხება:

„ბევრი დავთესე ყვავილნი სურნელებისა ფშოვანი..." (119)

„ვემუდარები, ნუ მიჩხრეკ ლექსისა სიგძე-განებსა..." (133)

მსგავსად განსახილველი სტროფისა, სოფლის სამდურავის შემცველი ზოგიერთი სტროფი შინაარსობრივად არ შეესატყვისება ან ნაკლებად ესადაგება შესაბამის თავში აღძრულ საკითხებს. მაგალითად, თავში „თქმა მდივანთათვის" ლაპარაკია მხოლოდ მდივნის უფლება-მოვალეობაზე და არაფრით უკავშირდება სოფლის სიმდიდრის მოუხმარებლობისა თუ სოფლის სიმუხთლის თემას, რასაც შესავალი სტროფი ეხება.

ასევეა მომდევნო თავიც „თხრობა ვეზირთათვის". აქაც მხოლოდ და მხოლოდ მსჯელობა არის ვეზირის დანიშნულების, მისი გონიერებისა და მოხერხებულობის შესახებ და არაფერი საერთო არა აქვს მასთან შესავალი სტროფის შეგონებას — ყოველივე ამქვეყნად ამაღლებული ქვესკნელში დაინთქმება.

თავი „თქმა სტუმართათვის" ეხება სტუმარ-მასპინძლობის საკითხს, რამდენად საპატიოა სტუმარი და როგორი გულითადი პატივისცემით დახვედრა მართებს მასპინძელს. ამ თავისთვისაც უცხოა სოფლის გაუტანლობის თემა, მაგრამ მაინც შესაძლებელია გარკვეული კავშირი დავინახოთ ამ თავსა და შესავალ სტროფს შორის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბოლო სტრიქონში „პატივი და სიყვარული სულ აღმოფხვრის ეკალ-ნარებს" — სიყვარულის შესახებ ამ ზოგად ქრისტია-

ნულ შეგონებაში პოეტი ჩვეულებრივ სიყვარულსა და პატივისცემას გულისხმობს.

ასევე, შორეული კავშირია ვრცელ თავსა „თქმა სიკეთისათვის“ და მის შესავალ სტროფს შორის. ამ თავში ზნეობის საკითხებია გაშუქებული: როგორ გამოიხატება ადამიანის სიკეთე, პატიოსნება, მოწყალება, სიუხვე და ა. შ. სოფლის გმობაზე კი მასში გაკვრით არის მსჯელობა:

„ასწაელის სოგრატ მოწაფეს სოფლად სოფლისა თმობასა:
ერთის დღის საგძლად გეყოფა, — უზამს ამრიგად გმობასა, —
არ ღაგძრას სიცხემ, სიციევმ, ადგილი პპოეე ხმობასა,
და შენვე მსახურე შენ თავსა, ვალს ნუ იკიდებ ხმობასა!“ (165)

მაშასადამე, ვღებულობთ მსგავს სურათს: „ამირ-ნასარიანში“, ერთი მხრივ, გვაქვს თავი „თქმა ხელმწიფეთა სამსახურისათვის“, რომელსაც უძღვის სიყვარულის, მიჯნურობის შინაარსის შემცველი სტროფი, რომელთა შორის პირდაპირი აზრობრივი კავშირი არ არის, ხოლო, მეორე მხრივ, მის გვერდით გვაქვს ანალოგიური დანიშნულების თავები — „თქმა მდივანთათვის“, „თხრობა ვეზირთათვის“ და ა. შ., რომელთაც შესავალ სტროფებად აქვთ სოფლის სამდურავის გამომხატველი სტროფები, რომლებიც ასევე არ შეესაბამებიან ან ნაკლებად შეესაბამებიან თავში აღძრულ საკითხებს.

ეს მსგავსება, ვფიქრობთ, იმის მაჩვენებელია, რომ სიყვარული და სოფლის გმობა „ამირ-ნასარიანში“ იმ ერთიანი და განუყოფელი თვალსაზრისით არის მოხმობილი, როგორიც მას აქვს ქრისტიანულ მოძღვრებაში. ჩვენი აზრით, საძიებელ სტროფში სიყვარული წარმოდგენილი უნდა იყოს არა რეალური, არამედ ქრისტიანული მისტიკური გაგებით, როგორც ღვთაებამდე ამაღლების საშუალება. პოეტი „ამირ-ნასარიანის“ პროლოგსა და ეპილოგში, აღნიშნული ქვეთავების დასაწყისში, ისე როგორც სხვა თხზულებებში, განსაკუთრებით, მათ შესავალ და ბოლო სტროფებში, თავგამოდებით ქადაგებს ამქვეყნიური წარმავლობის, ღვთისადმი სიყვარულის, სამუდამო ცხოვრებაზე ზრუნვის იდეას. ამ იდეის გამომხატველი უნდა იყოს საძიებელი სტროფიც.

გარდა ამ მონაცემებისა, ამგვარ ახსნას მხარს უჭერს ამავე თემაზე საგანგებოდ დაწერილი თხზულება „სატრფიალონი“.

ბ. „სატრფიალონი“[150ა]

ეს ნაწარმოები სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრჯერ არის განხილული. ერთი უპირველესი და უტყუარი დასკვნა, რაც მიღებულია

[150ა] ეს თავი გამოქვეყნებულია: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1985, № 2, გვ. 50—70, № 3, გვ. 58—83.

მისი შესწავლიდან. ის არის, რომ მასში სიყვარული მოცემულია არა პირდაპირი გაგებით, არამედ გადატანითი მნიშვნელობით. ეს ფაქტი პირველად ნათელყო კ. კეკელიძემ[151]; ნაჩვენებია ალ. ბარამიძის[152], ს. ცაიშვილის[153], ლ. მენაბდის[154] და სხვათა ნაშრომებში[155]. კერძოდ, დადგენილია, რომ „სატრფიალონში“ რეალურად აღწერილი ქალის ტრფობის სახით დახატულია არარეალური, მისტიკური, საღვთო სიყვარული.

მართლაც, ამ ნაწარმოებში უხვად არის ადგილები, სადაც, ერთი შეხედვით, აღწერილია ჩვეულებრივი, ადამიანური მგზნებარე სამიჯნურო განწყობილება, ქალის გარეგნული სილამაზე და შინაგანი მომხიბვლელობა, მისადმი დაუოკებელი ლტოლვა. აი, როგორი სისხლხორცით სავსე ქალად არის წარმოდგენილი სატრფო:

„სძალს უვის წყნარი, სათუთი, ტურფა, კეკლუცი პირითა,
მისი ტრფიალი შევქნილვარ გულ-ლახვარ განგმირითა..“
(6. 1—2)

„კეკლუცია ტურფა რამე, უკაზმავი მოიბაღით,
ვარდსა ახალ გაფურჩქენილსა სჯობს საჭვრეტლად მოიბაღით...“
(25. 1—2)

„მამწონს მისი სანდომობა ქებისათვის დალალულად,
თვალი სხივმა დამიწუხა, კნინღა მექმნა დალა-ლულად...“
(26. 1—2)

„ტურფად კეკლუცად ნაქმარო, მისო სანდომო არევ და,
მიჯნურთა გულის მორევი უცხოდ რამ რიგად არევდა,
მისი ნარნარად მიხედვა მისთანა მჯდომთა არევდა,
და ტანს კვიპაროზის მემშურნეს იქით და აქათ არევდა“. (96)

„ლაწვი ჰქონდა ვარდის ფურცლად, პირი შროშნად, ტუჩი ლალად,
თვალნი მელნად, წარბი სათად, თმა სუნბულად, კბილი სრალად,
ყელი ვეცხლად, ძუძუ-მკერდი ბროლსა გვანდა განათალად,
და ტანი ალვად, ხელ-მკლავები მოგრძე მშვილდებრ მოსაკრძალად“. (97)

---

151 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, საერო მწერლობა, XI—XVIII სს., თბ., 1924, გვ. 423—428; ბოლო გამოცემები, 1958, 1981, გვ. 594—598.

152 ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 445—450.

153 ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1966, გვ. 65—72; მისივე, მარადიული სახეები, თბ., 1981, გვ. 105.

154 ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 107—116.

155 ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 515—516.

ასევე რეალური ქალისა და მიწიერი, ფაქიზი სატრფიალო განცდების შთაბეჭდილებას ტოვებს დიდი პოეტური უშუალობითა და ხალხური სისადავით დახატული სურათი:

„წაეალ, მეცხვარედ დაუდგები, ვიელი მთებსა და ბარებსა,
ნარგიზს თვალთ ნაცვლად უყურებ, თმისათვის — სუმბულთ არებსა;
ტანად — საროსა მრხეველსა, ვარდსა — ღაწვთ მაზიარებსა,
და მოერჩები, ზამბახს უმზერი, თეთრ პირით არამდარებსა". (98)

ამქვეყნიური და ტრადიციული ნაწარმოებში მოცემული, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამიჯნურო კოდექსი:

„კაცსა მართებს, სამიჯნუროს რომ ეძებდეს ერთ რამ კარგსა;
არ შეუდრკეს მისთვის ჭირსა; არ ხედევდეს სხვისა ნარგსა,
მისთვის ცეცხლი ბანბად უჩნდეს მეფობისა შენადარგსა,
და დასთმოს წუთი კეთილობა, სოფლით გვანდეს განაბარგსა!" (8)
(S 4500, გვ. 267)

ცხოვრებისეულია და ჩვენს საერო ლიტერატურაში მრავალგზის დამუშავებულია თვალსაზრისი, რომ ნამდვილი მიჯნური მთელი არსებით უნდა იყოს გამსჭვალული სატრფოს სიყვარულით, მისადმი თავდადებით; ყოველგვარი ჭირ-ვარამისა და დაბრკოლების ამტანი და გადამლახავი; დღენიადაგ უნდა ცდილობდეს სატრფოს გულის მოგებას:

„უხამს მიჯნურს, თავის წინა იჯდეს, იყოს მისი მგონი,
შეემსჭვალოს სული, გული, სხვა არ ჰქონდეს გასაგონი,
დღე-და-ღამე მას ამკობდეს, ნუმცა უნდა გასაგონი,
და მან ამითი შეიწყალოს, მოლბეს, ექმნას ხვეწნის მგონი!" (122)

„მიჯნურს მართებს გაუწყვეტლად სარჯელი და ჭირის ქონა,
მწვე ელტოდეს სოფლის ლხინსა და არ იყოს ხორცთა მონა,
ვრძლად იცოდეს სიყვარული, არ ანაზდად ცუდი კონა,
და დაუთმოს და მოიჭირვოს, თუ რამ მიხედეს მისთვის ღონა!" (123)

„მეტრფე სატრფოსთვის ტიროდე, რომ გექმნას უფრო ლმობილი,
შეფრფინვიდეს და შემზერდეს, გლახ, გული ლახვარ-სობილი,
განაგდოს ცუდი ლაღობა, სიმდაბლით იყოს მკობილი,
და სიყვარული და სიმშვიდე მან შექნას თვისი დობილი". (126)

„თუ ტრფიალებ, ყოვლთვის იყავ საბრძოლველად შეჭურვილი,
მხნედ იყავ და განძლიერდი, მტერი გყვანდეს მწვე ურეილი,
ნუ შედრკები დაცემასა, მისი გქონდეს შენ სურვილი,
და სიყვარულსა იგონებდი, ფარად გქონდეს დაბურვილი!" (128)

როგორც ცხოვრებაში ხდება ხოლმე, სიყვარული ხიფათიანია. საკმარისია მეტრფემ თავისი გრძნობა ოდნავ შეანელოს, სხვაზე იფიქროს,

ან კიდევ სიშორე გამოიჩინოს, მისი სიყვარული განწირულია დასაღუპავად:

„თუ მიჯნური კაცში დავა, ან სწადიან კარვის ნახვა,
გაუგრილებს გულსა მისსა, აღარ ძალუც სულთქმა, ახვა,
გარდაუქცევს გულსა მისსა, ეღარ უთსრას სალბო ზრახვა,
და აღარ ჰქონდეს გონებასა მისის სახის გამოსახვა". (124)

„თუ ტრფიალი მისსა სატრფოს ეელტის, მისგან ეშორება,
ისიც მისგან უკურიდებს, არ ექნების ერთად რება,
მტერი მოვა იმათ შუა, ფათერაკის ძლიერება,
და ჩხუბს დასთესავს ასე რიგსა, ძნელი იყოს მოგერება". (125)

„ნუ გგონიათ მიჯნურობა დიალ ადვილ შესამართი,
თუ არ დასცდი თავსა თვისსა, ვერას საქმით ვერ წარმართი!
ნება სრულად მოიკვეთე, საქმენი ჰქმენ დაუმართი,
და მაშინ მიხვდე საწადელსა, გზა შეგექმნას განამართი!" (127)

რეალური სიყვარულის ილუზიას ქმნის აგრეთვე ქება და ნატვრა სიჭაბუკეზე და ნაღვლიანობა და წუხილი სიბერეზე:

„ვაი, სიყრმისა ყვავილი რა ტურფა, მოსახმარია,
თვალი ბრწყინვალედ მხედველი, ყური სმინებად მხარია,
სხვადასხვა რიგი ვარჯიში, რა შვება, გასახარია,
და არც მკვდარი, არცა ცოცხალი, ვაი, სიბერე მწარია!" (100)

ანალოგიურ შთაბეჭდილებას ტოვებს საუბარი ქორწინებაზე. როგორც ცნობილია, ჩვენში, ცხოვრებაში და ლიტერატურაშიაც, ჭეშმარიტი სიყვარულის მასაზრდოებელი და მისი უპირველესი ნიშანი მეუღლეობისაკენ სწრაფვა, დაოჯახება არის:

„მან მიათხოვოს ერთ კაცსა უფრჩქენელად მოსამკობითა,
და ცდა გაუცუდდეს, არ ითხოვეს მსმელ-მრუშსა არაკობითა". (5. 4—5)

მაგალითების გაზრდა კიდევ შეიძლება, მაგრამ იგი რაიმე ახალსა და არსებითს არაფერს მოგვცემს. მოცემული სურათები, რომლებიც გარეგნულად რეალურის შთაბეჭდილებას ტოვებს, სინამდვილეში არც ერთი ჩვეულებრივს, ამქვეყნიურს არ გამოხატავს. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ეს აღნიშნულია თხზულების სათაურში: „აქა იწყებიან ტრფიალისაგან სატრფოსათვის შაირობა და მკითხველთა უხამს გულისხმიერება, თუ ვისადმი ტრფიალებს მეფე. სახმარ არს ყურნი სმენად და გული გამოკვლევად"[156].

[156] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 174.

პირველ სტრიქონებშივეა მოცემული პოეტის დაინტერესება და მისწრაფება იგავური ლექსისადმი:

„ლექსი უნდა ტკბილ-ჯვარითა სწავლის სიტყვით გამახარი,
ს ა მ-ო თ ხ რ ი გ ა დ გ ა ს ა ს ი ნ ჯ ი, სიბრძნეს ზედა
არ სახარი..." (1. 1–2)
(Q 548, გვ. 28)

ალბათ ვახტანგის ეს თხზულებაც ჰქონდა მხედველობაში მამუკა ბარათაშვილს, როცა „ჭაშნიკში" წერდა: „მაშ, მართებს, კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს; თ უ ს ა ა შ ი ყ ო ლ ე ქ ს ი უ ნ დ ა, ღ მ რ თ ი ს ს ა ა შ ი ყ ო, ე კ ლ ე ს ი ი ს წ მ ი ნ დ ა თ ა [ამბავი გალექსოს]"[157]. ყოველ შემთხვევაში, იგავური ლექსის ნიმუშად მამუკა მხოლოდ და მხოლოდ „სატრფიალონის" სტროფს იმოწმებს. მისი სიტყვებია: „გრძელ-შეწყობილი, გინა მდინარი და შეწყობილი კაის სწავლის ი გ ა ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ნ არის, რომ, რ ო გ ო რ ც ა მ შ ა ი რ შ ი მ ე-ფ ე ს უ ბ ძ ა ნ ე ბ ი ა ი გ ა ვ ა თ: «უნდა მოგვანდეს ეკალსა ყმა ახალ-ნორჩი რგულებსა...» (სტრ. 85. იგი მთლიანად არის მოყვანილი. — ბ. დ.). ამგვარი ი გ ა ვ ე ბ ი ამ ჰმას უფრო გაეწყობა"[158].

„სატრფიალონის" ზერელე გაცნობიდანაც ჩანს, რომ მისი თემა მიწიერი სიყვარული არ არის. აქ გამოყვანილი სატრფო კონკრეტული კი არა, უნივერსალური არსებაა, „ვის გამო ვარდსა სუნი სდის და ფშვა შროშანთა სულითა", ვინც „ფერს მისცემს ყოვლთა ლაჟღაჟად, თვალითა დაულულითა" (სტრ. 4). იგია „ქების მაარსი", „კეთილთა წესთა მდებელი", „ბოროტის გამოუცდელი" (სტრ. 21); ვარდი მისგან ღებულობს ფერსა და სურნელებას: „სუნით, ფერით შენგან ვარდობს", „მზესა მიაქვს შენგან სხივი" (სტრ. 22). იგი „სხვათ აძლევს შესაქებსა, ღირსი არი ვინცა რისი" (სტრ. 28. 2). მას უფლება აქვს თქვას:

„დანაცემულთა ყოველთა მიეეცი აღდგინებანი,
უხუებით მისდის მრავალთა, ვისაც რისა აქვს კლებანი..." (17. 2–3)

თუ „დაიმკვიდრებ გულებსა" სატრფოს „სიტყვასა, სწავლა-თქმულებსა",

„დღეთა შეემძინებს ამ სოფელს, ზეცას ალაფრენს სულებსა,
აქ მოეეცემა კეთილი, იქაც მორჩები წყლულებსა". (44)

სატრფოსთან შეერთებისათვის საჭიროა ასკეტობა, სოფლის, ამ ქვეყნის გმობა და თმობა:

---

[157] მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 124 [7].
[158] იქვე, გვ. 125 [8].

„ვამიუცდელად არ მაძლევს ოქრო-ხელ-დანამჭირითა,
თუ მამაცი ვარ, მეც მმართებს, სოფელი დავთმო ძირითა". (6. 3–4)

„დასთმოს ყოველი სოფლისა, შვებისა განაპიროსა,
მაშინღა ჩემი შეყრისა ხლება არ დაეძვიროსა". (16. 3–4)

და სხვა.

რასაკვირველია, ამგვარი სატრფო, რაგინდ ჰიპერბოლური იყოს, რეალურს არ შეესაბამება.

„სატრფიალონის" სიყვარულის მისტიკური ხასიათი კიდევ უფრო ცხადი და ხელშესახები ხდება, როდესაც ვეცნობით მის სიმბოლურ-ალეგორიულ სახეებს, — ვინ არის „სატრფო", „სძალი", „სასძლო" და სხვა.

საღვთო სიყვარული, მათ შორის ალეგორიული ფორმით წარმოდგენილი, ძველად ქართული მწერლობისათვის მახლობელ მრავალ ლიტერატურასა (ბერძნული, სპარსული და სხვა) და ფილოსოფიურ-რელიგიურ (პლატონურ, ნეოპლატონურ, ქრისტიანულ, სუფიურ) მოძღვრებაში იყო გავრცელებული[159].

როგორი ტიპისაა ვახტანგის მიერ დახატული სიყვარული, საიდან მოდის, რომელი რელიგიური თუ ფილოსოფიური შეხედულების გამომხატველია იგი?

ამ საკითხსაც პირველი კ. კეკელიძე შეეხო. ზემოთ დამოწმებულ „ქართული ლიტერატურის ისტორიის" მეორე ტომის პირველ გამოცემაში „სატრფიალონის" სიყვარული და მისი გამოსახვის თავისებურებანი დაკავშირებულია ბიბლიასთან, „ქება ქებათა"-სთან. მკვლევარი წერს: „ამგვარი სატრფოს სახით წარმოდგენა ღვთაებისა და სამიჯნურო ეპითეტებითა და სურათებით შემკობა ის ლიტერატურული ჟანრია, რომელიც ჩვენს პოეტს გ ა დ მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა ქ ვ ს ქ ე ბ ა-ქ ე ბ ა თ ა წიგნიდან" (გვ. 428. ბოლო სიტყვის დაყოფა ავტორისაა).

ამ გაკვრით გამოთქმული დებულების შემდეგ, მოგვიანებით, ნიზამი განჯელის დაბადების 800 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით რუსულ ენაზე დაწერილ სამეცნიერო ნაშრომში[160], რომელშიც თავმოყრილი და მოკლედ განხილულია მისტიკური სიყვარულის შემცველი თხზულებანი ქართულ მწერლობაში, კ. კეკელიძემ ვახტანგისეული სიყვარული აღმოსავლური სუფიზმის გამოვლინებად მიიჩნია. ამგვარი დასკვნის გამოტანისას, გარდა „სატრფიალონისა", მას მხედველობაში

[159] ამ საკითხების შესახებ ქართულ ენაზე იხ.: ჟ. ნ ო ზ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება, პარიზი, 1974, გვ. 9—91 და სხვა; მ ი ს ი ვ ე, ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 182—183, 375—337.

[160] Отражение восточного суфизма в древне-грузинской поэзии, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II., თბ., 1945, გვ. 281—266.

ჰქონდა ვახტანგის თვალსაზრისი ვეფხისტყაოსნის მიჯნურობის შესახებ, რომლითაც შოთას უკვდავი პოემა მისტიკურ-ალეგორიულ ნაწარმოებად არის გამოცხადებული. ავტორის სიტყვებია: „«Вахтанг VI до того был поглощен теорией «аллегорической любви» суфизма, что в своих достопримечательных комментариях, приложенных к первому (1712 года) изданию поэмы «Вепхис-Ткаосани», это знаменитое произведение он провозгласил гимном «божественной любви»" (გვ. 285).

ამავე ნაშრომში აღმოსავლური სუფიზმის გამოხატულებად არის მიჩნეული აგრეთვე ვეფხისტყაოსნის პროლოგში ნახსენები საზეო მიჯნურობა, თეიმურაზ პირველის, არჩილის, ნოდარ ციციშვილის, მამუკა ბარათაშვილის თხზულებებში წარმოდგენილი სიყვარული. მათ გვერდით არის დასახელებული დავით გურამიშვილიც, მაგრამ ავტორის შემდეგ გამოქვეყნებულ ნაშრომებში დაბეჯითებით და სარწმუნოდ დამტკიცებულია დავითის ალეგორიული სატრფიალო ლირიკის ქრისტიანული ბუნება[161].

კ. კეკელიძეს არც აქ და არც სხვაგან ხსენებულ თხზულებათა სუფიური ხასიათის დასაბუთება არ მოუცია. აღნიშნული აქვს მხოლოდ ორი პირობა, რასაც უნდა გამოეწვია სუფიური სიყვარულის შემოსვლა ჩვენს მწერლობაში. ერთია აღმოსავლეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირი: «Древнегрузинская художественная литература— წერს ავტორი, — с самого начала своего существования находилась в тесном контакте с восточной. Поэтому нужно было ожидать, что суфистическая поэзия Востока найдет отражение и в ней» (გვ. 282).

ავტორი თვლის, რომ გვიანი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩვენში გარკვეული ნიადაგი იყო მომზადებული სუფიური მისტიკური ესთეტიკის კიდევ უფრო ფეხმოკიდებისა და აღორძინებისათვის: «Но более благодарную и плодотворную почву мистико-аскетические идеалы суфизма нашли в политических и социально-экономических условиях Грузии XVI—XVIII веков» (გვ. 283).

მეორე პირობად დასახელებულია სუფიური სიყვარულის სიახლოვე ქრისტიანობასთან და, ამდენად, ქართულ სინამდვილესთან:

---

[161] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 651—655; მ ი ს ი ვ ე, ეტიუდები..., IV, 1957, გვ. 166—169.

კ. კეკელიძის ამ ბოლო ნაშრომს ეხება რ. თვარაძე, რომელიც განიხილავს სიყვარულის არეოპაგიტულ მოძღვრებას და მის გამოვლინებას ძველ ქართულ მწერლობაში („მნათობი", 1997, № 3, გვ. 144—152).

«Проникновению суфизма в нашу литературу—განაგრძობს ავტორი,— могло способствовать и то обстоятельство, что некоторые основные положения суфизма,—о тленности и непостоянстве этого мира, о том, что человек на эту земную жизнь должен смотреть как на переходную к небесной, и проникнутый любовью к богу, деятельно стремиться к соединению с ним,—не чужды, как известно, и христианству» (გვ. 282).

დამოწმებულ ამონაწერში და ნაშრომის შესავალში (გვ. 281) აღნიშნულია სუფიური და ქრისტიანული მისტიციზმის ურთიერთმსგავსება, გათვალისწინებულია ის მნიშვნელოვანი ზეგავლენა, რომელიც ისტორიულად ქრისტიანობამ და ნეოპლატონიზმმა მოახდინეს სუფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. მაგრამ გამოკვლევაში გარჩეული არ არის საკითხის სპეციფიკური მხარეები, — ის, რითაც ხსენებულ მწერალთა შემოქმედება ენათესავება სუფიზმს, განსხვავდება თუ არა, ვთქვათ, ისეთი მახლობელი და შინაური რელიგიური შეხედულებისაგან, როგორიცაა ქრისტიანობა, ანდა პირიქით.

ამ დებულების შემუშავების შემდეგ „ქართული ლიტერატურის ისტორიის" მომდევნო გამოცემებიდან, დაწყებული მეორე გამოცემიდან (1941 წ.), კ. კეკელიძემ ამოიღო ზემოთ მოყვანილი მსჯელობა „სატრფიალონის" „ქება ქებათასთან" მსგავსების შესახებ, თუმცა არც სუფიზმთან კავშირზე შეუტანია რაიმე.

უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული მწერლები (გარდა არჩილისა და დ. გურამიშვილისა) თავიანთი პირადი ცხოვრებითა და ლიტერატურული შემოქმედებით მართლაც იმდენად იყვნენ დაკავშირებული სპარსეთთან და სპარსულ პოეზიასთან, ხოლო ამ უკანასკნელში იმდენად ფეხმოკიდებული და გავრცელებული იყო სუფიური სიყვარული, რომელიც თავისი შინაარსითა და ფორმით ისე უახლოვდებოდა ქრისტიანულს, რომ თავისთავად არაფერია მოულოდნელი იმაში, ქართულ მწერლობას უშუალოდ მისგან გადმოეღო სიყვარულის აღნიშნული სახეობა და მისი გამოსახვის თავისებურებანი. ამით აიხსნება, რომ კ. კეკელიძის ახალმა თვალსაზრისმა უმალვე პოვა გამოძახილი და მხარდაჭერა.

იმ პერიოდში „სატრფიალონის" გარჩევისას ალ. ბარამიძე წერდა: „როგორც ირკვევა, ასეთი მგზნებარე ტრფიალების საგანი როდი ყოფილა რეალური ქალი. პოეტის მხურვალე სამიჯნურო ჰიმნი მიმართულია მისტიკური არსებისადმი, ღვთაებისადმი, ღვთისმშობლისადმი და წმინდანებისადმი. ვახტანგის სატრფიალო ლირიკა ალეგორიულ-მისტიკურია... ვახტანგის პოეზიაში კეკლუცი ქალის შნო და ლაზათი სიმბოლურად ასახიერებს ღვთაებრივ სიწმინდეს და სიფაქიზეს, ქალისადმი გატაცებული ლტოლვა კი აღნიშნავს სულის ლტოლვას ღვთაე-

ბისადმი. უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგს ამ შემთხვევაში ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ ნიადაგზე გადმოაქვს სპარსული პოეზიის კარგად ცნობილი მუსულმანურ-სუფისტური მისტიკა. სხვათა შორის, ვახტანგმა სცადა ალეგორიულად აეხსნა თვითონ «ვეფხისტყაოსნის» მიჯნურობაც. ვახტანგის სამიჯნურო თვალსაზრისი დაედვა საფუძვლად მამუკა ბარათაშვილის პოეტიკის თეორიას («ჭაშნიკი»), ხოლო ვახტანგისა და მამუკას თეორიამ განსაზღვრა დავით გურამიშვილის სამიჯნურო მისტიკა"[162].

ალ. ბარამიძის ნაშრომის დამოწმებით ნ. მაისურაძე წერს: „ვახტანგი კარგად იცნობდა მისტიკაში გახვეულ სპარსულ პოეზიას. მისტიციზმის თანახმად, შესაძლებელია ზებუნებრივი ძალების წვდომა, შესაძლებელია ადამიანის უშუალო კავშირი არაამქვეყნიურ ძალებთან. ვახტანგის შემოქმედების სალაროში მხოლოდ პოტენციალურად იყო მზად ტრფობის ალეგორიული გაგება. სიყვარულის არაბიწიერი მიზანი. მას საქართველოდან გაჰყვა რუსეთში სპარსული პოეზიის მუსულმანურ-სუფისტური მისტიკა. იქ კი მან ეს მისტიკა ქრისტიანულ სარწმუნოებრივ ნიადაგზე გადაიტანა"[163].

ლ. მენაბდე აღნიშნავს: „ვახტანგის «სატრფიალონი»... ღვთაებისადმი მიძღვნილი სამიჯნურო საგალობელია, სატრფიალო ჰიმნია. ჩვენი პოეტის სატრფო, მისი ხოტბის ობიექტი და შთამაგონებელი მისტიკური არსებაა, მისი მიჯნურობა ღვთაებრივი მიჯნურობაა, მისკენ სწრაფვა — ღვთაებისაკენ სწრაფვაა. ვახტანგმა მუსლიმანურ-სუფისტური მისტიკა, — რაც მისთვის სპარსული სამყაროდან საკმაოდ ნაცნობი იყო, — ქრისტიანულ ნიადაგზე გადმოიტანა და ჩვენს სინამდვილეს დაუახლოვა... ამ თვალსაზრისით მან განიხილა «ვეფხისტყაოსანი» და მის მიჯნურობასაც მისტიკურ-ალეგორიული განმარტება მისცა და საღვთო მიჯნურობად გამოაცხადა. ვახტანგმა ჩვენს მწერლობაში განავითარა ალეგორიულ-სიმბოლისტური მიმართულება და შესამჩნევი გავლენა მოახდინა თავის თანამოღვაწეებზე (მ. ბარათაშვილი, დ. გურამიშვილი)"[164].

მიუხედავად ამ აღიარებისა, კ. კეკელიძეს შემდგომ არსად გაუმეორებია თავისი მოსაზრება. ანალოგიური ვითარება არის ალ. ბარამი-

---

[162] ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 449—450.

[163] ნ. მაისურაძე, ზოგი რამ ქართული და რუსული ლიტერატურის ურთიერთობიდან. ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, ქუთაისი, 1960, გვ. 89.

[164] ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 1[illegible]5.

ძისა და ლ. მენაბდის ნაშრომებშიაც. მაგალითად: ვახტანგ მეექვსის შემოქმედებაში სუფიზმთან კავშირის შესახებ სიტყვა არ არის დაძრული კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის ავტორობით გამოსულ „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის" არც ერთ გამოცემაში (თბ., 1954, 1969, 1987). ალ ბარამიძის ნარკვევების VII ტომში (1978), სადაც შესულია გამოკვლევა ვახტანგ მეექვსის შესახებ (გვ. 176—186). აქვე უნდა დავასახელოთ „ქართული ლიტერატურის ისტორიის" ექვსტომეულის მეორე ტომი (თბ., 1966; სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე — რედაქტორი, გ. იმედაშვილი, გ. მიქაძე. სტატია „ვახტანგ VI" ეკუთვნის გ. მიქაძეს).

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ დასახელებულ ავტორთა ნაშრომებში მითითებულია „სატრფიალონის" ქრისტიანულ მხარეებზე. მაგალითად, თუმცა კ. კეკელიძემ თავისი „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის" მეორე ტომიდან ამოიღო მინიშნება „ქება ქებათაისთან" გენეტიკურ კავშირზე, მაგრამ ხელუხლებლად დატოვა ის ნაწილი, სადაც აღნუსხულია მისი ქრისტიანული ნიშნები. მკვლევარი წერს: თხზულებიდან „ცხადია, თუ ვინაა ის პირი, ვისაც ეტრფის პოეტი: ეს არის ღმერთი, რომლის წინაშე, ცოდვებით დამძიმებული, ის კანკალებს და რომელიც წინადადებას აძლევს მას — დაიმარხოს *მისი* სწავლა და მცნებანი. მერე, მართლაც, კონკრეტულადაა ჩამოთვლილი და გალექსილი *ეს* სწავლანი და წამებანი: *ათი მცნება*, *შვიდი საიდუმლო*, *ცხრა ნეტარება*, *სულისა და ხორცის მოვალეობანი*, პაექრობის სახით. ყველა ამის შემდეგ პოეტი მიმართავს *ხოტბითა და შესხმით სამებას*, *ღვთისმშობელს*, *ჯვარსა და მოციქულებს*: *პეტრეს*, *პავლეს*, *ანდრიას*, *იოანეს*, *ფილიპეს*, *ბართლომეს*, *თომას*, *იაკობს*, *ალფესძეს*, *ლებეოსს*, *სვიმონ კანანელს*, *მეორე სვიმონს*, *უფლის ძმას*..." (გვ. 598).

მკვლევარი არ გამოყოფს და შეფასებას არ აძლევს, მაგრამ, ცხადია, ყველაფერი ეს ქრისტიანობას განეკუთვნება.

ალ. ბარამიძე წერს, რომ „ვახტანგს ...*ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ ნიადაგზე გადმოაქვს* სპარსული პოეზიით კარგად ცნობილი მუსულმანურ-სუფისტური მისტიკა". ამასვე იმეორებენ ნ. მაისურაძე და ლ. მენაბდე.

ვახტანგ მეექვსის სამიჯნურო კონცეფციის სუფიურ ხასიათში ეჭვი შეიტანა და მისი გადასინჯვის საკითხი დააყენა ს. ცაიშვილმა[165]. იგი

---

[165] *ს. ცაიშვილი*, ვახტანგ მეექვსე რუსთველური მიჯნურობის შესახებ, ლიტერატურული წერილები, თბ., 1966, გვ. 59—72.

სრულიად სამართლიანად ერთმანეთისაგან განასხვავებს ნათარგმნ და ორიგინალურ თხზულებებს: „თეიმურაზ I და ნოდარ ციციშვილის საკითხი", — წერს იგი, — ამ შემთხვევაში სხვა ასპექტში დაისმის, რადგან აქ სპარსული ნიმუშების უშუალო თარგმნასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ზოგადად დავსძენთ: მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზ I და ნოდარ ციციშვილს ნათარგმნი აქვთ სწორედ სუფიური ელემენტებით საკმაოდ გამსჭვალული ნაწარმოებები, მათ მხოლოდ ფორმალური გავლენა განიცადეს და გადმოქართულებულ თხზულებებში არსებითად აღარ იგრძნობა მისტიკურ-ალეგორიული აზრი სპარსული პოემებისა" (გვ. 69).

ქართულ ორიგინალურ, მათ შორის ვახტანგ მეექვსის, თხზულებათა განხილვისას კი ს. ცაიშვილი მსგავსებასთან ერთად ყურადღებას აქცევს და გამოყოფს ზოგიერთ განსხვავებას, რომელიც არსებობს ქართულსა და წმინდა სუფიურ ნაწარმოებებს შორის: „მე-16—18 საუკუნეების ქართულ პოეზიასთან — განაგრძობს მკვლევარი, — უეჭველად აქვს ბევრი რამ საერთო სუფიურ მოძღვრებას და ეს განსაკუთრებით ვლინდება რეალური სამყაროს, რეალური სიყვარულის უარყოფის საკითხში, მაგრამ... ბევრი სპეციფიკური მომენტით ეს ორი მიმდინარეობა უეჭველად განსხვავდება ერთმანეთისაგან" (გვ. 71). ნიმუშად დასახელებულია თრობის, ღვინის აპოლოგია და ვნების დათრგუნვა: „ბევრი რამ სუფიური მოძღვრებიდან, როგორც ამას შედარებითი შესწავლა არკვევს, სრულიად უგულვებელყოფილია ზემოაღნიშნულ ქართულ მისტიკურ-ალეგორიული სიყვარულის თეორიაში. მაგალითად, აქ სრულიად უარყოფილია თრობისა და ღვინის აპოლოგია, რომელიც ღვთაების წვდომის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად არის აღიარებული სუფიურ მისტიკაში. ქართული საღვთო სიყვარულის თეორია სრულიად არ იცნობს ამ მიმდინარეობას. სუფიური პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ვნების დათრგუნვა და ამ გზით უმაღლესისაკენ სწრაფვა, მაგრამ ამავე დროს იმავე პოეზიის სხვა ნიმუშები ვნების თავისუფლებასაც ქადაგებენ, რაც ასევე პირდაპირი გზაა უმაღლესის წვდომისათვის (მაგალითად, ეროტიული გრძნობები, ვითარცა თავდავიწყების ერთ-ერთი საშუალება). ზემოაღნიშნულთან ერთად არც ამ მხარეს იცნობს მე-17—18 საუკუნეების ქართული მისტიკურ-ალეგორიული ხასიათის პოეზია და ეს მომენტიც თიშავს მას აღმოსავლურ-სუფიური მიმდინარეობისაგან" (გვ. 70—71).

მეორე მხრივ, ეყრდნობა რა იმ ფაქტებს, რომ სუფიზმის ერთ-ერთი წყარო ნეოპლატონიზმია, ხოლო ვეფხისტყაოსანში, მიუხედავად აღმოსავლურ სამყაროსთან მისი კავშირისა, მძლავრად იჩინა თავი ამ ფილოსოფიურმა იდეებმა, ს. ცაიშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ქართულ ორიგინალურ მწერლობაში გავრცელებული სიყვარულის ჩვენთვის საინტერესო სახეობა უნდა ენათესავებოდეს არა აღმოსავლურ სუფიზმს, არამედ სწორედ ნეოპლატონიზმს და მისგან იღებდეს სათავეს. „ყოველივე ამის გამო ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, — ასკვნის ავტორი, — რომ მე-17—18 საუკუნეების ქართული ლირიკა თავის შეხედულებებში მისტიკურ-ალეგორიულ მიჯნურობაზე ახლო იდგეს სწორედ ნეოპლატონურ მოძღვრებასთან, რომელიც თავის დროზე მძლავრი ნაკადის სახით არსებობდა ქართულ კულტურაში“ (გვ. 71).

მკვლევარი აქვე აზუსტებს და მეორე წყაროდ ბიბლიურ ქრისტიანობას ასახელებს. იგი ასე მსჯელობს: „რასაკვირველია, მე-17—18 საუკუნეების ქართულ აზროვნებაში ბევრი რამ ამ რთული მოძღვრებიდან (ნეოპლატონიზმიდან — ბ. დ.) ძნელად ასათვისებელი იყო, რადგან კლასიკურ ხანასთან შედარებით ბევრი სიმაღლე უკვე დაკარგული ჩანდა... მე-17 საუკუნიდან დაეტყო ქვეყანას შედარებით ინტენსიური კულტურული გამოღვიძება... ამიტომ არის, რომ, მაგალითად, დ. გურამიშვილის შემოქმედებაში უფრო მძლავრადაა ბიბლიური ქრისტიანობის პირდაპირი გავლენა, ვიდრე რუსთაველთან, სადაც აშკარად ჩანს ნეოპლატონიზმის რთული იდეების გამოძახილი. იგივე უნდა ითქვას ვახტანგისა და მისი სკოლის სხვა პოეტების მიმართ. ბიბლიურ ქრისტიანობაზე დაყრდნობით და, ჩვენი აზრით, ნაწილობრივ ნეოპლატონისტურ ზოგ შეხედულებათა გავლენით, წარმოიშვა ის მიმართულება, რომელსაც ჩვენ ზემოთ მისტიკურ-ალეგორიული ვუწოდეთ და, რომელმაც გარკვეული ისტორიული პირობების გამო, მძლავრად მოიკიდა ფეხი ახლად აღორძინებულ ქართულ მწერლობაში“ (გვ. 72).

ს. ცაიშვილი ძირითად დასკვნასა და ცალკეულ საკითხებზე მსჯელობისას არაერთხელ და საგანგებოდ მიუთითებს, რომ ისინი შემდგომ შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვენ.

უფრო ადრე რუსულ ენაზე არსებულ ქრისტიანულ ლიტერატურასთან „სატრფიალონის“ მსგავსებაზე მიუთითა ნ. მაისურაძემ. როგორც აღვნიშნეთ, ის არ უარყოფს ვახტანგის თხზულებაში აღმოსავლური, სუფიური ლიტერატურული ტრადიციების გამოძახილს, მაგრამ თვლის, ყველაფერი ეს „ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ ნიადაგზეა“ გადატანილი. მისი აზრით, ამ ქრისტიანულ ლიტერატურას კი პოეტი

რუსეთში უნდა გასცნობოდა. მკვლევრის სიტყვებია: „ეს შეხედულება («სატრფიალონის» სუფიური ხასიათი — ბ. დ.) ლიტერატურის ისტორიაში ახალი არაა (იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, II). ჩვენ გვინდა ამას მხოლოდ მცირე რამ დავუმატოთ, სახელდობრ ის, რომ ვახტანგსა და გურამიშვილს რუსული ლიტერატურის გაცნობის დროს შესაძლებლობა ჰქონდათ ახლოს გასცნობოდნენ ასეთი ხასიათის მხატვრულ ლიტერატურას და უფრო კონკრეტულად, უფრო თვალსაჩინოდ გამოეკვეთათ თავიანთი შეხედულება მხატვრულ სიტყვაში“ (გვ. 89).

ნიმუშად ასახელებს 1677 წელს პოლონურიდან გადათარგმნილ მოთხრობათა კრებულს „Великое зерцало“. მისი დახასიათებით, „ეს კრებული «ზერცალო» განკუთვნილი იყო, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიაში წარმოსათქმელ ქადაგებათა ილუსტრირებისათვის. «ზერცალოში» ბევრი თქმულებაა ღვთისმშობლის შესახებ“ (გვ. 90).

ავტორი თავის მოსაზრებას ასე აყალიბებს: „როდესაც ამ ლეგენდას და მის მსგავს თხზულებებს ვადარებთ ვახტანგ მეექვსის «ტრფიალისაგან სატრფოსათვის შაირობას», შემდეგი დასკვნა გამოგვაქვს: მისტიციზმისაკენ, საერთოდ ალეგორიისაკენ მისწრაფება ვახტანგს მანამდეც ახასიათებდა. ვეფხისტყაოსნის დაცვის დროს მან მიჯნურობას რელიგიური საფუძველი დაუდვა და ქალ-ვაჟთა ხორციელი ტრფობა საღმრთო მიჯნურობად აღიარა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ალბათ, თვითონაც არ სჯეროდა, რასაც სხვას უმტკიცებდა და დარწმუნებული იყო, რომ ვეფხისტყაოსნის გმირთა სიყვარული ხილული ქვეყნის ფარგლებს არ სცილდებოდა. ასე რომ, ვახტანგის მიერ ვეფხისტყაოსნის მიმართ გამოთქმული შეხედულება მხოლოდ ნაწილობრივ დაედება საფუძვლად შემდეგში მის მიერ რუსეთში დაწერილ სატრფიალო ლექსებს. სიყვარულის საგნად არაამქვეყნიური არსება მხოლოდ პოეტის შემოქმედების უკანასკნელ პერიოდში ჩანს. ეს სატრფიალო ლექსები ნათქვამია ვახტანგის მიერ დედაქალაქს მოსკოვს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ რუსული ლიტერატურის გავლენაა საგულისხმებელი“ (გვ. 91).

ქრისტიანობასთან „საღვთო მიჯნურობის“ კავშირზე ერთ მოსაზრებას კიდევ დავასახელებთ.

ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული კომენტარების საღვთო მიჯნურობის სუფიური ხასიათი უარყო ვ. ნოზაძემ. იგი ეხმიანება აკაკი წერეთლის სიტყვებს — ვახტანგ მეექვსემ „თავისი კომენტარებისა და სოფისტური მტკიცების საფუძველზე პოემას რელიგიური მნიშვნელო-

-ბა მიანიჭა"-ო[166], — გამოთქმას „სოფისტური" „სუფისტური" მნიშვნელობით იღებს და განმარტავს, რომ აღნიშნული ახსნა საღვთო მიჯნურობის შესახებ უნდა მივიღოთ არა როგორც სუფიური, არამედ როგორც ქრისტიანული თეოლოგიური მოვლენა. „მართალია აქ მხოლოდ ის, — წერს მკვლევარი, — რომ ვახტანგ მეფემ ვეფხისტყაოსანს «რელიგიური მნიშვნელობა» მიანიჭა, მაგრამ ამ «სუფიზმთან» არავითარი კავშირი არა ჰქონია.

ვახტანგ მეფე სპარსულ მწერლობას კარგად იცნობდა. იგი ჩახედული იყო სუფისტურ მწერლობაშიც. მაგრამ მას ეს სუფიზმი სრულებითაც არც ესაჭიროებოდა ვეფხისტყაოსანის განსამარტავად.

სიყვარულის მისტიციზმი ანუ ღმრთისადმი სიყვარული ძველთა ძველი განძია კაცობრიობის კულტურაში და მისტიციზმი ბუდთიზმშიდაც და ქრისტიანობაშიც (ბუდთისტური, თუ ნეოპლატონური გზით) ცნობილი იყო სუფიზმის გაჩენამდე, რომელზეც თვით ბუდთიზმა და ქრისტიანულმა გნოსიტიციზ-მისტიციზმმა დიდი გავლენა მოახდინა.

ვახტანგ მეფეს შეეძლო სწორედ ქრისტიანული მისტიციზმის თვალსაზრისით განეხილა ვეფხისტყაოსანის სიყვარული-მიჯნურობა. და ცნობილია, ქრისტიანობა ამქვეყნიურ სიყვარულს არცა ჰგმობს და არც უარყოფს, ხოლო მას აწმიდებს, წმიდად ხდის დაქორწინებით, ოჯახის შექმნით. სწორედ ამ თვალსაზრისითაც ვახტანგმა შეასრულა კიდეც ვეფხისტყაოსანის თარგმანებაგანხილვა"[167].

„ვახტანგ მეფე იყო ქართველი და ქრისტიანი. და როგორც ვეფხისტყაოსანის პირველი განმამარტებელი, მას იგი ქართული და

---

[166] ავტორი აკაკის ტექსტს იმოწმებს წიგნიდან: ლ. მენაბდე, „ვეფხისტყაოსანი" და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი (წ-19 საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1967, გვ. 74.

დედანში კი წერია: «Вахтанг же шестой напечатал ее в 1712 г. и своими комментариями и софистическими доказательствами придал ей религиозное значение» (ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, XV, თბ., 1963, გვ. 484—485).

იგივე სიტყვა იკითხება წინაც: «Царь карталинский Вахтанг понимал действия католикоса, но чтобы как-нибудь спасти честь любимого им творения, выступил с разбором «Барсовой кожи» с целью доказать софистически, что поэма эта написана с религиозной целю и что ее не только в целом, но и в отдельных ее частях, надо понимать в духовном значении, как высшую аллегорию» (გვ. 470).

[167] ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება, გვ. 303.

ქრისტიანული თვალსაზრისით განიხილავდა“ (გვ. 304).

დასმულ საკითხს ეხება რ. სირაძე. მან გაიზიარა ს. ცაიშვილის შეხედულება და საყურადღებო მოსაზრებანი გამოთქვა წყაროს დასადგენად. მკვლევარი წერს: „ს. ცაიშვილმა უკვე ცხადყო, რომ რუსთველის სიყვარულის ვახტანგისეული გააზრებანი მხოლოდ პოლემიკური მიზნით არაა მოწოდებული, რომ იგი სიყვარულის ნეოპლატონისტურ თეორიას ემყარებოდა. ამიტომ შესაძლებელი ხდება დაისვას საკითხი: კონკრეტულად რომელ ნაწარმოებს შეიძლებოდა დამყარებოდა ვახტანგი სიყვარულის მისტიკურ ალეგორიული გაგებისას“[166].

მისი აზრით, ასეთი წყაროები შეიძლებოდა ყოფილიყო ქრისტიანული ეგზეგეტიკური თხზულებანი, კერძოდ, „ქება ქებათაის“ თარგმანები: „მისი სათავე ეგზეგეტიკაში დევს, — გადაჭრით ამბობს მკვლევარი, — ჩვეულებრივი ცხოვრებისეული სინამდვილისა თუ ადამიანურ განცდათა აღწერაში საღვთო აზრის პირდაპირი გზით დანახვის კლასიკურ ნიმუშს ქრისტიანული მწერლობის თვალსაზრისით წარმოადგენდა «თარგმანები» იმ ბიბლიური წიგნებისა, რომლებიც ასახავენ «ამქვეყნიურ ამბებს». ამ შემთხვევაში შეგვიძლია გამოვყოთ ბევრი თხზულება, მაგრამ სანიმუშოდ ყველაზე ცხადი მაგალითი იქნება «ქება ქებათაის» თარგმანები... ადამიანური სიყვარულის გამომხატველ სიტყვებში დაინახონ ღვთაების სიყვარულის გამოხატულება — აი, ვახტანგის «თარგმანისა» და «ქება ქებათაის» თარგმანების ძირითადი შემამსგავსებელი“ (გვ. 276).

მკვლევარს საილუსტრაციოდ მოჰყავს რამდენიმე მაგალითი ვეფხისტყაოსანზე დართული ვახტანგის კომენტარებიდან და იპოლიტე რომაელის „ქება ქებათაის“ კომენტარებიდან (გვ. 277—278), რომელთა მსგავსება უთუოდ ნიშანდობლივია.

საღვთო სიყვარულს ქართულ პოეზიაში ეხება მ. კაკაბაძე. იგი იმოწმებს კ. კეკელიძისა და ს. ცაიშვილის გამოკვლევებს და მათ მიერ გამოთქმულ ორივე თვალსაზრისს ღებულობს. იგი წერს: „ალეგორიულ-სამიჯნურო თემატიკის დამწყებად აღორძინების პერიოდში თეიმურაზ პირველი გვევლინება. თეიმურაზთანაც და ვახტანგთანაც, საერთოდ, აღორძინების პერიოდის ქართულ პოეზიაში, ღვთაების ამ სახით შესხმა ქრისტი-

---

[166] რ. სირაძე. ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 274.

ანული პოეზიის გარდა, მოდის სპარსული მისტიკური პოეზიიდან, სუფისტური ლიტერატურიდან, სადაც ღვთაების მიმართ სატრფიალო საგალობლების სახით გამოთქმული ალეგორიული მიჯნურობა შერწყმული მაღალ მისტიკასთან დამკვიდრდა“[169].

ასეთია საკითხის კვლევის ისტორია ვახტანგ მეექვსისა და, საერთოდ, ქართულ მწერლობაში მისტიკური სიყვარულის რაობის შესახებ. როგორც ვნახეთ, აღნიშნული შეხედულებანი უფრო ზოგადი მოსაზრებებიდან გამომდინარეობს და თითო-ოროლა მონაცემებს ეყრდნობა.

საკითხის უფრო დაწვრილებით შესწავლა გვიჩვენებს, რომ მართალია ის თვალსაზრისი, რომელიც ვახტანგის სატრფიალო ლირიკასა და სამიჯნურო შეხედულებებს ქრისტიანობას უკავშირებს.

ვახტანგს აღმოსავლური წყაროებით რომ ეხელმძღვანელა, რამდენადაც უნდა შეეცვალა და შეეხამებინა იგი ქრისტიანული და ქართული გარემოსათვის, სუფიზმსა და სუფიურ პოეზიას იმდენი აქვს საკუთარი როგორც არსის, ისე მისი გამოხატვის მხრივ, რომ ჩვენი პოეტის მხატვრულ ქმნილებებსა და მეცნიერულ ნარკვევებში სადღაც უთუოდ უნდა გამოჩენილიყო ამ მძლავრი რელიგიურ-ფილოსოფიური და მხატვრული მიმდინარეობის სპეციფიკის კვალი. გარდა ს. ცაიშვილის მიერ მითითებული განსხვავებებისა, თვალშისაცემია ის გარემოება, რომ „სატრფიალონში“, ისე როგორც ვახტანგის სხვა თხზულებებში, არსად შეიმჩნევა სუფიური, არაბულ-სპარსული პოეზიისათვის დამახასიათებელი ენობრივი და მხატვრული თავისებურებანი, ტერმინოლოგია, საერთოდ, აღმოსავლური ხელწერა და იერი. რაც არის (მაგალითად, სიტყვები „მიჯნურობა“, „ეშყი“ და მისთანანი), დიდი ხნიდან შემოსული და დამკვიდრებულია ქართულ მეტყველებასა და ლიტერატურაში. ვახტანგისეული მისტიკური სიყვარულის აღმოსავლურ, სუფიურ სიყვარულთან მიმართება, მათ შორის მსგავსება-განსხვავების დადგენა — ცალკე კვლევის საგანია და იგი თავის მკვლევარს ელის. ჩვენი კვლევის მიზანია მეორე მხარე, — მისი მიმართება ქრისტიანობასთან.

ვახტანგის სატრფიალო პოეზიაში გარკვევისათვის მნიშვნელოვან გასაღებს ვპოულობთ ვეფხისტყაოსანზე დართულ მისეულ „თარგმანში“. როგორც ცნობილია, ვახტანგმა გადაჭრით უარყო ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსულობა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იგი არ ერიდება პოემის აღმოსავლური რეალიების წარმოჩენას. მაგალითად,

---

[169] მ. კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, გვ. 189.

მას მიაჩნია, რომ რუსთველმა სპარსული საერო თხზულებების ყაიდაზე შექმნა თავისი პოემა და ამიტომ იძლევა პროლოგში ცნობას მისი სპარსულიდან თარგმნის თაობაზე: „აწ ამას ამბობს, სპარსულის მიბაძვით რადგან ათქმევინა თამარ მეფემ, რომ სპარსთაგან ვსთარგმნეო, თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება. ამბავიც თვითონ გააკეთა და ლექსადაც. იმისთვის უბნობს, რომ, სპარსის ლექსის ბაძზედ რომ სთქვა, სპარსული ამბავი ქართულად ვსთარგმნეო“ (გვ. სჟვ).

ასევეა სხვა შემთხვევებშიაც. ავტორი განმარტავს: „მიჯნური არაბულად შმაგსა ჰქვიან“ (სპთ), „შიმშირი სპარსულად ჯრმალია“ (სპთ), „მუფარახი მაჯუნსა ჰქვიან, თათრები ჭუფარახს ეძახიან“ (ტი), „მანგი მეგრულად მარგალიტსა ქვიან და თათრულად მთვარესა“ (ტია), „ნეი გახვრეტილი ხე არის მრუდათ, სულის ჩაბერვით დაიკურის, ყიზილბაშთ იციან“ (ტივ), „ვაქილი არაბულად სვინაღოროსია, ქართულად ვაქილი“ (ტიზ), „ამირი არაბულად უფროს ჰქვიან და ქართულადაც ეს არის“ (ტკგ), „მულამნი თათრულად მკითხავი არის, მუყრნი აზანას რომ დაიძახებს მეჩიტში, ის არის“ (ტკდ), „ნამუსი ქართულად პირის წყალი არის, არაბულად სჯულსა ჰქვიან“ (ტკე) და სხვა.

გამომდინარე აქედან, ვახტანგი ვეფხისტყაოსნის სიყვარულს სუფიურ რომ თვლიდეს, ადვილი მოსალოდნელია, „სპარსული ლექსის ბაძად“ სწორედ სიყვარულის ალეგორიული წარმოსახვა მიეჩნია, დაესახელებინა კიდეც იგი და სხვაგვარად დაესაბუთებინა პოემის ღირსებანი. მაგრამ, თუ ამას არ აკეთებს და ვეფხისტყაოსანს მაინც ასე გაბედულად აცხადებს მისტიკურ-ალეგორიულ თხზულებად, რითაც, როგორც თვითონ აღიარებს, მისი დაცვა სწადია, იმიტომ რომ აღნიშნული თვალსაზრისი მას არ მიაჩნია ქრისტიანი ქართველი ხალხისათვის მტრულ და მიუღებელ მუსლიმანურ რელიგიურ გამოხატულებად. პირიქით, კომენტარებში იგი ყველგან თავგამოდებით ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსანი სალვთო და საერო თხზულება არის, მისი ავტორი ქრისტიანია, რომელიც ქრისტიანულ ზნეთსწავლებას ქადაგებს. მაგალითად, პოემის ცალკეული ადგილების განმარტებისას აღნიშნულია: „საეროდ და სამღდელოდ ამბობს“ (სჟგ); „სამღთოსა და საეროზედ ორზედვე უთქვამს“ (ტია); „სამღთოდ თუ საეროდ ისწავლება“ (ტიშ); „ეს სამღთოც არის და საეროც; სამღდელოთაც კარგა ითარგმნება, საეროთაც უთქვამს“ (ტლზ); „ესეც სამღთოსა და საეროზედ უთქვამს“ (ტლზ) და სხვა. ერთ ადგილას პირდაპირ განზოგადებულად ამბობს: „ბევრჯერ მითქვამს, რუსთველს სადაც პირი მოუკრავს, სამღთო ყოფილა კარგი თუ საკაცო, ორივ დაუწერია“ (ტმბ).

კომენტარებიდან გარკვევით ჩანს, რომ „სამღრთოში“ და, რასაკვირველია, „სამღვდელოშიც“, — ყველგან ქრისტიანული ღმრთისმეტყველება იგულისხმება:

„ახლა კიდევ ეს ამბები გაათავა და თავის ზღაპრის გალექსვას მოჰყვა და შესავლად კიდემ სამღთო დაუწერა. მოყვარე კაცისათვის ქრისტე არის და ქრისტესათვინ კაცი არის. თვითონ ქრისტე არ ბძანებს სახარებაში იუდასთვინ, მოყუასო, რისათვის მოსულხარო? თუ იუდას მოყუსობას ეუბნების, სხვანი ხომ უფრო მოყუასნი იქნებიან. და აწ იმას უბნობს, თუ კაცი ქრისტესთვის ტირის, ტირილს ემართლების...“ (ტა).

„თვითო-ოროლა, სადაც მოხდომია ადგილს სიტყუაზე, სამღ̃თო ყუელგან ჩაურთავს. თუ ეს სამღ̃თოთ არ ეთქვას, მაშ, რომელს სამღ̃თოს წიგნში სწერია, მოყუარე მოყუარეს ნუ მიენდობაო. მაგრამე ეს იმ საქმის იგავად მოუყვანია და წიგნშიაც ესე სწერია — მოყუარე მტერი მოყურისა. ქრისტე მოყუარე არის და ეშმაკი იმისი მტერი კაცისათვის ყოვლის მტრისაგან უფრო მტერი არს“ (ტმჱ — ტმთ“).

კომენტარებში ვეფხისტყაოსნის ყოველი რელიგიური, მსოფლმხედველობრივი, ზნეობრივი შეხედულება ქრისტიანობის მიხედვით არის ახსნილი და განმარტებული. ტექსტში აოაერთხელ არის დამოწმებული ბიბლიური წიგნები (მათ შორის სახარება), მოციქულები, ეკლესიის მამები. გარდა აღნიშნულისა, დავიმოწმებთ სხვა მაგალითებსაც: „უხმს მოღვაწეთა, ვითარცა იტყვის ქრისტე, იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, რათა არ ეჩვენო კაცსა მარხველად, — ახლა ამას ამაზე უბნობს...“ (სჟდ).

„ეს ესაია წინასწარმეტყუელის სიტყუა უთქვამს. ესაია იტყვს, ვა მათთვინ, რომელნი წერენ სიცრუესა და ესეც ასრე ამბობს იმასავით“ (სჟთ).

„შვიდგზის შენდობას ისრაელთაგან მოწმობს ძველის რჯულისას და მერმე ქრისტეს პეტრემ ჰკითხა, თვითან სამეოცდა შვიდ გზის უბძანა“ (ტკ).

„სახარება რომ ბძანებს, ესეც ამას უბნობს“ (ტიზ).

„ვითარცა იტყვის პავლე, ზე გარდამო არს, აგრევე ესეც ამას უბნობს“ (სპჱ), „პავლეც იტყვის, ნურა რასა უფროსა განწესებულისა თქუენისა იქთ, ის მოუყვანია, ვისაც რა მოგეცესთ, იმას დასჯერდითო“ (სჟზ). „ეს პავლეს სიტყუაზე მოუყვანია, წესიერი ზრახვა, ზომიერი დუმილი, როგორც ის იტყვს, ამასაც ისე უთქვამს“ (ტლვ). „როგორც პავლე მოციქული ბძანებს, სიბძნენი ამის სოფლისანი... უმეცრებაა ღ̃თის წინაშე“ (ტმე). „როგორც პავლე ბძანებს, ვინც მეფეთ ბძანებას აღგება, ღ̃თის ბძანებასაც აღგებაო“ (ტნა).

„როგორც პეტრე იოვანეთურთ ტაძარში რომ საპყარი იხილა და ქველი საქმე სთხოვა, „იმ უხვებასა უბნობს" (სჟბ). „რაცა-ვისცა ბედმა მისცეს, როგორც იოვანე ნათლისმცემელი ბძანებს, კმა გეყავ როჭიკი თქუენიო" (სჟვ-სჟზ).

„ღ̃თის ხატად წინასწარმეტყველნი და ფილასოფოსნი ქრისტეს იტყვან. იმას ახვეწებს ავთანდილს, რომე მიშველე რამეო" (ტმგ).

„ამას გლახის მოწყალედ ისწავლება იოვანე ოქროპირის ბრძანებასავით" (ტმ). „ნახეთ, ტირილი რა გზით დაუშლია, ვითამ როშაქ მათი ამისთანა სპასალარი იყო და ტირილი სძულდაო; ოქროპირის სწავლაშიაც არად მოსაწონია" (ტმთ) და სხვა.

კომენტარებში, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის, ვეფხისტყაოსნისეული სიყვარულის შეფასებისას ერთადერთი საზომი და სახელმძღვანელო ქრისტიანულ-თეოლოგიური თვალსაზრისია. და ყოველივე ეს ნაშრომში პირდაპირ და გარკვევით არის წარმოდგენილი. ამის თაობაზე კარგად შენიშნავს ქ. შარაშიძე: „ყველგან, სადაც მიჯნურობა არის ნახსენები..., რუსთველის ბრძნულ გამონათქვამში იგი (ვახტანგი. — ბ. დ.) პავლე მოციქულის, იოანე ნათლისმცემლისა და საქრისტიანო ეკლესიის სხვა ავტორიტეტთა აზრებს პოულობს"[170]. ამის საილუსტრაციო რამდენიმე ნიმუში ზემოთ არის დამოწმებული, რამდენიმეს კიდევ აქ მოვიყვანთ:

„ახლა ამის სახეზედ ესეც მოუყვანია: როგორც ვარდს უმზეობა გააკმობს, ისრე სიყუარული ქრისტესი უთქვამს და იმისი ვერ ჭვრეტა ძველს ადამის ცთომას გაგვიახლებს. ბევრჯელ მითქვამს, მეფეთ ადგილს თვითო სამღთო უთქვამს, ისევ სამღ̃თო, თვარა აქ არაკი დაუწერია, ახლა სხვა ამბავი დავიწყოო" (ტმა — ტმბ).

„თუ სამღ̃თოდ ეს არ ეთქვას, საყვარელს დაძაბუნებული მოყუარე როგორ ეჯობინებაო, მაგრამ ესეც სამღ̃თოდ უთქვამს. თქუა: ჩემო, შენი შორს მყოფი რომ დაუკრძალავს, ვინც საყვარელს მოშორდეს, უნდა დაჩუმდეს, განა სულ ლაპარაკობდეს. მაგრამ ასრე უთქვამს: კრულ იყოს, ვინც შენ ცოდვით დაგშორდეს, ვინც დაჩუმდეს და სულ იმის ქებას არ ამბობდეს. რადგან კერპ მსახურებიდამ მოვიქეცით და გონება ქრისტეს დარჩა, ხამს, რომ კაცმან, რამდენიც ცოდვა ქნას, გული ისრევ ქრისტეზედ უნდა ჰქონდეს და დაუბრუნდეს. ბევრი კაცი ცოდვას იქს, იტყვის, მე რაღა მეშველებისო. ახლა ეს იმაზედ უთქვამს: თვალი რომ ცოდვით

---

[170] ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), გვ. 143.

მტირალი ჰქონდეს, კიდევ ი ს რ ე ვ ქ რ ი ს ტ ე ს შ ე ხ ე დ ვ ა უ ნ დ ა ს წ ა დ დ ე ს და სასო არ უნდა წარიკვეთოს. რ ა ც რ ა მ ა მ ს ო-ფ ე ლ ს კ ა ც ს შ ე უ ყ ვ ა რ დ ე ბ ა, ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ი ს ა რ ი ს დ ა მ ო ყ ვ ა რ ე ქ რ ი ს ტ ე ა რ ი ს. ა ხ ლ ა ა მ ბ ო ბ ს: რ ა გ ი ნ-დ ა რ ა ქ რ ი ს ტ ე ს ს ა წ ყ ე ნ ი რ ო მ ქ ნ ა ს კ ა ც მ ა დ ა შ ე-უ ყ ვ ა რ დ ე ს, ც ო დ ვ ი თ ქ რ ი ს ტ ე დ ა ძ ა ბ უ ნ ე ბ უ ლ ა დ ჰ ყ ვ ა ნ-დ ე ს, ი ს უ თ ქ ვ ა მ ს, მ ა ი ნ ც ი ს ი ვ ქ რ ი ს ტ ე გ ი ჯ ო ბ ს ო დ ა ს ჯ ო ბ ს ო" (ტმბ).

„ე რ თ ა რ ს ე ბ ი ს ა გ ა ნ ე რ თ ი ხ ო მ ქ რ ი ს ტ ე ა რ ი ს და ქ რ ი ს ტ ე ს ეხვეწება და აქებს: ვისაც ციერნი ერთის წამისყოფით გმორჩილებსო, მე ბედს ნუ მიქცეო და ჩემს ცოლს შემყარეო. აბა, ქ რ ი ს ტ ი ა ნ ი ფილასოფოსი საბოზერად ქ რ ი ს ტ ე ს როგორ შეახვეწებს, ჴელი მოუმართეო?!" (ტმგ).

„აქ იხილეთ, კაცნო, თუ სიძვაზედ რამ იყოს, რა სათხოვარია სიკუ-დილამდი ქ რ ი ს ტ ე ს მ ც ნ ო ბ ი ს ა დ ა ა მ გ ვ ა რ ი ს ფ ი ლ ა-ს ო ფ ო ს ი ს კ ა ც ი ს ა გ ა ნ მრუშება?!" (სპჱ — სპთ).

ვახტანგის შეფასებით, ვერც თავად შოთა რუსთველი გაბედავდა და არც მაშინდელი საერო და საეკლესიო ხელისუფლება დაუშვებდა, პოეტს ვეფხისტყაოსანში ქრისტიანული ზნეობისათვის უცხო და მიუ-ღებელი სიყვარული დაეხატა და ექადაგებინა:

„ეს ხომ ყოველთა მეცნიერთაგან საცნაურ არს, რომ ესე ვითარი მეცნიერი კაცი არცა დ ა შ ვ რ ე ბ ო დ ა წ ა რ ს ა წ ყ მ ე დ ე ლ ა დ და რადგან ქ რ ი ს ტ ი ა ნ ი ი ყ ო, ა რ ც ა ა ღ უ დ გ ე ბ ო დ ა ესე ოდენ-სა ხანსა ამას წინ, რომელი იტყვს: რომელმან მიხედოს დედაკაცს გუ-ლის თქმად შემდგომითურ. მაგრა ამად თქუ, თუცა ეთქუა წმინდათა წერილთაებრ, ვ ი ნ გ ა უ შ ვ ე ბ დ ა გ რ ი გ ო ლ ი ს დ ა ო ქ რ ო-პ ი რ ი ს ა დ ა ს ხ ვ ა ს ა ესე ვითარსა და ამას შეიყვარებდა" (სპვ — სპზ).

„ამისთვის თავად რუსთველის დროს ქალი ბატონობდა და ამგვარი მეძაობის სიტყუა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და რო-გორ არ უწყენდა. და მეორედ, ო რ ი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი, რ ა მ თ ო ნ ი ს ა მ ღ დ ე ლ ო წ მ ი ნ დ ა დ ა ღ ი რ ს ნ ი კ ა ც ნ ი ი ყ უ ნ ე ნ დ ა ა მ თ ო ნ ი უ დ ა ბ ნ ო ა შ ე ნ ე ბ უ ლ ი ი ყ ო. ისინი, თუცა რუს-თველს მოენდომებინა, რ ო დ ი ს ა ქ ნ ე ვ ი ნ ე ბ დ ე ნ დ ა ნ ა თ ქ უ-ა მ ს დ ა უ ხ ე ვ ე ლ ს რ ო დ ი ს გ ა უ შ ვ ე ბ დ ე ნ, თვარამ ახლა, გასინჯეთ, ბერი უფრო ცოტა არის და მაშინდლობა და ახლანდლობა შორიშორ არის" (სპზ — სპჱ).

თუ ვახტანგი ასეთ გამოხმაურებას გულისხმობს სიყვარულის ვულგარული სახეობის ან თუნდაც, როგორც თვითონ უწოდებს, მე-ძავეობის მიმართ, ბუნებრივია, დამოკიდებულება კიდევ უფრო სას-

ტიკი და დაუნდობელი იქნებოდა ქრისტიანობისა და ქართველი ხალხისათვის ისტორიულად ისეთი მტრული რელიგიური გამოვლინების წინააღმდეგ, როგორიც მუსლიმანობა იყო ძველ საქართველოში. ძნელი დასაჯერებელია, ვახტანგს ვეფხისტყაოსნის მიჯნურობა სუფიურად ესახებოდა და ამ გარემოებას არ ითვალისწინებდა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვეფხისტყაოსნის მიჯნურობასაც ვახტანგი ქრისტიანობის პოზიციიდან განმარტავს და თითოეულ ალეგორიაში ქრისტიანულ-რელიგიურ სახეებს ხედავს. სათანადო ნიმუშები ქვემოთ, გზადაგზა იქნება მოყვანილი.

ვეფხისტყაოსნის კომენტარებსა და „სატრფიალონს“ შორის სრული იგივეობა არის სიყვარულის ალეგორიულ გაგებასა და გამოხატვაში.

ვინ არიან ტრფიალების ობიექტები „სატრფიალონში“ და როგორი ალეგორიული სახეებით არიან ისინი გამოხატული?

ერთი, თხზულებაში სატრფო წარმოდგენილია ზოგადი სახელით — „სატრფო“, „სატრფიალო“, გვაქვს „ტრფიალი“-ც, ხოლო ვინც ეტრფის — „მეტრფე“, „მეტრფიალე“, „ტრფიალი“[171].

სტრ. 2, 1:

> „ვტირ, სატრფოვ, მეტრფე საპრალოდ, მოლბობით შემიწყალო და“.

სხვა რედაქციული წაკითხვები:

> „ჩემთვის სატრფოო, შენთვის ვსტირ, მოლბე და შემიწყალო და“.
> (Q 548, გვ. 28)

> „სატრფიალოო, შემოგტირ, მოლბობით შემიწყალო და“.
> (S 171, გვ. 16)

> „მეტრფისთვის გვიხამს ტირილი, მოლბეს და შეგვიწყალოსა“.
> („ლიტერატურული ძიებანი“, VI, 1950, სტრ. 20)

სტრ. 3, 1:

> „სატრფოს ტრფიალმა შეუმკევ, მო, მცირე უნდა ქებანი“.

---

[171] მიჯნური ამ უკანასკნელის სახელით არის მოხსენიებული „ამირ-ნასარიანის“ ზემოთ განხილულ სტროფში: „ხედავთ, ტრფიალნო, გამოდით...“ (II „ტრფიალო, მზერდე, გამოდით...“).

ვარიანტები:

„ჩემსა ს ა ტ რ ფ ო ს ა ტ რ ფ ი ა ლ მ ა შევუმკევ მცირე ქებანი“.
(Q 548, გვ. 28)

„ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო ს ა მ ე ტ რ ფ ე მ ა ნ შემოუკრიბე ქებანი“.
(S 171, გვ. 17)

სტრ. 4, 1:

„ჩემსა ს ა ტ რ ფ ო ს ა ვაქებდე, ვისი მსურს ხილვა გულითა“.

„მას, ჩემსა ს ა ტ რ ფ ო ს ვაქებდე, ეისი მსურს ხილვა გულითა“.
(Q 548, გვ. 28)

„ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო ს ა ვაქებდე, მსურიან ხილვა გულითა“.
(S 171, გვ. 17)

სტრ. 12, 4:

„მ ე ტ რ ფ ი ა ლ ე თ ა შეშვენის გარეგან განაკიდებით“.

„რადგან ტ რ ფ ი ა ლ ე ბ, ესენი ყავ შენგან განაკიდებით“.
(S 4500, გვ. 268)

„მ ე ტ რ ფ ი ა ლ ე თ ა თქვენობით განაძეთ განაკიდებით“.
(S 171, გვ. 18)

„რადგან ტ რ ფ ი ა ლ ო ბ, ესენი ქენ ყველა განაკიდები“.
(„ლიტ. ძიებანი“, სტრ. 71)

სტრ. 18, 1:

„მ ე ტ რ ფ ე ს ა ტ რ ფ ო ს მაძებარი პირველ მართებს მო ნათელსა“.

„ს ა ტ რ ფ ო ს მ ე ტ რ ფ ე თუცა სძებნი, პირველ გიჯამს მო ნათელსა“.
(S 4500, გვ. 269)

სტრ. 20, 4:

„გნუკავ, მაჩვენო ს ა ტ რ ფ ო ს ა ცხოველი ბრწყინვალებანი“.

„გნუკავ, მახილვო ს ა ტ რ ფ ო ს ა და მისი ბრწყინვალებანი“.
(S 4500, გვ. 270)

„შემოგვედრიეარ, მაჩვენო ს ა ტ რ ფ ო ს ა ბრწყინვალებანი“.
(S 171, გვ. 19)

სტრ. 29, 1:

„მისთა ტ რ ფ ი ა ლ თ ა კეთილი არ მიეცემის კარითა".

„მ ე ტ რ ფ ი ა ლ ე თ ა საწადი მიუცემია კარითა".

(S 171, გვ. 20)

სტრ. 33, 1:

„როს მ ე ტ რ ფ ი ს ა ტრფიალება გულსა ჩემსა დამაჯერა".

„ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო ს ტრფიალება გონებასა დამაჯერა".

(S 171, გვ. 20)

სტრ. 35, 4:

„ეგებ რომ მნახოს, შემიტკბოს ტ რ ფ ი ა ლ მ ა ნ გამძლე ჭირისა".

„დამინახოს და შემიტკბოს ტ რ ფ ი ა ლ მ ა ნ გამძლე ჭირისა".

(S 171, გვ. 21)

სტრ. 134, 1:

„შენი ტ რ ფ ი ა ლ ნ ი შენს ნახვას სიზმარსა შინა ჯერანო".

„შენი ტ რ ფ ი ა ლ ნ ი დანახვას სიზმრობითაცა ჯერანო".

(S 171, გვ. 32)

სიყვარულის გამოვლენას „ტრფიალება" ეწოდება:

სტრ. 32, 1:

„თუცა არა ვარ საფერი შენისა ტ რ ფ ი ა ლ ე ბ ი ს ა".

„უღირსალი ვარ საფერად შენისა ტ რ ფ ი ა ლ ე ბ ი ს ა".

(S 171, გვ. 20)

სტრ. 106, 3:

„ტ რ ფ ი ა ლ ე ბ ი ს შავარდენმა გული უპყრა, მას მოსურდა".

„ტ რ ფ ი ა ლ ე ბ ი ს შავარდენმა დაიპყრა და მოესურდა".

(S 171, გვ. 29)

სტრ. 128, 1:

„თუ ტ რ ფ ი ა ლ ე ბ, ყოვლთეის იყავ საბრძოლველად შეჭურვილი".

„მ ე ტ რ ფ ი ა ლ ე საბრძოლელად მუდამ უნდა შეჭურვილი".
(S 171, გვ. 32)

მეორე, თხზულებაში ტრფობის ობიექტია „სასძლო":

სტრ. 7, 1:

„ეზომ ტურფა ს ა ს ძ ლ ო ს თ ა ნ ა მოშლომაა (II მინდა რომე) ვიხარებდე".

„სატურფალსა ს ა ს ძ ლ ო ს თ ა ნ ა მომლომია ვიხარებდე".
(S 171, გვ. 17)

„რ ძ ა ლ თ ა ნ მინდა რომ მივიდე, ვიშვებდე და ვიხარებდე".
(„ლიტ. ძიებანი", სტრ. 22)

სტრ. 49, 4:

„ს ა ს ძ ლ ო ს ტრფიალი არ დასცდე გზასა მას დანახვისასა".

„თუ ტრფიალი ხარ ს ა ს ძ ლ ო ს ა, გქონდეს ეს მოსაგონისა".
(Q 548, გვ. 36)

„ს ა ს ძ ლ ო ს ა მეტრფიალესა საყურედ გონებისასა".
(S 171, გვ. 22)

სტრ. 60, 2:

„ს ა ს ძ ლ ო ს ხილვისა ტრფიალმან ქნას ესე მონაზიდებით".

„ვის სურის ს ა ს ძ ლ ო ს ხილვანი, ქმნას ესე მონაზიდებით".
(Q 548, გვ. 38)

„ს ა ს ძ ლ ო ს ხილვისა მდომელმან იწადოს მონაზიდებით".
(S 171, გვ. 23)

მესამე, ტრფობაში გარკვეულად ჩართულია „სძალი":

სტრ. 2, 4:

„ნება ვასრულო სასრული, რაც ბრძანოს მისმა ს ძ ა ლ ო და".

„ვასრულო მისი ნებანი, რაც ბრძანო მისმა ს ძ ა ლ ო და".
(Q 548, გვ. 28)

„ნებასა ვღვასრულებდე, მიბძანოს მისმან ს ძ ა ლ ო და".
(S 171, გვ. 17)

„ვასრულო მისი ბძანება, რაც ბძანოს მისმა რ ძ ა ლ ო ს ა".
(„ლიტ. ძიებანი", სტრ. 20)

სტრ. 5. 1, 3:

„ს ძ ა ლ ი შემკულა კეკლუცად, სიწმინდით, უმანკობითა...
მან მიათხოვოს ერთ კაცსა უურჩქენელად მოსამკობითა..."

„ს ძ ა ლ ი ა ტურფად შემკული, სიწმინდით, უმანკობითაი..
მან მიათხოვოს ერთს კაცსა უბიწო ვარდ-კოკობითა..."

(Q 548, გვ. 28)

„ს ძ ა ლ ი ს ა კეკლუცობასა, შემკულსა უმანკობითა...
გამოათხოოს უბიწოდ, ვარდულად საკოკობითა..."

(S 171, გვ. 17)

სტრ. 6, 1—2:

„ს ძ ა ლ ს უვის წყნარი, სათუთი, ტურფა, კეკლუცი პირითა,
მისი ტრფიალი შევქნილვარ გულ-ლახვარ განავმირითა".

„ს ძ ა ლ ს უვის სათუთობითა, სატურფალია პირითა,
ტრფიალობითა შევქნილვარ ლახვრითა განავმირითა".

(S 171, გვ. 17)

„რ ძ ა ლ ს ა ყავს ქალი სათუთი, ტურფა, კეკლუცი პირითა,
მისი ტრფიალი შევქნილვარ ლახვრითა განავმირითა".

(„ლიტ. ძიებანი", სტრ. 23)

სტრ. 9, 1:

„ს ძ ა ლ ს ა უნდა ჩემი მისვლა, მაწვევს მეტად დანახშირად".

„ს ძ ა ლ ს მწვე უნდა ჩემი მისვლა, მაწვევს ხოლმე, დიალ, ხშირად".

(S 4500, გვ. 267)

„ს ძ ა ლ ს ა უნდა მიახლება, მიმიწოდებს დანახშირად".

(S 171, გვ. 17)

„რ ძ ა ლ ს მწვე უნდა მისვლა ჩემი, მაწვევს ხოლმე, დიალ ხშირად".

(„ლიტ. ძიებანი", სტრ. 25)

მართალია, თხზულებაში ს ძ ა ლ ი და ს ა ტ რ ფ ო ერთმანეთისაგან გარჩეულია (სტრ. 5, 6). მაგრამ იგი (სძალი) სატრფიალო წრის ერთ-ერთი მთავარი წევრია და ზოგიერთ სტროფში (სტრ. 9) და ზოგიერთ ვარიანტში (სტრ. 7) ტრფობა ისე მიემართება მას, როგორც ს ა ს ძ ლ ო ს.

ვინ იგულისხმებიან ამ სატრფოებში, ვინ არიან ს ა ტ რ ფ ო, ს ა ს ძ ლ ო, ს ძ ა ლ ი?

ძველ ქართულში **სძალი** პირდაპირი მნიშვნელობით იმასვე ნიშნავს, რასაც ახალ ქართულში **რძალი**, — ძის ან ძმის ცოლი, ან კიდევ, საერთოდ, გათხოვილი ქალი[172]. **სასძლო** კი ასევე პირდაპირი მნიშვნელობით არის **სარძლო** — ძის ან ძმის, ან კიდევ ახლობლის საცოლე, საერთოდ, დანიშნული ან დასანიშნი ქალი[173]. მიუთითებენ აგრეთვე: საპატარძლო ადგილი, საქორწინე სახლი, სამეფო პალატა[174].

„სატრფო", „ტრფიალი" და ა. შ. ჩვეულებრივი სამიჯნურო განცდებისა და ურთიერთობის გამომხატველი სიტყვებია ქართულ ენასა და ლიტერატურაში და განსაკუთრებულს არაფერს გვიჩვენებს. მაგრამ **სძალსა** და **სასძლოს** სიყვარულზე საუბარი, მით უფრო მათდამი ტრფობა და კიდევ უფრო მისი გამჟღავნება და ხოტბის შესხმა ქართული სინამდვილისათვის, — სულერთია, ყოფა-ცხოვრება იქნება თუ ლიტერატურა, — ყოვლად უჩვეულოა. და რადგან ვახტანგის, ამ დიდი ეროვნული მოღვაწის, პოეზიაში იგი დასტურდება, აშკარაა, საქმე გვაქვს გარკვეულ თავისებურ მოვლენასთან.

უპირველესად, მსგავსად კ. კეკელიძის ადრინდელი მოსაზრებისა, ყურადღებას იპყრობს „ქება ქებათა", სადაც ამ სწორუპოვარ სატრფიალო ჰიმნში ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი სწორედ **სძალია**. როგორც „სატრფიალონშია", სძალი აქაც ეროტიკული ფერებით შეზავებულ მომხიბვლელ ქალად არის დახატული:

„მოვედ, **სძალო**, ლიბანით, მოვედ ლიბანით. მოხჳდე და წარმოვჳლო დასაბამით სარწმუნოებისაჲთ თხემსა ზედა სანარისა და ერ-

---

[172] **სულხან-საბა ორბელიანი**, თხზულებანი, IV_2; **ნ. ჩუბინაშვილი**, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ; **ილ. აბულაძე**, ძველი ქართული ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI, თბ., 1960 და სხვა.

[173] **ნ. ჩუბინაშვილი**, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI და და სხვა.

[174] **ნ. ჩუბინაშვილისა** და **ილ. აბულაძის** დასახელებული ლექსიკონები; ლექსიკონები, რომლებიც ერთვის გამოცემებს: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი **ს. ყუბანეიშვილის** მიერ, თბ., 1946, ლექსიკონი **შ. ჰაბაშვილისა**; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გამოსაცემად მოამზადა **ი. იმნაიშვილმა**, თბ., 1963; **ი. იმნაიშვილი**, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1975; თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი დაწყებისათჳს სოლომონის იგავთაჲსა, [ტექსტი მოამზადა და ლექსიკონი დაურთო **თ. ჰყონიამ**], წიგნში: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ., 1965, გვ. 121; ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები (X—XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო **ც. ქურციკიძემ**, თბ., 1970; ბასილ კესარიელის „სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო **ც. ქურციკიძემ**, თბ., 1983. და სხვა.

მონისასა საყოფელთაგან ლომთაჲსა და მთათაგან ვეფხთაჲსა. გუასურვე ჩუენ, დაო ჩუენო, ს ძ ა ლ ო, გული. გუალმე ჩუენ ერთითა თუალთა შენთაჲთა და ერთითა მძივითა ყელისა შენისაჲთა. რაბამ განშუენდეს ძუძუნი შენნი უფროჲს ღჳნისა, დაო ჩემო, ს ძ ა ლ ო. რავდენ განშუენდეს ძუძუნი შენნი ღჳნისაგან და სული მიჰრონთა შენთაჲ უფროჲს ყოველთა ნელსაცხებელთა. თაფლი დამოსწუთის ბაგეთა შენთა, ს ძ ა ლ ო, თაფლი და სძე ქუეშე ენასა შენსა და სულნელებაჲ სამოსელთა შენთაჲ, ვითარცა სულნელებაჲ ლიბანისაჲ. მტილი მოკრძალული არს დაჲ ჩემი, ს ძ ა ლ ი, მტილი დაკშული და წყარო დაბეჭდილი" (4. 8—12)[175].

ბიბლიის მცხეთურ ხელნაწერში, რომელსაც მძლავრად ატყვია ვახტანგ მეექვსის ახლობელი ადამიანის სულხან-საბა ორბელიანის რედაქციული ხელი, მსგავსად სხვა, მაგალითად, ბიბლიის ოშკური ხელნაწერისა, „ქება ქებათას" ტექსტში კიდევ უფრო მეტი ადგილი უჭირავს ს ძ ა ლ ს. თხრობა მასში დიალოგის ფორმით არის გადმოცემული და სისტემატურად იკითხება: „სძალი ეტყვის", „სძალი ეტყვის სიძესა" და ა. შ. მაგალითად: „ს ძ ა ლ ი ეტყჳს: ამბორს-მიყავნ მე ამბორის-ყოფითა პირისა მისისათა..." (1. 1); „...ქალწულთა მიუთხრა ს ძ ა ლ მ ა ნ სიძისათჳს, რომელიცა მიმადლა მას: შემიყვანა მე მეუფემან საუნჯეთა თჳსსა, — ს ძ ა ლ მ ა ნ მიუთხრა ქალწულთა და მათ თქუეს, — ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ შენდამი. შევიყუარნეთ ძუძუნი შენნი უფროჲს ღჳნისა. ქალწულნი სიძისა მიმართ ჴმობენ სახელითა სიძისათა: სიწრფოებამან შეგიყვარა შენ. ს ძ ა ლ ი ეტყჳს: შავ ვარ მე და შუენიერ, ასულნო იერუსალიმისანო, ვითარცა საყოფელნი კედარისანი..." (1. 3—4); „ქალწულთა ეტყჳს ს ძ ა ლ ი: შემიყვანეთ მე სახლსა ღჳნისასა. განაწესეთ ჩემ ზედა სიყუარული; დამამტკიცეთ მე ნელსაცხებელთა მიერ. გარემომასხთ მე ვაშლი, რამეთუ დაწყლულ ვარ მე სიყუარულითა. მარცხენე მისი თავსა ზედა ჩემსა და მარჯუენემან მისმან შემიწყნაროს მე. ს ძ ა ლ ი ეტყჳს ქალწულთა: გაფუცებ თქუენ, ასულნო იერუსალიმისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა; უკუეთუ აღსდგეთ და განაღჳძოთ სიყუარული, ვიდრემდისცა ინებოს..." (2. 3—7)[176] და სხვა.

„ქება ქებათასთან" კავშირი მარტო ამ სიტყვის გარეგნული მსგავსებით არ ამოიწურება. რაც მთავარია, „სატრფიალონში" იგი ისეთივე

---

[175] ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, გიორგი მთაწმიდელის ერთი თარგმანის კიმენი და ლექსიკა, წიგნში: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, X—XII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, თბ., 1965, გვ. 167.

[176] მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები — ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი), გამოსაცემად მოამზადა ე. დ ო ჩ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1985.

სპეციფიკური შინაარსით არის გამოყენებული, რაც მას აქვს „ქება ქებათას" თარგმანებებში და, საზოგადოდ, ქრისტოლოგიაში. თანაც, იგი განმარტოებით არ დგას. მასთანვეა სხვა სახეებიც, რომლებიც მხატვრულ ერთობლიობას ქმნიან და ერთ იდეას — ქრისტიანულ თეოზისს განასახიერებენ.

როგორც ცნობილია, თეორია ადამიანის განღმრთობის შესახებ, რომელიც არაერთი ფილოსოფიისა და რელიგიისათვის არის დამახასიათებელი, ქრისტიანული თეოლოგიის საფუძველთა საფუძველი, მისი მოძღვრების ქვაკუთხედია. ქრისტიანობის მიხედვით, ადამიანის უპირველესი და უმთავრესი დანიშნულება, მიზანი და საზრუნავია მატყუარა. წარმავალი წუთისოფლის უარყოფა და სამუდამო ცხოვრებისა და ბედნიერების მოპოვება, — განწმენდის, სულიერი სრულყოფის შედეგად დაუბრუნდეს თავის შემქმნელ ღმერთს, ამაღლდეს ზეცამდე, ეზიაროს მას, მობინადრე გახდეს ღვთის სამკვიდრებელი ადგილის, სასუფეველის, სამოთხისა... ამის მისაღწევად ქრისტიანობა მთელ რიგ გზებსა და საშუალებებს სახავს. ერთ-ერთი მთავარია სიყვარული.

სიყვარულზე ჯერ კიდევ ამ თვალსაზრისით ახალ აღთქმაშია საუბარი. მაგალითად, ქრისტეს ხორცშესხმა და ამქვეყნად მოვლინება კაცობრიობისადმი ღვთის სიყვარულის გამოვლინებად ამ გაგებით არის მიჩნეული: „ამით გამოაცხადნა სიყუარული ღმრთისაჲ ჩუენ შორის, რამეთუ ძე თჳსი მხოლოდშობილი მოავლინა ღმერთმან სოფლად, რაჲთა ვცხოვნდეთ მის მიერ. და ესე არს სიყუარული, არა რამეთუ ჩუენ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ რამეთუ მან ჩუენ შემიყუარნა და მოავლინა ძე თჳსი მლხინებლად ცოდვათა ჩუენთა... ამით აღსრულებულ არს სიყუარული ჩუენ შორის, რაჲთა განცხადებულებაჲ გუაქუნდეს დღესა მას სასჯელისასა, რამეთუ ვითარცა იგი იყო, ჩუენცა ვართ სოფელსა ამას შინა" (1 იოვანე, 4. 9—10, 17).

ქრისტიანული თეოზისის იდეამ ჩამოყალიბებული სახე მიიღო ეგზეგეტიკურ ლიტერატურაში. როგორც ცნობილია, ეკლესიის მამათა ნაშრომებში ბიბლია, — ეს სხვადასხვა და ზოგჯერ მკვეთრად განსხვავებული შინაარსის მქონე თხზულებათა კრებული, — განიხილება დაფარული სიბრძნის შემცველ ერთ წიგნად, სადაც თითქოს ყველგან ნართაული ენით გადმოცემულია ერთი და იგივე ღვთიური ჭეშმარიტება. მაგალითად, ქრისტიანობა თეოზისის იდეის გამომხატველად მიიჩნევს წინასწარმეტყველთა წიგნებში მოთხრობილ სატრფიალო-სა-

მიჯნურო და ცოლქმრულ ურთიერთობათა ამბებს, ფსალმუნში აღწერილ მეფის ქორწინებას, იოვანეს გამოცხადების ხილვებს და ა. შ.[177]

აღნიშნული იდეის გადმოსაცემად ქრისტიანულ თეოლოგიაში შემუშავებულია სიმბოლურ სახეთა მთელი სისტემა, რომლებიც რეალური ცხოვრებიდან არის აღებული. ეს სახეებია: თვით სიყვარული, რომელიც ღმერთსა და ადამიანს შორის კავშირს გამოხატავს; ქორწილი ღვთაებასთან შეერთებას, აგრეთვე, ამ შეერთების ადგილს,— სასუფეველს აღნიშნავს; სიძე, ქმარი ღმერთი, ქრისტეა; სძალი — რომელიც შეუერთდა ან უნდა შეუერთდეს ღვთაებას; სასძლო — სძლის ადგილი ზეცაში, ანუ სასუფეველი. ამავე სიმბოლურ სახეთა ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე კრავი, რომელიც აღნიშნავს ქრისტეს; იერუსალიმი, ეკლესია, რომლებსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და ერთ-ერთი შეეფარდება სძალს და სხვა.

ერთ-ერთ ძველ ჰომილიაში ვკითხულობთ: „ცრუ არს სოფელი ესე, აჩრდილ არიან ყოველნივე და ამაო და ითმინე მცირედღა, განძლიერდი სიყვარულითა ღმრთისათა უკუდავისა სიძისადმი, ჰსძლად ქრმისათჳს, ბრძენთა თანა ქალწულთა შესლვად განსასვენებელსა ზეციერსა“.[178]

გრიგოლ ნაზიანზელის ნაწარმოების „სიტყუა სწავლა ქალწულისა მიმართ“ ეფრემ მცირესეულ თარგმანში ნათქვამია: „ქალწულო, სძალო ქრისტესო, ადიდე სიძე შენი. მარადის განიწმჳდე თავსა თჳსსა სიტყჳთა და სიბრძნითა, რაჲთა ბრწყინვალე თანა ჰსცხოვნდე ბრწყინვალესა თანა საუკუნესა, რამეთუ უმჯობეს არს იგი მრავალსა მას განხრწნადსა შეუღლებასა...“[179]

---

[177] Словарь библейского богословия. под редакцией К. Леон-дюфура и Ж. Люпласи, А. Жоржа. П. Грело. Ж. Гийе. М. Лакана, Перевод со второго французского издания, Брюссель, 1974, გვ. 527—531. 621, 1145—1149.

ამავე საკითხებს ეხებიან: ა. გაწერელია, ვინ არის ავგუსტინესა და გურამიშვილის „სიძე“, „მნათობი“. 1985, № 10, გვ. 127—143, № 11. გვ. 130—139; ე. ხინთიბიძე, „დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა“ („ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელ გამოცემათა ერთი კონიექტურის თაობაზე), „კრიტიკა“. 1985. № 5, გვ. 115—126; მ. ქარქაშაძე. ვინ იყო მონაზონი ქრისტინე, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1985, № 7, გვ. 79—81 და სხვა.

[178] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქართული ვერსია გრიგოლ პართელის სახელობის აპოკრიფული ჰომილიისა, რომელიც იოანე ოქროპირს მიეწერება, „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1945, გვ. 48—49.

[179] ვსარგებლობთ ქ. ბეზარაშვილის მომზადებული ტექსტით: კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელთა კრებული, გადაცემულია დასაბეჭდად.

დედნიდან შესრულებულ თანამედროვე თარგმანში, რომელიც ს. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის, გვაქვს: „ქალწულო, ქრისტეს სარძლო, ადიდე შენი საქმრო! მუდამ წმინდად დაიცავ შენი თავი სიტყვითაც და სიბრძნითაც, რათა ბრწყინვალე ბრწყინვალესა შეეუღლო საუკუნოდ: რამეთუ ეს შეუღლება ბევრად უფრო მტკიცეა, ვიდრე ხრწნადი შეუღლება...“[180]

აი, როგორ ინტერპრეტაციას აძლევს ანდრია კესარია-კაბადოკიელი იოვანეს გამოცხადების ერთ ადგილს: იოვანეს გამოცხადება: „...სუფევს ღმერთი ჩუენი, ყოვლისა მპყრობელი. ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ და მივსცეთ მას დიდებაჲ, რამეთუ მოვიდა ქორწილი კრავისაჲ. და ცოლმან მისმან განამზადა თავი თჳსი... და მრქუა მე: დაწერე: ნეტარ არიან წოდებულნი სერობასა მას კრავისასა...“ (19. 6–7, 9).

თარგმანი: „...ხოლო სუფევს ქრისტე, რამეთუ რომელთა ზედა ბუნებითა ღმრთისაჲთა უფლებაჲ აქუნდა, განკაცებითა მისითა მიიღო კუალადცა მათ ზედა სუფევაჲ, რომელ არს ნებსით მოსლვაჲ მათი მისა მიმართ. ხოლო ქორწილად კრავისა ეკლესიისა ქრისტჱს შეერთებასა იტყჳს, რომელი შეაერთეს წმიდათა მოციქულთა, რომელთა მიერ მიეცა მას წინდი იგი სულისა წმიდისაჲ, რომელი-იგი მაშინ მიიღოს მას საუკუნესა და პირისპირ ქრისტჱს თანა შეერთებასა ღირს იქმნეს... ხოლო სერი ქრისტჱს ცხოვნებულთაჲ მათ დღესასწაული და სიხარული არს, რომლისა მკჳდრი ნეტარ არიან და შევიდენ სასძლოსა მას საუკუნესა, წმიდასა მას სულთა სიძესა თანა. ხოლო ვინაჲთგან მრავალნი არიან მის საუკუნოჲსა კეთილნი, ამისთჳს მრავალნიცა სახელნი ეწოდებიან მათსა მიღებასა, რამეთუ ეწოდების სასუფეველი — დიდებისათჳს მისისა და სამოთხე — კეთილთათჳს მისთა და წიაღ აბრაჰამისა — დამაშურალთა მას შინა განსუენებისათჳს, და კუალად: სასძლოცა და ქორწილ — არა დიდისა მის სიხარულისათჳს ოდენ მისისა, არამედ გამოუთქმელისა მისთჳსცა ღმრთისა თჳსთა მონათა თანა შეერთებისა, რომელი ესეზომ შორავს ჴორციელისა მის შეერთებისაგან, რაზომ ნათელი ბნელსა შორავს და სიმყრალჱ — სულნელებასა“[181].

აღნიშნულ ქრისტიანულ შეხედულებას ცოცხალი ფერებით ასახავს ტ. გაბაშვილი. იგი ე. წ. წმინდა ადგილებში მოგზაურობისას დასწრე-

---

[180] ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, III, თბ., 1963, გვ. 99.

[181] ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, გვ. 99.

ბია და აღწერს იერუსალიმის სიონში ჩატარებულ საეკლესიო დღესასწაულს, სადაც ინსცენირებული სახით უჩვენებიათ ქრისტესა და მის მიმდევართა „ქორწილი“ და შემდეგ ქრისტეს წამება: „...მოიწია დღესასწაული ბაიასა და პასქათა მუნ ქალაქსა იერუსალიმსა, სადა-იგი შვენის გალობა და დღესასწაული სიონსა, და ერნი სავსე იყვნეს ასპარეზთა და ურაკპარაკთა წმიდისა მის ქალაქისათა და უცხოებით მოსრულნი ხილვად სიძისა მის უკვდავისა საფლავისა, რაჟამს-იგი ჟამსა სძლისა მის შვენიერისა ეკლესიისა წინდობა მოწურვილ იყო. და სიძე იგი, ქეროვიმთა უწმიდე, შვენიერსა მას სერსა განმზადებდა და მეინაკედ მებოძირნი და მწირნი შესლვად ქორწილსა მზა იქმნებოდეს. და არათუ მთავარნი ებრაელთანი და აზნაურნი გალილიასნი მხოლოდ წვეულ იყვნეს, არამედ სავსება სოფლისა. და მოიწია სიძე იგი საკვირველი შვენებითა და გარდამატებული ბრწყინვალებითა და სძლისა მის ეწადოდა შესლვად რათა ქორწილსა მას დიდებულსა პურისმტე იქმნენ ზეცისანი და ქვეყანისანი ერთბამად. მაშინ მექორწინენი განცოფნეს და შეიპყრეს სიძე იგი და მრავალსა სატანჯველსა მიუპყრობდეს: სიხარულისა წილ — გვირგვინსა კიცხვისასა თავსა, სამშჭვალსა — ჴელთა და ლახვარსა — გვერდსა. და უმსჯავროდ მოჰკლვიდეს სასძლოდ მზაქმნილსა მას მეფეს. ამათი მსმენნი და მრწმენნი კაცნი, ...მოსრულნი ხილვად ამისა, თუ სადათ დაასხა ვენაჴი სიძემან მან და სადა ქმნა გოდოლი და სადა აღაშენა საწნახელი და დაათრო ნაწნახნითა მით ღვინისათა სავსება სოფლისა, და ანუ თუ სადათ გარეგან ვენაჴისა მის მოკლეს ქველი იგი სიძე და საკვირვო“[182].

ქრისტიანულ-თეოლოგიური შეხედულება ადამიანის ღმერთთან შეერთების შესახებ მინიშნებულია და იმავე ტერმინებითაა გადმოცემული სახარებაში, ფართოდ — ეკლესიის მამათა კომენტარებში. მაგალითად, სახარების ერთ-ერთ რედაქციაში იგავურად აღნიშნულია: „მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს სანთელნი თჳსნი და განვიდეს მიგებებად სიძისა და სძლისა“ (მათე, 25. 1).

მეორე ადგილას, იოვანე ნათლისმცემელი ამბობს: „რომელსაქუნდეს სძალი, იგი სიძე არს; ხოლო მეგობარი სიძისაჲ რომელი დგას და ესმის მისი, სიხარულით უხარის ჴმითა სიძისაჲთა. ეს უკვე სიხარული ჩემი აღსრულებულ არს“ (იოვანე, 3. 29).

---

182 ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 90—91.

იოვანე ოქროპირი განმარტავს: „რ[ამეთუ] რაჲ არს სიტყუა იგი, ვ[ითარმე]დ ჰსდგას და ესმის, გარნა რ[ამეთუ] იგავისა მისგან სიტყუაჲ ესე საქმისა ამის მ[იმა]რთ მოიღო. და ვინაჲთგან სიძეჲ და სძალი ახსენა, გამოაჩინებს, ვ[თარმე]დ ესრეთ ჴმითა და სიხარულისა სიტყვთა იქმნების შეერთება მეუღლეთა და ესრეთვე ეკკლესია შეერთო ღ[მე]რთსა. ამისთჳსცა პავლე იტყოდა, ვ[თარმე]დ სარწმუნოება სმენისაგან არს, ხ[ოლო] სმენა სიტყუათაგან და მის ჴმისათჳსვე ვიხარებო და ესეცა სიტყუა, ვ[ითარმე]დ ჰსდგას, არა ცუდად ჰსთქუა, ა[რამე]დ რ[აჲთ]ა გამოაჩინოს, ვ[ითარმე]დ მისი ყ[ოველ]ი დაცხრომილ არს და მიერითგან და მიერითგან მიუთვალავს ჰსძალი სიძისადა, რ[ომე]ლ არს კრებული კაცთა მორწმუნეთა და თვით უხმს დგომაჲ ოდენ და სმენაჲ — ამისთ[ჳ]სცა იტყჳს“[183].

წინ მინიშნებულია ქრისტიანულ რწმენაზე, რომ ადამიანის სამუდამო ბედნიერების მოპოვება დამოკიდებულია სიძისა და სძლის, ადამიანისა და ღმერთის სულიერ შეერთებაზე: „...მწუხარე ვიყავ (კომენტარი ეხება იოვანე ნათლისმცემლის სიტყვებს. — ბ. დ.), უკეთუმცა არა ესრეთ ქმნილიყო ესე, უკეთუმცა არა შეჰრთულ იყო სძალი იგი სიძისა და მაშინმცა ვიგლოვდი. ა[რამე]დ აწ ვიხარებ, რ[ამეთუ] რაჲ-იგი მინდა, აღსრულებულ არს, რ[ამეთუ] მისითა წარმატებითა ჩ[უე]ნ ვჰსცხონდებით და აწ მხიარულ ვარ, რ[ომე]ლ საქმე ჩემი სრულ იქმნა და იცნა ჰსძალმან სიძეჲ. და ამას თქ[ვე]ნ მოწამე ხართ, რ[ომე]ლნი იტყჳთ, ვ[ითარმე]დ ყ[ოველ]ნი მისა მივლენან, რ[ამეთუ] ამისთ[ჳ]ს ვისწრაფდი მე და აწ იქმნა რა ესე, ვიხარებ და განვჰსცხრები“ (გვ. 160).

ქრისტიანულ ლიტერატურაში, უკლებლივ ყველგან, „ქება ქებათა“, — ეს ჭეშმარიტი, რეალური სიყვარულის გამომხატველი ძველი ებრაული სატრფიალო პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში, — სულიერი, მისტიკური სიყვარულის ამსახველ თხზულებად არის მიჩნეული. აქაც სიყვარული დასახულია მისწრაფებად ღმერთთან შეერთებისა და აქაც ეს იდეა აღნიშნული სიმბოლური სახეებით არის გადმოცემული.

ბასილ კესარიელი, მოკლედ განსაზღვრავს რა სოლომონის წიგნების — „იგავთა“, „ეკლესიასტესა“ და „ქება ქებათას“ რაობას, ამ უკანასკნელის შესახებ წერს: „ხოლო «ქებაჲ ქებათაჲ» სახესა აჩუენებს სრულებისა სულთაჲსა, რამეთუ არს მუნ შინა სიტყუაჲ და პირი შეერთებისა სძლისა და სიძისაჲ. ესე იგი არს

---

183 S 154, გვ. 160.

შეერთებაჲ სულისაჲ სიტყჳსა მის მიმართ ღმრთისა, უფლისა ყოველთაჲსა"[184].

საძიებელი თეოლოგიური შეხედულება და ტერმინოლოგია განსაკუთრებით ფართოდ არის გაშიფრული და წარმოდგენილი გრიგოლ ნოსელისეულ „ქება ქებათას“ თარგმანებაში. დავიმოწმებთ ზოგიერთ ადგილს[185].

„და მას უკუე გიწამებ წინაშე ღმრთისა, რამეთუ მეგულების მე შეხებად ქებისა ქებათაჲსა საიდუმლოთა ხედვათა, რამეთუ მას შინა აღწერილთა სიღრმეთა მიერ სახედ სძლისა შეიმკვების სული და უხორცოსა მას და უსხეულოსა და სულიერსა და ყოვლად წმიდასა სალმრთოჲსა მეუღლებისა პატივსა აღვალს; რამეთუ რომელსა-იგი ჰნებავს ყოველთა ცხორებად და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვად, ამის მიერ სრულსა მას და ნეტარსა ცხორებისა სახესა წარმოაჩინებს აქა, რომელ არს სიყუარული“ (გვ. 11).

„და ესრეთ განწმიდა რაჲ გული ხილულთა ამათ სიყუარულისაგან, მერმე ქებისა მიერ ქებათაჲსა შინაგან სალმრთოთა შეუვალთა ასწავებს გონებასა დაფარულთა საიდუმლოთა, რომელთა შინა საჩინოდ გამოსახული სული არს საქორწინისა სასძლოსაჲ, ხოლო უხილავად — კაცობრივისა სულისაჲ ღმრთისა მიმართ შეზავებად. ამისთჳსცა რომელსა აქა სძლად უწესს, იგავთა შინა შვილად სახელს-სდებს და სიბრძნესა, სიძისა წესსა მისცვალებს, რაჲთა დაეწინდოს ღმერთსა სული და სიძისა მიერ ქალწულად წმიდად გამოჩნდეს და შეყოფითა უფლისაჲთა იქმნეს მის თანა ერთსულ უკუდავითა მით და უხრწნელითა შეზავებითა და კორცთა ამათ წილ ზრქელთა და მძიმეთა იქმნეს გონება მხილველ ღმრთისა წმიდა და უბიწო“ (გვ. 17—18).

„ვინაჲცა ვინაჲთგან ერთი ქორწილი არს და ერთი სძალი და ერთისა მიერ დაედგმის სიძესა გჳრგჳნი, არარაჲ განყოფილებაჲ შემოვალს შორის ყოვლადვე — გინა თუ ძედ ღმრთისაჲ ეწოდოს მხოლოდ-შობილსა ღმერთსა, გინა თუ ძედ სიყუარულისა მისისა, ვითარცა იტყჳს პავლე, ვინაჲთგან ორთავე სახელითა მიერ ერთი ძალი მოესწავების და სახელითა სიძისა და

---

[184] ბასილ კესარიელის „სწავლათა“ ევთვიმე ათონელისეული თარგმანი, გვ. 122; თ. ჰყონია, იოანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობის ახალი წყაროს შესწავლისათვის, წიგნში: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, გვ. 71, 73—74, 89.

[185] ეს თხზულება აქ და ქვემოთ, ყველგან, დამოწმებული გვაქვს გულნაზ კიკნაძის ზემოთ მითითებული სადისერტაციო ხელნაწერი ნაშრომის მიხედვით.

ს ძ ლ ო ბ ი ს ა ჲ თ ა ჩ უ ე ნ შ ო რ ი ს დ ა მ კ ჳ დ რ ე ბ ა ჲ დ ა შ ე-ე რ თ ე ბ ა ჲ მ ი ს ი ს ა ა ნ ჯ მ ნ ო ი ქ მ ნ ე ბ ი ს" (გვ. 175). და ა. შ.

აღნიშნული, ვფიქრობთ, სავსებით საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად ცნობილი და გავრცელებული იყო ქრისტიანული თეოზისის იდეა ძველად ჩვენში და როგორი ტერმინოლოგიით გამოიხატებოდა იგი. ამისივე დამადასტურებელია სხვა მასალებიც, რომლებსაც სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ქვემოთ დავიმოწმებთ.

ახლა აღნიშნულ სახეთა „სატრფიალოსთან" მიმართების დაზუსტების შესახებ.

სულხან-საბა ორბელიანი „სძალის" მეორად მნიშვნელობას ასე განმარტავს: „ს ძ ლ ა დ ქრისტესა ითქმის უბიწონი სულნი ქალწულთანი (მათე, 25. 1). ს ძ ლ ა დ იწოდების ეკლესია ქება-ქებათა შინა".

ერთი ახსნაც და მეორეც სავსებით სწორია, ოღონდ ამომწურავი არ არის. თანაც, ეს მნიშვნელობები საბოლოო ანგარიშით ერთმანეთს არ გამორიცხავენ. მართლაც, ქრისტიანულ ლიტერატურაში ს ძ ლ ა დ იწოდება ქ ა ლ ი, რომელიც არის უმწიკვლო, უცოდველი, ღვთის სჯულის განუხრელად მიმდევარი და შემსრულებელი, განწმენდილი, ამდენად, ქ ა ლ წ უ ლ ი, თუმცა ქალწულობა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გაუთხოვრობა, სრულებით არ არის აუცილებელი პირობა[186]. „სძლობის" არსებითი ნიშანი არის წმინდანობა რელიგიური გაგებით, რომ იგი ნაზიარებია, შეერთებულია ღვთაებასთან. ამიტომ მოიხსენიება ს ძ ლ ა დ ღვთისმშობელი: „ქერ(ო)ბინთაგან მიუწდომელი და სერ[ა]ბინთაგან უხილავი ღმერთი ჴორცითა გჳშევ, უბიწო და უქორწინებელო ს ძ ა ლ ო, ქალწულო მარიამ"[187] და მრავალი სხვა. ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო:

---

[186] ვახტანგის ლექსია:

> „რადგან არის ქ ა ლ წ უ ლ ე ბ ა ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა მ ი ბ ა ძ ე ბ ა,
> ს ჯ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს მ ო ც ა ლ ე ბ ა, გემოვნების გა-ცა-ძება,
> უნდა ღმერთსა სოფელშიაც მოშენების გაუძება,
> და ქორწილი და დაჯერება პირველადვე მოიძება".
> („სიბრძნე მალაღობელი", სტრ. 482)

ან კიდევ:

> „არ დამდაბლდეს ქალწულება აღსაფრენი მაღლა უფთად".
> (იქვე, სტრ. 161. 3)

[187] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ მ ა, თბ., 1971, I, 12 (გვ. 9).

„ქრისტე, აღახუენ ძნობად ბაგენი ჩემნი
ქალწულისა დედისა მოციქულისა
და ქადაგისა შენისა ნინოს შესხმად!..."

„ტრედმან წმიდამან, დასაელით მკმობელმან,
სიტკბოებათა თჳსთა მიერ დუმილით
ჴელთ უსხნა შემოქმედსა, ს ძ ა ლ მ ა ნ წმიდამან
სიძესა თჳსსა, განბანილნი მადლითა!"[188]

შუშანიკი[189]: „ხოლო ჯოჯიკ მსწრაფლ აღდგა ზე... ევედრებოდა წმიდასა შუშანიკს და ეტყოდა: «ს ძ ა ლ ო და მჴევალო ქრისტესო, ითხოვე ღმრთისაგან, რაჲთა მომიტევნეს მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი»"[190].

ს ძ ლ ა დ მოიხსენიება აგრეთვე ქალი, რომელიც აღთქმულია, დაწინდულია, გაპირობებულია საღვთოდ, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, კანდიდატია ღმერთთან ამაღლებისა. „ნინოს ცხოვრება-ში" ვკითხულობთ: „ვითარცა იხილა რიფსიმე, აღეგზნა ტრფიალებითა ტრდატ და ჰლიქნიდა მას, რაჲთა იქმნეს იგი ცოლად მისსა; ხოლო წმი-დამან რიფსიმე მიუგო და ჰრქუა: «უწყალო მსაჯულო, მე ზეცისა ს ა-ს ძ ლ ო ს ა ს ძ ა ლ ი (მითხოვილ BC) ვარ და შენ ვითარ იკადნიერებ ამას»"[191].

„დიდი სჯულისკანონში" გვაქვს: „უკეთუ ვინმე... ღმრთისადა შეწი-რულსა დედაკაცსა შეეყოს, განიკუეთენ, ვითარცა განმხრწნელნი ს ძ ლ ი ს ა ქრისტესისაჲ, ხოლო ერისკაცი უზიარებელ იქმენინ"[192].

ვინაიდან „სძლობის" განმსაზღვრელია ღვთაებასთან კავშირი, ზეცის, სასუფევლის ბინადრობა, იგი მოიაზრება როგორც სული. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული თეოლოგიური შეხედულებით, სამოთხეში, სულების ქვეყანაში, გარჩეული არ არის სქესი, „სძალს" მაინც ახლავს ქალისა და ქალწულობის გაგება. „სძალის" ქალწულის სულის სახით წარმოდგენა უცხო არ არის „ქება ქებათას" კომენტა-

---

[188] გ. მ ი ქ ა ძ ე, არსენ ბულმაისიმისძე, „ლიტერატურული ძიებანი", XV, თბ., 1964, გვ. 135.

[189] მ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება", ალმანახი „საუნჯე", 1978, № 6, გვ. 231.

[190] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, I (V—X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, ნ. ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა, ნ. გ ო გ უ ა-ძ ე მ, ლ. ქ ა ჯ ა ი ა მ, ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე მ, ც. ჰ ა ნ კ ი ე ვ მ ა და ც. ჯ ღ ა მ ა-ი ა მ ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 26.

[191] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყ უ ბ ა ნ ე ი-შ ვ ი ლ ი ს მიერ, I, თბ., 1946. გვ. 220, 16. „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლი-ტერატურის ძეგლების" მესამე წიგნში (თბ., 1971) ეს ადგილი შეცდომით არის და-ბეჭდილი (გვ. 58, 18).

[192] დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ მ ა, ე. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ მ ა, მ. დ ო ლ ა ქ ი ძ ე მ, გ. ნ ი ნ უ ა მ, თბ., 1975, გვ. 374, 36.

ტორებისათვის. იმავე გრიგოლ ნოსელის „ქება ქებათას" განმარტებებში იკითხება: „რომელი იგი ღმერთსა შეეყოს, განუძლომელ არს განსუენებაჲ მისი და სიხარული, და რაოდენცა უფროჲს აღივსებოდის შუენიერებითა მისითა, ეგოდენ უფროჲს აღაორძინებს სურვილსა თჳსსა. რამეთუ ვინაჲთგან სიტყუანი სიძისანი სულ არიან და ცხორება (2 შჯულთა, 34. 10) და ყოველი, რომელი სულსა შეეყოს, სულ იქმნების, და რომელი ცხორებასა შეესაკუთროს, სიკუდილისაგან ცხორებად გარდაიცვალების სიტყჳსაებრ უფლისა. ამისთჳს სურის მიახლებად წყაროსა სულიერსა ცხორებისასა ქალწულსა მას სულსა; ხოლო წყაროჲ არს პირი სიძისაჲ, სადაჲთ-იგი აღმოეცენებიან სიტყუანი საუკუნოჲსა ცხორებისანი და აღავსებენ პირსა მოსურნისა თჳსისასა (ფსალმუნნი, 68. 13)" (გვ. 25).

ან კიდევ: „...მხოლოდ ესევითარი ოდენ სული, რომელი სიჩჩოებისა ჰასაკსა და წესსა თანაწარსრულ იყოს და სულიერითა ჰასაკითა აღორძინებულ, რომელსა არარაჲ მიეღოს ბრძჳლი, გინა ნაოჭი, გინა მწიკული და სხუაჲ რაჲმე ესევითარი, რომელი არცა სიჩჩოჲსაგან უგულისჴმო იყოს, არცა სიბერისაგან უძლურ, რომელსა ქალწულად უწესს სიტყუაჲ. ესევითარი იგი ჰმორჩილობს დიდსა მას და პირველსა მცნებასა შჯულისასა და ყოვლითა გულითა და ძალითა შეიყუარებს სიკეთესა მას, რომლისა სახესა და ხატსა და იგავსა და თარგმანებასა ვერ ჰპოვებს კაცობრივი გონებაჲ.

ესევითარნი უკუე ქალწულნი, სათნოებათა მიერ აღორძინებულნი და საიდუმლოთა მიერ განწმენდილნი, შეიყუარებენ შუენიერებასა მას სიძისასა და შინაგან საღმრთოჲსა მის სასძლოჲსა ღირს იქმნებიან შესლვად და სიყუარულისა მის წილ მათისა მათდა მიმართ მიიზიდევენ მას, რამეთუ სიყუარულისა წილ სიყუარულსა მიაგებს მოსურნეთა თჳსთა და ვითარცა-იგი თქუა პირისაგან სიბრძნისა, ვითარმედ: «მე მოყუარენი ჩემნი მიყუარან» და ვითარმედ: «განუყო მონაგები ჩემი მოყუარეთა ჩემთა და საუნჯენი მათნი აღვავსნე კეთილითა» (იგავთა, 8. 17). ხოლო ეს ცხად არს, რამეთუ კეთილთა უკეთეს და მონაგებ იგი თავადი არს" (გვ. 31) და სხვა.

მეორე მხრივ, თანახმად სულხან-საბა ორბელიანისა, „ქება ქებათაში" სძალი ითარგმნება ეკლესიად. ამავე გრიგოლ ნოსელის თარგმანებაში წერია: „არა ძნელ არს ამის გულისჴმის-ყოფაჲ, რამეთუ გუამოან-ყო (ე. ი. გამოსახა. — ბ. დ.) ეკლესიაჲ სიტყუამან მსგავსებითა სძლისაჲთა და თითოეულნი სათნოებანი შემსგავსებულად პირისა შუენიერებისა განყვნა..." (გვ. 188) და სხვა. მაგრამ ამგვარი გაგება მარტო „ქება ქებათას" არ ეკუთვნის. „სძალი" ეკლესიის მნიშვნელობით ფართოდ არის გავრცელებული ქრის-

ტიანობაში. სათანადო მაგალითები ზემოთაც იყო აღნიშნული, რამდენიმეს აქვე დავუმატებთ:

„აპოკალიპსში“ წერია: „და მოვიდა ერთი შჳდთა მათ ანგელოზთაგანი... და მრქუა მე: მოვედ, და გიჩუენო შენ დედაკაცი იგი, სძალი კრავისაჲ“ (21. 9).

ანდრია კაბადოკიელი განმარტავს: „...აწ ნეტარებასა მას სასუფეველისასა წინა უჩუენებს, რომლისა სახჱ არს ეკლესიაჲ, ხოლო კეთილად უწოდა მას სძლად დედაკაცად, რამეთუ ვითარცა ეძინა რაჲ ადამს, გუერდისა მისისაგან დაებადა დედაკაცი. ეგრჱთვე ჯუარს-ეცუა რაჲ ქრისტე და სიკუდილითა მიიძინა, გუერდისა მისისა სისხლითა ეკლესია აღეშჱნა და ჩუენთჳს ვნებულსა მას შეეყო“ (გვ. 107).

იოვანე ოქროპირი წერს: „მიუგო სძალმან მან, რომელ არს წმიდაჲ ეკლესიაჲ...“, „ესმა რაჲ სძალსა მას ეკლესიასა...“[193].

ეფრემ ასურის ნაშრომში არის: „რავდენთა ქრისტჱსა გსურის, ქებით ვღაღადებდეთ გალობასა ეკლესიასა შინა, რომელი-იგი არს სძალი ქრისტჱსი“ [194] და მრავალი სხვა.

ქრისტიანულ თეოლოგიურ ლიტერატურაში „სძალი“ ეწოდება იერუსალიმს, უფრო ზუსტად, ზეციურ იერუსალიმს. იოვანეს გამოცხადებაში იკითხება: „და წარმიყვანა სულითა მთასა მაღალსა და დიდსა და მიჩუენა მე ქალაქი წმიდაჲ იერუსალჱმი, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან და ქუნდა დიდებაჲ ღმრთისაჲ“ (21. 10).

ანდრია კაბადოკიელის თარგმანი: „წარყვანებასა სულითა იტყჳს ამაღლებასა გონებითა სრულიად ქუეყანისაგან ზეცისა ხილვასა. ხოლო მთად მაღლად იტყჳს წმიდათა ცხორებასა, რომელსა ზედა განემზადების სძალი იგი კრავისაჲ — ზეცისა იერუსალჱმი“ (გვ. 108).

თავის მხრივაც „ეკლესიაც“ და „იერუსალიმიც“, რომელთაც „სძალის“ სინონიმური მნიშვნელობა აქვთ, სიმბოლური ცნებებია და გამოსახავენ მორწმუნეთა, უმანკოთა, წმინდანთა კრებულს. ზემოთ დამოწმებულ სახარების იოვანე ოქროპირისეულ თარგმანებაში გარკვევით წერია: „ჰსძალი სიძისადა, რომელ არს კრებული

[193] სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს თსუ ძველი ქართული ენის კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 229. 8, 14.

[194] საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თბ., 1966, გვ. 54, 15.

კაცთა მორწმუნეთა“. ასევე პირდაპირ და ნათლად არის იგივე აღნიშნული იოვანეს გამოცხადების ანდრია კაბადოკიელის თარგმანებაში. იოვანეს გამოცხადება: „და აღმოვიდეს სივრცესა ზედა ქუეყანისასა და გარე-მოადგეს ბანაკსა წმიდათასა და ქალაქსა მას შეყუარებულსა...“ (20. 9).

თარგმანი: „...მოადგენ კრებულსა წმიდათასა, რომელ არიან წმიდანი ეკლესიანი, და იერუსალჱმსცა, ქალაქსა მას წმიდასა, რომელსა შინა ქრისტე ჯუარსეცუა...“ (გვ. 104).

თუ „სძალი“ პირდაპირი სიმბოლური მნიშვნელობით გამოსახავს ქალწულს, წმინდან ქალს ღვთაებასთან კავშირში, წმინდანი მამაკაცის ამავე კავშირის გამოსახატავად მოშველიებულია სხვა სიმბოლური სახეები — „ეკლესია“, „იერუსალიმი“. ერთი და მეორეც სძალია, ოღონდ უფრო ფართო შინაარსით. მათში იგულისხმება ყველა მორწმუნე, — ქალიცა და კაციც, — რომელიც უკავშირდება ღვთაებას[195]. სანიმუშოდ დავიმოწმებთ ისევ და ისევ ანდრია კაბადოკიელისა და გრიგოლ ნოსელის თარგმანებებს:

იოვანეს გამოცხადების ტექსტშია: „და ქალაქი წმიდაჲ, იერუსალჱმი ახალი ვიხილე, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან, განმზადებული, ვითარცა სძალი შემკული ქმრისა მიმართ თჳსისა“ (21. 2).

ანდრია კაბადოკიელის თარგმანი: „და აქაც ჩანს, ვითარმედ განახლებად უმჯობჱსისა მიმართ შეცვალებასა იტყჳს, ვითარცა იხილა იერუსალჱმი იგი ზეცისაჲ, გარდამომავალი ანგელოზთაგან კაცთა მომართ ერთობისათჳს მათისა. ხოლო ქალაქად ეწოდების, რამეთუ სამკჳდრებელი არს წმიდისა სამებისაჲ და სძლად — რამეთუ შეერთებულ არს იგი უფლისა სამკაულითა საღმრთოჲთა“ (გვ. 106).

„ქება ქებათას“ ტექსტია: „აჰა ეგერა, კეთილ ხარ, ძმისწულო ჩემო და შუენიერ, ცხედარსა ზედა საგრილი“ (1. 16).

გრიგოლ ნოსელი განმარტავს: „ხოლო ცხედრად უწოდს სძალი და თარგმნის სახისმეტყუელებით კაცობრივისა ბუნებისა ღმრთეებისა შეზავებასა, ვითარცა იგი · დიდი მოციქული მოგუათხოვებს ჩუენ ქრისტესა ქალწულად წმიდად და ეზოსმოძღუარ (ე. ი. ქორწილის მომწყობი. — ბ. დ.) ექმნების სულსა და ორთავე ერთად შეერთებასა და ერთჴორც-ქმნასა (ეფესელთა, 5.32) დიდად საიდუმლოდ სახელსდებს

[195] ამ სიმბოლურ სახეთა უფრო ვრცლად განხილვა და მათი ნიუანსების წარმოჩენა შორს წაგვიყვანს. ამჯერად ჩვენთვის მთავარია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ისინი ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან და გამოხატავენ ქრისტიანულ თვალსაზრისს სიყვარულსა და თეოზისზე (ამავე საკითხებზე იხ. ზემოთ დამოწმებული ბიბლიური ღვთისმეტყველების ლექსიკონი, გვ. 147—149).

და ქ რ ი ს ტ ე ს ა და ე კ ლ ე ს ი ი ს ა შ ე ე რ თ ე ბ ა ს ა ზედა სრულ-ჰყოფს სიტყუასა თჳსსა...“ (გვ. 90).

ამრიგად, ს ძ ა ლ ი ს თეოლოგიური, სიმბოლური შინაარსის განმსზღვრელი არის ს ი ძ ე ს თ ა ნ ანუ ღმერთთან, ქრისტესთან მეწყვილეობა, მასთან კავშირი, ქ ო რ წ ი ლ ი ანუ შეერთება. ამ სახელით — სულ ერთია, იგი უმანკო ქალს აღნიშნავს, ე კ ლ ე ს ი ა ს თუ ი ე რ უ ს ა ლ ი მ ს, — ყველა შემთხვევაში იწოდება ქრისტიანობისათვის თავდადებული ადამიანები, წ მ ი ნ დ ა ნ ე ბ ი, რომლებმაც მიაღწიეს ღვთაებასთან ზიარებას, შეერთებას, ან ამისათვის არიან გამიზნული[196].

მიუხედავად ამ იდენტურობისა, თეოლოგიურ ლიტერატურაში უფრო გავრცელებულია „სძალი“ „ეკლესიის“ მნიშვნელობით. ჩანს, ამავე აზრით არის იგი გამოყენებული „სატრფიალონში“, რადგან იგი გარკვეულ წევრს გულისხმობს:

„ს ძ ა ლ ი ა ტურფად შემკული, სიწმინდით, უმანკობითა,
ჴამსცა. ი გ მ ი ს ი ა ს ო ნ ი მ ი ს ე ბ რ ი ვ იყოს მკობითა,
მ ა ნ მიათხოვოს ე რ თ ს კ ა ც ს ა უბიწო ეარდ-კოკობითა...“
(Q 546, გვ. 28)

როგორც ვხედავთ, „მისი ასონი“ ერთგვარად დაპირისპირებულია „სძალთან“ („მისებრივ იყოს მკობითა“) და მასში ეკლესიაში გაერთიანებული საზოგადოება უნდა იგულისხმებოდეს. მესამე სტრიქონში „ერთ კაცში“, ჩვენი აზრით, სიძე, ღმერთი ივარაუდება. „მან“ თვით „სძალი“ უნდა იყოს, ხოლო პირდაპირ ობიექტში, ვ ი ნ ც უნდა მიათხოვონ „ერთს კაცს“, ეკლესიაში შემავალი კრებული წარმოგვიდგება.

„სძალში“ გარკვეული პირი კიდევ უფრო აშკარად გამოიყოფა მეორე შემთხვევაში:

„ს ძ ა ლ ს უ ე ი ს წყნარი, სათუთი, ტურფა, კეკლუცი პირითა,
მ ი ს ი ტრფიალი შევქნილვარ გულ-ლახვარ განაგმირითა...“ (6. 1—2)

ერთ-ერთ ვარიანტში პირდაპირ არის დასახელებული:

„ს ძ ა ლ ს ა ყ ა ვ ს ქ ა ლ ი სათუთი...“

---

[196] შესაძლებელია, ეს წმინდანები, სძალი ჰყავდეს მხედველობაში იმ ავტორს, რომელიც „სატრფიალონს“ წინ უმძღვარებს სათაურ-კომენტარს: „აქა შაირობანი ფრიად პატიოსანი უფლისა და ყოველთა წ მ ი ნ დ ა თ ა მისთა მიმართ...“ (S 526, გვ. 23), თუ, რასაკვირველია, „წმინდათა“ ნიშნავს „წმინდანთა“-ს და არ არის განსაზღვრება „უფლისა“. ამ მოსაზრებას სარწმუნოს ხდის მამუკა ბარათაშვილის ზემოთ დამოწმებული სიტყვები: „...თუ სააშიყო ლექსები უნდა, ღმრთის სააშიყო, ე კ ლ ე ს ი ი ს წ მ ი ნ დ ა თ ა [ამბავი გალექსოს]“ (თხზულებათა სრული კრებული, გვ. 124 [7]).

„სძალი“ აქაც ეკლესიას უნდა ნიშნავდეს, ხოლო ის „ქალი“ თუ დაუსახელებელი პირი, რომელიც სძალს ჰყავს, შესაძლებელია იყოს მხოლოდ და მხოლოდ მასში შემავალი წმინდანი.

„სძალი“ ეკლესიას უნდა აღნიშნავდეს მეორე სტროფშიაც:

„ეტირ, სატრფოვ, მეტრფე საბრალოდ, მოლბობით შემიწყალო და,
გავიჭრე ველად, გაჭრილი სოფელსა გაეეძალო და,
სოფლის დიდებას რას ვაქნევ, რადგან შენ მომეკრძალო და,
და ნება ვასრულო სასრული, რ ა ც ბ რ ძ ა ნ ო ს მ ი ს მ ა ს ძ ა ლ ო და!“

აქ მეოთხე სტრიქონი ყველა რედაქციაში გრამატიკულად გაუმართავია და რითმისგან გამოწვეულ პოეტურ ლიცენციას წარმოადგენს. მისი სათქმელი უნდა იყოს: შევასრულო ის ნება-სურვილები, რაც მისმა სძალმა ბრძანოს. მხედველობაში კი უნდა ჰქონდეს ე კ ლ ე ს ი ი ს მოთხოვნები, მისი ქადაგებები.

ასეთია ჩვენი ვარაუდი. ზუსტია თუ არა ეს, მეორეხარისხოვანია. მთავარი ის არის, რომ, ვინც უნდა იგულისხმებოდეს „სატრფიალოზნის“ „სძალში“, იგი ქრისტიანულ-თეოლოგიური სიმბოლური სახეა.

ანალოგიური ვითარება არის „სასძლოსთანაც“. ანდრია კაბადოკიელის ზემოთ დამოწმებულ აპოკალიპსის განმარტებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „სასძლო“ იმასვე ეწოდება, რასაც ჰქვია ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი, ს ა მ ო თ ხ ე, ა ბ რ ა ჰ ა მ ი ს წ ი ა ღ ი. ამ ახსნას ერთხმად ადასტურებს ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლები[197]. დავიმოწმებთ რამდენიმეს:

ეფრემ ასური: „გრწმენინ ჩემი, ძმანო ჩემნო, საყუარელნო, ვითარმედ ესე საქმენი, რომელ წარმოგითხრენ, უკეთუ დაიმარხნეთ, ვერ შემძლებელ იქმნეს უხილავი იგი მტერი ძლევად თქუენდა და მის მიერ შეხჳდეთ ს ა ს ძ ლ ო ს ა მას ზეცისა ს ი ძ ი ს ა უკუდავისა და მის თანა სუფევდეთ სასუფეველსა მის[ს]ა საუკუნესა“[198].

გრიგოლ პართელის ცხოვრება: „ესრეთ უკუე ღუაწლით შემოსილმან მან (რიფსიმემ. — ბ. დ.) აღასრულა სერობაჲ თჳსი და ესრეთ მხიარულებით დაუტევნა კორცნი, ვითარცა აწლა გამომავალმან ს ა ს ძ ლ ო ჲ თ ქალწულებისაჲთ, და წარმოუდგა ს ი ძ ე ს ა თჳსსა ქ რ ი ს ტ ე-

---

[197] „სასძლო“ ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი ს მნიშვნელობით ახსნილი აქვს ივ. ლოლაშვილს (იხ. მის მიერ შედგენილი ლექსიკონები შემდეგი გამოცემებისა: ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1963; ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, სათნოებათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1968).

[198] მამათა სწავლანი, X და XI ს.-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ი. ა ბ უ-ლ ა ძ ე მ ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1955, გვ. 272.

სა და ღირს იქმნა თუალით ხილვად მისსა და მკვდრ სასძლოჲსა მისისა... ხოლო ქალწულნი იგი სხუანი თანაზიარნი სივლტოლისა მისისანი... მიემთხჳნეს მას და მის თანვე შევიდეს სასძლოსა და მასვე სიძესა ხილვად ღირს იქმნეს"[199].

იოვანე ზედაზნელის ცხოვრება: „ესევითარი მადლთა და ნიშთა მიერ ბრწყინვიდა ღირსი ესე მამაჲ ჩუენი და ყოველთავე სათნოებათა მიერ განმდიდრებულ იყო, რამეთუ მარადის მღჳძარე გონებითა და განკრძალული სულითა მოელიდის მოწაფეთა თჳსთა ყოველსავე ჟამსა შინა, რათა არა პოოს დაჴსნილი უდებებითა და განუმზადებელი დღისა მისთჳს უცნაურისა, რომელსა შინა მოსრული სიძე იგი განწმენდილთა სულითა მოუწოდს, განმზადებულთა და შემკობილთა შესლვად სასძლოსა ცათასა, ვინაჲცა მარხვასა ზედა დასძენდა მარხვათა და ლოცვასა — კუალად ვედრებათა და ფსალმუნებასა"[200].

ზაქარია ქვარიანის შეწირულობის წიგნი გელათისადმი (1644 წ.): „მეოხებითა და თანადგომითა წმიდათა ქალწულთა მოწამეთა ირინე და ირინოსითა, ეკატერინე, თეკლა და პარასკევისითა, რომელთა დასთხიეს სისხლნი თჳსნი სიძისა მის უკუდავისასა და იხარებენ ნათლითა შემოსილნი სასძლოთა მით წინაშე ღმრთისა და მიელიან სიმართლისა გუირგვინსა"[201].

სულხან-საბა ორბელიანი: „და შენ გიწესს ქრისტე სასძლოსა ზეცისასა, მიგიძღვის იოანე გზასა წრფელსა და კეთილსა, რათა აღგიყვანოს სასუფეველად"[202]. და მრავალი სხვა.

ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემაზე დართულ ვახტანგის კომენტარებში სასუფეველისადმი მიჯნურობა და ტრფიალი პირდაპირ არის დასახელებული და იგი ჩვეულებრივ ქრისტიანულ მოვლენად არის მიჩნეული. აი, ეს განმარტებები: „მომეც მიჯნურთა სურვილი" სტროფის კომენტარი: „მიჯნურობა არაბულად შმაგსა ჰქვიან და სურვილი ამას ჰქვიან, რომე მუდამ ნახვის მდომე იყოს და ან ამას ამაზედ ამბობს, მომეც მიჯნურთა სურვილიო, ვითამ გაშმაგება

---

[199] ცხორებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ, გამოცემული ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ, ტფ., 1920, გვ. 26.

[200] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III (მეტაფრასული რედაქციები XI—XIII სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1971, გვ. 98; აგრეთვე გვ. 106.

[201] ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 508. შდრ.: თეიმურაზ I-ის სიგელი 1612 წლისა, მიცემული ალავერდის ტაძრისადმი, „საისტორიო მოამბე", I, 1925, გვ. 148.

[202] თხზულებანი, III, გვ. 182, აგრეთვე, გვ. 55.

სასუფევლის ნდომისათვის რომ სიკუდილამდე გამყუეს, რომ იქ ცოდვა შემიმსუბუქდეს, თან ის წავიტანოო" (სპთ).

„მიჯნურსა თვალთა სიტურფე" სტროფის კომენტარიდან: „...ეს საეროდ არ უთქვამს, სამღდელოს კაცზედ უთქვამს... და სასუფევლის მიჯნურიც ხომ სამღდელონი არიან... ასე მოცლას ეუბნება, სოფლის ზრუნვა სასუფევლის მეტი არა ჰქონდეს რა... თვარა, თუ სამღდელოს ესეები არა სჭირს, სასუფევლის ტრფიალების და მიჯნურობის წესი დიაღ აკლდება" (სჟბ).

სტროფი „ხამს მიჯნური ხანიერი": „მაგრამ საეროდ და სამღ˝დელოდ ამბობს და ბოზობას უშლის. გმართებთ, რომ სასუფევლის მიჯნურნი იყვნეთ ხანგძლად და არ მეძაობდეთ და არ ბილწობდეთ..." (სჟგ).

სტროფი „ამა საქმესა მიჯნური": „ესეც სამღდელოსია. ამ საქმეს, მიჯნურნო, მიჯნურობას ნუ უძახით, დღეს რომ სასუფევლის მიჯნურნი შეიქნათ, ხვალ სოფლისა და სოფლის სიყუარულით ხვალ მისი გაყრა დასთმოთ. ბედითი ცუდსა ჰქვან და მღერა თამაშობასა. და იმას უბნობს, ეს ცუდის ყმაწვილის თამაშობას გავსო. და კაი მიჯნურისაო, და იმას ამბობს, ვინც სოფელს დასთმობს და მუდამ სასუფეველს ეძებსო" (სჟგ-სჟდ).

სტროფი „ვთქვა მიჯნურობა პირველი": „იმ ზღაპრის თქმას მეფეს აბრალებს და თვითან კიდემ სამღ˝თოს მოჰყუა და უბნობს: ვთქვა მიჯნურობა პირველი, ვითამ თუ პირველ სასუფევლის მიჯნურობა და უბნობს, ჯერ ისი ვთქვაო და მერმე ზღაპარიო და ამბობსვე სასუფევლის მიჯნურობის ტომობა და გვარობა, რაც არიო..." (ტ).

სტროფი „მას ერთსა მიჯნურობასა": „იმ ერთს მიჯნურობას სასუფევლის მიჯნურობაზედ უბნობს... და სწავლად უბნობს, ვინც არ ისიძავს და ქრისტესთვინ ნდომას დასთმობს და სწორის ცოლქმრობით იქნების, ესეც იმისვ სასუფევლის მიჯნურის მდომის მიბაძვა არისო" (ტ).

სტროფი „მიჯნური შმაგსა": „...და უბნობს, ზოგთ სამ˝ღთოსა და სასუფევლის ახლო მყოფობა აქვს, მაგრამე ბევრი აღმაფრენაზედ კიდეც დამშვრალა, ეშმაკის საფრთხით რომე უცდენია და ველარ აუწევიაო..." (ტა).

სტროფი „ღმერთო, ღმერთო": „ამას ახლა თვითან რუსთველი ამბობს, ღ[მერ]თო, ყოვლის მფლობელო, გეხვეწები, შენ რომ ზეციერი მიჯნურობა დაბადე, შენ რომ იმის წესს აწესებ, მე ამ სოფლიოს ზღაპრობამ საუკეთესოს მზეს, სასუფეველს, მომაშორვაო და ახლა ამას ეხვეწება, ამ ზღაპრობის თქმით იმ სასუფევლის სიყვარულს ნუ აღმოფხვრიოო" (ტმ).

სტროფი „სდევს მიჯნურსა“: „სამღ̃თოზედ უთქვამს, ვინც სასუფევლის მიჯნური შეიქნება, საწუთრო უნდა დაინაღლოს, ბოლოს სასუფეველს იშოვნის. ვინც ამ სოფელს გაირჯება და ზრუნეისგან გამოვა, სასუფევლის მიჯნურობა მართლა უთქვამს, სიკუდილზე მიახლოებულიც არის დიაღ საჭიროც...“ (ტმე).

ამ მაგალითებიდან აშკარაა, რომ „სასძლოს“ მიჯნურობა და ტრფიალი „სატრფიალონში“ შემთხვევითი არ არის. იგი ვახტანგისათვის მტკიცედ შემუშავებული ქრისტიანულ-თეოლოგიური თვალსაზრისია.

უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ, სადაც თხზულებაში ზოგადად არის მსჯელობა სიყვარულზე და კონკრეტულად არ არის აღნიშნული ადრესატი, შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში „სასძლოსადმი“, სასუფეველისადმი მიჯნურობა იგულისხმებოდეს.

ახლა „სატრფოს“, „სატრფიალოს“ შესახებ. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქრისტიანული თეზა არის: „ღმერთი სიყვარული არს“. ეს აზრი თეოლოგიურ, და არა მარტო თეოლოგიურ, ლიტერატურაში ფართოდ არის გავრცელებული. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომებში ვკითხულობთ: „ესრეთ იქების სახიერებაჲ დიდთა ღმრთისმეტყუელთა მიერ, ვითარცა კეთილი და ვითარცა სიკეთე, ვითარცა სიყუარული და ვითარცა საყუარელი და რაოდენი რაჲ სხუანი არიან კეთილად შუენიერნი კეთილ-მყოფელისა და სახარულევანისა შუენიერებისა ღმრთისა სახელნი“[203].

ქრისტიანულ ლიტერატურაში, გარდა „სიყვარულისა“, ღმერთს მიემართება აგრეთვე სიტყვები „ტრფიალება“, „სატრფიალო“ და ა. შ. იმავე ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ნაშრომში „საღმრთოთა სახელთათჳს“ ამ საკითხზე ცალკე თავებია გამოყოფილი. აი, როგორ არის დასათაურებული ისინი: „სახიერებისათჳს, ნათლისათჳს, კეთილისათჳს, ტრფიალებისათჳს, განკჳრვებისათჳს, შურისათჳს...“ (გვ. 29), „წმიდისა იეროთეოსისი «სატრფიალოთა მათგან ქებათა მისთა» (გვ. 42), „მისივე წმიდისა იეროთეოსისი კუალად მათგანვე «სატრფიალოთა ქებათა»“ (გვ. 43) და სხვა. ფსევდო-დიონისე საგანგებოდ განიხილავს ამ სიტყვა-ცნებას და, როგორც ვ. ნოზაძე მიუთითებს[204], ეკამათება იმ საეკლესიო პირებს, რომელთაც ეჩოთირებოდათ მისი ხმარება ღვთისმეტყველებაში: „ისმინედ მათი მათ, რომელნი ტრფიალებისა სახელსა ჰგმობენ. ეტრფიალე მას, იტყჳს, და დაგიცავს შენ, გარე-მოიზღუდე იგი და აღგამაღლოს შენ, პატივ-ეც მას, რაჲთა შეგიტკბოს შენ და სხუაჲ, რაოდენი

---

[203] პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ენუქაშვილმა, თბ., 1961, გვ. 39.

[204] ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება, გვ. 10.

იგალიბების სატრფიალოთა ღმრთისმეტყუელებათა შინა. ვი-
ნაჲცა სთნდა ვიეთმე ჩუენთა სამღდელო მეტყუელთაგანთა. უსაღმრთო-
ესცა ყოფად ტრფიალებისა სახელი უფროჲს სიყუარუ-
ლისასა. და სწერს საკურველი ეგნატიცა: «ტრფიალი ჩემი
ჯუარ-ცუმულ არს». და წინა-შემყვარებელთა სიტყვათა შინა
ჰპოვო ვინმე მეტყუელად სამღრთოჲსა სიბრძნისათჳს: «ტრფიალ
ვექმენ სიკეთესა მისსა». ვინაჲცა ამის ჯერისათჳს ნუ შემეშინის ჩუენ
ტრფიალებისა სახელისაგან, ნუცა ვინ მაშინებს ჩუენ სიტყუაჲ
ამის პირისათჳს შეშინებული. რამეთუ ჩემდა საგონებელ არს ღმრთის-
მეტყუელთათჳს, ვითარმედ ზოგად შეჰრაცხეს მათ სახელი სიყუა-
რულისა და ტრფიალებისაჲ; ამისთჳსცა საღმრთოდ
განასაკუთრეს ჭეშმარიტი ტრფიალებაჲ უფროჲს
სიყუარულისა, რაჲთა სრულიად ზეშთა-აღამაღლონ იგი ესე-ვი-
თართა მათ კაცთა უჯეროდ შერაცხვისაგან. რამეთუ ღმრთივ შუენიერ-
ყოფაჲ ჭეშმარიტისა ტრფიალებისაჲ არა ხოლო ჩუენგან, არა-
მედ ყოველთა საღმრთოთა სიტყუათაგან იგალო-
ბებოდა რაჲ, ვერ დაიტიეს ერთა სიმრავლემან ერთ-სახეობაჲ
იგი ტრფიალებისა ღმერთ-სახელობისაჲ... რამეთუ და-
უტევნელ არს სიმრავლისაგან ერთ-სახეობაჲ ტრფიალებითისა
ერთობისა და საღმრთო სახელობისაჲ, ამისთჳს ვითარცა საძაგელი და
ბოროტ-რაიმე სახელი ერთ-საგონებელი მრავალთა მიერ საღმრთო-
ჲსა სიბრძნისა სახელად განიწესა, რაჲთა აღმყვანე-
ბელ ჩუენდა ყოს თავი თჳსი მეცნიერ-ყოფად ნამდჳლვე ჭეშმარი-
ტისა ტრფიალებისა, რაჲთა ესრეთ განჴსნილ ვიქმნეთ საძნა-
ურ მგონებლობისაგან მისისა" (გვ. 39—40) და ასე გრძელდება ახსნა-
განმარტება „ტრფიალების" საღვთო შინაარსისა.

აქედან გამომდინარე, „სატრფო" ღმერთია, ხოლო მისადმი ტრფია-
ლება — საღვთო სიყვარულის უმაღლესი გამოვლინება. ამ თეოლო-
გიური დებულების გავრცელებულობის დასამტკიცებლად დამატები-
თი მასალების მოხმობა ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან ვახტანგისათვის
მარტო ეს წყაროც საკმარისი შეიძლებოდა ყოფილიყო. ვეფხისტყაო-
სანზე დართული მისეული კომენტარებიდან ირკვევა, რომ იგი შესა-
ნიშნავად იცნობდა დიონისე არეოპაგელის სახელს და მის ნაშრომებს.
ვეფხისტყაოსნის ტექსტს „ამ საქმესა მემოწმების დიონისი ბრძენი
ეზროს" ვახტანგი ასეთ კომენტარს ურთავს: „დივანოსე არიოპაგელი
დიდი ფილასოფოსი იყო. კერპთა და პავლესაგან მოიქცა და ეფისკოპო-
ზათ აკურთხა. ვისცა იმისის სიკეთის ცნობა გინდათ, იმისის წიგ-
ნის კითხვით შეიტყობთ. აწ იმას მოწმობს... გასინჯეთ, თუ
ეს ამაზედ კი არ ამბობს დიონოსე, რომელსა სოფლის გამდგარს კაცს
გმობს და სოფლიოს ღარიბობისათვის რას უმოწმებს, თუ არ დამიჯე-

რებთ, იმისი წიგნი ნახეთ, თუ ამგვარს საქმეზედ მოწმობდეს, თქვენ რომ გითარგმნიათ, ამას ნუ დაიჯერებთ" (გვ. ტიე — ტივ).

მეორე, ტექსტის „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს" კომენტარი: „აქ დიონოსე არიოპაგელს მოწმობს. დიონოსე იტყვს: ღ[მერ]თს ყველა კეთილად დაუბადებიაო. მაგრამ, თუ კაცი ავს იქს, იმისი ბრალიაო. შესავალთაცა უთქვამს და თავისი სიბრძნეც გამოუჩენია, — ეს წიგნიც მიკითხავსო" (გვ. ტნა).

ვეფხისტყაოსნის ამავე კომენტარებიდან ისიც დასტურდება, რომ ვახტანგისათვის სავსებით ცნობილი და მისაღებია ღვთისადმი ტრფობის, მიჯნურობის თეოლოგიური შეხედულება, რასაც იყენებს იგი ვეფხისტყაოსანში განსახიერებული სიყვარულის ასახსნელად.

განმარტავს რა ვეფხისტყაოსნის ტექსტს „ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს", ვახტანგი წერს: „ერთს სამიჯნუროდ ღ[მერ]თს უბნობს. ერთი ის უნდა უჩნდეს სამიჯნუროდ და იმას იაშიყებოდეს. და ყუელას იმისთვინ მელექსე ჴელოვნობდეს, იმას აქებდეს და იმას ამკობდეს და იმის მეტი ნურვინ უნდა საქებრად და ენას მისთვის ამუსიკებდესო" (სჟთ).

სხვაგან სასიყვარულოდ, მიჯნურად ქრისტეა დასახელებული: განმარტება ვეფხისტყაოსნის ტექსტისა — „მაგრა ვარდსა უმზეობა გაახმობს და ფერსა აკლებს, ჩვენ ვერ ჭვრეტა საყვარლისა ჴირსა ძველსა გაგვიახლებს": „...ახლა ამის სახეზედ ესეც მოუყვანია: როგორც ვარდს უმზეობა გაახმობს, ისრე სიყვარული ქრისტესი უთქვამს და იმისი ვერ ჭვრეტა ძველს ადამის ცთომას გაგვიახლებს..." (ტმა — ტმბ).

„თვალთა მისგან უნათლოთა..." სტროფის კომენტარი: „ახლა მოჴყვა სხვასა ამბავს, რომ მოლექსეების საქმეს ამბობს და პირველზედ კიდევ სამ˝ღთო თქუა, რომე თვალთ უწინდელთ ქრისტეს მოსვლამდი უნათლოთ უჯობდაო, რომ ახლა ჩენა ენატრათო. აი, რამდენი გული გამიჯნურდა ქრისტესთვის, რამთონი ველად გაიჭრნენ. «მეაჯე» მახვეწარსა ჰქვიან, ვინც ეხვეწებიან სასუფევლისათვის ჴორცსა სწვენ, მაგრამ ის კმარა, რომ სულს ლხენას მისცემენ. და სამს ფერად სამებას ამბობს. ლამის ლექს დალევნა უნდაო; ერთი ეს არის რომე სამების ქებისათვის ვის ექნება მაქთენი სიბრძნე, რომ არ დაელიოს..." (სჟვ).

ვფიქრობთ, მისახვედრია, რომ „სატრფიალონში", ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ნაშრომსა და ვეფხისტყაოსნის კომენტარებში ერთსა და იმავე სახის ტრფიალებასა და მიჯნურობაზეა საუბარი. ამის მაჩვენებელია მათ შორის არსებული სრული სიტყვიერი და აზრობრივი დამთხვევა.

აქედან გამომდინარე, უეჭველია, „სატრფიალონის" „სატრფო" არის ღმერთი. თხზულებაში არც ერთხელ არა გვაქვს შემთხვევა, რომ ამ სიტყვას ეს მნიშვნელობა არ შეესაბამებოდეს. ოღონდ ამ გაგებით ყველგან არის თუ არა მასში იგი გამოყენებული, ამის დაბეჯითებით თქმა ძნელია. ნაწარმოებში, თითქმის ყველგან, არა გვაქვს რაიმე ისეთი კონტექსტისეული არსებითი ნიშანი, რომელიც სხვა გაგებას გამორიცხავდეს. ზემოთ იყო აღნიშნული, რომ ამავე ნაწარმოების მიხედვით, სატრფიალო და სამიჯნურო არის აგრეთვე სასუფეველი. ვეფხისტყაოსნის კომენტარებიდან ისიც ირკვევა, რომ, ვახტანგის აზრით, სატრფიალო და სამიჯნურო ასევე შეიძლება იყოს პ ა ტ რ ო ნ ი, მ ე ფ ე. ვეფხისტყაოსნის სტროფის „მე რუსთველი ხელობითა"-ს შესახებ იგი წერს: „ხამს, ყრმა პ ა ტ რ ო ნ ი ს მ ი ჯ ნ უ რ ი და ტ რ ფ ი ა ლ ი უნდა იყოს... მისის ს ა მ ს ა ხ უ რ ი ს მ ი ჯ ნ უ რ ო ბ ი თ ესე ვერ გავმძღარვარ და ვერც, რომელიც მმართებს, ის მიმსახურებია და უმსახურობის უძლური ვართ..." (სჟე).

„სატრფიალონში" „პატრონის" მიჯნურობის საკითხი არ დგას, მაგრამ, რადგან სასუფეველიც სატრფიალოა, ვფიქრობთ, მთლიანად გამორიცხული არ არის, ზოგიერთ შემთხვევაში „სატრფო" სასუფეველს ნიშნავდეს. როგორც ვთქვით, თხზულებაში ტექსტი ისე გამჭვირვალე არ არის, რომ ეს მნიშვნელობები ერთმანეთისგან მტკიცედ გაიმიჯნოს.

ნიმუშისათვის შევეხებით ერთ ეპიზოდს, სადაც „სატრფოს" უფრო ღვთის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, თუმცა კონტექსტი სხვაგვარადაც შეიძლება გავიაზროთ. ტექსტი მოგვყავს პირველი რედაქციის მიხედვით:

„ებრძანა: «ნურას მოზარობ, თუ ჩემკერძ გინდა რებანი!
მე დაცემულთა ყოველთა მივეცი აღდგინებანი,
უხვებით მივსცემ ყოველთა, ვისაც რისა აქვს კლებანი,
და გული თუ ჩემზე შემსჭვალა, ანა ქნა ჩემნი ნებანი»" (17)

„ესე რა მესმა იმისგან, მომხვდა გულისა ამება,
ავდეგ და მის კარს მივმართე, ვისთვისცა მქონდა წამება;
რა ვნახე, დიდად იამა ჩემი ამგვარი წამება,
და მითხარო, რაცა იცით, მომხვდა გულისა ამება!" (19)

„მე მოვახსენე ყოველი, რაც გულსა მქონდა დებანი,
უშიშრად, დაურიდებლად და მივეც ჩემი ნებანი;
ან მომკლა ან დამარჩინო, მაქვს ამის იმედებანი,
და გნუკავ, მახილვო სატრფოსა და მისი ბრწყინვალებანი!" (20)

(S 4500, გვ. 269—270)

ამ ეპიზოდში, ერთი მხრივ, ისე გამოდის, რომ ერთმანეთისგან გარჩეულია სასუფეველი და ღმერთი. ის, ვისაც ესაუბრება ლირიკული გმირი, სასუფეველი უნდა იყოს. როდესაც ამ გმირმა მოისმინა „ი მ ი ს გ ა ნ", რაც „ებრძანა", რაც თქვა მან, იგი ადგა და „მ ი ს კარს" მიმართა. აქ სასუფევლის კარზე უნდა იყოს საუბარი[205]. ბოლო სტროფში იგივე ლირიკული გმირი მ ა ს ვ ე მიმართავს და ემუდარება „მახილვო სატრფოსა"-ო. თეოლოგიური შეხედულებით, სასუფეველში მოხვედრილს საშუალება აქვს, გარკვეული თვალსაზრისით, ჰვრეტდეს, ხედავდეს ღმერთს.

ამ მონაცემებით, „სატრფო" ღმერთს განასახიერებს.

მეორე მხრივ, მას, ვისაც ესაუბრება ლირიკული გმირი და რომელიც ჩვენ სასუფეველად მივიჩნიეთ, ისეთი ძალა და უფლებები მოეპოვება, რომელიც უფრო ღმერთს შეეფერება: მას შესწევს ძალა ყველა დაცემული აღადგინოს და ყველას მისცეს ის, ვისაც რა აკლია. ამისთვის საჭიროა მხოლოდ ერთი პირობა — მასზე მინდობა და მისი ნება-სურვილების შესრულება.

ეს ღვთიური ნიშან-თვისებები კიდევ უფრო რელიეფურად და დამაჯერებლად მოცემულია მომდევნო სტროფებში:

„ეით გაქო, ქების მაარსო, შენთა მჭვრეტთ მალხინებელო,
ბრძენო, მშვიდო და მდაბალო, ზნეთა კეთილად მდებელო,
ყოვლის სიავის მოძულევ, ბოროტთ არ თვალის მკვებელო,
და შენ საყვარელო ყოველთა და ყოვლთა არა მხლებელო!" (21)

„ვარდს გადარო, ეით იქნება, — ფერ-სუნითა შენგან ვარდობს,
თვალს უძილოს ნარგიზთაგან შენი უფრო ვანავარდობს,
მზე მიიღებს შენკან ნათელს, მეფეთ ზედან შენით ბედობს,
და ნეტარძი აქვსთ შენთა მჭვრეტთა, ვაგლახ, ვინცა რასმე ყბედობს!"
(22, S 4500, გვ. 270)

თუ კიდევ არის დასაშვები, რომ მე-17 სტროფში გამოთქმული სიტყვები ღმერთს არ მივაწეროთ და სასუფეველს მივუსადაგოთ, ამ უკანასკნელ სტროფებში მოცემული დახასიათება მხოლოდ და მხოლოდ ერთს, ღმერთს შეიძლება შეესაბამებოდეს. ამის მაჩვენებელია ეპითეტები: „ქების მაარსი", ვარდისათვის ვარდობის მიმნიჭებელი, საჭვრეტლად სანატრელი და მჭვრეტელთა მალხინებელი, სიავისა და ბოროტის მოძულე და მტერი, ყოველთა საყვარელი, განსაკუთრებით, გამოთქმა — „მზე მიიღებს შენგან ნათელს", ან, როგორც მეორე და მესამე რედაქციებშია, „მზესა მიაქვს შენგან სხივი", „მზისა ნათლის მიმცემელო", „რადგან, — მ. გიგინეიშვილის სიტყვებით რომ

[205] უფრო ვრცლად იხ. ცოტა ქვემოთ.

ვთქვათ, — ყველა თეისტური მოძღვრება ყოველივეს წყაროდ (და მათ შორის მ ზ ი ს ა ც) ღ ვ თ ა ე ბ ა ს მიიჩნევს და, ამდენად, ყველაფერშია ღვთაება განფენილი"[206]. მთლიანი კონტექსტი კი შეიძლება ისე გავიგოთ, ლირიკული გმირი აქაც იმასვე მიმართავს, ვისაც ზემოთ დამოწმებულ სტროფებში ესაუბრებოდა — „მითხარო, რაცა იციო", „მე მოვახსენე ყოველი", „გნუკავ მახილვო სატრფოსა". თუ მსჯელობის ეს ხაზი სწორია და თხოვნა ღმერთს მიემართება, სატრფო მაჩვენეო, მაშინ „სატრფო" შეიძლება ღმერთს აღარ აღნიშნავდეს და სასუფეველს გამოხატავდეს.

ასეთია ის წინააღმდეგობა, რომელიც მოცემულ ეპიზოდში „სატრფოს" მნიშვნელობის დაზუსტებისას გვაქვს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც პირველი მოსაზრებისაკენ ვიხრებით და უფრო გვგონია, მოსაუბრის სახით ავტორი სასუფეველს, ხოლო „სატრფოს" სახით ღმერთს წარმოგვიდგენს. 21—22-ე სტროფების წინა სტროფებთან აღნიშნული კავშირი, ვფიქრობთ, უცილობელი არ არის. „სატრფიალონი" ავტორის ლირიკულ განწყობილებებს გამოხატავს და მას ერთი, ერთმანეთისგან გამომდინარე, სწორხაზობრივი თხრობა არ გააჩნია. მას შემდეგ, რაც სასუფეველთან დიალოგი დაგვიხატა, პოეტს თავისუფლად შეეძლო ღვთის ქებაზე გადასულიყო.

ასეა თუ ისე, აქაც ერთი ცხადია: „სატრფიალონის" „სატრფო" ღმერთია. იმ შემთხვევაშიაც, თუკი იგი ტექსტში სადმე სასუფეველს აღნიშნავს, ბოლოს და ბოლოს, ისიც ღვთისადმი სიყვარულის ამსახველია და ქრისტიანულ-თეოლოგიურ თვალსაზრისს გამოხატავს.

ამრიგად, „სატრფიალონში" ასახული სიყვარული, ტრფობა და მისი ძირითადი სიმბოლური სახეები — „სძალი", „სასძლო", „სატრფო" ფორმითაც და შინაარსითაც წმინდა ქრისტიანულია.

ანალოგიური ვითარება არის სხვა, ცალკეულ სახეთა მიმართაც. შევეხოთ ზოგიერთ მათგანს, უპირველესად, რომლებიც სიყვარულსა და ქორწილს ეხებიან:

ზემოთ საუბარი გვქონდა იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული, რომელიც ღვთისადმი სიყვარულს გულისხმობს, ამავე დროს ასევე გულისხმობს და ქადაგებს მოყვასისადმი სიყვარულს. აღნიშნული იყო ისიც, რომ ქრისტიანული სიყვარულის ერთ-ერთი პირობაა სოფლის გმობა, ამქვეყნიური დიდებისაგან განდგომა. ეს იდეები „სატრფიალონში" ნამდვილი მიჯნურის განსაზღვრისას პირდაპირ და კატეგორიული ფორმით არის მოცემული:

---

[206] მ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, მზე — „ხატი ღვთისა" ვეფხისტყაოსანში, წიგნში: ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VII—VIII, თბ., 1976, გვ. 102.

„ჭას მიჯნურად რად ჩააგდებ, ვის არ ჰქონდეს ესე გულად:
მოყვსისათვის თავი თვისი არ დაედვას მონაკლულად,
არ დაეთმოს სოფლის შვება და დიდება მისი სრულად,
და ვისცა რამე ეკრძალოდეს და არ ექნას მონაძულად?“ (121)

„სატრფიალონში“ არის ცნებები, სახეები, რომლებიც უშუალოდ სახარებიდან, მასში აღწერილი ქორწილებიდან მომდინარეობენ. სახარებაში კი ეს ქორწილები ალეგორიული მნიშვნელობით, სასუფევლის დასახატავად არის მოხმობილი. „სატრფიალონში“ ვკითხულობთ:

„ეზომ ტურფა სასძლოსთანა მინდა, რომე ვიხარებდე,
საქორწინე არ მაცვია, რომ შემიშვან ვიხარებდე;
მიჯობს რომე დავკლახაკდე, სოფლის საქმით ვიხარებდე,
და ნუთუ მაშინ ღირსად ვიქნა, ღიას კარსა ვიხარებდე!“ (7)

„სძალს მწვე უნდა ჩემი მისვლა, მაწვევს ხოლმე, დიაღ, ხშირად,
მაგრამ მე ვერ მივყოლივარ, საქმითა ვსჩან მწვე დუხჭირად,
მწიკვლითა ვარ შემოსილი, არ სიწმინდით ჩემად ჭირად,
და არ მინათებს ლამპარს ზეთი, ვიქმენ მისგან განაწირად“. (9)
(S 4500, გვ. 267)

სახარებაში მოთხრობილია: „და მერმე მიუგო მათ იესუ იგავით და ჰრქუა: ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა, რომელმან ყო ქორწილი ძისა თჳსისაჲ. და წარავლინნა მონანი თჳსნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილსა მას, და არა ინებეს მოსლვად... მაშინ ჰრქუა მონათა თჳსთა: ქორწილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იყვნეს. წარვედით მებოძირთა გზათასა და რაოდენიცა ჰპოოთ, მოუწოდეთ ქორწილსა ამას. და განვიდეს მონანი იგი მისნი გზათა ზედა და შეკრიბეს ყოველი, რაოდენი პოეს ბოროტი და კეთილი. და აღივსო ქორწილი იგი მეინაჳითა. ხოლო შე-რაჲ-ვიდა მეუფე იგი ხილვად მეინაჳეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე. და ჰრქუა მას: მოყუასო, ვითარ შემოხუედ აქა, რამეთუ არა გმოსიეს საქორწინე? ხოლო იგი დუმნა. მაშინ ჰრქუა მეუფემან მან მსახურთა თჳსთა: შეუკრენით მაგას ჴელნი და ფერჴნი და განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ“ (მათე, 22. 1—13).

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „სატრფიალონში“ იმ „საქორწინე სამოსელზეა“ ლაპარაკი, რაც სახარებაშია, რომლებიც ორივეგან ნართაული შინაარსის შემცველია და ქორწილში, სასუფეველში, ღმერთთან მოხვედრის აუცილებელ პირობად არის მიჩნეული.

მეორე ქორწილი სახარებიდან: „მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლამპარნი თჳსნი და განვიდეს მიგებებად სიძისა. ხოლო ხუთნი მათ-

განნი იყვნეს ბრძენი, და ხუთნი — სულელნი. მოიხუნეს სულელთა მათ ლამპარნი მათნი და არა მიიღეს მათ თანა ზეთი. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა და ლამპართა მათთა თანა. და დაყოვნებასა მას სიძისასა მიერულა ყოველთა და დაიძინეს. ხოლო შუვა-ღამეს ოდენ ღაღადებაჲ იყო, ვითარმედ: აჰა ესერა სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა. მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს ლამპარნი მათნი. ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ ლამპარნი ჩუენნი დაშრტებიან. მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს: ნუუკუე ვერ კმა-გუეყოს ჩუენ და თქუენ, არამედ უფროჲსღა წარვედით სავაჭროდ, და იყიდეთ თავისა თქუენისა. და ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძე იგი, და განმზადებულნი იგი შევიდეს სიძისა თანა ქორწილსა მას, და დაეხშა კარი. შემდგომად მათსა მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი და იტყოდეს: უფალო, უფალო, განგვღე ჩუენ. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, არა გიცნი თქუენ. იღჳძებდით უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისაჲ მოვიდეს" (მათე, 25. 1—13).

„უძველეს იადგარში" განმარტებულია: „სანთელი იგი, რომელ არს სიწმიდეჲ, ზეთი იგი — წყალობაჲ და სიხარული, და სიძეჲ იგი — თავადი ქრისტე, და ქორწილი იგი, რომელ არს სასუფეველი"[207].

აქაც აშკარაა, „სატრფიალონის" „ლამპრის ზეთი" სახარების ამ ეპიზოდს ეხმაურება. ორივეგან მას ერთი და იგივე შინაარსი და დანიშნულება აქვს. სახარების მიხედვით, იგი ქორწილში სიძესთან, „სატრფიალონის" მიხედვით, — სასძლოსთან, გაშიფრულად, — სასუფეველში ღმერთთან შესასვლელად არის საჭირო.

ჩვენი აზრით, სახარებიდან იღებს სათავეს აგრეთვე „სატრფიალონის" „ღია კარი" (იხ. აგრეთვე ლუკა, 13. 24—25).

ქრისტიანულ ლიტერატურაში „კარი" ღმერთის ერთ-ერთი სიმბოლური სახელია. იოვანეს სახარებაში წერია: „ამას იგავსა ეტყოდა მათ იესუ, და მათ არა გულისხმა-ყვეს, რასა-იგი ეტყოდა მათ. მერმე ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: მე ვარ კარი ცხოვართაჲ. ყოველნი რომელნი ჩემსა პირველად მოვიდეს, მპარავნი იყვნეს და ავაზაკნი, არამედ არა ისმინეს მათი ცხოვართა. მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხოვნდეს, შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი პოოს" (10. 6—9).

---

[207] უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980, გვ. 181.

„აბო თბილელის წამებაში“ ვკითხულობთ: „რამეთუ საშინელ და წმიდა არს და ყოვლად ძლიერ და საკვრველ და უფალ და ყოვლისა მპყრობელ არს სახელი მისი, ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ მიწდომად სიმდიდრესა მას სახელისა მისისასა, არამედ უძლურებისაებრ ჩემისა და გულს-მოდგინებისა თქუენისა ვიწყო თხრობად თქუენდა, საყუარელნო: კ ა რ, გზა, ტარიგ, მწყემს, ლოდ, მარგალიტ, ყუავილ, ანგელოზ, კაც, ღმერთ, ნათელ, ქუეყანა... კ ა რ ეწოდა, რამეთუ თქუა: მ ე ვ ა რ კ ა-რ ი ცხოვართაჲ, რამეთუ ჭეშმარიტად მორწმუნენი მისნი მის გამო, ვითარცა კ ა რ ს ა მ ა ს ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი ს ა ს ა, შევალთ“[208].

როგორც ილ. აბულაძემ გამოარკვია, ქართული თხზულება ამ ნაწილში ემთხვევა ეპიფანე კვიპრელის ნაშრომს „ალვსებისათვს“[209].

მართალია, „აბო თბილელის წამებაში“ და ეპიფანე კვიპრელის თხზულებაში „კარი“ ღმერთს ეწოდება, მაგრამ იქვე, ორივეგან, ლაპარაკია ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი ს კ ა რ ზ ე, როგორც მათეს სახარების დამოწმებულ ეპიზოდშია. ანალოგიური შინაარსისაა იოვანეს სახარების დამოწმებული ადგილიც. ქ რ ი ს ტ ე, კ ა რ ი ისეთი შესავლის მეუფეა, სადაც მის „მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს“.

„ღია კარზე“ საუბარია აპოკალიპსშიაც, რომელსაც თითქოს იგივე გაგება უნდა ჰქონდეს, რაც სახარებაშია, თუმცა ანდრია კაბადოკიელი მას სხვაგვარად განმარტავს. აპოკალიპსი: „შემდგომად ამისა ვიხილე, და აჰა კ ა რ ი გ ა ნ ღ ე ბ უ ლ ი ცათა შინა და ჴმაჲ იგი, რომელ მესმა პირველ, ვითარცა საყჳრისაჲ, მეტყოდა მე, ვითარმედ: აღმოვედ აქა, და გიჩუენო, რაჲ-იგი ყოფად არს შემდგომად ამისა“ (4. 1).

ანდრია კაბადოკიელი: „ა ღ ე ბ ა ჲ ი გ ი კ ა რ ი ს ა ჲ გ ა მ ო-ც ხ ა დ ე ბ ა ს ა დ ა ფ ა რ უ ლ თ ა ს ა ი დ უ მ ლ ო თ ა ს ა მ ო ა ს წ ა-ვ ე ბ ს, ხოლო თუ: აღმოედ აქა — სრულიად ქუეყანისაგან აღმაღლებასა და ცად მისლვასა გონებისა მისისასა მოასწავებს“ (გვ. 52).

ჩვეულებრივი ამბავია, როცა საეკლესიო მამები ერთსა და იმავე ტექსტს სხვადასხვაგვარად განმარტავენ, მით უმეტეს, როცა საქმე სხვადასხვა თხზულებას ეხება. ამიტომ „კარის“ სხვა მნიშვნელობების შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ძველ ქართულ მწერლობაში, მსგავსად მათეს სახარებისა, უამრავი მაგალითი გვხვდება „კარის“ ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი ს კ ა რ ი ს მნიშვნელობით ხმარებისა. დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს.

ეფრემ ასური: „რამეთუ უფალი ყოვლისა მპყრობელი თავით თჳსით და მონათა მისთაგან წინაწარმეტყუელთა და მოციქულთა აწუევს და ღაღადებს. და რაჲ-მე არიან წუევანი მისგან? იტყჳს, ვითარმედ:

---

[208] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 52.

[209] ილია აბულაძე, შრომები, III, თბ., 1982, გვ. 130—132.

ქორწილი ჩემი მზა არს, ზუარაკნი ჩემნი დაკლულ არიან, სიძე დიდებითა და შუენიერებითა ზის სასძლოსა მას და შეიმთხუევს სიხარულით, რომელნი შევლენან მისა, კარი იგი ღებულ არს, და მსახურნი ასწრაფებენ პირველად დაჴშვამდე კარისა“[210].

თეიმურაზ პირველი:

„კვლავცა მითქვამს: სიტყვა უქმისა პატიჟმან შემაშინაო,
ყოველნი განვლით სოფელსა, არავინ დავრჩეთ შინაო;
სულის არ განმსვენებელო, მსგავსად პირუტყვთა ფშვინაო,
და კარი დავვეხშას სასძლოსა, გვესმას: «ნუ მოხვალთ, შინაო!»“[211]

არჩილი:

„დადუმდა ენა რიტორი, ორღანო მზახი, წინწილი;
აქ გამოგზავნა ყაენმა იგ წმიდათ მსგავსი ნაწილი;
სამება მან აღიარა, იგ ერთღვთაება, სამწილი,
და მას კარ-განხმულნი დაუხვდა სასძლო, მზა მუნ საქორწილი“[212].

სულხან-საბა ორბელიანი: „რბიოდეთ, მდაბალნო, შესლვად კართა სასუფეველისათა, ვიდრემდის დაგვიხშევდეს ამპარტავნებისა გონება სასძლოსა მას შვენიერსა...“[213]

კიდევ უფრო მეტყველია და სახარებასთან ორგანულ კავშირს გამოხატავს დ. გურამიშვილის ლექსი, სადაც ჩვენთვის საინტერესო შინაარსით არის მოცემული „ქორწილი“, „საქორწინე სამოსელი“, „კარი“, „ზეთი“, „ლამპარი“:

„გავხდი გლახაკი და დაერდომილი,
თუცა საწუთროს მოვიანგარე;
და ვარ ცარიელზე მე დაჯდომილი,
საუნჯისაგან კარს გარეთ მდვარე“.
(სტრ. 2)

---

[210] ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 4.

[211] თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი, ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ., 1934, გვ. 112.

[212] არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, არჩილიანი, II, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, თბ., 1937, სტრ. 1110.

[213] თხზულებანი, III, გვ. 55.

„სიზმრად ვიხილე, კარს გარეთ ვრეკდი,
ქორწილში შესვლად შიგნით ვიწევდი,
და ქრისტეე, მიბოძე ასეთი ბედი,
შენსა მას ქორწილს მეცა მიწვევდი!“ (4)

„მტერმან განმძარცვა მე შესამკული,
ტანთ საქორწინე შესამოსელი,
და ვა, თუ მით ვიქნა გარეთ მრეკელი,
ქორწილსა შინა ველარ შემსვლელი!“ (5)

„შენ ხარ, უფალო, აწ ჩემი მშველი,
ქრისტეე, შემმოსე მადლით შიშველი,
და პეტრე და პავლე, სამოთხის მცველი,
ნუ მექნებიან კართა დამჭშველი!“ (6)

„ნუ გძინავს, სულო, აწ გაიღვიძე,
რომ არ შეიქნა ლამპარ-შრეტილი,
და შუაღამისას მოვიდეს სიძე.
გარეთ არ დარჩე კარ-დაკეტილი“. (7)

„ვარ მე მტერთაგან მწარედ ვაცრცვილი,
ტანთ საქორწინე საცმელთ ხეული;
და სულ დამკარგეია ზეთი და ცვილი
და საკერასე გორგლად ხვეული“. (10)

„სატრფიალონში“ „კარზე“ კიდევ არის საუბარი. ერთი შემთხვევა ზემოთ იყო ნაჩვენები:

„ავდევ და მის კარს მიემართე. ვისთვისცა მქონდა წამება“. (19, 2)

თუ აქ და ზემორე დამოწმებულ სტროფში მიხვედრით ვვარაუდობთ, რომ პოეტს სასუფეველის კარი უნდა ჰქონდეს მხედველობაში, მესამე შემთხვევაში ტექსტში ეს პირდაპირ არის დასახელებული:

„მისთა ტრფიალთა კეთილი არ მიეცემის კარითა,
სიყვარულითა მისითა გული, გონება კარითა,
მისისა მიახლებითა ეშუსა სურვილი კარითა,
და ეცება რომე გვეღირსოს შესლვა სამოთხის კარითა“. (29)

მაშასადამე, ჩვენი დაკვირვებით, „სატრფიალონის“ „კარი“, „ღია კარი“ ქრისტიანული სიმბოლური სახეა, რომელიც ახალი აღთქმიდან მომდინარეობს და ნიშნავს სასუფეველის კარს.

ასევე, ქრისტიანულია თვალსაზრისი ადამიანის მწიკვლოვანებისა და სასუფეველში მოხვედრისათვის განბანვის აუცილებლობის შესახებ: „ამისთჳს განიშორეთ ყოველი მწიკულევანებაჲ და მეტი იგი სიბოროტისაჲ, სიმშვიდით შეიწყნარეთ ნერგი იგი

სიტყვსაჲ, რომელი შემძლებელ არს ცხორებად სულთა თქუენთა (იაკობის ეპისტოლე, 1. 21. შდრ.: 1 კორინთელთა, 6. 11).

ეფრემ ასური: „უკუეთუ გულ-გითქუამს შენ, მამაო ჩემო, საუკუნესა მას ცხორებასა შესლვად და თუ გსურის სანატრელსა მას უფლისასა შესლვად, მითხარ მე, ძმაო, რაჲსა იბან პირსა შენსა წყლითა?... უკუეთუ გინებს პირისა შენისა დაბანაჲ, დაიბანე იგი ცრემლითა და გამოირცხ მწინკული იგი ტირილითა, რაჲთა ბრწყინვიდეს დიდებითა წინაშე ღმრთისა და წინაშე წმიდათა ანგელოზთა მისთა... უკუეთუ სთქუა: მრცხუენის მე მწინკულისათჳს პირისა ჩემისა, მწინკული იგი პირისა შენისაჲ და ფერჳთაჲ გულითა წმიდითა უბრწყინვალჱს მზისა ბრწყინვიდეს შორის ანგელოზთა ღმრთისათა"[214].

„ქება ქებათას" გრიგოლ ნოსელისეული განმარტება: „აწ უკუე რომელმან მთავარსა მას შინა გონებასა თჳსსა შეიწყნაროს სულნელებაჲ ღმრთისაჲ და გული თჳსი ნაკრავ ესევითარისა მის საკუმეველისა გამოაჩინოს, ყოველთავე ამის სოფლის საქმეთა... არცა თავს-იდებს, რაჲთამცა მწიკულევანი რაჲმე და არაწმიდაჲ სულმყრალობაჲ რაჲმე შეახო საღმრთოსა მას სულნელებასა გულის-სიტყუათა გინა საქმეთა უჯეროთაჲ" (გვ. 79).

ქრისტიანულ ლიტერატურაში მიღებული და გავრცელებული სახეებია „შროშანი", სურნელების „ფშვა", ვარდისა და შროშნის ეკალში ყოფნა. „სატრფიალონში" გვაქვს:

> „ჩემსა სატრფოსა ვაქებდე, ვისი მსურს ხილვა გულითა;
> ვის გამო ვარდსა სუნი სდის და ფშვა შროშანთა
> სულითა..." (4. 1—2)

> „მივგავარ ვარდსა ტურფასა, ეკლისა მონახშიროსა..." (16, 1)

„ქება ქებათაში" ვკითხულობთ: „მე ყუავილი ველისაჲ და შროშანი ღელეთაჲ. და ვითარცა შროშანი შორის ეკალთა, ესრეთ არს მახლობელი ჩემი შორის ასულთა" (2. 1—2).

იპოლიტე რომაელი განმარტავს: „ჵ მართლისა მის პირისანი განცხადებულნი ზრახვანი, რომელ იგავთა ამათ შინა გამოჩნდეს!... სულნელებასა მას შროშნისასა სახედ გჳჩვენებს წმიდათა, რამეთუ ვითარცა სახედ არს შროშანი ბრწყინვალჱ შუენიერებისა გამომცემელ, ესრე სახედცა საქმენი მართალნი ბრწყინვენ და ღელებსა ყუავიან"[215].

---

[214] ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 12.

[215] შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 260.

„ქება ქებათას“ ტექსტი: „ღაწუნი მისნი, ვითარცა ფიალნი ნელ-საცხებელთანი, ფშვან სულნელებასა ნელსაცხებელთ-მგბოლვეელთასა. ბაგენი მისნი შროშან და მომწთოლვარე მურისა სავსედ“ (5. 13).

გრიგოლ ნოსელის კომენტარებიდან: „...ესევითარი არს სახე შროშნისაჲ, რომლისა ბრწყინვალებაჲ გამოსახავს თქმულთა ამათ სიწმიდესა და ჭეშმარიტებასა, ხოლო მეორე იგი უხილავსა და უნივთოსა ცხორებასა ცხადჰყოფს მოძღრუებისა მიერ თჳსისა, რაჟამს განუცდელთა მით კეთილითა განცდითა ქუეყანისა ესე ცხორებაჲ მოიძაგოს და მოკუდეს მისგან...“ (გვ. 339).

„ვინაჲცა, რომელმან ბრწყინვალებაჲ შროშნისაჲ სულსა შინა თჳსსა შეიწყნაროს, განაბრწყინვებს იგი მის მიერ სულსა თჳსსა და შინაგან მყოფი იგი სახე მისი გარეთ საცნაურ იქმნების და რაჲთა უმეტესად ცხად იქმნეს, ესრეთ გულისჴმა-ყავ.

იზარდების უკუე სული სათნოებათა მიერ და სათნოებათა იგავით შროშნათ სახელ-ედების, რომელთაგან უკეთუ ვინმე კეთილად მოქალაქობითა განძლეს, ცხად-ჰყოფს ცხორებისა მიერ და წესიერებისა სახესა თავსა შორის თჳსსა. შროშან წმიდა არიან, სიწმიდე და სიმართლე და სიმხნე და გონიერებაჲ და ყოველნივე იგი კეთილნი, რომელთა იტყჳს მოციქული“ (გვ. 370).

გრიგოლ ნეოკესარიელი: „სიტყუთა სალმთოჲთა მადლისაჲთა და სარწმუნოებისაჲთა ვიხარებდეთ, რამეთუ ვარდითა და შროშნითა და სულნელებისა ნელსაცხებლითა უკრწნელი იგი არს ჩუენი ქრისტე ჩუენდა მოვიდა...“[216] და მრავალი სხვა.

„სატრფიალონში“ შროშანის სახე გამოყენებულია კიდევ ერთ სტროფში, რომლის შინაარსი ზუსტად ემთხვევა სახარების ტექსტს. ლუკას სახარებაში წერია: „განიცადენით შროშანნი, ვითარცა-იგი აღორძნდის: არცა შურების, არცა სთავს. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ: არცა სოლომონ ყოველსა დიდებასა თჳსსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი. უკუეთუ ველსა გარე, რომელი დღეს თივა არს და ხვალე თორნესა შთაეგზნეს, ღმერთმან ესრეთ შემოსის, რაოდენ უფროჲს თქუენ, მცირედ-მორწმუნენო?“ (12. 27—28).

ვახტანგს ეს ადგილი პირდაპირ გაულექსავს:

„ვინ პოა მეფე მდიდარი, ქვეყნად ამისი მქნელია,
შროშანთა ფეროვნებითა კაბა ემოსოს ვრცელია?
თვით სოლომონცა ვერ უძლო, ნახეთ, ამბავი, ძველია!
და იგი თივანი ჩვენს წინა თორნესა ჩასაგზენია!“ (11)

---

[216] სინური მრავალთავი, გვ. 21.

ახალი აღთქმის მიხედვით, ღმერთი ბოროტისაგან გამოუცდელია, ადამიანს კი ყოველი ფეხის ნაბიჯზე ელოდება მტრისაგან, ეშმაკისაგან განსაცდელი, გამოცდა. ის, ვინც გაუძლებს გამოცდას, სამუდამო ბედნიერებას მოიპოვებს. „ნეტარ არს კაცი იგი, — ვკითხულობთ იაკობის ეპისტოლეში, — რომელმან დაუთმოს განსაცდელსა, რამეთუ გამოცდილ იქმნეს და მოიღოს გჳრგჳნი ცხორებისაჲ, რომელი აღუთქუა ღმერთმან მოყუარეთა მისთა. ნუვინ განცდილთაგანი იტყჳნ, ვითარმედ ღმრთისა მიერ განვიცადები, რამეთუ ღმერთი გამოუცდელ არს ბოროტისა და არავის განსცდის იგი. არამედ კაცად-კაცადი განიცადების თჳსაგან გულის თქუმისა, მიიზიდვის და სცთების. მერმე გულის თქუმაჲ იგი მიუდგის და შვის ცოდვაჲ და ცოდვაჲ იგი სრულ იქმნის და შვის სიკუდილი" (1. 12—15).

ეს შეხედულება გამოთქმულია „სატრფიალონში". სატრფოზე, ღმერთზე ნათქვამია:

„ვით გაქო, ქვეყნის მაარსო, მჭვრეტელთა სალხინებელო...
ბოროტის გამოუცდელო, არცა თვალისა შგებელო..." (21. 1, 3)

სამაგიეროდ, სატრფოსთან შეერთებისათვის აუცილებელია გამოცდა:

„სატრფოს მეტრფე თუცა სძებნი, პირველ ვიკამს მო ნათელსა,
ბნელმან კაცი დააბნელოს, ჭირით ბაძე მო ნათელსა,
შეყრას უნდა მწვე გამოცდა, მაშინ ჰპოებ მო ნათელსა,
და დაუცდელად, ეს იცოდე, ეშმაკისგან მო ნათელსა!"
(S 4500, გვ. 269)

იგივე აზრია გამოთქმული მე-6 სტროფშიაც:

„სძალს უვის სათუთობითა, სატურფალია პირითა...
გამოუცდელად არ მაძლევს ოქროსა დანამჭირითა..."
(S 171, გვ. 17)

ასეთივე რელიგიური გაგებით არის საუბარი გამოცდაზე 79-ე სტროფში:

„ნახე, ნარინჯის ფოთოლი თუ ფერით როგორ მწვანობსა!
სიცხეში მას გავს და ყინვა სუნს, ფერსა გაუვანობსა;
აგრევ ყრმა გამოუცდელი სოფლად ამასვე ჰგვანობსა,
და რა დაიცდება, ფერს მატებს და სუნსა შესაგვანობსა".
(S 4500, გვ. 278)

დასმულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს „სატრფიალონში“ წარმოდგენილი ე. წ. ნათლის სიმბოლიკა.

რელიგიური და ფილოსოფიური გაგებით ნათელის, სინათლის შესახებ, საერთოდ და კერძოდ ძველ ქართულ მწერლობაში, საკმაოდ დიდი სამეცნიერო ლიტერატურა მოგვეპოვება[217]. მრავალგზის არის ნაჩვენები, რომ ნათლის სიმბოლიკა დიდად იყო გავრცელებული და ბევრ შემთხვევაში მსგავსი შინაარსით იხმარებოდა მსოფლიოს მრავალ რელიგიურ და ფილოსოფიურ სისტემებში. დიდი ადგილი უჭირავს მას ქრისტიანულ თეოლოგიაში. ქრისტიანული სწავლის მიხედვით, ნათელი ღვთის ეპითეტური სახელია. ღმერთი არის მუდმივი ნათელი, რომელსაც არა აქვს დასაწყისი და დასასრული, იმყოფება უხილავ ნათელში, შემოსილია თვალშეუდგამი შეუქმფრქვევი ბრწყინვალებით. სწორედ ღვთის ეს სხივოსნობაა აღნიშნული „სატრფიალონის“ შემდეგ სტროფში: სატრფოზე ნათქვამია:

„უკრთებიან სხივსა შენსა კაცთა თვალი განაკრძალად“. (23. 4)

ვარიანტები:

„კაცნი ჰკრთებიან შენთა სხივთა, თვალსა იქმან განაკრძალად“.
(S 4500, გვ. 270)

„კაცნი კრთებიან სხივისაგან, გერიდებიან დასაავლად“.
(S 171, გვ. 19)

სხვაგან:

„თვალი სხივმა დამიწხუა, ქნინდა მექმნა დაღალულად“. (26,2)

ყველა არსება ღვთისგან ნათდება. ქრისტიანობა, ქრისტეს რჯულზე მოქცევა, მასზე მიყოლა, მის სასუფეველში ყოფნა ნათელში ყოფ-

[217] ე. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957, გვ. 30—33 და სხვა; მისივე, ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957, გვ. 61—63 და სხვა; მისივე, ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 86—117 და სხვა; მ. გიგინეიშვილი, მზე — «ხატი ღვთისა» ვეფხისტყაოსანში, კრებ.: ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VII—VIII, თბ., 1976, გვ. 102—112; ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1977, გვ. 30. 68—73, 278—281; ნ. სულავა, ნათლის ტროპიკა ქართულ ჰიმნოგრაფიაში, კრებ.: ლიტერატურული ძიებანი, თბ., 1983, გვ. 209—219; თ. გრძელიძე, ნათლის სიმბოლიკა ქართულ ჰაგიოგრაფიაში, წიგნში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, შრომები, IX, თბ., 1983, გვ. 113—118; სოლიკო ცაიშვილი, დანტე და რუსთაველი, „კრიტიკა“, 1984, № 2, გვ. 153—171; რ. სირაძე, ქართული ესთეტიკის სპეციფიკისათვის, „ცისკარი“, 1984, № 6, გვ. 136—142, № 7, გვ. 148—160; მისივე, ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987, გვ. 72—73, 92—95 (იხ. აგრეთვე ქვემოთ გვ. 316).

ნას ნიშნავს. პირიქით კი სიბნელეს, ბნელში ყოფნას ნიშნავს. ნათელი არის სიმბოლო სიცოცხლის, დიდების, ნეტარებისა. ყველაზე დიდი ბედნიერება ქრისტიანი მორწმუნისა ღვთიური ნათლის მიღება არის. ეს აზრია გადმოცემული „სატრფიალონის" მე-18 სტროფში, რომელიც სატრფოს ძებნასა და მასთან შეერთებას შეეხება:

„სატრფოს მეტრფე თუცა სძებნი, პირველ გიჴამს მო ნათელსა,
ბნელმან კაცი დააბნელოს, ჭირით ბაძე მო ნათელსა..."

ანალოგიური ფერებით არის დახატული სატრფოსთან, ღმერთთან შეერთების სურვილი 30-ე და 36-ე სტროფებში. 30-ე სტროფის ბოლო სტრიქონები პირველი რედაქციის მიხედვით:

„სხვას სასჯელსა რად დაეზარდე, უფრო გული დამედება,
თუ კი მამხვდეს შენს ნათელთა დანახვა და გარდმოდება"
(S 4500, გვ. 272)

ვარიანტები:

„თუ ვიხვეძრე სინათლისა მოღებითა გარდმოდება!"
(S 171, გვ. 2C)

„შემემთხეიოს შენთა სხივთა სანახავად გარდმოდება!" (გამოცემა)

36-ე სტროფის ბოლო სტრიქონები:

„შენის ქებითა ვიშვებდე, მქონდეს გულისა დებანი,
ნათლად გამოეჩნდე ნათლითა, მტერთ რა ყონ იშნის გებანი"

ბოლო რედაქციული წაკითხვა:

„ბრწყინვალებითა ებრწყინვიდე მტერთაგან შურ-უკებანი".
(S 171, გვ. 21)

ქრისტიანული თვალთახედვით, ღვთისგან არის შექმნილი სინათლე, მათ შორის მზე. ხილული მზე მისგან ღებულობს ნათელს, სინათლეს. ამ აზრით არის „სატრფიალონში" სატრფოზე ნათქვამი:

„მზესა მიაქვს შენგან სხივი, მეფეთ ზედა შენით ბედობს".
(22, 3)

ვარიანტები:

„მზე მოიღებს შენგან ნათელს, მეფეთ ზედან შენით ბედობს".
(S 4500, გვ. 270)

„მზისა ნათლის მიმცემელო, მეფეებსა შენით ბედობს“.
(S 171, გვ. 19)

იმავე სატროფოზე ნათქვამია:

„შავდების ლამე სიბნელედ, შენ ნათლად გამოგსახოსა“. (24, 3)

ვარიანტები:

„ლამე შავდების სიბნელით, შენ ნათლად გამოგსახოსა“.
(S 4500, გვ. 271)

„ღამისა შებნელებამა ნათელად გამოჳსახოსა“.
(S 171, გვ. 19)

ვფიქრობთ, ეს აზრი და სახე თავისუფლად შეიძლებოდა შთაეგონებინა პოეტისათვის სახარების იმ ეპიზოდს, სადაც აღწერილია ქრისტეს ჯვარცმა და ამაღლება: „და იყო ჟამი მეექუსე, და ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამამდე. და დაბნელდა მზე, და განიპო კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის შორის“ (ლუკა, 23. 44—45). „შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმაჲ მისი, და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან. და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ (მათე, 17. 1—2).

ნათლის სიმბოლიკა პირდაპირ ახალი აღთქმიდან არის გადმოღებული 106-ე სტროფში, რომელიც პავლე მოციქულს ეძღვნება:

„მის ნათლისა დანახვითა გული მისი გაუხურდა,
სამხრეთისა ბეებნისგან მას იმისთვის უფრო სწყურდა.
ტრფიალების შავარდენმა გული უპყრა, მას მოსურდა,
და შეეიდა და ნათელს-იღო, ანანიას მიაშურდა“.

„საქმე მოციქულთა“-ში პავლეს ანუ, როგორც მისი თავდაპირველი სახელი იყო, savლეს შესახებ მოთხრობილია: „და მი-ოდენ რაჲ-ვიდოდა იგი და მიეახლა დამასკესა, მეყსეულად იყო გარემოჲს მისსა ბრწყინვალებაჲ ნათლისაჲ ზეცით გარდამო. და იგი დაეცა ქუეყანასა ზედა და ესმა ჴმაჲ, რომელმან ჰრქუა მას: საულ, საულ, რაჲსა მდევნი მე? მან მიუგო და ჰრქუა: შენ ვინ ხარ, უფალო? ჰრქუა მას: მე ვარ იესო, რომელსა შენ მდევნი. ფიცხელ არს შენდა წიხნაჲ დეზისაჲ. ძრწოდა და განცჳფრდებოდა... აღდგა საულე ქუეყანით, თუალნი ეხილვნეს და ხედვიდა ვერარას. უპყრეს ჴელი მისთანათა მათ და შეიყვანეს დამასკოდ. და წარჴდეს სამნი დღენი, და არარას ხედვიდა და არცა ჭამა და არცა სუა. ხოლო იყო ვინმე მოწაფე

და?ასკეს შინა, სახელით ა ნ ა ნ ი ა. და ჰრქუა მას უფალმან ჩუენებით: ანანია! და მან ჰრქუა: აქა ვარ, უფალო. ჰრქუა მას უფალმან: აღდეგ შენ ადრე და მივედ უბანსა მას, რომელსა ჰრქჳან მართალი, და მოიძიე ტაძართა მათ იუდაჲსთა სავლე სახელით, ტარსელი, რამეთუ აჰა ევერა ილოცავს მუნ. და იხილა მან ჩუენებით კაცი სახელით ანანია, რომელი შევიდა და დაასხნა ჴელნი მასზედა, რაჲთა აღიხილნეს... აღდგა ანანია და წარვიდა და შევიდა ტაძართა მათ და დაასხნა მის ზედა ჴელნი მისნი და ჰრქუა: საულ ძმაო, უფალმან მომავლინა მე, იესო, რომელი ეჩუენა შენ გზასა მას, რომელსა მოჰვალოდე, რაჲთა აღიხილნე თუალნი შენნი და აღივსო სულითა წმიდითა. და მყის გარდამოვარდეს თუალთაგან მისთა ვითარცა ნაქერცენნი და მეყსეულად აღიხილნა და აღდგა და ნ ა თ ე ლ-ი ღ ო" (9. 3—18).

მეორე შემთხვევაში თვით პავლე ყვება: „შუა დღე გზასა ზედა ვიხილე, მეფეო, ზეცით გარდამო უ ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ს ი მ ზ ი ს ა ჲ, გ ა მ ო მ ი ბ რ წ ყ ი ნ ა მ ე ნ ა თ ე ლ ი და ჩემ თანა მოგზაურთა მათ" (26. 13). ზეციდან ესმის ხმა: „განრინებად შენდა ერისაგან და ნათესავთაგან, რომელთა მე მიგავლინო შენ, ახილვად თუალთა მათთა და მოქცევად ბ ნ ე ლ ი ს ა გ ა ნ ნ ა თ ლ ა დ და ხელმწიფებისაგან ეშმაკისა ღმრთისა მიმართ მიღებად მათდა მიტევებაჲ ცოდვათაჲ..." (26. 17—18).

ამრიგად, დოკუმენტურად მტკიცდება, რომ ნათლის სიმბოლიკა „სატრფიალონში", რომლითაც გამოხატულია სატრფო, ღმერთი, ქრისტე (შესაძლებელია სასუფეველიც), წმინდა ქრისტიანულია.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „სატრფიალონში" გალექსილია ქრისტიანული დოგმები: „ათი მცნება", „შვიდი საიდუმლო", „სასიკვდინენი", „ცხრა ნეტარება", მაგრამ ეს ფაქტი სათანადოდ არ არის გამოყენებული თხზულებაში დახატული სიყვარულის რაობის განსაზღვრისათვის. სინამდვილეში ყოველივე ეს ქრისტიანული მოძღვრების სხვადასხვა ასპექტია, რომლებიც ადამიანის სამუდამო ცხოვრების მოპოვების, ღმერთთან ამაღლების იდეას უკავშირდება და ემსახურება. აი, როგორ არის ნაწარმოებში „ათი მცნება", რომლის ბოლო ორი მცნება მოყვასისადმი ერთგულებას ქადაგებს:

„ცხოველი რასაც მოქმედობს, მოელის მოსავარგოსა,
მოქმედს ჩვენ გამო რა ერგოს, ქმნულისგან დაენერგოსა?
გ ი ყ ვ ა რ დ ე ს. მ ი ს ა ს ა ხ ე ლ ზ ე უქმად ნუ შესძრავ ბაგოსა,
და არ გეჯობინოს პირუტყვი საქმესა დასადაგოსა! (45)

მიწაც იხარებს უსულო, რა დღე მოუვა ზმნისანი,
მფშოვენობით ყვავის, მწვანობით, რა სითბო ნახოს მზისანი;
შენცა იხარე მეტყველმა დღესასწაული ღვთისანი,
და ყვავილის მსგავსად აჩვენე ღვაწობა კეთილისანი! (46)

ჭია რა ბოჯსა შემწადებს, მოიცავს მის[ს]ა გარებსა,
ქარი არ ეცეს, საწყენი არ მიხედეს განამწარებსა,
თუ ის მოქმედზე ავას იქმს, რა ეხედაეთ შეუგვარებსა,
და მისთა მშობელთა პატივის-ცემას რად დაიზარებსა?! (47)

ბრძენი მხეცისებრ რადა ხარ მესისხლე, კაცის მკვლელია,
მამლურად მრუში მუდამად სხვისა სხვაზედა მელელია,
თაგვებრ მპარაობ, დასძერები, სადა გზა გაუვლელია?
და ცილსა ნურავის დასწამებ, კაცობაშია ძნელია! (48)

გული ნუ გითქვამს ირმულად საამოდ ცოლსა სხვისასა,
ნუ მონაცებსა ჯიხვისებრ მოყვასთა სანახვისასა!
სხვასაცა გამცნობ ახალსა თავისა შენახვისასა:
და სასძლოს ტრფიალი არ დასცდე გზასა მას დანახვისასა!" (49)

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ახალ აღთქმაში „ათი მცნება" სწორედ სიყვარულთან კავშირშია მოცემული: „ნურარაჲმცა ვისი თანა გიც, გარნა ურთიერთას სიყუარული. რამეთუ რომელსა უყუარდეს მოყუასი თჳსი, მან სჯული აღასრულა. ვითარმედ: არა იმრუშო, არა კაცჰკლა, არა იპარო, არა გული გითქუმიდეს, და სხუაჲ თუ რაჲმე მცნებაჲ არს, ამითვე სიტყჳთა აღესრულების, ვითარმედ: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი. სიყუარულმან მოყუასსა თჳსსა ბოროტი არა უყვის; აღმასრულებელი სჯულისაჲ სიყუარული არს" (რომაელთა მიმართ, 13. 8—10).

ქრისტიანული სჯულის აღსრულება, „ათი მცნება", სიყვარული ასევე ერთიანობაშია წარმოდგენილი იაკობის ეპისტოლეში: „უკუეთუ სჯულსა აღასრულებთ სამეუფოსა, მსგავსად წერილისა: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი შენი, კეთილად ჰყოფთ. ხოლო უკუეთუ თუალ-ღებით, ცოდვასა იქმთ და იმხილებით სჯულისაგან, ვითარცა გარდამავალი სჯულისანი. რამეთუ რომელმან ყოველი სჯული დაიმარხოს და სცთეს ერთითა, იქმნა იგი ყოვლისავე თანამდებ, რამეთუ რომელმან-იგი თქუა: ნუ იმრუშებ, მანვე თქუა: ნუ კაც-ჰკლავ, ხოლო უკუეთუ იმრუშო არა და კაც-ჰკლა, იქმენ გარდამავალ სჯულისა" (2. 8—11).

ჩვეულებრივი ამბავია, რომ სულხან-საბა ორბელიანი წერს თეოლოგიურ ნაშრომს „საქრისტიანო მოძღვრება პირველად სასწავლო ყრმათათვის, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი"[218], რომელშიც სხვებთან ერთად განხილულია სწორედ ის საკითხები, რომლებსაც

[218] თხზულებანი, III, გვ. 225; „ათი მცნების" შესახებ, გვ. 239—241.

ცალკე თავებად ლექსავს ვახტანგი: „ათი მცნება“, „შვიდი საიდუმლო“ და სხვა.

აი, როგორ არის „შვიდი საიდუმლო“ წარმოდგენილი სულხან-საბასთან და ვახტანგთან: „რომელნი არიან შვიდნი საიდუმლონი? — წერს სულხან-საბა, — პირველი — ნათლის ღება, მეორე — ქრისტვნა, რომელ არს მირონის ცხება, მესამე — აღსარება, მეოთხე — ზიარება, მეხუთე — სნეულსა ზედა ზეთის კურთხევა, მეექვსე — მღვდლის კურთხევა, მეშვიდე — გვირგვინის კურთხევა მეუღლეთა“ (გვ. 272).

„სატრფიალონი“:

„რაცა იშეების შობილი, მშობელსა შეემსგაესებით,
უმართებს იშვნენ სულისგან სულითა მოისაესებით,
დაიბეჭდენით ბეჭდითა, გიცნან ვისი ხარ დასებით,
და ველარ გიპოოს მპარაემან მოცული ზეშთა ზესებით! (50)

ვინ ზიარდების ზიარსა, საქმეა განაერთია,
ზიარებისა მიღებით კაცი შეიქენ ღმერთია,
მღვდელს აღუარე ნაქნარი, სწაელანი შეიერთია,
და მორჩილებითა მოარე, ნაბურდით გამოერთია! (51)

წყლისგან მიეცეს ფერები, ნაყოფნი იქნას მთელია,
ზეთის კურთხევა აგრევე ავისა დამანელია;
წერომაც იცის წინმძღოლი, რომ უსხენ გზანი გძელია;
და მღვდლის კურთხევისა პატივმან გაგიადვილოს ძნელია! (52)

ყოელმან იცის მისი ჯუფთი, რომ მოშენდეს გვარის-გვარად,
ჩვენცა გვმართებს ვიყოლებდეთ, სოფელს ვიყოთ მრავალ ჯარად,
არ პირუტყვებრ უქორწინო, კაცთა წესთა დასაზარად,
და მღვდლის კურთხევის შენდობითა შეეიერთნეთ გასახარად!“ (53)

შომაკვდინებელ ცოდვათა შესახებ, რომელსაც ვახტანგი „სასიკვდინენს“ უწოდებს, სულხან-საბა ორბელიანი წერს: „რაოდენი არიან თავნი ცოდვანი, რომელთა იგი ეწოდების მომაკვდინებელი? — შვიდნი. რომელნი? — ამპარტავნება, არაწმიდება, ნაყროვანება, მცონარება, მრისხანება, შური, ანგარება“ (გვ. 317).

„სატრფიალონში“ გვაქვს:

„შვიდნი მოგითხარ სჯულისგან საიდუმლოსა რიგები,
მან მოგცეს გზანი, კეთილნი, ვის სიბრძნის სახლად იგები!
აწ შვიდთა გეტყვი ცოდვათა, სწაელა სწაელასა მიგები,
და საზარო მომაკვდინენი, მის გამო ლახვარ იგები. (54)

ფარშამანგი ბოლოს გაშლის, გაიფურჩენის, გადიდდების,
ეგონების, ჩემგან კიდე ქვეყნად ვინღა იდიდების!
კატას თეალსა გარდააელებს, მოდრკების და შეშინდების.
და ამპარტავნად ნასაქმარი ამის მსგავსად არ იქების! (55)

ციცინათელა მაღლოინ უნდო შუქისა კრთომითა
არვის იდარებს მის ტოლად, მის გულში მისაზომითა;
ფრინველნი დახედენ საწყალსა, ვერ გაუსწოროს ომითა,
და აგრევე მოგვიეა ჩვენ, კაცთა, ამპარტავნობის ნდომითა! (56)

არა წმიდება ძაღლსა გავს, ნაყროვანება ღორისა,
ვასინჯე მათი საქმენი, ვინმე რად მოიხმარისა!
შემცონარება მატლთავებ ცოტას მწეირესა არისა,
და უჟამოდ მრისხანებანი ყაპუზინათ ა გვარისა. (57)

მეშურნე ბუზსა მიაგავს ყინეისგან ღონე-კლებითა,
ანუ შიმშილით მომყმარსა, მიეარდნით, მირულებითა,
სახლსა გაუთბობ, შაქარსა რა უზამ მიახლებითა, —
და მაშინ დაგასხამს ისარსა სამწაროდ დაწყლულებითა. (58)

ანთრისთვის კაკალს გახვრეტენ, ხელ-შეჰყოფს, ნახა ზე სადა,
არ დასჯერდება ცოტასა, მჯილესა ალიესებს ძე სადა,
ველარ დააძრობს, ამრიგად მტრისაგან გახდეს კენესადა;
და ანგარსა ბევრჯერ მოუეა ეს საქმე ამა წესადა!" (59)

ასევე, ზუსტად ქრისტიანულ შეხედულებას ემთხვევა „სატრფიალონის" „ნეტარება". სულხან-საბა ორბელიანი: „რაოდენი არიან ნეტარებანი სახარებისანი, ანუ თარგმანნი მათნი? ცხრანი. რომელი?" და მოყვანილია შესაბამისი ამონაწერები სახარებიდან და მოცემულია მათი თარგმანება (გვ. 512—516). დავიმოწმებთ მხოლოდ სახარების ტექსტს: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ. ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ. ნეტარ იყვნენ მშვდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანაჲ. ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძღენ. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ. ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ. ნეტარ იყვნენ მშვიდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ. ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ. ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყვაჲ ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუვით ჩემთვის" (მათე, 5. 3—9).

„სატრფიალონი":

„ცხრას ნეტარებას მოვილებ, მაღლის საქმესა დიდებით,
სასძლოს ხილვისა ტრფიალმან ქმნას ესე მონაზიდებით!

მისნი მოქმედნი ამაღლდენ სოფლისკან განაკიდებით,
და ვაცუდდეს ეშმა მოყვსითა ანკელოზთ მონაზიდებით! (60)

ვნატრი გლახაკთა სულითა, მემკლოვარესა გულითა,
მშვიდსა, მშიერსა, მწყურვალსა სიმართლის ვანაკულითა,
მოწყალეს, წმიდას გულითა, მშვიდობის მყოფთა სულითა,
და დევნულსა სიმართლისათვის, ყვედრებით გულსა წყლულითა". (61)

მაშასადამე. „სატრფიალონის" „ათი მცნება", „შვიდი საიდუმლო", „სასიკვდინენი", „ცხრა ნეტარება" თავისთავად წმინდა ქრისტიანული სწავლანია და იმავე რელიგიური შინაარსითა და მიზანდასახულობით არიან ისინი თხზულებაში მოყვანილი.

ნაწარმოებში პირდაპირ არის დასახელებული ქრისტე და სამება, როგორც „ცოდვის სიცხით მაშვრალთა" მკურნალი და იმედი:

„ხეო უფოთლოვ, მოისხი შენ ფოთლად ქრისტეს წამება,
მათ, ცოდვის სიცხით მაშვრალთა იმ ჩრდილით მიეც ამება!
მკურნალად ხილად — სამსჭვალი, მიხარის, ჰტერი დამება;
და პირველისებრივ დასთრგუნე, რომე მწამს წმიდა სამება!" (103)

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და მოკლედ აღვნიშნავთ, რომ თხზულებაში თითო და ორ-ორი სტროფი მიძღვნილია ქრისტეს მოციქულებისადმი — პეტრეს (დაუსახელებლად, სტროფი 105), პავლეს (106—107), ანდრიას (109—110), იოვანეს (111), ფილიპეს (112), ბართლომეს (113), თომას (114), მათეს (115), იაკობისა და ალფესის (116), ლებეოზ-თადეოზის (117), სვიმონ კანანელის (118—119), უფლის ძმისადმი (120), გამოთქმულია თხოვნა და მუდარა, ექმნან სალბუნად, იხსნან განსაცდელისაგან და ა. შ.

ყოველივე ამას ორგანული კავშირი აქვს საღვთო მიჯნურობასთან: ერთიც და მეორეც სხვადასხვა ფორმით გამოხატავს ერთსა და იმავე, საუკუნო ცხოვრების მოპოვების, ქრისტიანულ-თეოლოგიურ იდეას[219].

„სატრფიალონში" არის ვარდისა და ბულბულის მიჯნურობის მოტივი, რომელმაც შეიძლება აღმოსავლური პოეზია მოგვაგონოს:

„მე იგ ვარდი ვარ, რომელსა აქვს მრავლად ეკალ-ხშირობა,
ბულბულსა, ჩემთვის მიჯნურსა, ჯამს ჰქონდეს მისთვის ჭირობა..."
(S 4500, გვ. 269)

---

219 სხვათა შორის, ეს ესქატოლოგიური იდეა აღნიშნულია ვახტანგის ერთ ორიგინალურ სტროფში, რომელიც „სიბრძნე მალაღობელშია" მოთავსებული:

„აბრამ და ყოვლნი წმიდანი სიმართლით სამკობელია,
ამით ზეცამდე ამაღლდენ, რაზომ კაცთაგან ძნელია" (770. 1—2)

„ბ უ ლ ბ უ ლ ს ვ ა რ დ ი შ ე ე წ ა მ ა, თუარ შენ გაქებს ენა-მრავლად,
ცის ფრინველნი ჭიკჭიკობენ დღე და ღამე არა მალვად..." (23)

მაგრამ არც ეს არის აღმოსავლური პოეზიის გამოძახილი. იგი ისევე უნდა შეფასდეს, როგორც კ. კეკელიძე ანალოგიურ მოტივს აფასებს დ. გურამიშვილის პოეზიაში: „როდესაც ჩვენ დავით გურამიშვილის რელიგიურ ალეგორიაზე ან «საღვთო მიჯნურობაზე» ვლაპარაკობთ, — წერს მკვლევარი, — განსაკუთრებით ყურადღება უნდა მივაქციოთ მის სამ «სიმღერას»: ესენია «ზუბოვკა» (გვ. 144—145), «საყვარელმან სიტყვა ავი მითხრა» (გვ. 146—147) და «ვსთქვით, რაც ვარდმან თავის თავზედ ქნა საქმე ავი» (გვ. 154). პირველში ქალი ეუბნება ტრფიალ ვაჟს: «ბულბულთ ნაცვლად ვარდ-კოკობმან რად დაგისვა ყვავი?». მეორეში: «მე ვარდი ვარ, ბულბულთ მრთავი, ყვავს რად მოგცე თავი?». მესამეში: «ვარდმან შეიძულა ბულბული, იყვარა ყვავი; ბულბულმან სცნა, ბაღს შემოსწყრა, ასკილზედა დაიბუდა, განაგდო ვარდი«. ოდესღაც ჩვენში ფიქრობდნენ, რომ ამ «სიმღერებში» ჩვენ გვაქვს სპარსული «ვარდ-ბულბულიანის» მოტივი, რომელიც ჩვენს პოეზიაშიც იყო ცნობილი. ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ა ქ ლ ა პ ა რ ა კ ი ა ა ლ ე გ ო რ ი უ ლ «ს ა ღ ვ თ ო მ ი ჯ ნ უ რ ო ბ ა ზ ე». მიჯნურების, ქალის და კაცის, სახელებად აღებულია ვარდი და ბულბული. პირველ «სიმღერაში» ასეთი აზრია გატარებული: ცოდვილ კაცს, თუ კი ის გულწრფელად მოინანიებს თავის შეცოდებას, ღმერთი არ ჯანაგდებს და არ უგულებელყოფს საბოლოოდ, არამედ შეიწყნარებს და შეიყვარებს მას. მეორეში: ცოდვილ კაცს, რომელიც არ ასრულებს ღვთის ნებასა და სურვილს, ღმერთი განაგდებს თავისაგან. მესამეში: ღვთის მიერ გამორჩეული ებრაელი ხალხი განუდგა ღმერთს და ცოდვილი ცხოვრების გზას დაადგა, ამიტომ ღმერთმა ხელი აიღო იმაზე და მის მაგიერ შეითვისა ასკილი — წარმართები, რომელთაც მიიღეს ებრაელთა მიერ უარყოფილი ქრისტე"[220].

„სატრფიალონის" დამოწმებულ სტროფებში ასახული ვარდისა და ბულბულის მიჯნურობაც რომ სასუფევლის მოპოვების იდეის გამომხატველია, ამას ადასტურებს მომდევნო სტრიქონები: ღმერთამდე ამაღლებისათვის, „ხლებისათვის" საჭიროა ყოველივე ამქვეყნიურის დათმობა:

„დასთმოს ყოველი სოფელი, შვებისა ვანაპირობა,
მაშინღა მიეხცე უ კ ვ დ ა ვ ი ხ ლ ე ბ ი ს ა არა ძვირობა".

მეორე რედაქციული ვარიანტი ზემოთ არის მოყვანილი. მესამე რედაქციაში კი გვაქვს:

---

[220] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები..., IV, გვ. 167.

„მაშინღა მ ი ე ხ ვ ე დ რ ე ბ ი ს უკედავი დაუძეირობა".

(S 171, გვ. 19)

მეორე მაგალითში ის „შენ“, რომელსაც ბულბულს შეწამებული ვარდი აქებს, თვალშეუდგამი, სხივის მფრქვეველი, ნათელი ღმერთია:

„უკრთებიან ს ხ ი ვ ს ა შ ე ნ ს ა, კაცთა თვალი განაკრძალად".

შესაბამისი პირველი და ბოლო ვარიანტები ზემოთ არის მითითებული.

„ვარდ-ბულბულიანის თემის“ ქრისტიანული ალეგორიული ხასიათი კიდევ უფრო უკეთ M 1-ის ზემოთ დამოწმებულ სტროფში ჩანს: „ვარდს ეტრფის მიწყივ ბულბული...“

ამ სტროფის შესახებ თ. ჴყონია წერს: „ვარდისა და ბულბულის მიჯნურობის მოტივი საკმაოდ არის ცნობილი აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში. ვ ა ხ ტ ა ნ გ ს ა რ მ ო უ ც ი ა მ ი ს ი ა ხ ლ ე ბ უ რ ი დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ა“[221].

ეს განზოგადებული დასკვნა „ვარდ-ბულბულიანის თემის“ გარეგნულ მსგავსებას ეყრდნობა და არ ითვალისწინებს მის შინაგან, მხატვრულ ფუნქციას. კერძოდ, ამ მხრივ ნიშანდობლივი განსხვავება აშკარაა თეიმურაზ პირველისა და ვახტანგის შემოქმედებას შორის. ჩანს, ამ სტროფშიაც ეს თემა ქრისტიანული თვალთახედვით არის დამუშავებული. ამას მოწმობს ბოლო სტრიქონი: „სახედ უქმნია მ ო ქ მ ე დ ს ა, ვიყოთ მის შესაფერები“. ზემოთ ვაჩვენეთ, „მოქმედი“ ქრისტიანული ღმერთია.

შეიძლებოდა კიდევ სხვა გამოთქმათა და სახეთა შესახებ მსჯელობა, როგორიცაა, მაგალითად, „მიახლება“ (29. 3), „ახლოს ხლება“ (32. 4), „შენს წინ მამყოფე“ (36. 2), „შეყრა“ (31.1), „ზეცას აღაფრენ სულებსა“ (44. 3), „სახმილთა გზება“ (3. 3), „სიბრძნის სახლი“ (54. 2), სულისა და ხორცის პაექრობა (63—65) და სხვა, მაგრამ, ვფიქრობთ, ნათქვამი სრულიად საკმარისია იმის დამადასტურებლად, რომ „სატრფიალონში“ დახატული სიყვარული თავისი არსითა და გამოსახვის ნიუანსებითაც წმინდა ქრისტიანულია, ქრისტიანულ-თეოლოგიურ, მათ შორის ძველ ქართულ, მწერლობაში საყოველთაოდ მიღებული და ფართოდ გავრცელებული[222].

---

[221] ლიტერატურული ძიებანი, VI, გვ. 289.

[222] დ. ბრეგაძე წერს: „თავის ლექსებში ვახტანგი მისაბაძი მიჯნურის ტიპს ხატავს, განსაზღვრავს როგორი უნდა იყოს გამიჯნურებული ადამიანი, როგორ უნდა იქცეოდეს იგი, რომ ეს ურთიერთმიმართული ტკბილი გრძნობა არ შებღალოს და არ შეურაცხყოს. ამ სამიჯნურო კოდექსის დამუშავებისას პოეტი ნაწილობრივ რუსთველსაც დასესხებია“. აქედან გამომდინარე, მკვლევარი ასკვნის: „ამის გათვალისწინების შემდეგ ჩვენ ვახტანგს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩავთვლით მ ხ ო ლ ო დ

გ. „სალბუნად გულისა“[223]

ამ ვრცელ ლირიკულ თხზულებაში, რომელშიაც გადმოცემულია სპარსეთში მყოფი, სამშობლოსა და თავისუფლებას მოწყვეტილი პოეტის ღრმა სულიერი განცდები, სიყვარულის თემას ეთმობა პირველი ნაწილი (სტრ. 6—29). შემდეგ გაცოცხლებულია და იდილიური ფერებით დახატულია ის ბედნიერი დღეები, ლხინი და განცხრომა, რომელიც ვახტანგს სამშობლოში ყოფნისას ჰქონდა (სტრ. 30—64). ამას მოსდევს გაჭირვების, სევდისა და მწუხარების აღწერა, რომელიც პოეტმა სამშობლოს მოშორებით, შინაურთა და გარეშეთა ავკაცობითა და დაუნდობელი მტრობით განიცადა. შესავალში, შიგადაშიგ, განსაკუთრებით ბოლო სტროფებში, საკმაო ადგილი უჭირავს სოფლის სამდურავს.

ისე როგორც „სატრფიალონში“, სატრფო აქაც ულამაზეს, თვალწარმტაც ქალად არის წარმოდგენილი: ნაირფერებით არის დახატული სახე, თმა, თვალ-წარბი, ბაგე-კბილი, ტანი:

„მას პირი უგავს ბროლსა და შიგ ლალი გამჭვირვალობსა,
ბაგე — ვარდისა ფურცელსა, კბილნი მარგალიტს ძალობსა,
ტანი — ალვასა მრხეველსა, მჭვრეტელნი მწვე საბრალობსა;
და მე გაუხდივარ ქარვად და ტან-ლერწამ რომ უწყალობსა“. (21)

„თვალი მიგიგავს ჯერანსა, წარბი — ზანგუბრელს, სულო, და,
შენმა ბაგისა ციმციმმა ფერი ყაყაჩოს სულ ოდა,
ალმასის პირის სადარით ხამს, მზისა სხიო, სულ ოდა,
და საბრალოს შენთა ტრფიალთა, სიცოცხლევ. გულის სუ ლოდა“. (22)

მისტიკური სიყვარულის მეხოტბედ. აქ ჭეშმარიტ მიჯნურობაზეა ლაპარაკი, ქალისა და ვაჟის სიყვარულია შექებული“ (ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში, თბ., 1974, გვ. 74).

ამგვარი მაცდური დასკვნის საბაბს იძლევა ის გარემოება, რომ საღვთო მიჯნურობის გამოსახატავად გამოყენებულია რეალური ცხოვრება, სიმბოლური სახეები იქიდანაა აღებული. სიმბოლურ ნაწარმოებებში ორპლანიანობა ყველგან უტყუარი ფაქტია, მაგრამ განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი მხარეა მთავარი და წარმმართველი. როგორც ვნახეთ, „სატრფიალონის“ დანიშნულება, მისი პათოსი არ არის რეალური სიყვარულის ასახვა. ნაწარმოები თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია სწორედ საღვთო სიყვარულის გამოხატვითა და ქადაგებით: ანალოგიური ვითარება გვაქვს ვახტანგის სხვა თხზულებებშიაც.

ასევე, არაზუსტია თ. ბეგიაშვილის განცხადება: „სატრფიალო ლექსებში მგოსანი (ვახტანგი — ბ. დ.) რომანტიკულ განწყობილებიდან, სევდიან კილოდან თავისუფლდება. ვახტანგი აქ ჩვეულებრივი რეალისტი პოეტია, რომლისთვისაც მიჯნურობა, სატრფოსადმი ტრფიალება აუცილებელი განცდაა ყველასათვის“ (მისი: ქართული სიტყვიერების ისტორია, III, გვ. 126).

[223] ადრე ეს თავი დაიბეჭდა კრებულში: ლიტერატურული ძიებანი, ტ. I (XVI), თბ., 1986, გვ. 235—251.

„ლაწვ-წითელი და თმა-გრუზი, კბილ-თეთრი, თვალი შავია,
შეიდთა მნათობთა ვარსკვლავთა არ ძალუცს მისი დავია,
სუფთა, წყნარი და სათუთი, კეკლუცთა მოსართავია,
და უკვდავებისა ბაგები ვარდ-შაქრით შენაზავია". (24)

დიდი პლასტიკურობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა სურათი, სადაც „წარბის დაძვრა" მღელვარე ყანასა და სათიბს არის შედარებული:

„მაისში კარგად მოსული ქარით ღელევდეს ყანაო,
წყლის პირსა მდგომსა სათიბსა ნიავი სძრევდეს ანაო,
მივიგავს დაძვრა წარბისა, ვით შექმნა აგრე მანაო;
და ხამს, რა ვერ გჭვრეტდეს მიჯნური, გულსა დაიცეს დანაო!" (19)

ვახტანგს თხზულების შემდგომი დამუშავებისას დაუმატებია სტროფები, რომლებშიაც კვლავაც და კვლავაც სატრფოს მშვენიერება აღწერილი:

„შავსა მელნისა ტბაზედა ინდონი დარაზმებული,
ორსა სისხლისა გუბესა შიგ ბროლი დასვეტებული
ზედა დრენგილის ფიცარსა ყორანი დაბუდებული,
და ქვე ორი ლალი უგდია ალმასი შამოვლებული".
(S 171, გვ. 3)

„ინდოს ხალი უძვირეა, ბადახშანსა ლალებია,
დაისართებს ზანგუბარსა დანათხზული თმანებია,
ფეჯუს მიესცემ იაგუნდში, დასაეაჭროდ ეინებია,
და საპოვნელად დარაბათსა ალმას დაეეტანებია".
(S 171, გვ. 3—4)

სატრფო იმდენად მშვენიერი და მომხიბვლელია, მისი საკადრისი ქების თქმა არათუ ძნელ, შეუძლებელ საქმედ არის მიჩნეული. ამისათვის საკმარისი არ არის არც მისი, ავტორის, და არც განთქმულ ფილოსოფოსთა და მჭევრმეტყველთა სიბრძნე:

„სულად სიბრძნისა საუნჯის კარი, რაც მქონდეს, დამეცლოს,
ან მაგალითი პლატონის, ან პითაღორის დამეღოს,
ვჯდე გულის მზრახად სამუდმოდ, თავი ქვე სადმე დამეღოს,
და საკადრად შენსა ქებასა ვერ ვიტყვი, სულიც დამეღოს!" (20)

კიდევ უფრო გაზვიადებულ სურათს ქმნის პოეტი მეორე რედაქციაში დამატებულ სტროფში, სადაც ცის სამყარო მთელი არსებებით სატრფოს დიდებისაკენ არის მიპყრობილი:

„ზოჰალი გაფიქრებულა, მუშთარი სიბრძნეს მცრალობსა,
მარიხი სისხლსა აპირებს, მზე გიბედს, შუქსა მწყრალობსა,
ზორა კრავს სამკობარებსა, ოთერიდ ლექსსა მრაელობსა,
და მთვარე საქებრად მორბედობს, შურითა მოიმცხრალობსა".
(S 171, გვ. 4)

თხზულების ლირიკული გმირი უსაზღვრო სიყვარულით არის გამსჭვალული სატრფოსადმი, მომნუსხველი, შემბოჭავი და დამპყრობი სამიჯნურო გრძნობით ავსებს და იზიდავს მას მისი მშვენება, თითოეული მისი ნაკვთი:

„კეკლუცთ ზედა ხარ ხელმწიფე, ტრფიალთ ცეცხლს უდებ მალამით,
მანდით ნასროლმა ისარმა გული გამიპო მალ ამით,
სხვას ვისმცა ეძლოს კურნება, ცუდად შერებიან მალამით,
და მიჯნურნო, მოდით, მიტირეთ, ცრემლი მაეასხეთ მალამით!“ (7)

„გიშრისა მშვილდმა, მელნის ტბამ, გლახ, გული წყლული მიწამა,
ბროლმა და ლალმა გარეეით ლამის დღეთ სიგძე მიწამა,
ცრემლი მდის მიწყივ თვალთაგან, ვეჭვ, გულმა შენმცა მიწამა,
და რად არ გეწყალვის მიჯნური, შემჭამოს უდროდ მიწამა?!“ (8)

აქაც სიყვარულს უიმედობის ნიადაგზე დიდი გასაჭირი, სევდა და მწუხარება ახლავს: უნუგეშო მიჯნური სიკვდილის პირამდე არის მისული:

„ენახათ მისი სიტურფე, გული სხვარიგად ქცეოდა,
ეტყოდა თავსა: არ ვიცით, აწ რა ნუგეში ქცეო და,
ხამს, ამ ჭირისთვის თუ გვეძლოს, შეგიპყრათ სეეო, ქცეო, და!
და მართ მისწუროდათ მათ სული, გასცლოდა, გა-ცა-ქცეოდა“. (23)

შემდგომ დამატებულ სტროფებშიაც გამახვილებულია ყურადღება სასიყვარულო განცდათა სიმძაფრეზე:

„ქამანდებსა შეუკრავარ, ტბა მელნისა — დასანთქმელად,
შავი მშვილდი მოზიდული გამომესვრის დაუდგმელად,
ალმასი და იაგუნდი, მარგალიტი სისხლთა მსმელად,
და ბროლი-სეეტი მიმიზიდავს საჭიროსა შესასმელად“.
(S 171, გვ. 4)

სატრფო ამაყი, მკაცრი და მიუკარებელია:

„სათის მორევისა გარემო გიშრის ლერწმისა მოლამან,
ზანგუზარისა ლაშკარმა ზე მოდგმით დაუწოლამან,
არ მიმიკარა სიახლედ გაფიცხებულმა ბძოლამან,
და გული გამიპო უწყალოდ შავმა ისრისა სროლამან“.
(S 171, გვ. 4)

ამრიგად, ერთი შეხედვით, „სალბუნად გულისა“-ში გაზვიადებულად, ჰიპერბოლური ხერხებით, მაგრამ რეალური ფერებით, ცხოვრებისეული სიმართლით დახატულია მგზნებარე სიყვარული და ტრფიალი ლამაზი ქალისადმი.

სინამდვილეში როგორ უნდა გავიგოთ ეს სიყვარული და ტრფობა?

მსგავსად „სატრფიალონისა", „სალბუნად გულისა"-ც ბევრჯერ არის განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში. ერთხმად არის აღიარებული, რომ მასში წარმოდგენილი სიყვარულიც ალეგორიული შინაარსისა, ოღონდ, პირველისაგან განსხვავებით, სადაც აშკარად გამოკვეთილი მისტიკური სიყვარული არის, მიჩნეულია, რომ იგი სხვას, — სამშობლოს სიყვარულს გამოხატავს, როგორც ეს გვხვდება XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში.

ეს მოსაზრებაც პირველად კ. კეკელიძემ წამოაყენა. მკვლევარს ამგვარი დასკვნის საფუძველს აძლევს ის ფაქტი, რომ თხზულებაში დიდი სიყვარულით, ნატვრითა და გატაცებით აღწერილი და შექებულია ქართლი, ის ადგილები, სადაც პოეტი ადრე შვებითა და ბედნიერად ცხოვრობდა. „პოეტი შენიშნავს, — წერს კ. კეკელიძე, — რომ მან მიატოვა ყველაფერი, რაც მისთვის ძვირფასი იყო და გვისურათებს სულის ობლობას, რომელსაც განიცდის ის. მერე აგვიწერს კეკლუცთა ხელმწიფის მშვენიერებას, მის თვალწარმტაც სილამაზეს და იმ გრძნობებს, რომელთაც იწვევს მოტრფიალეთა გულში მისი ჭვრეტა. ეს «კეკლუცი» არის მისი სამშობლო, ქართლი, თუმცა პირდაპირ ის ამას არ ამბობს. მერმე კონკრეტულად ახასიათებს ქართლის სხვადასხვა კუთხეს, მათ თვისებებს, და მოიგონებს, როგორ ატარებდა ის დროს ამ კუთხეებში"[224].

ეს მოსაზრება კ. კეკელიძეს გამეორებული აქვს სხვაგანაც, ოღონდ უფრო ვარაუდის სახით. აღნიშნავს რა იმ ფაქტს, რომ დავით გურამიშვილს და „დავითის წინამორბედებს და თანამედროვეებს, რომელთაც მის შემოქმედებაზე დიდი გავლენა ჰქონდათ (არჩილი, ვახტანგი, მამუკა ბარათაშვილი), პატრიოტული ალეგორია არა აქვთ", მკვლევარი შენიშნავს: „ამათგან გამონაკლისს წარმოადგენს ვახტანგ მეექვსე: მას აქვს ერთი ლექსი — „სალბუნად გულისა", რომლის 6—25 სტროფი... პატრიოტულ ალეგორიას უნდა შეიცავდეს"[225].

კ. კეკელიძის თვალსაზრისი გაიზიარა ალ. ბარამიძემ, რომელმაც პარალელი გაავლო აკაკი წერეთლის პოეზიასთან, სადაც სატრფო პირდაპირ, გაშიფრულად სამშობლოს ალეგორიულ სახეს ქმნის. მკვლევარი წერს: „სამშობლო მხარე ვახტანგს აგონებს წარმტაც გულისსწორ სატრფოს (ამ ალეგორიით ვახტანგი აკაკის წინამორბედია). მხურვალე გრძნობით ეტრფიალება პატიმარი პოეტი-მეფე ამ თავის სათაყვანებელ შორეულ წადილს, მაგრამ, — ვაგლახ, — ალერსიანი პასუხის ნაცვლად შხამიან ისარს

[224] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1924, გვ. 423—426, ბოლო გამოცემა, გვ. 594—595.

[225] კ. კეკელიძე, ეტიუდები..., IV, გვ. 166.

ღებულობს გულის სალახვროდ... პოეტის სპეტაკი, სანდომიანი ს ა ტ რ ფ ო ხ ე ლ თ ჩ ა უ გ დ ი ა თ მ ე დ რ ო ვ ე ე ბ ს, მოშურნეთ, შინაგამცემლებს...“[226]

ავტორის ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომში ვკითხულობთ: „ვახტანგი პირველი პოეტი იყო საქართველოში, ვინც გამახელებელ გ უ ლ ი ს წ ო რ-ს ა ტ რ ფ ო დ დასახა მისი სამშობლო...“[227]

ამ შეხედულებას ავითარებს და ფართოდ განიხილავს ლ. მენაბდე. მიმოიხილავს რა საქართველოს მძიმე მდგომარეობას და სამშობლოს მოშორებული პოეტის მძაფრ სულიერ განწყობილებას, მკვლევარი წერს: „შექმნილმა ვითარებამ, — სამშობლოს დატოვებამ, ტახტის დათმობამ, პოლიტიკურმა მარცხმა, — შეაშფოთა და შეაძრწუნა იგი (ვახტანგი. — ბ. დ.). უმწეო მდგომარეობაში მყოფმა თ ა ვ ი ს ი ს ა მ-შ ო ბ ლ ო ძ ვ ი რ ფ ა ს ი ს ა ტ რ ფ ო ს ა დ ა ს ა თ ა ყ ვ ა ნ ე-ბ ე ლ ი ა რ ს ე ბ ი ს ს ა ხ ი თ წ ა რ მ ო ი დ გ ი ნ ა. ვახტანგი ერთ-ერთი პირველი ქართველი პოეტია ამ მხრივ. ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ს ი-ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა ლ ე გ ო რ ი უ ლ ფ ო რ მ ე ბ შ ი წ ა რ მ ო დ გ ე-ნ ი თ, ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ს ა ტ რ ფ ო დ გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ი თ ის შორეული წინაპარია ალ. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანისა და ა. წერეთლისა. ვახტანგს აღელვებდა ის სავალალო გარემოება, რომ მ ი ს ი ს ა-ტ რ ფ ო — ს ა მ შ ო ბ ლ ო ქვეყნის გამყიდველთა და ხალხის მოღალატეთა ხელში იტანჯებოდა, სინდისშებღალული და დამცირებული, შერცხვენილი და დაჩოქებული იყო. არსებული მდგომარეობის სირთულის შეგრძნებას ამძაფრებდა საკუთარი უძლურებისა და უმწეობის შეგნებაც. სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარულ პოეტს გულს უკლავდა ის გარემოება, რომ ტანჯული ქვეყნისათვის დახმარების აღმოჩენა არ ძალუძდა და მისი გადარჩენა არ შეეძლო. ამით აღშფოთებული ვახტანგი კიდევ უფრო ხშირად წერდა თავის ს ა ტ რ ფ ო ზ ე — ს ა მ-შ ო ბ ლ ო ზ ე და ქებათა ქებას ასხამდა მას. მართალია, ერთგან იგი მორიდებით შენიშნავდა: «საკადრად შენს ქებას ვერ ვიტყვიო», მაგრამ საკმაოდ მაღალმხატვრულად წარმოგვიდგენდა მას. განსაკუთრებით საყურადღებოა ვახტანგის მიერ მოხდენილი პოეტური ფრაზებით მოცემული პორტრეტული დახასიათება სატრფოსი“. დამოწმებულია ორი სტროფი: „მას პირი უგავს ბროლსა და...“ (21) და „ღაწვ-წითელი და თმა-გრუზი...“ (24), რომლებიც ჩვენ ზემოთ უკვე მოვიყვანეთ.

„დამოწმებული პოეტური სტრიქონების გაცნობისას — გრძელდება მსჯელობა, — ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვახტანგს რეალური არსება, მშვენიერი გარეგნობის ქალი ჰყავდა მხედველობაში,

---

[226] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები..., II, გვ. 445.

[227] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები..., VII, გვ. 184.

მაგრამ მომდევნო სტროფში ყველაფერი ნათელი ხდება, ჩნდება ნამდვილი სატრფო — ქართლი". საილუსტრაციოდ დამოწმებულია 26-ე სტროფი: „რა მზე გარდაჯდეს ვერძზედა..."

„ცხადია, — დაასკვნის ავტორი, — ვახტანგის სატრფო არის არა ამქვეყნიური ცოცხალი არსება, კონკრეტული ლამაზი ქალი, არამედ — მშობლიური მამული, მრავალტანჯული ქართლი"[228].

აღნიშნული თვალსაზრისი გატარებულია „ქართული ლიტერატურის ისტორიის" ექვსტომეულის მეორე ტომში. „პოეტის მიერ აღწერილი «კეკლუცი» — იკითხება აქ, — არის მისი ქვეყანა, ქართლი, თუმცა ამის შესახებ პირდაპირი მინიშნება ლექსში არ გვხვდება" (გვ. 510). მეორე ადგილას: „სამშობლოდან გადახვეწის გამო ვახტანგი დიდ სულიერ დეპრესიას განიცდის. მას თავისი ქვეყანა ალეგორიულად წარმოდგენილი ჰყავს სატრფოს სახით, რომელსაც დაეპატრონენ მზაკვრები და მოღალატენი" (გვ. 511).

ამასვე იმეორებენ სხვებიც[229]. ეს შეხედულება, ჩვენი აზრით, საცილობელია.

ავტორის განზრახვა, რომ სიყვარული ალეგორიული ფორმით წარმოგვიდგინოს, ეს თვით თხზულებაშია მითითებული. პოეტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სატრფოს გამოსახვისათვის იგი ეძებს შესაფერის იგავურ სახეებს:

„რა მოვიღო, ეს არ ვიცი, შენთვის მსგავსი იგავები,
ვაგიძეია, დიაღ, მიღმარ სივონჯე და იგ ავები,
ტრფიალთ შენთა სალაღობოდ იწმინდები, იგავები,
და ჭირსა ძნელსა გაუხსნელსა ამ საქმითა იგ აეები". (12)

---

[228] ლ. მენაბდე. ვახტანგ მეექვსე, გვ. 108—109; მისივე, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, გვ. 10, 27, 206; მისივე, ქართველი კლასიკოსი, გაზ. „თბილისი", 1975, 30 დეკემბერი.

[229] დ. გამეზარდაშვილი, ა. ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, თბ., 1947, გვ. 52; დ. ბრეგაძე, ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში, გვ. 71; ბ. კილანავა, „სიტყვითა ბრწყინვალე და საქმითა წმიდა", გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 30 დეკემბერი, 1975; ბ. ქიქოძე, ვახტანგ მეექვსის ცხოვრება და მოღვაწეობა, დასახელებული გამოცემა, გვ. 300; დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, გვ. 51; რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 249.

ანალოგიური აზრი გამოთქმულია „რანი და მოვაკანის" შესახებ. დ. ნაცვლაძე წერს: „მძიმე სულიერი ტრაგედიის ვითარებაში პოეტს გულწარმტაც სატრფოდ ეხატებოდა მშობლიური მხარე, რომლებსაც მტრები, გამცემლები და მედროვეები მიწასთან ასწორებდნენ. ყოველივე ეს შესანიშნავად გამოხატა ლექსში: «რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი და»" (ჟურ. „ჭოროხი", 1975, № 5, გვ. 77). თქმა არ უნდა, აქ სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე.

ბოლო რედაქციაში პირველი სტრიქონი ასე იკითხება:

„რა მოვიღო შესაფერად დასამსგავსი ი გ ა ვ ე ბ ი".

(S 171, გვ. 2)

სიყვარულის წარმოსახვის შესახებ თავის მიზანდასახულობაზე პოეტი სხვაგანაც მსჯელობს:

„მომინდა საწყალთ ტრფიალთა ცეცხლი მოუდვა, ალები,
ვადინო დაუწყვეტელად თვალთა ცრემლისა წყლები,
საყვარელისა შორ-ყოფნით გავხადო შესაწყალები;
და სოფლის მიმყოლთა ყოველთა სცნან, როგორა სჭირს ძალები!" (6)

მაგრამ არც აქ და არც სხვაგან, არსად არ არის მითითება, ვის ეხება სიყვარული, ვინ არის ტრფობის ობიექტი.

სიყვარულის მომდევნო ეპიზოდებში, სადაც აღწერილია ქართლი, ლხინი და შემდეგ სამშობლოს მოშორებული პოეტის ჭმუნვა და ნაღველი, არათუ სამშობლო სადმე სატრფოს სახით მოიხსენიება, არსად სიტყვაც არ არის დაძრული, საერთოდ, ტრფობასა და მიჯნურობაზე.

იმ გარდამავალ სტროფებშიაც (26—29), რომლებიც სიყვარულისა და მომდევნო ეპიზოდების შემაერთებელია, ლაპარაკია სიყვარულზე, მაგრამ აშკარად ჩანს, მასში სამშობლო არ იგულისხმება:

„რა მზე გარდაჯდეს ვერძზედა, ვერმა შექმნას თბობანი,
ამწვანდეს ტყე და მინდორი, მფრინველთ დაიწყონ ხმობანი;
აყვავდეს ყოვლი ქვეყანა, ტრფიალთა შექნან ღნობანი;
და ქართლსა გაჰყროდეს, ისპაანს კაცს მიხდომოდეს ნობანი. (26)

რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა,
მწვანედ ღელავდეს გარემო, ცვარი ცის მაზედ ესხასა,
თუ არ უშმაგო, ვინცა ქნას, მაზედა რითმე ესხასა,
და მე ასე მითქვამს, უთუოდ ის კაცი იყოს, ეს ხასა! (27)

ბულბულისა რაღა გითხრა მრავალფერად მაზედ ხმობა,
გლახ, მისისა მიჯნურისა მუსიკურად შესხმა, მკობა,
თავს დაბურვა, ზედ დაბნედა, რა მობრუნდეს, ჭიკჭიკობა,
და ტრფიალთაგან საანდაზოდ მათგან მაზედ არაკობა! (28)

ჭიკჭიკობდეს ვარდს ბულბული, ზედ ხე იდგეს ჩრდილის ფენით,
მის ქვე იჯდეს მოყმე ვინმე, მხიარული ხმობდეს ენით,
თვით გვერდთ უჯდეს მისი ჯუფთი, მინა თასზე მონადენით,
და რა ბრალია, საწუთოო, იგი შექნა ცრემლთა დენით!" (29)

მეორე რედაქციული ვარიანტი:

„მზე გარდამჯდარი ვერძზედა, აერი განათბობარი,
ტყე-ველი გამწვანებული, ფრინველნი გამომხმობარი,
აყვავებული ქვეყანა, მიჯნურთა დამადნობარი;
და მოსაშორებლად ისპაანს შემომხდომია ნობარი.

სა[ა]მოვნოა ტფილისად განავარდებსა ესხასა,
გამწვანებული გარემო, მანანა გამოესხასა,
უშმაგოსაგან ძნელია საზედაობით ესხასა,
და მას სავაჟკაცო შემკულსა გარდაქცევია ეს ხასა.

ბულბულისა მიუწდომი, მრავალფერად გამოხმობა,
გლახ მიჯნურთა საბრალოსი მუსიკურად გამომკობა,
დაბნედილსა ჩამოვარდნა, მონაბრუნსა ჭიკჭიკობა,
და საანდაზო ტრფიალთაგან საამბობლად არაკობა.

ჭიკჭიკობა ბულბულისა, ხის[ა] ჩრდილი გარდაფენით,
მოყმე მყოფი მხიარული, სატურფალი გასაგენით,
დანამჯდომი შენაჯუფთით, ჭიქაები გარდმოდენით,
და საბრალოა, საწუთროო, საცრემლოსა გამოდენით!"

(S 171, გვ. 4—5)

ვფიქრობთ, ამ სტროფებში სიყვარულზე პირდაპირი გაგებით არის მსჯელობა. აქ აღნიშნულია, რომ გაზაფხულზე, როდესაც ბუნება იღვიძებს, ყველაფერი ცოცხლდება და ჰყვავის, ჭიკჭიკებენ ფრინველები, ბულბულები უგალობებენ თავიანთ მიჯნურებს, — ყველაფერი ეს ხელს უწყობს ადამიანებში მწუხარების დავიწყებას, ლხინისაკენ სწრაფვას, სასიყვარულო განცდების გაღვივებასა და გაძლიერებას...

სწორედ ბუნების ამ მშვენიერებასა და ადამიანთა ლხინსა და ბედნიერებაზეა საუბარი მომდევნო სტროფებში:

„ცაცხვი დგას ტურფად ნაზარდი, შტო მსხვილი, შუა ვაკესა,
ყვავილი ფერად-ფერადი გარ უდგას მისა ბაკესა,
მუნ ფარადათად მსხდომელთა ლხინი რათ გაინაკესა?
და სმენ უცხოფერსა ღვინოსა, კულები არაკრაკესა. (30)

გაზაფხულზე დიდგორს ჩირთი არა ჰქონდეს განაშალი,
მუნ მიეიდენ სანადიროდ, ვაჟკაცთ იწყონ: «კარ გაშალი!»
ჯერგა მაღლა მოიძახდეს, ნადირთ მისცენ რბენას ძალი,
და აქ დასცენ და იქ ისროდენ, გააწითლონ სისხლით წყალი". (31)

და ა. შ.

პოეტი სათითაოდ ჩამოთვლის იმ ადგილებს, რომლებთანაც განვლილი სიამოვნება და ნეტარება აკავშირებს, მაგრამ არსად სიყვარუ-

ლი და ტრფობა არ აგონდება. თუკი პოეტს სამშობლო სატრფოდ ესახებოდა, მისი გამოხატვა ყველაზე მეტად ამ ეპიზოდში იყო მოსალოდნელი, მაგრამ, ვიმეორებთ, ამგვარი არაფერი ჩანს!

მაშ, რას უნდა გამოხატავდეს აქაური სიყვარული?

ჩვენი აზრით, აქაც იმგვარ საღვთო სიყვარულთან უნდა გვქონდეს საქმე, როგორიც „სატრფიალონშია". მართალია, „სალბუნად გულისა"-ში სიმბოლიკა ისე მკვეთრად გამოხატული და მეტყველი არ არის, როგორც ეს საგანგებოდ სიყვარულის თემაზე დაწერილ „სატრფიალონშია", მაგრამ აქაც გვაქვს ზოგიერთი ისეთი მინიშნება, რომლებიც უფრო შეესაბამება ზეციურს, — ღმერთს, სასუფეველს, ვიდრე ამქვეყნიურს, — მშობლიურ მიწასა და კუთხეს, სამშობლოს.

ერთ ადგილას პირდაპირ არის აღნიშნული, რომ სატრფო ისეთ მიუდგომელ ციხესიმაგრეში იმყოფება, მასთან ძალით მისვლა შეუძლებელია. უფრო მეტიც, მის ხელთ არის სამოთხის კარების გასაღები:

„ციხეს ზიხარ მეტად მაგარს, ა რ ე ი ს ძ ა ლ უ ძ ს შ ო ვ ნ ა ძ ა ლ ა დ,
ნ ე ბ ი თ კ ა რ ს ა ა რ ე ი ს უ ღ ე ბ ს ა მ ო თ ხ ე შ ი შ ე ს ა ვ ა ლ ა დ;
ისარს ისვრი წამწამისაგან, ცეცხლს გარ უდებ ტრფიალს ალად,
და ვერ გაუძლებს ვერცა ერთსა, გული იყოს ბასრად, სალად". (13)

მეორე რედაქციული ვარიანტი:

„ციხეშიგან მჯდომელობით უ ხ ლ ე ბ ი ა გ ა ს ა ძ ა ლ ა დ,
ნ ე ბ ი თ კ ა რ ი მ ი უ გ უ ლ ა ვ ს ს ა მ ო თ ხ ე შ ი შ ე ს ა ვ ა ლ ა დ,
წამწამთაგან ისარს ისერის მიჯნურისა გასაწვალად,
და გაუძლია გასაძლისად, გააგულოს ბასრი სალად".

(S 171, გვ. 2)

ფრაზა „ციხეს ზიხარ მეტად მაგარს" აშკარად შთაგონებულია ვეფხისტყაოსნის, ქაჯეთის ციხეში დატყვევებული ნესტანის წერილის სიტყვებით — „ციხეს ვზი ეზომ მაღალსა" (სტრ. ჩსქ). შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქაც სატრფო მტრებისგან შევიწროებულ, ტყვექმნილ სამშობლოს განასახიერებდეს, როგორც ეს არის ა. წერეთლის ლექსში „ჭალარა", სადაც სამშობლო ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეულ სატრფოს, ნესტან-დარეჯანის სახით არის გამოხატული. მეორეც, „სამოთხეში შესვლა" პოეტურ სახედ — სატრფოსთან, სამშობლოსთან, ბედნიერებასთან შეერთებად მიგვეჩნია... მაგრამ „სალბუნად გულისა"-ს ტექსტიდან კარგად ჩანს, ამგვარი ანალოგია და ახსნა სამართლიანი არ იქნება.

ვახტანგის თხზულების ციხეში მჯდომი სატრფო ტყვე არ არის. პირიქით, იგი მტრისაგან დაცული და ხელშეუხებია — „არეის ძალუძს შოვნა ძალად". როგორც ვთქვით, მის ხელშია სამოთხის გასაღები.

ვინც და რაც უნდა იგულისხმებოდეს „სამოთხეში", სატრფოს ძალა და უფლებები ყველა შემთხვევაში უცილობელი და განუზომელია. რა თქმა უნდა, ასეთი ძლევამოსილი სატრფო არ შეიძლება იყოს მტრისაგან დაბეჩავებული, ან თუნდაც, თავისუფალი, მაგრამ პოეტისაგან მოშორებული და მონატრებული სამშობლო. ამას არ ამართლებს არც ისტორიული სინამდვილე და არც მთლიანი ნაწარმოების სულისკვეთება. თხზულებაში არსად არ არის მინიშნება საქართველოს ან რომელიმე მისი კუთხის, სამეფოს ძლიერებაზე.

ვფიქრობთ, სტროფის შინაარსიდან და, საერთოდ, თხზულების კონტექსტიდან ჩანს, რომ აქ ასახულია ქრისტიანულ-თეოლოგიური შეხედულება: „სამოთხე" პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახმარი, მისი ტოლფარდოვანი ალეგორიული სახეა „ციხე", ხოლო მასში მყოფი სატრფო — ღმერთია. ერთადერთი, ვისაც ეკითხება და შეუძლია სამოთხეში მოხვედრა, სამოთხის კარების გაღება, ეს ღმერთია!

ჩვენი ვარაუდით, ანალოგიური აზრია გატარებული 25-ე სტროფში:

„თვალს მისცემს წყალსა პირველებრ, რა ნახო სული და გული,
ყვავილისებრივ გაშალოს მისგანვე გული დაგული,
გ ა ა ღ ო ს კ ა რ ი ლ ხ ი ნ ი ს ა, ჭირისა კარი დაგული,
და გაშალოს ვარდის კუკური, ჩემშია მისი დარგული".

მეორე რედაქცია:

„თვალისა — მანათობარი, მჭვრეტელთა — სული, გულები,
ყვავილისებრივ გაშალოს გონება დადაგულები,
გ ა ა ღ ო ს კ ა რ ი ლ ხ ი ნ ი ს ა, ჭირისა დანაგულები,
და გაბუტკნოს ვარდის კუკური, მისივე დანერგულები".

(S 171, გვ. 4)

ეს სტროფი შეიძლება ისეც გავიგოთ, რომ მასში რეალური სიყვარული დავინახოთ. რა თქმა უნდა, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სიყვარული ჭირს ავიწყებს ადამიანს და ლხინს აძლევს, თვალსა და გულს უნათებს და უბრწყინვებს და ა. შ. მაგრამ ისიც შეიძლება და, ჩვენი აზრით, უფრო მეტადაც, იგი ღვთის ზებუნებრივ ძალას ეხებოდეს: რომ ღმერთია სიყვარულის შემქმნელი და წარმართველი, ადამიანის თვალის ამხელი და მანათობელი, გულისა და გონების გამშლელი, ჭირის ლხინად შემცვლელი... ყოველივე ეს ქრისტიანული დებულებებია. ანალოგიური აზრია გამოთქმული „სატრფიალონში" სატრფოს, ღმერთის, შესახებ:

„გულს მისცემს უცხოდ შვებასა, ოდეს ვისმე შეეყრების,
თვალს ის უნდა, სხვათ სპეკალი ცუდად რასმე შეეყრების,
სამუდამოდ ვერ მიმხდომთა თვალთა ცრემლი შეეყრების,
და ვინ არ მისდევს სადევარსა, მას ლახვარი შეეყრების". (31)

„სატრფიალონის“ განხილვისას ვრცლად გვაქვს საუბარი „კარის“ სიმბოლურ მნიშვნელობაზე, რომ იგი ნიშნავს სასუფევლის, სამოთხის კარს. ჩანს, ანალოგიური შინაარსით არის გამოყენებული ეს სიტყვა „სალბუნად გულისა“-ს დამოწმებულ სტროფებში. პირდაპირ არის დასახელებული მე-13 სტროფში: „ნებით კ ა რ ს ა არვის ულებ ს ა მ ო თ ხ ე შ ი შესავალად“. სამოთხისა და ჯოჯოხეთის კარები უნდა იგულისხმებოდეს 25-ე სტროფშიაც: „გაალის კ ა რ ი ლ ხ ი ნ ი ს ა, ჭ ი რ ი ს ა კ ა რ ი დაგული“. აშკარაა, სასუფევლის კარზეა საუბარი ამ სტროფშიაც:

„თავი დავაბი ჭირსა და ვზივარ უხსნელსა კ ა რ ე ბ ს ა;
წამ-და-წამ ვისმენ ამბავსა სამსალის უფრო მწარებსა;
ავს მექადიან სიკვდილსა, მტერთაცა შესაზარებსა;
და მაინც მოველი ღმთისაგან დროს რასმე გასახარებსა“. (74)

პირველი სტრიქონის მეორე რედაქციული წაკითხვა:

„ჭირსა დავები მჯდომარე გამოუღებსა კ ა რ ე ბ ს ა“.
(S 171, გვ. 10)

ზემოთ დავიმოწმეთ მე-20 სტროფი პირველი რედაქციის მიხედვით, სადაც პოეტი უდიდეს წადილს ამჟღავნებს საკადრისი ხოტბა შეასხას სატრფოს, მაგრამ მისი შესადარი ქების თქმა მას შეუძლებლად მიაჩნია. აი, ეს სტროფი მეორე რედაქციული წაკითხვით:

„სიბძნე[ე]ბისა საუნჯის გამოსაღები დამეღოს,
მაგალითები პლატონის, არისტოტლისა დამეღოს,
ვჯდე გულის გამომზრახველად, თავი ქვე სამე დამეღოს,
და საკადრად შესაქებელი უქმია, სულიც დამეღოს!“
(S 171, გვ. 3)

სატრფოს საქებად ანალოგიური აზრია გამოთქმული „სატრფიალონში“, სადაც სატრფო ზეციური არსებაა:

„რაც ვიუბენ შენთვის ქება, არც ერთია საკადრისი,
ამისთვის რომ შენ სხვათ აძლევ, ღირსი იყოს ვინცა რისი,
მაგრამ კაცნი უძლურნი ვართ უმაღლესის რასმე თქმისი,
და შენ სხვა ხარ და ქება სხვაა, უშვერია ზრახვა მისი“.
(S 4500, გვ. 272)

ვფიქრობთ, ასევე ზეციური არსება უნდა იგულისხმებოდეს „სალბუნად გულისა“-ს დამოწმებულ სტროფშიაც.

„სალბუნად გულისა“-ში სატრფოს სახე, ღიწვები შედარებულია ცეცხლთან, რომლითაც იგი მასზე შეყვარებულ ლირიკულ გმირს

ცეცხლს უკიდებს, სწვავს, მახეში აბამს, სულსართმევს, საწყალსა და გამოსატირებელს ხდის:

„ც ე ც ხ ლ ს უგავს ლაწვი, ც ე ც ხ ლ ი ს გ ა ნ უფრო მწვავს,
უფრო მედება,
რა ენახე მიწყივ საჭიროდ, ფეხი მახესა მედება,
მომტაცა სული დღეს იქით, რას მარგებს გულის მე დება,
და მიტირონ ძმათა საწყალი, აწლა თუ ვინმე მედება?!" (11)

მეორე რედაქციული წაკითხვა:

„ც ე ც ხ ლ ი ს ა ლაწვი საწვავად დანამეტებით მედება,
რა ენახე გასაჭირებლად, ფეხი მახესა მედება,
სულისა მინატაცებსა გულისა მერგოს მე დება,
და გამომიტირონ მოყვასთა, თუცა ვინმელა მედება?!"
(S 171, გვ. 2)

სატრფოს ამგვარი სურათი ნაკლებად შეესაბამება სამშობლოს ხატს. სამაგიეროდ ძალზე უახლოვდება აპოკალიპსში დახატულ ღმერთს, რომელსაც აქვს ცეცხლოვანი თვალები, რომლითაც იგი, ანდრია კესარიელის ახსნით, განსჯისას სათანადო პატივს მიაგებს მართალთ, ხოლო ცოდვილებს — დაწვავს.

აპოკალიპსი: „და თავი და თმანი მისნი სპეტაკ, ვითარცა მატყლი სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და თუალნი მისნი, ვითარცა ა ლ ი ც ე ც ხ ლ ი ს ა" (1. 14).

ანდრია კესარიელის განმარტება: „რამეთუ დაღაცათუ ჩუენთჳს ახლად გამოჩნდა, არამედ საუკუნითგანი არს იგი და უფროჲსად უწინარჱს საუკუნეთა ყოფილი, რამეთუ სპეტაკობაჲ იგი თმისაჲ ამას მოასწავებს; ხოლო თ უ ა ლ ნ ი მ ი ს ნ ი ვ ი თ ა რ ც ა ა ლ ი ც ე ც ხ ლ ი ს ა ჲ — წმიდათა განმანათლებელნი და უკეთურთა შემწუველნი" (გვ. 41—42).

აპოკალიპსი: „...ამას იტყჳს ძჱ ღმრთისაჲ: რომლისა თუალნი არიან, ვითარცა ა ლ ი ც ე ც ხ ლ ი ს ა ჲ, და ფერჴნი მისნი მსგავს არიან რვალსა გუნდრუკისა" (2. 18).

ახსნა: „ც ე ც ხ ლ ი ს-ფ ე რ ო ბ ა ჲ თუალთაჲ თქმულ არს, რამეთუ ძალი მისი განმანათლებელ არს მართალთა და დამწუველ ცოდვილთა..." (გვ. 46).

ვფიქრობთ, მსგავსება ნიშანდობლივია. „სალბუნად გულისა"-ს სატრფო ისეთივე ცეცხლოვანი და მწველი ღმერთია, როგორიც აპოკალიპსშია. ამას ადასტურებს არა მარტო ამ სტროფის აღნიშნულ ბიბლიურ თხზულებასთან სიახლოვე, არამედ მოსაზღვრე სტროფებთან ერთიანობაც, რომლებშიაც ასევე ბიბლიური, ქრისტიანული თვალთახედვაა გადმოცემული.

„სალბუნად გულისა"-ში სატრფოს დასახატავად იგივე „ნათლის სიმბოლიკა" არის გამოყენებული, რაც „სატრფიალონშია". სატრფო აქაც ისეთივე სხივის მფრქვეველია, რომელსაც ადამიანი თვალს ვერ უსწორებს:

„ლექსსა მივყვე სამიჯნუროს, ვარ ტრფიალი, განახელი,
დამიწუხა თვალნი სხივმან, ვეღარა ვქენ
განახელი;
გიშრის თხზულმა ტოილომა გული შეკრა, ვანა ხელი!
და შეყრასა ჰგავს მზის და მთვარის, თუცა თავი გან ახელი". (14)

მეორე რედაქციული წაკითხვა:

„...თვალი სხივმან დამიწუხა, საჭიროა განახელი...
მზე-მთვარესა ვებაძები, თუცა თავი გან ახელი".
(S 171, გვ. 2)

სატრფოს ბრწყინვალება დამოკიდებული არ არის მზეზე. სინათლითა და შუქით მას ვერ შეედრება ვერც მზე, ვერც მთვარე და ვარსკვლავები. მისით ნათდება მთელი სამყარო:

„მზესა შუქსა რომ წაუხვამ, ხომ არა ხარ, რომ ეთქვა, ღამე,
ვარსკვლავების მიფარებლად მზესა ჯობხარ კინაღამე,
მთვარის უფრო ბნელს ანათებ, მას რას ვაქნევ იყოს სამე;
და ჰე, ზოჰალო, მისი შედრა, თუ შეგეძლოს, შეიწამე!" (17)

აღნიშნული აზრის ზოგიერთი ნიუანსი კიდევ უფრო მკვეთრად გამოთქმულია მეორე რედაქციაში:

„მზისა შუქის დანამკლებად უთქმელია დასაღამად,
მასკვლავების მიმფარებლად ღღესაცა სჯობს კინაღამად,
მთვარე ვითა ბნელს ანათებს, უხმარია იყოს სამად,
და ჰე, მუშთარო, შედარება შეგეძლოსღა შესაწამად!"
(S 171, გვ. 3)

ჩვენ ამ სტროფის შინაარსი გვაგონებს იოვანეს გამოცხადების შემდეგ ადგილს: „და ქალაქსა მას არა უჴმს მზჱ, ანუ მთოვარჱ მნათობად, რამეთუ დიდებამან ღმრთისამან განანათლა იგი, და სანთელ მისა არს კრავი იგი. და ვიდოდიან წარმართნი ნათლითა მისითა, და მეფეთა ქუეყანისათა დიდებაჲ და პატივი წარმართთაჲ მისა მიიღონ. და ბჭენი მისნი არა დაეჴშენ დღისი, რამეთუ ღამჱ მუნ არა იყოს" (21. 23—25).

სატრფოს, მსგავსად ჩრდილოეთის ვარსკვლავისა, თუ სამყაროს ცენტრისა, მნათობები გარს უვლიან, მაგრამ არც ერთს მასთან მიახლოება არ შეუძლია:

„ჩრდილოს ვარსკვლავი მის ადგილს ზის, არა, არ აკლდებისა,
ყოვლი მნათობი მთიებნი გარშემო მას ევლებისა,
მის გარემოსა მიწურვა ვერვისგან შეიძლებისა;
და მას ბაძავ, ლაწვნი მიჯნურთა რა ეკრთოს, დაიკლებისა". (18)

მეორე რედაქციული წაკითხვა:

„ღერძისა თავი ადგილად მდგომობით დაუკლებარი,
მანათობელნი მთიებნი გარშემო შემომვლებარი,
სიახლოვისგან მიწურვა ვერვისგან შესაძლებარი;
და ჰბაძავ, მიჯნურთა შვენება შექნია დასალებარი".

(S 171, გვ. 3)

ერთგან სატრფო მზის სახელით არის მოხსენიებული:

„მ ზ ე ო[230], შენს გარდამკიდესა მჭირს ასე ძნელი ჭირები,
ფ ა რ ვ ა ნ ე ბ რ ვ ი წ ვ ი, ბულბულებრ ეკალთა შინა ვირები,
უსჯულოს ვისმე, ვლახისებრ მაქვს ესე განაჭირები,
და იმ სოფელს ვერას ვიკეთებ, აქა მაქვს ლხინი ძვირები". (9)

ასევე არის „სატრფიალონში":

„გული სევდისა სალხენად განსა ვკარ ა ჭარხალითა,
გავულურდე და გავიჭრე, დავრჩე ვით ა ჭარ ხალითა,
მ ზ ე ე, გული ჩემი ტყვექმნილი მისწიე, აჭარ ხალითა,
და საზდოდ ვიკმიო სიცოცხლე, ვატარო ა ჭარზ ალითა". (40)

გარდა იმისა, რომ მზე ლამაზი ქალის მეტაფორაა, კარგად არის ცნობილი, რომ იგი ღვთის, ქრისტეს სიმბოლური სახელიცაა. ამისა არაერთი მაგალითი გვაქვს ძველ ქართულ მწერლობაში, კერძოდ, დავით გურამიშვილის პოეზიაში[231]. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ

---

[230] გამოცემაში შეცდომით დაბეჭდილია „მხნეო".

[231] „ნათლის ტროპიკის" შესახებ მითითებული ლიტერატურის გარდა იხ.: კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1981, გვ. 190—192; გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, ქართული კლასიკური საგალობლის პოეტური მეტყველების ზოგი საკითხი, კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1959, გვ. 160; კ. ე კ ა შ ვ ი ლ ი [კ. ცინცაძე], ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის, წიგნში: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966, გვ. 232—237; ზ. კ ი კ ნ ა ძ ე, შესახებ „მზიანისა ღამისა", გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1967, № 36; ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი, ნარკვევები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 206—214, 225—232; მ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, „მზიანი ღამე" ვეფხისტყაოსნისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი, წიგნში: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, III, თბ., 1968, გვ. 9—66; ე. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში, თბ., 1975, გვ. 117—137; ტ. მ ო ს ი ა, დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა, გვ. 117—141, 164—179, 224—227 და სხვა.

სიმბოლური შინაარსის მისი რამდენიმე ლექსი. ერთი, „ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სციოდა და მ ზ ე ღრუბლის გამო თვალთ არა ჩნდა, იმაზე თქმული“ (გვ. 74—75), სადაც პოეტი საგანგებოდ განმარტავს, რომ „მზეს“ იგი იგავურად უწოდებს ძე ღმერთს, ქრისტეს, ხოლო „მზეთა-მზეს“ — მამა ღმერთს:

„ისმინე, ლექსთა მკითხველო, სიტყვა აგიხსნა წინადა·
ძეს ღმერთს კაცებით მზედ ესახაე, სახით მზეს —
თინათინადა;
ღმერთთა ღმერთობით, მზეთა-მზედ მამას ესახ თქმად სასმინადა,
და მე მზესა ვეძებ, თინათინ ყოვლ დღივ მჴქს თვალის ჩინადა. (349)

სახით იგავად სათქმელად მამა მზეთა-მზე იქოსა,
ძე ღვთისა მხოლოდ შობილი, მზე სიმართლისა
იქოსა;
მისთვის საწუთროს მნათობმან მზემ თინათინი ირქოსა;
და ეს წიგნი წმინდად სახმარი არავინ გამიჩირქოსა! (350)

საწუთროს მზის ტრფიალება მისთან არ განიხსენება,
ძისა მოგითხარ მზეობა, შენ მზისა ნუ გეჩემება;
ვით საწუთროსი მზესთანა მიჩნს თინათინის შეენება,
და ეგრევე ძესთან საწუთრო მზე ძიჩანს და მის თენება“. (351)

მეორე ლექსში „მზეთა-მზის ვედრება დავითისაგან, მ ზ ი ს თხოვნა დასათბობლად ტირილითა თუ სიმღერის ხმითა“ (გვ. 76—77) მრავალჯერ არის მიმართვა მზისადმი: „მზევ, სიშორითა შენითა ვსტირ გულზე კვნესით, ქშენითა...“ (სტრ. 354), „მზევ, ნუ გახდი კარგს დარს ავდრად...“ (356), „მზევ, შენ ხარ კარგი ნარუქი...“ (357), „მზევ, მახარე შენსა მოსვლით... (358), „მზევ, მომხედე პირის ბრწყინვით...“ (359), „მზევ, საცნობლად შენსა მჴვრეტსა...“ (360) და სხვა. შინაარსიდან ჩანს და თვით პოეტი განმარტავს, რომ „მზე“-ში ღმერთი იგულისხმება: „მზედა გსახავს მზის დამსახველს...“ (362).

საღვთო მიჯნურობის თემაზე დაწერილ კლასიკურ ლექსში „ზუბოვკა“ (გვ. 144—145) სატრფო, ღმერთი აქაც მზის სახელით არის მოხსენიებული:

„ეკითხე, მ ზ ე ო, სიდამ მოხჳალ, სად ხარ წამავალი?
გეაჯები, მაცოდინე შენი გზა და კვალი...“
(სტრ. 2)

უნდა ვიფიქროთ, „სატრფიალონში“ და „სალბუნად გულისა“-ში მზე ასევე ღმერთის მნიშვნელობით არის გამოყენებული, ანდა, როგორც ს ა ტ რ ფ ო ს შესახებ ვმსჯელობდით, ზოგიერთ შემთხვევაში ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი ს მნიშვნელობა ჰქონდეს. ამგვარ ვარაუდს, გარდა

ს ა ს ძ ლ ო-ს ა ტ რ ფ ო ს ანალოგიისა, ის ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ვეფხისტყაოსნის კომენტარებიდან ირკვევა, ვახტანგისათვის მ ზ ი ს სიმბოლოთი ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი ს გამოხატვა ჩვეულებრივი ამბავია. განმარტავს რა ვეფხისტყაოსნის სტრიქონს „მე სოფელმან მომაშორვა, უკეთესსა ჩემსა მზესა“ (სტრ. ყ), იგი წერს: „ამას ახლა თვითან რუსთველი ამბობს: ღ[მერ]თო, ყოვლის მფლობელო, გეხვეწები, შენ რომ ზ ე ც ი უ რ ი მ ი ჯ ნ უ რ ო ბ ა დაბადე, შენ რომ იმის წესს აწესებ, მე ამ სოფლიოს ზღაპრობამ საუკეთესოს მ ზ ე ს, — ს ა ს უ-ფ ე ვ ე ლ ს მამაშორვაო და ახლა ამას ეხვეწება, ამ ზღაპრობის თქმით იმ ს ა ს უ ფ ე ვ ლ ი ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს ნუ აღმოფხვრიო“ (ტმ).

ჩვენი საკითხისათვის სულერთია, ვახტანგისა და დ. გურამიშვილის დასახელებულ თხზულებებში აღნიშნული სიტყვა ზუსტად ერთი და იმავე სიმბოლური შინაარსისაა თუ არა. მთავარი ის არის, რომ სამივე შემთხვევაში მ ზ ე, ს ხ ი ვ ი, ნ ა თ ე ლ ი ერთი სისტემის, ქრისტიანულ მწერლობაში მიღებული სიმბოლური სახეებია, რომლებიც ღმერთს, ღვთიურს, ზეციურს გამოხატავენ. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი სახეებით სამშობლოს წარმოსახვა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ძველად, არც ქართულ მწერლობაში გვხვდება და არც სხვაგან არის საგულვებელი.

ამგვარია მონაცემები თხზულების იმ ნაწილისა, რომელიც სიყვარულის თემას ეთმობა. სხვა ნაწილებშიაც იგივე თეოლოგიური იდეაა განვითარებული, რასაც ღვთაებრივი მიჯნურობა გამოხატავს.

ძველ ქართულ ლიტერატურაში სასულიერო მწერლობის ზეგავლენით ჯოჯოხეთი, ამქვეყნიური ცოდვილი ცხოვრება, ჰირ-ვარამი ორმოს, ქვაბულისა და მასში ჩავარდნილი ადამიანის სახითაა წარმოდგენილი. მისგან ამოყვანა სამუდამო ხსნად არის დასახული. „ქ ვ ა ბ თ ა გ ა ნ სოფლისათა აღმომიყვანე, ღვთისმშობელო!“ — იხვეწებოდა მორწმუნე ადამიანი[232].

დავით გურამიშვილი „მხიარულ ზაფხულში“ (გვ. 223) სულის შესახებ გამოთქვამდა წუხილს:

„შენ ისეთს ვისმე ხელთ ჩაუვარდე,
რომ იმას გულით შენ არ უყვარდე,
მან არა გახაროს,
ჩ ა გ ა გ დ ო ს ღ რ მ ა ხ ა რ ო ს,
მოგიდეას ცეცხლი“.

(სტრ. 293)

---

[232] მ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. რ ო დ ო ნ ა ი ა, გამოსათხოვარი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 18 მაისი, 1984, № 21, გვ. 4.

ალეგორიულ ლექსში „ოდეს დატყოებულმან უსჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარა ნახა, იმისი მოთქმა“ (გვ. 73) დავითი ღმერთს ემუდარება:

„ბნელსა ვზივარ, გეაჯები, სასინათლო ამიხერიტო,
ამოესძვრე და გამოვიქცე, მოვიდე და შენა გჭერიტო“.
(სტრ. 335. 3—4)

ამ ორპლანიანი ლექსის გადატანითი შინაარსი სულ სხვაა. როგორც ს. ცაიშვილი წერს, სიმბოლური გაგებით, „აქ არავითარ რეალურ ორმოზე არაა საუბარი. სხვათა შორის, ეს არის იგივე ჰიმნი, რომელსაც... შეცდომით პატრიოტულ-ალეგორიული ლირიკის ნიმუშად მიიჩნევდნენ. ყველა სახე, რომელიც აქ მოტანილია, აშკარად მისტიკური შინაარსისაა... მთელი ჰიმნი კი ღაღადისია პირველმიზეზისადმი, რომელიც იმედად, «საესავად» ეგულება მძიმე განსაცდელის ჟამს «უსჯულო ქვეყანაში» მყოფ პოეტს“[233].

ამგვარივე სახეებია გამოყენებული „სალბუნად გულისა“-ში და მათ იგივე შინაარსი აქვთ, რაც დ. გურამიშვილის დამოწმებულ სტრიქონებშია:

„პე, თაო, პირველ შეებულო, აწ უცხო ჭირსა ვარდია,
საკვრელსა ძნელად სახსნელსა, მთხრობლსა მოღრმოსა
ვარდია,
მკვიდრი უმკვიდროდ შევიქენ, სამყოფთგან გარე ვარდია,
და ლაწვი შემქმნია ზაფრანად, ვის ვერა მღრიდა ვარდია“. (84)

მეორე რედაქციული ვარიანტი:

„საკვრელსა გამოუხსნელსა, სამთხრებლოებსა ვარდია“.
(S 171, გვ. 12)

მეორე მაგალითი:

„მწვე სჯობს უენო ენიანს ამ საქმის მიწყიე მქონესა,
უკაცურს სახლსა მჯდომელსა, ვერა-რის ვერ გამგონესა;
რა მართებს საქმის შემძლებსა, ჭკუაზე თავმომწონესა,
და ჭაში მჯდომელსა ხელ-შეკრით მტერთ ასე დამამონესა?!“ (102)

ბოლო ვარიანტი:

„ჭაშივან ჩანავარდნილსა, მტერთაგან ღამამონესა“.
(S 171, გვ. 14)

---

[233] ს. ცაიშვილი, ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1984, გვ. 233.

ზუსტად ეგევე აზრი ამავე ფორმით ვახტანგს გამოთქმული აქვს აგრეთვე „კვინკლოსის“ ლექსით ანდერძში[234].

„საწუთოა საცთურითა, ვარ საქმისა უნაწილო,
მოყვარეთა ცრემლი სცვივა, მტერთა გავხე სასაცილო,
ჰაში ეზიუარ, უსაბლოსა არვინა მყავ ამაცილო,
და თუ ღმერთსა სწადს, ადრე იქნას, რომ, სოფელო, გაგაწბილო!“

პოეტი „სალბუნად გულისა“-ში საგანგებოდ და გამოყოფილად ლაპარაკობს მოყვასთა, თავისიანთა ღალატსა და მტრობაზე და მათ საქციელს საღვთო სიყვარულის პოზიციებიდან აფასებს:

„არ ისმინეს მოციქულთა, თორმეტი ხმობს, გინა ათი,
ვისცა ძმა სძულს, სიყვარული ღმრთისა მწამდეს
მათგან რათი?
მოყვარე ვართ, რჯულით ძმანი, ერთხელ ვიყავ მეფეც მათი,
და არცა ერთსა არ მიხედეს, გამიკეთეს უცხო ხლათი!“ (75)

თვითონ პოეტი კი, მისი თქმით, მუდამ მოწოდების სიმაღლეზე იყო:

„ვიყავ მოყვსისა სიმაღლე, მტერთა დამცემი, მხარავი“. (70. 1)

ამიტომ არის, რომ მწერალი დიდი გაკვირვებითა და გულისტკივილით წერს:

„ყმაზე წამიხდა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები,
ამხანაგთზედა სიკეთე, სხვათაგან შესაშურები,
ძმათა და თეისთა მოყვსობა, რა ჩემგან მოსასურები;
და განმაძეს ასე უბრალოდ თვალთ ცრემლთა მომაწურები“. (77)

ავტორი თვითონ აღიარებს თავის შეცდომას:

„რა ვქნა, რასათვის გავეწყევ კაცსა, უზრდელსა, ეირასა?
ვინც გაიგონებს, მევე მგმობს: «ემოყვსა კაცსა ვირასა!»“
(100. 1—2)

პოეტის ღრმა რწმენით, ამ საქმეშიაც ერთად-ერთი მხსნელი ღმერთია:

„სულ გამიმტერდენ მოყვასნი, აწ, მითხართ, კარგი ვინ არე?
ძნელსა დავები, თუ შენვე არ მიხსნი, შექენ ვინ არე!“
(78. 3—4)

---

[234] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 61.

თხზულებაში, როგორც ვთქვით, დიდი ადგილი უჭირავს სოფლის გმობას, მის მაცთურობასა და გაუტანლობაზე მსჯელობას:

„დაჱწვა სოფლისა საცთურმა, ველარა სცემოს მაჯაჱა". (ჴ. 3)

„საწუთროსა ცხენსა ეიჯექ, ლურსმანი ვქენ მონაწევი,
მრაველად იდგა ბაღსა მისსა ხილი მწიფე, მონაწევი,
რაცა მნადდა, მას ვიხმევდი, ხელით მქონდა მონაწევი,
და ახლა ექნილევარ მტერთ სახრალად იქით-აქეთ მონაწევი". (81)

„სამსალის უფრო გამწარდა, რაც ამას წინათ მეხარა,
არ გიკვირსთ სოფლის სიმუხთლე, დემად შემქნია მე ხარა?!"
(86. 3—4)

„მაღლად მყოფო, სოფლისაგან ბოლოდ მიწად დაწყვეტილო,
ჱოფლის ნასთთა მსხეილად სთულთა უცხოდ რათმე დაწყვეტილო..."
(87. 1—2)

„ამითი გაელე ცოტას ხანს სოფელი დაუდვრომელი". (95. 4)

„ხარბათ ადინეთ, სოფლისგან არის რამ დასაელია,
ნუ მიენდობით უნდოსა, ბოლოს არ გიყოსთ ძალია!" (98. 3—4)

„კაცს, სოფლის ზრუნვას ესე სჭირს, აროდეს გაახარებსა,
თავმომწონს სულსა გვამშია დასდრეკს და გაახარებსა".
(101. 1—2) და სხვა[235].

ყველა ეს მაგალითი ქრისტიანულ-თეოლოგიური შეხედულების ამსახველია. ამავე რელიგიურ თვალსაზრისს, ადამის მოდგმის ცოდვიანობას, გამოხატავს თხზულებაში გატარებული აზრი, რომ ყოველივე თავისი უბედურების მიზეზი თვით ადამიანია. უპირველესი ბრალი იმაში მიუძღვის, რომ დაივიწყა ღვთის შეგონება და აჰყვა სოფლის მოჩვენებით დიდებას:

„რას ეაპრალებ საწუთოსა, ვამბობ, მიყო ამან ესო!
რაც მე შეესვი შესასმელი, ესე ხელსა ვისცა ესო,
ვარდი მედგა ბაღსა ჩემსა, არ თუ სამე ნარი ესო,
და მე ალმოეფხვარ, სხვას ვის ეძლო მისთვის რამე ძიოსა ესო?" (80)

ზემოთ ვნახეთ, იგივე აზრი არაერთხელ გამოთქმულია „სატრფიალონში". ისიც ვაჩვენეთ, „სალბუნად გულისა"-ში, ისე როგორც „სატრფიალონში" და ვახტანგის თითქმის ყველა პოეტურ თხზულებაში,

---

[235] ნაწილი სხვა მაგალითებისა ზემოთ არის დამოწმებული.

მძლავრად ისმის ღვთისადმი ღაღადისი, იხსნას იგი ამქვეყნიური ცოდვისა და განსაცდელისაგან და საუკუნო განსასვენებელი მიაგოს:

> „ვინ დამბადე, შემიწყალე ყველასაგან მონაძები,
> შემომძარცვე, რაც მაცვია, ჭირი, ჭმუნვა, საძაძები!"
>
> (3. 3—4) და სხვა.

მთელი თხზულება პოეტის პირადი ცხოვრების ჩვენებით გვისურათებს ქრისტიანულ-რელიგიურ შეხედულებას მიწიერი ცხოვრების ამაოებისა და წარმავლობის, ადამიანის ცოდვილიანობის შესახებ, რომ ერთადერთი ხსნა ღვთისაგან არის. ამ თეოლოგიური იდეური ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია მოძღვრება სიყვარულზე. სწორედ ამ თვალსაზრისით არის მასში ჩართული სიყვარულის თემა და მას არავითარი კავშირი არა აქვს პატრიოტულ გრძნობასთან.

კ. კეკელიძის მიერ წამოყენებულ ვახტანგ მეექვსის „პატრიოტულ ალეგორიაზე" იგივე უნდა ითქვას, რასაც თვითონ ამბობდა დ. გურამიშვილის შემოქმედების გამო: დ. გურამიშვილის „ალეგორიულმა ხერხმა — წერს მეცნიერი, — შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში გაუგებრობა დაბადოს მის ბიოგრაფიაში, და არა მარტო ბიოგრაფიაში...
არის თუ არა დავითის შემოქმედებაში პატრიოტული ალეგორია?
როგორც ცნობილია, პატრიოტიზმი, სამშობლოსადმი სიყვარული ერთ-ერთი მთავარი მოტივია დავითის პოეზიაში... მიუხედავად ღრმა პატრიოტული განცდებისა, პატრიოტული ალეგორია, ზემონაჩვენები აზრით და შინაარსით, დავით გურამიშვილს არ მოეპოვება... არ შეიძლებოდა დავითის პოეზიაში ადგილი ჰქონოდა პატრიოტულ ალეგორიას. მას არ სჭირდებოდა სამშობლოსადმი სიყვარულის მისტიკურ-ალეგორიულ სამოსელში გახვევა, რადგან სამშობლოსადმი სიყვარულს ის რეალურად, კონკრეტულად განიცდიდა[236]. მეორე, დავითის წინა-

---

[236] ოღონდ ჩვენ სამართლიანად არ მიგვაჩნია ეს ფორმულირება: დ. გურამიშვილს „არ სჭირდებოდა სამშობლოსადმი სიყვარულის მისტიკურ-ალეგორიულ სამოსელში გახვევა, რადგან სამშობლოსადმი სიყვარულს ის *რეალურად, კონკრეტულად განიცდიდა*". თუ „საჭიროების" საკითხს ასე დავსვამთ, მაშინ გაუგებარი დარჩება, რატომ მიმართავენ პატრიოტული ალეგორიისათვის „სატრფოს" სახეს ალ. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი!

ასევე უნდა შევაფასოთ კ. კეკელიძის მეორე ახსნა, რომ თითქოს იმ დროს, როდესაც მაჰმადიანობა მომძლავრდა ჩვენში, ხოლო საზოგადოება გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდა სარწმუნოებისადმი, საერო-რელიგიური ფორმით რელიგიური იდეების მიწოდება უფრო მიმზიდველი და დამაინტერესებელი იქნებოდა. მისი სიტყვებია: „*რელიგიურ ალეგორიას თხოულობდა ეპოქა, როდესაც მაჰმადიანობის ზეგავლენით ქრისტიანობა და მისი მორალი ძალზე შესუსტებული იყო*. ცხოვრების გამრყვნელ ფაქტორად პოეტს (დ. გერამიშვილს — ბ. დ.) ეჩვენება არა მარტო მაჰმადიანობა, არამედ ყოველგვარი არაქრისტიანული ობიექტი წარმართული თაყვანისცემისა..." (ეტიუდები..., IV, გვ. 166—167). სხვაგან: „ასეთია ზოგადად ალეგორიული ხერხი, რო-

მორბედებს და თანამედროვეებს, რომელთაც მის შემოქმედებაზე დიდი გავლენა ჰქონდათ (არჩილი, ვახტანგი, მამუკა ბარათაშვილი), პატრიოტული ალეგორია არ აქვთ[237].

სამაგიეროდ, დავითის შემოქმედებაში ჭარბადაა მოცემული რელიგიური ალეგორია («საღვთო მიჯნურობა»). ლამაზი, მომხიბვლელი ქალწულის სახით მას წარმოუდგენია მამა ღმერთი და მისი ძე ქრისტე, რომელსაც ის უწოდებს «მზეს», «მზეთა მზეს», «უკვდავებისა» და «სიცოცხლის» წყაროს...“[238]

ამრიგად, ჩვენი დასკვნით, «სალბუნად გულისა»-ს სიყვარული გვერდში უდგას ავტორის როგორც სხვა პოეტურ ქმნილებებში — „ამირ-ნასარიანში“, „სატრფიალონსა“ და „ვახტანგურში“, ასევე მის მეცნიერულ ნააზრევში, — ვეფხისტყაოსნის თარგმანებაში წარმოდგენილ სიყვარულს[239]. ყველა ამ თხზულებაში პოეტი, მეცნიერი და მოაზროვნე ვახტანგ მეექვსე იცავს და იმავე გამოსახვის საშუალებებით გამოხატავს საღვთო სიყვარულს, რაც მიღებული იყო ქრისტიანულ თეოლოგიასა და, კერძოდ, ძველ ქართულ მწერლობაში.

მელსაც მიმართავს დავით გურამიშვილი თავის შემოქმედებაში; როგორც ზემოთ ვთქვით, ამ ხერხს პოეტი ძალიან ჭარბად იყენებს. ეს აიხსნება იმდროინდელი ქართული საზოგადოების სარწმუნოებრივ-მორალური მდგომარეობით. დავითი გულისტკივილით აღნიშნავს საზოგადოების სარწმუნოებრივად და ზნეობრივად დაქვეითებას. ის პირდაპირ ტირის, რომ ქართველებმა «ღმერთი დაივიწყეს» და ცოდვის ტალახში ჩაეფლნენო. საზოგადოებრივი ცხოვრების გაჯანსაღების ერთ-ერთ საშუალებად მას მიაჩნდა ხალხის «მობრუნება» ღვთისადმი. ეს შესაძლებელი იქნებოდა, მისი აზრით, იმდენად არა განყენებული ქადაგებით, რამდენადაც ტკბილ ლექსებში გახვეული «სამიჯნურო» ურთიერთობათა ცნობილი სურათებით“ (ეტიუდები..., XIV, ტომი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა; თბ., 1986, გვ. 145).

საღვთო-სამიჯნურო ალეგორიის არსებობა დ. გურამიშვილის, ვახტანგ მეექვსისა და სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში იმან განაპირობა, რომ იგი მიღებული და ფართოდ იყო გავრცელებული შუასაუკუნეების ქრისტიანულ მწერლობაში (აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება გარკვეული წილი ურთიერთგავლენისა) და არა იმის გამო, რომ ისინი საკუთარ მიდგომას იჩენდნენ ლიტერატურული, რელიგიური თუ სოციალური პრობლემებისადმი.

[237] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კ. კეკელიძე აქ ურთავს შენიშვნას, სადაც გამონაკლისად ასახელებს ვახტანგის თხზულებას „სალბუნად გულისა“.

[238] ეტიუდები..., IV, გვ. 165—167. ამავე თვალსაზრისს იცავს ს. ცაიშვილი (იხ. მისი წიგნი: ლიტერატურული ეტიუდები, გვ. 227—234).

[239] ყოვლად უსაფუძვლოა განცხადება: თითქოს ვახტანგმა ვეფხისტყაოსანში „არა თუ თამარის «შეფარვით» ქება, საერთოდ, თამარის სახე ვერ დაინახა! სწორედ ამის ბრალია, მეტად ხელოვნური ვერსია რომ გამოიგონა — ტექსტის ამოკითხვა «მისტიკური ალეგორიზმის» საშუალებით სცადა, რაც იძულებითი გზა იყო და არა პოეტი-მეფის პირადი პოზიცია“ (თ. ჭილაძე, ვარდის ფურცლობის ნიშანი, თბ., 1984, გვ. 41).

ვახტანგის პოეზიაში განხილული მაგალითებით არ ამოიწურება გადატანითი თქმის, სიმბოლო-ალეგორიის გამოყენების შემთხვევები. ზოგჯერ მათი ამოცნობა და გაშიფრვა ჭირს. ერთ ასეთ ნიმუშად დავიმოწმებთ „სატრფიალონის“ 85-ე სტროფს, რომელსაც ნართაული შინაარსის შემცველად ასახელებს მამუკა ბარათაშვილი. „ჭაშნიკში“ ვკითხულობთ: „გრძელ-შეწყობილი, გინა მდინარი და შეწყობილი, კაი სწავლის იგავებისათვის არის, რომ როგორაც ამ შაირში მეფეს უბძანებია იგავათ:

უნდა მოგვანდეს ეკალსა ყმა ახალ ნორჩი რგულებსა,
ბერი ბამბასა გაქონდეს, ითბობდენ იმით გულებსა,
არ სატაცურსა, — გველსა გავს, იჩემებს მის უსულებსა,
ვერც ხუთის მოგვცემს, ვერც შხამსა, სარგოს და დასაწყლულებსა.

ამგვარი იგავები ამ ჰმას უფრო გაეწყობა“ (გვ. 125 [8]).

ჩვენ გავეცანით ამ ლექსის მეორე და მესამე რედაქციულ ვარიანტებს, მაგრამ მის მეორად შინაარსს, მთავარ სათქმელს მაინც ვერ ჩავწვდით. მოვიყვანთ მესამე ვარიანტს (მეორე ვარიანტი, რომელიც პირველისაგან ნაკლებად განირჩევა, ვახტანგის ლექსებისა და პოემების გამოცემაშია დაბეჭდილი):

„მიეგვანენით ეკალსა მოყმენი დანერგულებსა,
ბერი ბანბასა გაქონდეს, გამოითბობდეს გულებსა,
გველს სატაცური მიაგავს, იჩემებს მის უსულებსა,
და ხუთის და შხამსა ვერ მოგვცემს, შესარგო-დასაწყლულებსა“.
(S 171, გვ. 26)

ეს და სხვა ამგვარი მაგალითები, რომლებიც უფრო თეოლოგიური შინაარსისაა, შემდგომ დაკვირვებასა და შესწავლას მოითხოვს.

ზემოთ წარმოდგენილი მასალები ერთხელ კიდევ თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა ღრმად და ძლიერად იყო ვახტანგი გამსჭვალული ქრისტიანული რელიგიური რწმენით და რამდენად განმსაზღვრელ და მასტიმულირებელ ძალას ქმნიდა ეს გრძნობა მთელ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, მათ შორის პოეზიაში.

ამდენად, გაუმართლებელია ეჭვები, რომლებიც ვახტანგის რელიგიური რწმენის გულწრფელობისა და სიმტკიცის შესახებ არის გამოთქმული. მაგალითად, „შურით აღივსნენ უგბილნი“-სა და „ბოლოერთის“ განხილვის შემდეგ გ. მაღულარია ასკვნის: „ახლა ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რატომ აირჩია ვახტანგმა სახარების ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდი ლექსის თემად და საერთოდ რამდენად მართლმორწმუნე ქრისტიანი იყო იგი. შეიძლება რელიგია მისთვის მხოლოდ ღვთისმსახურების კულტს წარმოადგენდა და მეტს არაფერს, შეიძლება პირიქით, მთელი შეგნებით იზიარებდა ქრის-

ტრანულ მოძღვრებას და საკულტო მხარეს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ მან ამ ლექსებით ვ ა ლ ი მ ო ი ხ ა დ ა თავის დროის წინაშე"[240].

ა. ფრანგიშვილი პოეტის ზოგიერთ ლექსში ქრისტიანობის საწინააღმდეგო თვალსაზრისს ხედავს, რაც გაუგებრობაზეა დაფუძნებული. მკვლევარი წერს: „განმანათლებლობის რეალისტური («ჩვენი სოფლის ჩვენობის») კონცეფციის შესაბამისად, ვ ა ხ ტ ა ნ გ ი, ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს დ ო გ მ ა ტ ე ბ ი ს ს ა პ ი რ ი ს პ ი რ ო დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ს ადამიანის უბრალოებას და იმას, რომ ადამიანი «ჩვენს სოფელში» ბედნიერების მიღწევისათვის მოწოდებული არსებაა. მთავარი ისაა, რომ ვახტანგის შეხედულებით, მხოლოდ გონების ძალით და სიბრძნით შეიძლება ადამიანი ბედნიერი გახდეს". საილუსტრაციოდ დამოწმებულია „სიბრძნე მალაღობელის" სტრიქონები:

„ავსა კაცსა ცოდნის სწავლა მის სიავეს გაუკარგავს". (609. 2)

„სიბრძნე გიყვარდეს, ისწავლე, ძვირფასი არის სახისა,
დაცემულთ მაღლა ამწევი, მადიდებელი გლახისა"[241]. (642)

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ „ცოდნასა" და „სიბრძნეზე" ლაპარაკისას ვახტანგი ბიბლიურ ცოდნასა და სიბრძნეს არასოდეს გამორიცხავს.

ასევე, გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვახტანგის მსოფლმხედველობასა და მხატვრულ შემოქმედებაში ა. ფრანგიშვილი ათეიზმისა თუ მისი ელემენტების საკითხს განიხილავს. „ყოველივე ზემოთქმულთან ერთად — წერს ავტორი, — გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს მაშინდელ ისტორიულ ვითარებაში ვახტანგ VI, ისევე როგორც სულხან-საბა ორბელიანი, ათეიზმამდე და დეიზმამდე ვერ ამაღლდებოდნენ და არც ამაღლებულან. ამ პროგრესული მოაზროვნეებისათვის ქრისტიანული რელიგია ისევ რჩებოდა მსოფლმხედველობის საფუძვლად. მ ა გ რ ა მ ი ს ე დ ა ი მ ს ა ხ ი თ (ამ სახის თავისებურებათა დადგენა ცალკე ფილოსოფიური გამოკვლევის საგანია), რ ო მ ი გ ი გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს რ ე ა ლ ი ზ მ ი ს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი ყ ო დ ა ძ ლ ე უ ლ ი" (იქვე, გვ. 75).

ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ და აქ გამოკვეთილად უნდა ვთქვათ, რომ ვახტანგის პოეზიის სრულყოფილი გაგებისათვის ქრისტიანულ მწერლობასთან მისი კავშირურთიერთობა შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს. ამასთან ერთად, რასაკვირველია, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს საწინააღმდეგო მოვლენებსაც, თუმცა, ჩვენი ღრმა რწმენით, ამგვარი შემთხვევები ნაკლებ არის მოსალოდნელი.

---

[240] გ. მ ა ღ უ ლ ა რ ი ა, ლიტერატურული პორტრეტები, გვ. 151.
[241] ა. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, ფსიქოლოგიური ნარკვევები, გვ. 74.

6. პატრიოტული მოტივის შესახებ

ვახტანგ მეექვსის პოეზიაში გამოყოფენ პატრიოტულ მოტივს. კ. კეკელიძე წერს: „ვახტანგის ლირიკა გამომხატველია არა მარტო მისი უკუღმართი ბედისა, რომელიც მას ხან სპარსეთში გადააგდებდა და ხან რუსეთში, არამედ მისი ქვეყნისაც. საჩივარი ბედის უკუღმართობასა და წუთისოფლის ვერაგობაზე, სევდა, გამოწვეული საყვარელი და კეკლუცი სამშობლოს მოშორებით, საჩივარი ადამიანთა გაუტანლობაზე, ღვთისადმი სასოება, რომელშიაც ის პოულობს ნუგეშს სულიერი კრიზისის დროს, ბრძოლა აგრესორებთან და მათი კლანჭებიდან სამშობლოს განთავისუფლებისათვის გზების ძიება, — აი, მისი ლირიკის მთავარი მოტივი. ამ მხრივ ვახტანგი დაკავშირებულია თეიმურაზისა და არჩილის ლირიკასთან"[242].

ალ. ბარამიძე: „ვახტანგი მართლაც თავგამოდებულად და გულწრფელად ეცადა თავისი ქვეყნის შველას. სამშობლოს სიყვარული მან გრძნობიერად გამოხატა ლირიკულ ლექსებში და სამარეშიაც თან ჩაიტანა"[243].

ვ. დონდუა: „ლირიკულ პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ვახტანგ VI-მ, არჩილის უმცროსმა თანამეკალმემ. მის ლექსებში აღიბეჭდა ავტორის — სამშობლოდან გადახვეწილი მეფის სულისკვეთება, საქართველოს პოლიტიკური კრიზისებით გამოწვეული სევდა, პატრიოტული მისწრაფებანი: სურათებისათვის მასალას მას აძლევს ქართლის მიწა-წყალი, ყოფა, ზოგან რუსეთის სინამდვილე, საკუთარი სამეფო მოღვაწეობა"[244].

ლ. მენაბდე: „ვახტანგის ლირიკის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი პატრიოტული მგზნებარებაა. სამშობლოს სიყვარულის უსაზღვრო გრძნობითაა გამთბარი ვახტანგის ლექსების უმრავლესობა"[245].

გ. მიქაძე: „ვახტანგის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოირჩევა პატრიოტული მოტივი. მის

---

242 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 594.

243 კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1954, გვ. 407, 1987 წლის გამოცემა, გვ. 386.

244 საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 345; ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, III, გვ. 13.

245 ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 107.

თითქმის ყოველ ლექსში გამოსჭვივის სამშობლოსა და თავისი ხალხის დაუცხრომელი სიყვარული. მათზე შეუნელებელი ზრუნვის სურვილი“[246].

გ. პაიჭაძე: „ვახტანგის პოეტური მემკვიდრეობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი მგზნებარე პატრიოტიზმია“[247].

ამასვე აღნიშნავენ სხვებიც.

ვახტანგმა, როგორც მეფემ და პოლიტიკურმა მოღვაწემ, მწერალმა და მეცნიერმა, მთელი თავისი ცხოვრება და საქმიანობა მართლაც მშობლიური ქვეყნისა და ხალხის სამსახურს შეალია. იგი, „საქართველოს აღორძინებისათვის საერთო ბრძოლის თაოსანი“[248], დღენიადაგ ილვწოდა თავისი სამეფოს, ქართლისა, და, რამდენადაც ხელი მიუწვდებოდა, საქართველოს სხვა კუთხეთა[249] სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცების, ქართული კულტურისა და მეცნიერების ამაღლებისა და განვითარებისათვის. მის ყოველ ნაბიჯში — ეს იქნება საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის გარეშე თუ შინაურ მტრებსა და გამთიშველებთან ბრძოლები, სამეურნეო ღონისძიებანი, კანონმდებლობის მოწესრიგება, საქართველოს ისტორიის დაწერა, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურით ქვეყნის გამდიდრება, სტამბის შექმნა და წიგნის ბეჭდვა თუ სხვა საქმიანობა, — ყველგან მძლავრად გამოსჭვივის მონუმენტური სახე ჭეშმარიტი მამულიშვილისა, შეგნებული პატრიოტის, ეროვნული მოღვაწისა.

აფასებდა რა ვახტანგის პატრიოტულ ღვაწლს „სწავლულ კაცთა“ შეშვეობით ახალი „ქართლის ცხოვრების“ შექმნაში და, საერთოდ, ქვეყნის წინაშე, ი. ჯავახიშვილი წერდა: „ეროვნული თვითშემეცნების გამოღვიძებისა და გაღვივებისათვის, განსაკუთრებით კი განმტკიცებისათვის, წარსულის ცოდნას აქვს დიდი მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოვებს და ამავე დროს საჭირო სიღრმესა და საფუძვლიანობას ანიჭებს. ეს კარგად ესმოდა საქართველოს მეფეს ვახტანგ VI-ს.... რომლის მრავალმხრივი, დაუღალავი მოღვაწეობა საქართველოს საკეთილდღეოდ ქართული ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო ფურცელს შეადგენს“[250].

---

[246] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 512.

[247] გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსე. გვ. 101.

[248] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 399.

[249] ვახუშტი ვახტანგის შესახებ წერდა: „ამას მორჩილებდენ იმერნი, უსმენდენ კახნი“ (გვ. 482).

[250] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 399.

გ. ლეონიძე აღნიშნავდა: „ვახტანგ მეექვსე ეროვნული აღორძინების მთავარი ორგანიზატორია და იმ გონებრივი მოძრაობის მეთაური, რომელიც ხელს უწყობდა საქართველოს თავის დაღწევას აზიური რკალიდან"[251].

საერთოდ, ვინც კი შეხებია ვახტანგის ეროვნულ მოღვაწეობას, ყველა ასევე შეგნებული, გათვითცნობიერებული პატრიოტის, სამშობლოს სიყვარულით დამუხტული ერისკაცის მოღვაწეობად აფასებს ყოველ საქმეს, რომელიც სწავლულმა მეფემ თავისი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ გააკეთა.

ვახტანგი ამგვარ მოღვაწედ უპირველესად თავისი საქმიანობით წარმოგვიდგება. თუმცა მის შეგნებულ მამულიშვილურ მიზანსწრაფვას ზოგჯერ, აქა-იქ, ძუნწად სახელდებითაც აღნიშნავენ მისი თანამედროვენი, ცალკეული საბუთები. დავიმოწმებთ ზოგიერთ მათგანს.

ზემოთ უკვე მივუთითეთ, ვახტანგის „სამართალში" ქვეყნისა და ქრისტეს რჯულის ორგულობისათვის სასჯელი საგანგებო მუხლით არის განსაზღვრული.

ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს: 1712 წელს, როდესაც ვახტანგი ეახლა ირანის ყაენს, შაჰ-ჰუსეინს, ქართლის მეფედ დასამტკიცებლად და ამისათვის ყაენმა მას გამაჰმადიანება მოსთხოვა, ვახტანგმა მტკიცედ უარყო ეს ულტიმატუმი და მიუგო: „მე მოვედ, რათა არა დამართონ[252] მტერთა და შეირყეს ქართლი..." (გვ. 492).

1714 წელს სულხან-საბა ორბელიანი საფრანგეთის იმპერატორისადმი წარსადგენ სამახსოვრო ბარათში საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრს ვახტანგის შესახებ სწერდა: „გარდა ამისა, ეს არის მეფე, რომელსაც გულწრფელად სურს მიბაძოს თავისი ხალხის ხსნისათვის გულმოდგინებას, რომელსაც იგი აღფრთოვანებით ხედავს უავგუსტოეს და მეტად დიდსულოვან მონარქში, რომელსაც იგი მიმართავს, რასაც იგი ვერ შესძლებს მისი მძლავრი მფარველობის გარეშე"[253].

ვახტანგი 1722 წელს რომის პაპს ინოჩენციო XII-ს მიმართავდა: „ოსმალების მთავარი აწ ამზადებს ჯარს ჩვენის საზღვრების ახლოს, რათა ჩვენი სამთავრო ერთიან მოაოხრონ და ეგრეთვე აქაურობაში ერთიან მოსპონ ქრისტიანობის სახელიც. ასეთ მწუხარებაში მყოფთ ჩვენ სხვა გზა აღარა გვაქვს, მის მეტი, რომ მოვმართოთ თქვენს მამობრივს წყალობს და მზრუნველობას. მხოლოდ მას შეუძლია ქრისტიანი

---

[251] გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 216.

[252] ვ. დონდუა წერს „და[მ]მართონ" და განმარტავს: „ბეზღება არ დამიწყონ" (საისტორიო ძიებანი, III, გვ. 82).

[253] [ი. ტაბაღუა], საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 183—184.

მთავრების ძალით, ან მათის შუამდგომლობით ოსმალეთის მთავრობას თავის მუქარა არ აასრულებინოს და ჩვენი ქვეყანა არ აოხრებინოს"[254].

ამასვე სწერდა იგი 1723 წელს რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეს არტემ ვოლინსკის: „Молимся вашей вельможности о заступлении к его императорскому величеству, чтоб не оставил нас и нашей земли, дабы не обасурманились от варварских рук" [255].

მოგვიანებით, გილანში დიპლომატიური მისიის შემდეგ ვახტანგი ამასვე ეხვეწებოდა რუსეთის იმდროინდელ დიდ მოხელეებს გაბრიელ გოლოვკინსა და პეტრე ტოლსტოის: „თუ ამ წყალობას მიზამთ, რომ ჩემის ქვეყნის კიდევ უფრო წახდენასა და გაურჯულებას არ მაჩვენებთ და ამას საფლავში არ ჩამატანთ, რომ ის ჩემს შვილსა და შვილიშვილს დაეკარგოს, ხომ კაი წყალობა იქნება. თუ არა და ნება თქვენია"[256].

რაჭის ერისთავი შოშიტა 1724 წლის 8 ნოემბერს პეტრე პირველს სწერს: „ქ. უმრწემესი მონა, ერისთავი შოშიტა, მოვახსენებ ცათა მობაძავს კარზე. ამას მოვახსენებ, ღმერთმან ასე მაგათს ურჩს გაუქიროს საქმე, როგორც ყოველს საქართველოსა და საქართველოს კაცთ რჯულით და ქვეყნით ურჯულოთაგან ჩვენ საქმე გაგვიჭირდა: ერთი ქვეყნის მომლელი რომ იყოს, ეს მეფე ვახტანგ იყო. ესეც დაგებარებინა და მანდ წამოვიდა ასე დავრჩით. ჩვენი საიმედო ამის მეტი აღარა არის რა, რომ ეგება მაგათგან ერთი ზურგიმოება და ამ ქვეყანას მოეშველოს, თვარამ ეს ქვეყნები გაუთათრებელი არ დარჩება: ახლა, ჩვენი სახვეწარი ეს არის. მაგათი საფარველი დაგვდვან და მაგათს მონებას ღირს გვყონ, რომ მაგათის დღეგრძელობის მლოცველნი ვიყვნეთ"[257].

1731 წელს რუსეთის დედოფალს ანა იოანეს ასულს ვახტანგი შესჩივის: „...А ежели моими причинами вторично Грузия разорится и обусурманится, то конечно я з душою пропаду" [258].

---

[254] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 340.

[255] გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, საისტორიო მოამბე, 41—42, თბ., 1980, გვ. 216. იხ. აგრეთვე: ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, I, გვ. 158—159.

[256] გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 165.

[257] მ. ბროსეს პუბლიკაცია: Переписка, на иностранных языках, грузинских царей с российскими государями от 1659 г. по 1770 г., С. Петербург, 1861, с. 173.

[258] ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, XVIII—XIX სს., თბ., 1967, გვ. 31.

ფავლენიშვილის პოემის „ვახტანგიანის“ მიხედვით რუსეთში გადახვეწილი მეფე-პოეტი რუსეთის დედოფალს, რომელშიც ეკატერინე პირველი იგულისხმება, მიმართავს[259]:

„თქვენის ბრძანებით დავაგდე ჩემი ქვეყანა ტიალი,
ურჯულოთ ხელში მყოფობენ, აქვთ შეწუხება-ზრიალი,
იმათის ცოდვის ცეცხლი მწვავს, უშრეტად
გზებით მე ალი,
და არ გაიკითხვენ, წესი არს მათში ძალა და რიალი.

ამას დიდათ ვეხვეწებით, მათ რომ უყოთ
მოწყალება,
თუ თქვენისა დოვლათისა არა იყოს საქმის კლება,
იმათ ასრე შემწუხებელს მიაელინე რისხვის ენება,
და სახელისა სვიანობით მადლის წილი თქვენ მოგხვდება.

ამის მეტსა წყალობასა არას ვითხოვთ
სიტყვის ჩვენით...“
(254—256. 1)

პოემის მიხედვით, დედოფალმა ვახტანგს ქართლის გათავისუფლებაში დახმარება აღუთქვა, ოღონდ თავისი ყველა რჩევა-დავალების შესრულება მოითხოვა:

„არ დაევაგდებ უსაცილოთ, ქართლს იპოოს მტერმა შური,
და ეს ასრე ქენ, რაც გირჩიო, თვალი მიგდე, სმენად ყური“.
(257. 3—4)

პოემის ეს ეპიზოდი ეხება რუსეთის ხელისუფლების მიერ 1727 წელს ვახტანგის დიპლომატიური მიზნით სპარსეთში, გილანში, გამგზავრებას, რომლის უპირველესი მიზანი რუსეთის იმპერიის სამხრეთში, უწინარეს ყოვლისა, კასპიისპირეთში გაფართოება და გაძლიერება იყო[260]. თხზულებაში ეს პირდაპირ არის ნათქვამი. დედოფალი ვახტანგს ეუბნება:

„წარემართე ყიზილბაშით, ხარ ბელადი ქვეყანისა,
შემამატე ზღვის პირები სხვათ სამეფო დიდის ხნისა,
სვიანობა ჩემი ყველა განაფინე მგზავსად მზისა,
და არ წავიხდეს ჭირნახული ჩემად ხორცად სულთა დგმისა“. (273)

რა თქმა უნდა. ვახტანგის ერთადერთ და გადაუდებელ მიზანს რუსეთის დახმარების გზით ქართლის გათავისუფლება და მამაპაპეული

---

[259] ს. ყუბანეიშვილი. ვახტანგიანი, კრებული: „ლიტერატურული ძიებანი“, IV, თბ., 1948, გვ. 175—219.

[260] ამ საკითხზე იხ.: გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 125—174.

კუთხისა და სამეფო ტახტის დაბრუნება იყო. მაგრამ, ვინაიდან რუსეთს მაშინ ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა, ვახტანგი ძალაუნებურად ჩაება რუსეთის პოლიტიკურ საქმიანობაში იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს თავის საწადელს მიაღწევდა. ამგვარი ხასიათისა გახლდათ მისი დიპლომატიური მისია გილანში. გ. პაიჭაძე წერს: „ვახტანგ მეექვსეს გილანში გამგზავრების გამო სპეციალური ინსტრუქცია მისცეს. ის ძირითადად შეიცავდა იმ პოლიტიკურ მოტივებს, რომლითაც რუსეთის მთავრობა ირანისადმი თავის დამოკიდებულებას ასაბუთებდა. ბუნებრივია, რომ ინსტრუქციაში ლაპარაკი იყო ეკატერინე პირველის მისწრაფებაზეც — გაეთავისუფლებინა ამიერკავკასიის ხალხები, მაგრამ დასაწყისშივე აღნიშნული იყო, რომ ვიდრე არ მოწესრიგდებოდა ურთიერთობა ირანთან და იქ შაჰის ხელისუფლება არ განმტკიცდებოდა, რუსეთი ვახტანგს ქართლის ტახტის დაბრუნებაში ვერ დაეხმარებოდა"[261].

ჩანს, ვახტანგს კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული, თუ რა მძიმე გზა ედო წინ და რა ძნელად შესასრულებელი საქმე ჰქონდა დაკისრებული, მაგრამ არაფერს უშინდებოდა. პოემის მიხედვით, ის რუსეთის ხელისუფლების ყოველგვარი დავალების შესრულებისათვის მზადყოფნას აცხადებს:

„შეკადრა: ქვეყნის მპყრობელო, სვემც არის თქვენი სვიანად,
რომელიც გნებავს, ისი ვქნათ, მალ შევიძლოთ თუ ჯვიანად,
მე თავიც დამიც სამონოდ თვისტომით ჩემით ყმიანად,
და შემირაცხია წყალობად, რისხვაც მიბძანო ზიანად.

ამას გკადრებ, ჩემი წასვლა ჯენებოთო ხადით აროს,
ხელ-მომართვით გამისტუმრეთ, მტერმან ჩემმან ვერ იხაროს,
ვის უბრძანო სამსახური, ეგრე პითა დაიზაროს,
და ასრე მსურის, ვით მწყურვალმა, მიაშუროს ჩქარა წყაროს".
(270–271)

ეს განცხადება რომ ლიტონი სიტყვები არ არის, „ვახტანგიანის" ავტორის ფანტაზიის ნაყოფს არ წარმოადგენს და სინამდვილეს შეესაბამება, ამას გვიდასტურებს გ. გოლოვკინისა და პ. ტოლსტოისადმი გაგზავნილი ვახტანგის ზემოთ ნახსენები წერილები, სადაც აღნიშნულია, რა თავგამოდებითა და თავგამეტებით ასრულებდა იგი რუსეთის მთავრობის დავალებას: „მრავალი თქვენი ყმანი გახლავან აქ, ამათ ჰკითხეთ, თუ რა სარჯელი მიმიღია ამ საქმეზე, ან რა ხარჯები დამმართებია, ან სიკვდილს არ დავრიდებივარ, ან როგორ გავრჯილვარ ზღვასა თუ ჴმელზე... მე ამისთვის თავი არ დავზოგე, რომ რადგან ჴელმწი-

---

[261] გ. პ ა ი ჭ ა ძ ე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 144.

ფემ მიბძანა. პირველი სამსახური იყო, რომ ეს გამერიგებინა, ბრძანება გამესრულებინა. თვარამ თქვენც მოგეხსენება, ამაში ჩემი სარგებელი არა იყო რა. ღ[მერ]თ[მა]ნ მაგათ სამჯობინაროდ წარმართოს, თვარამ ჩემი თავი მაგათის ჭირის სანაცლო იყოს...“ (გვ. 163).

ვახტანგის მიერ რუსეთის ინტერესებისათვის ეს თავდაუზოგველი სამსახური, ვიმეორებთ, ქართლის ბედზე ზრუნვით იყო გამოწვეული.

„ვახტანგიანის“ მიხედვით, როდესაც რუსეთის დედოფალი ვახტანგს კასპიისპირეთსა და ირანში აგზავნის, თან მიუთითებს, რომ შენს ქვეყანასთან ახლოს იქნები და ადვილად გაიგებ, თუ რა სჭირდება მასო:

„იქით სცნობ შენი ქვეყნისას — რა დროს რა მოეხმარება“.
(272. 3)

ამავე ნაწარმოებში მოთხრობილია: როდესაც ვახტანგის მეუღლე, რუსუდანი, გაიგებს, რომ თანამეცხედრე ირანს მიემგზავრება, ხოლო თვითონ და ამალის სხვა წევრები მოსკოვში რჩებიან, ის „თავშეწყენით“, საყვედურით მიმართავს ქმარს:

„ჩვენ აქ გვიშვებთ, მიბრძანდებით, ესე რჩევა როგორ ქენით?“
(279. 4)

პასუხად ვახტანგი უხსნის ცოლს, რომ ამის გაკეთება აუცილებელია, თუ კი ჩვენი ქვეყნის შველა გვინდაო:

„უბრძანა მეფემ: ნუ სწუხართ, საქმე მოხდეს კარგად ყველა,
მ ღ თ ი თ   ე ი თ   გ ვ ი ნ დ ა   ჩ ვ ე ნ ი ს   ქ ვ ე ყ ნ ი ს   გ ა რ ი გ ე ბ ა,
ი ს ე   შ ვ ე ლ ა,
ბრძენთა უთქვამს, ბოლოს ის სჯობს, არ აჩქარდეს, ქნას რამ ნელა...“
(280. 1—3)

ეს სიტყვებიც რომ სინამდვილეს გამოხატავს და ვახტანგს, ირანში მყოფ რუსეთის წარმომადგენელს, თავისი ქვეყნის ხსნის საკითხი გონებიდან არ შორდება, იმავე გ. გოლოვკინისა და პ. ტოლსტოისადმი გაგზავნილ წერილებიდან მეღავნდება: „ახლა მე ამას გეხვეწები, — წერს ვახტანგი, — რომ თუ ჩემის ქვეყნის რგება რამ მოხდება და იქნება ამ გზით და ამ საქმით, მე ხომ, თქვენც მოგეხსენებათ, მე სამსახურს ვერ შევძლებ ამგვარად, სხვის კელქვეითად რომ ვიყოთ“ (გვ. 164. ლაპარაკია ვახტანგის შეზღუდულ უფლებებზე).

რუსეთში ყოფნისას ვახტანგის ფიქრს, ოცნებასა და ზრუნვას სამშობლოზე გადმოგვცემს დ. გურამიშვილი[262]:

---

[262] დავითიანი, 1955, გვ. 94; 1986, გვ. 102.

„ამაზედ იყო მგლოვარე, ცრემლი ამისთვის ზდიოდა:
სამი კელმწიფე ზედი-ზედ მოკვდენო, — გული სტკიოდა;
თავისას, თავის ქვეყნისას უბედურობას ჩიოდა;
გაგრძელდა საქმე, გაძნელდა, რაღა ვსთქვა, რა ვარჩიო და?"
(სტრ. 480)

„ოდესაც ანნა კელმწიფე რუსეთზე გარდამწდომარე, გვირგვინოსანი ტახტზედა მეფემ (=ვახტანგმა) იხილა მჯდომარე“ (481), მაშინვე ეახლა მას და მშობლიური ქვეყნისათვის დახმარება სთხოვა:

„მეფე წადგა კელმწიფესთან, ცრემლით ღაწვნი დანასველა,
მოახსენა: — თქვენგნით ვარო არც მშიერი, არც შიშველა.
ამასა გთხოვ, შემიწყნარო, ბრძანო ჩემის ქვეყნის
შველა!
და — შეისმინა კელმწიფემა, რაც მან სთხოვა, მოსცა ყველა".
(482)

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ვახტანგი თითქმის ყველა მის პოეტურ თხზულებაზე მუშაობს მოცლილობის, ტყუილუბრალოდ ყოფნის ჟამს სევდის განსაქარვებელ საშუალებად სახავს. მაგრამ აქა-იქ გამოკრთის მისი მიზანდასახულობა — შექმნას თავისი ხალხისათვის საჭირო, გონებისა და სულის გამამდიდრებელი, მარგებელი ქმნილებანი.

მის მიერ სპარსულიდან გადმოღებულ და 1721 წელს ბეჭდურად გამოცემულ „აიათის“ ანუ „ქმნულების ცოდნის წიგნის“ წინასიტყვაობაში ვახტანგი იუწყება: „და საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოოკრებულიყო და არღარა დაშთომილიყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფთა და სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეკიცხოდენ. და აწ მე, მეფემან ვახტანგ, ესე სპარსული «აიათი», რომელ არს «ქმნულების ცოდნის წიგნი», «ზიჯი», «თალა მასალა» და სხვა ოქმების წიგნები ვთარგმნე მირზა აბდურიზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანაშეწევნითა და «სტროლაბიც» ქართულად გამოვიღე. ნუ უკუე ისწავონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილაფოსობა და გამოიღონ“[263].

ზემოთ სხვა საკითხებთან დაკავშირებით დავიმოწმეთ, მაგრამ აქ გავიმეორებთ, „სიბრძნე მალაღობელის“ ეპილოგში ნათქვამია:

„არმაღნად ესე დავაცვი ყრმათათვის მოსართმევლად...“ (809. 1)

---

[263] ამ გვერდის ფოტოპირი დაბეჭდილი აქვთ დ. კარიჭაშვილს (იხ. მისი: ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნე, თბ., 1929, გვ. 81) და ქ. შარაშიძეს (პირველი სტამბა საქართველოში, ტაბულა XXVII, ტექსტი, გვ. 200).

„ამირ-ნასარიანის“ შესავალი:

„სიბრძნემ მიმზიდა საამბოდ ამბავი საამბელადო,
შევმზადე რამე საზრდელი, არ სულა უგბობელადო“. (3. 1, 3)

რა თქმა უნდა, ვისთვისაც იღვწის ვახტანგი, ის მისი თანამემამულე, ქართველი ხალხია.

ვახტანგის ლიტერატურულ მოღვაწეობასა და საგამომცემლო საქმიანობაში პატრიოტულ მიზანდასახულობას აღნიშნავენ მისი თანამედროვენი. მაგალითად, „ჟამნის“ 1710 წლის გამოცემაში მკითხველთადმი უნგროვლახელის მიმართვაში წერია: „ყოველთა მკითხველთა: გიხაროდენ! ეჰა, საყვარელნო მკითხველნო, რომელთა დაგიდებ თქვენ სულიერსა ტრაპეზსა არა ლიტონად და კორციელად შემზადებულსა თვთოსახეთა სანოვაგეთაგან, საზრდელად კორცისათვის მორეწილთა... ხოლო არს ტრაპეზი იგი სულიერი ჟამნი ესე, რომელიცა ახლად დაგვიბეჭდავს თქვენე ქართველთა ენასა ზედა... შრომითა და წარსაგებელითა ვახტანგისათა, რომელიცა დიდად დაშვრა და იღვაწა შესამკობელად სამკვიდრებელისა და ნათესავისა თქ[ვე]ნისა ყოვლის თჳთოეულის სამღთოსა საქმითა და უმეტესად საეკლესიოსა და სულიერისა სასარგებლოდ. თქვენ განგამდიდრათ, ვინ´ცა თქვენთვის ნებავს მოგება საუნჯისა ამისგან სიმკურვალითა გულისათა და სიმდაბლითა სულისათა“[264].

ამრიგად, თავისი საქმიანობითა და შეგნებით ვახტანგ მეექვსე მშობლიური ქვეყნისა და ხალხისადმი ნიადაგ მზრუნველ, თავდადებულ ერისკაცად გვევლინება. სამშობლოს წინაშე მისი, როგორც მამულიშვილის, დამსახურება იმდენად დიდი და განსაკუთრებულია, ძველ საქართველოში ცოტა თუ ვინმე შეედრება. მაგრამ ერთია მწერალი-მოქალაქის სიყვარული თავისი ქვეყნისა და ხალხისადმი, პატრიოტული თავდადება და მეორეა მისი მწერლობაში გამოხატვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ვახტანგის პოეზიის ანალიზისას პატრიოტული მოტივის შემცველ თხზულებად უპირველესად და უმთავრესად მიჩნეულია „სალბუნად გულისა“.

ამ ნაწარმოებში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ქართლის სურათებს, იმ ადგილების გატაცებით აღწერას, სადაც მეფე-პოეტი გაზაფხულიდან ზამთრამდე ნადირობდა, ნადიმობდა და ლაღად ატარებდა დროს (სტრ. 26—64).

---

264 ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 190.

ჯერ დახატულია გაზაფხულის მშვენიერება:

„რა მზე გარდაჯდეს ვერძზედა, აერმა შექმნას თბობანი,
ამწვანდეს ტყე და მინდორი, მფრინველთ დაიწყონ ხმობანი,
აყვავდეს ყოელი ქვეყანა, ტრფიალთა შექნან დნობანი..."

(26. 1—3)

ამ დროს განსაკუთრებით მომხიბვლელი და თვალწარმტაცია თბილისი:

„რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა,
მწვანედ ღელავდეს გარემო, ცვარი ცას მაზედ ესხასა,
თუ არ უშმაგო, ვინცა ქნას, მაზედა რითმე ესხასა,
და მე ასე მითქვამს, უთუოდ ის კაცი იყოს, ეს ხასა!" (27)

ისმის ბულბულის გალობა, რომელიც თავის მიჯნურს, ვარდს, ეტრფის (სტრ. 28). იმ ხის ქვეშ, სადაც „ჰიკჰიკობდეს ვარდს ბულბული", „იჯდეს მოყმე ვინმე" და „თვით გვერდთ უჯდეს მისი ჯუფთი" (29). „ფერად-ფერადი" ყვავილებით გარშემორტყმული „ტურფად ნაზარდი" ცაცხვის ქვეშ კი „ფარაღათად მსხდომელთა ლხინი" გაუმართავთ და „სმენ უცხოფერსა ღვინოსა" (30). დიდგორს, სადაც „ჩირთი არა ჰქონდეს განაშალი", ნადირობა გაუჩაღებიათ: „ჯერგა მაღლა მოიძახდეს...", „აქ დასცენ და იქ ისროდენ..." (31).

შემდეგ აღწერილია ლილოს ტბაზე წეროზე, მწყერსა და ღალღაზე; ნადირობა:

„ლილოს ტბაზე წეროობას, ნეტარ, რამცა შეედარა,
შავარდნისა ნადირობით ეისმცა თავი შეეზარა!
ჩირგვის მწყერს და ღალღას ხოცდენ, სეფქით გორად დაეყარა,
და მუნ მწვანეზედ კარვად დასხდენ, ლხინსა ხელი წაეყარა.

ზარს ჩასავლებსა ქორებსა აშურებდიან სატევად,
მოვიდენ, შექნან ნადიმი, სახლსა ზარობდენ სატევად..."

(32—33. 1—2)

ივნისში კი იქვე თევზაობა იმართება:

„რა ივნისში წყლებმა შტონი გაამრავლოს გარდადენით,
მის წყვეტისა შექცევისთვის მოარობდენ გარდადენით;
ბელტსა ჰყრიდენ, იძახოდენ: «ძელი ძელსა გარდადენით!»
და თევზსა ჰყრიდენ ნაპირზედა, არ ეტევის გარ დადენით." (34)

ამ დროს ასევე მომხიბვლელია კოჯორი, სადაც თვალსა და ყურს ატკბობს ყვავილთა მრავალფეროვნება, ბულბულთა გალობა, ხოხბებისა და კაკბების ბარტყობა:

„კოჟორიც ითქმის ერთ რადმე, თუ პაემ არ იაოსა.
ყვითლად ყვაოდეს პაია, ნარგიზი ვერ ედაოსა;
მუნ ბულბულისა ზახილმა კაცს სევდა მოაქაროსა,
და ხოხბის და კაკბის ლაპობით, ვეჭვ, თავი შეგაზაროსა". (35)

შუა ივლისში „სხვა თემი“ ვერ შეედრება თრიალეთს მწყერზე, არჩვსა და ირემზე სანადიროდ, მდინარე ქციას კი ორაგულსა და კალმახზე სათევზაოდ:

„შუას ივლისში თრიალეთს სხვა თემი რამც ედარაო,
ჯერ მწყერაობით შექცევა, თუ ცამცა მოიდარაო,
მერმე ქციისა დასავლა, ორაგულს ყრიდენ ვარაო,
და ჭერით, ზიდეით და აკიდვით ყოვლთ თავი შეაზარაო.

წყალსა ნაწყვეტსა მწვანეზე მჭვრეტელნი მზერდენ ას ერით,
იჭერდენ მაშიგ კალმახსა: «დაჭერ», — იძახდენ, — «ასერით»!
კვლავ მოდიოდენ მინდორად არჩვი, ირემი ა სერით.
და მისმან მნახავმან ეს მითხრას, ეს ისე ეაქო ისე რით?!“ (36—37)

ამავე პერიოდში მრავალფრად ყვავის შამბიანი. აქაური ჰაერი და წყარონი სულსა და გულს ახარებს. აქაც საუცხოო სანადიროა ხარ-ირემზე, როჭოსა და გნოლზე, კალმახზე:

„მაშინ შამბიანს მთა-ვაკე მრვალფრად აყვავდებოდეს,
ბროლისა მსგავსნი წყარონი ციმციმით მოსდინდებოდეს,
სამოთხის მსგავსის ჰაერით გულს ჭირი მოლხინდებოდეს,
და ცუდი ცდა არის, გაყრილსა სხეით გული დაედებოდეს.

რა მიმართონ მისა მზღვარსა, მხიარულთა დაიბარვონ,
მას ღამესა რაც მართებდეს, იარაღი მოივარგონ,
დილას ჯელგა შემოხვიონ, თავის მკვრელსა კარგად არვონ,
და სწყვეტდენ, ჰხოცდენ, სისხლის მათით სევდა სულა დაიკარგონ.

ჯერგის მფრთხალსა მონარბოლსა ხარსა შამბი ედებოდეს,
დამაშვრალსა წყაროთათვის გულსა ცეცხლი ედებოდეს,
ჩამოვიდენ, კარვად დასხდენ, წინა რქანი ედებოდეს,
და უგზავნიდენ დანიშნულთა თვისსა, გინდა ედებოდეს.

როჭოს ლაპი მომაეალთა შექნან ბეერი საგალია,
გნოლი წითლის დევნებითა ქვე მიწაზე საგალია,
კალმახისა გასაწყვეტლად დაუნაყონ საეალია,
და ეაჲ, სოფელმან დღენი ჩემნი აწე ცუდად სა გალია!“ (38—41)

აქედან მონადირენი და მონადიმენი შავნაბადას მიემართებიან. ფარავნის ტბაზე ბადით იჭერენ თევზებს. აქვე ხოცავენ არჩვსა და სხვა ნადირებს. განსხვავებული კალმახი სცოდნია ტბისყურს. მოუვლელს არ ტოვებენ ხევღრმასა და ფილტვიანის არეებს, სადაც მრავლადაა

„რქა-მაღლად ზრდილი ხარები", კლდის თხა, მინდორში — მწვადივით გემრიელი სოკო. კარგ ამინდებში საამოა ერჯევანი:

„ამას უკან მხიარულნი გაემართნენ შაენაბადით,
ფარაეანზე შექცეულნი თევზსა სწეევდენ მუნა ბადით,
არჩესა ხოცდენ, სხვას ნადირსა, თუ რამ ჰქონდეს მთას ნაბადით;
და მნახთ არ აქონ, ეით იქნების, თუ ქვეყნად არს იგ ნაბადით!

ნუ გიკვირს, რომ ტბისყურისა ქება ვერ ვთქვათ ახლა სრული,
გაიხსნების უცხოთ რათმე მუნ შეკრული მწარედ გული;
ხენი ზრდილნი ტურფად რათმე ნაპირს უკავს შემორვული,
და სხვა კალმახი მის კალმახთან, დიალ, არი დაკარგული!

ხეელრმა რასათვის დავაგდოთ, ან ფილტვიანის არები,
მინდვრად მოსული მანძილო, რქა-მაღლად ზრდილი ხარები,
კვლავე ნიამორი უცხონი, დომბისა შესადარები,
და გაამოს ერჯევანმაცა, თუ დაგხვდეს კაი დარები". (42—44)

ნადირობითა და ქეიფით გულნაჯერები მონადიმეები თბილისში ბრუნდებიან და გოგირდოვან აბანოში განისვენებენ, აქაურ ნაირ-ნაირ ხილს შეექცევიან:

„რა გათავდეს ეს შექცეეა, კვლავ მოეიდენ ისევ ტფილისს,
აბანოსა განისვენონ, ქებაც ითქმის მცირე ძილის;
სანუკარი მრავალფერი, სიმრავლეა უცხო ხილის,
და იშეებდენ და იხარებდენ, ვის რა ჰქონდეს, თავის წილის". (45)

პოეტი აღტაცებით იგონებს მაშინდელ ლხინსა და გართობას. შევარდნებით წეროზე ნადირობას:

„თუ გაკითხვა სოფელს ჰქონდეს, კაცი ძაძოს, იქ რათ წეროს,
მუნებური შექცეეანი ვინ აღრაცხოს, ან ვინ წეროს?!
აიყვანონ გავაზები, მხარ-ბარკალსა სწყვეტდენ წეროს,
და შაეარდნითა შექცეეასა, ეაჲ, სოფელო, მიმაწევ როს?!" (46)

შემოდგომაზე ნადირობა გრძელდება სომხითში, სადაც ბლომად ყოფილა ხოხბები, კაკბები, იხვები:

„შემოდგომაზე სომხითმა, ვეჰ, თავი მოგაწონოსა,
ახალს გამოსულს ქორებსა ფრთა კარგად დაესწოროსა,
ხოხობი მაღლა ფრინეედეს, კაკაბი დაელოშოსა,
და ტაბლით ნამაღლი იხვები კამარით ქვეშ ევოროსა". (47)

ძოვნიაში „ფიცხლად დახლტოდეს" კურდღლები, რომლებსაც ბებრებიც კი ჭაბუკურად დასდევენ:

„ძოენია არის საქები, ვაჟკაცთა ვამჭიმავია
ფიცხლად დახლტოდეს ყურდგელი, სროლაზე ჰქონდეს დაეია,

იქცევდენ ბევრგან მწევარნი, ზოგისა დამჭირავია;
და ბერნიც ამგზავსოს ყმაწვილსა, ეს მითხარ, როგორ აეია!" (48)

აქედან ხუნანამდე დებედასა და ქციაზე დღე და ღამე გრძელდება ნადირობა. შემდეგ ისევ თბილისში ბრუნდებიან:

„ხუნანამდი დღივ და დღივე მიწყივ ჰქონდეს ესე ყოფა.
დებედას და ქციაზედა გულს არ უყონ ლახვარს ყოფა,
ოყარს გავაზს ადევნებდენ, ისა ჰყვაო კარგა ყოფა,
და აწ ტფილისივ მოივონონ, კვლავ არ უყონ იმას ყოფა". (49)

აქ ცოტას შეისვენებენ. ბლომად მოიპატიჟებენ სხვებსაც და ისევ აიშლებიან სანადიროდ:

„ცოტას ხანსა მოისვენონ ყარაისთვის განახელთა,
დროთ მისწერონ ყოველთა წიგნი ამ საქმეზედ მათ მხმობელთა,
მოკრფეს ჯარი სატურფალი, «ვახი» ჰქონდეს მუნ მჭვრეტელთა,
და გაემართნენ მხიარულნი, მიგრაგნიდენ მთა და ველთა". (50)

ჯერ ლოჭინის არემარეში საჯოგის ჭალამდე კაკაბზე ნადირობენ. მეორე დღესა ხოხბებსა და ტყის „ნადირთ გააველონ ერთპირ ხალია":

„ლოჭინს შეექცენ კაკაბსა, სად ჩადის მცირე წყალია,
საჯოგის ჭალას მიეიდნენ, ცეცხლს ჰქონდეს მაღლად ალია,
მეორეს დღესა ხოხობსა დამართონ დიდი ძალია,
და ტყე მოირეკონ, ნადირთა გააველონ ერთპირ ხალია". (51)

მომდევნო სტროფებში გრძელდება გრანდიოზული ნადირობისა და ლხინის აღწერა. ნადირობენ გარეულ ტახზე, ირემზე, შველზე, ქურციკზე. ეჯიბრებიან ერთმანეთს სისწრაფესა და სიმარჯვეში:

„ნაგებით დაგხვდეს ყორული, ტახი ლომებრივ მბრძოლია,
ირემი, შველი სახუნდარს ფირცხლად რამ შემომსელელია;
მაშინ ხამს თვალის სიმარჯვე, ხელი ფიცხობის მქნელია,
და მიართვან მეფეს მოკლულნი, კელაე მიჰყონ ლხინსა ხელია.

ჯელგა ნახონ, გარდასთვალონ, სულ მოსულა ანუ არა,
გარდამკვრელი გააჩინონ, გააყენონ მათგან გარა,
მათ ასწერონ, ვითა ხამდეს, ვინ ვისთანა დაეკარა;
და შუაღამეს გაემართნენ, რად ვისმემცა დაეზარა!

შემოარტყან მინდორს ჯელვა ცხენ-ფიცხელი, მუხლად მალი,
დაეკარნენ, ნელა მიჰყვნენ, მათგან იყვნენ დაუმალი;
მუნ ქურციკი შიშისაგან შექნილიყოს მწვე საწყალი,
და ლიკლიკასა მონარბენსა ზოგმან მოჰკრას ვერცა თვალი". (52–54)

ამას კვლავ აღტაცებული მოგონება მოსდევს: „მუნ მყოფთა კეკლუცად მოვანებანი“, „ბედაურთ ცხენთა სიმსუქნე“, „იარაღთ ტურფად გაწყობა“ (55); სიძლიერე „ლომთა შესადარი“ კაცებისა, რომლებსაც „ცხენი ჰყვანან ბედაურნი“ (56). ისევ გრანდიოზული სურათები ნადირობისა: „რა მოსვლა შექნას ნადირმა“, „ზოგი იქ დასცენ, ზოგს დაჰრილს მისდევენ მისადავითა“ (57); „ცხენთა სირბილითა მიწა თრთოდეს“, „ცას ღრუბელად მტვერი ჰქონდეს“. „მუნ მოკლული“ ჰყრია უამრავი ნანადირევი (58). შეჯიბრებაში ისე გართულან, „მხცოვანი და ბერიკაციც მუნ შექმნილა განარეტი“ (59). ვინც ცოტა მოინადირა, „ჰქონდეს მოწყენა მიუთხრობელი“. „ზოგი თქართქარით იხარებს“, „ზოგნი ცილობენ: მე მოვკალ, შენ ძალისა ხარ მქებელი“ (60). მოაქვთ და „ბატონს წინა“ „ხორად“ ჰყრიან ნანადირევს. აქედან ის „ზოგს უბოძოს, შინ გაგზავნონ“. ისევ და ისევ „ცილებაა, ვინ კარგად ჰკრა, ან ვინ შორა“. „ამ ლაღობით ლხინად სხედან, ამას უკეთ იამო რა!“ (61).

ნადირობა კვლავ გრძელდება:

„არ გაძღენ სისხლთა მათთაგან, არ შეიცოდეს მკვდარია,
მაღლიანს ჯელგა მოასხეს, შექნეს ზეიმი, ზარია;
ფრანგთ ომს ამსგავსეს, რაც მათგან მუნ თოფი განაყარია.
და ჰყრია მოკლული მრავალი, კაცთაგან მოუხმარია.

მათ მიმართეს აღრინტალსა, კიდევ ჰყარეს მასცა ხელი,
ქორს და ძაღლსა აღევნებდენ, ხერხსა ცდილობს მისებრ მელი;
იქაც შესვდენ ნაფთხალს ჯერანს, რა გაფანჩეით იყვნენ მსვლელი,
და ცარიელად გამოსულთა დევნა უყვეს, დიაღ, ძნელი“. (62—63)

ამის შემდეგ სალოცავად მიემართებიან დავით გარეჯში განლაგებული ეკლესიებისაკენ:

„ამას უკან სულისათვის უდაბნონი მოილოცე,
წმინდას დავითს თაყვანი-ეც, ერთი მადლი გაიოცე!
ბერთუბანო ჩიჩხიტურით, ცოდვა ჩემი ამიხოცე,
და ნათლისმცემლით წამებულო, დოდოვ, მტერი დამიხოცე!“ (64)

ამით მთავრდება საქართველოში გატარებულ დღეთა მოგონება, ქართლის სხვადასხვა კუთხის ხატოვანი აღწერა[265], იქაური ნადირობა,

---

[265] „სალბუნად გულისა“-ში წარმოსახულ ქართლის სურათებს გ. მაღულარია სპეციფიკურ მხატვრულ მოვლენად განიხილავს და მაღალ შეფასებას აძლევს. მკვლევარი ასე მსჯელობს: „ძველ ქართულ ლიტერატურაში ბევრი ნაწარმოები მოიპოვება ისეთი, სადაც ბუნებაა აღწერილი, მაგრამ ბუნების ამგვარ აღწერას პეიზაჟთან საერთო არაფერი ჰქონდა... რაც შეეხება პეიზაჟს, იგი მხოლოდ მეთექსმეტე საუკუნეში გაჩნდა ევროპაში, თუმცა, როგორც ხელოვნებათმცოდნეები ამტკიცებენ,

ლხინი და დროსტარება, რომელიც საგანგებოდ ასე ვრცლად წარმოვადგინეთ.

როგორც ჩანს, აქ მოთხრობილი ამბები ძირითადად და არსებითად სიმართლე, ისტორიული სინამდვილე იყო. ამასვე გადმოგვცემენ მემატიანეები.

ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს: ზურტაკეტში „არყნალ-შამბიანის ჴევს შუა არს წყარო შუენიერი, რომელი მარმარილოთი აღაშენა ჟ-დ მეფემან ვახტანგ. ამ მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე ჯოგ-ჯოგად და ხროდ, და სხუათა ნადირთაცა. მოინადირა ჟ-დ მეფემან ვახტანგ, და მოკლეს დღესა ერთსა რ-პ" (გვ. 317).

„ეძანს ქუევით და ახალქალაქს ზეით გარდმოდის ქცია მაღლის კლდიდამ, ვითარცა ღარიდამ. ძირს აქუს ტბა დიდი. ამას ზემორ ვერ აღვალს ორაგული და დიდნი თევზნი, არამედ არს მას ზემორ კალმახი, დიდნი და მცირენი, მრავალნი გემოიანნი. ჟ-დ მეფემან ვახტანგ მოინადირა ტბა ესე კირსაგლითა. და იპყრეს ორაგული, თვინიერ კალმახისა და სხუა თევზთა, მას ერთს დღესა შ" (გვ. 319).

„ხოლო ვახტანგ განაგებდა წინათქმულთაებრ ქართლსა, ნადიმობდა და ნადირობდა ზამთარს ყარაია-სომხითსა, შემოდგომა-გაზაფხულს გორსა და ტფილისს, ზაფხულს თრიალეთს შამბიანსაზე" (გვ. 488).

„ხოლო ვახტანგ, გამგე ქართლისა, შემდგომად გლოვისა (რაც გამოიწვია ძმის, ქაიხოსრო დალუპვამ — ბ. დ.) იშუებდა და ნადირობდა წინათქმულთაებრ" (გვ. 491).

სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს:

„დღესა ერთსა ინება ნადირობა მთისა და წაბძანდა თრიალეთსა და შანბიანსა მთასა, ვითაცა არას ხელმწიფისაგან არ ნადირებულ იყო ამ რიგათ და დაიბარა ქართველთ-დარბაისელნი და შემოადგენ კეჩუტსა და ინადირა სარბევითა და შეიქნა ირემთა მოდენა, იყო სარბევი ძნელი და

პეიზაჟი, როგორც ხატვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და დამოუკიდებელი ჟანრი, იაპონელებს ჯერ კიდევ მერვე-მეცხრე საუკუნეებში ჰქონდათ. ბუნების ჩვეულებრივ აღწერას ან დახატვას პეიზაჟისაგან იმით ანსხვავებენ, რომ პეიზაჟში მხატვარი რაიმე ტიპიურს ან ცნებიერს კი არ გამოხატავს, არამედ საკუთარ იდეებსა და განცდებს. სწორედ ამიტომ თვლიან პორტრეტულ მხატვრობას ხასიათისა და ინდივიდუალური ნიშნების გამომხატველ ჟანრად, ხოლო პეიზაჟს ემოციური განწყობის ჟანრად. რა თქმა უნდა, არავითარი საბუთი არ არსებობს იმის სასარგებლოდ, რომ ვახტანგმა იცოდა პეიზაჟის, როგორც მხატვრობის ერთ-ერთი ახალფეხადგმული, დამოუკიდებელი ჟანრის არსებობა, მაგრამ იმის დაშვება კი შეიძლება, რომ, როგორც პიროვნება, იგი უკვე მომზადებული *იყო ბუნების წიაღში საკუთარი განცდებისა და იდეების შესატანად*. პოემაში „სალბუნად გულისა" ისეთი განცდით აგვიწერს სამაისო თბილისს, დაცვარული სარეველის ღელვას, ტოტებგაშლილ ცაცხვს, კოჯრის ნიავს და მის შემოგარენს, რომ პოემის ამ სტრიქონებში პეიზაჟის, როგორც მხატვრული ჟანრის, ელემენტები უთუოდ იგრძნობა" (გ. *მაღულარია*, ლიტერატურული პორტრეტები, გვ. 153—154).

ქვიანი. მოვიდა ხარი ერთი და გარდაიხტუნა მართალსა მხარსა გამგებელმან საქართველოსამან, ვითარცა სირი იყო, ეგრე მოკლა. ეგრეთვე დარბაისელთა ამოსწყვიტეს. დაჯდა ნადიმად, რაც ოდენი პატრონსა ჩვენსა მოართვეს, იყო სამოცი-ოდენი. მეორესა დღესა შემოვადექით შანბიანსა, შემოარტყა იმგრგულივ ჯელგა, დადგნენ სახუნდართა შინა და გააკრეს არყნალისა ხევი და მოვიდა ნადირი უანგარიშო. შეიქნა სროლა, თქვენმა მზემა, ამას ბძანებდით, ერთს ომში ამდენი სროლა არ ეგებისო. ამოსწყვიტეს, დაბალთეს, თვით პატრონმა ჩვენმა თოფით სამი მოკლა. შეგვექნა სიხარული დიდი. დაჯდა ნადიმსა ზედან, მოართვეს მას დღესა ირემი ას-სამოცი და სხვას ნადირს ვინ დასთულიდა, ნახა ლხინი და გაცემა უშურველი და ჩამობძანდა თავსა ახალქალაქისასა და ბრძანა დასაგულა ქციისა და მოახსენეს ყოველთა: «თავმან თქვენმან, არას ოდეს არ ქნილა და ან ვინ ჩავა ამა კლდესა შიგან». კლდე იყო ძნელი და მას კლდესა ქვეშე მორევი დიდი. ახსენა ღმერთი და სახელი ქრისტესი, დადგეს კარავი კლდისასა, დაჯდა ნადიმად, ჩაუშვეს კირი, იახლა დარბაისელნი, შეიქნა ჭერა ორაგულისა. ზენარმა ღუთისამან და მზემან პატრონისა ჩემისამან, ერთი დღე უკუყრისა ამას ვერა სჯობდა, იჭერდენ და მოქონდათ გაუწყვეტლად, შეექნა სიმხიარულე, გაცემა უშურველი, მოვიდა წინაშე ორაგული ორას-სამოცი, თვინიერ ვინც სხვათ მჭერელთ წაეღო, იმას გარდა, იტყოდიან ოთხასი დაიჭირესო. შეგვექმნა სიხარული ამა შექცევისათვის, ერთი ამისთვის, რასაც საქმეს ძნელსა ბძანებდის, ადვილად იქნებოდის. ჩამობძანდა ქალაქსა ტფილისისასა, დაჯდა ნადიმად სახლსა პატიოსანსა..." (გვ. 324).

სამეცნიერო ლიტერატურაში „სალბუნად გულისა"-ს დამოწმებული ეპიზოდები, საქართველოს მომხიბვლელი სურათების აღწერა პოეტის პატრიოტული გრძნობის გამოხატულებადაა მიჩნეული. ალ. ბარამიძე წერს: „პოეტი გატაცებით და სიყვარულით იგონებს მშობლიური ქვეყნის ძვირფას კუთხეებს, ლამაზ პეიზაჟებს, სიხარულისა და განცხრომის დღეებს..."[266] „ტყვეობისყამინდელი სულის შემხუთავ ატმოსფეროში პოეტს უზომო სიამეს ჰგვრიდა მშობლიური ქვეყნის სურათების შორით მოლანდება: აი, თბილისი, ვარდობის თვის, მაისის თვის აყვავებული და დამშვენებული მისი თბილისი («რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა»). რა დაავიწყებდა მას თრიალეთის ამწვანებულ მთებს, ფარავნის ტბას, კოჯრის აგარებს, შამბიანს, «ბრდღვიალა» კალმახებით სავსე მდინარე ქციას, სომხითს, ყარაიას, ქართლის ატეხილ ჭალებს, უნაპირო მინდვრებს და ველებს, იქაურ კაკბებს, ხოხბებს, შვლებსა და ხარ-ირმებს. აბა, გნოლი და ღალღა რა სათქმელია!"[267].

---

[266] ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 444.
[267] მისივე, ნარკვევები..., VII, გვ. 184.

ლ. მენაბდე: „ირანელთა ტყვე გულისტკივილით იგონებდა მ შ ო ბ- ლ ი უ რ ქ ვ ე ყ ა ნ ა ს — მომხიბლავ ქ ა რ თ ლ ს, თვალისმომჭრელი სილამაზის დიდებულ სანახაობასა და თვალწარმტაც არემარეს, ს ა- ნ უ კ ვ ა რ მ ხ ა რ ე ს ა და ს ა ნ ა ტ რ ე ლ მ ი წ ა-წ ყ ა ლ ს (თბი- ლისს. კოჯორს. შავნაბადას, ლოჭინსა და სხვ.), ბულბულების გალობა- სა და ფერად-ფერად ყვავილებს, ქ ა რ თ უ ლ ნადიმსა და დროს ტარებას. დიდგორს ნადირობასა და ლილოს ტბაზე წეროობას, თრია- ლეთის მწყერობას, ქციასა და ფარავანზე თევზაობას, სომხითში კაკაბ- ხოხბის დევნას და ა. შ.

მოგონება სიამეს ჰგვრიდა, მაგრამ წყლულს უახლებდა და ტკივილს უმძაფრებდა ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ გ უ ლ ა ნ თ ე ბ უ ლ პ ო ე ტ ს. თავის რომანტიკულ განწყობილებასა და ლირიკულ გან- ცდას იგი ხშირად ალტაცებული შეძახილებით გამოხატავდა". ნიმუშე- ბად მითითებულია 27. 1, 33. 1—2, 36. 1 და 46. 2 სტროფები[268].

მ. კაკაბაძე: „ს ა მ შ ო ბ ლ ო ს მოშორებული ვახტანგ მეფე მუდ- მივ ოცნებაშია იმ გარდასულ, სვებედნიერ დღეთა გამო, როცა მეფო- ბით ძლევამოსილი მ შ ო ბ ლ ი უ რ მხარეში იზიარებდა თ ა ვ ი ს ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ჭირსა და ლხინს, მ ი ს ი ცხოვრების მომხიბვლელობას და სილამაზეს. მ ი ს ი მზის სითბოს. მსგავს განწყობილებათა გამო- ხატულებაა ვახტანგის შესანიშნავი ლექსი, გახსენება თბილისისა მაი- სის თვეში"[269].

რამდენადაც ვახტანგის მოღვაწეობიდან ჩანს მისი, როგორც მოქა- ლაქისა და მამულიშვილის, ბუნება, სხვა რა შეიძლება წარმოვიდგი- ნოთ, თუ არა ის, რომ სპარსეთში ტყვედ მყოფ პოეტს ალბათ უზომო სიამოვნებასა და ნეტარებას მართლაც ჰგვრიდა მშობლიური კუთხის მოგონება, მით უმეტეს, როცა იგი ლხინსა და ბედნიერებას უკავშირ- დებოდა. მაგრამ დასმული საკითხისათვის, ბუნებრივია, მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ ამ მოგონებებში, საქართველოს, ქართლის აღწერილ სურათებში რამდენად იკვეთება მშობლიური ქვეყანა, სამშობლო, როგორც ასეთი, რამდენად წინ წამოწეულია და ხაზი ესმება მისადმი სიყვარულს. ამ თვალთახედვით „სალბუნად გუ- ლისა"-ს დამოწმებული ეპიზოდების განხილვა გვიჩვენებს, რომ მათში, ისე როგორც მთელ თხზულებაში, მოცემულია არა სამშობლოს, მშობ- ლიური და გამზრდელი გარემოს მოშორებით, არამედ, საზოგადოდ, თავისუფლების, ნადირობა-ნადიმობის, ლხინის დაკარგვით, მიუსაფ- რად, განსაცდელში ყოფნით გამოწვეული განცდები. ეს კიდევ უფრო ხელშესახებად ჩანს პოეტის სიტყვებში, რომლებიც ცალკეული ეპი-

---

[268] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 109—110.

[269] მ. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, გვ. 183.

ზოდების შემდეგ შემაჯამებლად მეორდება და არსებითად ერთსა და იმავე აზრს შეიცავს: ნახეთ, რა შვებისა და ლხენის დღეები მქონდა და ახლა რა ყოფაში ვარო.

მას შემდეგ, რაც აღწერილია გაზაფხულის მშვენიერება, თბილისში, დიდგორსა და ლილოს ტბაზე გატარებული მხიარულება, მწერალი პათეტიკურად შესტირის:

„რა ბრალი არის, ეს ჟ ა მ ი კაცსა შეექნოდეს სატევად!" (333, 3)

მეორე რედაქციული ვარიანტი:

„ბრალია, ესე ჟ ა მ ე ბ ი შემოხდომოდეს სატევად!"
(S 171, გვ. 5)

დიახ, დანანების საგანია „ეს ჟამი", „ესე ჟამები" და არა ეს ადგილი და ეს მხარე!

იმავე ბედნიერი დღეებისა და ყოფის დაკარგვას უნდა გადმოგვცემდეს აღნიშნული ტიპის შემდეგი შეძახილები:

„ცუდი ცდა არის, გაყრილსა სხვით გული დაედებოდეს!" (38. 4)

მეორე ვარიანტი:

„საბრალი არი, გამყრელსა გულიღა დაედებოდეს!"
(გვ. 6)

ეს სიტყვები უშუალოდ ეხება ივნისსა და ივლისში კოჯორში, თრიალეთს, ქციასა და შამბიანში გამართულ თევზაობასა და ნადირობას.

ამავე ხასიათის მომდევნო სიტყვებიც ნადირობისა და თევზაობის მორიგ სურათს მოსდევს:

„ვაი, სოფელმან დღენი ჩემნი აწე ცუდად სა ვალია!" (41. 4)

მეორე რედაქცია:

„ჩემნი დღენი საწუთრომა გააცუდა, სა ვალია!"
(გვ. 6)

ერთსა და მეორე შემთხვევაშიაც აზრი ისე ზუსტად გამოთქმული არ არის, როგორც ჩვენ გვაინტერესებს. ოღონდ ის კი აშკარაა, პატრიოტული სულისკვეთების სიმხურვალე მათში არ იგრძნობა.

სხვა შემთხვევაში პოეტის აღფრთოვანებისა და წუხილის მიზეზი პირდაპირ არის დასახელებული:

„შ ა ვ ა რ დ ნ ი თ ა შ ე ქ ც ე ვ ა ს ა, ვაი, სოფელო, მიმაწევე როს!"
(46. 4)

მეორე ვარიანტი:

„შავარდნისა შექცევასა, საწუთოო, მიმაწევ როს?!"
(გვ. 7)

ეს სტრიქონიც ისეთივე დასკვნითი ხასიათისაა, როგორც ზემოთ მოყვანილი ნიმუშები.

ანალოგიური აზრები უფრო ფართოდ გამოთქმულია განხილული ეპიზოდების ბოლოს, სადაც პოეტის მიზანდასახულობა კიდევ უფრო მეტად ჩანს:

„თქვით, ეს ყოფა კაცსა ჰქონდეს და შეჰქნოდეს დაკარგული,
როვორ გასძლოს მან სიცოცხლე, თუ არ ჰქონდეს სალებრ გული?!"
(65. 3—4)

„პირველ მალხინა სოფელმა შამბიანთ არე-მარესა,
ყარაიას და სომხითში, დიდგორის გასახარებსა,
სხვას რას შექცევას, რას შვებას, არ კაცთა
დასაზარებსა,
და აწ დამსვა მარტო, გასჭვრიტეთ, ქუჩუქას სახლსა, სარებსა!" (66)

„რას ვარგა კარგი საჭმელი მარილზე მოუწონია?..
აწ ვხედავ კარგსა ნასეტყვად, ავია, მიუწონია..."
(67. 1, 3)

„აწ გავათავე ლხინი და ვთქვა ჭირი შეუწონარი,
სიყრმითგან ჩემი მწირობა, კაცთაგან მოუგონარი,
რა სიგლახაკე, შიმშილი, სიშიშვლე დასაღონარი,
და მამაძებნინეს წერაქვი, აწ გამიჩნდების ონარი". (68)

„ცრუმან სოფელმან სიმუხთლით მწვე, მიკვირს, ჩემთვის ავო რა!
დღე ჩემი წინათ წარსრული ყრმათ ჩიკორისებრ ავორა".
(79. 1, 4)

შინაარსობრივად არაფერი იცვლება, ამასვე გადმოგვცემს მეორე რედაქციის შემცველი S 171 ხელნაწერი:

„ქონებოდეს ესე ყოფა, გაგეხადოს დაკარგული,
გაუძლია უქონელად განასალი კლდეებ გული".

„პირველად მოლხინებული შამბიანისა არებსა,
სასომხითოსა, დიდგორსა, ყარაის გასახარებსა,
საშვებსა, შესაქცეველსა, სამუდმოდ დაუზარებსა,
და აწყალა დამსვა მარტოკა ქუჩუქოვისა სარებსა!

„უვარელია საჭმელი მარილზე მოუწონია...
უყურებ კარგსა ნასეტყვსა, ავია მოუწონია".

(გვ. 9)

„გათავდა ს ა ლ ხ ი ნ ა რ ე ბ ი, ჭირია შეუწონარი,
ს ი ყ რ მ ე თ ა გ ა ნ ი მ წ ი რ ო ბ ა, კაცთაგან მოუგონარი,
ს ი გ ლ ა ხ ა კ ი თ ა შ ი მ შ ი ლ ი, ს ი შ ი შ ე ლ ე დასაღონარი,
და მამაძებნინეს წერაქვი, გამომიჩნდების ონარი".

(გვ. 9—10)

„საკვირველია, სოფელმან სიმუხთლისაგან აგო რა...
გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი დ ღ ე ე ბ ი ჩიკორისებრივ აგორა".

(გვ. 11)

როგორც ვხედავთ, ამ ლირიკულ სტროფებშიაც, ორივე რედაქციაში, ისე როგორც ქართლის სურათებში, ლაპარაკია მეფობის, თავისუფლების დროს გატარებულ ბედნიერ დღეებზე, მაშინდელ ყოფაზე და არა როგორც მშობლიურ მხარეზე, მისადმი გამსჭვალულ მამულიშვილურ გრძნობებზე.

ძველი, ბედნიერი, და ახალი, უბედური ყოფის ურთიერთდაპირისპირებას პოეტი „სალბუნად გულისა"-ში შემდეგაც გვაძლევს:

„საწუთროსა ცხენსა ვიჯექ, ლურსმანი ვქენ მონაწევი,
მრავლად იდგა ბაღსა მისსა ხილი მწიფე, მონაწევი,
რაცა მწადდა, მას ვიხმევდი, ხელით მქონდა მონაწევი,
და ახლა ვქნილვარ მტერთ სახრალად იქით-აქეთ მონაწევი". (81)

„გამიფრინდა სვისა ქორი, არ თუ არი განახადად,
ბედი, სვე და სპა და ჯარი ყველა მექნა განახადად;
ცრემლი მიმდის უფრო მისგან, რა სელი ქნან განახადად..."

(63. 1—3)

„ის მოსავალი პირველი დასეტყვა, ასე მეხა რა,
ზე-აღმართული სვე-ბედი ანაზდად ენახე მეხარა,
სამსალის უფრო გამწარდა, რაც ამას წინათ მეხარა..."

(86. 1—3)

„მაღლად მყოფო, სოფლისაგან ბოლოდ მიწად დაწყვეტილო..." (87. 1)

შესაბამისი მეორე რედაქციული ვარიანტები (S 171):

„საწუთროსა ცხენსა ვიჯე, ლურსმანი ვკარ მონაწევი;
გავმრავლა ბაღსა მისსა ხილნარები მონაწევი,
საწადელსა მოვისთვლიდი, ახლოობით მონაწევი,
და ანასდეულ გარდავიქეც მტერთა ნებად მონაწევი".

(გვ. 11)

„გამიფრინდა სვისა ქორი, ნუ ვგონია განახადად,
სპა, მოსპენი, ბედი სვითა გამხდომია განახადად;
ცრემლი მიმდის დანამეტად საზეთოსა განახადად...“

„მოსავალები პირველი დასეტყვა, ასე მეხა რა,
სვე-ბედი ამაღლებული ანასდეულად მეხარა,
სამსალისებრივ გამწარდა, წინათეე რაცა მეხარა...“

„სიმაღლეთა აწეულო, ბოლოდ მიწად დაწყვეტილო...“
(გვ. 12)

როგორც ვხედავთ, არც ამ სტროფებში იგრძნობა სამშობლო, მისადმი დამოკიდებულება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ვახტანგის პატრიოტული განწყობილების გამოხატულებად მიჩნეულია „სალბუნად გულისა“-ს ის სტროფები, სადაც მწირობითა და თავისიანთა ორგულობით გამოწვეული სევდა და სოფლის გმობაა გადმოცემული.

გ. მიქაძე წერს: „ვახტანგის ლექსების უმეტესი ნაწილი დაწერილია უცხოეთში ყოფნის დროს, როცა მეფე-პოეტი სამშობლოსა და დიდების დაკარგვის გამო შეპყრობილი იყო მძაფრი სულიერი განცდებით. რა თქმა უნდა, ძირითადად ამ გარემოებამ განაპირობა ის განწყობილებანი, რომლებიც ვახტანგმა თავის ძირითად ლექსებში ჩააქსოვა“[270]. „სამშობლოდან გადახვეწის გამო ვახტანგი დიდ სულიერ დეპრესიას განიცდიდა“ (იქვე, გვ. 511).

ლ. მენაბდე: „მგრძნობიარე პოეტს დღითი დღე უმძაფრებდა სულიერ ტკივილს მშობლიური მამულის დაშორებით გამოწვეული მძიმე სევდა და გულის შემაღონებელი კაეშანი. შექმნილმა ვითარებამ, — სამშობლოს დატოვებამ, ტახტის დათმობამ, პოლიტიკურმა მარცხმა — შეაშფოთა და შეაძრწუნა იგი...“[271]

თავისთავად აქ გამოთქმული მოსაზრებანი მთლიანად და ზედმიწევნით სწორია. თავისი ქვეყნის, არა მარტო როგორც სამეფოს, თავისუფლად და ძლევამოსილად საცხოვრებელი ადგილის, არამედ როგორც სამშობლოს, აღმზრდელი მიწის, მშობლიურად ახლობელისა და ტკბილის, დაკარგვას მართლაც მნიშვნელოვნად უნდა განესაზღვრა ვახტანგის ჭმუნვა და ნაღველი, მისი პოეზიის სევდიანი კილო. მაგრამ მის ლექსებში, კერძოდ, „სალბუნად გულისა“-ში ეს სათანადოდ გამოხატული არ არის. თუმცა ამ ნაწარმოებში პოეტი აქა-იქ ახსენებს

---

[270] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 510.
[271] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 108.

ქართლს, თავის ქვეყანასა და ხალხს, ოღონდ მათ არ ახლავსეროვნული გრძნობა. ისინი წარმოდგენილია როგორც სამკვიდრებელი, სამეფო, მწირობის საპირისპირო ცნება, ადგილი, გარემო, სადაც მას თავისუფლება და მხიარულება ჰქონდა:

„დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი ტომნი, მონაძები,
დავეკარგულვარ უცხოს თემსა, ვარ არვისგან მონაძები".
(3. 1—2)

„რა მზე გარდაჯდეს ვერძზედა, აერმა შექმნას თბობანი...,
ქართლსა გააჰყრონდეს, ისპაანს კაცს მიხლომოდეს ნობანი"[272].
(26. 1, 4)

„ჰე, თაო, პირველ შევბულო, აწ უცხო ჭირსა ვარ დია...
მკვიდრი უმკვიდროდ შევიქენ, სამყოფთგან გარე ვარდია".
(84. 1, 3)

ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით ახალს არაფერს იძლევა მეორე რედაქციის ტექსტი.

დ. ზუმბაძე პატრიოტული თვალთახედვით განმარტავს მეოთხე სტროფს:

„დამეკლიტა ლხინთა ბანი, მორჩომილა განა კარი,
ცხრა მწვერვალი სახმილის: გულშიგან მაქვს განაყარი;
დამილტვეია უბე, კალთა, წინც ბევრი მაქვს განაყარი.
და რა ბრალია, შენი მჭვრეტი ექმნას სულსა განაყარი!"

მისი ახსნით, „«შენი მჭვრეტი» აქ საქართველოს მჭვრეტია. საქართველოს მჭვრეტი ჰგოდებს აქ მეფე — თავისი ქვეყნის უბედურებით «სახმილ-შეყრილი»" („ცისკარი", 1976, № 5, გვ. 120). ნამდვილად კი აღნიშნულ გამოთქმაში იგულისხმება სიკვდილის თვალებში ყურება, იმის ხილვა, თუ როგორ ეყრება პოეტს სული. ეს აზრი უფრო ნათლად იკვეთება მეორე ვარიანტიდან:

„საბრალი არ[ი] მჭვრეტელი სულისა განაყარები!"
(S 171, გვ. 1)

ერთგან განყენებულად ლაპარაკია „სახლ-სამყოფის, ზღუდის" სიყვარულზე:

---

[272] სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ნობა არის „საყვირ-დაფდაფნი". შდრ. „ამირ-ნასარიანის" ეპილოგი:

„არვის დაინდობს სოფელი მისანდოდ დაუნდობელი,...
მეფეთა ანუ გლახაკთა ბუკთა საჴიროს მხმობელი". (187. 1, 3)

„კაცს ვისმე სახლი-სამყოფი, ზღუდე უყვარდეს ამბარით,
იგ ტვიას როდის იქონებს, ამას უსუნებ ამბარით;
ვზარდო ფერადი ყვავილნი, მოვიღო მთით და ამ ბარით,
და მას ვინ გაუშვებს, გამკილვენ: «ამან მისთანა ამბა რით!»“

(96)

ამ სტროფის ნართაულ შინაარსს ზემოთ შევეხეთ. ახლა მისი პირდაპირი გაგების შესახებ: ვინაიდან მასში საუბარია მთიდან და ბარიდან ყვავილების შეგროვებასა და გაზრდაზე, გვაგონდება ვახუშტის მონათხრობი შემდეგი ამბავი: „და მთა კეჩუთისა და ბოლნისა არიან უტყეონი, და კევთა შინა არს არყნალნი და მთა ბალახოვანნი, შამბნარიანნი და წყაროიანნი. აქ არს ყუავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მ გ ზ ა ვ ს ნ ი ნ ა რ ი ს ა, და მიწასა ზედა განრთხმული, სურნელი, ვ ი თ ა რ ც ა ა მ ბ ა რ ი, და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი. ჟ-დ მეფემან ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ო ი ღ ო ს ა ვ ა რ დ ე ს ა შ ი ნ ა, არამედ არა ჰყო ნაყოფი“ (გვ. 314).

დამოწმებულ ლექსში გამოვლენილია ვახტანგის ფაქიზი და სათუთი ბუნება — სიყვარული სურნელოვანი ყვავილებისადმი. ლექსის შინაარსიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გამო, რომ ვახტანგს თვითონვე ჰყვარებია თავის ბაღში სურნელოვანი ყვავილების დარგვა, სიტყვები „სახლ-სამყოფი“ და „ზღუდე“ პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ და არა გადატანითი, განზოგადებული აზრით, როგორც სამშობლო. პოეტი იგავურად ამბობს: მას, ვისაც უყვარს თავისი „სახლ-სამყოფი“, სახლ-კარი, „ზღუდე“, კარ-მიდამო[273], იგი ტვიია ხეს კი არ „იქონებს“, არამედ „ფერად ყვავილებს“ დარგავს და გაზრდისო.

ლექსში „სახლ-სამყოფი“ და „ზღუდე“ რომ სამშობლოს მნიშვნელობით არ არის ნახმარი, კიდევ უფრო გარკვევით ჩანს მისი მეორე ვარიანტიდან:

„ზ ღ უ დ ე თ ა ს ა მ ყ ო ფ ე ლ ე ბ ი ასუნებოდეს ამბარით,
უქმია ტვია საქონლად, დაუსუნები ამბარით,
მოვიღო მთითა ყვავილი, დაფერებული ამ ბარით,
და მაინცა დამიძრახებენ: «ამან მისთანა ამბა რით!»“

(S 171, გვ. 13)

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „«ს ა მ შ ო ბ ლ ო დ ა ნ კ ი დ ე გ ა ნ ქ მ ნ ი ლ» მეფე-პოეტს ისპაანში დაუწერია საკმაოდ მოზრდილი ლექსი, რომელსაც «სალბუნად გულისა» ეწოდება. ა ვ ტ ო რ ი ს ა თ ა უ რ შ ი ვ ე ა ღ ნ ი შ ნ ა ვ ს, რ ო მ დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ უ ლ ი ლ ე ქ ს ი მ ა ს შ ე უ თ ხ ზ ა ვ ს ს ა მ შ ო ბ ლ ო ქ ვ ე ყ-

[273] სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ზ ღ უ დ ე არს ყოველ(ი) სიმრგვლით შემოვლებული, რაიც რაივე გარ მონავლები ქალაქთა, დაბათა, სახლთა, წალკოტთა, სათვალეთა, გინა თვალთა პატიოსანთა“.

ნის მოშორებით გამოწვეული სევდის გასაქარვებლად და ამდენად ის არის, მისივე თქმით, დაწყლულებული გულის მალამო“[274].

აქაც გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე. როგორც ზემოთ დავიმოწმეთ, ლექსის სათაურშია არა „სამშობლოსაგან კიდეგანქმნილი“, არამედ „სამეფოსაგან კიდეგანქმნილი“[275].

როგორც ვთქვით, ვახტანგის პატრიოტიზმს უკავშირებენ „სალბუნად გულისა“-ში გამოხატულ სოფლის გმობასა და თავისიანთა ორგულობით გამოწვეულ სევდას.

„ქართული ლიტერატურის ისტორიის“ დასახელებულ მეორე ტომში ვკითხულობთ: „სამშობლოზე ფიქრმა და მისი პირადი ცხოვრების წარუმატებლობამ ვახტანგის შემოქმედებაში შესამჩნევი გახადა სოფლისადმი მდურვის კილო. პოეტის თქმით, «სოფელი — ჩვენი მესისხლე — ზღაპარი არის, ყბედია». სოფლისათვის ნიშანდობლივია სიმუხთლე, მზაკვრობა, გაუტანლობა“ (გვ. 512). საილუსტრაციოდ მოყვანილია 91-ე სტროფი: „სოფლის ხლათის დაფაცვრითა...“

ლ. მენაბდის სიტყვებია: „ვახტანგის პატრიოტულ ურვას ამძაფრებდა თანამემამულეთა, თვისტომთა ღალატი, ახლობელთა ვერაგობა და სხვა. ყოველივე ეს უფრო აძნელებდა ვახტანგის ისედაც აუტანელ მდგომარეობას. იგი ნაღვლიანად იგონებდა თავის წარსულს, განვლილ ტკბილ დღეებსა და მწვავედ განიცდიდა ბედის ცვლილებას“[276]. ნიმუშად დამოწმებულია 81-ე სტროფი — „საწუთროსა ცხენსა ვიჯექ...“

„ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებულ რაინდს — გრძელდება მსჯელობა, — გული ატკინა თანამემამულეთა ორგულობამ, თანამოძმეთა განდგომამ“. დამოწმებულია 77-ე სტროფი — „ყმაზე წამიხდა წყალობა...“

ეს სტროფები ზემოთ ციტირებულია პირველი რედაქციით, როგორც გამოცემაშია დაბეჭდილი. განმეორება რომ არ მოგვიხდეს, აქ მოვიყვანთ მეორე რედაქციით, რომელიც შინაარსობრივად არაფრით განსხვავდება პირველისაგან:

> „სოფლისაგან დახლათეითა ჭირს გავები გაუგებსა,
> ზოგსა ჭირს[ა] მოალხინებს, ზოგს მახვილსა გაუგებსა,

---

[274] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 510.

[275] „სამშობლოდან კიდეგანქმნისა“ — ასე იმოწმებს ამ სიტყვებს ბ. კილანავაც („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1975, 30 დეკემბერი).

[276] ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 110.

ზოგს აკორებს ეკალზედა, ზოგსა ვარდსა გაუვებსა,
და ზოგსა სახლსა ჩამოუქცევს, ზოგს ქორედად გაუგებსა".
(S 171, გვ. 13)

„საწუთროსა ცხენსა ვიჯე, ლურსმანი ვკარ მონაწევი,
გაემრავლა ბალსა მისსა ხილნარები მონაწეეი,
საწადელსა მოვისთვლიდი, ახლოობით მონაწევი,
და ანასდეულ გარდაეიქეც მტერთა ნებად მონაწევი".

„ყმაზე წამიხდა წყალობა, სხვაზედა სამსახურები,
ამხანაგზედა სიკეთე, მნახავთა შესაშურები,
ძმობითა მომეყვსეობა, ჩემგამო მოსასურები;
და უჰრალოებით ვამაძეს ცრემლისა მომაწურები".
(გვ. 11)

როგორც ვხედავთ და როგორც ამას დასახელებული ავტორები აღნიშნავენ, ამ სტროფებში მკვეთრად არის აღწერილი სოფლის, ამქვეყნის, სიმუხთლე-მზაკვრობა-გაუტანლობით, თანამემამულეთა, ახლობელთა ღალატით გამოწვეული სევდა-მწუხარება და, ისიც საფიქრებელია, ამ გრძნობის ჩამოყალიბებაში, გაღვივებასა და გაძლიერებაში, გარკვეული როლი პოეტის სამშობლოსაგან მოშორებამაც შეასრულა, მაგრამ აქაც დასმული საკითხისათვის მთავარი ის არის, რომ ამ უკანასკნელზე, პატრიოტულ მიზეზებზე ამ სტროფებშიაც ერთი სიტყვითაც, მინიშნებითაც არაფერია ნათქვამი. ამიტომ პატრიოტულ მოტივთან მათი დაკავშირება სამართლიანად არ მიგვაჩნია.

ზემოთ უკვე განვიხილეთ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული შეხედულება „სალბუნად გულისა"-ს „სატრფოს" ალეგორიულობის შესახებ. ახლა სხვა ლექსებსაც მივხედოთ.

ვახტანგის პატრიოტულ განწყობილებას უკავშირებენ ლექსს „კაეშანი". ლ. მენაბდე წერს: „ვახტანგი პოლიტიკურ ასპარეზზე მრავალგზის დამარცხდა, მიზანს ვერ ეწია, ქ ვ ე ყ ა ნ ა ვ ე რ ი ხ ს ნ ა და ხ ა ლ ხ ი ვ ე რ გ ა ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა. ამქვეყნიური ცხოვრების სიდუხჭირემ და ყოველ ნაბიჯზე ხელის მოცარვამ იგი დააღონა და დაამწუხრა, დაანაღვლიანა. სევდიანმა ჰანგმა და პესიმისტურმა კილომ საკმაოდ დაისადგურა მის ლირიკაში. ამის ნათელი ილუსტრაციაა მისი სიტყვები:

დაეემონე კაეშანსა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
მელნად ნაღველს მოვიხმარებ, ამოვაწებ გულსა კალმად;
ლხინის ბაღის მოსარწყავად ცრემლი მიმდის გასალამად"[277].

---

[277] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 110—111.

ამასვე აღნიშნავს გ. მიქაძე: „ვახტანგის ლექსებში გადმოცემულთა ს ა მ შ ო ბ ლ ო დ ა ნ გ ა დ ა ხ ვ ე წ ი ლ ი ადამიანის მწვავე ტკივილები". აქაც დამოწმებულია ლექსის შესავალი სტრიქონები[278].

იმოწმებს რა „კაეშნის" პირველ სტროფს, მ. კაკაბაძე წერს: „ს ა მ შ ო ბ ლ ო ს დ ა კ ა რ გ ვ ი ს გ ა მ ო სევდა და რომანტიკული მზერა უერთდება ვახტანგის პოეზიაში ზოგადი ხასიათის გოდებას წუთისოფლის კანონთა ამაოებაზე"[279].

ამ ლექსის შესახებაც იგივე უნდა ითქვას, რაც „სალბუნად გულისა"-ს მსგავსი შინაარსის სტროფებზე აღვნიშნეთ: არც ამ ლექსშია რაიმე მინიშნებული მშობლიური ქვეყნისა და ხალხის შესახებ, თუმცა ჩვენთვის, ვახტანგის ბიოგრაფიის მცოდნეთათვის, ცხადია, რომ პოეტის სევდის ძირითადი მიზეზი უთუოდ მისი ექსორიობაა.

ასევე უნდა იქნეს შეფასებული „რანი და მოვაკანი...", რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ამავე თვალსაზრისით არის განხილული და წარმოდგენილი. ალ. ბარამიძე წერს: „ეს ლექსი ვახტანგის პოეზიაში თავისებური გედის სიმღერაა. სამაგალითო სიტყვიერი ოსტატობით, იშვიათი პოეტური ძალით, სრულიად ახლებური მუსიკალური კილოთი გადმოუცია ვახტანგს ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი პ ო ე ტ ი- პ ა ტ რ ი ო ტ ი ს უსაზღვრო ტრაგიკული განცდა"[280].

გ. მიქაძე: „პ ა ტ რ ი ო ტ უ ლ ი უ რ ვ ი თ არის აღბეჭდილი ვახტანგის ელეგიური ლექსი «რანი და მოვაკანი და». მასში გადმოცემულია პ ო ე ტ ი-პ ა ტ რ ი ო ტ ი ს მწვავე განცდები ს ა მ შ ო ბ ლ ო ქ ვ ე ყ ნ ი ს უნუგეშო მდგომარეობის გამო" (გვ. 512).

მ. კაკაბაძე: „ვახტანგ მეფის ლექსიდან გამოსჭვივის საშინელი სევდა, უიმედო და უსასოო, მჭმუნვარება დევნილი მეფის, რომელმაც თითქმის ფეხით გადასერა უშველებელი დედამიწის კონტინენტი, უცხო და უცნობი მხარეები ხეტიალით მოვლო თ ა ვ ი ს ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ა- თ ვ ი ს დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს ძ ი ე ბ ა შ ი, მაგრამ მიიღო მხოლოდ იმედების გაცრუება და სინანული. ვახტანგის მთელ შემოქმედებას გასდევს შეუწყნარებელი სინანული გადადგმული ნაბიჯის გამო, მოურჩენელი ტკივილი იმ აღუდგენელი დანაკარგისა, რაც ასე ძვირფასია ყველა ადამიანისათვის. ესაა თ ვ ი ს ტ ო მ ი ს დაკარგვა, ს ა მ შ ო ბ- ლ ო ს ს ა მ უ დ ა მ ო გ ა ნ შ ო რ ე ბ ა, მეფობის სამუდამო დამშვიდობება, ეს იყო, რაც წილად ხვდა ვახტანგ მეფეს და საფუძვლად დაედო მის გაუთავებელ და უსასოო ჭმუნვა-ნაღველს" (გვ. 181).

ამ ლექსში პოეტი ლაპარაკობს სხვადასხვა ქვეყანაში თავის წან-

---

[278] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 510.

[279] მ. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, გვ. 183.

[280] ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1954, გვ. 409; ბოლო, 1987 წლის გამოცემა, გვ. 389.

წალზე. მიგვანიშნებს, რომ დატოვა „სახლი და კარი, ბანი“, მაგრამო, აღნიშნავს: „ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი, და“. ეს არის და ეს! სხვა საკუთარ ქვეყანასა და ხალხზე არაფერია ნათქვამი. აქაც დასაშვებია, ლექსის საერთო განწყობილებას სარჩულად პატრიოტული გრძნობები ედოს, მაგრამ ლექსში იგი გამოხატული არ არის.

პატრიოტული თემის შემცველ თხზულებად დასახელებულია „სატრფიალონი“. „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ექვსტომეულის მეორე ტომში, სადაც აღნიშნულია, რომ „ვახტანგის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოირჩევა პატრიოტული მოტივი. მის თითქმის ყოველ ლექსში გამოსჭვივის სამშობლოსა და თავისი ხალხის დაუცხრომელი სიყვარული, მათზე შეუნელებელი ზრუნვის სურვილი“, შემდეგ მსჯელობა ამგვარად გრძელდება: „ასე მაგალითად, დიდი პოეტური შთაგონებით არის გამსჭვალული ლექსი «სატრფიალონი». ამ ლექსში პოეტი მომხიბვლელობით გადმოგვცემს სამშობლოს სიყვარულსა და თავისი ქვეყნის ლამაზმანების ტრფიალების სურათს“ (გვ. 512). დამოწმებულია 98-ე სტროფი:

„წავალ მეცხვარედ დავდგები, ვივლი მთებსა და ბარებსა,
ნარგიზს თვალთ ნაცვლად უყურებ, თმისათვის — სუმბულთ არებსა,
ტანად — საროსა მრხეველსა, ვარდსა — ღაწვთ მაზიარებსა,
და მოერჩები, ზამბახს უმზერი, თეთრ პირით არამდარებსა“.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ნაჩვენები და ამაზე ზემოთ ვრცლად ვიმსჯელეთ, რომ „სატრფიალონში“ აღწერილი ლამაზმანი სატრფო რეალური ადამიანი, მით უმეტეს, ქართველი ქალი არ არის. იგი ეროვნულ ნიშნებს მოკლებული მისტიკური არსებაა. მეორეც, არსაიდან ჩანს, რომ ეს მომხიბვლელი მთა-ბარი მშობლიური ქვეყნისაა. ასე რომ, არც ამ ღრმად რელიგიურ-მისტიკურ თხზულებაში შეიმჩნევა ჭეშმარიტად სამშობლოს მოსიყვარულე პოეტის პატრიოტული სულისკვეთების რაიმე გამოვლენა.

თ. ჭყონია პატრიოტულ მოტივზე შექმნილ თხზულებად თვლის „ჯოხზე დაწერილ“ ლექსსა და „კვინკლოსის“ ანდერძს. „პატრიოტულ მოტივს, — წერს იგი, — როგორც ცნობილია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვახტანგ VI ორიგინალურ თხზულებებში. დღემდე უცნობ ლექსებშიც (ლაპარაკია მის მიერ მოპოვებულ და გამოქვეყნებულ ლექსებზე — ბ. დ.) მძლავრად იგრძნობა ვახტანგ VI პატრიოტიზმი, რომელსაც სათავეები აქვს ქართველი ხალხის ცხოვრების სინამდვილეში.

ფეოდალური საქართველოს დაქსაქსულობამ, შინაგანმა უთანხმოებამ შეასუსტა სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება. საქართველოს, რომელიც დაყოფილი იყო ცალკეულ სამეფოებად,

უპირისპირდებოდა მაჰმადიანურ სამყაროდან ძლიერი მტრები — სპარსეთი და ოსმალეთი. ასეთ პირობებში საქართველოს მთლიანობის აღდგენას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. გასაგებია, რომ ერთობის იდეის ქადაგებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში“[281]. ნიმუშად დამოწმებულია დავით გურამიშვილის სტრიქონები „კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს...“ და სულხან-საბა ორბელიანის არაკი „ძალა ერთობისა“ (გვ. 290).

„ერთობის იდეის მგზნებარე მქადაგებელია ვახტანგ მეექვსეც“, — აგრძელებს მკვლევარი მსჯელობას და მოაქვს ლექსის პირველი სტროფი: „ერთპირობა ყოვლის ვისმე...“ შემდეგ იმოწმებს მესამე, გადახაზული, სტროფის პირველ-მეორე სტრიქონებს („მართალ არს ერთპირობა...“) და წერს: „ვახტანგ VI კიდევ სხვა მაგალითით ცხადყოფს ერთობის მნიშვნელობას“ (გვ. 290).

ამ ლექსთა თ. ჰყონიასეული შეფასება გაზიარებულია. კ. კეკელიძე წერს: „ვახტანგის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ლექსი «ქილილა და დამანას» შესავალ ნაწილში, აგრეთვე რიგი მოკლე ლექსებისა, რომელთა შორის გამოირჩევა «რანი და მოვაკანი და», 45 უცნობი სტრიქონი, პატრიოტული და სამიჯნურო შინაარსისა გამოაქვეყნა თ. ჰყონიამ“[282].

გ. მიქაძე აღნიშნავს: „ვახტანგს დაწერილი აქვს მცირე ზომის ნაწარმოებები და ფრაგმენტები. ვახტანგის უცნობის ლექსების ფრაგმენტებში უმთავრესად გადმოცემულია პატრიოტული და სამიჯნურო განწყობილებანი“ (გვ. 516).

„ჯოხზე დაწერილი“ ლექსი მართლაც ქადაგებს ერთობასა და „ერთპირობას“, მაგრამ ეს აზრი პატრიოტულ იდეამდე განვითარებული არ არის. თუ ერთხელ კიდევ ამ ლექსს თავიდან ბოლომდე გადავიკითხავთ, ვნახავთ, რომ მასში ლაპარაკია ჯოხის შესაძლებლობებზე, რა „ძალუც“ მას, კერძოდ, „კაცთვის სახმარად“. გამოყოფილი და წინ წამოწეულია ის სამაგალითო, ჰკუის სასწავლო ალეგორიული გაგება, რომელიც გამომდინარეობს ცალკე აღებული და რამდენიმე ერთად შეკრული ჯოხის სიმტკიცისაგან: „ერთი, დიაღ, მალ გატყდება“, ხოლო, როცა „ჯარობს, ვერვინ გასტეხს“. ლექსში გარკვევით არის აღნიშნული, რომ „ერთპირობა ყოვლის ვისმე ამას მგვანობს, ამას დარობს“, ოღონდ არსად არ არის მინიშნებული, ეს იგავი ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების მოწოდებისათვის იყოს მოხმობილი. შეიძლება გვეფიქრა, ლექსი დაუმთავრებელია და სათქმელი ბოლომდე არ არის

---

[281] „ლიტერატურული ძიებანი“, VI, გვ. 289—290.

[282] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 604.

მიყვანილიო. მაგრამ, თუ ვიმსჯელებთ მეორე და მესამე სტროფების მიხედვით, სადაც სხვა საკითხებია აღძრული, ნაკლებ მოსალოდნელია, პოეტს ამგვარი მიზანდასახულობა ჰქონოდა.

ამ თვალსაზრისს კიდევ უფრო გვიმტკიცებს სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოები „სიბრძნე სიცრუისა". სამართლიანად არის მითითებული ვახტანგის ლექსის იდეური კავშირი აქ ჩართულ იგავ-არაკთან „ძალა ერთობისა". მოვიგონოთ იგი:

„მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დალეწა. უთხრა შვილთა თვისთა:

— თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ, ვითა მე წედან შეკრული ისარი ვერ გავტეხე; თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან. თავიცა მოსთხარით და მოყვარეცა"[283].

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს იგავ-არაკიც სამშობლოს, ქვეყნის ერთიანობის მქადაგებელ პატრიოტულ თხზულებადაა მიჩნეული. კ. კეკელიძე წერს: „იმ ხანაში, როდესაც ფეოდალური პარტიკულარიზმი, შინაური გაუტანლობა და გარეშე მტრების რბევა-თარეში ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას ძირს უთხრიდა, საჭირო იყო გაერთიანება, სოლიდარული მოქმედება. ამას ენერგიულად ქადაგებდა «აღორძინების» ხანის პროგრესული მწერლობა ჩვენში. ამ ქადაგებას სულხანმაც შეუერთა თავისი ხმა. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია იგავი «ძალა ერთობისა»"[284].

ალ. ბარამიძე: „სულხან-საბა ორბელიანი ებრძვის პარტიკულარიზმს, კუთხურ განკერძოებას. მწერალი ბეჯითად ავითარებს სამშობლოს სიყვარულს, პირადულისა და წოდებრივ-ჯგუფური ინტერესების საზოგადოებრივი და საქვეყნო ინტერესებისადმი დაქვემდებარების იდეებს. არჩილის სკოლის მწერლებთან ერთად სულხანი გრძნობდა, რომ ქვეყნის სიმტკიცესა და ძლიერებას ძირს უთხრიდა შინაგანი უთანხმოებანი, ფეოდალური ქიშპი, დინასტიური განხეთქილებანი. სულხან ორბელიანი ოცნებობს შეკავშირებულ, შემჭიდროებულ, ორგანიზებულ და მონოლითურ სახელმწიფოზე. ასეთ სახელმწიფოს მიმართ უძლური იქნებაო გარეშე მტრის რისხვა. ძალა ერთობაშიაო, ამბობს

---

283 სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ., 1959, გვ. 45.

284 ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 463.

პატრიოტი მწერალი. საილუსტრაციოდ მოყვანილია ცნობილი მშვენიერი იგავ-არაკი «ძალა ერთობისა»"[285].

ლ. მენაბდე: „სულხან-საბა ორბელიანი ერთობას ქადაგებდა. მწერალს კარგად ესმოდა, რომ შეკავშირებაა სახელმწიფოს ძლიერების წყარო. ჟამთა სიავისა და ძნელბედობის ხანის მოღვაწე შეკავშირების ლოზუნგით გამოდიოდა". ამას მოსდევს ჩვენთვის საინტერესო არაკის ტექსტი და შემდეგ გრძელდება მსჯელობა: „სულხან-საბა ორბელიანი ებრძოდა პარტიკულარიზმს, გმობდა გამთიშველებსა და მოქიშპეებს, ამათრახებდა შინაომის წამომწყებთ, პოლიტიკური ცენტრალიზმის მოწინააღმდეგეებს, კინკლაობის მოთავეებს, ინტრიგის ქსელის გამბმელებს"[286].

რასაკვირველია, სულხან-საბას არაკი ახლა და ძველადაც იმგვარადაც შეიძლებოდა გაგებულიყო, როგორც დამოწმებულ ნაშრომებშია მოცემული[287]. მაგრამ აქაც ამჯერად ჩვენთვის მთავარი და საყურადღებო ის არის. რომ, თუმცა თხზულებაში ამ არაკს მეფე წარმოსთქვამს და იგი ეხება ვეზირებსა და დიდებულებს, მწერალი მას არ უკავშირებს ერისა და ქვეყნის კონსოლიდაციის, სამშობლოს ძლიერების პატრიოტულ საქმეს, ამ მიმართულებით და ამ სიმაღლემდე მას აზრი და იდეა არ აჰყავს. არაკის გმირი დიდებული თავის შვილების ერთობაზე ლაპარაკობს, ხოლო ფინეზ მეფე ამ არაკს წარმოთქვამს თავისი ვეზირების რუქასა და სედრაქის გასაგონად იმ შეგონებისათვის, რომ ვეზირებს ერთპირობა ჰქონდეთ და მთელი თავიანთი ძალა და უნარი მეფისა და ქვეყნის სამსახურს მოახმარონ. აი, ფინეზ მეფის მთელი მსჯელობა, რომელიც მან არაკს მოაყოლა:

„აწე, თქვენი საქმე მას ჰგავს. თქვენი სიტყვა თუცა ერთი იყოს, დაემყაროს მეფობა ჩემი. და რადგან მტერნი ხართ, ჩემს საქმეს წაუხდენელს არ გაუშვებთ.

---

[285] ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა, თბ., 1959, გვ. 35. იხ. აგრეთვე: კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1954, გვ. 396, 1987 წ., გვ. 375—376.

[286] ლ. მენაბდე, უკვდავი წიგნი (შესავალი წერილი გამოცემისა: სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, თბ., 1986, გვ. 15).

[287] ასევე, საქართველოს შესატყვის, მისთვის გამოსაყენებელ და არა უშუალოდ მასზე ნათქვამ ამბად ესმის ეს იგავ-არაკი მ. ნასიძეს. „ეს იგავი, — წერს იგი, — თითქოს განგებ, ქართველობაზედ მოუგონიათო, ისე უმეტნაკლებოდ უხდება ჩვენს წარსულს ცხოვრებას. მთლად ჩვენი ისტორია არის ამგვარი იგავი. მართლადაც და ვიდრე ქართველობას ჰქონდა ერთმანერთის, მამულისა და მეფის სიყვარული, სცხოვრებდა კიდეც მშვიდობით და იდგა წარმატების გზაზედ. ეს ბედნიერი დრო იყო X, XI და XII საუკუნეები" (ქართველი მწერლები, III. ხელთმძღვანელი წიგნი ქართულის ენისა და ლიტერატურის შესწავლისათვის. ვახტანგ მეექვსე მიხეილ ნასიძისა, თბ., [1887], გვ. 3).

ვაზირთ წესია, რამდენიც იყვნენ, პირი ერთი ჰქონდესთ. ერთის ჭკუა და რჩევა უამხანაგოდ სწორედ არ წავა, არ იქმნების, რაგინდ ბრძენი იყოს, ერთიც არის საქმე არ დაიცდინოს და ერთის საქმის დაცდენითა ბევრი წახდება. ამისთვის ორისა და სამის კაცის რჩევა სჯობს.

ვაზირნი ერთმანერთის მოყვარულნი ხამს.

ვაზირობა სიქიშპითა და კაცის მტერობით არ კარგა იქმნება.

თუ ვაზირი ბატონის ერთგულია, მტერი უნდა დაიმოყვროს, თავისი აუგიც აპატიოს, გული გაიერთონ და დაემტკიცოს მეფობა პატრონისა მათისა.

ვაზირი ხვაშიადის შემნახავი ხამს. თუცა ერთმანერთში შუღლი მოხდა, ხვაშიადი გამჟღავნდების და მათგან ერთმანერთის მტრობით გაიცემა, სიტყვას და ბრალობას დაუწყებენ: მან თქვა, არა მას უთქვამსო.

ვაზირი პატრონისა და ქვეყნის სამჯობინაროს მდომი უნდა იყოს. რა მეფე ერთს წყალობას უზამს, მეორე მისი ქიშპი გაორგულდების.

ვაზირი ღვთის მავედრებელი და ჭკუისა და სიბრძნის მჩხრეკელი ხამს და, რა კაცმა თავისი მტერი დაინახოს, გული აუდუღდეს და ჭკუა და მცნება დაეფანტოს.

ვაზირთ სიტყვა უნდა შეამოწმონ და, რომელი ამჯობინონ, იგი დაასკვნან. მტერნი ხომ არას ღონით სიტყვას არ შეამოწმებენ და, თუ შეამოწმებენ, კიდეც დამოყვრდებიან!

ვაზირთა მეფისა და ქვეყნისა დაყენებაც შეუძლიათ და წახდენაცა.

ლეონ მოახსენა:

— მართალს მიბრძანებს მეფობა თქვენი, მაგრამ მე მაგ ყვერულმან დამანანა შენი ხლება" (გვ. 45—46).

როგორც ვხედავთ, ფინეზის შეგონება მხოლოდ ვეზირებს ეხება და არსად იგრძნობა მშობლიური მიწის, მხარის, ხალხის განცდა, გააზრება და წარმოდგენა.

ეს კიდევ უფრო მეტად ითქმის ვახტანგის ხსენებულ ლექსზე.

ამრიგად, ვახტანგისა და სულხან-საბა ორბელიანის ამ ნაწარმოებებში პატრიოტული თვალთახედვა ჩვენგან, მკითხველებისგან, არის შეტანილი, თორემ ამგვარი განზოგადებული აზრით მათ ავტორებს არ მოუციათ.

რაც შეეხება „კვინკლოსის“ ლექსად და პროზაულად დაწერილ ანდერძს, იგი პატრიოტულ გრძნობას სრულებით არ გამოხატავს. აი, ეს ანდერძი, რომელსაც თ. ჰყონია პატრიოტულ მოტივს უკავშირებს:

„ოდეს გარდავემეტე ცოდვითა ტომსა მას ჩემსა მანასეს, ამისთვის მსგავსად მისა მივეცი მეცა ჰელთა უცხო თესლთაცა. ქეს აქათ ჩღიბ, აპ. — კბ წამოველ ტფილისით და ივლის და მოველ ისპაანს და აწ ვიმყოფები აქა. დალაცათუ პატივცემულ ვარ, არამედ მწირ ვარ. წესია ჩე-

მებრთა მწირთა თავისწინობა და ხალვა. ვინათგან ესე ესრეთ არს, უქმად ყოფას ეუფლების მოწყინება, და ვინათგან მოწყინება დედა არს ყოვლისა ცოდვისა, ნუკვე შევსძინო ცოდვა ცოდვასა ზედა, აღვიღე ჴელთსაქმარად წინა მდებარე ესე. უკეთუმცა არს ქართლსა შინა კინკლოსნი, ჴელთა და ქორონიკონი, მიზეზითა მრავალნი ვერას იცნობენ და არცა იცნობება რაოდენი ამაშინა წერილ არს. დალაცათუ სხვანიცა იშოვბოდა საქმენი, უქმობისა წამლად იტყვის მოციქული: «შეეწეოდეთ ურთიერთსა». თუცა ხმისა მის მსმენელნი ჩემთვის თემთა და ძმათა ჩემთაგანი არავინ არს და განგდებულ ვიქენ, ვითარცა მკვდარი, მოძაგებული მათგან, ხოლო მე არავე დამაშვრალ ვარ შეწევნასა მათსა რაოდენი რა ძალმიც. ხოლო ჴელსაქმარი ჩემნი აქათგან ვერა რომელი ესრეთ შეეწევიან, ვითარ ესე. და ამად დავშვერ და აღვსწერე და გამოვიღე თვით თ.;;ით ჩემით მე, მეფემან ვახტანგ. ვინც გამოიყენოთ რასმე, შენდობასა ყოფდეთ ჩემთვის. ქ-ეს აქათ ჩლიგ. ჩემდაცა ჯერ იყო აღწერა, ნუკვე რისხვასა შინა არა მოიხსენოს წყალობა. ასე მომიხდეს საქმე, სამღდელოთაგან აღარავინ მყვანდეს"[288].

ამ ტექსტს თ. ჰყონია ასეთ კომენტარს უკეთებს: „საქართველოს ერთობის დარღვევის შედეგები მწარედ განიცადა ვახტანგ VI. ქართული კულტურის დიდი მოამაგე მეფე-პოეტი მოაშორეს სამშობლოს და გაიწვიეს ისპაანში" (გვ. 290).

სწორია, ანდერძის სიტყვებიდან „დალაცათუ პატივცემულ ვარ, არამედ მწირ ვარ" იგრძნობა, რამდენად უჭირდა ვახტანგს მწირობა, უცხოობა, მშობლიური ქვეყნის მოშორება. ისიც სწორია, მისი ამგვარი ბედი სამშობლოს, ქართლისა და მთელი საქართველოს უძლურების, უბედურების შედეგი იყო, რაც სხვა მიზეზებთან ერთად შინაურმა გაუტანლობამ, ერთობის დარღვევამ გამოიწვია. მაგრამ აქაც მეფე-პოეტი მარტოობასა და უუფლებობაზე ჩივის და იქითკენ არ წარმართავს მსჯელობას. არ გვიზიარებს გრძნობებს, თუ რას წარმოადგენს მისთვის სამშობლო და რას იწვევს მასში მისგან მოშორება.

თ. ჰყონია აგრძელებს მსჯელობას: „სამშობლოს მოშორებული პოეტი თავის უსაზღვრო მწუხარებას აქსოვს მშვენიერ ლირიკულ ლექსში" (გვ. 291) და მოყავს ამ ანდერძიდან ერთი სტროფი:

„საწუთოა საცთურითა, ვარ საქმისა უნაწილო.
მოყვარეთა ცრემლი სცვივა, მტერთა გაეხე სასაცილო.
ჭაში ვზივარ, უსაბლოსა არვინა მყავ ამაცილო,
და თუ ღმერთსა სწადს, ადრე იქნას. რომ, სოფელო, გავაწბილო!"

[288] ტექსტი მოგვყავს თ. ჰყონიას პუბლიკაციის მიხედვით, რომელიც სარგებლობს საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის № 484 ხელნაწერით. ტექსტის ზოგიერთი წაკითხვა შეიძლებოდა გასწორებულიყო ხელნაწერთა ინსტიტუტის S 1400 ნუსხის საშუალებით, მაგრამ ამჯერად ამგვარი მიზანდასახულობა არა გვაქვს.

მკვლევრის დასკვნით, „ამ ლექსში იგრძნობა ვახტანგ VI მებრძოლი სული. ვახტანგი არ მიდის სასოწარკვეთილებამდე, არ ჰკარგავს იმედს უკეთესი მომავლის მოლოდინში. ამ ოპტიმიზმის დაუშრეტელ წყაროს, სულიერი სიმტკიცის საძირკველს წარმოადგენს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული“ (გვ. 291).

ამ ლექსს არავითარი კავშირი არა აქვს პატრიოტულ მოტივთან. მასში გადმოცემულია ქრისტიანულ-თეოლოგიური თვალსაზრისი ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებაზე და ნატვრა ადრე „გააწბილოს“, დაამარცხოს, მოიშოროს „სოფელი“. რასაკვირველია, ჩვენთვის გასაგებია, რომ პოეტის ეს განწყობილება ქრისტიანული მოძღვრების ცოდნასთან ერთად გამოწვეია იმ გაჭირვებამ და უსასოობამ, რაც მოჰყვა მშობლიური ქვეყნის მოშორებასა და უცხოეთში მწირობას. მაგრამ, ვიმეორებთ, აქაც პოეტს ამ თვალთახედვით არ წარმოუდგენია სინამდვილე.

უთუოდ სამართლიანია თ. ჰყონიას მსჯელობა: „სპარსეთში მყოფი ვახტანგ VI საქართველოზე ფიქრობდა და ზრუნავდა. მისი მოსვენება — ეს იყო ქართველი ხალხისათვის, ქართული კულტურის განვითარებისათვის საჭირო საქმის კეთება. ჭეშმარიტად ვახტანგ VI შეეფერებოდა ძველად თქმული: «არცა ვსცე ძილი თვალთა ჩემთა, არცა ჰრული წამთა ჩემთა, არცა განსუენებაჲ კორცთა ჩემთა». სიცოცხლეში მოუსვენარს, სიკვდილის შემდეგაც არ ეღირსა მშობლიურ მიწაში განსვენება“ (გვ. 291). ყოველივე ეს, მართლაც, ასე იყო, მაგრამ მშობლიური ქვეყნისადმი ამ დამოკიდებულებასა და გრძნობას ვახტანგ მეექვსე საქმით ახორციელებდა და თავისი მხატვრული ქმნილებებისადმი მისი განდობა, მათში გამოხატვა არ უცდია.

დასასრულ, კიდევ ერთი მოსაზრება. მსგავსად „სალბუნად გულისა“, „კაეშნისა“ და „რანი და მოვაკანისა“, მ. კაკაბაძე ვახტანგის პატრიოტიზმის გამოვლენას ხედავს აგრეთვე „ლექს-ამბით“ გადმოცემულ სევდაში. მისი სიტყვებია: „სევდა დამსხვრეული ბედნიერებისა, დაკარგული მეფობისა და დაკარგული ს ა მ შ ო ბ ლ ო-ს ა მ ო თ ხ ი ს ა სხვა ლექსებშიაც აღბეჭდა ვახტანგის პოეტურმა გრძნობამ. ერთი ასეთი რ ჩ ე უ ლ ი ლექსთაგანია «ლექს-ამბავი», სადაც მეტყველი და ხატოვანი გამოთქმებით აღწერილია ამბავი სამშობლო-სამოთხის დაკარგვისა“ (გვ. 181). ავტორი მთლიანად იმოწმებს ლექსს, სადაც პირველ სტრიქონად დაბეჭდილია: „ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ბაღი რა ჰქონდა, სცან, ალექსანდრეს, მეფეო“.

აქაც უნდა გავიმეოროთ უკვე არაერთხელ ნათქვამი: პოზიტიურად არც ამ ლექსში ჩანს სამშობლო და მამულიშვილური გრძნობა, ხოლო აღნიშნული სტრიქონი არასწორად არის მოყვანილი. დედანში წერია არა „სამშობლოს“, არამედ „საწუთროს“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ უნდა დავასკვნათ: მართალია, ვახტანგი მთელი თავისი ცხოვრებითა და მრავალმხრივი საქმიანობით მშობლიური ქვეყნისა და ხალხისადმი დიდი და თავდადებული მოღვაწე იყო, მაგრამ სამშობლოსადმი ამ დამოკიდებულებას, სიყვარულს, პატრიოტულ გრძნობებს მის პოეზიაში შესაბამისი, პირდაპირი ასახვა არ უპოვია. იგი მხოლოდ არაპირდაპირ, უკუფენილად გამოვლინდა მისი ლექსების ცალკეულ პასაჟებსა და მოტივებში, როგორიცაა, მაგალითად, მშობლიურ მხარეთა გახსენება და სიყვარულით, გატაცებით, მონდომებით აღწერა, მწირობისაგან გამოწვეული სევდა და ა. შ. ამდენად, პატრიოტული მოტივი თანამედროვე გაგებით ვახტანგ მეექვსის პოეტურ შემოქმედებაში არ დასტურდება, რაც ფეოდალური ეპოქის ლიტერატურის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

მესამე თავი

ვახტანგ მეექვსის ვერსიფიკაციული ძიებანი

1. ვახტანგი — ქართული ლექსთწყობის განმაახლებელი[1]

ვახტანგ მეექვსე ნოვატორი პოეტია. მისმა დაუცხრომელმა, მაძიებელმა შემოქმედებითმა ბუნებამ მწერლობაშიაც იჩინა თავი. მან არა მარტო იდეურ-თემატიკურად, მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისითაც მნიშვნელოვნად წინ წასწია, განავითარა და გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურა. როგორც პოეტსა და ხელმძღვანელ-ორგანიზატორს, უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართული ლექსის განახლების, ახალი სალექსო ფორმების გამოვლენისა და დამკვიდრების საქმეში.

ცნობილია, რომ ძველ ქართულ პოეზიაში, შოთა რუსთველიდან დაწყებული, გაბატონებული ადგილი ეჭირა 16-მარცვლოვან რუსთველურ შაირს. ჩვენი მწერლობის ე. წ. აღორძინების ხანიდან, განსაკუთრებით კი მე-18 საუკუნიდან, პოეზიაში დიდი ძვრები ხდება ლექსთწყობის სფეროში. არსებითად ამ პროცესს საფუძველი ეყრება და უმთავრესი მიღწევები მოპოვებულია ვახტანგის სამეფო კარის ირგვლივ შემოკრებილ და ვახტანგის მფარველობის ქვეშ მყოფ პოეტთა წრეში. ამ დიდი ეროვნულ-კულტურული საქმის ჭეშმარიტ დამწყებად სულხან-საბა ორბელიანი ითვლება. იგი წინ წასწია და გარკვეულ თეორიულ ნიადაგზე დააყენა ვახტანგის მდივან-მწიგნობარმა მამუკა ბარათაშვილმა, ხოლო შემდგომ განავითარა და თავისი მძლავრი პოეტური ნიჭის შესაბამისად უმაღლეს დონემდე აიყვანა დავით გურამიშვილმა. ეს საინტერესო ლიტერატურული პროცესი, რომელიც შემდგომ ისე გაღვივდა და გავრცელდა, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში, შეიძლება ითქვას, პირდაპირ მოდად იქცა, მიმდინარეობს და ყალიბდება ვახტანგის თვალწინ, მისი ყოველმხრივი აქტიური მონაწილეობით.

---

[1] ეს ნარკვევი ადრე გამოქვეყნდა: „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, № 2, გვ. 56—68, № 3, გვ. 20—41.

ქართული ლექსის განახლების ისტორიის საკვანძო საკითხები გარკვეული აქვს ალ. ბარამიძეს. მან „ქილილა და დამანას“ სულხან-საბა ორბელიანისეული თარგმანის შესწავლის შედეგად წარმოაჩინა და დაასაბუთა ჩვენი სასიქადულო ლექსიკოლოგისა და მეიგავის უდიდესი დამსახურება ამ დარგში[2]. ასევე, ალ. ბარამიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება ვახტანგ მეექვსის ღვაწლს ლექსთწყობის დარგში. მან ზოგიერთი, უმთავრესად მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკში“ შესული ლექსების, ვერსიფიკაციული ანალიზის შედეგად დამაჯერებლად აჩვენა, რომ „ვახტანგი უცილოდ გვევლინება როგორც ქართული ლექსის რეფორმატორი“, რომ „ვახტანგიც უნდა მიეკუთვნოს ქართული ლექსის დარგში ნოვატორების სახელოვან პლეადას (სულხან-საბა ორბელიანს, მამუკა ბარათაშვილს, დავით გურამიშვილს)[3].

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საკითხის წრის გაფართოება: ახალი მასალების მოხმობითა და ზოგიერთი ცნობილი ფაქტის წინ წამო-

---

[2] ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., I[2], გვ. 335—342; მისივე, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 125—162.

არსებობს სხვა მოსაზრებაც. კ. კეკელიძეს ქართული ლექსის რეფორმაცია უფრო ადრინდელ მოვლენად ესახება. მას მხედველობაში აქვს ლირიკული ლექსების კრებული „ნარგიზოვანი“, რომელიც „შეიცავს თერთმეტ სხვადასხვა კომპოზიციის, მეტრისა და რიტმის სატრფიალო ლექსს“. ამ ნაწარმოების ავტორად და ამდენად ქართული ლექსის განახლების პიონერად იგი მე-17 საუკუნის ნახევრის მოღვაწეს გარსევან ჩოლოყაშვილს თვლის (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 617—627).

ამ დებულებას ჰყავს მომხრეები. კერძოდ, მხარს უჭერს მ. თოდუა (იხ. მისი, ტექსტისათვის, წიგნში: ქილილა და დამანა, 1975, გვ. 134—135).

კ. კეკელიძის მოსაზრებანი განხილული და უარყოფილი აქვს ალ. ბარამიძეს (ნარკვევები..., II, გვ. 474—483). მისი შეხედულება „ნარგიზოვანის“ ვეიანდელობის შესახებ ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია („ნარგიზოვანის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების შესახებ იხ.: გ. მიქაძე, ნარგიზოვანი, კრებულში: XVII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხები, თბ., 1965, გვ. 5—22; წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 673—682).

[3] ალ. ბარამიძე. ნარკვევები..., II, გვ. 450—452; გ. მიქაძე, ვახტანგ VI, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 520.

ვ. გაბესკირია ძველ ქართულ ლიტერატურაში რეფორმატორ და ნოვატორ პოეტად შოთა რუსთველის შემდეგ დ. გურამიშვილს თვლის. სულხან-საბა ორბელიანს, მამუკა ბარათაშვილს და ვახტანგ მეექვსეს მხოლოდ ვერსიფიკატორებად მიიჩნევს (ვ. გაბესკირია, „ქილილა და დამანას“ გარშემო, „მნათობი“, 1961, № 3, გვ. 134—142. მკვლევრის მოსაზრებანი სრულად თავმოყრილია მისსავე წიგნში: თხზულებანი, III, თბ., 1974, გვ. 341—389; ამავე საკითხზე იხ. აგრეთვე: მ. თოდუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 134).

გ. ლეონიძის შეფასებით, ვახტანგი ნოვატორი პოეტია ლექსთწყობის სფეროში. მისი სიტყვებია: „ცალკე აღსანიშნავია ვახტანგის ნოვატორობა ქართულ ვერსიფიკაციაში და მისი გავლენა თავისი დროის მწერლობაზე, განსაკუთრებით, დავით გურამიშვილზე“ (გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 219).

წევით გავამდიდროთ და უფრო რელიეფური გავხადოთ ჩვენი ცოდნა ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობის შესახებ ქართული ლექსთწყობის საქმეში.

ვახტანგი არსებითად მიჰყვება ქართული ლექსის მაგისტრალურ ხაზს. მისი თხზულებანი, როგორც ორიგინალური, ისე თარგმანები, მცირე გამონაკლისის გარდა, დაწერილია 16-მარცვლოვანი შაირით. მაგრამ, ემყარება რა ამ საზომს, პოეტი ყოველთვის არ იმეორებს ჩვენს მწერლობაში გაბატონებულ და კანონიკურ ნორმად მიღებულ მის სტროფულ ფორმას — კატრენს. მის პოეზიაში ამგვარ სტროფებთან ერთად საკმაო ადგილი უჭირავს ნაკლებ და მეტსტრიქონიან სტროფებსაც.

დავიწყოთ იმით, რომ ქართულ პოეზიაში[4] პირველად ვახტანგთან დასტურდება ერთსტრიქონიანი ლექს-სტროფები, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანის გალექსილ „ქილილა და დამანაში" და სხვათა შემდეგდროინდელ თხზულებებში, მათ შორის ვახტანგის „სატრფიალონში" (სტრ. 71) ტაეპი ეწოდება[5]. ამგვარი ლექს-სტროფები მეფე-პოეტმა პირველად გამოიყენა თავის ნათარგმნ „ქილილა და დამანაში". შემდეგ უხვად გვხვდება მისსავე „სიბრძნე მალალობელში". რამდენიმე ნიმუში გვაქვს „სატრფიალონში" (სტრ. 71, 142, 143.)

ვახტანგის თხზულებებში ასევე უხვად გვხვდება ორსტრიქონიანი ლექს-სტროფები[6]. ქართულ პოეზიაში ამგვარი სტროფების ორიოდე ნიმუში ადრეც დასტურდება[7]. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მას არჩილის შემოქმედებაში[8]. ვახტანგმა ეს სალექსო ფორმა ფართოდ გამოიყენა ჯერ „ქილილა და დამანაში" და შემდეგ „სიბრძნე მალალობელში". რამდენიმე სტროფი გვაქვს „სატრფიალონში" (სტრ. 70, 144, 145). სხვათა შორის, აქვე ერთგან, სადაც მოხსენიებულია ტაეპი, 2-სტრიქონიან სტროფს ეწოდება „ლექსი" (სტრ. 70). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, 2-სტრიქონიანი ლექს-სტროფები „ლექსის" სახელწოდებით პირველად ნახსენებია

---

[4] ქართულ ხალხურ პოეზიაში სტროფთა სახეობების შესახებ იხ.: ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსი, თბ., 1979. გვ. 92—121.

[5] გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 26—33; მ. თოდუა, ტექსტისათვის, „ქილილა და დამანა", გვ. 108—112; ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, III_1, თბ., 1981, გვ. 188—189.

[6] გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 33—36; მ. თოდუა, ტექსტისათვის, ქილილა და დამანა, გვ. 112—113.

[7] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 432—433; შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება", 1960, № 8, გვ. 33—34.

[8] ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, III_1, გვ. 202—203, 288—289.

სულხან-საბა ორბელიანისეულ „ქილილა და დამანაში“. ჩანს, აქედან მოდის ეს სახელწოდება სხვა ძეგლებში. „სატრფიალონშიაც“ მისი გამოყენება, ისე როგორც „ტაეპისა“, გვიანდელია.

ვახტანგს 2-სტრიქონიანი სტროფის სახეობისათვის შემდეგაც მიუმართავს. ასეთებია ზემოთ დამოწმებული ლექსები „ცრუ ის არის, ვინც სოფლისთვის...“ და „ნუშრევანს სჭირდა სამუდმოდ...“

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მე-18 საუკუნესა და მე-19 საუკუნის დასაწყისში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული 2-სტრიქონიანი ლექს-სტროფები „ლექსის“ სახელწოდებით, რომელიც მოდის სულხან-საბა ორბელიანის მიერ გალექსილი „ქილილა და დამანადან“, ხოლო ეს უკანასკნელი ეყრდნობა ვახტანგის ამგვარივე გალექსილ ან პწკარედულ სტროფებს, — ცხადი გახდება, რომ აღნიშნული აღნაგობის ლექსების გავრცელებაში გარკვეული წვლილი ვახტანგსაც აქვს.

ვახტანგს მოეპოვება ხ უ თ ს ტ რ ი ქ ო ნ ი ა ნ ი ლექს-სტროფებიც, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი განეკუთვნება მისი შემოქმედების ბოლო პერიოდს. ასეთებია „ვახტანგური“ და „თუ კი გინდა სულის კარგი...“

5-სტრიქონიან სტროფებს ვახტანგამდე ჩვენს მწერლობაში გარკვეული ისტორია აქვს[9]. როგორც ცნობილია, ასეთი იყო ჩვენს სასულიერო პოეზიაში გავრცელებული იამბიკო. ამ ფორმისათვის მიუმართავს სულხან-საბა ორბელიანს[10] და მამუკა ბარათაშვილს[11]. სხვა 5-სტრიქონიანი ლექსი ვახტანგამდე აღრიცხული არ არის[12], ხოლო ვახტანგის ამ ფორმის ლექსები მათგან განსხვავდება როგორც ზომით, ასევე რიტმული წყობით.

ვახტანგს „ქილილა და დამანაში“ ორ-ორჯერ გამოყენებული აქვს ე ქ ვ ს- და რ ვ ა ს ტ რ ი ქ ო ნ ი ა ნ ი ლექს-სტროფები. 6-სტრიქონიანია:

„ამის სახენი ვახენი, დიდთ მორთვის კაპად ნახენი,
ამის ივაენი სვე სვის[ა] ბეჭდისა თვალის სახენი,
იგ ფეროვანი შაირი, ვარდთ კუკურთ მზგავსი მახენი,
მართ ლაპარაკი მუშკ-თმისებრ დახუჭუჭებით ვახენი,
ამისი მწიფე სიტყვები სიბრძნისა სხივებრ ეწმახენი,
და წმინდათ გულთ საიდუმლოსებრ მართალი, არა ჩმახენი“.
(M 53, გვ. 3v)

---

[9] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, რჩეული ნაწერები, III₁, გვ. 194—198, 208—211, 219—220.

[10] მ. თ ო დ უ ა, ტექსტისათვის, გვ. 130.

[11] მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 8.

[12] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, რჩეული ნაწერები, III₁, გვ. 208—211. აქ დასახელებულია იაკობ შემოქმედელის „არჩილის ქება“ (გვ. 406) ოთხსტრიქონიანია (იხ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხები: S 424, გვ. 299; A 1735, გვ. 122v, H 153, გვ. 210 და სხვა).

„სისხლი სწვეთდა ძელებისაგან, იტყოდის და თავსა ხრისა·
«მუნ მივრბოდი სულის შიშით, ეგებ დავრჩე მას ოხრისა;
მოისარის ხელისაგან აწ დავსუსტდი ავ:.ს მხრისა,
არ ღირიყო სახლში ყოფნად დედაბრისა ნაოხრისა;
დასჯეროდი, ის გიჯობდა, მას დობლაჭსა ჯამის ძირსა;
არ იცოდი, ფუტკრის კბენად თაფლი, უთქვამთ, არა ღირსა!»
(იქვე, გვ. 35v; ს. ყუბანეიშვილის ნუსხა, გვ. 50r)

6-სტრიქონიანია აგრეთვე „რანი და მოვაკანი..."
ოთხსტრიქონიანია ლექს-სტროფები:

„ასეო, ასეო, მრქვა სიტყვის მცოდნემ ასეო:
«ჰე, სიტყვის ბაღის მებაღევ, ესე თქმა გაიასეო,
წმინდას იგავის მსგავს ბაღში ესენი შეაწმასეო,
იგავთ ხე[ე]ბი ერთ რიგად დარგე და შიგ[ა] დასეო!
ვინც ჭამოს მისი ნაყოფი სა[ა]მო, მოსასასეო,
დამრგველსა უთხრან შენდობა, ღ[მერ]თო, ის გა[ა]სასეო,
ამ ბაღში ბევრი ახალი ხილია, დაუნასეო,
ერთმანერთისა უმჯობე სიკეთით დაუფასეო!"
(იქვე, გვ. 6r)

ამ სტროფის 4-სტრიქონიანი ვარიანტი, რომელიც გადამწერის ხელით არის ტექსტში შეტანილი, გადახაზულია.

მეორე 8-სტრიქონიანი სტროფი:

„თუცა მოწყალე თვალიო სინჯავს წყალობის თვალითო,
მინისაც ქონდეს, შე[ი]ტყოს და იცნას ჰმის ძალითო,
ჩემის უცდელის საქმისგან მრცხვენის, ვარ დასა[ა]ლითო,
შენ ნულარ შემიქ ყვედრებით გულს ნაჭრად დასავალითო,
სოფელში თავისუფალთგან, წეს[ი] არ არის, ძალითო
დაცემულთ უთხრას ყვედრება ან ცხადად ანუ მალითო,
მეშურნე მკერდსა დაიხევს სირცხვილით შესაწყალითო,
მშვიდ-მხედი თვალი კაცის[ა] აიბს არ ნახავს ლალითო".
(Ⅱ 53, გვ. 7r; ს. ყუბ. გვ. 5v—6r)

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული მწერლობის ყველაზე ადრეულ 6- და 8-სტრიქონიან ლექს-სტროფებად დასახელებულია სულხან-საბას გალექსილი „ქილილა და დამანა"[13]. გამოდის, რომ ამგვარი ფორმის სტროფები ჩვენს მწერლობაში პირველად ვახტანგს გამოუყენებია.

ვახტანგთან მოიპოვება აგრეთვე ერთ რითმზე გაწყობილი 16-მარცვლოვანი 7-, 9-, 10-, 11- და 12-სტრიქონიანი ლექს-სტროფები, რომლებიც მისი შემოქმედების გვიანდელ ხანას განეკუთვნება.

---

[13] ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, III, გვ. 21:—214, 220.

შვიდსტრიქონიანია ორი ლექსი. ერთი „სიბრძნე მალაღობელშია“:

„პლატონ ბრძენია, ბრძენია, ქვეყანით აფონელია,
მოწაფე იყო სოკრატის, სიბრძნეთა შიგან მრთელია,
პირველ სახელად არისტონ მისთვისვე დასარქმელია,
მერმე სიერცისთვის გულისა პლატონად სასმენელია.
პლატონ თარგმანით მის ენით ერცლად არის საცნობელია,
ზოგთა მაზედა უწოდეს სიტყვისა ვრცელად მთქმელია,
და მით ყველას უკეთ სოკრატის სწაელისა დამსწაველელია“. (17)

მეორე 7-სტრიქონიანი ლექსია ზემოთ განხილული „ვაი, სამნეო, სამნეო...“

დანარჩენი სახეობის სტროფებიც „სიბრძნე მალაღობელშია“. ცხრასტრიქონიანია სამი სტროფი. დავიმოწმებთ ერთს:

„პლატონ კაცია, კაცია, კეთილის შენატკაცია,
თავის ნებისა მომკვლელი, გემო ხორცისა რაცია,
ისწაელებოდა: «სიკვდილსა ნუ შიშობს დასახოცია!»
ფილასოფოსნი დასჯერდენ, ეგონათ გასახოცია.
არა თქვა ასე, ისი სჯობს, წინ პქონდეს სულ საოცია;
ბრძენი ის არის, სიკვდილის ეის ფიქრი გაუოცია.
სიკვდილი არის ორ რიგი: ბუნებით აუხოცია,
მეორე: კარგის წადილით, ვის ნება აღუკვეცია,
და ხორცის, შვების და გემოსი არისმცა სულ უვეცია“. (34–35)

ასეთივეა აგრეთვე „დიოღენესა ზენესა ალექსანდრემა მწყენესა...“ (282—283) და „შემტყობელია, მბელია, პისისტრატუმე მქნელია...“ (339—340) სტროფები. სამივე სტროფი გამოცემაში შეცდომით ორ-ორ სტროფად არის დაბეჭდილი. ხელნაწერებში კი გარკვევით ნაჩვენებია, თითოეული ერთრითმიანი ლექს-სტროფებია.

ათსტრიქონიანია:

„ანტისტინესა წინესა ყრმა ვინმე შემოსცინესა,
გაიწყვნენ: «თემით ნავს ველი, აწე ნუ მოგეწყინესა.
მაშინ გმსახურებ, — მიუვო, — რაც რამე შემეძინესა!»
ანტისტე ქალაქს წავიდა, ყრმა იმას წაეწინესა;
ფქვილი იყიდა, ყრმას უთხრა: «წაიღე აწ ეს შინესა!»
«ფასი მოგვეცო!» — ეტყოდენ, არა თუ შეაგინესა,
— «ნავი მოუვა ამ ყრმასა, რომე მიდგს აწე წინესა,
მაშინღა მოგცემ უკლებლად, მისთვის ნუ შევეშინესა!»
უთხრა: «ბევრ დაპირებულსა ცოტა აქვს მისაწვედინესა.
და დაპირებისთვის საეაჭროს ვინ მოგცემს?!» — მას დასცინესა“. (109)

თერთმეტსტრიქონიანია ლექს-სტროფი:

„სამოც ორისა შორისა ჟამთა შეიქნა წელისა,
ავათ გახდა და მორჩენა სათქმელად იყო ძნელისა;

ორი მოწაფე მორჩილი ჰყვანდა ცოდნისა შერძნელისა, —
იმენდემ როდისხელისა, ფეოფრატ ლევიტელისა.
ჰკითხეს: «შენს წილად ვინ ვიყოთ, საქმეა რაც საქნელისა?»
მან ღვინო სთხოვა, მოართვეს სასრულად მისათქმელისა.
როდისხლის ხელით დალია, თქვა ძალი გემრიელისა.
რა ლევიტლისა დალია: — «მგზავსია ორი მთელისა,
მაგრამ ესე სჯობს გემოთი, რისაც ხარ მოსართმელისა!».
ყველამ შეიტყო ამითი მიცემა საცემელისა,
და ღვინით ორივე შეამკო, ნებაც ქნა საძებნელისა". (133);

თორმეტსტრიქონიანი ლექს-სტროფია:

„პოლენ გონია, მგონია, არისტოტელთან მსვლენია;
შევიდა, ნახა ქალები მოკაზმის დაუკლენია;
სუფრა ალვსილი ყოვლითა, რაც კაცთა მოსაულენია;
— «ფილასოფურად არ ცხოვრობს, — უთხრა; — ვინც იქა მხლენია!»
ჯერ ხმა არ გასცა არისტოფ, ვითამცა უსულენია,
ხანს უკან უთხრა: «მეწვიე, ჰქენ რამე დასალენია!»
პოლენ ეწვია მისითა სიტყვითა დამაძლენია.
არისტოფ უთხრა: «რად სძაგე ჩემი სიცოცხლე მძლენია?
ეს არ გეწყინა, რომე მაქვს სუფრანი არსამხლენია,
თეთრის დახარჯვა გეწყინა. არის რომ დასახლენია;
ფარისეველი ყოფილხარ, მიწასა დასახლენია;
და სუფრას მიგინებ, ეს გინდა, აქ იყო მოსალხენია!»[14] (77)

როგორც ჩანს, ქართულ ლიტერატურაში ამ ფორმათა ლექს-სტროფების შემომღებიც ვახტანგია. სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო ადრინდელად აღნიშნულია მხოლოდ მამუკა ბარათაშვილის 7-სტრიქონიანი „შეწყობილი" („ამეო, ამეო, საყვარელსა რამეო...") და „მდენარი" („ჩემ საყვარელო ვინაო, მიწყივ მიდგეხარ წინაო...") და 10-სტრიქონიანი „წყობილი მრავალმუხლი" („თუცა შენია, შენ ია, ვარდს არ წარტყვევნა ჰშვენია..."), რომლებიც „ჭაშნიკში" იკითხება[15].

პარალელს ავლებს რა ვახტანგისა და მამუკას ხსენებულ ლექსებს შორის, გ. მიქაძე ამ ტიპის ლექსების შემომღებად მამუკას მიიჩნევს. „ვის ეკუთვნის პრიორიტეტი აღნიშნული ლექსების გამოყენებაში, ვახტანგს თუ მამუკას? — კითხვას სვამს მკვლევარი და უპასუხებს: — უეჭველია, მოყვანილი ლექსების შემომღები მამუკა უნდა იყოს და მისთვის უნდა მიებაძა ვახტანგს, რადგან აღნიშნული სახის ლექსები ვახტანგის შემოღებული რომ ყოფილიყო, მაშინ მამუკა ვახტანგის ლექსს მოიყვანდა «ლექსის სწავლის წიგნის» დანართში, როგორც ამას ჩადის სხვა შემთხვევაში, და თავისი საკუთარი ლექსის მოყვანას კი მოერიდებოდა. გარდა ამისა... სწორედ ამ ლექსების მიბაძვით და-

---

[14] გამოცემაში შეცდომით გამოტოვებულია მე-11 სტრიქონი.

[15] ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, III₁, გვ. 213—215, 220—223.

ვით გურამიშვილსაც დაუწერია თავისი ლექსები. ამრიგად, ძველ ქართულ ლიტერატურაში აღნიშნული სახის ლექსების კანონიზაცია მამუკადან იწყება და აქედანვე ჩნდება ის ვახტანგის შემოქმედებაში[16].

„ქაშნიკის“ წერა მამუკა ბარათაშვილს, როგორც თვითონ იუწყება, დაუმთავრებია მოსკოვს 1731 წლის 1 თებერვალს[17]. არ ვიცით, როდის დაიწერა „სიბრძნე მალაღობელი“. მისი პირველი რედაქციის შემცველი S 4500 ხელნაწერის გადაწერა მელქისედეკ კავკასიძეს დაუსრულებია 1733 წლის 19 ივნისს[18]. „სიბრძნე მალაღობელის“ დაწერის უადრესი თარიღის დასადგენად გ. მიქაძე ეყრდნობა ზემოთ აღნიშნულ ფაქტს, რომ „ქაშნიკში“ მამუკა იმოწმებს საკუთარ 7- და 10-სტრიქონიან ლექსებს და არა ამ ფორმის ვახტანგის ლექსებს. აქედან მკვლევარი ასკვნის, რომ „სიბრძნე მალაღობელი“ „ქაშნიკის“ შემდეგ არის დაწერილი[19].

ამ მონაცემებითაც, როგორც ვხედავთ, დრო „ქაშნიკისა“ და „სიბრძნე მალაღობელის“ შექმნას შორის მაინცადამაინც დიდი არ არის — ორწელნახევარი არც კი[20]. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „სიბრძნე მალაღობელი“ ბევრად უფრო ვრცელი ნაწარმოებია, ვიდრე „ქაშნიკი“, მათი დაწერის ეს დამაშორებელი სავარაუდო დროც კიდევ უფრო ნაკლები გამოვა.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიაც კი, რომ „ქაშნიკი“ ბევრად უსწრებდეს „სიბრძნე მალაღობელს“, ჩვენთვის საინტერესო სტროფების შექმნაში ვახტანგის დამსახურება მაინც უცილობელია. საქმე ის არის, რომ დასახელებული, ხალხურ ლექს-სიმღერების ხმებზე შეწყობილი ლექსები მამუკას ვახტანგის დავალებით შეუქმნია. მამუკა წერს: „ესე თვითო სტრიქონი ძველი და ეს მთელი ლექსები მეფისავე ბრძანებით მე, მამუკა ბარათაშვილმან, ვთქვი“ (გვ. 129 [15]). ეს ცნობა, ვიმეორებთ, ეხება ზუსტად განსახილველ „შეწყობილს“, „მდენარსა“ და „წყობილ მრავალ-მუხლს“.

გ. მიქაძე ყურადღებას აქცევს ვახტანგისა და მამუკას საანალიზო ლექსებს შორის იმ მსგავსებასაც, რომ პირველ სტრიქონში არის ერთიანი შინაგან-გარეგანი რითმები. მამუკა: — „თუცა შენია, შენ

[16] გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილი (ცხოვრება და შემოქმედება), თბ., 1958, გვ. 136.

[17] მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 132 [19].

[18] ე. თაყაიშვილი, Описание..., II, с. 397.

[19] გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილი, გვ. 136 (სქოლიო).

[20] გ. მიქაძე „სიბრძნე მალაღობელის“ გალექსვის უგვიანეს თარიღად ასახელებს 1732 წლის 11 დეკემბერს, „ჯიმშედიანის“ დამთავრების თარიღს, რადგან მასში მოხსენიებულია „სიბრძნე მალაღობელიო“ (გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილი, გვ. 136, სქოლიო). მკვლევარი არ მიუთითებს და ჩვენთვის არ არის ნათელი, „ჯიმშედიანში“ სად ჩანს „სიბრძნე მალაღობელის“ გამოძახილი.

ია, ვერდს არ წარტყვევნა ჰ შ ვ ე ნ ი ა". ვახტანგი: — „პლატონ კ ა ც ი ა, კ ა ც ი ა, კეთილის შ ე ნა ტ კ ა ც ი ა" და სხვა. მისი დასკვნით, ამგვარი რითმები „სიბრძნე მალაღობელში", ისე როგორც დ. გურამიშვილთან მამუკას მიბაძვით არის გაჩენილი[21].

„ქილილა და დამანას" ვახტანგისეული თარგმანის შესწავლამ გამოავლინა, რომ ზუსტად ამგვარი რითმები ვახტანგს ადრე გამოუყენებია. ასეთია „ქილილა და დამანას" ზემოთ მითითებული 6- და 8-სტრიქონიანი ლექს-სტროფები: „ამის ს ა ხ ე ნ ი ვ ა ხ ე ნ ი, დიდთ მორთვის კაბად ნ ა ხ ე ნ ი" და „ა ს ე ო, ა ს ე ო, მრქუა სიტყვის მცოდნემ ა ს ე ო".

11-სტრიქონიანი სტროფით არის დაწერილი მ. ბარათაშვილის „პოლცკის ხმა"[22] და 12-სტრიქონიანი სტროფით მისი „ვიხილე შენი შვენება"[23] („ბაღდადიდან გელნ ბეშდურანის ხმა"). მაგრამ ესენი გვიან, „ქაშნიკისა" და „სიბრძნე მალაღობელის" შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

ვახტანგის შინაგანი მიდრეკილება ერთ რითმაზე განწყობილი მრავალსტრიქონიანი ლექსების შექმნისაკენ ერთხელ კიდევ გამოვლინდა მისი შემოქმედების ბოლო პერიოდში. 17- თუ 18-სტრიქონიანია[24] მისი „უწყვეტელი" („რა დავიბადე, სოფლით ვიბადე...") და 28-სტრიქონიანი — „ლექს-ამბავი" („საწუთროს ბედი რა ქონდა...")[25], რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

რით აიხსნება ვახტანგთან ამ სიახლის, სხვადასხვატაეპიანი სტროფების გაჩენა?

როდესაც ამგვარ კითხვას სვამს მ. თოდუა „ქილილა და დამანაში" ტაეპის გაჩენის შესახებ, ამას იგი ხსნის სპარსული დედნის გავლენით[26], რაც არსებითად სწორია. ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა მამუკა ბარათაშვილი სულხან-საბა ორბელიანისეულ „ქილილა და დამანაში" სხვადასხვა სახეობის ლექსთა, მათ შორის, სხვადასხვა რაოდენობის სტრიქონიან სტროფთა არსებობის შესახებაც. იგი წერდა: „სულხან-საბა ორბელიანმა «ქილილა და დამანა» გალექსა... იმაში ბ ე ვ რ ი ხ მ ა მ ო უ ყ ვ ა ნ ი ა, ა მ ი ს თ ვ ი ს რ ო მ ს პ ა რ ს უ ლ შ ი მ რ ა ვ ა ლ ხ მ ა თ ი ყ ო დ ა რ ა მ თ ო ნ ხ მ ა თ ა ც, რ ა მ დ ო ნ ს ტ რ ი ქ ო ნ ა ც ი მ ა შ ი ი ყ ო, ი ს ე თ ქ ვ ა..."[27]

---

[21] გ. მ ი ქ ა ძ ე. მამუკა ბარათაშვილი, გვ. 136, 138—139.

[22] მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 30.

[23] იქვე, გვ. 18.

[24] 17-სტრიქონიანია ლენინგრადულ ნუსხაში, 18-იანი გ. ავალიშვილისეულ ხელნაწერში.

[25] ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ვ ს ე, ლექსები და პოემები, გვ. 17, 20.

[26] მ. თ ო დ უ ა. ტექსტისათვის, ქილილა და დამანა, გვ. 110.

[27] თხზულებათა სრული კრებული, გვ. 132—133 [18].

ეს მოსაზრება ნაწილობრივ არის მართალი. როდესაც ალ. ბარამიძემ განსაზღვრა სულხან-საბა ორბელიანის პოეტური ნოვატორობა, იგი ეყრდნობოდა და მანვე წარმოაჩინა სწორედ ისეთი მაგალითები, სადაც თავისი „დახვეწილი პოეტური ალღოს წყალობით მას (საბას.— ბ. დ.) ბევრჯერ დაურღვევია დედნის ტექსტის ტაეპობრივი შესატყვისობაც და შინაარსობრივ-აზრობრივი მხარეც"[28].

ვახტანგის პოეზიაში, კერძოდ, „ქილილა და დამანასა" და „სიბრძნე მალაღობელში" ზემოთ მოყვანილი სხვადასხვატაეპიანი ლექს-სტროფების წარმოშობა, ცხადია, უმეტეს წილად მათმა წყაროებმა — „ქილილა და დამანას" სპარსულმა დედანმა, მისმა ადრეულმა ქართულმა თარგმანებმა და „აპოფთეგმატას" ე. თურქისტანიშვილისეულმა თარგმანმა განსაზღვრა. ეს კიდევ უფრო თვალნათლივ ჩანს „ქილილა და დამანაში". თხზულების შესავალში თვით ვახტანგი იუწყება: „ამასაც ნახავთ, ლექსი ლექსად გარდმოვსთქვი უკლებრად, რომელი ოთხმუხლი იყო, ანუ ორმუხლი, ანუ ერთმუხლი, ანუ ათმუხლი, მეტი თუ ნაკლები, და ამბავი — ამბად". მართლაც, ზემოთ მითითებული „ქილილა და დამანას" ვახტანგისეული 6- და 8-სტრიქონიანი ლექს-სტროფები ტაეპობრივი რაოდენობით ზუსტად შეესატყვისება სპარსულ დედანს, ვახტანგისეულ პწკარედულ თარგმანს. ანალოგიური ვითარებაა ერთ და 2-სტრიქონიან ლექსსტროფთა დიდზე-დიდ უმრავლესობაშიაც.

ვახტანგის შემოქმედებაში ქართულისათვის უჩვეულო სტროფული ფორმების გაჩენაში გარკვეული როლი შეასრულა ალბათ იმ ცოდნამაც, რომელიც მას ჰქონდა, საზოგადოდ, სპარსული და სხვა ერის სალექსო ფორმების შესახებ.

მაგრამ, ამასთან ერთად, ვფიქრობთ, არ ვიქნებით მართალი, ყოველივე ზემოთ აღნიშნული უცხოური ლიტერატურის, სახელდობრ, სპარსული ლექსის ბრმა მიბაძვად[29], მექანიკურ პროცესად ჩავთვალოთ, გამოვრიცხოთ და ხაზი არ გავუსვათ ვახტანგის მაძიებელ ხასიათსა და შემოქმედებითს ბუნებას.

ამის დამადასტურებელია მრავალი ფაქტი. ვახტანგის ზემოთ დამოწმებული ცნობა „ქილილა და დამანას" მის მიერ თარგმნილი ლექსების სპარსულ დედანთან ტაეპობრივი შესატყვისობის შესახებ ისევე არაზუსტია, როგორც მამუკა ბარათაშვილის აღნიშნული განცხადება ამავე თხზულების სულხან-საბასეული ვერსიის შესახებ. „ქილილა და

---

[28] ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 146. შდრ.: მ. თოდუა, ტექსტისათვის, გვ. 133—135.

[29] უნდა ვიგულისხმოთ, ვახტანგზე ზეგავლენას მოახდენდა აგრეთვე ქართული ხალხური ლექს-სიმღერები.

დამანას“ ვახტანგისეულ პოეტურ თარგმანში არის შემთხვევები, როცა ანგარიში არ ეწევა დედანს ან ერთი და იგივე დედანი სხვადასხვა რაოდენობის ტაეპიან სტროფებად არის გალექსილი. მაგალითები:

დედანი 2-სტრიქონიანია, ვახტანგი 4-სტრიქონიან სტროფებად თარგმნის:

1. „ხან ვარდის ფურცელს დილის ქარი იმარქაფებდა,
ხან ქარის ფეხზე წმინდა წყალი ჯაჭვს მოაბემდა“.
(M 53, გვ. 10v.)

„მას ნიავსა დილისასა მონაბერსა, მონაქროლსა,
იგ ფურცელნი ვარდისანი მარქაფად ჰყვა პირსა მოლსა,
მოარბეედის სატურფალად მისგან მისსა მონაყოლსა,
და ზოგი დასდვის წყაროშიგან, რომ სიწმინდით ჰგვანდა ბროლსა“.
(იქვე, გვ. 10v, ს. ყუბ.: გვ. 15r.)

2. „ერთის ლამაზის პირის მოგონებით,
იმის იმყისაგან ყოელი ქვეყნის ფარაღათი მაქვს“.
(M 53, გვ. 25r.)

„ერთის პირისა, სახისა სამუდმოთ მოგონებითა
მოსვენებისა კუთხესა ვზივართ ჩვენისა ნებითა;
თვით მისის ტრფიალებითა და მისის დამონებითა
და ფარაღათი გვაქვს სოფლისა ყოვლისა განსვენებითა“.
(იქვე, გვ. 25 r., ს. ყუბ., გვ. 36r.)

3. „ჰე ბუზო,ის ადგილი რომ ფასქუნჯის გასაფრენია, შენი ადგილი
არ არი, შენს უსირცხვილობას გამოაჩენ, ჩვენ გაგვრჯი“.
(M 53, გვ. 212v.)

„ფასქუნჯისა მეიდანსა, ეჰა, ბუზო უსუსურო,
რა ალაგი შენი არის, ცხენის დაძვრა მოისურო;
შენ დაგგმობენ ყოელი სული, ჩვენ მოწყენას შეგვაცურო,
და არა ღირსხარ, ჩამოეხსენ, თავი გაიმამაცურო!“ (იქვე)

ეს ადგილი ადრე ვახტანგს ერთსტრიქონიან ლექს-სტროფად ჰქონდა გალექსილი:

„თავს არცხენის ბუზი, ფასკუნჯის ადგილსა ვერ დაიჭერსა!“
(S 3177, გვ. 339)

დედანი 10-სტრიქონიანია, ვახტანგი ორ 4-სტრიქონიან სტროფად თარგმნის:

„მოსაწონი, გულის გასახსნელი წყალი და აერი,
ბედნიერობის მანძილი და შვენიერი ადგილი,
ყვავილნი რეს პირს გამოსული,

დამჴკნართა პირი და ხელი დაებანათ;
ხენი კარგ ტანადსავით აღზრდილნი,
ერთმანერთისა მჯობნობით თავ-ამაღლებულნი,
შტოებზე კარგა მხმობელნი მფრინველნი,
ხმით ორღანო შეეძზადათ.
მისი ალვის ხეები სამოთხის მოსაწონი,
ყოვლს ხის ფურცელზე ეწერა: იმე თუბის ხე ვარი".
(M 53, გვ. 10r.)

„გულის გამლები აერი, წყალი ამო და ტკბილები,
ბედნიერობის მანძილი, შვების ადგილის წილები,
ყვავილნი რუს პირს მდგომელი, წვიმისგან განწმენდილები,
და სუნი მნათობთა ტანისა მსგავსი, მაღალი, წვრილები".

„ერთმანერთისა უმჯობე, ტურფა, თავ-ამართულია,
შტოზე ხმიანი მფრინველი ღ[მ]თის ქებად მომართულია,
სამოთხის სახის სადარი მწვანე ნერგები რგულია,
და თუბის ხისაგან ნაწერი ფურცელი გარეთ რგულია". (იქვე)

„ქილილა და დამანას“ ლექსის ვახტანგის ხელით ჩაწერილი პროზაული თარგმანია: „სადაც დუგუნის დასმა გინდოდეს, იქ მალმის დადება არას არგებს“. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ეს სტრიქონი ვახტანგს სამგვარად გაულექსავს: ორი თითოსტრიქონიანია, ერთი — 4-სტრიქონიანი:

„დაღის ადგილს მალმის დება არას არგებს უსაცილოდ!“

„სადაც ხ[ა]მდეს დაღის დასმა, მ[ა]ს მალამმა ვერა კურნოს!“

„სად სწადდეს დასმა დაღისა ცეცხლითა მოსადებითა,
მუნ მალამოსა იყოსცა გამპირე დასადებითა, —
ვერ კურნებს იმას მკურნალი, მთავრობდეს ხელოვნებითა,
და გინდ სიბრძნის შუქსა სამუდმოდ მყოფლობდეს მოვანებითა!“
(S 3177, გვ. 143)

ასევე ზემოთ ნაჩვენებია, ერთ- და 4-სტრიქონიან სტროფებად არის გალექსილი „ქილილა და დამანას“ მოკლე პროზაული ტექსტი: „როდესაც საბელი გაწყდება, შეჰკვრენ და ნასკვი დარჩება“:

„რა გაწყდეს სამე საბელი, შეკრავ, დარჩების ნასკვები!“
(S 3177, გვ. 192)

„რა რომ გვარლი მევვარლემა ჩალხითა ქნას შეგრეხილი,
რა ის იქნას, რასაც ფერით გაწყვეტილი, გატეხილი,
ველარ შეკრა, რომ შეიქნა მეცადენე მეტად ფთხილი,
და კვლავ მას ნასკვი შესატყობი არ დააჩნდეს ვითა თხილი".
(S 3177, გვ. 192, M 53, გვ. 120v.)

საყურადღებოა, რომ ეს ლექსი გვიანდელ რედაქციაში (M 53-ში) პოეტს სწორედ 4-სტრიქონიანი სახით გადაუტანია და არა დედნის შესატყვისი ერთსტრიქონიანი ფორმით.

„ქილილა და დამანას“ ვახტანგის ხელთ არსებულ ქართულ პროზაულ თარგმანში სამი სტრიქონის სახით იკითხება:

„ნუ დაუშურებ, სწავლება კაცს არ დაეშურება,
რაგინდ მის მსმენელი არა ჯერ იყოს!
ელია წვიმას მოიყვანს, არაეის მოიმდურებსო“.

ზემოთ ესეც იყო მოყვანილი, ვახტანგი ამას ორგვარი სახის სტროფებით თარგმნის:

„ელიასა წვიმის მსგავსად, ხამს, მცოდნემა კაცსა უყოს:
სწავლა არვის დაუჭიროს, თუ მსმენელი არ სჯერ იყოს!“
(S 3177, გვ. 183)

„ცოდვას მოიმკის მადლის წილ, ვინც ამას დაიშურებსა:
ელია წვიმას მოიყვანს, არვის არ მოიმდურებსა,
მის მსგავსად შენცა სწავლანი ასმინე კაცთა ყურებსა,
და არ დაეჭირვის, ვინ ისმენს და ან ვინც არ იჯერებსა!“ (იქვე)

არსებობს ამავე ლექსის ვახტანგის პწკარედული, პროზაული თარგმანი და მისივე სხვაგვარი (2-სტრიქონიანი) ლექსითი რედაქციაც (M 53, გვ. 115v.).

ასევე, ვახტანგს „ქილილა და დამანას“ 2-სტრიქონიანი პროზაული ტექსტი ჯერ 4-სტრიქონიან და შემდეგ 2-სტრიქონიან ლექსად გაუწყვია:

„შენ სოილი ხარ. ვისი ბედია, რომ შენ შუქი მიაყენო;
ვისაც მიადგება, დოვლათის ნიშანია“.
(M 53, გვ. 5v.)

„შენ სოილი ხარ, ვარსკვლავი, დარი და მგზავსი მზისანი;
რა ამოჰხდები, ქვეყნისა მიმფენელი ხარ სვისანი;
ვის მიაყენებ შენ შუქსა, ბედისა არის ნიშანი,
და შლის სიბრძნის ვარდსა სამუდმოდ, მიცემა იცი წლისანი“. (იქვე)

„თაგდირი ხარ; ვისი ბედი, მიაყენო შენ რომ შუქი,
[და] სვე-დოვლათის ნიშანია, რათლა იყოს იგი უქი!“ (იქვე)

ჩვენ ზემოთ ერთგან მივუთითეთ, რომ ვახტანგს „ქილილა და დამანას“ 8-სტრიქონიანი პწკარედი პირველად 4-სტრიქონიანი და შემდეგ 8-სტრიქონიანი სტროფის ფორმით დაუწერია (M 53, გვ. 6r.), ხოლო

დედნისეული 12-სტრიქონიანი პწკარედი („ყოფილა ვირი ერთსა დროს...“) ვახტანგს ორი 4-სტრიქონიანი სტროფით უთარგმნია — „ყოფილა ვირი უკუდო...“ და „საბრალოს ვირსა კუდისა...“ (M 53, გვ. 130r.).

არაფერს ვამბობთ იმ მაგალითებზე, როდესაც S 3177-სა და M 53-ში სხვადასხვაგვარი სტროფული ფორმით არის გადმოღებული „ქილილა და დამანას“ ერთი და იგივე ლექსი, რადგან, შესაძლებელია, ერთ შემთხვევაში პოეტი ეყრდნობოდა „ქილილა და დამანას“ ქართულ ენაზე არსებულ ადრინდელ თარგმანებს, მეორე შემთხვევაში — უშუალოდ სპარსულ დედანს და ეს წყაროები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ასეთია, მაგალითად, შემდეგი ადგილი: ვახტანგს ჯერ ერთ სტრიქონად უთარგმნია:

„სიტყვა უტკბოსი შაქრისა, უმჯობე თვალ-მარგალიტთა“.
(S 3177, გვ. 543)

ბოლო რედაქციაში ეგევე ტექსტი მას 4-სტრიქონიან სტროფად გადმოუღია:

„დაიწყო სიტყვა სიწმინდით ქვათ წმინდათ უწმინდესია,
სიტკბოთი შაქრის უტკბილე, რაც იყო მისი წესია;
რაც ყური იმას ისმენდა, რამც იყო უამესია,
და აფლათუნ ბრძნისა ნათქვამსა მწვე იყო უკეთესია“.
(M 53, გვ. 326v.)

პირველ შემთხვევაში ვახტანგი ეყრდნობოდა სტრიქონებად დაუყოფელ შემდეგ ქართულ თარგმანს: „სიტყვა უმჯობეს თვალ-მარგალიტთა და უტკბო შაქრისა და მის სიტყვის მსმენელს არისტოტელსაც შებნედდა სიამოვნებით“ (S 3177, გვ. 543). მეორე შემთხვევაში, როგორც ჩანს, წყაროა თვით დედანი, რომლის პწკარედულ თარგმანსაც იქვე იძლევა ვახტანგი:

„სიტყვები სიწმინდით გოვარის უკეთესა,
სიტკბოთი შაქრის ალეის (?) უტკბილესი,
ვინსაც (!) ყურში ის სიტყვა შევიდოდა,
და აფლათუნც ყოფილიყო, გაშტერდებოდა“.

ვახტანგი რომ განურჩევლად არ მისდევს წყაროს, ამის მაგალითად შეიძლება კიდევ გამოდგეს „ამირ-ნასარიანი“. პოეტს ეს თხზულება თავიდან ბოლომდე ორი რედაქციით გაულექსავს და ორივეჯერ 4-სტრიქონიანი სტროფებით, მაშინ როდესაც აქაც ბევრია მოკლე, თითო წინადადებიანი შეგონებანი და პოეტს მანამდე „ქილილა და დამანაში“, თუ შეიძლება ასე ითქვას, გავლილი ჰქონდა თითო და

2-სტრიქონიან ლექს-სტროფთა შექმნის პრაქტიკა. მაგალითად, ორივე რედაქციაში 4-სტრიქონიანი სტროფებით არის გალექსილი შემდეგი შეგონებანი:

„შვილო, კარგის თქმასა და კარგის ქმნას ნუ დაინანებ, როდესაც იქნება, საკეთილოდ გამოგადგება"[30] (= სტრ. 1 Г).

„ძენი ადამისნი საქონლისაგან უფრო მოტყუედებიან, ვირემც ენისაგან" (გვ. 351, = სტრ. 13).

„შვილო, კაცის ამბავი რომ არ იცოდე, რად ენდობი!" (გვ. 352, = სტრ. 19).

„შვილო, ხელმწიფემ ცოტა გაცემა არ უნდა იკადროს და არც შენს ენას ცოტას გაცემა არ ათქმევინო!" (გვ. 357, = სტრ. 64).

„შვილო, კაცს ნუ დასძრახამ, თავისას ნურას მოჰპარავ და ნურც ავს ქართულს ეტყვი!" (გვ. 357, = სტრ. 70).

„შვილო, შურით უბრალოს კაცს ნუ წაახდენ! რაგინდ დიდად შეგცოდოს კაცმა, მიუტევე!" (გვ. 362, = სტრ. 134).

„შვილო, ნუ გგონია უწყალობა და ავკაცობა კაცს შერჩეს!" (გვ. 363, = სტრ. 147).

„ჭკვიანმა რომ უცოდინარს რამ უთხრას, ამ გზით უნდა უთხრას, როგორც მკურნალი ავადმყოფსა!" (გვ. 364, = სტრ. 164). და მრავალი სხვა.

აქ არის მოგრძო ამბებიც, რომლებსაც თითქოს 6—10-სტრიქონიანი სტროფები უფრო მოუხდება, მაგრამ ისინიც კატრენებით არის გალექსილი.

ამ მაგალითებში, ყველგან, დედნიდან გადახვევისას 4-სტრიქონიან სტროფებთან გვაქვს საქმე. თანაც, როდესაც ვახტანგი ორი რედაქციით — დედნის ტაეპობრივი შესაბამისი და 4-სტრიქონიანი სტროფებით იძლევა თარგმანს, ყოველთვის ნათელი არ არის, რომელია პირველადი და რომელი ბოლო ნება ავტორისა. ისეთი შთაბეჭდილება რომ არ შეგვექმნას, რომ პოეტი მასალისადმი შერჩევით, შემოქმედებით დამოკიდებულებას კი არ ამჟღავნებს, არამედ ტრადიციის ძალით ჯერ მიმართავს 4-სტრიქონიან სტროფებს, ხოლო შემდეგ წყაროს გავლენით — დედნისეულ სტროფულ ფორმას, მოვიყვანოთ ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დედნისეული 2-სტრიქონიანი ლექსები ვახტანგს ერთი სტრიქონით გაუმართავს ან კიდევ მეტი, — თავისი 2-სტრიქონიანი ლექსები შემდგომ ერთსტრიქონიანად, ანდა პირიქით, გადაუკეთებია:

„ქილილა და დამანას" 2-სტრიქონიანი ლექსები ვახტანგს ერთსტრიქონიანად გადმოუღია:

1. „ყოველს საქმეს გასინჯვა უნდა,
საქმე გაუსინჯავად კარგა არ მოვა".

(M 53, გვ. 8v.)

[30] გ. იმედაშვილი, ყაბუს-ნამეს ქართული ვერსია ამირ-ნასარიანი, „ლიტერატურული ძიებანი", IX, გვ. 351.

„კარგად ვერას ვერ მოახდენს კაცის საქმის არ გამრჩევი!“

(იქვე, ს. ყუბ., გვ. 12r.)

2. „დროს მოსავლის მზის სიცხისაგან რად ჯავრსა ვიქ,
რადგან შენის წყალობის ხეივანი ჩვენი მფარველია“.

(M 53, გვ. 9r.)

„რას ჭირსა ვსჭამ ცის მზისაგან, რადგან მადგას თქვენი ჩრდილი!“

(იქვე, ს. ყუბ., 13r.)

3. „ეჰ, ღ[მერ]თო, ამას რომ ვხედავ, ცხადია თუ სიზმარი,
ჩემს თავს, ამ სიკეთეში ამთონს ჭირს უკან?“

(M 53, გვ. 34r.)

„იტყოდა თუ: «ნეტარ, ღ[მერ]თო, ცხადსა ვხედავ, ანუ ბნელსა?!»“

(იქვე)

ს. ყუბანეიშვილისეულ ნუსხაში ვახტანგის ამ ლექსს ახლავს მეორე სტრიქონი: „თავსა ჩემსა სიკეთეში ამ ჭირს უკან მისთვის ხელსა“ (გვ. 48r.). ეს დამატება ალბათ ონანა მდივანს ეკუთვნის და ამიტომ არ ახლავს ამ ლექსს ვახტანგის ლექსთა გამომრჩევი მითითება „მ“ (=მეფის ნათქვამი).

4. „ჯიქნი რომ მონადირე ლომნი არიან,
თავის მოციქულობას თავისი ფეხით იქს“.

(M 53, გვ. 214v.)

„ლომი არის ნადირთ მეფე. თავის სადილს თვით ამზადებს!“

(იქვე)

თავიდან ვახტანგს ეს ადგილი ასე უთარგმნია:

„ლომი არის ნადირთ მეფე. თავის საქმეს თვით ირჯება!“

(S 3177, გვ. 343)

მაშინ პოეტი ეყრდნობოდა შემდეგ ჰწკარედს:

„ნადირთ ხელმწიფე რომ [არის] ლომი, თავის საქმეს
თვითან ისაქმებს“.

(იქვე)

5. „თუ დღეს ჩემს სიტყვას არ გაიგონებ, არამც ხვალ დაინახო!“

(M 53, გვ. 219v.)

„თუ დღეს არ ისმენ ჩემს ნათქვამს, ხვალ ავიჩნდეს სანანულად!“

(იქვე)

6. „იმას ზილფი რომ მუშკისა და ამბრის დარიყო იმ ზილფსავით,
დახუჭუჭებულიყო მისი ნაზი ტანი სნეულები“.

(M 53, გვ. 288v.)

„ზილფ-მუშკი და ამბრის სული, ავად გახდა ნაზი ტანი“ (იქვე)

„სიბრძნე მალაღობელის“ რედაქციული დამუშავებისას ვახტანგს საკმაოდ ბევრი სტროფის სტრუქტურა შეუცვლია. ყველაზე მეტია 2-სტრიქონიანების ერთსტრიქონიანებად გადაკეთების შემთხვევები. მაგალითები:

სტრ. 40. I რედაქცია:

„ჩინ·ურთა და კაცთა ცნობა ერთმანერთსა და[ა]სახეს:
და ორივ ხმითა იცნობების, გამგონეთა გაივახე[ს]“.

(S 4500, გვ. 5)

2-სტრიქონიანია ამავე ხელნაწერში და M 3-სა და გამოცემაში მოცემული ამ სტროფის სხვა რედაქცია. ბოლო რედაქციაა:

„ხმა გამოაჩენს ჩინ·ურსა, კაცსა — ამბისა მბობანი!“

(S 4500, გვ. 5; S 171, გვ. 38)

სტრ. 107. I რედაქცია:

— „«ცოტა ვივისო მოწაფე!» — «ეეცხლის წკეპლით ვარ მცემელი,
მცირეს ხელფასსა არ ვჯერვარ, შექნილან დასაცემელი»“.

(S 4500, გვ. 20; M 3, გვ. 51r; გამოცემა)

ბოლო რედაქცია:

„შეუმცირდების მოწაფე სწავლისთვის ბევრის მთხოველსა!“

(S 4500, გვ. 20; S 171, გვ. 45)

სტრ. 108. I რედაქცია:

„«ბოროტი ვინმე — მას უთხრეს, — შენსა უბნობდა ქებასა».
«არამც უცებად მოუხდა — სწუხს, — ავი ჩემსა ნებასა!»“

(S 4500, გვ. 21; M 3, გვ. 51; გამოცემა)

ბოლო რედაქცია:

„ავნი აროდეს აქებენ ავისა წაუკიდარსა!“

(S 4500, გვ. 21; S 171, გვ. 45)

სტრ. 200. I რედაქცია:

„ჰკითხეს: «კაცმა რა დროულმა ქორწილით ქნას გახარება?»
და — «ყმაწვილთათვის ადრე არი, ბერთა აღარ ეფერება»".
(S 4500, გვ. 44; M 3, გვ. 60r.; გამოცემა)

ბოლო რედაქცია:

„ქორწილი ყრმათა ადრეა, ბერთა არ ეფერებისა!"
(S 4500, გვ. 44; S 171, გვ. 54)

ანალოგიური ვითარებაა შემდეგ სტროფებში[31]: 204(45), 213(55), 235(57), 251(58), 271(60), 288(62), 298(62), 306(63), 307(63), 311(63), 313(63), 314(63), 333(65), 410(71), 435(73), 605(84), 616(85).

„სიბრძნე მალაღობელში" არის პირუკუ შემთხვევებიც. თავიდან იყო ერთსტრიქონიანი და გადაკეთდა 2-სტრიქონიანად:

სტრ. 52. I რედაქცია:

„მამა შვილსა არ ასწავლის, სცნას, არ უნდა მისსა მკვიდრად!"
(Q 548, გვ. 63; S 4500 დაზიანებულია)

ბოლო რედაქცია:

„მამა შვილსა არ ასწავლის, არაოდეს გაუმგუნდეს,
და საცნობია, მემკვიდრობა მისთვის თურე არა უნდეს".
(S 171, გვ. 39)

ეს სტროფი, მცირე ვარიანტული სხვაობით, ასევე 2-სტრიქონიანია ლენინგრადულ ნუსხაში.

სტრ. 444. I რედაქცია:

„ან დარუმდი, ან ასე თქვი, სხვასაც ერგოს ლაპარაკი!"
(S 4500, გვ. 110; M 3, გვ. 80v; გამოცემა)

ბოლო რედაქცია:

„ბაგის, სავარდის კარები დაიცვე დანაგულარი,
და გააღო, ასე გაალე, სხვამანც თქვას განაგულარი!"
(S 171, გვ. 74)

---

[31] ფრჩხილებში ნაჩვენებია S 171 ხელნაწერის გვერდები, რომელშიაც მოცემული სტროფი ერთსტრიქონიანია.

აზრი რომ უფრო ნათელი გაეხადა, თავიდან 2-სტრიქონიანებად შექმნილი ლექსები „სიბრძნე მალალობელში" ვახტანგს 4-სტრიქონიანებად გადაუკეთებია:

სტრ. 15. პირველი რედაქცია:

„სოკრატ მოკვდავი უფალსა ილოცავს, ევედრებოდა:
სიბრძნის დამბადო ყოვლ სულთა, სულსა შენ შეგევედრებოდა!"
(Q 548, გვ. 57; S 4500 დაზიანებულია)

ბოლო რედაქცია:

„სოკრატ მოკვდავი უფალსა გულითა ევედრებისა:
სიბრძნისა დამბადებელო, სრულისა სახმარებისა,
შემოგავედრებ ჩემს სულსა, მყოფელო შესაკრებისა,
და შემინდეე ნასაქმარები წინაშე მოსახრებისა!"
(S 171, გვ. 37)

ასევე 4-სტრიქონიანია ეს სტროფი[32] ლენინგრადულ ხელნაწერსა და მასზე დამყარებულ გამოცემაში. განსხვავება არის მხოლოდ წაკითხვებში.

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრით: ანალოგიური ვითარებაა[33] 21(1), 28(3), 49 (Q 548, გვ. 63)*, 60(8), 90(16)*, 168(35), 249(60), 276(67), 299(72), 399(98), 407(100), 442(109) და 482(120) სტროფებში.

მაშასადამე, ვახტანგი თავის თარგმანებში იყენებს ტრადიციულ 4-სტრიქონიან და სათარგმნი ტექსტის შესაბამის 1-, 2-, 6-, 7-, 8-, 9-, 10-, 11-, 12-სტრიქონიან სტროფებს. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ამომწურავად, ზუსტად და ლაკონიურად გადმოსცემს შინაარსს, იგი ცვლის სტროფულ სტრუქტურას. პოეტი ეძებს და არჩევს სალექსო ფორმებს მის ხელთ არსებული მასალისა და მიზანდასახულობის მიხედვით.

ზემოთ აღვნიშნეთ, რა დიდი ადგილი უჭირავს ვახტანგის შემოქმედებაში დიდაქტიკურ მოტივს, სწრაფვას — განათლება, ცოდნა, სიბრძნე შეიტანოს ხალხში. მან თავის თარგმანებში ფართოდ გაუღო კარი „ქილილა და დამანას", „ყაბუს-ნამეს", „აპოფთეგმატას" ბრძნულ შეგონებებს, აფორიზმებს, რომლებიც უმეტესად მოკ-

---

[32] გამოცემაში შეცდომით 5-სტრიქონიანად არის წარმოდგენილი.

[33] ფრჩხილებში მითითებულია S 4500 ნუსხის გვერდები, სადაც მოცემული სტროფები 2-სტრიქონიანებად იკითხება (პირველი რედაქცია), ყველა დანარჩენში 4-სტრიქონიანია. რომელსაც ვარსკვლავი აზის, ისინი S 171 და S 4500-შია (ნასწორებია) და 4-სტრიქონიანია.

ლე სალექსო ფორმებით არის გამოხატული. უფრო მეტიც, თარგმანებში გააძლიერა ეს მხარე. უკვე გვქონდა საუბარი, „სიბრძნე მალოლობელში“ არაერთი შემთხვევაა, როდესაც კონკრეტული შინაარსის შემცველი ბრძნული გამოთქმები პოეტს ტექსტზე შემდგომი მუშაობის შედეგად მოკლე, განმაზოგადებელი მნიშვნელობის სენტენციებად უქცევია. ამის გამოა, რომ ზემოთ მითითებული 2-სტრიქონიანი სტროფები ბოლო რედაქციაში ერთსტრიქონიანებად არის გადაკეთებული.

მეორე მხრივ, გრძელი ამბების გადმოცემისათვის, აზრი რომ უფრო ნათელი და გასაგები ყოფილიყო, ვახტანგი იყენებს უფრო ტევად სალექსო ფორმებს. ბევრ შემთხვევაში ამიტომაა მისი თარგმანების ბოლო რედაქციებში ერთსტრიქონიანი ლექს-სტროფები 2-სტრიქონიანებად და 2-სტრიქონიანები 4-სტრიქონიან სტროფებად გადაკეთებული.

ამრიგად, ვახტანგ მეექვსე ქართული ლექსის სტროფული სტრუქტურის საქმეში ერთ-ერთი რეფორმატორია. მან, არჩილის შემდეგ პირველმა, ზოგჯერ შეძლო გვერდი აევლო ქართულში კანონიკურ ნორმად ქცეული კატრენებისათვის და მოეცა განსხვავებული აღნაგობის ლექს-სტროფები. ვფიქრობთ, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს საკითხს, საიდან მოდის ან რამდენად ორიგინალურია ეს ფორმები. მთავარი ის არის, ისინი ქართული ენის ბუნებას ორგანულად შეერწყა და საკმაოდ ფართო გავრცელება პოვა ჩვენს პოეზიაში მე-18 საუკუნესა და მე-19 საუკუნის დასაწყისში და შემდეგაც.

ზემოთ განხილული მასალებიდან არ ჩანს და ვერ ვიტყვით, როცა სხვადასხვა რაოდენობის სტრიქონიან ლექს-სტროფებს ქმნიდა ვახტანგი, მიზნად ჰქონდა თუ არა ახალი სალექსო ფორმების შემოტანა ქართულში. თუ მას ამ შემთხვევაში ამგვარი განსაზღვრული მიზანდასახულობა არ ჰქონდა, ამ საქმეში ქვეცნობიერად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა მის ნოვატორულ-შემოქმედებით ბუნებას.

ქართული ლექსის განახლებაზე ვახტანგის დაუცხრომელ და მიზანსწრაფულ ზრუნვას თვალნათლივ ავლენს მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“ და მასზე დართული ვახტანგის ლექსები. ყველა მათგანი გარკვეული სიახლის შემცველია.

„უწყვეტელი“ 20-მარცვლიანი, შიდა-რითმიანი, მრავალსტრიქონიანი ლექს-სტროფია, სადაც სტრიქონის მეორე ნახევარში ბოლომდე უცვლელად მეორდება ერთი და იგივე რეფრენი:

„რა დაეიბადე, სოფლით ვიბადე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მეგონა რამე, სოფლისა რამე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მიჰეყვე სოფელსა, აეის მყოფელსა, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!

განვცხერ, ვიშეებდი, ვერ გავიშეებდი, ვაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მატბო, მაჟემა არად სარგემა, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!...“
და სხვ.

ჩანს, ამ უწყვეტი რეფრენის გამო ეწოდება ამ ლექსს „უწყვეტელი“. ირკვევა, რეფრენის განახლება და აღორძინება ქართულ მწერლობაში სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგის სახელებს უკავშირდება[34].

ეს ლექსი, თანახმად ალ. ბარამიძის მითითებისა, ჩახრუხაულის ტიპისაა, ოღონდ „ვახტანგს არსებითად შეუცვლია ჩახრუხაულის ლექსის კილოც და კონსტრუქციაც. ჩახრუხაული ჩვეულებრივად იხმარებოდა სახოტბო-საზეიმო ლექსებისათვის. ვახტანგს კი ოცმარცვლიანი საზომით გადმოუცია მძაფრი პესიმისტური განწყობილება. კონსტრუქციის მხრივ ვახტანგს დაურღვევია ჩახრუხაული ტიპის მეორე ნახევრის სქემა... ჩახრუხაულის კლასიკური ფორმიდან ვახტანგს შენარჩუნებული აქვს მარცვალთა რაოდენობა და პირველნახევარ ტაეპთა შინაგანი რითმა“[35]. ნათქვამს უნდა დაემატოს ისიც, რომ „უწყვეტელი“ ჩახრუხაულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება აგრეთვე სტროფული სტრუქტურითაც: ჩახრუხაული 4-სტრიქონიანი სტროფია, რომელიც ერთი საერთო ბოლორითმით არის შეკრული. „უწყვეტელი“ კი, მსგავსად ზემოთ აღნიშნული სტროფთა სახეობებისა, მრავალსტრიქონიანი ლექს-სტროფია, რომელსაც, ნაცვლად ერთი სარითმო სიტყვისა, ერთი, მთლიანი, რეფრენული ფრაზა აერთიანებს.

მაშასადამე, ვახტანგის „უწყვეტელი“ ჩახრუხაულისაგან განსხვავდება როგორც სტროფის აგებულებით, სტროფში ტაეპთა რაოდენობით, ისე სტრიქონთა მეორე ნახევრის თავისებურებით.

თვით ჩახრუხაულისათვის პოეტს მხოლოდ ერთხელ მიუმართავს. ეს არის ერთი სტროფი, რომელიც ერთვის მის გრძელ „ანბანთქებას“, სადაც ბოლო რითმები ომონიმურია:

„ჯუფთ არს არა ვის, თუ ვინ აწ ბრძანებს, ვეჭვ არს შემდგომი;
ემონე ქრისტესა, მას ჩემსა მწესა, უნდო, არ კეთილთ
ფრიად შემდგომი,
ამის ლექსვაში ვიყავ მწვე ვაში, ნუ ეჭვთ მყოლოდეს
შემწე შემდგომი,
და ბრძენთ დავაბრალო, უცებთ ვერ მრაელო, რომ ხართ
რიტორთა გზაზე შემდგომი“[36].

---

[34] ამ საკითხზე იხ.: ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, III₁, გვ. 223—227; ქ. კეკელიძე, ეტიუდები..., X, თბ., 1968, გვ. 236—237.

[35] ნარკვევები..., II, გვ. 451.

[36] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 67.

„მეფისვე ნათქვამი ბოლოერთი“ 16-მარცვლოვანი შაირით დაწერილი 5-სტროფიანი ლექსია, მაგრამ, როგორც ამავე ტიპის მომდევნო ლექსის („მეფისვე ნათქვამი“) შესახებ ალ. ბარამიძე შენიშნავს, „ბოლოერთი“ „რუსთველური შაირის სტროფის გადახალისების მაუწყებელია“[37]. კლასიკური შაირისაგან იგი ორი ნიშნით განსხვავდება: ყოველი მეოთხე სტრიქონი არის რეფრენი — „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა (‖ წყალობათა) აღმიმართეს საკვდად ჯვარი!“ მეორე საერთო ნიშანია ერთი, საერთო რითმის გამოყენება; ხუთივე სტროფში ერთი რითმაა — „...არი“:

„მე შევამკევ ცა, ქვეყანა, ზღვა, მთა, ველი, ნაყოფთ გვარი,
აბრამს უხმე საყვარელად, ძეთ ალგითქვი თემთა მზღვარი,
განვამდიდრე, განვამრავლე, ზეცით მოვეც ნაყოფთ ცვარი,
ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი.
შევაძრწუნე მეგვიპტელნი, რისხვით მიეეც დანამწვარი...“ და სხვა.

შემდეგი სარითმო სიტყვებია: „მყვარი“, „განაგარი“, „ჯვარი“, „მოარი“, „ღვარი“ და ა. შ.

ეყრდნობა რა „ჰაშნიკის“ ტერმინოლოგიას, სადაც „ბოლო“ რითმას აღნიშნავს[38], ა. ხინთიბიძე წერს: „«მეფის თქმული ბოლოერთი» მონორითმიანი ლექსია. ხუთივე სტროფი ერთი საერთო რითმით არის შეკრული. სახელწოდება «ბოლოერთი» სწორედ ამის მაუწყებელია“ (იქვე, გვ. 61).

ვახტანგ მეექვსეც რითმას „ბოლოს“, „ბოლოებს“ უწოდებს. ვეფხისტყაოსნის გამოცემაზე დართულ კომენტარებში, განმარტავს რა პოემის სტროფის „ერთგან დასხდეს, ილაღობეს...“ მაჯამურ რითმებს „ასადაგეს“, იგი წერს: „ბ ო ლ ო ე ბ ი ს სათარგმნო არ მითარგმნია, თქვენ თარგმნეთ“ (გვ. ტიბ). იგივეა ნათქვამი „ღმერთმა თუცა ენა ჩემი...“ სტროფის მაჯამური რითმების „უშენოსა“-ს შესახებ: „ბ ო ლ ო ე ბ ი, ვინც გინდათ, თქვენ თარგმნეთ“ (გვ. ტკთ). იქვე, „თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა...“ სტროფის ასევე მაჯამურ რითმათა „არ იდენო“-ს კომენტარი: „ბ ო ლ ო ე ბ ი, ვინც გინდათ, თარგმნეთ. ერთი სომხური კი არის: «არიდენო» — იქით მიდიო“ (გვ. ტკთ).

მიუხედავად ამისა, „ბოლოერთი“ ტიპის ლექსების გაცნობა გვიჩვენებს, რომ ერთრითმიანობასთან ერთად მათთვის დამახასიათებელია მეოთხე სტრიქონად რეფრენის გამოყენება, რომელიც სტროფთან გარითმულია. ამიტომ ვფიქრობთ, ვახტანგის „ბოლოერთში“ არა მარტო რითმათა ერთიანობა, არამედ მასთან ერთად ბოლო, მეოთხე სტრიქონის ერთიანობაც იგულისხმება. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს

---

[37] ნარკვევები..., II, გვ. 451.

[38] ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, ჰაშნიკი ქართული ლექსმცოდნეობისა, წიგნში: მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, სწავლა ლექსის თქმისა, გვ. 50—52.

დ. გურამიშვილის ლექსები. ერთში (ზ), რომლის სათაურია „მოთქმა ხმითა თავბოლო ერთი“, რეფრენულია როგორც ბოლო, მეოთხე სტრიქონი, ისე თავი — პირველი სტრიქონი. აქ 11 სტროფში პირველ სტრიქონად მეორდება „ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!“ 12 თუ 13 სტროფში ბოლო სტრიქონად მეორდება „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!“ (გვ. 43—45 [31—34]).

მეორე ლექსში (ლდ), რომელსაც ჰქვია „ვედრება ღვთისმშობლისა დავითისაგან, ოდეს ზეით თქმულს ლოდ-გამოკვეთილს კლდეს შაეფარა ავის დრის მიზეზით ბოლო ერთი“, რეფრენულია სტროფთან რითმით დაკავშირებული მეოთხე სტრიქონის მეორე ნახევარი: „მომეც ნაყოფი კეთილი, იესოს ქრისტეს მშობელო!“, „შენ დამიფარე, დაიცევ, იესოს ქრისტეს მშობელო!“ და ა. შ. (გვ. 86—88 [90—95]).

ერთი შეხედვით, საწინააღმდეგოს გვიჩვენებს დ. გურამიშვილის „მდ“ ლექსი „სიმღერა დავით გურამისშვილისა, ტყვეობიდამ გამოსვლის დროს დავითის შესმა“ (გვ. 111 [122]). ა. ხინთიბიძემ ყურადღება მიაქცია მეორე სტროფს, სადაც საუბარია „ბოლოერთზე“:

„ამად მე ესრეთ შევაწყვე ქება დავითის შესხმითა,
ესე შაირი ბოლო-ერთ ერთმანერთზედა შესხმითა;
«ჩემო ყურშაოს» სანაცლოდ ჩახრუხაული ეს ჴმითა
და მიუთხარ, გამხიარულდენ ღვინისა თასებზე სხმითა“.

ეს სტროფი ერთრითმიანია, რომელიც წინა სტროფს რითმით არ უკავშირდება. პირველი სტროფია:

„ვინც რომე სახლში შემეშვა, გამათბო, გამამშუშაო,
დამიდგა კარგი სადილი, წინ ღვინით სავსე შუშაო,
მან შემიკვეთა: იმღერე, დავით, ის «ჩემო ყურშაო»;
და კელავ შენ მე რასაც შემიკეეთ, ვიქნები შენი მუშაო“.

მომდევნო ლექსიდან, რომლის სათაურია „დავითის შესხმა პირველი“ და 13 სტროფს შეიცავს, ერთ ბოლორითმაზეა აგებული მხოლოდ პირველი ოთხი სტროფი (სტრ. 3—6). საწყისი სტროფია:

„მოიქცა დავით კაის სადავით, ღვთის უღლისაკე მიიღო ქედი.
მაღლით დასწვივა, მდაბალთ აწვივა, ერთად შეყარა ვაკე და ქედი;
ადიდა მამა მის ქნარის ჴმამა, ძე — სიტყვა მისი — ძალთა მოქმედი.
ძე დავითს რქადა ღმერთმან უქადა: რქა აღგიდგინო, მით მტერთა რქენდი!“[39] (3)

---

[39] გამოცემებში ეს 20-მარცვლიანი ჩახრუხაული სტროფები 10-მარცვლოვან სტრიქონიან სტროფებად არის დაყოფილი, რაც ლექსს თავის სახეობას უკარგავს და პოეტის ნებას ეწინააღმდეგება.

დანარჩენი სამი სტროფის დამაკავშირებელი კიდური სარითმო სიტყვებია: „გვერდი“, „ქვემდი“, „გამრქედი“, „ბედი“ (სტრ. 4), „მოსართლევდი“, „იბემდი“, „ვილხენდი“, „ვირხევდი“ (სტრ. 5), „შარავანდედი“, „გავსთენდი“, „ავშენდი“, „ვაქებდი“ (სტრ. 6).

უკვე მე-7 სტროფიდან განსხვავებული ბოლო რითმები გვაქვს. მე-7 სტროფია:

„დავით არ ვაქო, მკითხონ რა ვაქო: კაცო, შენ იყავ გიჟი თუ ბრძენი?
ვაქებ მიტომა, დავითის შრტომა, ზედ გამოაბა კარგი ყურძენი.
ვინც იგი ჭამა, ღმერთი იწამა, ბერთა და ბერწთა მისცა სულ ძენი;
და მით აღიშენეს და დაიშვენეს სახლ-კარ-მიდამო, გარე ფუძენი“.

მომდევნო სტროფთა კიდური სარითმო სიტყვებია: „თქმული“, „აღთქმული“, „განთქმული“, „აღთქმული“ (სტრ. 8), „იწოდა“, „იწოდა“, „იწო და“, „გაიწოდა“ (სტრ. 9) და ა. შ. ერთგვარი გამონაკლისია კიდევ მე-10 და მე-11 სტროფები, რომლებსაც საერთო ბოლოკიდური რითმები აქვს („დაკარგა“, „კარგა“, „ვარგა“, „ბარგა“ და „ქადაგა“, „დარგა“, „განაბადაგა“, „დაგა“), მაგრამ ისინი განცალკევებულია სტროფგამყარი „და“ კავშირით, რაც იმის მაუწყებელია, რომ მათ პოეტი ისეთ ერთიან სტროფად არ წარმოგვიდგენს, როგორც პირველი ოთხი სტროფია.

არაფერს ვამბობთ უკანასკნელ ორსტრიქონიან, ბოლო-პარალელურრითმიან ორ სტროფზე, რომლებიც დედანში ბოლო სტრიქონის წინ მდებარე „და“ კავშირით ერთმანეთისაგან გამოყოფილია, ხოლო გამოცემებში არასწორად ერთ ოთხსტრიქონიან სტროფად არის დაბეჭდილი (სტრ. 14). ეს სტროფები წინა, მე-13 სტროფთან ერთად პოეტს წვრილი ხელით ჩაუწერია, რაც შესაძლებელია, იმის დამადასტურებელი იყოს, რომ ისინი გვიან არის შეთხზული და დამატებული.

რაც შეეხება საერთო, რეფრენულ სტრიქონს, იგი აქ არც ერთ შემთხვევაში არა გვაქვს.

ვღებულობთ: დ. გურამიშვილის დასახელებული ნაწარმოები არც სტროფთა გამაერთიანებელი ბოლორითმებითა და არც საერთო რეფრენული სტრიქონით არ შეესაბამება იმგვარ ლექსს, როგორადაც ჩვენ „ბოლოერთი“ მიგვაჩნია.

ეყრდნობა რა დ. გურამიშვილის განცხადებას „ესე შაირი ბოლოერთ“ და იმ ფაქტებს, რომ ამ ლექსში პირველი ოთხი სტროფი ერთ ბოლორითმიანია, ხოლო საერთო რეფრენული სტრიქონი არ მოიპოვება, ა. ხინთიბიძეს გამოაქვს დასკვნა: „ბოლოერთი“ სახეობის ლექსი მხოლოდ ერთრითმიანობას გულისხმობს და მისთვის მეოთხე სტრიქონთა ერთიანობა სავალდებულო არ არის.

ჩვენი აზრით, ეს ლექსი, რომელშიაც ერთრითმიანობაც ბოლომდე არაა გატარებული და მხოლოდ მის მესამედს მოიცავს, გადამწყვეტ ნიმუშად არ გამოდგება. ჩანს, პოეტს მართლაც მოუნდომებია „დავითის შესხმა პირველი“, რომელიც ჩახრუხაული სტროფებითაა შესრულებული, ერთ კიდურ რითმაზე გაეწყო. ამას, გარდა რითმებისა, ის ოთხი სტროფი იმ მხრივაც გვიდასტურებს, რომ მათში სტროფგამყარი „და“ კავშირი გამოყენებული არ არის[40]. შემდეგ ეს პროცესი ავტორს აღარ გაუგრძელებია, — ერთრითმიანობა ვერ განუხორციელებია თუ არ მოუნდომებია. ერთიც და მეორეც იმის მაჩვენებელია, რომ პოეტი ლექსის სრულყოფილ სახეობას ვერ ან არ ქმნის[41].

მეორე. პოეტს ეს ნაწარმოები „ბოლოერთი“ ლექსის სახეობად რომ მიაჩნდეს, მოსალოდნელი იყო სათაურში აღენიშნა, როგორც ეს გააკეთა პირველ ორ შემთხვევაში — „მოთქმა ჴმითა *თავ-ბოლოერთი*“ და „ვედრება... *ბოლოერთი*“.

მესამე. ლექსის პირველი ნაწილიდან, სადაც „ბოლოერთია“ ნახსენები, გარკვევით არ ჩანს, ეს სიტყვა მაინცადამაინც ლექსის სახეობას აღნიშნავდეს და არა, საზოგადოდ, რითმებს. ჩვენ უფრო ის გვგონია, ამ შესავალ ორ სტროფში დ. გურამიშვილი ამბობს: მასპინძელმა მთხოვა „მემღერა“ „ჩემო ყურშა“. მე მის სანაცვლოდ გამოვთქვი ერთ რითმაზე გაწყობილი ჩახრუხაული ლექსი „დავითის შესხმა პირველი“-ო, — როგორც ფაქტობრივ არის.

მეოთხე. „ბოლოერთი“ რომ მარტო ერთრითმიანობას გულისხმობდეს, მაშინ იგი ლექსის ახალი სახეობა აღარ იქნებოდა, როგორიცაა „ქაშნიკში“ შესული ვახტანგის სხვა ნაწარმოებები და როგორიც უნდა იყოს ეს ლექსი, რადგან ასეთივე რითმებითაა შეკრული ზემოთ დასახელებული მისი 5-, 6-, 7-, 8-, 9-, 10-, 11-, 12- და მეტსტრიქონიანი ლექს-სტროფები, „ქაშნიკში“ მისი ხელით ჩაწერილი და დასათაურებული „ლექს-ამბავი“, „ქილილა და დამანაში“ ჩართული სულხან-საბა ორბელიანის „შეწყობილი“ და სხვა. მაშინ გამოდის, რომ ეს ლექსებიც „ბოლოერთია“. ამგვარი მითითება კი არსად არ არის!

---

[40] ამიტომ გაუმართლებელია, ლექსის სახეობას არღვევს, როცა საიუბილეო (1955) და სხვა გამოცემებში მე-3, მე-4 და მე-5 სტროფებში „აღდგენილია“ სტროფგამყარი „და“. ასევე, „ბოლოერთის“ თავისებურება იკარგება მეორე მხრივაც, როცა „დავითიანის“ პოპულარულ გამოცემებში ეს „და“ კავშირი ყველგან ამოღებულია.

[41] უნდა აღინიშნოს ისიც, წინ ნახსენებ დ. გურამიშვილის ლექსში „თავბოლო ერთი“ „თავი“, ანუ დასაწყისი სტრიქონი ბოლომდე არ მეორდება (წყდება 125-ე სტროფში). ანალოგიური ვითარებაა მეორე ლექსშიაც „ვედრება ღვთისმშობლისა...“, სადაც დასახელებული რეფრენი ბოლო სტროფებში შეცვლილია (სტრ. 430—434). ბოლო სამ სტროფში (432—434) შეცვლილია აგრეთვე რითმებიც.

ყოველივე ამის გამო ვფიქრობთ, „ბოლოერთის", როგორც ლექსის სახეობის, განსაზღვრისათვის დ. გურამიშვილის ამ ლექსს. წინააღმდეგ მისი ორი ლექსისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს. უპირველეს და უმთავრეს ამოსავალად ვახტანგისეული ფორმა უნდა მივიჩნიოთ და არა მარტო ის, რომ ვახტანგი, მამუკა ბარათაშვილი და სხვებიც „ბოლოს", „ბოლოებს" რითმებს ეძახიან.

„მეფისვე ნათქვამ ბოლოერთს" ერთი საერთო რითმა ერთ გაბმულ მრავალსტრიქონიან ლექს-სტროფად წარმოგვიდგენს. სწორედ ამ სახით იკითხება იგი „ჭაშნიკის" ავტორიზებულ, ლენინგრადულ ხელნაწერში. აქ ეს ნაწარმოები სტროფებად დაყოფილი არ არის. სტროფგამყოფი „და"-ც მხოლოდ ერთხელ, სულ ბოლოს, თხზულების დასასრულს არის გამოყენებული. აქედან, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ერთხელ კიდევ ჩანს ვახტანგის მიდრეკილება მრავალსტრიქონიანი ლექს-სტროფების შექმნისაკენ, რომელიც ერთი და იმავე ქღერადობის უხვ სარითმო სიტყვების დაძებნის ხელოვნებას მოითხოვს. მეოთხე სტრიქონად რეფრენის გამოყენება კი აზრობრივად, — ემოციურად და ფორმის მხრივაც, — სტროფებად კრავს ლექსს.

„ბოლოერთს" საყურადღებო მსგავსება აქვს სულხან-საბა ორბელიანისეულ „ქილილა და დამანაში" არსებულ ლექსთან „ჩახრუხაული ძაგნაკორულად"[42]. ეს ლექსიც, მსგავსად „ბოლოერთისა", შედგება ხუთი 4-სტრიქონიანი სტროფისაგან, რომელსაც ბოლორითმები ერთი აქვს და ყოველი სტროფის შემდეგ მეორდება ლექსთან ბოლორითმით დაკავშირებული რეფრენი — „ზარი დამეცა, ზარი დამეცა, ჰე, გონებისა გასაკრთომელად". „ბოლოერთსა" და ამ ნაწარმოებს შორის განსხვავება ის არის, რომ სულხანის ლექსი ჩახრუხაულითაა დაწერილი, „ბოლოერთი" კი შაირია.

როგორი ლექსია ძაგნაკორული, მით უფრო, როგორი იყო მისი თავდაპირველი სახე, — სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილი არ არის[43]. თუ სულხან-საბა ორბელიანმა იცოდა ლექსის ეს სახეობა, უნდა ვიგულისხმოთ, არც ვახტანგისათვის იქნებოდა იგი უცნობი, ყოველ შემთხვევაში, სულხან-საბას ლექსის შემდეგ მაინც, რომელიც მამუკა ბარათაშვილს თავის „ჭაშნიკში" სანიმუშოდ აქვს შეტანილი. რადგან ვახტანგი თავის ნაწარმოებს სხვა სახელით ნათლავს, შესაძლებელია ვიფიქროთ, „ბოლოერთსა" და ძაგნაკორულს იგი სხვადასხვა სახეობის ლექსებად თვლის. გამორიცხული არ არის, მას მხედველო-

---

[42] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II_1, გვ. 400; ქილილა და დამანა, 1975, გვ. 596.

[43] გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 74—92; მ. თოდუა, ტექსტისათვის, ქილილა და დამანა, გვ. 128—129.

ბაში ჰქონდეს საზომი, მაგრამ ჩვენ ეს გვეეჭვება. საქმე ის არის, რომ ვახტანგი თავის ლექსს სწორედ ბ ო ლ ო ე რ თ ს უწოდებს, ხოლო მისი ფორმა, — რითმებისა და მეოთხე სტრიქონთა ერთიანობა, — იმასვე გამოხატავს, რითაც სულხანის ლექსი ჩახრუხაულისაგან განსხვავდება და რაც ზოგიერთი მკვლევრის მიერ ძაგნაკორულის თავისებურებად არის მიჩნეული. თუ მართლაც ძაგნაკორულისათვის 20-მარცვლიანობა და აღნიშნული ერთიანობაა სპეციფიკური, მაშინ, სულხანის ლექსის ანალოგიით, მოსალოდნელი იყო, ვახტანგს თავისი ნაწარმოებისათვის ეწოდებინა „შაირი ძაგნაკორულად“. რადგან ამგვარი რამ არა გვაქვს, ეჭვს ბადებს, ძაგნაკორულსა და ბოლოერთს შორის, გარდა ზომისა, კიდევ სხვაც ხომ არ არის სხვაობა? კერძოდ, შეიძლება დავსვათ საკითხი: იქნებ თავიდან ძაგნაკორულისათვის რითმათა ერთიანობა სავალდებულო არ იყო და სულხანის ლექსში მას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდეს, ხოლო მომდევნო ხანის ამგვარი ლექსები სულხანის ლექსიდან იღებდეს სათავეს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სულხანის ლექსში სტროფები გამოყოფილია „და“ კავშირით. ვახტანგის „ბოლოერთი“ კი, როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილია როგორც ერთი მთლიანი ლექს-სტროფი.

შესაძლებელია სხვა ვარაუდების დაშვებაც. ადვილი შესაძლებელია ისიც, რომ ვახტანგი იმდენ მნიშვნელობას არ ანიჭებდა თავის თხზულების ორიგინალობას, რამდენადაც ჩვენ, მკვლევრები ვეძებთ და ყურადღებას ვაქცევთ მას.

ასეა თუ ისე, ვახტანგის „ბოლოერთი“ თავისი ფორმით ახალი და გამორჩეული ლექსია ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ის რითმითა და რეფრენის ერთიანობით ენათესავება სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებს „ჩახრუხაული ძაგნაკორულად“, მაგრამ მისგან განსხვავდება ზომით.

„ბოლოერთი“ რეფრენის ხმარების მხრივ ენათესავება აგრეთვე „ქილილა და დამანაში“ ჩართულ სულხან-საბა ორბელიანის ლექსს „უცხო“[44]. ესეც ხუთი 4-სტრიქონიანი სტროფისაგან შედგება და მეოთხე სტრიქონად აქაც გამოყენებულია რეფრენი — „ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია“. მაგრამ ვახტანგისა და სულხანის ამ ნაწარმოებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებანია. პრინციპული განსხვავება არის სწორედ რეფრენის ხმარებაში. „ბოლოერთში“ რეფრენი ორგანულად ერწყმის სტროფს — იმავე ზომის არის, რაც ლექსია და შერითმულია სტროფთან. „უცხოში“ პირიქითაა: თითოეუ-

---

[44] ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, II_2, გვ. 45—47; ქილილა და დამანა, 1975, გვ. 130—134, 704; გ. მ ი ქ ა ძ ე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 71—74.

ლი სტროფის წინა სამი სტრიქონი 10-მარცვლოვანია, მეოთხე, რეფრენი — 13-მარცვლოვანი და რითმის მხრივ განყენებულია, არავითარი კავშირი არა აქვს არც სტროფთან და არც, საერთოდ, ლექსთან.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ სხვა განსხვავებათა შესახებ, რადგან მათ ჩვენს საკითხთან პირდაპირი კავშირი არა აქვს („უცხოში" არ არის მონორითმიანობა, სამაგიეროდ პირველი სტრიქონები შიდარითმიანებია და სხვა).

„ბოლოერთის" ანალოგიურია „ჭაშნიკში" მოთავსებული ვახტანგის მომდევნო ლექსი „მეფისვ ნათქვამი", რომელიც ორი სტროფისაგან შედგება:

„შურით აღივსნენ უგბილნი, წესი ქმნეს მათის მამისა,
სიკვდილს ზრახვიდენ უწესოდ, თუ დრო დაიცენ ჟამისა,
უსჯულო მისი მოწაფე მიცემას ჰპირავს ამისა,
და ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!

მტილში მიუძღვა კრებულთა საწუხი ყოვლის გვამისა,
მღდელთ-მოძღვრისას[ა] მივიდნ გასატანჯველად ვა. მისა,
ბრალი ვერ პოვეს მის ზედა, კვლავ სცემდნ წამ-და-წამისად,
და ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!"

როგორც ვხედავთ, აქაც იგივე აღნაგობა გვაქვს, რაც „ბოლოერთშია" — ერთი საერთო რითმა და სტროფთან ორგანულად, რითმით დაკავშირებული რეფრენი. ამ ლექსებს შორის განსხვავება არის მხოლოდ სტროფთა რაოდენობასა და შაირის სახეობაში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „მეფისვე ნათქვამი ბოლოერთი" ხუთსტროფიანია და მაღალი შაირით არის დაწერილი, „მეფისვ ნათქვამი" ორსტროფიანია და დაბალ შაირს წარმოადგენს. ეს სხვაობა დღეს, რა თქმა უნდა, მათ, როგორც ლექსის განსხვავებულ სახეობათა, განმსაზღვრელად არ გამოდგება.

აქაც დაახლოებით იგივე საკითხები დგება, რაც „ბოლოერთსა" და ძაგნაკორულის ურთიერთმიმართებაში გვქონდა. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ „მეფისვ ნათქვამს" არ ახლავს მითითება, რომ ესეც ბოლოერთია, მაშინ როდესაც იმის აღნიშვნა არ დავიწყნიათ, რომ იგი „მეფისვ ნათქვამია". ეს ფაქტი და ის გარემოება, რომ „ჭაშნიკზე" დართული ვახტანგის ლექსები სახეობრივად ყველა განსხვავდება ერთმანეთისაგან და, ჩანს, ყველანი სწორედ სიახლის მიზნით არის შეთხზული და ამ კრებულში შეტანილი, — ყოველივე ეს ეჭვს ბადებს, იქნებ ავტორს აღნიშნული ლექსები სრული იდენტური სახეობის თხზულებებად არ მიაჩნდა, ან თავიდან ასეთებად გათვალისწინებული არ ჰქონდა. მაგალითად, თუ ბ ო ლ ო ე რ თ ი ლექსისათვის მართლაც ერთი საერთო რითმა და მეოთხე სტრიქონად

სტროფთან შერითმული რეფრენია სპეციფიკური, როგორც ჩვენ მიგვაჩნია. შესაძლებელია „მეფისვ ნათქვამში“ მონორითმიანობა შემთხვევითი ხასიათისა იყოს: ავტორს ორივე სტროფი ერთრითმიანი უნებურად გამოუვიდა. ამგვარ ეჭვს რამდენადმე ისიც აძლიერებს, რომ „ჭაშნიკის“ ავტორიზებულ, ლენინგრადულ ხელნაწერში, „ბოლოერთისაგან“ განსხვავებით, ორივე სტროფს ახლავს სტროფგამყოფი „და“; თანაც, პირველ სტროფში სარითმო სიტყვებიდან მინდორზე გამოტანილია ბოლო ორი ასო — „სა“, მეორე სტროფში — მხოლოდ ერთი ასო „ა“, როგორც ჩვეულებრივ არის დამახასიათებელი ამ ხელნაწერისათვის. შეიძლებოდა კიდევ სხვა მოსაზრებათა გამოთქმაც, მაგრამ, როგორც ვთქვით, ყოველივე ეს მხოლოდ ეჭვებისა და შორეული ვარაუდების სფეროს განეკუთვნება. სინამდვილეში, „მეფისვე ნათქვამი ბოლოერთი“ და „მეფისვ ნათქვამი“, ორივე, ერთი სახეობის ლექსია, ერთი მაღალი და მეორე დაბალი შაირით დაწერილი და, თუ ამ უკანასკნელსაც არ აწერია „ბოლოერთი“, ეს უფრო შემთხვევითი უნდა იყოს.

„ჭაშნიკის“ ლენინგრადული ნუსხის ბოლოს ვახტანგის ხელით ჩაწერილი „მეფის ნათქვამი ლექს-ამბავი“ 16-მარცვლოვანი შაირით შეთხზული მრავალსტრიქონიანი ლექსია, სადაც ტავტოლოგიურ რითმად გამეორებულია ერთი და იგივე სიტყვა „მეფეო“:

> „საწუთროს ბაღი რა ქონდა, სცან, ალექსანდრეს, მეფეო,
> იდგა ყვავილი მრავალი, სახელის სუნი, მეფეო,
> მის ფშვას ალევსო ქვეყანა სხვადასხვა რიგთა, მეფეო,
> შევბა ვარდისა მრავალფრად გაშლილი შიგა, მეფეო,
> სხვანი ლხინისა შროშანი გია ფერადი, მეფეო...“ და სხვა.

თავისი შინაარსითა და ფორმით ეს ნაწარმოები მართლაც სასაუბრო კილოზე დაწერილი ამბის თხრობაა და ერთგვარი თავისუფალი ლექსის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამგვარი სახეობის თხზულება ძველ ქართულ პოეზიაში მანამდე არსად დასტურდება.

თავისებური ფორმის ნაწარმოებია „ვახტანგური“. იგი 5-სტრიქონიანი, არათანაბარმარცვლიანი, ჰეტერომეტრული ლექსია. პირველი სამი სტრიქონი 16-მარცვლოვანია, მეოთხე — 13-მარცვლოვანი, მეხუთე, ბოლო სტრიქონი კი 19-მარცვლოვანი (პირველ ვარიანტში — 17-მარცვლოვანი)[45].

> „ორი მისი თვალი, — ორი ჯერანი, ბოლოს მზერელი,
> კეკლუცობის ძალით კაცის მწყენელი, გულზე მწერელი,

[45] ამ ლექსის მეტრული წყობა გაანალიზებული აქვს ა. ხინთიბიძეს (ჭაშნიკი ქართული ლექსმცოდნეობისა, გვ. 61—62).

ნახეთ, მოყვასნო. საყვარელი ჩემი, თვალის მჭვრელი,
იმას უცხოთ გავს ის ტურფა დაუჯერელი,
არა, არა, ის არ არი, მე საყვარელს ვიცნობ მისი მზერელი".

ვახტანგის 5-სტრიქონიანი ლექსების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რაც შეეხება არათანაბარმარცვლოვან სტრიქონიან სტროფებს, სამეცნიერო ლიტერატურაში მის პირველ შემომტანად ჩვენში დ. გურამიშვილია მიჩნეული[46]. დ. გურამიშვილზე ადრინდელი „ვახტანგურია", ხოლო კიდევ უფრო ადრინდელი „ქილილა და დამანაში" ჩართული სულხან-საბა ორბელიანის ლექსები „უცხო" და მეორე „იამბიკო" ჩანს. ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ „უცხო" 10-მარცვლიანი საზომით შესრულებული 4-სტრიქონიანი ლექსია, სადაც მეოთხე, ბოლო სტრიქონი, რომელიც ლექსს რეფრენად გასდევს, 13-მარცვლოვანია. სულხანის „იამბიკოში" („მრავალთა ჟამთა მოგებად...") პირველი ოთხი სტრიქონი 13-მარცვლოვანია, მეხუთე — 16-მარცვლოვანი[47]. როგორც ვხედავთ, „ვახტანგური" „უცხოსა" და „იამბიკოსაგან" განსხვავდება როგორც სტროფის აგებულებით, ისე რიტმული წყობითაც.

მაშასადამე, ვახტანგ მეექვსე ქართულ მწერლობაში ჰეტერომეტრული ლექსის პირველ შემომტანთა რიცხვშია და ავტორია ამ სახის ორიგინალური მეტრული წყობის ლექსისა.

დიდად საყურადღებოა „მუხრანული". იმის გამო, რომ ეს პატარა ნაწარმოები „ჰაშნიკის" ლენინგრადულ ხელნაწერში ავტორის მიერ წარმოდგენილია შუაზე გაყოფილად, ორ სვეტად, რომელიც იკითხება როგორც ჰორიზონტალურად, ერთ სტროფად, ისე ვერტიკალურად, ორ სტროფად, მას ორივე მხრიდან წასაკითხ ფ ი გ უ რ უ ლ თხზულებათა სახეობად, კ ვ ა დ რ ა ტ უ ლ ლექსად მივიჩნევთ[48]:

---

[46] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, რჩეული ნაწერები, III_1, გვ. 215 და შემდგომი.
ჰეტერომეტრულ ლექსად ა. ხინთიბიძე თვლის მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკში" დამოწმებულ მის ლექსს „გრძლედი შაირი სამკვეთი" (ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, ლექსმცოდნეობის საკითხები, თბ., 1965, გვ. 75, 109; მ ი ს ი ვ ე, პოეტიკური ძიებანი, თბ., 1981, გვ. 170). მართლაც შესაძლებელია, ეს ლექსი, ისე როგორც პ. ლარაძის „ყარიბული" და სხვები, არათანაბარმარცვლოვან სტრიქონიან სტროფებად დალაგდეს, მაგრამ ერთი აშკარაა, რასაც თვით ა. ხინთიბიძეც აღნიშნავს, მათ ავტორებს ისინი ჰეტერომეტრულ ლექსებად ჩაფიქრებული არ ჰქონდათ.

[47] ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, II_1, გვ. 223; 1975 წლის გამოცემა, გვ. 130, 401.

[48] ამ ლექსზე ვრცლად გვაქვს საუბარი წიგნში: ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა, გვ. 188—220.

„სამკალი ვაქეს, სამუშაო ძალო,
შოიმკე და შეიკრიბე, ძალო,
შტერი რომ მზერს დასაწველად, ძალო,
რა მას დასცემ, მოისვენებ, ძალო,
თუ მოიმკი, კეთილსა იქ, ძალო,
საუკუნოდ არ წახდების, ძალო,
მას შეები გულმესისხლედ, ძალო,
ორსავ სოფელს სახელს პოვებ, ძალო!

ქართული მწერლობისათვის რამდენად ორიგინალურია ეს ქმნილება?

აღნიშნული გვაქვს, რომ კვადრატული ტიპის ლექსები მრავალი ხალხის პოეზიაში მოიპოვება, მათ შორის სპარსულსა და რუსულში, რომელთაც ვახტანგი უშუალოდ შეიძლებოდა გასცნობოდა[49]. ქართულ ლიტერატურაში კი იგი აქამდე აღნიშნული არ იყო.

უკანასკნელ ხანს ამ თვალსაზრისით ი. ლოლაშვილმა განიხილა გიორგი მთაწმიდელისადმი მიძღვნილი ეფრემ მცირის ხოტბა, რომელიც მან ათონური ხელნაწერების შესწავლისას გამოავლინა[50]. მისი ცნობით, „ეს ლექსი ერთვის [აქ დაცულ] „პარაკლიტონის“ № 45 ნუსხას, გადაწერილს გიორგი მთაწმიდელის მიერ ნუსხახუცურად 1057—1060 წლებში შავ-მთაზე სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში“ (გვ. 28). იგი „დაწერილია ხელნაწერის უკანასკნელი ფურცლის ერთ გვერდზე ორ სვეტად, წვრილი ნუსხა-ხუცურით (კიდურწერილობა მრგლოვანია), სულ 72 ტაეპია (თითო სვეტი შეიცავს 36 ტაეპს) და ორივეს აქვს საკუთარი კიდურწერილობა“ (გვ. 31).

პირველ სვეტშია წერია:

„ნეტარებით იქები შენ ნათესავთა ყოველთაგან.
ენაჲ შენი ბრწყინვალე არს, ვითარცა რაჲ მზე ელვარე,
ტაძარ ღმრთისა დამტევნელად იქმენ მართალ და ჭეშმარიტ.
ალმჲედრდი შენ ეტლთა თანა ელიასებრ სიწმიდითა,
რომელმანცა გიწოდა შენ, მის თანავე დიდებულ ხარ.
ერთა თანა ნათლისათა გიგალობენ ყოველნივე.
ბუნებითა მიწისაჲთა ახუალ ზეცად და გჳწოდებ.
იძიებდი გონებითა კაცი ეგე განღმრთობადი.
თავთა თანა მოწაფეთა მომრწყველი ხარ თარგმანებით.
ინიშე შენ პირველითგან თჳთ მნათობი სახილველი.
ქუეყანისა ზრუნეათაგან შორს იქმენი და ტჳრთ სუბუქ.
ეგჳპტისა ბილწსა ბნელსა განაქარვებ პირველებრვე.
ბრწყინვალებაჲ განიცადე უხილავი და იხარებ.
იქმენ ქეათა მეძიებელ, წინამძღუარი და მჴედარი.
შენ მრავალთა მტერისათა კარ ექმენი და და-ლა-ქარშ.
ექმენ, ღირსო, ღჳნო ურწყულ, მახარებელ და მოწყალე.

---

[49] ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა, გვ. 191—192.

[50] ი. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982, გვ. 27—35.

ნეფსით თჳსით მოგეგებნეს ჰირვეულნი გამოსხმათგან.
ნუვეშინის-ცემაჲ მიეც გამოჴსნილთა ბადეთაგან.
ალესწორე სიმაღლითა ფინიკსა ენგადისასა.
თუალთა შენთა მდინარენი ზღუდენია მოსწავებით.
ებანი ხარ სულიერი, ქრისტეს შვილი და მეუფე.
სიმრავლემან ტალანტთამან შაბათობად არა ძალ-გცეს.
აწცა შრომაჲ შენი სრულ-ქმენ, ნუ დაჰფარავ რწმუნებულსა,
ვითარცა რაჲ ედემი ხარ, ულირსთათჳს არ-სახილავ.
თჳთმფლობელად ჩინებულო, მხიარულ ყავ ღმერთი ჩუენით!
ალმსთობილი სიმრგულისაჲთა ქებრონს მყავ მე შვილი ღმრთისა.
ყოვლითურთვე მოქენესა, სიბრძნით ძალი გარე შემარტყ,
ორთქლი იგი დანაწრედი სათრობელად მე მიწოდო.
ვისწრაფი აწ ხილვად შენდა, უაღრესსა ვერვის ეხედავ.
ერთგულებით განძლიერდი, რათა ჩჩჳლნი ყრმანი მოსრნე,
ლერწმოანი მწყურნებითურთ განაჴმე და ყავ წყარო ტბილ.
თქუ, ნეტარო, ნუ გეშინინ მოსლვაჲ შენი მთით სიონით.
ალმაფრინვე, ალმამალლე ფრთეებითა განცდისაჲთა,
გუაკურთხენ ჩუენ სიხარულით, გუყვენ შვილ ნათლის და თანა ნერგ.
ამას მივსწერ სურვიელი შენ წინაშე ღმრთისა მნისა:
ნეტარებით იქები შენ ყოველთავე ენათგან",

შეორე სვეტში არის:

იონთა და ქართველთაგან, გონიერთაგან, გ ე ო რ გ ი!
ოხრის გული შენი ზღუაებრ, შენ ახალო ოქროპირო,
ნათლად კაცთაგან გაჩინა იწროებით ცხორებამან,
თანამკვდრად ქრისტეს იქმენ განსაცდელთა მოთმინებით.
ალხუედ ზეცად გონებითა, ფრთოვან იქმენ შენ ვებითა.
დაწყებაჲ ხარ ცხორებისა, მიახლებაჲ ხედვად ღმრთისად.
აწ განსრული ჴორცთა მათგან მოიხილავ უხილავსა.
ქებაჲ ეგე ნათესავთაჲ იწოდები ღმრთისა ქალაქ.
ალსავსე არს პირი შენი ცეცხლისაგან და მადლისა.
რომელიცა მთათა ზედა მწუერვალებით წყარო ქმნილ ხარ.
თხრობილ ველად შუენიერად, სასწაულად განჩინებით.
ვითარცა რაჲ ეტლთა მიმართ ფარაოსთა ხარ სახილავ.
ექმენ ერსა ღრუბელ ნათლის და მდინარე იორდანე;
ლოდებსაცა მტჳრთველ იქმენ, ალმყვანებელ და საფუძველ,
თანადგომით დაამხუენი ზღუდენი იგ, ბრძენო, სიტყვით;
ალვლე ღელე საგლოველი მახჳლწუდილმან მოძღურებითა,
განკარგულად ალამაღლენ, რაჲჟამს ძლიერებით ალსდეგ;
არაოდეს არ მიხედენ შენ გზათა თემანელთასა,
ნათლიერად შენ ჴმობილო ადამისსა სურნელთაგან,
გული შენი განუცდელ არს, სისრულესა რაჲ შეუდგ;
ო, თრთის სული შენი წყალებრ, რათა მყუროებით იყო;
ნელსაცხებლად შეგიმისა ლიბანისა დიდებამან.
იქმენ ახლად ოქროპირად, ეკლესიან შეამკვენი.
ექმენ ნისლად დამფარველად სულსა ჩემსა მაღალთადმდე.
რჩული ღმრთისაჲ გულსა ჩემსა მოეც და მექმენ სახიერ.

თხრობით მქმენი ბესელიელ შესაქმესა   მოსწავეებით**თ**.
ალთქუმაჲ შენი წინა უყავ მთავრობათა   ალაგებს**ა**,
ბჳრუენე ჩუენ, ჰოჲ, იაკობ, კიბე, რომელი ცად   ალგჳდ**ბ**.
აჰა, ძალი დამასკისაჲ შენ წინაშე   მომიათნ**ა**,
ნაცვლად დადევ სული შენი ცოდვილისა   სულისაგა**ნ**,
ზოდოლსა მას უმცველოსა მადლი შენი გარე   მოად**ზ**.
ესრეთ მექმენ ანგელოზად და სევორად   მიმაწი**ე**,
ოვცხოთაცა წარმართთაგან ლოდ ე უ რ ქ მ ი ს   წოდებით**ო**,
რომელმანცა განგუათოვლენ სამეწამულით   სჳმონებ**რ**,
ბლახაკისა შვილისაგან მიითუალე და   დამადე**ბ**,
იონთა და ქართველთაგან გონიერთაგან,   გ ე ო რ გ **ი**!

როგორც ი. ლოლაშვილი მიუთითებს, თითოეულ სვეტს ყოველი მხრიდან მცირე ვარიანტული სხვაობით აქვს ერთი და იგივე კიდურწერილობა. ორივე სვეტი ერთად კი ერთ აზრს გამოხატავს: „ნეტარებით იქები შენ ნათესავთა ყოველთაგან (ყოველთავე ენათაგან) — იონთა და ქართველთაგან გონიერთაგან გეორგი".

სწორია მკვლევრის მსჯელობა ამ ნაწარმოების „კვადრატულობის" შესახებ: „ამასთან ყურადღებას იპყრობს ერთი თავისებურებაც, რომელიც დამახასიათებელია კვადრატული ლექსისათვის: «შესხმა» ისეა დაწერილი, რომ პირველი ნაწილის ტაეპებს შინაარსობრივად ავსებენ მეორე ნაწილის რიგით შესატყვისი ტაეპები" (გვ. 34). ეს უპირველესად და თვალში საცემად ჩანს კიდურწერილობაში.

როგორც ვხედავთ, „მუხრანული" მხოლოდ ზოგადი ქარგით, ჰორიზონტალური და ვერტიკალური წაკითხვის პრინციპით ენათესავება ამ ლექსს. სხვა ნიშნებით (ზომა, კიდურწერილობა, რითმები და სხვა) დიდად განსხვავდება მისგან.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ შესაძლებელია „მუხრანულის" მიხედვით იყოს შეთხზული უცნობი ავტორის 14-მარცვლიანი ლექსი, რომელიც XIX საუკუნის შუა წლებში გადაწერილ ქართული სიმღერების კრებულში გვხვდება:

„მინდა ლექსი ვთქვა, ქალო, მაგნიტიზმური, ქალო,
ვით მოვიზიდო, ქალო, მსმენელთა ყური, ქალო..."[51]

ეს ლექსი, უფრო სწორად, მისი პირველი და მეორე სტრიქონები ამ სახით იკითხება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის პ. უმიკაშვილის არქივის № 9 ხელნაწერში[52] (გვ. 32r). შემდეგ იგი პირობითი ნიშნებით გრძელდება[53]:

---

[51] გ. მ ი ქ ა ძ ე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 57.

[52] ძველი შიფრით — H 935.

[53] მეორე სტრიქონშიაც „ქალო"-ს ადგილას ხაზებია გასმული. ეს სიტყვა შემდეგ ორივეგან ზემოდან არის ჩაწერილი.

„რაც რომ გიხილე — მშვენიერებით სრული —
მინდა ლექსი ვთქვა — — — — — (5)
ვითა ვარსკვლავი — გაბრწყინვებული — (3)..."

და ა. შ.

ბოლოს საკმაოდ დიდი მონაკვეთი 10-მარცვლიანი ლექსის სახით არის წარმოდგენილი, სადაც პირველი „ქალო"-ც ამოღებულია და მის ნაცვლად ზოგიერთ ადგილას ტირეებია დასმული:

„აწ შენთვის ვსტირი ბალკონს მდგომარე
როს ვნახე სახე მდიდართ ბრწყინვალე
ნარნარობ მწველად ჩემად დავულსა
თუ გახსოვს შვება — ტრფობის სუდარსა
ქცევა შვენება — მიკლამს მე გულსა
ალვის ხის მგზავსად ახმარებ წელსა
ვარდნი ყვავილნი — სრულად გეტრფიან
აწ დახშულს შვებას — სულნი მხვდებიან
ნაზ სახის ეშხნი მომწყურდებიან
ოდეს შვებისა — ცეცხლნი მდებიან
ვით მოვითმინო — შენთვის ვსტირი მე
ამომხდა სული — შენი ჭირიმე"[54].

სხვა ხელნაწერებში იგი 12-მარცვლიანი ლექსის სახით იკითხება.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H 132-ბ ხელნაწერი (გვ. 13r—14v):

„ქალი

მინდა ლექსი ვსთქვა, ქალო, მაგრიტი (!) ზმანი,
ვით მოვიზიდო, ქალო, მსმენელთა გული;

შენს ახლოს ყოფნა, ქალო, მაქვს სანატრელად;
სიშორე შენი, ქალო, მეჩვენის მკვლელად;

რომ დაგინახევ, ქალო, სევდით ვვემული,
მომივა ლხინი, ქალო, მომატებული.
ყოველი ჯავრი, ქალო, ჩემი მტანჯველი
განმეშორება, ქალო, ვით ნათელს ბნელი..." და სხვა.

იმავე ინსტიტუტის H 101 ხელნაწერი (გვ. 122—123):

„მინდა ლექსი ვთქვა, ქალო, მაგნიტიზმური,
მით მოვიზიდო, ქალო, ეს შენი გული;
და როდეს გიხილე, ქალო, გაბრწყინვებული,
ვითა ვარსკვლავი, ქალო, შვენებით მკული,

---

[54] დედნისეული მართლწერა დაცულია.

მაისის ვარდი, ქალო, აღკოკრებული,
მყისვე შევიქმენ, ქალო, აღშფოთებული,
და გული უძლეენი, ქალო, შენ მონებული,
მოდი, მაკმარე, ქალო, ესოდენ ტანჯვა
და შეისმინე, ქალო, ეს ჩემი აჯა!"

ეს ლექსი სათაურით „ქალაქური" გამოქვეყნებული აქვს პ. უმიკაშვილს, სადაც რეფრენი „ქალო" სტრიქონის ბოლოს არც აქ იკითხება:

„მინდა ლექსი ვთქვა, ქალო, მაგნიტიზმური,
ვით მოვიზიდო — მსმენელთა ყური,
რაც რომ გიხილე, ქალო, შვენებით სრული,
მინდა ლექსი ვთქვა მაღნიტიზმური!
ვითა ვარსკვლავი — გაბრწყინებული,
მაისის ვარდო — კოკრებით სრული!
ალვის ხის მგზავსად — ახმარებ წელსა,
ვარდნი ყვავილნი — სრულად გეტრფიან,
აწ დახშულს შვებას — სულნი მხდებიან,
ნაზრახნის ეშხნი — მომწყურდებიან..."   და სხვა.

ლექსს ახლავს პ. უმიკაშვილის შენიშვნა: „მღეროდნენ ტფილისში 1860-იან წლებში"[55].

ამ ლექსის დასახასიათებლად, მისი თავდაპირველი ფორმის დასადგენად მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ ამას ვიტყვით: ლექსიდან ჩანს და ამას პ. უმიკაშვილის ცნობაც ადასტურებს, რომ რეფრენი „ქალო" სიმღერისეულია, თორემ ლექსში თავიდან იგი არ უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიაც კი, რომ უპირატესობა პირველ ვარიანტს მივანიჭოთ, სადაც რეფრენი „ქალო" ორივეგან არის, და ანგარიში არ გავუწიოთ ლექსის სხვადასხვა მხრიდან წაკითხვის პრინციპს, „მუხრანულსა" და ამ ლექსს შორის მაინც სხვა ისეთი არსებითი განსხვავებაა, რომ ისინი ერთი ტიპის თხზულებად ვერ ჩაითვლება: „მუხრანული" შიდა და გარე ტავტოლოგიურ რითმაზე აგებული ერთ სტროფად დაწერილი ლექსია; შესადარებელი ლექსი კი მრავალსტრიქონიანია და განსხვავებული ბოლორითმები აქვს.

ამდენად, იმის გამო რომ სხვადასხვა ტიპის თხზულებანია და მათ შორის არ ჩანს სხვა კავშირი, გასაზიარებლად არ მიგვაჩნია ვარაუდი, თითქოს დასახელებული ლექსი თუ ლექს-სიმღერა „მუხრანულის" მიხედვით იყოს შექმნილი.

„მუხრანულს" ძალიან ჰგავს მე-18 საუკუნესა და მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩვენთან გავრცელებული, თითო სტროფად დაწერილი,

---

[55] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, II, მეორე გამოცემა, მ. ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1964, გვ. 130.

4-სტრიქონიანი, შიდა- და გარერითმიანი ლექსი რ ვ უ ლ ი. არსებობს ორსტროფიანი რვულებიც, რომლებიც სქემით პრინციპულად განსხვავდება ერთსტროფიანებისაგან. ჩვენს მწერლობაში ლექსის ეს სახეობანი და სახელწოდება სათავეს იღებს სულხან-საბა ორბელიანის გალექსილი „ქილილა და დამანადან“.

რვულს ყურადღებას აქცევს მრავალი, მონოგრაფიულად განხილული აქვს გ. მიქაძეს[56]. დავა მიმდინარეობს იმის შესახებ, რ ვ ა ჯ ე რ ა დ ი რ ი თ მ ი ს გამო ჰქვია მას ეს სახელი, თუ რვაჯერად რითმასთან ერთად რ ვ ა ს ტ რ ი ქ ო ნ ი ა ნ ო ბ ა ც იგულისხმება[57].

დედანში, სულხან-საბა ორბელიანის მიერ დამუშავებულ და მისი ხელით ნაწერ „ქილილა და დამანაში“, ისე როგორც სხვა ავტორებთანაც, ჩვენთვის საინტერესო რვულები ისეთივე ინტერვალითაა წარმოდგენილი[58] და ზევრჯერ ისევე იკითხება ორივე მხრიდან, როგორც „მუხრანული“. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ „მუხრანული“ ტავტოლოგიურ, რეფრენის მსგავს რითმაზეა აგებული, რვულებში კი ჩვეულებრივი, განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვებია

---

[56] გ. მ ი ქ ა ძ ე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 65—68, 152—156.

[57] ს. გ ო რ გ ა ძ ე, ქართული ლექსი, ტფ., 1930, გვ. 69; ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, რჩეული ნაწერები, III_1, გვ. 213—214; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები..., VI, გვ. 173—174; ა. ჭ ი ლ ა ი ა, ო. შ უ შ ა ნ ი ა, ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი, თბ., 1957, გვ. 187; გ. მ ი ქ ა ძ ე, დასახელებული ნარკვევები; მ ი ს ი ვ ე, რვული, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 8, თბ., 1984, გვ. 380; ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, ძველქართული ლექსი, „ლიტერატურული საქართველო“, 1969, № 15; მ ი ს ი ვ ე, პოეტიკური ძიებანი, გვ. 164—169; მ ი ს ი ვ ე, ჭაშნიკი ქართული ლექსმცოდნეობისა, გვ. 59—60; რ. ბ ე რ ი ძ ე, ოქტავა და ტერცინა, კრებ.: შემოქმედებითი მეთოდები და მხატვრული გამოსახვის ფორმები, თბ., 1983, გვ. 85—87; ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, გალაკტიონის პოეტიკა, თბ., 1987, გვ. 261—264.

რვულის შესახებ გამოთქმული ადრინდელი შეხედულებანი, რომლებიც გვაქვს მ. ბარათაშვილის, ი. ბატონიშვილის, თ. ბაგრატიონის, ე. ბოლხოვიტინოვის, მ. კელენჯერიძის, ლ. ისარლიშვილის, პ. იოსელიანის, მ. ჯანაშვილის, სილ. ხუნდაძის ნაშრომებში, განხილულია გ. მიქაძის გამოკვლევაში „ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან“.

უკანასკნელ დროს გამოთქმულ ზოგიერთ თვალსაზრისს (ა. ჭ ი ლ ა ი ა, რ. ჭ ი ლ ა ი ა, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბ., 1984, გვ. 161—162; ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, I, თბ., 1984, გვ. 206) ეხება ა. ხინთიბიძე (მ ი ს ი, „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები“, „კრიტიკა“, 1985, № 4, გვ. 158).

[58] „ქილილა და დამანას“ ბევრ გამოცემაში რვულის ეს არქიტექტონიკა დარღვეულია. იქაც კი, სადაც ის ოთხსტრიქონიანად არის დაბეჭდილი, უმეტესად ინტერვალი მოშლილია. უფრო მეტიც, როგორც ეს გ. მიქაძემ აღნიშნა საიუბილეო (1962 წ.) გამოცემის მიმართ (გვ. 66, 153), ამ და უკანასკნელ გამოცემაში (1975 წ.) ეს რვულები ყველა რვასტრიქონიან ლექსად არის წარმოდგენილი: მეორე სტრიქონია პირველი სტრიქონის მეორე ნახევარი, მეოთხე — მეორე სტრიქონის მეორე ნახევარი და ა. შ.

გამოყენებული. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს, რომლებიც გ. მიქაძეს აქვს აღრიცხული.

სულხან-საბა ორბელიანისეულ „ქილილა და დამანაში“ სულ 10 რვულია: 7 თითოსტროფიანი, ოთხსტრიქონიანი, შიდა და გარერითმიანია, რომელთაგან ორივე მხრიდან თავისუფლად იკითხება 5 რვული, 3 —ორსტროფიანი, გარერითმიანია. ორივე მხრიდან იკითხება[59]:

1 (სურ. 14):

„ბრძენმა მითხრა სიტყვა ჭირად: სიტყვის ბალთა მრგუელო ხშირად,
ეგრე ბალი ენახე ძეირად, იგავეთ ხენი დარგეე სირად,
ვინცა ჭამონ, აქონ ძირად, შენდობა გრქვან შესაწირად,
და მრავალ ხილთა ივდებ პირად, მჯობის მჯობთა მოელი მზირად“.
(გვ. 3v; II_1, 35 [199])

აქ დედანში გამოყოფილია როგორც შიდა, ისე გარერითმები.

2 (სურ. 15):

„მაშინ მოართუეს სიმრავლე თუალთა, სახლნი, საყურნი, ფარდული ქალთა,
სკივრი მჴოლოი (?) მომღებთა მალთა, იაგუნდები ნარევი ლალთა,
ოქრო და ვერცხლი უმძიმე სალთა, ჭურჭელნი მათნი უნათლე ალთა,
და მოჰქონდათ განძი არ თუ დამპალთა, რიცხვით უზომო, შეუძლო ძალთა“.
(გვ. 11v; II_1, 67 [227])

3 (სურ. 16):

„რა ოსტატი ასოთ სხპიდა, მისი თვალი სხვას იწვრთიდა:
ონით ჴრმალებრ მტერთა სრვიდა, განსა ფარებრ იფარვიდა,
ინსა ზუჩად დაირქმიდა, ტარსა ჯაჭვად ჩაიცმიდა,
და ენსა მშვილდად აიბმიდა, სანით ისრად მებრძოლს სრვიდა!“
(19v; II_1, 95 [259].

ავტორს ინტერვალი თავიდან კარგად ვერ განუსაზღვრავს, რის გამოც მეორე სტრიქონი გადაბმულად გამოსვლია.

4 (სურ. 17):

„მომშორდა საყვარელია, ვაი, მოგონება ძნელია,
მისთვის ჵაქეს თუალი სეელია, ჩემთვის ნათელი ბნელია,
საროს სურვილსა ვჱლია, ვის სცავს, არ ვიცი, მცველია.
ვით იგ არა ვარ მსვლელია, უყთა ქჳ გამრჩეულია“.
(113r; II_2, 18 [673])

---

[59] ვუთითებთ ავტოგრაფის (S 31) და ბოლო გამოცემების (1962, 1975 წწ.) მიხედვით.

5 (სურ. 18):

„მეფე მაღალი, კეთილ სეიანი,
ცნობა კეთილი, მეტად ჭკეიანი,
დალიჭთ მჯდომელი, განკებიანი,
და ჭმელთა მპყრობელი, საქმე გვიანი,

მსჯაერის მოყვარე, სამართლიანი,
სიბრძნე უფსკრული, ყოვლად გზიანი,
ჯვირგვინოსანი, შუქ ნათლიანი,
კიდის კიდემდე სახელიანი“.
(131v; II_2, 100 [768])

ეს ლექსები უფრო გამართულად და ლაღად ჰორიზონტალურად იკითხება, მაგრამ საკმაოდ თავისუფლად გამოდის აზრი აგრეთვე ვერტიკალურადაც. ამ თვალსაზრისით განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს ლექსი კოზაკისა და დედის შესახებ:

6 (სურ. 19):

„კოზაკმა უთხრა დედასა:
დია დაშრომა მედასა,
მან უთხრა: ვა, შენ ბედასა,
და ვინ ზრუნავს ჩემს წარწყმედასა,

სიტყვასა გეტყვი ყბედასა,
მოცდა ყავ მაგა ქედასა,
მიმზევენ ავშრის მკედასა,
ტეირთი მამძიმობს გვერდასა“,
(16v; II_1, 83 [246])

როგორც სურათზე ვხედავთ, აქ მხოლოდ პირველი და მეორე სტრიქონებია ერთმანეთთან დაშორებული. ჩანს, აქაც ეს იმის გამოა გამოწვეული, რომ ავტორს სტროფის შუაგასაყრელი მანძილი ბოლომდე ვერ განუსაზღვრავს. ორმხრივ წაკითხვას კი ის უშლის ხელს, რომ რემარკის უქონლობის გამო მეორე სვეტში კოზაკისა და დედის სიტყვების გარჩევა ჭირს.

ამგვარივე შემთხვევა გვაქვს, ოღონდ არა ასე მკვეთრად გამოხატული, უკანასკნელ, მე-7 რვეულში, რომელიც ავტოგრაფში არ მოიპოვება:

„ძვალთაგან სისხლი სწრაფად სდიოდა.
მშეილდოსნისაგან მწარედ ჩიოდა,
«ბებერთან რომე თაგეით მშიოდა,
და თაფლი არა ღირს დაჭრად». — კიოდა,

სულის წასვლისა შიშით რბიოდა,
აღთქმის დადებას მაღლად ყიოდა:
რად არ დაესჯერდი, თუცა მციოდა!
ფუტკართ ნაცემი მეტად სტკიოდა".

ამ ლექსის ადგილას ავტოგრაფში „შაირია“ („ძვალდაკოდილი შირბოდა...“). რვულია მისგან მომდინარე ლენინგრადულ P 2 ნუსხაში (გამოცემები: II_1. გვ. 93 [994]). აქაც თხრობა დიალოგის ფორმით არის, რაც ერთგვარად აბრკოლებს ორივე მხრიდან მის წაკითხვას, ოღონდ, ვიმეორებთ, არა იმდენად, როგორც ეს წინა ლექსში გვაქვს.

რაც შეეხება ორსტროფიან რვულს, როგორც ვთქვით, იგი სულ სხვა კონსტრუქციისაა: მოეპოვება მხოლოდ ბოლო რითმები და ხელ-

ნაწერებში ყოველგვარი ინტერვალის გარეშეა წარმოდგენილი. ნიმუშისათვის დავიმოწმებთ ერთ მათგანს (სურ. 20):

„ციერთა ან მიწიერთა თვითოგვარობა სტანობენ,
ვით ქარვა ბზესა მიიკრავს, მის სატრფოს თანა გვამობენ,
ეთერი ცეცხლსა მიზიდავს და თანა მიითანობენ,
და ნათლისაგანნი — ნათელსა, ბნელნი ბნელეთში ბანობენ..

წმიდასა უყვარს სიწმიდე, ავი ავთანა განობენ,
თხლე თხლესა შესვამს, ცუდი — ცუდს, სიცუდით შიეგვანობენ,.
ბრძენი ჭკვიანსა შეიტკბობს, ან ესე სჯობსო, ანობენ,
და მელვინე მელვინისაგან მიბრუქვით მოცინარობენ".

(52v; II_1, 234 [413])

ანალოგიური სურათი გვაქვს სხვა ავტორებთანაც: თითოსტროფიანი, ოთხსტრიქონიანი რვულები მათთანაც ბევრჯერ გაყოფილია და ბევრგან საშუალებას იძლევა ორივე მხრიდან იქნას წაკითხული.

მრავალი რვული გვხვდება ისაკ მცირის სატირულ თხზულებაში „თაგვებისა და კატის ომი“. აქ ოთხსტრიქონიან რვულებში ორსტრიქონიანი რვულიც ურევია[60].

დავიმოწმებთ თითო სტროფს:

„კატას მიეცა ხლტომა შეელისა და შეტევება ხვადის მგელისა,
ომშიგან ბრუნვა აქილევისა, აპჯართ ხმარება ფარსმან ქეელისა,
სამფსონის ძალი, ხვევა მელისა, მაჯის სიმაგრე ტარიელისა,
ფერხთა სიმპსწრაფლე ასაელისა, მარჯვედ სიფრთხილე ყვავის ძველისა“[61].

როგორც აქ ჰქვია, „რვული ორტაეპოვანი“:

„გამოესალმა ციცა სოფელსა, აკოცა კვერნას კეთილ მყოფელსა,
ქაბას დავჰსდგები ქველ-საყოფელსა, სოფელს ვაძაგებ პირდამყოფელსა“.

(გვ. 535)

---

[60] სხვათა შორის, ორსტრიქონიან რველს იოანე ბატონიშვილი „უგვარო რვულს“ უწოდებს (ქართული პოეტიკის ქრესტომათია, გ. მიქაძის რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1954, გვ. 33).

[61] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი: S 1511, გვ. 527. ზოგიერთი მათგანი შესულია დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიასა (წიგნი II, 1863, გვ. 22—27) და ალ. ბარამიძის „ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგიაში“ (II, 1928, გვ. 232—237). ორივეგან ეს თხზულება გამოქვეყნებულია ზაქარია გაბაშვილის სახელით, როგორც ადრე იყო მიღებული (ამ საკითხზე იხ.: ტ. რუხაძე, XVIII საუკუნის ქართული სატირის ისტორიისათვის. ზაქარია გაბაშვილი და ისაკ მცირე, საიუბილეო კრებული კორნელი სამსონის ძე კეკელიძეს დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად, თბ., 1959, გვ. 295—303).

რამდენიმე რვული შეუთხზავს დავით რექტორს. ერთ-ერთი მათ-განი ასეთია:

„თუცა აწ ბედნი შენნი ბნელია,
მოვლიან ჟამნი ცეცხლით მწველია,
თუცა აწ ცეცხლნი არ გწვავს ნელია,
და ცამან განგიხენეს ჟამნი გრძელია,
მაგრა ეს უწყი, დღე ნათელია,
ჰპოეო იგ თვალნი გლოვით სველია;
სიცოცხლე გჭირან კნესით ძნელია,
ჰპოებ სვე-ბედთა, გული, ელია!“[62]

თეიმურაზ ბაგრატიონს დაუწერია 63 რვულისაგან შემდგარი ღვთისმშობლის სავედრებელი, რომელიც ავტოგრაფით არის შემონახული[63]. ესაა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H 2225 ნუსხა (გვ. 1v—11v), რომლის გადაწერა 1811 წელს დასრულებულა. თავიდან ავტორს ეს ნაწარმოები 60 სტროფად შეუთხზავს, ამიტომაც უწოდებია „სამოცეული“, თუმცა შემდეგ არშიებზე 3 სტროფი დაუმატებია.

აქ ყველა სტროფში დიდ ცეზურაზე იმოდენა მანძილია დატოვებული, რომ, იმის შიშით, გადამწერს ნაწილები ცალკე სტროფებად არ მიეჩნია, ავტორს სტრიქონები დაუნომრავს კიდეც (სურ. 21—22). თითქმის ყველა სტროფი, მეტ-ნაკლები წარმატებით, იკითხება ორივე მხრიდან. დავიმოწმებთ ერთ ნიმუშს:

„შობითგან ბრმა ვარ გონების თუალით,
ვიმუსვრი ქვითა სიდრკუის სალით,
ყრმათა ნუგეშო სილოამ წყალით,
მომხედე უძლურს სულისა ძალით,
ერონინებ ბნელსა სიბნელის კუალით,
ვიტანჯები მე, ვერ მხედველ, ალით,
დედისა შენის ოთხით შემწყალით,
გამომიყუანე სიბრმის სავალით!“
(სტრ. მბ)

---

[62] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხები: H 1045, გვ. 83v—84v; S 105, გვ. 87v—88v.

[63] ახლა ეს ნაწარმოები გამოქვეყნებულია: თეიმურაზ ბაგრატიონი, მხატვრული თხზულებები, ტექსტები მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ლ. მეფარიშვილმა, თბ., 1987, გვ. 31—49.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მტკიცედ მოითხოვდა, — „...ამა ლექსთა შორის გთხოვთ მხილველთა და გარდამწერთა, რათა ანუ მარცვალი ანუ ლექსი არა შესცუალოთ, არამედ ვითა არს უკლებრად ეგრეთ გადასწერდეთ; და სახელითა უფლისათა დაგვედრებთ ამას და შენდობასა“, — სამწუხაროდ, აქაც რვულთა დაწერილობა დარღვეულია: თითოეული მათგანი ორსტროფიან ლექსებად არის დალაგებული. ამის თაობაზე ლ. მეფარიშვილი წერს: „«სამოცეულის» ოცმარცვლიანი სტრიქონები გავტეხეთ და ტექნიკურად ადვილად წასაკითხი გავხადეთ, ესეც ხელს შეუწყობს მკითხველს ტექსტის ადვილად აღქმაში“ (გვ. 6).

ეს მოტივი აღნიშნულ ცვლილებას, რომელიც უფრო ადრე „ქილილა და დამანასა“ და სხვა რვულების პუბლიკაციებში განხორციელდა, ვერ ამართლებს. გამართულ ტექსტში ყველა ჩარევა, მით უფრო როცა ლექსს თავის სახეს უკარგავს, რა თქმა უნდა, მიუღებელია.

უამრავი რვული აქვს პ. ლარაძეს. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H 2230 ნუსხა გვაუწყებს: „თქმული პეტრეს მიერ ყარიბისა ჟამსა უბედურებისა თვსისა, ჩყიდ წელსა, აპრილს კთ. ჴმა ყარიბი“ (1r). იქვე მოცემულია რამდენიმე „ჩახრუხაული რვულად“. ერთი მათგანი ასეთია:

„ეჰა, ესერა, უპიწო სძალო,
მოვიჳლტეი შენდა მრჩობლ, დედოფალო,
სასანთლევ, ტაკუკ, ალმთენ მაყვალო,
ღრუბელ სურ მცირევ, საწმის ცვარმთვრალო,
კიდობან-კარავ საგრილ მრავალო,
ანღელ-სერაფიმთ დასთ განსაკრძალოთ (!),
სიტყვისა ღვთისა მუცლით მტვირთვალო,
ცოდვით მაშვრალი, გთხოვ, შემიწყალო!"

პოეტს სხვადასხვა სახის რვულები გამოუყენებია „დილარიანში“. გვაქვს „რვული შაირად“:

„ჰე, ბრძენო, სიტყვა წყლიანო,
გმირო, მებრძოლო, სვიანო,
ღვთივ ზეცით მრავალ-ნიჭიანო,
მკლავ მტკიცევ, ხაფად ხმიანო,
სურვილით ძლედ ტვირთიანო,
აწ ჩვენზედ მიზეზიანო,
თქვენგან რაც სისხლი დიანო,
მუნ ჩვენ არ გვეკითხვიანო!“[64]

„ლექსი რვულად, ჩახრუხაულად“:

სურვილის მექონს გული ურვასა
აწვევს და თვალნი ცრემლთა წურვასა,
მიწყივ არს სოფლის გმობა-მდურვასა,
არად ჰსჩან, მოჰკლავს კაცს ასს თუ რვასა!" (გვ. 312)

„ტაეპი რვული შაირად“:

„ეინცა ჰსძებნოს საყვარელი,
ჰმართებს, ჴმალი აქვნდეს მჭრელი!“ (გვ. 312) და სხვა.

S 1193 ნუსხაში ეს ლექსებიც შუაზეა გაყოფილი (114r).

ორი და ოთხსტრიქონიანი რვულები არის „სამარდიანში“. აქაც მოვიყვანთ თითო ნიმუშს[65]:

---

[64] დილარიანი. თხზულება პეტრე ლარაძისა, გამოცემა მართა ივანე ლარაძის ასულისა კნ. შალიკაშვილისა, თბ., 1903, გვ. 311. იხ. აგრეთვე კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S 1193 ნუსხა, გვ. 114r.

[65] კ. კეკელიძე თავის გამოკვლევაში „პოემა «სამარდიანი»“ იმოწმებს რვულის ერთ ნიმუშს („თქვენცა გსმენიათ: ვის სიყვარული...“) და მოჰყავს რვასტრიქონიან ლექსად (ეტიუდები..., II, გვ. 187).

„პირველვე უთქვამსთ: მეფე ხამს ბრძენი, ორგულთ გაუწყრეს, არ იყოს მთმენი,
ლიქნს სიტყვას რიდოს, ვითა უსმენი, ერთგულთ პატივი მისცეს სალხენი“[66].

„როს მაისს ვარდსა ბულბული ნახავს, ქუქურს დაჰყივის, მად არა ახავს,
მაჯნურ ექმნება, მწვლად დაისახავს, კრაზანს გაჰბზარავს, თუ დაინახავს,
მად რომელ უხრწნის, რა თვალს დაფახავს, სუნ-მუშულს ღიმილით ფურხითა ლახავს.
ეგრეთ ყრმა შენთვის თვის სიკვდილს ზრახავს, იტყვის: უფურჩენელს ვინ შემინახავს!“
(იქვე, გვ. შესაბამისად 28r; 43)

დასასრულ, ერთი მაგალითი კიდევ. გიორგი თუმანიშვილის „შაირი რვეულად და ზმად თქმული“:

„ნარნარად მრხეო, ზანანავ, სიტკბოებითა მანანავ,
შვენებითა ზარიფ ანავ, შემპყრობელად ვარდის მანავ,
გული მოჰკალ სევდიანავ, ღრუბელსა მჯდომს, შესაგვანავ,
ულმობელო მავისთანავ, შემიწყალე, გულის დანავ!“

ეს რვეული ხელნაწერთა ინსტიტუტის H 772 ნუსხაში (გვ. 37v) ისეა შუაზე გაყოფილი, რომ „აღწერილობაში“, როგორც ცალკე ლექსი, მისი მარცხენა ნაწილია დაბეჭდილი (ტ. II, გვ. 157)[67].

როდესაც ამ ნაწარმოებებს ვეცნობით, ჩვენს წინაშე დგება საკითხი: ხომ არ არის რვეული ორმხრივ წასაკითხი, კვადრატული ლექსი?

აქლემისა და კოზაკის ლექსის მსგავსი შემთხვევები სხვაც ბევრია, სადაც ორმხრივი წაკითხვა არ გამოდის ან ძალიან ხელოვნურია. ამგვარი მაგალითები დასმული საკითხის გადაჭრით უარსაყოფად საკმარისი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ, საზოგადოდ, ფორმალისტურ და, კერძოდ, ამ სახის ლექსებში პირობითობა ჩვეულებრივ უკიდურესობამდეა მიყვანილი და ხშირად აზრის გამოხატვას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ეძლევა. ოღონდ სხვა საკითხია, როცა ზოგიერთ რვეულში ვერტიკალური წაკითხვისათვის ზრუნვა არ ჩანს. ასეთია, მაგალითად, მამუკა ბარათაშვილის „რვეული“:

„სოფელია ყოვლთა მწველად, რასთვის მიჩნდა იგი მშველად?
ნათქვამია სიტყვა ძველად: ვინ მიენდოს მისთა მკლველად?
ვინ დაავდო განუცდელად. მე რასათვის ავთა მთქმელად;
შინა მჯდომი სახლთა მცველად, მარბენალი უნდა ველად.

---

[66] ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხები: S 1232, გვ. 17r; Q 1164, გვ. 43.

[67] გიორგი თუმანიშვილისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში ამ ლექსს ტ. რუხაძე იმოწმებს S 1512 ნუსხის მიხედვით და ბეჭდავს როგორც რვასტრიქონიან ლექსს, თუმცა აღნიშნულ ხელნაწერში იგი სწორი ფორმითაა მოცემული (ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 188).

რადგან ეიყავ მისი მდომი, არა მმართებს მისთვის ომი,
ჭმუნეა მომცეს თუ რაზომი, უნდა იყოს მუდამ მთმომი,
მაგრამ ჩემებრ კაცთა ტომი არ უქნია ჭირთა მწდომი,
ურიცხვი და განუზომი ჩემთვის ჰბადა მოსარჩომი.

მითხარ, ვეელთა არა მკბენად, სამსალასა ტკბილთა მდენად,
ვინ თქვა: თევზი — ხმელთა მრბენად, რკუ — ჰაერთა აღსაფრენად,
ქვა — ნაყოფთა აღმომცენად, არვე თხათა — ლომთა რკენად;
ნუ ემდურვით სოფელს მწყენად, ავი ავთა უნდა მქმენად!“[68]

მამუკა „ჰაშნიკში“ საგანგებოდ ჩერდება რვულზე, მაგრამ მისი ორმხრივი წაკითხვის თაობაზე არაფერს ამბობს. მისი სიტყვებია: „რვულიც აგრევე, თუ ერთი ამბავი ოთხს სტრიქონში არ მოდიოდეს, წყობილი რჩებოდეს, ამაზე რომ თქვა, უფრო გაწყობილი იქნება“ (გვ. 125 [8]).

მამუკას თვალსაზრისი კი დიდად საყურადღებოა, რადგან მას პირადი, შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა სულხან-საბა ორბელიანსა და ვახტანგ მეექვსესთან და კარგად იცნობდა მათ მწერლურ მოღვაწეობას.

რვული რომ გამიზნულად შექმნილი ორმხრივ წასაკითხი ლექსი იყოს (მას მრავალი თხზავს და ეხება), ვინმე ამის თაობაზე რაღაც მინიშნებას გააკეთებდა. იგრძნობდა, რომ ამისათვის მარტო ინტერვალი საკმარისი არ იყო. მსგავსი კი არაფერი გვაქვს. მაგალითად, თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელიც 63 რვულ-სტროფიან ნაწარმოებს წერს, რამდენჯერმე მსჯელობს რვულის შესახებ, მაგრამ დასმულ საკითხზე არაფერს ამბობს. თვით ამ ლექსის შესავალში იგი აღნიშნავს: „არიან ესე რვულნი ქართუელთა მოშაირთა გუარნი და ამ ლექსისა გუარსა ზედა შევთხზე ესე სტიხნი“. თავისი წიგნთსაცავის კატალოგში ამავე ლექსის შესახებ წერს: „გალობა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისა მიმართ, ქართულის ლექსის რ ვ უ ლ ი ს გ ვ ა რ ზ ე დ თქმულნი, რომლისაც თვთოეული სტიხი ოთხ-ოთხი ტაეპი არის და ყოველსავე თვთოეულსა მათგანსა აქვს რვა-რვა რიფმა (ესრეთ არიან საშუალებით და ბოლოებით თანასწორის რიფმებით გალექსილნი), კარგის ხელოვნებით არიან შეწყობილნი და სინანულის მუხლების გვარზედ ქმნილნი, რომელსა შინა შემოიტანებიან იგავნი ძველისა და ახლისა აღთქმისანი ადამისითგან უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტეს განხორციელებამდე, ვნე-

---

[68] მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 7.

არაფერს ვამბობთ დავით გურამიშვილის „რეულზე“, რადგან ისინი (გვ. 149—150 [165—166]) ფორმითაც და სახელწოდებითაც რვულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ბად, ჯვარცმად, დაფლვად, აღდგომად და ამაღლებადმდე. ლექსთა ამათ ეწოდებით «სამოცეული» (რომელიცა არიან 63)"[69].

აქვე, მეორე ადგილას, როდესაც მსჯელობს შავთელის „აბდულმესიაზე", მის ლექსს ადარებს რვულს და აღნიშნავს: „ლექსნი ესე არიან წოდებისამებრ ქართველთა მესტიხეთა რ ვ უ ლ ი ს ა გ ვ ა რ ნ ი, რომელნიცა თვითოეული მათგანი არს თუმცა ოთხტაეპოვანნი, მაგრამ რვათ არიან დაბოლოებულნი რიფმით და თვითოეულს დაბოლოებულს რიფმებს ორი და სამი სხვადასხვა მნიშვნელობა აქვსთ და სხვადასხვაგვარად აიხსნებიან (და ამ გვარის რიფმების მექონთ სტიხთა ქართველთ მესტიხენი მაჯამას უწოდებენ)" (გვ. 127).

ასევე არის იოანე ბატონიშვილის „კალმასობაშიაც": „რვული შედგება ოცდაექვსიდამ ოცდაცხრას უხმოს ასოთი თითოსა სტრიქონსა შინა და ოცითა ხმოვანითა ასოთი. გარნა გვარი ამისი არს, რომელ ერთი ტრიქონი განიყოს ორ მუხლად ორ-ოლის წერტილებით, და თითო მუხლი იპყრობდეს თვის შორის ათსა ხმოვანსა ასოთაგან შემდგარსა სიტყვებსა; ხოლო ამისი გვარი არს ოთხივე ტრიქონით შემზადებული, ვითარცა თითო მუხლი დაბოლოვდება მარცვლებზედ, ეგრეთ უკანასკნელი უნდა დაბოლოვდეს, და ოთხნივ ტრიქონნი მსგავს იყვნენ პირველ მუხლშიაც და მეორეშიაც ბოლოებით ჰმსგავსნი, ვითარცა ქვემორე ჩანს ესრეთ; ეგრეთვე იქნება რვატრიქოვანი... ხოლო ამგვარი რვული ორტრიქონიანი ითქმის უგვარო რვულად..."[70]

დიდად მეტყველია ის ფაქტი, რომ სულხან-საბა ორბელიანი ორსტროფიან ლექსებსაც რვულს უწოდებს, რომელთაც შინაგანი რითმა არ მოეპოვებათ და, ამდენად, არც მათი ორმხრივი წაკითხვის საკითხი დგება. ყველაფრიდან ჩანს, სულხან-საბასათვის რვულში მთავარია რვარითმიანობა. ინტერვალიც რითმის წარმოჩენას უნდა ემსახურებოდეს. ეს გარკვევით გამოჩნდა პირველ ლექსში („ბრძენმა მითხრა სიტყვა პირად..."), სადაც შიდა და გარერითმები ორივე გამოყოფილია.

რაც შეეხება ორივე მხრიდან წაკითხვის აზრიანობას, ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ძველ ქართულ პოეზიაში ხშირად თითოეული სტრიქონი ავტონომიურია, აზრი ერთიდან მეორეში იშვიათად გრძელდება. ამგვარი საერთორითმიანი დამოუკიდებელი წინადადებებით აგებულ ლექსში სტრიქონთა გადაადგილება საერთო შინაარსს ნაკლებად ცვლის. თუ დამოწმებულ ლექსებს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ისინი არა იმდენად მოქმედებას გადმოგვცემენ, რამდენა-

---

[69] გ. შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ბაგრატიონი — ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, გამოკვლევა და ტექსტები, თბ., 1974, გვ. 97.

[70] ქართული პოეტიკის ქრესტომათია, გვ. 32—33.

დაც საგნებისა და მოვლენების აღწერას, ჩამოთვლას შეიცავენ. ამიტომაც არის, სადაც დიალოგი გაჩნდა, იქ ვერტიკალურად წაკითხვისას გაუგებრობამ უმალვე იჩინა თავი. მეორე მხრივ, ამის გამოა, რომ, გარდა რვულისა, ზოგჯერ სხვა სახის ლექსებიც შეიძლება ორმხრივ წავიკითხოთ, მაგალითად, დიმიტრი თუმანიშვილის „მუსტაზადი“:

„მაშრიყს აღზრდილო, სურვილის წილო, წალკოტს შვებულო,
კასიად შლილო, ყარამფილო, გაღვიძებულო,
ტოპაზო თლილო, შემკობილო, უცხოდ ქებულო,
ასპიროზ ქმნილო, არ ნაცილო, განათლებულო,
ცისა ცთომილო, მიწთომილო, მზესთან წებულო...“[71] და სხვა.

ან თუნდაც ჩახრუხაძის „თამარიანი“:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე-მცინარი, საჩინარი,
წყალი მქნარი, მომდინარი.

მისთვის ქნარი რა არს? — ქნარი
არსით მთქნარი, უჩინარი,
ვარდ-შამბნარი, შამბ-მაღნარი,
ლაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი“[72].

ყველაფერი ეს იმის დამადასტურებელია, რომ რვული ორმხრივ წასაკითხი, კვადრატული ლექსი არ არის.

რაც რვულთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, ცხადია, იგივე „მუხრანულის“ მიმართაც უნდა იქნეს გათვალისწინებული. სწორედ რომ ასეა, ამიტომ ვიკავებთ თავს დაბეჯითებითი მტკიცებისაგან და ჩვენს მოსაზრებას ამ ლექსის ფიგურულობის შესახებ მხოლოდ ვარაუდის სახით გამოვთქვამთ. მეორეც: გარდა აღნიშნულისა (დედანში „მუხრანულის“ გაყოფილად დაწერილობა და ორივე მხრიდან წაკითხვისას ერთი და იგივე აზრის გამოსვლა), ჩვენს თვალსაზრისს, ვფიქრობთ, მხარს უჭერს სულხან-საბას რვულები. „მუხრანული“ და ერთსტროფიანი რვული ფორმით არსებითად ერთნაირი თხზულებანია. ვახტანგი უთუოდ კარგად იცნობდა „ქილილა და დამანასეულ“ რვულებს და ეცოდინებოდა, რომ იგი თავისი მასწავლებლის შემოღებული ქართული ლექსის ახალი სახეობა იყო. და რადგან მეფე-პოეტი თავის ნაწარ-

---

[71] დიმიტრი თუმანიშვილის ლექსები, მიხ. ხ ე ლ თ უ ბ ნ ე ლ ი ს რედაქციით, თბ., 1938, გვ. 98.

[72] ძველი ქართველი მეხოტბენი. 1. ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე, ქება მეფისა თამარისა, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1957, სტრ. 24.

მოებს არქმევს სხვა სახელს, „მუხრანულს“, და არა „რვულს“, ეს იმის ნიშანია, რომ მას იგი განსხვავებული ლექსის სახეობად აქვს შექმნილი. თუმცა, თავის მხრივ ამის დამადასტურებელია ისიც, რომ მან „მუხრანული“ „ჰაშნიკში“ შეიტანა. რვულსა და ამ ლექსს შორის, როგორც ზემოთ ვთქვით, ერთი განსხვავება ის არის, რომ „მუხრანული“ ტავტოლოგიურ, რეფრენულ რითმაზეა აგებული, რვულში კი რითმებად სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებია გამოყენებული. არა გვგონია, მარტო ამ ნიშნით, რ ი თ მ ი ს გ ა მ ა რ ტ ი ვ ე ბ ი ს ა დ ა გ ა უ ბ რ ა ლ ო ე ბ ი ს გამო გამოეყო სწავლულ პოეტს თავისი ნაწარმოები. მას მეტი მნიშვნელობის ფაქტი უნდა ჰქონდეს მხედველობაში. ჩვენი აზრით, ერთადერთი ასეთი მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ლექსებს შორის ის შეიძლება იყოს, რომ „მუხრანული“ ორმხრივ წასაკითხ, ფიგურულ ლექსად ვცნოთ, რვული კი არა.

„მუხრანულზე“ ნაკლებად უნდა გავრცელდეს რვულის მიმართ გამოთქმული შენიშვნა: რვული რომ კვადრატული ლექსი ყოფილიყო, ამას ვინმე რაღაცნაირად მიანიშნებდა, მარტო ინტერვალით არ დაკმაყოფილდებოდაო. საქმე ის არის, რომ რვულს მრავალი ქმნის და მრავალი ეხება. „მუხრანული“ კი ე რ თ ა დ ე რ თ ი ლექსია, რომელიც ო რ ი ნ უ ს ხ ი თ მოგვეპოვება: ვახტანგის ჩაწერილი და გ. ავალიშვილის გადაწერილი. ამ უკანასკნელს იმდენად არ ესმის მისი სპეციფიკა, რომ ავტორისეულ ინტერვალსაც არ იცავს.

მეორე ფაქტი: ვახტანგი „ჰაშნიკში“ მოთავსებულ არც ერთ თავის ლექსზე არაფერს ამბობს, რა თავისებურება ახასიათებს რომელიმე მათგანს. ყველა კი, ბევრჯერ ვთქვით, რაღაც თავისებურებით გამოირჩევა. „მუხრანულზე“ ავტორი არც იმას მიგვანიშნებს, რომ იგი ალეგორიული შინაარსის ნაწარმოებია, როგორც ამას გვამცნობს „სატრფიალონის“ სათაური: „...მკითხველთა უხამს გულისხმიერება, თუ ვისადმი ტრფიალებს მეფე. სახმარ არს ყურნი სმენად და გული გამოკვლევად“. ასე რომ, ვინაიდან მეფე-პოეტის „ჰაშნიკისეულ“ არც ერთ ლექსს არ ახლავს განმარტება მისი რაობის შესახებ, არც „მუხრანულზე“ უნდა მოველოდეთ ამგვარ მითითებას.

ამრიგად, ჩვენი ვარაუდით, მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, „მუხრანული“ და „რვული“ პრინციპულად განსხვავებული სახის ლექსები უნდა იყოს.

საერთო დასკვნა, რომელიც უნდა გამოვიტანოთ „ჰაშნიკზე“ დართული ვახტანგის ლექსების მიმართ, ასეთია: ვინაიდან ეს ლექსები პოეტის არც ერთ ხელნაწერ კრებულში, არც ადრინდელში და არც გვიან გადაწერილში არ შესულა და მხოლოდ აქ, სწორედ პოეტიკურ ნაშრომში, დასტურდება, თანაც, ყველანი ლექსთწყობის თვალსაზრისით რაღაც სიახლის შემომტანია ჩვენს პოეზიაში, რასაც სათაურებიც

ასახავს, — ყოველივე ეს უეჭველს ხდის, რომ ვახტანგს ისინი საგანგებოდ ვერსიფიკაციული მიზნით აქვს შეთხზული.

ვახტანგი არა მარტო თვითონ ეძიებდა და ქმნიდა სხვადასხვა სახეობის პოეტურ ნიმუშებს, არამედ სხვებსაც ავალებდა ამ საქმეს. ამისი ერთი პირდაპირი ცნობა „ჭაშნიკში" მოიპოვება. მამუკას ქართული ხალხური ლექს-სიმღერების „ხმებზე", მათი მიბაძვით რამდენიმე ლექსი შეუქმნია და „ჭაშნიკში" მოუთავსებია. ასეთია „ვაანეო, ვაანეო, ცოლი მოიყვანეო"-ს ხმაზე დაწერილი **„შეწყობილი"**, „პატარა ქალო თინაო, რას გარდამიდეგ წინაო"-ს მსგავსი **„წყობილი მრავალმუხლი"** და „პატარასა, სუფთას ქალსა გარე ცეცხლი ედებოდა, მავსებელი ჰყავს არვინა"-ს კვალობაზე შეთხზული **„გრძლედი შაირი სამკვეთი"** (გვ. 129—132 [15—19]). მამუკა აქვე, წინ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეს ლექსები მას ვახტანგის დავალებით დაუწერია: „ეს თვითო სტრიქონი ძველი იყო და ეს მთელი ლექსები მ ე ფ ი ს ა ვ ე ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ მე, მამუკა ბარათაშვილმან, ვთქვი".

ვახტანგს ამ საქმეში თვითონაც უცდია კალამი და შეუთხზავს ისეთი ორიგინალური რიტმის ლექსი, როგორიცაა „რანი და მოვაკანი..." ზემოთ უკვე ვთქვით, პოეტი ხელნაწერში შენიშნავს: „ერთი ლექსის ხმა ესეც არი". ამ ლექსის შესახებ ალ. ბარამიძე წერს: „ეს მინიატურული ლექსი უნიკალურია ქართულ პოეზიაში თავისი ღრმა შინაარსით, პოეტური გამომსახველობის ჭეშმარიტი ორიგინალობით, ნოვატორული წყობით, უჩვეულო, მოულოდნელი რიტმითა და რითმით, საკვირველი მუსიკალობით..."[73]

მამუკა ბარათაშვილს რუსული ხალხური და სხვათა ლექს-სიმღერების ხმებზე დაწერილი ლექსებიც აქვს, რომლებიც, უნდა ვიგულისხმოთ, ქართული ხალხური ლექს-სიმღერების ხმებზე შექმნილ ნაწარმოებთა, ამ პრაქტიკის, შემდეგაა შეთხზული.

მამუკა ავტორია აგრეთვე სხვადასხვა სახეობის პოეტური ნაწარმოებებისა, რომლებიც აშკარად ვერსიფიკაციული მიზნით არის შექმნილი. კ. კეკელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მამუკა ბარათაშვილმა „პირველმა შემოიტანა ლიტერატურაში ხალხური სიმღერები ქართული ვერსიფიკაციის გასამდიდრებლად. შემდეგ ამ მხრივ და არა მარტო ამ მხრივ, ის მისაბაძი მაგალითი გახდა დავით გურამიშვილისათვის"[74]. უფრო მეტიც, მე-18 საუკუნესა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ამ მეთოდით ლექსების წერა ფართოდ გავრცელდა ჩვენში.

---

[73] ნარკვევები, VII, გვ. 385.

[74] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 637.

დ. გურამიშვილისა და მ. ბარათაშვილის დამოკიდებულება ქართულ, რუსულ და უკრაინულ ფოლკლორთან განხილული აქვს მ. ჩიქოვანს (მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, თბ., 1955).

როგორც ვხედავთ, რომ არაფერი ვთქვათ მამუკას სხვა სახეობის ნაწარმოებთა შესახებ, მისი და აქედან სხვათა ე. წ. ხმებზე დაწერილი თხზულებანი სათავეს სწორედ ვახტანგისაგან იღებს.

ეს ერთი ისეთი შემთხვევაა, რომლის ცნობამ ჩვენამდე მოაღწია. ვინ იცის, კიდევ რა წვლილი მიუძღვის ვახტანგს მამუკა ბარათაშვილისა და სხვათა, მის ირგვლივ შემოკრებილ პოეტთა მიერ ნახმარ სალექსო ფორმების შექმნაში.

„ჭაშნიკის" ზემოთ განხილული მონაცემები თვალნათლივ გვიხატავს ვახტანგის, როგორც პოეტისა და ორგანიზატორის, მიზანსწრაფულ ძიებას ქართული ლექსის მდიდრული ბუნების, მისი ვერსიფიკაციული შესაძლებლობის გამოვლენისა და დამკვიდრების საქმეში.

ვახტანგი თავისი დროის პოეტია და როგორც იდეურ-თემატიკურად, ასევე ვერსიფიკაციის მხრივ ბევრ რამეში მიჰყვება მას. როგორც ცნობილია, XVII—XVIII საუკუნეებში ჩვენში ძლიერ გატაცებულნი იყვნენ ანბანთქებით. ვახტანგიც დაინტერესებული ლექსის ამ სახეობით და რამდენიმე „ანბანთქება" შეუთხზავს. მანამდე ჩვენში ანბანთქებები უწერიათ ისეთ გამოჩენილ პოეტებს, როგორიც იყვნენ თეიმურაზ პირველი, არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვები. გ. მიქაძე, რომელმაც მონოგრაფიული სისრულით შეისწავლა ანბანთქება ძველ ქართულ ლიტერატურაში[75], შენიშნავს: „აღორძინების პერიოდის მწერლები ანბანთქების შეთხზვისას ერთმანეთს იწვევდნენ პოეტურ შეჯიბრში, არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი პოეტი, რომ არ შეეთხზა ახალი ტიპის ანბანთქება", რომ „მათი ყურადღება მიმართული იყო ნაწარმოების ტექნიკური მხარის გასაუმჯობესებლად" (გვ. 91).

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია ვახტანგის ორი ანბანთქება. ერთი ვრცელია, თითო ასოს თითო სტროფი აქვს დათმობილი და ყველა სიტყვა იმ ასოზე იწყება, რომლისადმი სტროფია მიძღვნილი (გამოცემა, 1975, გვ. 63—67). მაგალითად, პირველი სტროფი ა ასოს ეთმობა და ყველა სიტყვა ანით იწყება:

„ასრე არის აგებული, ამგებელსა აქ აქებდეს,
ამკობდესცა, ადიდებდეს, ამისთვისვე აქ აქებდეს,
ამზრზენელსა, აღმშფოთველსა ანაცრებდეს, აქ აქებდეს,
და არმურისკენ ამწეველსა ალმასს ავთსა აქ აქებდეს".

მეორე სტროფი ბ ასოსადმია მიძღვნილი და მასში შემავალი ყველა სიტყვა ბანით იწყება, მესამე სტროფი განს ეკუთვნის და ა. შ.

---

[75] ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 89—119.

ამ ნაწარმოების სათაურში, რომელიც სრულად ზემოთ არის დამოწმებული, ნათქვამია, რომ იგი ორიგინალური, ქართულ მწერლობაში პირველად შემოღებული ანბანთქებაა: „ესე ანბანთ ქება უცხო და ახლად შემოღებული და არა ადვილად სათარგმანებელი, თქმული მეფის ვახტანგის მიერ“.

ეს აზრი გამეორებულია ბოლო სტროფში, ეპილოგში, რომელიც წინა სტროფებისაგან განსხვავდება ზომითაც და ფორმითაც:

„ჯუფთ არს არა ვის, ეთქვა არავის, თუ ვინ აწ ბრძანებს, ვჭვ, არს შემდგომი...
ამის ლექსვაში ვიყავ მწვე ვაში, ნუ ეჭვთ მყოლოდეს შემწე, შემდგომი...“
(სტროფი მთლიანად ზემოთ არის მოყვანილი)

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ვახტანგი არ არის მართალი, როცა ამ ტიპის ანბანთქების „გამოგონებას თავის თავს მიაკუთვნებს“, „რომ მის მიერაა მოგონილი, მანამდის არავის უთქვამსო“ და მიუთითებენ არჩილის ანბანთქებაზე „არ ადვილია აღკრძალვა ამოებისა ამისა“[76].

მართლაც, ვახტანგის „ანბანთქება“ არსებითად ემსგავსება არჩილის მითითებულ „ანბანთქებას“[77]. ორივეგან ქართული ანბანი ერთნაირი სისტემით არის გამოყენებული. კომპოზიციურადაც ისინი ერთნაირია. არჩილის თხზულებასაც მოეპოვება ეპილოგი (ცოტათი უფრო ვრცელი) და აქაც საუბარია იმაზე, რომ ეს ანბანთქება ახალია:

„ანბანთქებასა ახალსა ნუ შეურაცხყოფთ სიტყვითა...
ოღონდ უწინ ვთქვი, თორე-და აწყა თქვენ უკეთ იტყვითა...“

არჩილის „ანბანთქების“ სათაურშიაც მითითებულია, რომ იგი „ახალ შემოღებულია“[78].

მიუხედავად ამდენი მსგავსებისა, მათ შორის არის ერთი ისეთი განსხვავება, რომლის გამო, ვფიქრობთ, ვახტანგს შეეძლო თავისი თხზულება გამოეყო და ორიგინალური სახეობის ლექსად ჩაეთვალა: ეს ნაწარმოები მაჯამურია — თავიდან ბოლომდე ყველა სტროფი, ეპილოგის ჩათვლით, ომონიმური რითმებით არის დაწერილი; მხოლოდ ეგ არის, ზოგიერთი მაჯამა კოჭლია და რამდენიმე, შეიძლება, ტავტოლოგიური იყოს. არჩილის „ანბანთქებაში“ კი მხოლოდ რამდენიმე

---

[76] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 603; გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 103, 107—108.

[77] არჩილიანი, I, გვ. 257—261.

[78] ყოველივე ამის გამო ჩვენ სარწმუნოდ არ გვეჩვენება ვარაუდი, რომ ვახტანგი არ იცნობდა არჩილის „ანბანთქებას“ (გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 108).

სტროფია მაჯამური, 37 სტროფიდან — ოთხი თუ ხუთი და ისიც აქა-იქ ჩართული. მაჯამური რითმების ღირსება ყოველთვის სულ სხვა იყო, ვიდრე ტავტოლოგიურისა, რომლის შესახებაც ზემოთ, „მუხრანულისა“ და „რვულის“ ურთიერთმიმართების გამო გვქონდა მსჯელობა. როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნეში საქართველოსა და მთელ აღმოსავლეთში დიდი ყურადღება ექცეოდა მაჯამურ ლექსებს. იგი პოეტური ხელოვნების ერთ-ერთ უმაღლეს სახეობად და, ამდენად, პოეტური ოსტატობისა და შესაძლებლობის საზომად ითვლებოდა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ, როდესაც იოანე ბაგრატიონი თავის „კალმასობაში“ ჩამოთვლის ანბანთქებათა სახეობებს, საგანგებოდ გამოყოფს მაჯამურ ანბანთქებას და ნიმუშისათვის ასახელებს ვახტანგის ამ ნაწარმოებს[79].

ალბათ უპირველესად ამ თხზულების მაჯამური ხასიათის გამოა, რომ სათაურში „უცხო და ახლად შემოღებულის“ გვერდით[80] აღნიშნულია „არა ადვილად სათარგმანებელი“.

ამრიგად, ვახტანგის განხილული „ანბანთქება“ სისტემით, კომპოზიციურად ემსგავსება და იმეორებს არჩილის „ანბანთქებას“, მაგრამ მაჯამური ხასიათით განსხვავდება მისგან.

ვახტანგის მეორე ანბანთქება, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაშია განხილული, ერთსტროფიანია (გვ. 68). მასში სიტყვები დალაგებულია ანბანის რიგზე და თითოეული სიტყვა იწყება და მთავრდება ერთსა და იმავე ასოზე (გარდა სარითმო სიტყვების დაბოლოებისა):

> „არა ბრძანებ, გიორგ დედად, ესე ვიყავ ზეზ ჱთერჱად,
> თმით იკარი, კუკ, ლალ, მომცემ, ნებჲენ ოსო, პროკოპ, ჟვერად,
> როგორ საამს ტახტ ჳკეთჳ, ფეფ, ქექ, ყეყ, ღორღ, შიშ, ჩამჩქერად,
> ციეიც, ძეძ, წეწ, ჭმუჭ, ხეხ, ჴოჴ, ჯორჯ, ჰაიმისჰ ჵერად“.

როგორც გ. მიქაძე აღნიშნავს, ვახტანგის ეს ანბანთქება ორიგინალურია, მანამდე ამგვარი სახეობის ანბანთქება ქართულ მწერლობა-

---

[79] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1936, გვ. 291; გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 113.

[80] სხვათა შორის, ვფიქრობთ, სათაური შეიძლება ისეც იქნეს გაგებული, რომ „უცხო და ახლად შემოღებული“ უშუალოდ თვით ვახტანგის ნაწარმოებს კი არ ეხებოდეს და მხოლოდ მის თავისებურებას აღნიშნავდეს, არამედ შეგნებულად იმეორებდეს არჩილის „ანბანთქების“ ცნობას და ამით მიუთითებდეს, საზოგადოდ, ამ ტიპის ანბანთქების სიახლეზე ქართულ მწერლობაში. სათაურის ამგვარი გაგება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმას, რომ ვახტანგი თავის „ანბანთქებას“ ორიგინალური ტიპის ნაწარმოებად თვლის, რაც საკმაოდ გარკვევით აღნიშნულია ეპილოგში.

ში არ ჩანს[81]. ამ ნაწარმოების მიხედვით გ. მიქაძე ვახტანგს ქართულ მწერლობაში ანბანთქების ფორმის ნოვატორად თვლის[82].

მესამე ანბანთქება, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, უფრო მარტივი სახისაა. მასში სიტყვები დალაგებულია ანბანის რიგზე, ოღონდ ზემორე ანბანთქებისაგან განსხვავებით, აქ ანგარიში აღარ ეწევა სიტყვების დაბოლოებას:

„აჰა, ბრძენთ გესმასთ და ესე ვინა ხართ, ზოვთ, ჱე, თქმულია,
იმ კარვის ლუკას მორჩილი ნუმც ორ პირ ჟრჟოლა რთულია...“ და ა. შ.

ამ ტიპის ანპანთქებები გ. მიქაძეს მრავალი აქვს აღრიცხული. ყველაზე ადრინდელი სულხან-საბა ორბელიანისა არის, რომელიც ავტორს არჩილისათვის მიუწერია და ამ უკანასკნელს ამგვარივე ანბანთქებით უპასუხნია[83].

ბოლოს, ვახტანგის ერთი ნაწერის შესახებ, რომელიც ანბანთქება უნდა იყოს. „სატრფიალონში“ 140—141 სტროფებს შორის ერთ სტრიქონად მოთავსებულია ქართული ანბანი თავისებური რიგით, რომელსაც ბოლოს ახლავს ერთი სიტყვა „სიავესა“[84]:

„ძოწ ტურფით ხჩმ გჳქებნ ქჟღლდს ჟამზჰც კი შჭყპ სიავესა“.
(გამოცემა, გვ. 68)

„სატრფიალონის“ ტექსტში ეს სრულიად მოულოდნელად წერია და არაფერი აქვს მასთან საერთო. ძველ, ავტორიზებულ ნუსხებში[85] წინ უძღვის ცნობა: „ცუდად ვიყავ, მომაგონდა; მთელი ანბანია, «სიავეს» გარდა“. აქ „ცუდად ვიყავ, მომაგონდა“ არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ იგი ავადმყოფობის დროს არის დაწერილი და რაღაც ავადმყოფურ გამოვლინებას წარმოადგენს. ზემოთ საგანგებოდ გვქონდა საუბარი, ვახტანგს არაერთხელ აქვს აღნიშნული, რომ თავის მწუხარებას იგი პოეტური შემოქმედებით იქარვებდა. სათანადო ნიმუშები იქვეა დამოწმებული. აი, სწორედ ამ გაგებით უნდა იყოს ნახმარი აღნიშნული სიტყვები, რაც უფრო გასაგებად ნათქვამია „სატრფიალონის“ ბოლო სტროფში: „ც უ დ ა დ ვ ი ყ ა ვ სოფლისაგან, ე ს ე რ ა მ ე გ ა ვ ა უ ბ ე ნ“ (სტრ. 146. 1).

---

[81] ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 1C3.

[82] იქვე, გვ. 119.

[83] იქვე, გვ. 102—103; არჩილიანი, I, გვ. 271.

[84] ზუსტად ამ სახით ეს ტექსტი იკითხება M 1 ნუსხაში მოთავსებულ ვახტანგის ჩანაწერებში (გვ. 2r), რომელიც თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა („ლიტერატურული ძიებანი“, VI, გვ. 273, № 34). ძველ ავტორიზებულ ნუსხებში არის „ხშჩმ“ და „სპყვპ“, მაგრამ ამ ვარიანტებს გამოვრიცხავთ, რადგან „ს“ მეორდება.

[85] S 4500, გვ. 290; M 3, გვ. 40v; S 171, გვ. 33.

A 1164 ნუსხის აღწერილობაში ქ. შარაშიძე ანბანთა ამ რიგს „კრიპტოგრაფიულ ჩანაწერად“ მიიჩნევს, თუმცა მისი გაშიფვრა არ უცდია (ტ. IV, გვ. 217).

მოყვანილი მასალებიდან ჩანს, პოეტს იგი ლექსად უნდა ჰქონდეს ჩაფიქრებული. ამაზე მიგვანიშნებს ბოლოს დამატებული სიტყვა „სიავესა“, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რითმისათვის შეიძლება იყოს მოხმობილი.

ამ მოსაზრებას უეჭველს ხდის M 1 ხელნაწერში საძიებელ ანბანზე დართული, ვახტანგის ხელით ჩაწერილი განმარტება: „ეს ანბანია მთლად, სხვა არ ურევია თითოს ასოს მეტი, ოღონ ლ ე ქ ს ი ს გ ა-წ ყ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ბოლოს «ს[ი]ავე» მეტი არის, რომ სხვაში გათავ-და ანბანი“ (2r)[86]. ამასვე ადასტურებს ვახტანგის თხზულებათა ზოგიერთი გვიანდელი ხელნაწერი კრებული, რომლებშიაც იკითხება: „ეს ტაეპი ანბანია, წინა უკმო სხედს, ბ ო ლ ო ს ლ ე ქ ს ი ს გ ა წ ყ ო-ბ ი ს ა თ ვ ი ს «სიავესა» მეტი არის“[87].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გვიანდელ ხელნაწერ კრებულებში, რომელთა ავტოგრაფული ან ავტორიზებული არქეტიპი არ ჩანს, ჩვენთვის საინტერესო ანბანი კიდევ განსხვავებული რიგითა და დამაბოლოებელი სიტყვით იკითხება ზემორე აღნიშნულ მეორე ანბანთქების („არა ბრძანებ...“) შემდეგ:

„ეს ქვეითი ტაეპი ანბანია, თუ ამოარჩევ:

ქალალდს კი გჯქებნ ჟამზჰჵ შჭყვჳჴ ხჩმ ტურფეთ ჩ ძოწ გიშრები“[88].

ეს არის და ეს ხელნაწერთა მონაცემები. სხვა არავითარი მითითება არა გვაქვს, როგორ ლაგდება ან როგორ უნდა გავიგოთ ანბანთა მოცემული რიგი.

ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს თავისებურ ა მ ო ს ა ც ნ ო ბ ანბანთქებასთან, რომლის გაშიფვრა საგანგებო კვლევას მოითხოვს. კერძოდ, დასაძებნი და შესასწავლია ანალოგიური ტიპის ანბანთქებები სხვა ერების, განსაკუთრებით კი სპარსულ და რუსულ პოეზიაში.

ამრიგად, ქართულ მწერლობაში ვახტანგ VI ანბანთქებაშიაც გვევლინება ნოვატორ პოეტად. გარდა სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული ერთი თავისებური ანბანთქებისა, მას შეუქმნია რამდენადმე განსხვავებული ვარიაცია არჩილის მიერ შემოღებული ანბანთქებისა და

[86] ლიტერატურული ძიებანი, VI. გვ. 273.

[87] ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხები: A 1776, გვ. 82v; H 21, გვ. 88v; საქართველოს ცენტრალური საისტორიო სახელმწიფო არქივი № 138, გვ. 32r.

[88] A 1776, გვ. 53r: H 21, გვ. 53v; H 957, გვ. 104r; დასახელებული არქივი: № 138, გვ. 5r; № 297, გვ. 98v და სხვა.

ერთი კიდევ ჩვენი მწერლობისათვის სრულიად უცნობი სახეობა ამ ტიპის თხზულებისა.

ვახტანგის ანბანთქებებს, გარდა უკანასკნელისა, იცნობენ, ეხმაურებიან და მაღალ შეფასებას აძლევენ ანტონ, იოანე, პაატა ბაგრატიონები და სხვები[89].

ანბანთქებები ძირითადად ფორმალისტურ პოეზიას განეკუთვნება და ვახტანგის ანბანთქებებიც ამავე ხასიათისაა. მათში ყურადღება ექცევა არა იმდენად აზრს, შინაარსს, რამდენადაც გარეგნულ მონაცემებს, ლექსის აგებულებას.

ვახტანგს კალამი უცდია ისეთი ფორმალისტური სახეობის თხზულებათა შექმნაშიც, როგორიცაა პ ა ლ ი ნ დ რ ო მ ი, წაღმა-უკუღმა საკითხავი ლექსი:

„აბანა ერსა მოშიშთა, ათშიშომ ასრე ანაბა,
აბანა დარად იდება, აბედი დარად ანაბა,
აბანა იშიშ რამეთუ, უთემარ შიში ანაბა,
აბანა არად აზედა, ადეზა დარა ანაბა".
(გამოცემა, 1975, გვ. 72).

ვახტანგის ეს ლექსი, ისე როგორც საზოგადოდ ამ ტიპის ნაწარმოებები, ერთნაირად იკითხება როგორც მარცხნიდან მარჯვნივ, ისე პირუკუ. ჩვეულებრივ, ისინი შინაარსისაგან დაცლილია და მხოლოდ სიტყვათა რიტმულ თამაშს ქმნიან. ასეთია ვახტანგის ლექსიც. ამ ფორმის შინაარსიანი ნაწარმოებები, თავისი რთული აღნაგობის გამო, იშვიათია.

წაღმა-უკუღმა საკითხავი ლექსები მრავალი ხალხის ლიტერატურაში მოიპოვება. შუა საუკუნეებში განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული სპარსულ პოეზიაში. გვხვდება რუსულ პოეზიაშიაც.

ძველ ქართულ პოეზიაში, რომელიც ამ თვალსაზრისით შეისწავლა გ. მიქაძემ, ამგვარი რამდენიმე შემთხვევაა დადასტურებული[90], სახელდობრ: 1646 წელს მამუკა თავაქარაშვილის გადაწერილ ვეფხისტყაოსნის ნუსხაზე მინაწერი ერთი სტროფი; თითო სტროფები იაკობ შემოქმედელის, ონანა მდივნის, სვიმონ კოპაძისა; ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეულ ხელნაწერზე მინაწერი ერთი სტრიქონი და სხვა.

როგორც ვხედავთ, ვახტანგამდე ამგვარი თხზულება ჩვენში არსებულა. ასეთია თუნდაც იაკობ შემოქმედელის ლექსი, რომ არაფერი ვთქვათ ვეფხისტყაოსნის თავაქარაშვილისეულ ხელნაწერის მინაწერსა

---

[89] გ. მ ი ქ ა ძ ე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 103—104, 113.
[90] იქვე, გვ. 85—88.

და ონანა მდივნის სტროფების შესახებ, რადგან მათი შექმნის დრო, ისე როგორც ვახტანგის ლექსისა, არ ვიცით.

გამოცემაში ვახტანგის ლექსს სათაურად აქვს „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“, რაც ხელნაწერებში, ყოველ შემთხვევაში ავტორიზებულ ხელნაწერებში, არ დასტურდება. ალბათ გამოცემის გამო იყო, რომ დ. კობიძემ ვახტანგის ეს ნაწარმოები არჩილის „ჩარხებრ მბრუნავ ლექსს“ დაუკავშირა. მკვლევარი წერს: „არჩილის მიბაძვით უნდა იყოს შეთხზული ვახტანგ მეექვსის «ჩარხებრ მბრუნავი ლექსიც»“[91]. სინამდვილეში, არჩილისა და ვახტანგის ლექსები განსხვავებული სისტემების თხზულებანია და ერთი მეორის მიბაძვად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ხელნაწერებში ვახტანგის ლექსს წინ უწერია: „ცუდად ვიყავ“. შემდეგ იმავე სტრიქონზე გრძელდება: „იმატა ასვათ ასეთი, ითესა თავსა ატამი“[92].

„ცუდად ვიყავ“ აქაც იმასვე უნდა აღნიშნავდეს და ისეთივე მობოდიშება უნდა იყოს პოეტისა, რაც არის ვახტანგის ზემოთ მითითებულ თხზულებებში — „ანბანთქებაში“, „კაეშანში“, „სატრფიალონსა“ და სხვებში.

რაც შეეხება წინა-უკმო საკითხავ სტრიქონს „იმატა ასვათ ასეთი...“, აშკარაა, ვახტანგის ლექსის ორგანული ნაწილი არ არის. ჩვენი აზრით, იგი ვახტანგისა არ უნდა იყოს და პოეტს სანიმუშოდ უნდა ჰქონდეს მოყვანილი[93]. თუ ეს მართლაც ასეა, გამოდის, ვახტანგის ეს ნაწარმოებიც მიბაძვით, ე. წ. ხ მ ა ზ ე დაწერილი თხზულება არის.

ვახტანგი თავის დროს უსწორებს მხარს იგავური, ამოსაცნობი ფორმისა და შინაარსის თხზულებათა შექმნაშიაც. მის შემოქმედებაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს მაჯამური, ომონიმური რითმებით გაწყობილ ლექსებს. ავტორი ლექსის მუსიკალური მხარის გასაძლიერებლად იყენებს გრძელ 4- და 5-მარცვლიან რითმებს, რომლებიც

---

[91] დ. კ ო ბ ი ძ ე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, გვ. 274—277.

[92] S 4500, გვ. 265, S 171, გვ. 15.

[93] დასაძებნია, ეს სტრიქონი სად და რომელ ნაწარმოებთან კავშირში გვხვდება, შეიძლება შემთხვევითი არ იყოს ის ფაქტი, რომ ერთ გვიანდელ, XIX საუკუნის 40-იან წლებში თეიმურაზ აგიაშვილის მიერ გადაწერილ ხელნაწერ კრებულში „მრავალმეტყველი“ ჩვენთვის საინტერესო სტრიქონი ცალკე, ვახტანგის ლექსის გარეშე იკითხება (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, II, თბ., 1964, გვ. 210). ეს სტრიქონი ცალკეა მიწერილი ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეულ ხელნაწერში. პოემის ეს ნუსხა კი გარკვეულად უკავშირდება თეიმურაზ აგიაშვილის ოჯახს (გ. მ ი ქ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეული ვეფხისტყაოსნისათვის, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VI, თბ., 1974, გვ. 136—141).

ზოგჯერ იმდენად ძნელი ამოსაცნობია, რომ გვეეჭვება, პოეტს ისინი ყველგან განსხვავებული მნიშვნელობით ჰქონდეს ნახმარი. ვფიქრობთ, ამ შემთხვევებში ვახტანგი წინ აყენებს ლექსის მუსიკალურ-ემოციურ მხარეს და შეგნებულად უშვებს ტავტოლოგიურ რითმებს, რომლებიც რეფრენის მსგავსად მეორდება სტროფში. მოვიყვანოთ ამგვარი, გრძელი რითმებიანი სტროფის ორიოდე ნიმუში „სატრფიალონიდან“:

„სურვილისა ზღვათა შიგან მან მომიდვა მ ა ს ე, მ ა ს ე,
ესე მიყავ, შემომზღუდე, გარეშემო მ ა ს ე, მ ა ს ე,
საბრხეები მისგან ჩემზე, რომ გახეთქო მ ა ს ე, მ ა ს ე,
და შაქრისაგან უფრო ტკბილი მისი ეშყი მ ა ს ე, მ ა ს ე“.
(სტრ. 33)

5-მარცვლოვანი რითმებია:

„გული სეედისა სალხენად განსა ვკარ ა ჭ ა რ ხ ა ლ ი თ ა,
გაველურდე და გავიჭრე, დავრჩე ვით ა ჭ ა რ ხ ა ლ ი თ ა,
მზევ, გული ჩემი ტყვექმნილი მისწიე, ა ჭ ა რ ხ ა ლ ი თ ა,
და საზღოდ ვიკმიო სიცოცხლე, ვატარო ა ჭ ა რ ხ ა ლ ი თ ა“.
(სტრ. 40)

ერთი მხრივ, ლექსის მუსიკალური, ხოლო, მეორე მხრივ, გასაშიფრავი, ამოსაცნობი მხარის გასაძლიერებლად ვახტანგი უფრო შორს მიდის „სატრფიალონის“ 27-ე სტროფში, სადაც ერთი და იგივე სარითმო სიტყვები მეორდება როგორც სტრიქონების დასასრულს, ასევე თავსა და შუაშიაც:

„ა მ ი თ უთხრა წ ა მ წ ა მ ი თ ა შესამსგავსი შ ე ს ხ მ ა ნ ი ა,
ა მ ი თ ფერით წ ა მ წ ა მ ი თ ა ესვის გულში შ ე ს ხ მ ა ნ ი ა,
ა მ ი თ შექმნა წ ა მ წ ა მ ი თ ა თვალ-მარგალიტთ შ ე ს ხ მ ა ნ ი ა,
და ა მ ი თ მოერჩეთ წ ა მ წ ა მ ი თ ა მადლი წყლულებრ შ ე ს ხ მ ა ნ ი ა“.

საინტერესოა, რომ ეს სტროფი ვახტანგს „სატრფიალონის“ ბოლო რედაქციაში არ გადაუტანია (M 3, გვ. 26r—v; S 171, გვ. 20).

ამგვარი ლექსები ქართულ ლიტერატურაში ვახტანგამდე იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ხოლმე. მაგალითად, ერთისა და მეორის ნიმუშები მოიპოვება იაკობ შემოქმედელის გალექსილ „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“[94]:

---

[94] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა S 342.
შავთელთან და არჩილთან ანალოგიური სტროფების შესახებ იხ. ივ. ლოლაშვილის ნაშრომი წიგნში: ძველი ქართველი მეხოტბენი, II, ი ო ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ი, აბდულმესიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი ვ ა ნ ე ლ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა, გვ. 183—184.

„ვაჲი არ ყვანდა მოამადს, ესხნეს ი ქალი ასულად,
ერთი მას შერთო, ვინ შემწედ ახლდა იქ ალი ასულად,
უფსკრულთა შინა შთაცვივდენ, ნახეს იქ ალი ასულად,
და ეღარ იტყვიან გმობასა ხორციც იქ არი ასულად".

(გვ. 297r)

კიდევ უფრო ვრცელი რითმებია:

„ნუ უცხოდ გიჩნს სატანასგან, ბელიარსით მოაბასრა,
ბრანგვეად განრყვნას საძოვარი, ბელი არსით მოაბას რა,
მართლის სისხლი რომ დაღვარა, ბელიარსით მოაბასრა,
და ღვთით მოაკლდა მტერთ მახვილსა, ბელი არსით მოაბასრა".

(გვ. 296r)

მეორის ნიმუშები (ოღონდ შუაში გამეორება არ არის):

„აბარ აბის მოეისმინოთ, იგავს ბრძანებს აგარაკად,
აბარ აბის წილ მიცემით თვით დაეფლვის აგარაკად,
აბარაბის მეძეის მსგზავსათ, თუ გვემს რისხვით აგარაკად,
და აბარაბის ცოდვით მთხრებლში სვიმონ პოვეს ვინ პარაკად".

(გვ. 292v)

„დავით მგალობელთ მთავარი ქნარსა სცემს ებან, ებანსა,
დავით სიმდაბლის მუშაკი ღირსებით ებან ებანსა.
დავით ბერსაბეს ტრფიალებს, სარკმლით სჭვრეტს ებან, ებანსა,
და დავით ფსალმუნთ თქმით ტიროდა, მისთვის არ ებან ებანსა".

(294r)

ანალოგიური კონსტრუქციის სტროფია „ელი ელისეს მის წილად სალენს მოსს ელი ელისეს", სადაც სტრიქონების თავსა და ბოლოში მეორდება „ელი ელისეს" (გვ. 281r) და სხვა.

ვიმეორებთ, ამგვარი აგებულების ლექსები ძველ ქართულ პოეზიაში იშვიათი მოვლენა იყო და ვახტანგის მით დაინტერესება სიახლეებისაკენ მისი სწრაფვის ბუნებრივი მიდრეკილების ერთ-ერთი გამოხატულება უნდა იყოს.

თუ ყოველივე ზემოთ თქმულს თავს მოვუყრით, შემდეგ დასკვნებს მივიღებთ:

ვახტანგ მეექვსეს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართული ლექსის ვერსიფიკაციული განახლების საქმეში.

მეფე-პოეტი ლექსთწყობაში ძირითადად მიჰყვება ქართული ლექსის მაგისტრალურ ხაზს. მის შემოქმედებაში გაბატონებული ადგილი უჭირავს იმ დროისათვის ქართულ მწერლობაში კანონიკურ ნორმად ქცეულ 16-მარცვლოვან რუსთველურ შაირს. გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა, ყურადღების გარეშე ტოვებს ჩახრუხაულს.

როგორც პოეტი-შემოქმედი და ხელმძღვანელ-ორგანიზატორი, იგი დაუცხრომლად და მიზანსწრაფულად იღვწის ქართული ლექსის მდიდრული ბუნების, მისი ვერსიფიკაციული შესაძლებლობის გამოვლენისა და დამკვიდრებისათვის. საამისოდ ეყრდნობა და იყენებს ძველ ქართულ მწერლობას, ქართულ ხალხურ შემოქმედებას და უცხოურ, სახელდობრ სპარსულ, პოეზიას.

ვახტანგის სახელთანაა დაკავშირებული ქართულ ლიტერატურაში მთელი რიგი სალექსო ფორმების გამოყენება. პირველად მასთან დასტურდება 16-მარცვლოვანი შაირის ერთ-, 6-, 8-, 9-, 11-, 12- და მეტსტრიქონიანი ლექს-სტროფები. ჩანს, ქართულ პოეზიაში მისგან იღებს სათავეს 7- და 10-სტრიქონიანი ლექს-სტროფები.

პოეტი ქმნის ქართული პოეზიისათვის უცხო, განსხვავებული სტროფული აღნაგობის, თავისებური მეტრისა და რიტმის შემცველ ახალი სახეობის ლექსებს: „უწყვეტელს", „ბოლოერთს", „ვახტანგურს", „მუხრანულს", „ლექს-ამბავს".

თავისი დროის შესაბამისად, იგი წერს სხვადასხვა ტიპის ანბანთქებებს. მათგან ერთი ქართული მწერლობისათვის ახალია, ერთი კიდევ გარკვეულ ვარიაციას იძლევა არჩილის მიერ ახალშემოღებული ანბანთქებისა.

გასაშიფრავი, ამოსაცნობი ანბანთქების სახეობა უნდა იყოს მისი, თავისებური რიგით დალაგებული ანბანი, რომლის მსგავსი ქართულ ლიტერატურაში არ გვხვდება.

ვახტანგი ეხმაურება ფორმალისტურ პოეზიას და, გარდა შინაარსისაგან დაცლილი ანბანთქებებისა, ქმნის ქართულში ნაკლებად გავრცელებულ წაღმა-უკუღმა საკითხავ ლექსს. ფორმალისტური მიმართულებით ავითარებს მაჯამურ, ომონიმურრითმიან ლექსებს.

იყენებს მანამდე არსებულ, ახალშემოღებულ და ნაკლებად გავრცელებულ ლექსის სახეობებს და თავისი, როგორც მეფისა და აღიარებული პოეტის, ზეგავლენით ხელს უწყობს ამგვარი სალექსო ფორმების გავრცელებასა და ქართულ მწერლობაში დანერგვას. ამგვარია, მაგალითად, 2-, 5- და ზოგიერთი მეტსტრიქონიანი ლექს-სტროფები, ანბანთქებები, წაღმა-უკუღმა საკითხავი ლექსი, რეფრენიანი ლექსები და სხვა.

შესაძლებელია, შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად ყველაფერი ისე არ დალაგდეს, როგორც ამჟამად გვაქვს წარმოდგენილი. კერძოდ, მოსალოდნელია, ლექსის ესა თუ ის სახეობა, რომლის შემომღებადაც ვახტანგს მივიჩნევთ, ქართულში უფრო ადრინდელი აღმოჩნდეს, ან პოეტი ისე არ უპირისპირდებოდეს ადრინდელ სალექსო ფორმებს და ისეთ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდეს თავის თხზულებათა ორიგინალობას, როგორც ჩვენ კვლევისას ვაკეთებთ, ან კიდევ მის ამა თუ იმ



სურ. 1: A 910, გვ. 456v.



სურ. 2: A 928, გვ. 1r.



სურ. 3; E 15, გვ. 1r.



სურ. 4; M 1, გვ. 1r.



სურ. 5; M 1, გვ. 1v.



სურ. 6; M 1, გვ. 2r.



სურ. 7; Q 1493, გვ. 1r



სურ. 8; პარიზული № 15 ნუსხის გვერდი



სურ. 9; Q 207, ფ. 112r.



სურ. 10; Q 207, ფ. 156v.



სურ. 11; Q 207, ფვ. 89v.



სურ. 12; Q 207, ფვ. 89v.



სურ. 13; Q 207, გვ. 107r.



სურ. 14: S 31, ფფ. 3v.



სურ. 15: S 31, ფფ. 11v.



სურ. 16. S 31, გვ. 19v.



სურ. 17. S 31, გვ. 113r



სურ. 18: S 31, გვ. 131v.



სურ. 19: S 31, გვ. 16v.



სურ. 20; S 31, გვ. 52v.



სურ. 21; H 2225, გვ. 11r.



სურ. 22: H 2225, გვ. 11v.

ნაწარმოებს ის ზეგავლენა არ მოეხდინოს მომდევნო ხანის პოეტებზე, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ და ა. შ. მიუხედავად ყოველივე ამისა, უმთავრესი მაინც ცხადია: ვახტანგ მეექვსე ქართული ლექსის ვერსიფიკაციული განახლების სათავეებთან დგას. ეს დიდი ლიტერატურული. ეროვნულ-კულტურული პროცესი მიმდინარეობდა და ყალიბდებოდა მის თვალწინ, მისი სამეფო კარის ირგვლივ შემოკრებილ და მის მფარველობის ქვეშ მყოფ მწერალთა წრეში — სულხან-საბა ორბელიანის, მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში, — ვახტანგის ყოველმხრივი, მიზანსწრაფული და აქტიური მონაწილეობით.

2. ვახტანგ მეექვსე და მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი"[95]

ვახტანგ მეექვსეს, როგორც მეფესა და ხელმძღვანელს, დიდი შრომა აქვს გაწეული ჩვენი ეროვნული სულიერი საგანძურის გამდიდრებაში. იგი საგანგებოდ არჩევდა სათანადო ნიჭითა და უნარით დაჯილდოებულ პირებს, ირგვლივ იკრებდა და სამოღვაწეოდ წარმართავდა მათ. მისი თაოსნობისა და უშუალოდ ჩარევის შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე გაკეთდა, რამაც შემდგომ წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ხალხის ისტორიაში. ვახტანგის ეს ორგანიზატორული მოღვაწეობა ისევე მოითხოვს საგანგებო შესწავლასა და მონოგრაფიული სისრულით წარმოჩენას, როგორც საკუთრივ მისი ლიტერატურული და მეცნიერული შემოქმედება.

ამჯერად ჩვენი მიზანია გარკვევა იმისა, თუ რა წვლილი მიუძღვის ვახტანგს მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკის" შექმნაში.

ეს პოეტიკური ტრაქტატი, რომელსაც ხელნაწერებსა და გამოცემებში კიდევ „ლექსის სწავლის წიგნი" და „სწავლა ლექსის თქმისა" ეწოდება, ძველი ქართული მწერლობის უნიკალური ძეგლია. იგი პირველი სახელმძღვანელოა ქართული ლექსის შესახებ, სადაც ავტორი ცდილობს განსაზღვროს ქართული ლექსის ბუნება, მისი აგებულება, ფორმები, საზომები, ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართება და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია შეხედულება, თითქოს ჩვენი მწერლობის ეს მნიშვნელოვანი მოვლენა, — „ჭაშნიკის" შექმნა, — ვახტანგის სახელს უკავშირდებოდეს. კ. კეკელიძე წერს: „ეს შრომა დაწერილია ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ 1731 წელს მოსკოვში"[96].

---

[95] ეს ნარკვევი ადრე გამოვაქვეყნეთ კრებულში: მწიგნობარი 83, თბ., 1984, გვ. 244—258.

[96] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 631.

ალ. ბარამიძე: „«ჭაშნიკი» შეთხზულია მოსკოვში 1731 წელს ვახტანგის დავალებით"[97].

გ. ჯიბლაძე: „მამუკა ბარათაშვილს «ჭაშნიკი» დაუწერია ვახტანგ მეექვსის დავალებით, რუსეთში ყოფნის დროს, 1731 წლის თებერვალს, როგორც ეს ჩანს მისივე მინაწერიდან"[98].

ამ აზრს ა. ხინთიბიძე ასე ავითარებს: „ეტყობა, მამუკა ბარათაშვილს რაღაც წყაროებით წინასწარვე ჰქონდა შემუშავებული ზოგადი წარმოდგენა პოეტიკის სახელმძღვანელოთა შესახებ. ვახტანგ VI, რომლის ბრძანებითაც «ჭაშნიკი» დაიწერა, ფრიად განათლებული მეფე იყო... უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწავლული მეფე თავისი ამალის წევრს დავალების მიცემისას სათანადო ინფორმაციასაც მიაწვდიდა დაკისრებული სამუშაოს შესახებ"[99].

აღნიშნული მოსაზრება ბევრჯერ გამეორებულია ბოლო დროს გამოსულ ნაშრომებში:

დ. ლაშქარაძე: „ვახტანგის მითითებით არის შეთხზული ქართული მწერლობის ზოგიერთი დიდად მნიშვნელოვანი ძეგლი, მათ შორის მამუკა ბარათაშვილის «ჭაშნიკი», ანუ «სწავლა ლექსთა თქმისა»"[100].

გ. პაიჭაძე: „ვახტანგი იმისთვის ზრუნავდა, რომ შეესწავლათ ქართული ლექსის ბუნება და პოეტიკის თეორიის საკითხებზეც სპეციალური ნაშრომი შეექმნათ. ამის ნათელი დადასტურებაა მამუკა ბარათაშვილის «ჭაშნიკი», რომელიც ვახტანგის დავალებით დაიწერა"[101].

ვ. შადური: „1731 წელს მამუკა ვახტანგ მეფის დავალებით წერს ქართული ლექსის პირველ მეცნიერულ გამოკვლევას «ჭაშნიკი» ანუ «სწავლა ლექსთა თქმისა»"[102].

მ. კაკაბაძე: „მოსკოვში ვახტანგის ხელმძღვანელობით იქმნება პოეტიკის სახელმძღვანელო, მამუკა ბარათაშვილის «ჭაშნიკი», რომელმაც დიდი გავლენა იქონია XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაზე"[103].

---

97 ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 456.

98 გ. ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, I, მეორე გამოცემა, თბ., 1955, გვ. 108.

99 ა. ხინთიბიძე, ჭაშნიკი ქართული ლექსმცოდნეობისა, გვ. 40.

100 დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, გვ. 17.

101 გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 102.

102 ვ. შადური, რევოლუციამდელი ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, თბ., 1982, გვ. 31.

103 მ. კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, გვ. 178.

დ. ბრეგაძე: „ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს მ ი თ ი თ ე ბ ი თ შ ე უ ქ მ ნ ი ა მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს თ ა ვ ი ს ი «ჭ ა შ ნ ი კ ი», ანუ «სწავლა ლექსთა თქმისა». იგი თვითონვე წერს: «...ეს მთელი ლექსები მეფისავე ბძანებით მე, მამუკა ბარათაშვილმან, ვთქვი»"[104]. და სხვა.

საძიებელი შეხედულება მოდის გ. ლეონიძის გამოკვლევიდან, რომელიც მან ჭაბუკობისას დაწერა და წაუმძღვარა „ჭაშნიკის" მისეულ გამოცემას. იქ აღნიშნულია: „«ჭაშნიკი» დაიწერა ვახტანგ VI-ის ბრძანებით, ისე როგორც სხვა თხზულებანი მამუკა ბარათაშვილის" (გვ. VI). საბუთად მითითებულია ლექსთა ნაწყვეტები: „მიბძანეს ლექსთა შემკობა", „მეტი არა მაქვს ბძანება", „მეფეთა მიერ ბძანება სრულ იქმნა ვითა ბძანესა" („მიბძანეს", „ბძანება", „ბძანესა" დაყოფით არის დაბეჭდილი).

ბუნებრივია, ამ მოწმობის შემდეგ აღნიშნული თვალსაზრისი ერთხმად იქნა გაზიარებული და ეჭვმიუტანლად დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში. მით უმეტეს, ვახტანგის ამგვარი თაოსნობა, მისი და მამუკა ბარათაშვილის სიახლოვე და შემოქმედებითი თანამშრომლობა მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის კვალდაკვალ უფრო და უფრო იკვეთებოდა და მდიდრდებოდა.

მიუხედავად ამ მოღვაწეთა ასეთი ურთიერთობისა, მაინც არ მტკიცდება, რომ „ჭაშნიკი" ვახტანგის დავალებით იყოს დაწერილი. გ. ლეონიძის ზემოთ დამოწმებულ ამონაწერთაგან არც ერთი არ მოიპოვება „ჭაშნიკში". ისინი სხვა თხზულებებს განეკუთვნება. პირველი ორი ნაწყვეტი მამუკას გალექსილი „ჯიმშედიანიდან" არის. პირველი შესავლიდანაა:

„მ ი ბ ძ ა ნ ე ს ლ ე ქ ს თ ა შ ე მ კ ო ბ ა ქებად ჯიმშედის გმირისა,
საწადელ სრულებულისა, პირველ სვეთაგან მჭმირისა,
გულთა, ცეცხლთა და ლახვართა ვისთვის მე ხელად მირისა,
და ზევარდმო კავშირ მტკიცესა, ცუდ განხწნად ეინცა მზირისა"[105].

მეორე — ბოლო ნაწილიდან:

„აღვავე ესე სამყოფი, თვით ნახეთ განშვენებანი,
არ მიეეც მიზეზისათვის სრულ კეთილ გარეელებანი,
ქორი უმართებს გარდაქნად და საძირკეელთაც დებანი,
და მ ე ტ ი ა რ ა მ ა ქ ვ ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ა, ხამს სხვათაც აღშენებანი". (557)

ცხადია, აქ ორივეგან „ჯიმშედიანზეა" საუბარი, რომელიც მართლაც ვახტანგის დავალებით იქნა გალექსილი, და არც ერთი „ჭაშნიკის" ისტორიას არ ეხება.

---

[104] დ. ბ რ ე გ ა ძ ე, მეგობრობის მეკვლე, გვ. 121.

[105] მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 53, სტრ. 13.

რაც შეეხება მესამე ტექსტს, იგი „ჯიმშედიანის“ ერთ-ერთი ნუსხის — კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S 390-ის გადამწერის, გარსევანიძის, ანდერძიდანაა, რომელიც მოთავსებულია „ჯიმშედიანის“ ბოლოს და ეხება არა „ქაშნიკს“, არამედ „ჯიმშედიანს“ თუ მის შემცველ ხელნაწერს:

„მეფეთა მიერ ბძანება სრულ იქმნა,
ვითა ბძანესა,
ვარდი ნერგვად და გამფურჩქნად მზემ სხივი მიატანესა,
სუნი, ფერი და შვენება თვით სცანით, ვით იქმან ესა,
და გარსევანის ძე მთავარი ესწერ ჟამთა დიაკვანესა“[106].

„ქაშნიკში“ ვახტანგი რამდენჯერმეა დასახელებული და ყველა შემთხვევაში — სხვა საკითხებთან დაკავშირებით. პირველად ნახსენებია ვეფხისტყაოსნის მიჯნურობაზე მსჯელობისას, სადაც პოემის 1712 წლის გამოცემაზე დართული ვახტანგის კომენტარებია მოხმობილი: „მაგრამ თუცა ავზედა თქვა, ურიგოდ თქვა. ქებისა და მოგონების ნაცვლად. საძრახავი და საგმობელი იქნება და ცოდვაც მძიმე, რომე კაცი ცოდვაზედ აღძრავს და ავს ასწავლის, როგორც რუსთველს ცოლქრმობის სიყვარულზე უთქვამს და სხვა მრავალი საღმთოდ საერო სწავლიბა მოუყვანია, რომელსა მისი თარგმანი, *მეფეს რომ უბძანებია*, ის გამოაცხადებს. მაგრამ ზოგიერთს მელექსეს იმისი წიგნი ცუდს სააშიყოთ გაუსინჯავს“ (გვ. 124 [7]).

მეორეჯერ ვახტანგი და მისი ნაწარმოების „სატრფიალონის“ ერთი სტროფი დამოწმებულია, როდესაც ავტორი განიხილავს ლექსის ფორმასთან იგავის შეხამების საკითხს: „გძელ შეწყობილი, გინა მდინარი და შეწყობილი კაის სწავლის იგავებისათვინ არის, რომ როგორაც ამ შაირში *მეფეს უბძანებია* იგავათ: «უნდა მოგვანდეს ეკალსა ყმა ახალ-ნორჩი რგულებსა...»“ (გვ. 125 [8]).

უფრო საყურადღებოა მესამე შემთხვევა. ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, მამუკას სხვადასხვა ლექსთა საილუსტრაციოდ მოჰყავს მის მიერ ქართულ ხალხურ ლექს-სიმღერების „ხმებზე“ შექმნილი ლექსები: „შეწყობილი“, „მდინარი“, „წყობილი მრავალ-მუხლი“ და „გრძლედი შაირი სამკვეთი“.

წინ მამუკა იუწყება, რომ ლექსთა ეს სახეობები ხალხური ლექს-სიმღერების გამოყენებით მან შექმნა ვახტანგ მეექვსის დავალებით: „ეს თვითო სტრიქონი ძველი იყო და ეს მთელი ლექსები *მეფისავე ბძანებით* მე, მამუკა ბარათაშვილმან, ვთქვი. ამას ქვეითი

---

[106] S 390, გვ. 143—144, გამოქვეყნებულია ამ ხელნაწერის აღწერილობებში: ე. თაყაიშვილი, I, გვ. 418; გ. მიქაძე, გვ. 146; თ. ენუქიძე, გვ. 487.

ჯმების ლექსები სულ ასე ვთქვი და გავარჩიეე, ძველი ძველად და ახალი ახლად სწერია მთქმელთ სახელებითურთ. ამ ძველის თვითოს სტრიქონისაგან ვიპოვე ეს ახალი და ამ ძველის მთქმელი არ ვიცოდი" (გვ. 129, [15]).

როგორც ვხედავთ, მამუკა ფართო ცნობებს იძლევა თხზულებაში წარმოდგენილი ყველა ნაწარმოების შესახებ, კერძოდ, საგანგებოდ აღნიშნავს ვახტანგის ინიციატივას დასახელებული ლექსების შექმნაში.

რამდენადაც მამუკას პოეტურ თხზულებათა ვამოცემიდან ჩანს, ეს ლექსები სხვაგან არსად დასტურდება და მხოლოდ „ჭაშნიკში" მოიპოვება. ეს იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ხსენებული ლექსები მამუკამ საგანგებოდ „ჭაშნიკისათვის" შეთხზა. მიუხედავად ამისა, აქედან მაინც არ გამომდინარეობს მიღებული თვალსაზრისი. მამუკას ცნობა საკუთრივ ლექსებს ეხება და არა მთლიან „ჭაშნიკს", როგორც ამას გ. ჯიბლაძე და დ. ბრეგაძე წარმოგვიდგენენ. ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობის, მათ შორის „ჭაშნიკზე" დართული ლექსების განხილვისას აღვნიშნეთ, რომ ვახტანგი დიდად იყო დაინტერესებული ვერსიფიკაციული ძიებით, პრაქტიკულად გამოევლინებინა და მშობლიურ პოეზიაში დაემკვიდრებინა ნაირ-ნაირი სალექსო ფორმები. მამუკას ცნობა სწორედ ვახტანგის მოღვაწეობის ამ მხარეს წარმოაჩენს და არაფერს ამბობს თვით „ჭაშნიკის", როგორც თეორიული ნაშრომის, შექმნის შესახებ.

ვახტანგის წვლილი, მათ შორის საინიციატივო ხასიათისა, ამა თუ იმ ნაწარმოების შეთხზვის, თარგმნის, გადაწერის საქმეში საგანგებოდ არის აღნიშნული მათ სათაურებში, ანდერძ-მინაწერებში და ა. შ.

მაგალითად: როგორც ცნობილია, ვახტანგის ბრძანებით სპარსულიდან ითარგმნა სამიჯნურო-სათავგადასავლო თხზულება „ბარამ-გულანდამიანი". ხელნაწერებში მთარგმნელი დასახელებული არ არის, მაგრამ დამკვეთის, ვახტანგ მეექვსის სახელი სათაურშივეა მითითებული: „ქ. კარი პირველი ბარამისა და გულანდამისა, სპარსულისაგან ქართულად გადმოთარგმნული ბ ძ ა ნ ე ბ ი თ ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ი ს ა ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა თ ა"[107].

ზემოთ უკვე მივუთითეთ, ანალოგიური ვითარება გვაქვს „ბახთიარ-ნამეს" მიმართაც. ამ ნაწარმოების ქართული თარგმანის თავწერილობაში იკითხება: „კარი პირველი აჯამის ხელმწიფისა, სპარსულისაგან ქართულად გადმოთარგმნული ბ ძ ა ნ ე ბ ი თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე-

---

[107] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია. ტ. II, გვ. 196; ტ. III, გვ. 7, 178; ტ. V, გვ. 182. H კოლექცია, ტ. I, გვ. 336; ტ. III, გვ. 1 და სხვა.

ლოს გამგის ბატონიშვილის ვახტანგისათა. მრავალჟამიერ ყოს უფალმან ორსავე შინა ცხოვრებასა“[108].

ვახტანგის დავალებითა და შემდეგ მისი შვილის ვახუშტის ჩარევით ზურაბ შანშოვანმა სომხურიდან თარგმნა მესამე საუკუნის მოღვაწის პორფირის ფილოსოფიური ნაშრომი „შეყუანილობაჲ“ და სომხური გრამატიკის მიხედვით შეადგინა ქართული ენის მოკლე გრამატიკა[109]. ამის შესახებ ვახტანგისადმი მიმართვაში, რომელიც პორფირის თხზულების თარგმანს უძღვის, ნათქვამია: „ვახტანგ მეფეჲ ქართველთა ღმრთისაჲ მიერ იხარებდ! კეთილმორწმუნებაჲ თქუენი ცხად იქმნა ჩუენდა და სიყუარული, რომელი გაქუსთ სულიერთა მიმართ სიტყვთა ღმრთისათა, რამეთუ ხე ნაყოფთაგან საცნაურ არს, რომელ თანამდებ გექმნათ ჩუენდა თარგმანებაჲდ პორფირისა «შეყუანილობისა» და გასაკეთებლად ღრამატიკისა...“[110].

ვახუშტი ბაგრატიონის გადაწერილი კრებულის დასაწყისში, სადაც პირველად გრამატიკის ტექსტია მოთავსებული, გვაქვს: „სახელითა ღვთისათა, იწყების პირველად ღრამატიკა, ქართულსა ენასა ზედა ქმნული ზურაბ შანშოვანის ტფილისელისაგან მოსკოს, დიდსა სამეფოსა ქალაქსა შინა, მპყრობელობასა თვთმპყრობელის იმპერატრიცა ანნა იოვანესისასა და ბძანებითა მეფის ვახტანგის ლეონის ძისათა, არა შესრულებულ წელსა ქრისტეს აქათ 1737, დეკემბერს 2. აღსრულდა კვალად მეორე პორფირი, ხუთნი ჴმანი, მისვე მეფის ბძანებით ნათარგმნი მისგანვე ზურაბისა 1736...“[111].

იქვე მთარგმნელი ასევე საგანგებოდ აღნიშნავს ვახუშტის თაოსნობას კრებულში შესულ სხვა თხზულებათა თარგმნის საქმეში, ხოლო

---

[108] ალ. ბარამიძე, ბაჲთიარ-ნამეს ქართული ვერსიისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1948, გვ. 138; ალ. გვახარია, სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები, ბახთიარ-ნამე, თბ., 1968, გვ. 89.

[109] ალ. ცაგარელი, შესავალი წერილი წიგნისა: მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წელსა, გამოცემული ალ. ცაგარელისაგან, სანკტ-პეტერბურღი, 1881, გვ. V, IX—XI; ს. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში, „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 2—3, გვ. 145.

[110] ალ. ცაგარელი, მითითებული ნაშრომი, გვ. III, XXIII; ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X — B, ტფ., 1940, გვ. 141—159; არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 80—88.

[111] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, I_2, თბ., 1976, გვ. 224; S კოლექცია, I, გვ. 413 და სხვა.

თვით ვახუშტი კიდევ უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლევა ამ თხზულებათა თარგმნის ისტორიაზე[112].

ვახტანგის მითითებით რუსულიდან ითარგმნა სახელმძღვანელო „ანგარიშის ცოდნის წიგნი". შესავალში მთარგმნელი წერს: „ქ. ესე წიგნი მე, მიხილ ელივიჩ ვთარგმნე რუსულისაგან ქართულად, ოდეს მობძანდა მეფე ვახტანგ ქალაქსა მოსკოვს. მან მიბრძანა და თვით მანვე ქართულის ენით გაასწორა და ვრცლად დასწერა. საუკუნომცა არიან წელნი და ჟამნი ცხოვრების მისისნი, ამინ!..."[113].

ასევე აღინიშნება ხელნაწერთა გადაწერის დაკვეთაც. პაპუა თუმანიშვილი იუწყება: „ქ. წელსა 1733, ჩღლგ, ჴელმწიფობასა მეორესა იმპერატრიცა ანნა ივანოვნასასა აღიწერა წიგნი ესე ალექსანდრეს მაკიდონელისა ცხოვრება ქალაქსა დიდსა სახელმწიფოსა, დიდსა მოსკოვსა, ბრძანებითა საქართველოს მპყრობელისა მეფისა ვახტანგისითა, ხელითა თუმანისშვილისა იესეს შვილის პაპუასითა, დასრულდა ამავ წელსა, დეკემბერსა 24, ამინ!"[114].

ზემოთ დამოწმებული სიონის ეკლესიის დიაკვნის გაბრიელის ცნობა: „ნებითა ღვთისაჲთა და ბრძანებითა საქართველოს გამგის, პატრონის ვახტანგისითა, მე, ფრიად ცოდვილმან და ყოველთა კერძო დიაკონთა უნარჩევესმან, სიონთა ღვთისმშობლის დეკანოზის შვილმან გაბრიელ, აღვწერე წმიდაჲ და სულთა განმანათლებელი სახარებაჲ, სამოციქულო, იოანეს მოხილვა და დავითი ესე. უწყის უფალმან, გაკრძალვით ვსწერე და თუ რამ მცდარ ვიყო, ნუ მწყევთ, გევედრები უფალნო, მრავალიმცა არიან წელნი ცხორებისა ძისა მეფისა ვახტანგისნი".

არის პირიქითაც. არც ვახტანგი ტოვებს დაუსახელებლად, ვისაც მისთვის დახმარება გაუწევია. მაგალითად: ცნობილია, რომ ვახტანგის ვრცელ პოეტურ თხზულებას „სიბრძნე მალაღობელს" საფუძვლად უდევს ერასტი თურქისტანიშვილის მიერ რუსულიდან ნათარგმნი „აპოფთეგმატა". არაერთხელ ვთქვით, ეს ბიბლიოგრაფიული ცნობა მოცემულია ვახტანგის ნაწარმოების სათაურში: „ქ. მოკლედ სიტყვისგება სოგრატისი. სწავლა პირველი. თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანიშვილისაგან და ლექსად ნაბძანები მეფეთ-მეფის ვახტანგისაგან, რომელსა ეწოდების «სიბრძნე მალაღობელი». მრავალჟამიერ ყოს უფალმან".

---

[112] მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან, გვ. 1; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, II, 1958. გვ. 265.

[113] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია. I. გვ. 184.

[114] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, I, გვ. 339.

კიდევ უფრო ვრცელ ცნობებს იძლევა ვახტანგი „ქილილა და დამანას“ თარგმნის საქმეში თეიმურაზ პირველის მამის დავითის, ვინმე სპარსელისა და სომხის მონაწილეობის შესახებ: „ჟამსა მას... მეფეთ-მეფისა თამარისა ესე წიგნი ეთარგმნათ... მაშინდელი ნათარგმნი ჟამთა ვითარებით დაკარგულიყო და შემდგომად ბატონს დავითს, ბატონის თეიმურაზის მამას, კუსა და მორიელის არაკამდის ეთარგმნა, მაგრამ არც ლექსი გამოეღო და ზოგი სიტყვაც დაეკლო და არც გასრულება დასცალებოდა. მე ის წიგნი ხელად შემომივარდა. ვნახე, რომ იყო სიტკბოთი და სარგოთი სრული... ერთს სპარსსა რომ მცირედ ქართული ენა და წიგნი ესწავლა, ამის შესრულება უთხარი. მან თარგმნა იწყო, მაგრამ ენის უცოდინარობით ვერც კარგა გამოიღო და გასრულებამდის მეც ისპაანს წასვლა მომიხდა. ისპაანს რომ ჩაველ, მუნ ერთს სომეხს უთხარ. რომ სპარსული ესწავლა, ნაკლების შესრულება და მან შეასრულა... შემდგომად ამისა... ტყვე მყვეს და... ქირმანს წარმომგზავნეს. რა მიველ მუნ, წიგნი სარგონი არ მახლდა.... სხვა საქმე არ მქონდა რა და ამის შექცევას გამოვეკიდე...“ (38—39 [190—191]).

ვახტანგი ასევე უყურადღებოდ არ ტოვებს და რამდენჯერმე საგანგებოდ იხსენიებს ვინმე მირზა აბდურიზა თავრიზელს, რომელიც ასტრონომიული და ასტროლოგიური თხზულებების თარგმნაში დახმარებია. ულუღ-ბეგის ასტრონომიული ნაშრომის „ზიჯის“ თარგმანში წერია: „ქ. დასაწყისი «ზიჯისა» ამის სწავლისა, თარგმნილი მეფის ვახტანგისა. ეს ულუყბეგის «ზიჯი» მე, მეფე ვახტანგ, გამოვიღე მირზა. აბდურიზა თავრიზელის შეწევნით...“[115].

„აიათის“ 1721 წლის გამოცემის შესავალში გვაქვს: „და აწ მე, მეფემან მეფეთამან ვახტანგ, ეს სპარსული «აიათი», რომელ არს «ქმნულების ცოდნის წიგნი», «ზიჯი», «თალა მასალა» და სხვა «ოქმების წიგნები» ვთარგმნე მირზა აბდურიზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანაშეწევნითა და სტროლაბიც ქართულად გამოვიღე“[116].

ჩვენ აქ დავიმოწმეთ მხოლოდ ისეთი ნიმუშები, რომლებიც ვახტანგს ეხება, ისიც ნაწილი. საზოგადოდ, ამ ტიპის მასალათა გაცნობა გვიჩვენებს, რომ ძველად ამგვარი ბიბლიოგრაფიული ცნობების მოწოდება არათუ მიღებული, სავალდებულოც კი იყო, მით უმეტეს, რო-

---

[115] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. S კოლექცია, I, გვ. 179.

[116] იხ. აგრეთვე: დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნე, თბ., 1929, გვ. 61; ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 206.

ცა იგი მეფეს ეხება[117]. თანაც იგრძნობა, რომ, როდესაც ესა თუ ის სამუშაო მეფეთა დაკვეთით სრულდება, იგი ერთგვარი სიამოვნებითა და სიამაყითაც არის აღნიშნული.

ბუნებრივია, ამ მხრივ არც მამუკა ბარათაშვილია გამონაკლისი. ზემოთ ვნახეთ, მამუკამ „ჯიმშედიანის" თავსა და ბოლოში საგანგებოდ მიუთითა, რომ მან ეს ნაწარმოები ვახტანგის დავალებით შექმნა. ეს მინიშნებულია სათაურშიც: „ქ. წყება პირველი წიგნისა ამის «ჯიმშედიანისა», გალექსული მამუკა ბარათაშვილისა მიერ ანბავთაგან «რუსუდანიანისა», გ ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ" (გვ. 156).

თუკი მამუკამ „ჭაშნიკში" იმ ფაქტზე გაამახვილა ყურადღება, რომ ქართულ ხალხურ ლექს-სიმღერების ხმებზე შეწყობილი თავისი ლექსები ვახტანგის დავალებით შეთხზა, ცხადია, ამგვარი შემთხვევა რომ თვით „ჭაშნიკის" მიმართ ყოფილიყო, არც ეს გამორჩებოდა აღუნიშნავი. ამ აზრს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ნაშრომის სათაური. ზემოთ იყო საუბარი, „ჭაშნიკის" სამი ხელნაწერიდან ერთი ავტოგრაფია, ერთიც ვახტანგ მეექვსის ხელში ნამყოფი და მის მიერ შევსებული. არც ერთი თავში დაზიანებული არ არის. ყველას მოეპოვება გრძელი სათაური, სადაც დასახელებულია ავტორი, მაგრამ არაფერია ნათქვამი ვახტანგის შესახებ[118]. ავტოგრაფშია: „სწავლა ლექსის თქმისა და დასაწყისი პირველი წიგნისა ამის ჭაშნიკისა, პოვნილი მამუკა ბარათაშვილის მიერ ძველთა ნათქვამთაგან"[119]. თუ არ მივიღებთ მხედველობაში უმნიშვნელო ვარიანტულ სხვაობებს, ასევეა სხვა ნუსხებშიაც.

ზემოთ ვნახეთ, როგორი ყურადღება ექცეოდა ძველად დაკვეთის აღნიშვნას. თუ აქ მამუკა და ვახტანგი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დუმან, ეს სრულებითაც არ არის შემთხვევითი!

ამრიგად, არავითარი ხელჩასაჭიდი საბუთი არ არსებობს იმ აზრის დამადასტურებლად, რომ მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი" ვახტანგ მეექვსის დავალებით იყოს დაწერილი.

მეორე საკითხია, ვახტანგს, შეიძლება ითქვას, დიდი ინტერესი გამოუჩენია ამ თხზულების მიმართ, რაც სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი. როგორც ზემოთ ვთქვით, ვახტანგი მთელი გატაცებით ზრუნავდა ქართული ლექსის მრავალფეროვნებისათვის და, ბუნებრივია, გულ-

---

[117] აქა-იქ, საერთოდ, რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც, რომელთაც თავიანთი მიზეზები აქვთ. მაგალითად, ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის მომზადებაში თავისი მონაწილეობა სრულიად შეგნებულად არ გაამხილა და წიგნში არ აღნიშნა თეიმურაზ ბაგრატიონმა.

[118] შდრ.: ლ. მ ე ფ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, „მნათობი", 1958, № 3, გვ. 160; გ. მ ი ქ ა ძ ე, მამუკა ბარათაშვილი (ცხოვრება და შემოქმედება), გვ. 143; მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 143.

[119] მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, სწავლა ლექსის თქმისა, გვ. 7, 25.

გრილი ვერ დარჩებოდა ამ დარგში შექმნილი თეორიული ხასიათისა და პრაქტიკული დანიშნულების ნაშრომისადმი. ამ ყურადღების გამომხატველია „ჭაშნიკზე" დართული მისი ლექსები.

ცნობილია, რომ „ჭაშნიკს" მამუკამ დაურთო პატარა ქრესტომათია, სადაც შეიტანა სულხან-საბა ორბელიანის „ქილილა და დამანასეული" სხვადასხვა სახეობის ლექსები: „უცხო", „ჩახრუხაული ძაგნაკორული", „ჩახრუხაული შერეული", „ჩახრუხაული მრჩობლედი", „მრჩობლედი ფისტიკაური", „შერეული", „მრჩობლედი", „წყობილი", „შეწყობილი", „იამბიკო", „რვული", „ფისტიკაური", „ლექსი".

აქვეა, ამათ მოსდევს ვახტანგის ლექსები. „ჭაშნიკის" სამივე ხელნაწერში გადამწერის ხელით შეტანილია 3 ლექსი: „უწყვეტელი", „ბოლოერთი" და „მეფის თქმული". ზემოთ უკვე რამდენჯერმე აღინიშნა, ეს ლექსები გამორჩეული ფორმის ნაწარმოებებია, რომლებიც ავტორის თხზულებათა არც ერთ ხელნაწერ კრებულში, არც სხვაგან დასტურდება, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ პოეტმა ისინი საგანგებოდ „ჭაშნიკისათვის" შეთხზა. უფრო მეტიც: ვახტანგს არც შემდეგ შეუწყვეტია „ჭაშნიკზე" ფიქრი და მისთვის კიდევ 3 ლექსი დაუმატებია: „მუხრანული", „ვახტანგური" და „ლექს-ამბავი". პირველი და ბოლო ლენინგრადულ ხელნაწერში თავისი გაკრული ხელით ჩაუწერია. შესაძლებელია მის მიერ იყოს ჩაწერილი აგრეთვე „ვახტანგურიც", რომლის კალიგრაფია რამდენადმე განსხვავებულია. ამ ლექსების მიმართაც იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც წინა სამზე ვთქვით: ესენიც თავისებური ფორმის თხზულებებია, „ჭაშნიკის" გარდა სხვაგან არსად მოიპოვება და, ჩანს, საგანგებოდ ამ ნაშრომისთვისაა შექმნილი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ: არ მტკიცდება სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული შეხედულება, რომ მამუკა ბარათაშვილის პოეტიკური ტრაქტატი „ჭაშნიკი" ვახტანგ მეექვსის დავალებით იყოს დაწერილი. სამაგიეროდ კარგად ჩანს, რომ ვახტანგს დიდი ინტერესი და ყურადღება გამოუჩენია ამ ნაშრომისადმი, საგანგებოდ შეუთხზავს სხვადასხვა ფორმის ლექსები, დაურთავს მისთვის და ამით გაუმდიდრებია მისი ქრესტომათიული ნაწილი.

ПОЭТИЧЕСКИЙ МИР ВАХТАНГА VI

Резюме

Предлагаемая вниманию читателей работа является продолжением книги того же автора «Поэтическое наследие Вахтанга VI», опубликованной в 1986 году издательством «Мецниереба» АН ГССР. Она посвящена установлению и уточнению состава поэтического наследия выдающегося грузинского писателя, ученого, государственного и общественно-культурного деятеля Вахтанга VI (1675—1737), текстологическому изучению и углубленному исследованию идейно-художественной специфики его поэтических произведений.

В первой главе собрана и изучена та часть поэтического наследия писателя, которая не вошла в рукописные и печатные сборники его произведений, а была выявлена в различных других, отдельных рукописных материалах. К их числу относятся стихотворения, написанные почерком Вахтанга VI, как то: посвящения своему старшему брату Кайхосро (погиб в 1711 г.) и грузинскому церковному деятелю VI века Шио Мгвимели; одна строфа, включенная им в текст «Джимшедиани» Мамуки Бараташвили («Смерть супруги Джимшеда»); строфа, включенная в перевод «Хосров-Шириниани» персидско-индийского классика XIII века Амир Хосрова Дехлеви (клятва Хосро), а также стихи, вписанные в грузинский текст персидских сочинений астрономического характера «Книга Рамли» и «Книга звезд». Автором установлена принадлежность данных сочинений Вахтангу VI.

С текстологической точки зрения изучены стихотворения Вахтанга VI, включенные в поэтический трактат Мамуки Бараташвили «Чашники» и в грузинские переводы «Калилы и Димны».

Здесь же рассмотрено третье «Анбанткеба» (восхваление алфавитное), «Рани и Мовакани...» и другие произведения поэта.

Отдельно изучены стихи, которые приписываются Вахтангу, но на самом деле ему не принадлежат. В частности, выяснено, что одно из стихотворений, включенных Вахтангом в рукопись «Картлис Цховреба» (летопись Грузии), принадлежавшую Эраджу-Чалашвили, является частью одного из продолжений поэмы Руствели («Завещание Тариэла и Нестан»), автором которого был Иосиф Тбилели (1620—1688). Автором же стихотворения, вписанного в «Квинклос» (рукопись последней четверти XVIII века), является не Вахтанг VI, а Вахтанг Орбелиани.

Основной проблеме книги посвящается вторая глава — «Поэтический мир Вахтанга».

В разделе этой главы, носящем название «Царь и поэт», опровергнуто неоднократно высказанное в научной литературе мнение, будто Вахтанг ставил поэзию выше своей главной деятельности — управления государственными делами. Вахтанг VI, образованный и просвещенный государь, свою основную обязанность видел не в литературных занятиях, а в заботах о независимости и благоденствии своей отчизны и народа. Все его поэтическое наследие, за исключением небольшой части, написано за пределами Грузии, в Иране и в России, когда он был отстранен от государственных дел.

После этого говорится о литературно-эстетических воззрениях Вахтанга, выраженных непосредственно в его поэзии.

Отдельный раздел этой главы посвящен дидактическим мотивам в творчестве Вахтанга VI. Здесь отмечено, что Вахтанг, один из образованнейших людей своей эпохи, кругозор которого охватывал почти все сферы знаний того времени, считал главным назначением писателя распространение знаний, мудрости и большая часть его поэзии служит делу умственного и нравственного воспитания грузинского народа. В работе показаны основные морально-этические и педагогические воззрения царя-поэта, его наставления о любви к книге и к труду, о нравственной чистоте, скромности, любви к ближнему, дружбе, милосердии, доброте, преданности семье и др. Он осуждает невежество, лень, лживость, двуличие, зазнайство, зависть, измену, вражду и жажду наживы... Царей и помещиков он призывает к скромности, благоразумию, справедливости, учит их отечески относиться к своим подданным и т. д. Всем этим вопросам поэт посвятил ряд замечательных афоризмов. Большинство дидактико-просветительных идей Вахтанга не утратило своего значения до наших дней.

В работе подробно изучены мотивы на тему мировой скорби, которыми так глубоко проникнута поэзия Вахтанга. Установлено, что они и обусловлены, во-первых, тяжелой участью царя-поэта, вызванной бедствиями Грузии, в результате которых царь был вынужден покинуть родину, потерять престол, разлучиться с близкими, испытать измену и предательство — все ужасы, которые последовали за его иранским пленением и эмиграцией в Россию; во-вторых — постоянными раздумьями о тщете земной жизни, о коварстве бренного мира, которые внушало христианское мировоззрение.

После этого в работе анализируются произведения, созданные на религиозную тему. Подчеркивается, какое большое значение имели они, как и вообще христианская позиция Вахтанга, для сохранения независимости и национальной самобытности Грузии. Здесь же подробно рассмотрено символическо-аллегорическое выражение любви в «Амир--Насариани», «Сатрпиалони» и «Салбунад гулиса».

«Амир-Насариани» представляет собой переделанное Вахтангом на грузинский лад произведение выдающегося персидского писателя XI века Кей-Кауса «Кабус-Намэ». Царь-поэт сначала перевел его прозой, затем переложил в стихи. В результате тема любви зазвучала иначе. В прозаическом переводе целиком опущена глава, в оригинале озаглавленная «О любви» и непосредственно касающаяся любви, а это заглавие в переводе перенесено на следующую главу («К удовлетворению страстей»), которая касается не любви, а сексуального обучения. Во время же стихотворной переделки прозаического варианта произведения и эта глава была опущена, вместо чего сочинена новая глава, излагающая христианское учение о любви.

Данный пример еще раз показал, что при переводе лучших образцов художественной и научной литературы восточных стран царь-просветитель соответственно изменял их, проводя сквозь горнило своей идеологии и мировоззрения, отказываясь при этом от чужого и неприемлемого с точки зрения христианства и национальных традиций грузинского народа.

В научной литературе широко распространено мнение К. С. Кекелидзе, что изображенная в стихотворении Вахтанга VI «Сатрпиалони» («Любовное») мистико-аллегорическая любовь — суфическая. В последнее время такое объяснение счел сомнительным С. С. Цаишвили, который сблизил любовь, изображенную в «Сатрпиалони», с неоплатонизмом, увязав ее тем самым с христианской литературой.

В книге расшифрованы символические образы этого произведения — «сдзали» (сноха), «сасдзло» (невеста), «сатрпо» (возлюбленная), а также проанализированы некоторые другие материалы. Этот анализ приводит к выводу, что изображенная Вахтангом VI любовь как по содержанию, так и по форме выражения — чисто христианская.

Аналогичное заключение в книге сделано и по поводу его стихотворения «Салбунад гулиса».

В грузинской науке распространено также высказанное К. Кекелидзе мнение о том, что изображенная в стихотворении Вахтанга VI «Салбунад гулиса» («Бальзам для сердца») любовь — патриотическая аллегория: под «сатрпо» (возлюбленной) здесь подразумевается отчизна, как это было принято в грузинской поэзии XIX века.

В представленной работе проанализированы некоторые эпизоды этого произведения (дни радости и счастья поэта, проведенные на родине; заключенная в крепость возлюбленная; пассажи, обрисовывающие недовольство поэта миром), расшифрованы некоторые символические образы (врата, свет, солнце, тьма), найдено сходство с библейскими произведениями, а также с соответствующими стихами Давида Гурамишвили (1705—1792). На основе этого исследования утверждается, что изображенная

в данном стихотворении возлюбленная — существо небесного происхождения, а любовь, отображенная в произведении, носит такое же мистико-аллегорическое содержание, какое выражено в «Сатрпиалони» и в научных трудах Вахтанга VI.

В заключительном разделе этой главы рассмотрены патриотические мотивы. В научной литературе принято считать, что мотив патриотизма занимает в поэзии Вахтанга большое место. Основательное изучение данного вопроса приводит, однако, к противоположному выводу: несмотря на то, что Вахтанг всю свою жизнь и многогранную деятельность государя и политика, писателя и ученого посвятил служению своему народу, своей родной стране — его пламенное патриотическое чувство любви к родине не нашло соответствующего отражения в темах и идеях его художественных произведений. Таким образом, патриотического мотива в современном понимании в поэзии Вахтанга VI нет.

Последняя, третья, глава книги посвящена проблеме версификационных исканий грузинского поэта. Указанный аспект деятельности Вахтанга VI впервые был рассмотрен А. Г. Барамидзе.

В данной главе расширен круг вопросов, привлечены некоторые новые материалы: здесь показано, что в произведениях Вахтанга VI впервые в истории грузинской поэзии встречаются стихотворения, состоящие из 1, 6, 8, 9, 11, 12 и более строк. Поэт внес также большой вклад в развитие и распространение других стихотворных форм.

В этой же главе проанализированы метрические особенности поэтических сочинений Вахтанга VI, представленных в «Чашники», и указано, что эти стихи созданы с определенной чисто версификационной целью.

Здесь же исследовано «Анбанткеба» (Восхваление алфавитное) и те новшества, которые вносит поэт в стихи подобного рода; выделены его формалистические стихи, рассмотрены и те произведения, которые, по мнению автора, должны принадлежать Вахтангу VI и привлекают внимание с точки зрения версификации.

Исследование приводит к выводу, что Вахтанг VI и как поэт, и как руководитель и организатор всех культурных начинаний своего народа, целеустремленно и неутомимо боролся за выявление и реализацию версификационных возможностей грузинского стиха.

В конце книги автор выясняет роль Вахтанга VI в создании «Чашники» (1731 г.) М. Бараташвили. Здесь отвергается принятое в научной литературе мнение, что этот поэтический трактат был написан по заказу и поручению Вахтанга; хотя он заинтересовался этим произведением и даже специально сочинил для внесения в него стихи своеобразной формы.

პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე გიორგი 213
აბედინა („სალბუნად გულისა“) 171
აბო თბილელი 287
აბრამ ერევანცი 191
აბრამი, აბრაჰამი (ბიბლ.) 220, 266, 276
აბულაძე ილია 17, 22—23, 64, 66, 262, 271, 276—277, 287, 422
აგიაშვილი თეიმურაზ 413
აგიაშვილი ნიკა 94, 96
ადამი (ბიბლ.) 208, 255, 281, 321, 402
ავალიანი ლალი 6
ავალიშვილი გიორგი 33, 36—42, 368, 405
ავგუსტუს კეისარი 149
ათანელიშვილი ნათელა 271
ათონელი ექვთიმე 262, 269
ალანია ნოდარ 6
ალექსანდრე მაკედონელი ნ. მაკედონელი ალექსანდრე
ალი ყული-ხანი ნ. იესე ლევანის ძე
ალფესი, ალფესძე (ბიბლ.) 246, 300
ამირეჯიბი ქაიხოსრო 181
ამირხანაშვილი ივანე 222
ამირ ხოსრო დეჰლევი ნ. დეჰლევი ხოსრო
ამონიოს ერმისი 227
ანა (ანნა) იოანეს (იოვანეს) ასული 329, 333, 422—423
ანანია (ბიბლ.) 295—296
ანა ხანუმი 71—72, 78
ანაქსაგორა 149
ანდრია (ბიბლ.) 246, 300
ანდრია კესარია-კაბადოკიელი 266, 273—274, 276, 287, 314
ანტიოქიელი ტიმოთე 23
ანტისთენე 149
ანტისტე, ანტისტინე („სიბრძნე მალალობელი“) 365
ანტონ პირველი 222
არეოპაგელი (არიოპაგელი) დიონისე (დივანოსე, დიონოსე) ნ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი
არისტოტელე 149, 154, 313, 373
არისტონ („სიბრძნე მალალობელი“) 365
არისტოფ („სიბრძნე მალალობელი“) 366
არჩილი 15, 69, 71, 74, 76, 78, 89, 96, 104, 114, 118—119, 124, 127, 131—133, 135—136, 142, 173—175, 196, 215, 243—244, 288, 306, 323, 326, 354, 362, 379, 407—411, 413, 416
ასათიანი ირინე 79
ასათიანი ლევან 89
ასლანიშვილი ვ. 83
აფლათუნ („ქილილა და დამანა“) 61, 373
აქილევსი 398
აღათოკლე 149
აჰმედ მესამე 91

ბ

ბაგრატიონი ანტონ 40, 412
ბაგრატიონი დიმიტრი 68
ბაგრატიონი ვახუშტი 7, 81, 178, 180—187, 189—194, 212, 214—215, 219, 327—328, 340, 348, 422—423
ბაგრატიონი თეიმურაზ 395, 399, 402—403, 425
ბაგრატიონი იოანე ნ. იოანე ბატონიშვილი
ბაგრატიონი პაატა 412
ბაგრატიონები 178
ბარათაშვილი მამუკა 10, 12, 14—17, 32—33, 35—41, 102, 110, 112—114, 118—120, 241, 243, 245, 275, 306, 323—324, 360—361, 363, 367—369,

379, 381, 385, 395, 402, 406—407, 417—421, 425—426
ბარათაშვილი ნიკოლოზ 204—205
ბარამი („ბარამ-გულანდამიანი“) 19, 421
ბარამიძე ალექსანდრე 3, 5, 10, 17—18, 20—21, 24, 29, 32, 35, 42—43, 46, 54, 58, 60, 68—69, 74, 76, 90, 94, 97, 100, 108, 167, 204, 221, 238, 244—246, 249, 288, 306—307, 326, 341, 351, 354—355, 361, 380—381, 395, 398, 406, 409, 418, 422
ბარამიძე რევაზ 22, 90, 221—222, 354
ბარდაველიძე ჯონდო 362
ბართლომე (ბიბლ.) 246, 300
ბარნოვი გურამ 77
ბარუქი (ბიბლ.) 263
ბარძიმი (გიორგი ერისთავის ძე) 182
ბასილ კესარიელი 22, 262, 268—269
ბატონიშვილი იოანე ნ. იოანე ბატონიშვილი
ბაქარი 97—98, 190—193
ბაქრაძე ანა 68
ბაქრაძე დიმიტრი 42, 177
ბეგიაშვილი თედო 92, 167, 303
ბეზარაშვილი ქეთევან 265
ბერიძე როლანდ 4, 395
ბერძენიშვილი ნიკო 69, 288
ბესარიონ კათალიკოსი 216
ბოლხოვიტინოვი ევგენი 395
ბოცვაძე იოსებ 124
ბრეგაძე დავით 47, 55, 90, 96, 99, 168, 302, 308, 419, 421
ბრეგაძე თამარ 10, 68, 103—104
ბროსე მარი 99, 183—184, 187—188, 190—192, 216, 329
ბულმაისიმისძე არსენ 271
ბურჟე ბერნარ დე 169

გ

გაბაშვილი ვალერიან 99
გაბაშვილი ზაქარია 398
გაბაშვილი იოსებ 67
გაბაშვილი ტიმოთე 266—267
გაბესკირია ვიქტორ 47, 361
გაბიძაშვილი ენრიკო 271, 277
გაბრიელი (სიონის დეკანოზის შვილი) 7—8, 423
გამეზარდაშვილი დავით 308
გამსახურდია ზვიად 4, 222
გამსახურდია სვიმონ 66, 136
გარსევანიძე 15, 420
გარსუა ბუჩულა 76
გაწერელია აკაკი 8, 90, 99, 265, 293, 362—363, 380, 389, 395
გერმანე მღვდელ-მონაზონი 125
გვახარია ალექსანდრე 4, 47, 141, 422
გვრიტიშვილი დავით 136, 163
გიგაშვილი ნანი 18—19
გიგინეიშვილი ბაქარ 22, 290
გიგინეიშვილი ივანე 13, 17, 64
გიგინეიშვილი მანანა 4, 271, 283—284, 293, 316, 318
გიორგი არაგვის ერისთავი 182
გიორგი ბრწყინვალე 88
გიორგი ლეონტინი 164
გიორგი XI 9, 121, 191
გიორგი მთაწმიდელი ნ. მთაწმიდელი გიორგი
გიუნაშვილი ელგუჯა 22, 271, 290
გოგიჩაიშვილი ზ. 6
გოგუაძე ნარგიზა 271, 277
გოლოვკინი გაბრიელ 329, 331—332
გორგასალი ვახტანგ 85
გორგაძე სერგი 395, 422
გრიგოლ ნაზიანზელი 256, 265
გრიგოლ ნეოკესარიელი 291
გრიგოლ ნოსელი 21—22, 69, 269, 272, 274, 290—291
გრიგოლ პართელი 265, 276—277
გრიგოლია კონსტანტინე 81—84
გრიშაშვილი იოსებ 76, 78—79, 177
გრძელიძე თამარ 222, 293
გუგუშვილი პაატა 68, 70—71
გულანდამი („ბარამ-გულანდამიანი“) 19, 421
გურამიშვილი დავით 35, 38, 73, 93, 96—98, 108, 127, 135—136, 149, 215, 221—222, 243—245, 248—249, 288, 301, 306, 316, 318—319, 322—323, 332, 353, 360—361, 366—368, 382—385, 389, 402, 406

დ

დავით აღმაშენებელი 87
დავით ბერი 217

დავით გარეჯელი 339
დავითი (ბიბლ.) 7, 86, 95, 115, 423
დავითი (თეიმურაზ პირველის მამა) 43, 52, 100, 424
დავით რექტორი 71, 78, 80, 104, 399
დავლიანიძე ლიანა 191
დათუნა ქსნის ერისთავი 182
დანელია კორნელი 3
დანტე 293
დეზალორი 169, 180
დეპლევი ხოსრო 17—18, 79
დივნოს („ვეფხისტყაოსანი") 281
დიონისი („ვეფხისტყაოსანი") 280
დიოლენი 130, 155, 365
დ'ისუდენი პიერ 169, 188—189, 213
დოლაქიძე მანანა 271, 277
დოლიძე ისიდორე 25, 29—30, 277
დომენტი კათალიკოსი 180, 182—185, 187—191, 193—194, 216
დონდუა ვარლამ 96, 168, 170, 172—174, 177—178, 181—188, 190—191, 326, 328—329
დონდუა კარპეზ 28
დოჩანაშვილი ელენე 263

ე

ეგნატი 280
ეზეკიელი (ბიბლ.) 263
ეკალაძე ია 74
ეკატერინე (მოწამე) 277
ეკატერინე პირველი 330—331
ეკაშვილი კ. ნ. ცინცაძე კალისტრატე
ელენე კოშორიძის ცოლი 17—20
ელია (ეფრემ მცირის „შესხმა") 390
ელიზბარი 214
ენუქაშვილი სამსონ 279
ენუქიძე თინა 14, 16, 29, 68, 480
ეპიკურე 149
ეპიფანე კვიპრელი 287
ერასტი 181
ერეკლე მეორე 78, 218
ერეკლე პირველი 216
ერისთავი დავით 88—89
ესაია (ბიბლ.) 263
ეფრემ ასური 273, 276, 287, 290
ეფრემი (ეფრემ მცირის „შესხმა") 392
ეფრემ მცირე 265, 390

ვ

ვაჩნაძე სიმონ 29
ვახტანგ მეექვსე (ჰუსეინ ყული-ხანი) 3, 5—22, 24—49, 51—58, 60—75, 77—82, 84—86, 90—137, 139, 141—145, 147, 149, 152—157, 159, 161—201, 204—205, 207, 211—229, 231—234, 240—253, 255—257, 262—263, 270, 277, 279—282, 291, 298, 300, 302—304, 306—308, 311, 318, 320, 321—334, 340, 342, 346, 348—364, 366—376, 378—381, 384—390, 402, 404—426
ვახუშტი ნ. ბაგრატიონი ვახუშტი
ვერონელი ჯუზეპე 179, 199
ვიონ ბორისტელი 155
ვირსალაძე ელენე 77
ვოლინსკი არტემ 329

ზ

ზაზა ნ. ციციშვილი ზაზა
ზალიკალიანი გ. 35
ზედაზნელი იოვანე ნ. იოვანე ზედაზნელი
ზუმბაძე (სუმბაძე) დენიზა 185, 347

თ

თავაქარაშვილი მამუკა 412
თავზიშვილი გიორგი 124
თავრიზელი მირზა აბდურიზა ნ. მირზა აბდურიზა თავრიზელი
თამაზ მეორე 91
თამარ მეფე 77, 323, 404, 424
თამარაშვილი მიქელ 99, 122, 179, 181, 216, 329
თაყაიშვილი ექვთიმე 14—16, 42—45, 48, 63, 71—72, 74, 77, 85, 362, 367, 420
თბილელი (ტფილელი) იოსებ 5, 83—84
თეიმურაზ ლევანის ძე 196
თეიმურაზ პირველი 20, 43, 65, 75—76, 78, 86—90, 96, 101, 114, 118, 215, 243, 247, 251, 277, 288, 302, 326, 407, 424
თეკლა (მოწამე) 277
თვარაძე რევაზ 243
თოდუა მაგალი 4, 24, 43, 47, 55, 58, 60, 101, 361—362, 368—369, 385

თომა (ბიბლ.) 177, 246, 300
თუმანიშვილი გიგი 66, 103
თუმანიშვილი გიორგი 401
თუმანიშვილი დიმიტრი 404
თუმანიშვილი იესე 423
თუმანიშვილი პაპუა 423
თურქისტანიშვილი ერასტი 102, 114, 143, 149, 369, 423

ი

იაკობ (ბიბლ.) 227, 231—232, 246, 290, 292, 295, 297, 300
იაკობ (ეფრემ მცირის „შესხმა“) 392
იაკობ ხუცესი 271
იბერიელი პეტრე ნ. პეტრე იბერიელი
იესე ლევანის ძე (ალი ყული-ხანი) 65, 68, 178—182, 186, 193—194, 214
იერემია (ბიბლ.) 263
იესო, იესუ ნ. ქრისტე
ივერიელი ანთიმოზ 70
ივლიანე კეისარი 149
იმედაშვილი გაიოზ 208, 233, 246, 316, 374
იმენდემ როდისხელი 366
იმნაიშვილი ივანე 3, 23, 262, 273
ინგოროყვა პავლე 10
ინოჩენციო XII 328
იოანე (იოვანე) ბატონიშვილი (ბაგრატიონი) 17, 20, 33, 177, 395, 398, 409, 412
იოვანე, იოანე (ბიბლ.) 3, 7, 197, 225—227, 230—233, 246, 255, 264—268, 273—274, 277, 286—287, 295, 300, 315, 423
იოვანე ზედაზნელი 277
იოვანე ოქროპირი 255—256, 265, 268, 273
იორდანიშვილი სოლომონ 35, 84
იოსელიანი პლატონ 183, 186, 395
იპოლიტე რომაელი 251, 290
ირინე (მოწამე) 277
ირინო (მოწამე) 277
ისაკ მცირე 398
ისარლოშვილი ლუკა 395
იუდა (ბიბლ.) 227, 254
იშტვანოვიჩი (უნგროველახელი) მიხაი 126, 334

კ

კაბადოკიელი ანდრია ნ. ანდრია კესარია-კაბადოკიელი
კავკასიძე მელქისედეგ (მელქისედეკ) 31, 367
კაკაბაძე მანანა 10, 33, 167, 206, 251—252, 342, 351, 358, 418
კაკაბაძე სარგის 84
კარიჭაშვილი დავით 333, 424
კარლოს მეექვსე 218
კახაძე ოტია 29
კეკელია მ. 30
კეკელიძე კორნელი 6, 9, 14—17, 24, 28, 32, 43, 54, 58, 66, 68—69, 71—74, 76—78, 80—81, 83—84, 90, 104, 121, 167, 197, 222, 238, 242—246, 251, 262, 301, 306, 316, 322, 326, 353—355, 361, 363, 380, 392—393, 398—400, 406, 408—409, 414, 417, 420
კელენჯერიძე მ. 395
კესარიელი ბასილ ნ. ბასილ კესარიელი
კეჭაყმაძე ნ. 227
კიკნაძე გულნაზი 69, 263, 269, 277
კიკნაძე ზურაბ 316
კიკნაძე ლია 104
კილანავა ბეჟან 308, 349
კლიმენტი XI 217
კობიძე დავით 47, 413
კონსტანტინე, მაჰმად ყული-ხანი 91, 93
კონსტანტინესკუ-იაში პ. 70
კოპაძე სვიმონ 412
კოშორიძე ნ. ელენე კოშორიძის ცოლი
კრუსინსკი (კრუშინსკი) თადეუშ 80, 188, 190, 214
კურდღელაშვილი შოთა 66, 70
კუსრაშვილი რუსუდან 6

ლ

ლანგი დევიდ 99, 216
ლარაძე ივანე 400
ლარაძე (ყარიბი) პეტრე 389, 400
ლარაძე-შალიბაშვილისა მართა ივანეს ასული 400
ლაშქარაძე დავით 137, 308, 418
ლებეოს, ლებეოზ-თადეოზი (ბიბლ.) 246, 300
ლევან ბატონიშვილი 25 ნ. კიდევ ლევანი, ლეონი
ლევანი, ლეონი (ქართლის მეფე) 104, 121, 188, 422

ლეონიძე გიორგი 32, 70, 75, 92, 328, 361, 419
ლოლაშვილი ივანე 77, 84, 276, 390, 392, 404, 414
ლომთაძე ამირან 224
ლორთქიფანიძე გრიგოლ ბეჟანის ძე 217
ლორთქიფანიძე ეთერი (ეკ. ქართველი) 135—136, 173
ლუი XIV 217
ლუკა (ბიბლ.) 23, 197, 230—232, 286, 291, 295

მ

მათე (ბიბლ.) 196—197, 230—231, 267, 270, 285—287, 295, 299—300
მაისურაძე ნ. 245—246, 248
მაკედონელი (მაკიდონელი) ალექსანდრე 149, 365, 423
მარი ნიკო 188
მარიამ დედოფალი 84
მარიამ ღვთისმშობელი 221
მარკოზი (ბიბლ.) 230
მანასე (ბიბლ.) 171, 356
მანსვეტაშვილი იაკობ 88—89
მაღრაძე ელგუჯა 66, 93—94
მაღულარია გივი 91—92, 324—325, 339
მახათაძე ნინო 96, 329
მაჰმადი 214
მელიქსეთ-ბეგი ლეონ 265, 277
მენაბდე ლევან 10, 32, 47, 60, 78, 90, 96, 136, 167, 238, 245—246, 250, 307—308, 326, 342, 346, 349—350, 355
მეტრეველი ელენე 10, 24, 58, 66, 68, 81—82, 103, 267, 270, 286
მეფარიშვილი ლუბა 68, 76, 399, 425
მეძველია კონსტანტინე 195
მზეხათუნი 412—413
მთაწმიდელი გიორგი (გეორგი) 69, 263, 390—392
მილთონები 177
მირზა აბდურიზა თავრიზელი 333, 424
მირ-მაჰმუდი 91
მიქაძე გივი 9—10, 14—16, 32, 40, 78, 100, 112, 136, 246, 271, 326, 346, 351, 353, 361—362, 366—367, 385—386, 395—396, 398, 408—410, 412—413, 420, 425
მიხილ ელივიჩ 423
მონმორო ჟან ბატისტ დე 179
მოსე (ბიბლ.) 113
მოსია ტიტე 221, 316
მღვიმელი შიო 9

ნ

ნავოი 79
ნაზიანზელი გრიგოლ ნ. გრიგოლ ნაზიანზელი
ნაკაშიძე რარა 68
ნასერ ხოსროვი 141
ნასიძე მიხეილ 355
ნატროშვილი თამაზ 10, 88, 90, 108, 177, 187—188, 191
ნაცვალაძე დ. 308
ნერონი 88
ნესტან-დარეჯანი, ნესტანი („ვეფხისტყაოსანი") 83, 311
ნიზამი განჯელი 79, 242
ნინო (წმინდა) 83, 270—271
ნინუა გულნარა 271
ნიშნიანიძე შოთა 165
ნოზაძე ვიკტორ 242, 249, 293
ნოსელი გრიგოლ ნ. გრიგოლ ნოსელი
ნუშრევანი, ნოშრევანი 63, 65

ო

ონანა მდივანი 47, 54—57, 71, 111, 119, 195, 375, 412—413
ონიანი შერმადინ 362
ორბელიანი გრიგოლ 307
ორბელიანი ვახტანგ 67
ორბელიანი (ყაფლანიშვილი) სულხან-საბა 15, 22—25, 29, 47, 54, 58, 60—63, 71, 76, 80, 92, 101, 103—104, 106, 118—119, 121, 124, 127, 133, 135—136, 170, 179, 181, 186, 190, 192—193, 195, 199, 215—217, 227, 262—263, 270, 272, 276—277, 288, 297—299, 325, 328, 347, 353—355, 360—364, 368—369, 380, 384—386, 389, 395—396, 402—404, 407, 410, 426

პ

პავლე, სავლე (ბიბლ.) 3, 225, 227, 246, 254—255, 268—269, 280, 289, 295—296, 300

პავლე მღვდელი 94
პაიჭაძე გიორგი 90, 99, 185—186, 188, 190, 327, 329—331, 418
პაპოშვილი მურმან 99
პართელი გრიგოლ ნ. გრიგოლ პართელი
პარასკევი (მოწამე) 277
პეტრე (ბიბლ.) 227, 232, 254—255, 289, 293, 300
პეტრე იბერიელი 279
პეტრე პირველი (დიდი) 90—91, 96, 126, 173, 175, 219, 329
პეტრიწი იოანე 269, 276
პიკო ემილ 70
პითაღოროს („სატრფიალონი“) 304
პისისტრატუშე 365
პლატონი 61, 130, 149, 304, 313, 365, 368
პოლენ („სიბრძნე მალაღობელი“) 366
პონშარტრენი 169, 216
პორფირი 422

ჟ

ჟან ბატისტ დე მონმორო ნ. მონმორო ჟან ბატისტ დე

რ

რაზიკაშვილი თედო 77
რაფავა მაია 227
რეჯინალდო 121, 123
რიფსიმე („გრიგოლ პართელის ცხოვრება“) 276
რიფსიმე („ნინოს ცხოვრება“) 271
რიშარი ჟან 189, 214
როდონაია ვახტანგ 4, 318
როსტომ მეფე 25
როშაქი („ვეფხისტყაოსანი“) 255
რუსთველი (რუსთაველი) შოთა 62, 87, 108, 114, 117—120, 123—124, 248, 251, 253, 255—256, 278, 288, 293, 302, 316, 318, 360—361, 420
რუსო 128
რუსუდან დედოფალი 194, 332
რუქა („სიბრძნე სიცრუისა“) 355
რუხაძე ვარლამ 184
რუხაძე ტრიფონ 398, 401

ს

საакაძე გიორგი 88
საакაძე იოანე 181
სავლე ნ. პავლე
საიათნოვა 177
სალტიკოვ-შჩედრინი 17, 33
სამფსონი („თაგვებისა და კატის ომი“) 398
სანიკიძე ლევან 90—91, 108
სარიდანი („ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ანდერძი“) 82—83
სარიშვილი ტიტე 137
სედრაქი („სიბრძნე სიცრუისა“) 355
სვიმეონ საკვირველმოქმედი 390
სვიმონ (ეფრემ მცირეს „შესხმა“) 392
სვიმონ კანანელი 246, 300
სვიმონ (სიმონ) ლევანის ძე 181—182, 186, 188, 191—194
სვიმონი მეორე (ბიბლ.) 246
სირაძე რევაზ 4, 110, 222, 251, 293, 308
სოკრატე, სოკრატ 130, 149, 229, 237, 365, 378
სოლომონი (ბიბლ.) 152, 262—263, 268, 291
სოსლანი დავით 77
სტალინი 60, 66
სულავა ნესტან 293
სურგულაძე ივანე 90
სურხაი-ხანი 91

ტ

ტაბაღუა ილია 8, 99, 122, 169, 187, 190, 216—218, 328
ტაბიძე გალაკტიონ 6
ტარიელი („ვეფხისტყაოსანი“) 83
ტარიელი („თაგვებისა და კატის ომი“) 398
ტლაშაძე იესე 96, 191
ტოლსტოი ლევ 126
ტოლსტოი პეტრე 91, 329, 331—332
ტრდატ („ნინოს ცხოვრება“) 271

უ

უმიკაშვილი პეტრე 35, 392, 394
ულუღ-ბეგი (ულუღბეგი) 424
უნგროვლახელი ნ. იშტვანოვიჩი მიხაი
უსეინ ყული-ხანი ნ. ვახტანგ მეექვსე

ფ

ფავლენიშვილი 330
ფარსმან ქველი („თაგვებისა და კატის ომი") 398
ფეოფრატ ლევიტელი 366
ფილიპე (ბიბლ.) 246, 300
ფინეზი („სიბრძნე სიცრუისა") 355—356
ფრანგიშვილი ალექსანდრე 133, 325
ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 128, 279—281
ფურცელაძე ანტონ 88

ქ

ქავთარია მიხეილ 8, 10, 68, 103—104, 178, 181
ქაიხოსრო (ხოსრო, ხოსრო-ხანი) ლევანის ძე 6—8, 167, 182, 188, 196, 340
ქართველი ეკ. ნ. ლორთქიფანიძე ეთერი
ქარქაშაძე მანანა 265
ქაჯაია ლამარა 103—104, 271
ქეთევანი (იოანე ბატონიშვილის მეუღლე) 17, 20
ქეი-ქაუსი 224
ქვარიანი ზაქარია 277
ქიქოძე ბიძინა 167, 198, 308
ქრისტე 183—184, 187, 193, 214, 216, 219—222, 227, 254—256, 264—267, 270—271, 273—278, 281, 286—287, 289, 291, 295—296, 300—301, 323, 328, 360, 382, 391, 402
ქრისტინე (მონაზონი) 265
ქუთათელაძე ლილი 10, 17—18, 68, 73, 103
ქურდაძე შოთა 137
ქურციკიძე ციალა 262, 271, 277
ქუჩუქა, ქუჩუქოვი 170, 344

ღ

ღლონტი ალექსანდრე 23
ღოღობერიძე სიმონ 192

ყ

ყარიბი ნ. ლარაძე პეტრე
ყაუხჩიშვილი სიმონ 7, 178, 186, 266
ყაფლანიშვილი საბა ნ. ორბელიანი სულხან-საბა
ყუბანეიშვილი სოლომონ 22, 54, 84, 96, 262, 271, 323, 330, 354, 364, 369, 375

შ

შადური ვანო 418
შავთელი იოანე 77, 403, 414
შალიბაშვილი ნ. ლარაძე-შალიბაშვილისა მართა ივანეს ასული
შანიძე აკაკი 3, 23, 70—71, 123, 273, 276
შანიძე მზექალა 68, 104
შანშოვანი ზურაბ 422
შარაშიძე ქრისტინე 6—9, 66, 68, 70—71, 104, 123, 125—126, 215, 255, 333—334, 411, 424
შარაძე გურამ 126, 403
შაჰ-აბაზი 87, 89
შაჰნავაზი 104
შაჰ-ჰუსეინი 8, 167, 171, 178, 328
შემოქმედელი იაკობ 76, 78, 142, 363, 412, 414
შირინი („ხოსროვ-შირინიანი") 19
შოშიტა (რაჭის ერისთავი) 329
შუშანია ონოფრე 395
შუშანიკი („შუშანიკის წამება") 271

ჩ

ჩახრუხაძე 118—119, 404
ჩიქობავა არნოლდ 422
ჩიქოვანი მიხეილ 394, 406
ჩოლოყაშვილი გარსევან 73, 361
ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი) დავით 7, 23, 29, 43, 78, 178, 398
ჩუბინაშვილი ნიკო 23, 29, 227, 262
ჩხეიძე ნანა 43
ჩხეიძე სეხნია 7—8, 64, 178, 212, 214

ც

ცაგარელი ალექსანდრე 422
ცაიშვილი სარგის 10, 83—84, 97, 222, 238, 246—248, 251—252, 316, 319, 323
ცაიშვილი სოლიკო 293
ცინცაძე კალისტრატე (ეკაშვილი კ.) 316
ციცერონი 149

ციციშვილი ზაზა 83—84
ციციშვილი ნოდარ 78—79, 243

ძ

ძოწენიძე ლალი 102, 115, 229
ძოწენიძე ქეთევან 3

წ

წერეთელი აკაკი 78, 86—88, 96, 249—250, 306—307, 311, 322
წულუკიძე ალექსანდრე 47, 126, 168, 245

ჭ

ჭაბაშვილი მიხეილ 262
ჭავჭავაძე ალექსანდრე 206, 307—308, 322
ჭალაშვილი ერაჯ 5, 81, 84
ჭანკიევი ცაცა 103—104, 286
ჭანტურია ტარიელ 6, 90
ჭილაია ანდრო 395
ჭილაია რამაზ 395
ჭილაძე თამაზ 323
ჭიჭინაძე ზაქარია 74, 177
ჭუმბურიძე ჯუმბერ 110, 113
ჭყონია თორნიკე 21—23, 26, 28, 31, 213, 262, 269, 302, 352—353, 356—358, 410

ხ

ხახანაშვილი ალექსანდრე 32, 74, 80
ხევსურიანი ლილი 286
ხელთუბნელი მიხეილ 404
ხინთიბიძე აკაკი 4, 10, 32—33, 112, 381—383, 388—389, 395, 418
ხინთიბიძე ელგუჯა 265, 316
ხოლოფა 182—183, 186, 191—192
ხოსრო, ხოსროვი („ხოსროვ-შირინიანი“): 17—18, 63
ხოსრო, ხოსრო-ხანი ნ. ქაიხოსრო
ხუბუა მაკარი 188
ხუნდაძე სილოვან 395
ხუციშვილი სოლომონ 110

ჯ

ჯავახაძე ვახტანგ 6
ჯავახიშვილი ივანე 81, 96, 98, 121, 188, 327
ჯაკობია გიორგი 20, 55, 288
ჯამბაკურ-ორბელიანი იოანე 123
ჯანაშვილი მოსე 6—7, 9, 395
ჯიბლაძე გიორგი 11, 33, 80, 92, 137, 167, 418, 421
ჯიმშედი („ჯიმშედიანი“) 16—17, 63
ჯოჯიკი („შუშანიკის წამება“) 271
ჯუზეპე ნ. ვერონელი ჯუზეპე
ჯღამაია ციალა 271
ჯღარკავა იონა 126—135

ჰ

ჰანვეი ჯ. 188
ჰაჯი დაუდი 91

Барамидзе А. Г. 430
Вахтанг VI 9, 250, 427—431
Гий Ж. 265
Грело П. 265
Гурамишвили Давид 430
Дехлеви Хосров 427
Джанашвили М. Г. 6
Джимшед («Джимшедиани») 427
Жорж А. 265
Иоселиани П. 183
Кайхосро (царь) 427
Кекелидзе К. С. 429
Лакан М. 265
Леон-дюфур К. 265
Люплас Ж. 265
Нестан («Завещание Тариэла и Нестан») 427
Мгвимели Шио 427
Орбелиани Вахтанг 428
Орловская Н. К. 126
Руствели Шота 427
Тариэл («Завещание Тариэла и Нестан») 427
Тбилели Иосиф 427
Хаханов А. 74
Хосро («Хосров-Шириниани») 427
Цанишвили С. С. 429
Чалашвили Эрадж 427

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

პირველი თავი. ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობის დადგენისათვის 5

1. ლექსები, რომლებიც ვახტანგის პოეტურ თხზულებათა ხელნაწერ და ბეჭდურ კრებულებში არ შესულა 5
   - ა. ძმისადმი მიწერილი ლექსი 6
   - ბ. შიო მღვიმელს 9
   - გ. „რანი და მოვაკანი...“ 10
   - დ. მესამე ანბანთქება 14
   - ე. „სიკვდილი ჯიმშედის ცოლისა“ 16
   - ვ. ხოსროს ფიცი 17
   - ზ. „რამლის წიგნზე“ მინაწერი ლექსები 20
   - თ. „მასკვლავების წიგნზე“ მინაწერი სტროფები 28
   - ი. „ჭაშნიკში“ მოთავსებული ლექსები 32
   - კ. „ქილილა და დამანას“ ლექსები 42
   - ლ. ლექსი ნუშირევანზე 63
2. ლექსები, რომლებიც ვახტანგს მიეწერება, მაგრამ მას არ ეკუთვნის 65

მეორე თავი. ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო 86

1. მეფე და პოეტი 86
2. ლიტერატურული შეხედულებანი 110
3. დიდაქტიკურ-განმანათლებლური იდეები 120
4. სევდისა და სოფლის გმობის მოტივი 167
5. რელიგიური თემატიკა და სიყვარულის სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატულება 212
   - ა. „ამირ-ნასარიანი“ 223
   - ბ. „სატრფიალონი“ 237
   - გ. „სალბუნად გულისა“ 303
6. პატრიოტული მოტივის შესახებ 326

მესამე თავი. ვახტანგ მეექვსის ვერსიფიკაციული ძიებანი . . 360

1. ვახტანგი — ქართული ლექსთწყობის განმაახლებელი . . . 360
2. ვახტანგ მეექვსე და მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“ . . . 417

Поэтический мир Вахтанга VI (резюме) 427

პირთა საძიებელი 431

Борис Шакроевич Дарчиа

ПОЭТИЧЕСКИЙ МИР ВАХТАНГА VI

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1988

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3710

გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
მხატვარი ნ. გაბუნია
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორები: ლ. აბჟანდაძე, ე. გოგაია
გამომშვები ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 12. 1. 1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3. 8. 1988;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირ. საბეჭდი თაბახი 28,50; პირ. სააღ. გატ. 28,50:
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 22,85;

უე 02462; ტირაჟი 3500; შეკვეთა № 1395;

ფასი 4 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19